

მისეილ ჯანდუკელი

თხზულებანი

IV



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1986

მიხეილ ზანდუკელის თხზულებათა IV ტომში იბეჭდება ნარკვევები ცნობილი ქართველი მწერლების: ბაჩანას, თედო რაზიკაშვილის, ეგნატე ნინოშვილისა და დავით კლდიაშვილის შესახებ.

ნაშრომი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: მიხ. ზანდუკელი, ლიტერატურული ნარკვევები, II, 1961.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, მასწავლებლებისა და ქართული ლიტერატურას ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

ს ა რ მ დ ა შ ც ი ო კ ო ლ ე ბ ი ა

პროკლე კეკელიძე (მთავარი რედაქტორი), გრიგოლ კიკნაძე, ნოდარ
ტაბიძე, ჯუმბერ ჯუმბურიძე, სოლომონ ხუციშვილი

მეოთხე ტომის რედაქტორები:

პ რ ო კ ლ ე კ ე კ ე ლ ი ძ ე
ნ ო დ ა რ ტ ა ბ ი ძ ე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1986

4603000000

ბ ა ჩ ა ნ ა

(ნიკოლოზ პავლეს ძე რაზიკაშვილი)¹

1866—1928

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულმა შემოქმედებამ და მისმა მეტად თავისებურმა და მიზნოვანი პოეტურმა სტილმა ქართულ მწერლობაში დაუყოვნებლივ ჰპოვა თანაგრძნობა და გამოძახილიც. მას ჩვენს მწერლობაში მალე მიმდევარნი გაუჩნდნენ.

ვაჟა-ფშაველას გავლენით პირველ რიგში დაიწყეს წერა პოეტის მამამ, პ ა ვ ლ ე რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ მ ა, რასაც მის არქივში შენახული ლექსები ადასტურებს, და ვაჟას ძმებმა, ნ ი კ ო ლ ო ზ და თ ე დ ო რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ე ბ მ ა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, აიხსნება იმითაც, რომ ყველა ესენი აღიზარდნენ იმავე პირობებში და იმავე ლიტერატურულ (ზეპირ თუ მწერლობით) წყაროებზე, რომელთაც ძირითადად განაპირობეს ვაჟა-ფშაველას პოეტური მიმართულება და მისი სტილი. ესაა ქართული ხალხური, განსაკუთრებით კი მთის ზეპირ-შემოქმედება და ქართული კლასიკური მხატვრული ლიტერატურა.

ერთი პირველთაგანი და მასთან ნიჭიერი მიმდევარი ვაჟა-ფშაველას სკოლისა არის ნიკოლოზ პავლეს-ძე რაზიკაშვილი, ბ ა ჩ ა ნ ა ნ ა ფსევდონიმით ცნობილი პოეტი.



ნიკოლოზ პავლეს ძე რაზიკაშვილმა მწერლობის დაწყებიდანვე ფსევდონიმად აირჩია ბ ა ჩ ა ნ ა. აი რა საგულისხმო ცნობას გვაწვდის ამ ფსევდონიმის შესახებ პოეტის ძმა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი: „სემინარიაში ყოფნის დროს დაიწყო იმან (ბაჩანამ — მ. ზ.) ლექსების წერა და დაირქვა ბაჩანა. ბაჩანა ნიშნავს დაბალი ტანის

¹ წინამდებარე ნაშრომი, ისევე როგორც „თედო პავლეს ძე რაზიკაშვილი“, „90-იანი წლები“, „ენგნატე თომას ძე ნინოშვილი“ და „დავით სამსონის ძე კლდიაშვილი“, იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით: მიხ. ზანდუაელი, ლიტერატურული ნარკვევები, II, 1961, თბილისი.

კაცს. ამის გარდა, ჩვენში ყოფილა ერთი განთქმული მთიბველი, რომელსაც ბაჩანას ეძახდნენ“. ბაჩანა, ცნობილია, პატარა ტანის კაცი იყო და ამასთან კარგი მთიბველი. იგივე ალექსანდრე რაზიკაშვილი წერს თავის მოგონებაში: „ყველა ძმები კარგი მომკვლები და კარგი მთიბველები იყვნენ. მაგრამ ბაჩანა თითქმის ყველას სჯობდაო“¹.

ბაჩანა დაიბადა ფშავში, ს. ჩარგალში, 1866 წ. მისი მშობლები — მამა, პავლე გივის ძე რაზიკაშვილი, და დედა, ბარბარე (გულქანი) ნიჭიერი და მშრომელი ადამიანები იყვნენ. ისინი გაჭირვებულად ცხოვრობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბაჩანას მამა მღვდელი იყო. პავლე რაზიკაშვილი ხალხის მოკეთე, უანგარო, დამრიგებელი, მანე ტრადიციების წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანი იყო. მის არქივში შემონახულია მრევლისადმი მიმართული ქადაგებანი.

პავლე და მისი ცოლი გულქანი ჩვეულებრივი ფშაველივით მუშაობდნენ და შვილებსაც, მათ შორის ბაჩანასაც, შრომას აჩვენებდნენ. „სანამ მკასა და თიბვას შევიძლებდი, საქონელში დავდიოდით, მერე კი ყველა გლეხურ საქმეს [ვაკეთებდი]“², — წერს თედო რაზიკაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში. ასეთი ცხოვრება პავლეს ყველა შვილისათვის, კერძოდ ბაჩანასათვის, ბუნებრივი და აუცილებელი იყო. ამასვე ადასტურებს ბაჩანას უმცროსი ძმა, ალექსანდრე რაზიკაშვილი: „პირველდაწყებითი სწავლა პატარა ნიკომ თავის სოფელ ჩარგალში მიიღო. რა თქმა უნდა, ჩვენი მშობლები მას უქმად არ დასტოვებდნენ, როგორც დანარჩენ მის ძმებს, და აკეთებინებდნენ ყველა საქმეს, რაც კი მას შეეძლო: ჰზავნიდნენ ხბორებში, ან კიდევ ძროხებში“³.

ბაჩანას მამა, მიუხედავად დიდი ხელმოკლეობისა (მრავალრიცხოვანი ოჯახის გამო), მაინც ყველა საშუალებას მიმართავდა, რათა შვილებისათვის განათლება მიეცა.

ბაჩანა, როგორც მოვიხსენიეთ, ჯერ სოფ. ჩარგალში სწავლობდა, შემდეგ მამამ ის გადაიყვანა ქ. გორში, სადაც იმ დროს გორის საოსტატო სემინარიაში სწავლობდა ვაჟა-ფშაველაც. პავლემ მოახერხა ბაჩანა მიეღებინებინა საოსტატო სემინარიასთან არსებულ მოსამზადებელ კლასში. სწავლისა, შეგნებული ცხოვრების დიდი სურვილი ბაჩანას მკვლევარად აქვს გამოხატული თავის ჭაბუკობის პერიოდის ლექს-

¹ ალ. რაზიკაშვილი, „ბაჩანა (ნიკოლოზ რაზიკაშვილი) მოგონება“, ლიტერატურული მუზეუმი, № 13170-ბ.

² თედო რაზიკაშვილი, „ავტობიოგრაფია“, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატანე, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი, 1940, გვ. 243.

³ ალ. რაზიკაშვილი, „ბაჩანა (ნიკოლოზ რაზიკაშვილი). მოგონება“, ლიტერატურული მუზეუმი, № 13170-ბ.

ში „ე ლ ე გ ი ა“. მიუხედავად აუტანელი გარემო პირობებისა (ქარაგმებით აგვიწერს ახალგაზრდა პოეტი), როდესაც „ჰწვიმს, ჰშეხვს, ბნელა“, როდესაც „ცა დედამიწას უწყრება, ჰსტუქსავს და ემუქრება“, „ქარი რომ ქვეყანას ებრძვის“, ჰბაბუკი პოეტი-მგზავრი მაინც არ დრკება, წინ მიიწევს, გზას აგრძელებს. მოვეუსმინოთ მას:

„მე კი სამგზავროთ მივდივარ,
ძალიან მეშურებაო:
იქით სიციცხლე მიმელის,
აქეთ სიკვდილი რჩებაო.
ბნელდება, ჯანლი ეხვევა,
ტარება მიძნელდებაო,
მაინც არ ვიშლი, მივდივარ,
მოხდეს, რაც მომიხდებაო.

ხელში სანთელი მიჭირავს.
შუქი წინ მიმიძლევაო,
წვიმა და ქარი მატულობს,
ვაპმე თუ გამოქრებაო!
ნუ გამოქრები სანთელო,
ნუ დაბნელდები ღამეო!..
ნუ გამოცრუებ იმედსა,
განგებავ, შეება მამეო“¹.

როგორც ალექსანდრე რაზიკაშვილი გვიმომწმობს, „ბაჩანა ბავშვობიდანვე მეტად ნიჭიერი იყო, ამასთანავე შრომის მოყვარე და გულკეთილი“². ასეთი თვისებების გამო და აგრეთვე ვაჟა-ფშაველას დახმარებით, ბაჩანა მოსამზადებელი კლასიდანვე დაუახლოვდა სემინარიის მოწინავე მოსწავლეთა ჯგუფს, რომელიც ქ. გორში მომუშავე ხალხოსნების ზეგავლენით გატაცებული იყო ხალხოსნური იდეებით და საერთოდ მშრომელი ხალხისა და ქვეყნის. წინ წაწევის სურვილით.

აი, რა საგულისხმო ცნობას გვაწვდის ბაჩანას შვილი, პავლე რაზიკაშვილი: „მამაჩემი დიდ თაყვანს სცემდა და აფასებდა რუს ნაროდნიკ ჩერნიშევსკის და იტყოდა: „იმავე მოწაფის სკამიდან მე იმისი მიმდევარი ვიყავიო“³.

სემინარიის მოსწავლეთა მოწინავე ჯგუფმა თავისი მრწამსის გამოსამჟღავნებლად 1881 წლიდან დააარსა ხელნაწერი ყოველთვიური ჟურნალი „რ ი ე რ ა ე ი“. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ვლ. აღნიაშვილი, ალ. ნათაძე, ვაჟა-ფშაველა, დავ. კარიკაშვილი, თ. ხუსკივაძე და ბაჩანა (ყველა ამათ შემდეგში შესამჩნევი კვალი დასტოვეს ქართული კულტურის ისტორიაში). ბაჩანას, რადგანაც მას კარგი ხელი ჰქონდა, ევალეობდა „მესტამბეობა“ — ჟურნალის გადაწერა ათ ცალად, რისთვისაც იღებდა სამ მანეთს.

1882 წელს ბაჩანამ, რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას დახმარებით, ჩააბარა გამოცდები და მიღებული იქნა საოსტატო სემინარიის მოსწავლედ. სემინარიაში ბაჩანა წარჩინებით სწავლობდა. მასწავლებლე-

¹ ალ. რაზიკაშვილის ცნობით, ეს ლექსი ბაჩანას დაწერილი აქვს 1880 წ. იხ. მისი — „ბაჩანა (ნიკოლოზ რაზიკაშვილი) მოგონება“, ლიტ. მუზეუმი, № 13170—ხ.

² ალექსანდრე რაზიკაშვილი, „ბაჩანა (ნიკოლოზ რაზიკაშვილი) მოგონება“, ლიტ. მუზეუმი, № 13170—ხ.

³ პავლე რაზიკაშვილი, „ბაჩანას ცხოვრება“, ლიტერ. მუზეუმი, № 13484—ხ.

ბის (განსაკუთრებით ნიკო ლომოურის): ყურადღებას იქცევდა სწავლისადმი ხალისით, ინტერესით, უფრო კი მოწონებას იმსახურებდა საცდელი გაკვეთილების გადაცემით. ალ. რაზიკაშვილი ბაჩანას შემდეგნაირად ახასიათებს: „ბაჩანა მჭერმეტყველი კაცი იყო. მას, როდესაც რაიმე საგანზედ ლაპარაკობდა ან ლექსს კითხულობდა, მსმენელები სულ ალტაცებაში მოჰყავდა, როგორც მასწავლებელი, ბაჩანა ხომ შეუღლებელი რყო: რაც გინდა შეუგნებელი მოწაფე ჰყოლოდა, ის ისე აუხსნიდა და შეაგონებდა, რომ მას თავის დღეში აღარ დაავიწყდებოდა“¹.

* * *

1885 წელს ბაჩანამ დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია, რის შემდეგაც ის დანიშნეს სოფ. ვეჯინში (გურჯაანის რაიონი) დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. უნდა ითქვას, რომ ბაჩანა მთელი სიცოცხლე ნიჭიერად, გატაცებით და ნაყოფიერად მუშაობდა მასწავლებლის მძიმე სარბიელზე.

მართალია, ბაჩანას დიდი სურვილი ჰქონდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ მუდმივმა ხელმოკლეობამ ამის შესაძლებლობა არ მისცა. ბაჩანას მუდამ მაძიებელი, დაუკმაყოფილებელი ბუნება ხარბად ეძებდა ცოდნის წყაროს. სერიოზული განათლების უქონლობა „მგესლი გველივით“ უღრღნიდა გულ-ღვიძლსა და გონებას.

დიდი უშუალობითა და სისადავითა გამოხატული ბაჩანას ეს მტკივნეული სულიერი მდგომარეობა ერთ-ერთ მის წერილში თედო რაზიკაშვილისადმი: „ხო იცი, მე ბევრი საქმე და საფიქრობელი მაქვს. ჩემი აზრები მარტო სკოლას არ ეხვევიან, არცრა ისე საქვეყნო საქმეები მაწუხებენ; საქვეყნო მოღვაწეობას დიდი ცოდნა და გამოცდილება უნდა. მე კი ორივეზე ჭეხეტადა ვარ; მეორე რომ მომავალმა ცხოვრებამ მამცას, სწავლას, სამეცნიერო ცოდნას ვერ მომცემს. სანამღისინ დრო მაქვს, უნდა წავიდე სადმე და ვისწავლო... ხო იცი, მე; საიმისო რა მაშავია? რასაკვირველია, სახსარი შევლისა ბევრნაირია, უმთავრესი კი საზოგადოებისაგან შემწეობაზედ არის აშენებული... ვრცლად მერე მოგწერ, ესლა მხოლოდ ამას გთხოვ, გაავრცელო ხმა, რომ მე ძალიან მოწადინებული ვარ მაღალ სასწავლებელში წასასვლელად“...² ჩანს, ბაჩანამ უმადლეს სასწავლებელში წასასვლელი თანხა ვერ გამოიხატა და მტანჯველი სურვილი მას შეუსრულებელი დარჩა.

¹ ალ. რაზიკაშვილი, „ბაჩანა (ნიკ. რაზიკაშვი.) მოგონება“, ლიტ. მუხ. № 13170—ბ.

² კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, წიგნი 111, 1937, გვ. 147.

სამაგიეროდ მასწავლებლობა სოფ. ვეჯინში დიდი გატაცებით განაგრძო. აი რა საგულისხმო წერილსა სწერს ის 1885 წლის 9 ნოემბერს მეგობარს ვინმე ზაქარიას: „ძმავო ზაქარია!.. ამის წინ სასოფლო სკოლების დირექტორს ვაცნობე სკოლის საჭიროებანი, სხვათა შორის, ქართული წიგნებიცა ვსთხოვე. გავიდა კვირა, მეორე. ველი, ან ახლა მოვა, ან ახლა, ბოლოს აკი შევესწარ და ამბავი მომივიდა — შენს სახელზედ სიღნაღის უპრავლენიაში ამანათი არისო. ვაფრინე კაცი და ამოვატანინე... გავხსენ — და მტერსა შენსა — რო მე ვნახე: სად არის ქართული წიგნების ხსენება — სულ რუსულებით არის საესე. ზუთი-ექვსი „დედა-ენა“ კი იყო მარტო. წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა“¹. ბაჩანა იძულებულია მეგობარს სთხოვოს დახმარება: „...რაც კი რამ საბავშვო გამოცემანი გაქვს რამდენ-რამდენიმე ეგზემპლიარი გამომიგზავნე — სულ სასკოლოდ მინდა. მათ გარდა არ დივიწყოთ ეს წიგნები: საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, დიმიტრი ყიფიანის გრამატიკა ქართული, ვისრამიანი, ქილილა და დამანა, სრული, ბერიკას ლექსები; ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, „ქართლის ცხოვრება“ და „გეოგრაფია“ ვახუშტისა... რაც ეღირება სულ ეს, დარწმუნებული იყავი, რომ გადავიხდი ცოტ-ცოტაობითა, თუ ერთბაშად ვერა. მუქათათ არც სკოლისთვისა და არც ჩემთვის არა მინდარა“...²

დაახლოებით ამავე პერიოდისა უნდა იყოს ნიკო ლომოურთან მიწერილი წერილი, რომელიც აგრძეე მშვენიერად ამქადავენებს პოტიმასწავლებლის ბაჩანას საზოგადოებრივ, მებრძოლ სულისკვეთებას. „უძვირფასესო ძმავო ნიკო!... ბეჩავი სემინარია! მე ერთის შეხედვით განვსაზღვრე სტრელეცკის მიმართულება, მაგის მიზანი; მაგის რეფლექსი ისეთივეა სემინარიელების ტვინზედ სამოქმედოდ, როგორც სპარსეთის ძველი პოლიტიკა წარსულ ივერიის პოლიტიკურ ცხოვრებაზედ. მაგრამ მე იმედი მაქვს, სანამდისინ თქვენ ჰყეეხართ სემინარიას, ჩვენთვის დაშხადებული გაფხავებული ხმალი ისეე მაგის გეულების ქამანდის საჭრელად იქნება ხმარებული, თუ კარგად საგნების სწავლება წავიდა. მე იმაზედ ვამბობ, რომ საზოგადო მიმართულებაა საჭირო ახალგაზრდობისათვის და ამაში თქვენ შეგიძლიანთ იყოთ იმედად, იოვანე ნათლისმცემლად. ღმერთმა საძლევამოსილად, სახელოვნად შეგასრულებინოს ეს დიდი თანამდებობა. მეც საწყლურად ვიცხოვრებ, ვიშრომებ და ვიმღერებ“³.

¹ ლიტ. მუხ., № 5210—ბ.

² იქვე.

³ ბაჩანას წერილში მოტანილი სიძღერა, ვინაიდან დაბეჭდილი არსად არ იყო, მოგვაქვს მთლიანად.

„წყვეული იყოს წუთისოფელი!
მნელი ყოფილა ცხოვრების ზარი.
როგორ არ მოჰქედე, პოეტის გულო,
და არ აძგერდეს ეგ შენი ქნარი.
პლამის სეაეებმა ხალხი დაგვეკამოს,
დაბნელდეს ჩვენი პლანეტის მყარი.
როდის იქნება ჩიტი მოფრინდეს,
მიოხრას: „ნუ ჰზიხარ, გადი გარეო,
ქართლის შვილებმა აქა და აქა
გადაიხადეს ომი ცხარეო.
შენ აქა ჰზიხარ და შენგან კია
მეომარს ელის შენი მხარეო.
ბევრი დაეცა ურჯულოს ხელით,
გვიმარჯვდება კი — გაიხარეო!
მენაც წამოვდეგ, კარი გაულოს,
შორით შემესმას ლაშქრის დგრიალი.
წყლებურ დიდეს ქართველთ
მხედრობა,
აძვარს გაჰქონდეს ელვა, კრიალი

და წითელს დროშას ივერიისას
მეტეზხედ ჰძრავდეს ძველი ნიავე.
ღმერთო, შემასწარ,
შემოგხევეწიკარ,
მოჰქროდეს ქარი,
შხუოდეს მტკვარი;
პოლავდნენ ზღვანი,
იმღერდნენ მთანი,
მოჰსახდნენ ველინი
და ტყენი ბნელნი
ლალნი წყარონი,
ტურფა მდელინი
ყველა ერთადა,
ლაშაზ ფერადა
იტყვიდნენ: „ღმერთო,
ბრძოლო ერთო,
მადლობას გძღვენთო,
გაუმარჯვეთო, გავიმარჯვეთო!“¹

ბრძოლისა და მოქმედების სურვილი ბაჩანას გამუდმებით აღფრთოვანებდა და აწვალებდა კიდევ, ვინაიდან სათანადო ასპარეზი არ ჰქონდა, გარემოება ფრთებს აკვეცავდა. ამავე დაბრკოლებითაა გამოწვეული მოტანილი ლექსის იგავური ხასიათიც.

ვეჯინში მასწავლებლობის დროს ბაჩანას ერთი დიდი ფათერაკი შეემთხვა. ბაჩანას არ მოსწონდა უსაქმო თავაღაზნაურთა ცხოვრება და ხშირად ქეიფში თუ ისე საუბარში უყვარდა მათი გაკილვა. 1887 წელს ბაჩანა ქორწილში იყო მიწვეული. იქვე იყო ვეჯინელი თავადი სოსო აბაშიძე, რომელსაც ბაჩანას ყაბალახი დაეკარგა. ბაჩანას მისთვის ხუმრობით ეთქვა: ყაბალახი რატომ არ მომიტანეო. აბაშიძეს სწყენია, ქეიფის დროს, სუფრაზე მიჰპარვია უკანიდან და ხანჯლით ბაჩანა მძიმედ დაუჭრია.

თვითონ ბაჩანა თავის ძმას, თედოს, ამ ამბავს ასე აუწერს: „დაჭრის მიზეზიც ვიცი, რომ გულით გინდა შეიტყო. ისტორია გრძელი მოვა, [რომ] გაიმბო. სწორედ რომ ვსთქვა, თავადაც დაბეჯითებით არ ვიცი, რის გულისათვის შემომკრა ხანჯალი. გეტყვი მხოლოდ, რომ დაკვრა იდუმალი, ძალღური იყო უკანითგან, როცა მე არ მოველოდი... სხვა რაღა მოგწეროთ? ხო იცი, მე კნიაზქნაზები... საცა გავეწევი, მაგათ მოსისხლე მტერი ვიქნები და გაუშრობ უწყალოდ სისხლსა... უფრო ეხლა, აქამდის არაფერი. ცოტა კატორღა მაშინებს რჯულ-

¹ ლიტ. მუზეუმი, № 19767—ხ.

ქალი, თორე მე ვიცი, რაც უნდათ ამ ჩაღვანე-მაჭლაჭუნეებსა... არა უშავს რა, ძმაო, არა, ძალი კოკლობით არ მოკვდება, ოღომცისინი [განის]ენებდნენ საღათური ძილით“¹.

1890 წელს ბაჩანა სოფ. ვეჯინის სკოლის მასწავლებლობიდან გაანთავისუფლეს. ამის მიზეზს ალ. რაზიკაშვილი თავის მოგონებაში ასე გვაცნობს: „სკოლის მზრუნველმა მიხაკო ანდრონიკაშვილმა არ მოუსვენა (ბაჩანას — მ. ზ.), აბეზღებდა მაშინდელ სახალხო სკოლების დირექტორ დარსკისთან, რის შედეგადაც ბაჩანა სამსახურიდან დაითხოვეს. სწორედ ამ ხანებში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მეთვალყურემ არქიმანდრიტმა ლეონიდემ ბარისახოში გახსნა სკოლა და ბაჩანა იქ დანიშნა მასწავლებლად“².

* * *

1890 წელს ბაჩანა სოფ. ბარისახოში მასწავლებლად დაინიშნა. ამ წელს ხევსურეთში პირველად გაიხსნა სკოლა და ბაჩანაც ხევსურეთის პირველი სკოლის პირველი მასწავლებელი იყო. ბაჩანამ ბარისახოში დიდი ენერგიით, მონდომებით დაიწყო მუშაობა. მას დიდი დაბრკოლებების გადალახვა დასჭირდა, სანამ მშობლებს დაარწმუნებდა, რომ შვილების სკოლაში გაგზავნა სასარგებლო საქმეა, სანამ ამისათვის მოსახლეობაში სათანადო ნდობას დაიმსახურებდა. მაგრამ ეს მან ღირსეულად დასძლია. ხევსური ბავშვები შემოიკრიბა და სწავლაში ჩაება.

სოფ. ბარისახოში მასწავლებლობის დროს ბაჩანამ ცოლად შეირთო თავისივე თემის მცხოვრები მარიამ პეტრე გურასპაური ასული, რითაც დაარღვია მთის ჩვეულება, რომლის მიხედვითაც აკრძალული იყო ერთი თემის შიგნით დაქორწინება. ამ საქციელით ბაჩანამ თემის უქმაყოფილებაც დაიმსახურა. ეს ამბავი ბაჩანას ნიჭიერად აქვს გადმოცემული თავის პოემაში „წაწლობა“ იმედასა (თვითონ ბაჩანა) და ჯავარას (მარიამი — შემდეგში ბაჩანას მეუღლე) თავგადასავლის სახით. პოემაში „წაწლობა“ ბაჩანა მოურიდებლად იძლევა მთის დრომოჭმულ ჩვეულებათა უარყოფით შეფასებას, უშუალოდ ცხოვრებიდან აღებული, დამახასიათებელი ეპიზოდების ნიჭიერი, დამაჭერებელი განზოგადოებია.

წინააღმდეგობის მიუხედავად, ბაჩანა დაოჯახდა ბარისახოში, სა-

¹ კ. მარქსის სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, წიგნი 111, 1937, გვ. 155.

² ალ. რაზიკაშვილი, „ბაჩანა (ნიკოლოზ რაზიკაშვილი) მოგონება“, ლიტ. მუზ., № 13170—ბ.

დაც მან ათი წლის განმავლობაში ნაყოფიერად იმოღვაწა. ცნობილია, სოფლის სკოლის მასწავლებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა საერთოდ მძიმე იყო, განსაკუთრებით კი ხალხის „მოკეთის“, მისი გულშემმატკიერისა, მით უმეტეს ისეთ მივარდნილ კუთხეში, როგორც ბარისახო იყო. მაშინ სკოლას ხევსურთა დიდი უმრავლესობა უნდობლად, უარყოფითად, მტრულადაც კი ეკიდებოდა. ბაჩანას დიდი ენერჯის დახარჯვა დასჭირდა, რომ ხალხის ნდობა დაემსახურებინა, ბავშვები სკოლაში მიეზიდა. ბაჩანას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ხალხის სკოლასთან დაახლოება, სწავლით დაინტერესება წარმატებით მოახერხა. „ბაჩანამ, — მოგვითხრობს ალ. რაზიკაშვილი, — ისე შეაყვარა მოსწავლეებს სწავლა, რომ სულ იმის მზესა ფიციულობდნენ. დაუახლოდნენ მას თვით ხევსურებიც, რადგანაც ბაჩანა მათ უხსნიდა სწავლა-განათლების მნიშვნელობასა და სარგებლობას. ვისაც კი რამე გასაჭირი ჰქონდა, ან დასაწერი თხოვნა — არხები, ბაჩანა სულ უფასოდ უკეთებდა და ეხმარებოდა, რომ ისინი არავის დაეჩაგრათ... თუ წინათ ხევსურები გაურბოდნენ სკოლას, ახლა სიხარულით ჰგზავნიდნენ იქ თავის შვილებს“¹.

ასეთ მძიმე საზოგადოებრივ მოღვაწეობაში პოულობდა კმაყოფილებას ბაჩანას მდიდარი და მეტრძოლი ბუნება.

აი როგორ აუწერს თავის მძიმე მდგომარეობას ბაჩანა საკუთარ ამას, თედო რაზიკაშვილს, ერთ-ერთ წერილში: „რაც შეეხება ჩემს ძლიერ მდგომარეობას, ბევრს სანუგეშოს ვერას გეტყვი: რაც დრო და ხანი გადის, რაც უფრო მარტოკა ვარ, იმდენი უფრო შავი სექედისთვის ვეღარ დამიღწევია თავი: ვარ მარტოკა, ვესაუბრები მხოლოდ ჩემს თავს, მოპასუხე და ხეაშიადის მოზიარე ჩემთვის არავინ — გარდა არავისა, მთებისა და ბეჩაეის ჩემის ცოლისა...“

ვზივარ ბევრჯერ ჩემთვის საცოდავ ფიქრებში გართული, ვუკრავ ფანდურს, ვესაუბრები რასმე ჩემის გულის ამონაკენესისას, და საწყალი ჩემი ცოლი კი ზის და ჩამოჰდის ცრემლები!.. ესეც ნუგეშია ტანჯული მგონისა — არა ძმარ? კიდევ კარგი ეს მაინც მიცნობს და მათფასებს, რაც კი მოეთხოვება ამის განვითარებას. ნეტა, საზოგადოება რომ არა ვსთქვა, წიგნები მაინც მქონდეს ბევრი-ბევრი, რაც საჭიროა. მაშინ კიდევ აღარას ვიტყოდი, — იმეებით მაინც ვიცხოვრებდი... დიახ... ჩემი მოწაფეები, კაცო, ის ჩემი საყვარელი ძმები და შვილები... ისინი რომ არ მართობდნენ კიდევ, აქამდე ან გავგიჟდებოდი ან სხვა რამე უფრო უარესი დამემართებოდა... დაჯვლები, შემოვისხამ

¹ ალ. რაზიკაშვილი, „ბაჩანა (ნიკოლოზ რაზიკაშვილი) მოგონება“, ლიტ. მუხ., № 13170-ბ.

გარს ჩემს ბარტყებს, ვამბობთ, ვკითხულობთ და ხშირად მეცა ვტარი ჩემს მოწაფეებთან... აღზრდაა მა რა ჯანდაბაა — შხამიანი წყლით რწყვა სწადიან მდელოსი...“¹

ეს წერილი მეტად დამახასიათებელია ძველი ცხოვრების პირობებში, მიყრუებულ სოფელში ხალხში გასული მოკეთის, ფართო მისწრაფებებით აღჭურვილი სოფლის მასწავლებლის მდგომარეობის გასაგებად.

* * *

1900 წელს ბაჩანა გადაიყვანეს ფშავეში, სოფ. მალაროსკარის მასწავლებლად. სოფ. მალაროსკარშიც მას მძიმე პირობებში მოუხდა ცხოვრება. ნესტიანმა ბინამ და არაგვის ნაპირას ცხოვრებამ გამოიწვია მისი და ოჯახის წევრების გამუდმებული ავადმყოფობა — ე. წ. ციებ-ცხელება, რამაც ბაჩანას ორი შვილი, ქალ-ვაჟი — ივანე და იათამზე იმსხვერპლა. ამ გარემოებამ ბაჩანას სულიერადაც და ფიზიკურადაც მძიმე დაღი დაასეა, რამაც გამოვლინება ჰპოვა მის პოეტურ შემოქმედებაშიც. მაგრამ საზოგადო საქმეს. ბაჩანა კვლავინდებურად ერთგულად ეკიდებოდა: სკოლაშიც ენერგიულად მუშაობდა და მოსახლეობასაც გამუდმებით ეხმარებოდა.

ფშავეში, სოფ. მალაროსკარში და სოფ. ჩარვალში ბაჩანა მასწავლებლობდა. 1917 წლამდე. როგორც ჩანს, ავადმყოფობას მისი ეკონომიური მდგომარეობაც შეუვიწროებია. ამას აშკარად გვიდასტურებს იმ დროის წერილი ალ. რაზიკაშვილთან, რომელთანაც ცხოვრობდა ბაჩანას შვილი პავლე, ქართული გიმნაზიის მოწაფე.

პავლე თურმე კარგად სწავლობდა, მაგრამ ერთს წელიწადს მოიჯარმატა. გიმნაზიაში არ დადიოდა, კოჭაობდა. გიმნაზიის დირექტორი შეპსნედროდა ვაჟა-ფშაველას და ეთქვა: „შენმა ძმისწულმა ზარმატობა დაიწყო. ამიტომ სწავლის ფულისაგან აღარ გავანთავისუფლეთ და ორი თუმანი უნდა შემოიტანოსო“.

ვაჟა-ფშაველას ძალიან სწყენოდა ეს ამბავი და ბაჩანასთვის შეუტყობინებია, რასაც გამოუწვევია ბაჩანას შემდეგი წერილი ალ. რაზიკაშვილთან: „შენი წერილის მიუღებლობა მე კაი ნიშნად არა მქონდა და არც მოგტყუებულვარ. ლუკა იწერებოდა: „პავლემ სწავლაში იკოჭლა. სწავლის ფულს ორ თუმანსაც პთხოვენ და აღარც სასწავლებელში უშეგებნო“... ახლა ჩემს გულში ჩამოგეხდნათ, მე რალას ვგრძნობდი და რა რიგად გამიხარდა ეს ამბავი... მაგრამ მახლას — ჯა-

¹ კ. მარქსის სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, წიგნი III, 1937, გვ. 156.

ლაბობაც კაცისათვის მხოლოდ უბედურება ყოფილა. მე საზოგადოების გარდაქმნის სახსრად პიროვნების აღზრდას და მშობლების შევლებზე ჰუმანიურ, ადამიანურ გავლენას ვპოვებდი... ამიტომაც სოფლის მასწავლებლობას, ბაღების აღზრდას ჯანი შევალე და თურმე ყველაფერი ტყუილი ყოფილა! რას უნდა გავხდე! აღზრდით და შთავონებით ჯერ ჩემი ცოლ-შვილი ვერ დამიყვანებია კაი გზაზე, ვერ გამიხდია ისინი აღამიანებად, რომ ქვეყანასთან საქმე გავაწყო... ვაი ჩემს მოტყუებას, ვაი ჩემს გაჩენის დღეს!.. ბაღმა რომ კარში არ იწანწალოს სწავლის ფულს ორ თუმანს გიგზავნი... კარგი იქნება მომწერო, თუ პაელებს რა ნიშნები ჰქონდა საახალწლოდ და შემატყობინო გორგობის თვეში გამოგზავნილი მაგის ტანისამოსისათვის ფული მოგივრდა, თუ არა... მე მარტო ტანისამოსის და სწავლის ფულს ვიძახი და სხვაზედ კი ვსდუმვარ, მაგრამ არც იმას შევიჩინე, თუ შენთანად არაფერი მიჭირს“¹.

მიუხედავად მძიმე განწყობილებისა და მდგომარეობისა, ბაჩანა არც ქვეყნის წინმსვლელობის, ძველ რეჟიმთან ბრძოლისადმი ასუსტებდა თავის დამოკიდებულებას, ის არა მარტო პოეტური კალმით ეხმარებოდა და ემსახურებოდა ხალხს, არამედ აგრეთვე პრაქტიკული მოღვაწეობით. ბაჩანას, გადმოგვცემს ალ. რაზიკაშვილი, „ბევრჯელ მისვლიან აფხუშოს თბილისიდან და სხვა ადგილებიდან რევოლუციის დროს და ისეც გაქცეული რევოლუციონერები და პროპაგანდისტები, რომელთაც ის პატივს სცემდა და ინახავდა. თვითონაც ხომ რევოლუციონერი იყო და აბა იმათ რად მოირიდებდა“².

* * *

1917—1920 წლებში ბაჩანა მასწავლებლადაა ქ. დუშეთში უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლაში.

1920 წელს ბაჩანა გადაიყვანეს მასწავლებლად სიღნაღის სკოლაში. ამ დროიდან მას ხელი დარია მალარიამ. ამას დაერთო გულის სიგანიერე და ფილტვების სისუსტე, რამაც აიძულა ბაჩანა დროებით მასწავლებლობისათვის თავი დაენებებინა.

1924 წელს ბაჩანამ უკეთესობა იგრძნო, დაუბრუნდა მასწავლებლობას ბოდბის არასრულსაშუალო სკოლაში. მაგრამ ავადმყოფობის გამო ერთი წლის შემდეგ ბაჩანამ მასწავლებლობას თავი დაანება.

¹ ალ. რაზიკაშვილი, „ბაჩანა (ნიკოლოზ რაზიკაშვილი) მოგონება“, ლიტერატ. მუზეუმი, № 13170—ბ.

² იქვე.

ბაჩანა საბოლოოდ დასახლდა სოფ. ქკკმოქედში. ცხოვრობდა შეუერთებითა და მცირე პენსიით. ავადმყოფობა ბაჩანას ორგანიზმში თანდათან ძლიერდებოდა. 1928 წელს ის იძულებული გახდა სამკურნალოდ თბილისში ჩამოსულიყო და ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოში დაწოლილიყო, სადაც იმავე წლის 18 დეკემბერს გარდაიცვალა.

ბაჩანა დასაფლავებულია ქ. თბილისში, დიდუბის პანთეონში.

* * *

ბაჩანას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ მაინც ხელი შეუწყო ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების ბრწყინვალე დასაწყისმა. ბაჩანას პოეზიამ დასაბამითგანვე მიიქცა ქართველი მკითხველის, ფართო საზოგადოების ყურადღება, როგორც ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული სტილის ნიჭიერმა მიმდევარმა.

1890 წლის 7 მარტს, როცა ბაჩანა ჯერ კიდევ ახლად ფეხადგმული იყო სამწერლო სარბიელზე, აი რა საგულისხმოდ ამყლავნებს ქართველი საზოგადოების, ერთი ნაწილის მაინც. დამოკიდებულებას მთის მწერლებისადმი და, კერძოდ, ბაჩანასადმი გრიგოლ აფშინაშვილის შემდეგი კერძო წერილი თედო რაზიკაშვილისადმი: „ლომოური¹ მალ-მალე იკითხავს ხოლმე და იტყვის: რატო ნიკო არაფერს სწერსო. მე უთხარი, რომ ნიკო პოემას სწერს „განდევლის“ კილოზე. „რად უნდოდა ის კილო, რატომ იმ კილოზედვე არ დასწერა, რომელზედაც სწერსო“, თქვა ლომოურმა. საკუთარი მიმართულება შემოჰქონდათ ლიტერატურაში ძმათო (ნიკოსა და ლუკას), ნუ უღალატებენ იმ მიმართულებასო“².

ნიკო ლომოურის ასეთი შეხედულება რომ მაშინდელი ქართველი მკითხველი საზოგადოების, მართლაც, ერთი უდიდესი ნაწილისათვის დამახასიათებელი და გასაზიარებელი იყო, ამას ადასტურებს 1904 წლის ყურნ. „მოგზაურის“ 5—6 № ში მოთავსებული ბიბლიოგრაფია ბაჩანას პოემა „დიაკენიანის“ შესახებ. ამ ბიბლიოგრაფიაში სხვათა შორის აი რასა ვკითხულობთ: „ბ. ბაჩანაში და მის პოეზიაში ღვივის რსეთივე ცეცხლი, როგორიც ვაჟას გულში, იმ გარჩევით, რომ ერთში პრიალებს და გუგუნებს, მეორეში დაკრძალულია — სიწმინდით, ერთი მოჩქებს არაგვის ტალღებსავეთ და ღრიალებს, მეორე წყნარად და კამკამად მორაკრავებს კაწალხევედ (წყალია) და

¹ იგულისხმება ნიკო ლომოური, ცნობილი ქართველი მწერალი, ბაჩანასა და მისი პოეტი ძმების მასწავლებელი გორის საოსტატო სემინარიაში.

² გრ. აფშინაშვილის 1860 წ. 7 მარტის წერილი თედო რაზიკაშვილთან.

ორივენი ერთმანეთს შეამსებენ, ერთი სიტყვით, ბაჩანა არის ძმა ვა-
ჟასი“¹.

ბაჩანა, მართლაც, თავისი პოეტური სტილით ვაჟა-ფშაველას მი-
მართულებას მიეკუთვნება როგორც თემატიურად, ისე ენობრივად და
პოეტური ხერხებით. ბაჩანაც, როგორც ვაჟა-ფშაველა და საერთოდ
მთის მწერლები, ღვიძლი შვილია თავისი რთული ეპოქისა და მისი
პოეზიაც ძირითადად ანსასიერებს ეპოქის მტკიცეულ, აქტუალურ სა-
კითხებს, ძალუმად ეხმაურება XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსე-
ბის შემოქმედების წამყვან მოტივებს. ბაჩანას პოეტური ნიჭი, რო-
გორც ზევეითაც მოვიხსენიეთ, იზრდება და იხვეწება როგორც ქართუ-
ლი ხალხური, განსაკუთრებით კი ფშავე-ხევსურული, ზეპირშემოქმე-
დების საფუძველზე, ისე ქართული კლასიკური პოეზიის — რუსთავე-
ლის, სულხან-საბა ორბელიანის, ილიასა და აკაკის შემოქმედებაზე.

ცნობილია, XIX საუკუნეში ქართველმა საზოგადოებამ, დააღწია
რა თავი თავბრუდამსხმელ მდგომარეობას, საკმარისი სიცხადითა და
სიმწვავეთ წამოაყენა საკითხი ახალი, სამართლიანი ცხოვრების გზისა
და შინაარსის ძიებისა. ქართველმა მოწინავე საზოგადოებამაც სხვა
კულტურულ ერთა პროგრესულ ნაწილთან ერთად ძალუმად იგრძნო,
რომ „ვედარ გაუძღებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლ-
ვას“, დაინგრევა ძველი უსამართლო წყობილება, შეიქმნება ახალი
თავისუფალი ქვეყანა თანასწორობისა, შრომისა, ბედნიერი ცხოვრე-
ბისა.

ბაჩანა მწვავედ განიცდის თანადროული ცხოვრების მოუწესრიგებ-
ლობას, მისი წყობის ძალმომრეობას. ის, უკვირდება რა სინამდვილეს,
მწარედ რწმუნდება, რომ „ტირილისაა საწუთრო სევდის და მწუხა-
რებისა“, კაცი არ არის თავის ნებისა. ამიტომაც, პოეტის გაგებით,
ქვეყნად ბედნიერება არსად არ არის. დამწუხრებული პოეტი ასეთ
ეპოქალურ კვნესას გამოსცემს: „ბედნიერებას ვინ მიჰცემს ბატონის
ხელში მონებსა“.

ბაჩანა კარგადაა ცხოვრების სინამდვილეში ჩახედული. ის კარგად
ხედავს, რომ სახელმწიფოს მთელი თავისი მოუქნელი აპარატით, თვით
თემს — ხალხს — ერს მშრომელი გლეხი და მუშა ასაზრდოვებს. მან
კარგად იცის, რომ გლეხი ზომაზე მეტს შრომობს, თავს იკლავს ათას-
გვარ საქმეში: ხნავს, ფარცხავს, თოსნის, ბარავს, თიბავს, მკის, მაგ-
რამ არ იქნა, ვერ გაძღა „იმ ერთის ლუქმა პურითა“. გლეხს მძიმედ
აწევს — სახელმწიფოს მახტი, მებატონის ღალა, ღვდლის საწესო და
თემის ათასგვარი „ხათბალა“ და ბინაც, აქვს თუ არა აქვს შეძლება,
წლებზე ფეხი უნდა დაიდგას და ცხოვრების მძიმე ჭაპანი უნდა უსი-

¹ უტრნ. „მოგზაური“, 1904, № 5—6.

ტყვით გასწიოს. ამ გარემოებას გლენს უფრო უმძიმებს მისი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობა. აი როგორ მოთქვამს ბაჩანას გლენი:

„ზოგს ას იმდენი მიწა აქვს,
რაც ათასს ჩემფერს არაო,
ღმერთისგან სასწორად შექმნილი
იმას ვინ ჩააყარაო?
წაწკმენს სულთ და ხორცითა,
ვინც წილი დააყარაო!
მზარენ, მივლივარ ჩემთვისა,

სღუმან სასამართლოები.
უნდა სამგზავროდ წავიდე
გზას მიყვრენ საბაჯრები.
მინდა ვთქვა და ვქმნა მეც რამე,
ნება არა მაქვს პატარა,
ლოცვა და ენაც სხვისი მაქვს,
ჩემი ექონო რად არა?!“¹

გლენის საკითხი, გლენზე, ამ უმცროსი ძმის შევიწროებაზე ზრუნვა ეპოქის აქტიური თემა და პრობლემა იყო. ასევეა ბაჩანასთანაც. აღშფოთებული პოეტი შეუთრიგებლად და მოუზრდებლად გაჰყვიერებდა ქვეყნის უსამართლო დაწყობილებას.

„მაგრამ ერთი რომ ბატონობს
და სხვა იმის მონადა,
სასწორო მიწა-წყალიც რომ
გაგვიხდა სანატრელადა,
და ჩრდილიც თავისუფლების
ქაღებრად, საბრძოლველადა, —
ეს კი მტანჯავს და მოცეხს,
მაქვს ძლიერ საყვირველადა.

რად არის კაცობრიობა
ორ ღასად გაყოფილია,
ერთი მსუქანი, მამლარი,
სიცოცხლით კნაყოფილია,
მეორე: ლუბი, მშვიერი,
ჯადილ წელმონყვეტილია;
ერთი მთახლე, მსახური,
მეორე მბრძანებელია?!“²

აი ასეთი წყობილების უმსგავსობა განუკურნებელ მტანჯველ წყლულად აჩნდება როგორც ეპოქას, საზოგადოებას, ისე ბაჩანას გულსა და ტვინს და განუწყვეტლივ მოსვენებას არ აძლევს. პოეტი მწუხარებით კენესის — „ტიალი წუთისოფელი ვერავინ გამაძმობილა“, მაშინ როდესაც, მისი განცდით, ცხოვრება, გარეშე ადამიანთა მახინჯი დაწყობილებისა, ლამაზია, მიმზიდველია.

* * *

ბაჩანა ვაჟა-ფშაველასავით სამყაროსა და ადამიანს ფილოსოფიურად აღიქვამს. პოეტისათვის მტანჯველია ადამიანის დაუქმყოფილებლობა როგორც სიცოცხლის არსის დაუძლეველი ძიების მხრივ, ისე მისი მოქალაქეობრივად შებოროტებისა. ამ ტკივილს ბაჩანა თავის ფილოსოფიურ ლექსში „დ რ უ ბ ე ლ ი“ ასე გამოხატავს:

„შენი ჰირიმი, ღრუბელო,
რატომ მოვდიხარ ქარსაო?

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1938, გვ. 92.

² იქვე, გვ. 185.

შენ, რა, მე და ყველა
ემორჩილებით სხვასაო.

თავისუფალინ თუ ვიტყვით,
სად ვინ? რა არის? რომელი?...¹

ბაჩანა სამყაროს რთულ განვითარება-მსვლელობაში ჰხედავს მსოფლიო ძალას, რომელსაც პოეტი თანახმაა დაერქვას უნივერსალური სახელი „გამჩენი“:

„ეს სხვაა — მსოფლიო ნება,
ღია და ქვეყნის მყარობელი,
ხელიდან ვერვინ წაუღა,
მეა ჰკვაზდ არის ყოველი“².

ეს „მსოფლიო ნება“, „გამჩენი“, ბაჩანას გაგებით, ბუნებაა.

ბაჩანა, როგორც ვაჟა-ფშაველა, ბუნების უნივერსალური სიდიადითაა მოზიზღული. ისიც ბუნებაში ხედავს სიცოცხლის დასაბამს, მისი განვითარების კანონზომიერებას, აბსოლუტურ სილამაზეს, თუმცა გარეგნულად წინააღმდეგობით საცეს. მოვუსმინოთ პოეტს:

„სადაც ვარდია, იქ შხამიც ხარობს,
რამე დედის ძუძუს წოვითა,
ერთხელ რომ ჰწვიმონ ღრუბელთ
საამოდ,
გაძლიერდნენ მერე თოვითა.
თაღ-შემოსილი, სულ-შეხუთული,
ზანთის ქვეყანა შეიძაძება,
მაც/ამ, როდესაც თვისი მადლითა
შეიწვე ხელით დაიხარჯება, —
მკვდარი სიცოცხლე ხორცსვე შეისხამს,

მორტყი სიტურფით გაიბადება
სადაც დღე არის, იქვე ღამეა,
სადაც სიტკბოა, იქვე სიმწარე,
სადაც ყაველი, კარგი რამეა,
იქვე ჯრჯარი, მიმხმარი, მკენარი.
სადაც ველეში, ან ტყე და მთები,
ყავილ-ბალახით ამოდ ღელავენ,
იქ ცეცხლის მფრქვევი მთები ჰყუდ
და შორით-შორად ზღვებიც
პოვლემავენ“³

ასეთს მთლიანობაში, ურთიერთ შეზრდა-შეგუებაში იშლება ბუნების მრავალფეროვანი, წინააღმდეგობით აღსაყესე, მაგრამ შეთანხმებული ხასიათი, „მსოფლიო ნებას“ რომ ემორჩილება და რომელიც „წუთისოფელსაც“ (ხილულ ქვეყანასაც) და „იმ სოფელსაც“ (არახილულ ქვეყანასაც) აერთებს.

ბაჩანას გაგებით, „მსოფლიო ნება“, „გამჩენი“ — ბუნება, ყველაფრის შემქმნებელია, მისი კანონზომიერება აბსოლუტურია. ბაჩანა თავის დამოკიდებულებას ამ ძალისადმი სულაას პირით ასე გამოხატავს:

¹ ბ ა ჩ ა ნ ა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 100.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 268—269.

„გაქვებო, გადიდებო! შენ ხარ ყოველის
ჭურბი, მიზეზი, დამტყვევი სურა.
შეგამყობო, როცა ღმრთის არსებამაც
შენ სახის ქვეშე დაისადგურა!“¹

ბაჩანაც ვაჟა-ფშაველასავით მკვეთრად აღიქვამს, რომ ცხოვრება არა დგას ერთს წერტილზე. ის მუდმივ განვითარება-ცვალებადობა-შია, მაგრამ ამასთან მუდამ მთლიანია, კანონზომიერი, მყარი. ასეთს შეხედულებას ბაჩანა გამოსთქვამს თავის პოემაში „ღმერთები და სულა“ არმაზის (კეთილი დასაბამის) პირით:

„მრავალს ძველს რასმე და ღმერთებსაცა,
ვხედავ, თავის ღრო მოუქამია
და ცვალებადს ბედს ცის და ქვეყნისთვის
სულ სხვა დროება მოუტანია.
სხვა სამსხვერპლთა და სხვა ღმერთები...
ჩვენი ტაძრები დაუქმებულა!“²

ეს ცვალებადობა, ბაჩანას სწორი გაგებით, გარდუვალაა. ბუნებრივია. და „კარგი იქნება ჩვენც (აღამიანები) შევეურთღეთ მას“, მივიღოთ ეს არსებითი კანონი ცხოვრებისა. აქ ბაჩანა, უდავოდ, ვლინდება, როგორც რეალისტი და მოწინავე მოაზროვნე-ფილოსოფოსი.

გარდამავალ ეპოქაში მცხოვრები პოეტი კარგად ხედავდა, რომ იმსხვრეოდა ძველი კერპები, ძველი შეხედულებები, რასაც მრავალი მტკივნეულად განიცდიდა და არ უნდოდა შეგუებოდა. ბაჩანა მათ დააგონებს, რომ ეს ცვალებადობა გარდუვალაა ცხოვრების — სამყაროს კანონზომიერი განვითარებისა. ასეა ბაჩანას შეხედულებით: „ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება. „მოლოდინ-მოლოდინშია მიდიან დღეები ღამენი“. ასე „ბრუნავს და ბრუნავს ქვეყანა, — პოეტის თქმით, — მიდის და მიდის სოფელი“. უცვლელი და მარადიულია მხოლოდ თვით ცხოვრება-სიცოცხლე. პოეტი მართებულად განიცდის და გვარწმუნებს: „მხოლოდ თვით არის უცვლელი სიკვდილ-სიცოცხლის მყოფელი“³.

ბაჩანას წარმოდგენით, მთლიან, უნივერსალურ ცხოვრებაში წარმოებს განუწყვეტელი ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. მაგრამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სიკეთე სძლევს ბოროტებას, როგორც ამას გვასწავლის ჩვენი დიდი სულმნათი შოთა რუსთაველიც თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 269.

² იქვე, გვ. 264.

³ იქვე, გვ. 2.

თავის ამ შეხედულებას ბაჩანა საკმარისი სიმკვეთრით გამოხატავს პოემაში „ღმერთები და სულა“ — ა მ ი რ ა ნ ი ს (ბოროტის დასაბამის) და ა რ მ ა ზ ი ს (კეთილის დასაბამის) კამათის სახით. შეურიგებელი კამათი მათ შორის მთავრდება შემდეგი წინადადებით: წილი ყარონ, ვისაც ერგოს, მეფობაც ცასა და ქვეყანაზე იმისი იყოს. წილი ჰხვდა ა რ მ ა ზ ს. გაიმარჯვა კეთილმა დასაბამმა.

არმაზი კეთილის გამტარებლად ს უ ლ ა ს (აღამიანს) ირჩევს. უტოვებს მას კაცის ბუნებას. სულაც (აღამიანი) კმაყოფილდება. თავის განწყობილებას სულა (ეს თვით ავტორის განწყობილებაა) ასე გამოხატავს:

„თუშეა ღმერთობა არ მომანიქვს, —
მაგრამ კაცობა მაინცა მრჩება.
უღმერთობოდაც თავის ისაქმეებს
კიდევ მოუვლით, როგორც იქნება“¹.

აქ კიდევ ერთი დამახასიათებელი შტრიხია როგორც მწერლისა — ბაჩანასი, ისე თვით ეპოქისა. გარდამავალ პერიოდში, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბაჩანა, როდესაც ძველი მიდიოდა და ახალი მოდიოდა, ახალი ქვეყნის მ შე ნ ე ბ ლ ა დ ა ღ ი ა რ ე ბ უ ლ ი ა თ ვ ი თ კ ა ც ი. აქ კაცის — აღამიანის დიადი შემოქმედების რწმენაა. ასეთი რწმენის გაღვივებას თხოულობდა დრო, ეპოქა და ბაჩანაც მას ძალუმად და შეგნებულად ეხმარებოდა.

* * *

ბაჩანას ღრმა რწმენით, სიცოცხლე ერთი შეხედვით თითქოს მოუწესრიგებელი, უმართებულო და წუთიერია, მაგრამ არსებითად ის დაუსრულებელია თავისი შინაგანი, ურყევი, გონიერი კანონზომიერებით. ის თავის განცდილს და გაგებულს ასე გვამცნობს:

„დრო კი თავისას არ მოჰშლის,
სელასა და მდინარეებსა,
ჩაცმა-დახურვას — ბუნება
მზე, მთვარე — ცაზე რეებსა,
ტრფობა-ყვარებას — ქალ-ვაჟი,
საწუთრო-ნეტარებასა“²

აი აქ, სიცოცხლის ასეთს ბუნებაში თუ თვისებაში არის ბაჩანას ცხოვრებისადმი მიზიდულობისა და მისი ესთეტიკის დაუშრეტელი წყარო. განსკვრეტს რა სიცოცხლეს ამ გაგებით, პოეტი აღფრთოვანებული წამოიძახებს:

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 268.

² იქვე, გვ. 176.

„ეინ იტყვის კარგი არ იყოს,
ცისა სამოთხის საღარი;
ბუნება-მიწა-წყალითა,
ტურფად ტყე-ველით შემხდარი;
მალლა მზითა და მთვარიითა
დაშვენებული მთა-ბარი!“¹

ბაჩანას, როგორც მის ძმას — ჩვენს დიდ მგოსანს — ვაჟა-ფშაველას, უღმობებლად სტანჯავს ადამიანისა, საერთოდ, და, პირადად, საკუთარი ხედვის შეზღუდულობა. ის მწარედ შესჩივის თავის მკითხველს, „ყველაფრის ცოდნის წყურვილის მოკვლის უღონობის გრძნობამ“, როგორ „მოღალა“ მისი გონება და „გაქეჭნა“ მისი გული. მას დაუძლეველად ენატრება გარემო ცხოვრების, სამყაროს არსში ჩაწვდომა, მისი მამოძრავებელი თვისების გაგება. მოვეუსმინოთ, ტკივილებით დასერილი გულითა და გონებით რას ნატრობს ბაჩანა:

„სხვაგვარ მომართა ჩემი ჰკვა,
სხვა ზნე მიმიცა სმენასა,
მესაიდუმლედ გავუხდე
ცა-ქვეყნის ტანსა ყველასა.
არსნი ცა-ქვეყანისანი,
სულ ჩემს სულს გაეპობოდენ,
სააპიცანე რამენიც
ჩემს თვალს ვერ ემალებოდენ“².

საგულისხმოა რატომ სჭირდება ბაჩანას ბუნების ასეთი მესაიდუმლოება? ნუთუ თვითდაკმაყოფილების მიზნით ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუწვდომელია ცოდნა და გაგება? ბაჩანა არ აყოვნებს და იქვე აკმაყოფილებს გულისხმიერ მკითხველს:

„ვაფხდე უებრო ქადაგი
ქვეყნის ხელანჯისა რთულისა,
უქედარი მასწავლებელი,
ეჟის ყველა წულულისა,
თუნდა ერთ წაშში ასრულდეს,
ერთის თვალის დაკილვასა;
გაანჯღეს მიწა და ჩავეარდე,
ის გამოხდეს ლოგინადა.
აოცა ვისა გთხოვთ ტირილსა,
არცაფრს დანანებასა,
წმინდის სინათლე მირჩვენავ,
ბნელაში უკვდავებასა“³.

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 176.

² იქვე, გვ. 26.

³ იქვე, გვ. 26—27.

ბაჩანას ტანჯვა, გამოთქმული ამ მშვენიერ ლირიკულ ლექსში, რაოდენად მოგვაგონებს ვაჟა-ფშაველას პოემის „გველის მჭამელის“ გმირის მიწიან ტანჯვას. ბაჩანასაც, მინდისავეთ, ცა-ქვეყნის ამგვარი მესაიდუმლეობა პირადი სიამოვნებისათვის კი არ უნდა, არამედ მოძრეთა სასარგებლოდ. მას სურს გახდეს „უებრო ქადაგი ქვეყნის ხვლანჯისა რთულისა, უმცდარი მასწავლებელი, ექიმი ყველა წყლულისა“. მოუწყობელი, უთავბოლო ქვეყნის მოწყობის დიდი სურვილია, რომ ასე ჰკოდავს ამ ორივე მთის პოეტს. ამავე სურვილით იყო ფართო მასშტაბით დაკოდლილი თვით მათი მოღვაწეობის ეპოქა!

ბაჩანამ, როგორც ვაჟა-ფშაველამ, თვით ბუნებაში, იმის წიაღში ამოიკითხა ურყევი და სამართლიანი კანონზომიერება, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა.

ერთ ლექსში ბაჩანა მოგვითხრობს: გლახმა ყანა მომკა და შინ ბრუნდებოდა, როცა თვალი გადარჩენილ თავთავს მოჰკრა, აღარ მოსკრა ის.

„იცოცხლე, ჩემო შვილაო!
იყავ და ისიამოვნე,
უქირე ცას და მზესაო“¹

ე. ი. დასტკები სიცოცხლის თუ ცხოვრების ამოუწურავი სილამაზითო.

თავთავი უკმაყოფილოა, გაკვირვებული მომკალის ასეთი დიდსულოვნებით და, მადლობის მაგიერ, თითქოს შეურაცხყოფილიც კი, ასე უპასუხებს მომკალს:

„მარტუა ცა-მზეს რას ვაქნევ,
ოხრადამც დარჩენილანო:
უქმონი, უგვარტომონი
ყველანიც დახოცილანო!
მე მიჩვენია სიკვდილი
მარტუას სიცოცხლესაო,
ნულარა მზოგავ... მეც მომკერ,
შენი შვილების მზესაო“².

მომკალმა ისმინა თავთავის თხოვნა, მოსკრა ისიც. თავთავმა ასეთი სიკვდილით, პოეტის თქმით, მოიპოვა „სიცოცხლე სამარადისო“.

ამ ლექსით ბაჩანამ გარკვეულად და შთამაგონებლად დასვა და გადაწყვიტა ადამიანის არსებისა და დანიშნულების მწვავე პრობლემა. ის ამბობს, რომ კაცისათვის მარტოდ ყოფნა, გარეშე საზოგადოებისა, სიკვდილზედაც კი უარესია, მტანჯველია. სიცოცხლე, მისი სილამაზე და მიმზიდველობა არ არსებობს საზოგადოების გარეშე. თავისიანებ-

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 105.

² იქვე.

თან (რა თქმა უნდა, ამ ცნების ფართო გაგებით), მათი მდგომარეობის განაწილება-გაზიარებაში სიკვდილიც კი ბედნიერებაა, სიმშვიდისა და დაკმაყოფილების მიმცემია. ამიტომაც თავთავმაც, პოეტის რწმენით, როცა ისიც მომკალმა მოსკრა, „მშვიდად სული დალია თავის დაძმების გულზედა“.

აი სწორედ ეს მოძმეთა და გვარტომთა საერთო ბედია, რომლის მოწესრიგება ასე აწვალებდა ბაჩანას ეპოქას. მოძმეთა და გვარტომთა ცხოვრების გაჯანსაღებას ემსახურებოდა ბაჩანა მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, ხოლო მიზნის მიუღწევლობა განუკითხავად სტანჯავდა მას. ის ღრმად განიცდიდა, რომ „უკაცუსწორფრად სამოთხეც არაფრად ვარგებულა“.

* * *

ბაჩანა, განიცდის რა თავისი ეპოქის ნამდვილ მაჩისცემას, მის სულისკვთებებს, რწმუნდება თავისუფლების აუცილებლობაში. ბაჩანას გაგებით, ადამიანის აზრიანი სიკოცხლისა და შემოქმედების საფუძველია თავისუფლება. უიმისოდ კაცი შებორკილია, ტყვეა, უნარმოკლებულია. ამიტომ, ბაჩანას რწმენით, ადამიანს

„ჰკობს დაეშოს გონება,
თუ თავს ვერ გამოიხსნის,
ოორემ თუ ერთი მიჰხვდა
დარდით ყელს გამოიჭრის.

ცოდო კია ბულბული,
გალიაში მღერალი,
აგრეთვე ხელშეკრული
მოღვაწე და მწერალი“¹.

მარტივად, მაგრამ რა დამაჯერებლადაა ამ კალმის ერთი მოსმით გამოხატული შემხუთაეი და შემბორკაეი პირობები ბაჩანას მოღვაწეობის შავბნელი ღროისა და ადამიანის დაუძლეველი ლტოლვა თავისუფლებისადმი!

თავისუფლების საჭიროება მკითხველს რომ გააგებინოს, ბაჩანა შემდეგი თვალსაჩინოებით შთააგონებს მას:

„როგორც ცივს შთაზედ გასაშენებლად
ბალი და ბაღჩა არ შეიძლება,
ისე ბრმად, როცა ადამიანი
სხვის აზრს და სიტყვას ემორჩილება,

ან, როცა სვინდისს, პატარა ღმერთსა,
ქენჯნის ქარმქვალი შემოერტყმება,
მაშინ მის ბაღში თავისუფლების
ნერგი არასდროს არ აპყვავდება“².

ბაჩანას თავისუფლება ინდივიდუალური, მარტო პირადი კი არ უნდა, არამედ თავისუფლება საყოველთაო, თავისუფლება ქვეყნისა, ყველას რომ აძლევს შესაძლებლობას ნიჭი და უნარი მრავალმხრივ

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1936, ვვ. 84.

² იქვე, ვვ. 259.

გაშალოს, ყოველმა თავისი თავი სრულუფლებიან შემოქმედ მოქალაქედ იგულოს. ის ამ შეხედულებას ასე აყალიბებს:

„მე იქა ვხედავ თავისუფლებას,
სადაც ყველაა „კანონმდებელი,
თვით უფალია თავის სიტყვისა
მეფე და მონაც ამსრულებელი“¹.

საზოგადოებრივი დასაბამის განმტკიცება ბაჩანას აუცილებელ მოთხოვნილებად მიაჩნია. ამიტომ იგი ნიკ. ბარათაშვილისებურად განიცდის —

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

ბაჩანა პოემის „ღმერთები და სულა“ გმირს სულას ათქმევინებს: „არა თუ გაეჩნდი, ისევაც უნდა უთუოდ მოვეკვდე ქვეყანაზედა. შეხედულება ერთი უმანკო ბავშვების, ნორჩი ყვავილებისა, უამესია, ვიდრე ერთიან სინათლე ყველა ვარსკვლავებისა“. ბაჩანა სულას ასეთი პასუხით, მოხდენილი ჰიპერბოლის გამოყენებით საკმარისი სიმძლავრით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი და საზრუნავი კაცია, მისი ბედნიერი ცხოვრების შექმნა, რასაც ყველამ უნდა შეალოოს თავისი სიცოცხლე. ბაჩანა აქ მოიხანს როგორც ღრმა მოაზროვნე ფილოსოფოსი-სოციოლოგი.

სულას ასეთი პასუხის შემდეგ არმაზი, კეთილის დასაბამი დასტოვებს სულას მიწაზედ და შემდეგ დანიშნულებას მისცემს:

„თუ მაგრე არის, აქავე დარჩი.

განავე კაცთა საბედნიეროდ,
როგორც შენ გინდა და მოგვიხდება.
შენ გაუმაგრე პატიმრებს გული,
სიპართლისათვის თავდადებულთა.
გზა დასავალი შენ წარუმართ

სახელისათვის დაბადებულთა.

შენა ჰფარავდე ყველა საბრალოთ
ბრმა-ყრუეთ, ლატაკთ და ობოლ-
ქვრივებსა,

შენ შეამცირე ცრემლი და ტანჯვა,
შენ დაეხმარე შრომის შვილებსა“².

ასეთი იყო ბაჩანას ეპოქის წამყვანი სასიცოცხლო იდეები. ასეთია საზოგადოებრივ-სასარგებლო დანიშნულება, ბაჩანას გაგებით, ადამიანისა ცხოვრებაში და, მით უმეტეს, ასეთია დანიშნულება პოეტისა. ასეთი გაგება ხომ დამახასიათებელი იყო ჩვენი XIX საუკუნის მწერლობისათვის. ბაჩანაც, თავისი გაგებისა და შეძლების თანახმად, პირ-

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 259.

² იქვე, გვ. 256—257.

ნათლად ემსახურებოდა თავის მოძმეებსა და თავის ქვეყანას, როგორც თვითონ პოეტი ამბობს: — „ცა უარი ჰყო ქვეყნისათვის, რაც თვალთ მისაწვდენია“.



XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთში და ჩვენშიც მოწინავე საზოგადოებამ აშკარად იგრძნო და დაინახა ძველი წყობილების აუცილებელი ნგრევა და ახლის, უფრო სამართლიანის დამყარების შესაძლებლობა, მთელი სიცხადითა და პასუხისმგებლობით წამოაყენა პრობლემა ადამიანის დანიშნულებისა: ადამიანი ახლა ფასდებოდა იმდენად, რამდენადაც საზოგადოებისათვის, მოძმისათვის ის სასარგებლო, ხალხის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო. ადამიანს ზომავდნენ მისი ეთიური ღირებულების ხვედრითი წონის მიხედვით.

ეს გარემოება გამოწვეული იყო 60—90 წლების გარდამავალი ხასიათით. ძველი ირღვეოდა, მიდიოდა, ახალი ფეხს იდგამდა, გზას იკაფავდა. ეს კი თხოულობდა აუარებელ დაბრკოლებათა დაძლევას. საჭირო იყო ძლიერი ადამიანები, გმირები, რომელნიც დაბრკოლებებს ღირსეულად გადალახავდნენ, ახალი ქვეყნისაკენ გზის გაკაფვას გააადვილებდნენ და სხვათათვისაც ამ საქმეში მისაბაძნი შეიქმნებოდნენ.

ბაჩანას პოეზიაში ბრძოლის კულტი ვაჟკაცის, გმირის სახეშია დადებული. ბაჩანა, თავისი გარდამავალი ეპოქის მოთხოვნილებათა მძლავრი შემსუთქავი და ქართულ ხალხურ (უფრო ფშავ-ხევსურულ) სადეკამირო ეპოსზე აღზრდილი, ვაჟა-ფშაველასავით თავისებურად ანსაზიერებს გმირს, რომელსაც მისი „ბუკი და ნალარა“ ასეთი გატაცებით უკიოდა.

ბაჩანას გმირი გაბედული ვაჟკაცია, ის როგორც დიდი ფიზიკური, ისე მაღალი ზნეობრივი თვისებებით მიმზიდველია. მძლავრია, ჯანიანი, სამართლიანია, გაბედული, შეუპოვარი და გაუტეხელი ხასიათისა. ვაჟკაცი-გმირი ხალხს, საზოგადოებას მუდამ სჭირია, განსაკუთრებით კი საბედისწერო, მტერთან ბრძოლის მომენტში და მთაში მიღებულ ზნე-ჩვეულების დამრღვევის, შემლახველის წინააღმდეგ.

ვაჟკაცის, გმირის, როგორც მთაში ამბობენ „კაი ყმის“; სახეს ბაჩანა თავისი შემოქმედების პირველ წლებში ფშავ-ხევსურული სადეკამირო ეპოსის გავლენით გვიხატავს მთელ რიგ პოემებში. მაგალითად, „თალაურა“, „საფრთხე“, „ნანაის სიმღერა“ და სხვ.

პოემა „თაღლაურა“ დაწერილია 1884 წელს, ჯერ კიდევ გორის საოსტატო სემინარიაში სწავლის დროს. ამ პოემაში მოცემულია გმირი თაღლაურას — ქართველი მთიელის ბრძოლის ერთი დამა-

ხასიათებელი მომენტი. თალაურა, თემის გაგებით. ვაჟკაცია, გაბედული, უშიშარი, მარჯვე. ის ლეკებს, რომელნიც ქართველებს მტრობენ, შიშის ზარს სცემს. ლეკებმა თალაურას პირდაპირი ბრძოლით რომ ვერაფერი დააკლეს, მუხანათი გზით მოინდომეს მისი დასჯა. შეურჩიეს დრო, როდესაც ის სახლში არ იყო, მოისყიდეს თალაურას ლაჩარი ნათესავი ხ უ მ ი რ ა. თალაურას სახლს ლეკები დამით თავს დაესხნენ, როდესაც სახლში იყვნენ მხოლოდ თალაურას მოხუცი დედა, თ ა მ ა რ ი, და მისი ახალგაზრდა ცოლი ყ ა მ ა რ ი. მოტყუებით, ხუმირის დახმარებით გააღებინეს კარი თამარს. ლეკებმა თალაურას ცოლი ყამარი გავიტაცეს.

ეს ამბავი თალაურას შეატყობინეს. ის მარტო გამოედევნა ლეკებს. დაეწია, ხუმირასა და მურთუხს თავები გააგდებინა. დანარჩენი ლეკები შიშით გაიქცნენ. გაანთავისუფლა ტყვედ წაყვანილნი, სახლში გამოისტუმრა, თვითონ თალაურა ყამართურთ შინისაკენ სვენებით წამოვიდა. გზაში მათ შემოეყარა მოხუცი ლეკი, რომელმაც თალაურას ცბიერებით თავი შეაბრალა: — „გამიშვი, — მუხანათი ლეკი ეუბნება თალაურას, — ბევრი შეგაქებს, სახელი დაგიღირდება, წავალ და ყველგან ვიუბნებ; მე ბევრჯელ შევთხოვ უფალსა შენთვის მშვიდობით ყოფნასა“. თალაურამ, როგორც ვაჟკაცმა, დაინდო ლეკი. წავიდნენ თავ-თავისი გზით. მაგრამ ლეკმა არ დაინდო. ზურგიდან მუხანათურად თოფი ესროლა. ამის შემდეგ ყამარიც თავს იკლავს. ვაჟკაცი ქმრის სიკვდილის მერე სიცოცხლე აღარ უნდა.

ამ პოემაში, გარდა თალაურას გმირობისა და ვაჟკაცობისა, მოხდენილადაა ჩაქსოვილი მთიელთა ყოფის ელემენტებიც.

ასეთივეა ბაჩანას პოემა „ნ ა ნ ა ი ს ს ი მ დ ე რ ა“ (ამბავი თუშების ცხოვრებისა) დაწერილი 1889 წელს. აქაც ამბავი ლეკთა და თუშთა ურთიერთობიდანაა აღებული.

ლეკებმა თუშთა ლამაზი ნ ა ნ ა ი წისქვილში წასული შენიშნეს. ნანაისთან მისი უმცროსი ძმა ლ ე ო ა. მათ დაულამდათ. წისქვილში დარჩნენ. ლეკებმა კარი შეუშტვრიეს. ლეო მოკლეს, ნანაი გაიტაცეს.

თუშები აჩქამდნენ. დედაკაცი და მოხუცი მიცვალებულს ზარით დასტირიან. მოხუცს თარღვას, ნანაიას და ლეოს მამას, ანუგეშებენ, ახალგაზრდებმა თოფ-იარაღი აისხეს, უნდათ ტყვე-ქალი ლეკთაგან გაანთავისუფლონ. მაგრამ თ ო რ ღ ვ ა მათ ამის დასტურს არ აძლევს. მან კარგად იცის, რომ ეს დიდ მსხვერპლს გამოიწვევს. ხოლო თავის შვილს, ხ ა ხ ო ნ ს კ ი, თანახმად ჩეულებსა, ავალებს შური იძიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ველარ დაენახვება. ჩეულების თანახმად ხახონი და ნანაის საქმრო ი ვ ა წაელენ; თავს დაესხმიან ლეკებს,

„მიკაფ-მოცელავენ“ მათ, განთავისუფლებენ ნანაის და თუშეთში წამოიყვანენ.

აქაც გვირობა მოცემულია მთის საგმირო ეპოსის, მთიელთა ცხოვრების ადათთა და მსოფლმხედველობის თანახმად. ახალგაზრდობა უმალ მზადაა აღსდგეს, შეიარაღდეს, ერთის უბედურება ყველამ გაიზიაროს, ერთმა ყველა დაიცვას და ყველამ ერთი. აქვეა თორღვა. გმირი მოხუცი, თემის ინტერესს რომ იცავს, მთის ზნე-ჩვეულებას მტკიცედ მისდევს; მთის ადათთა მიხედვით, თავისი ოჯახის პატივის აღდგენას, შურისძიებას მტრისადმი და დის დახსნას ტყვეობიდან პირველ რიგში თავის შვილს რომ ავალებს.

ჩანს, ბაჩანა ამ წლებში ჯერ კიდევ ფშავ-ხევსურთა საგმირო ეპოსისა და მთის ზნე-ჩვეულებათა ტყვეობაშია.

ასეთივეა გმირის სახე ბაჩანას შემდეგ პოემაში „საფრთხე“. ვაჟკაცს ილალოს თავისი ცოლი დარო სიმამრიდან თავის სახლში მიჰყავს. ავი დარია, თითქოს წინასწარმეტყველი უბედურებისა. დაროც ავი წინაგრძობითაა შეწუხებული. ცნობილია, მთიელს ძალიან სწამს წინაგრძობა. დარო უჩივის ქმარს, რატომ არ გაიგონა მამის რჩევა — დაეცადათ, ცუდ დარში არ წასულიყვნენ. ილალო ცოლის უგუნებობის გაქარწყლებას ცდილობს.

მართლაც, მალე გამოჩნდება ლეკთა ბრბო, რომელიც საყაჩაღოდაა გამოსული. ლეკთა ბელადი გადაუდგება მათ წინ, მოსთხოვს ცხენი მისცეს და თვითონ ილალოცა და მისი ცოლიც გაჰყვანს. ილალო ვაჟკაცურად, თამამად დაჰხედება. ის დინჯად ესაუბრება ბელადს, უხსნის, რომ ასეთი დახვედრა და ავის მიყენება არაა ვაჟკაცის საქმე; ხომ ხედავს ისიც კაცია, მასაც იარაღი აქვს და უნდა იცოდეს, რომ ადვილად არ დამორჩილდება. სხვებიც ჩაერივნენ მათ კამათში. მაგრამ ანგარიანობა ლეკებისა დაუძლეველია. ბოლოს ილალო ლეკებს ასეთს წინადადებას მისცემს: გაუშვან, ცოლს მიიყვანს მამასთან და ხვალვე ამავე ალაგას უკან დაბრუნდება. ლეკები დათანხმდნენ შემდეგი პირობით: ილალომ არავის არ უნდა უთხრას ლეკების აქ ყოფნა და უეჭველად დაბრუნდეს.

ილალო ვაჟკაცია, ამიტომ მისი სიტყვა — საქმეა, სიტყვას არ გასტეხს. ილალომ ცოლსაც კი არაფერი უთხრა. მიიყვანა მამასთან და შეუმჩნეველად ღამით გამობრუნდა, დაპირებისამებრ ლეკებთან დაბრუნდა. დაიწყო მათ შორის ბრძოლა. ილალომ ბევრი ლეკი მოჰკლა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში თვითონაც დაეცა. ბაჩანა ასე აგვიწერს მის ვაჟკაცურ სიკვდილს:

„ცალკე ჰქვავს მართლ, გულაღმა,
ხმალი დაუღვაე კვერდიოა,

სატევარი და დამბაჩა
არ აუხსნია წელითა“¹.

ბაჩანა მთიელი ვაჟკაცის ცხოვრებას ამით არ ათაევებს. პოეტს უნდა გმირი ილალო უფრო სრულად გამოაჩინოს.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ილალოს თავს წაადგებიან სანადიროდ გამოსული მისიანები. მზრუნველობით შემოეხვევიან გარს. ილალო კმაყოფილია, რომ თავისიანების ხელში კვდება; „ძმების ცრემლსა და მათ ხელით“ სამარეს ეღირსება. ილალო იმითაც კმაყოფილია, რომ ის ვაჟკაცურად კვდება, მტერს არ შეუშინდა, თავისი მოვალეობა შეასრულა. თანამემამულენი, მეზობლები „ცოცხლები დარჩებიან“, „ოღონ ამ გულზედ, — ამბობს სიამოვნებით ილალო, — სამშობლოს მიწა და ქვიშა მეყაროს“. ის ვაჟკაცია, დაუძლეველი და შეუპოვარი, სიტყვის კაცია, პატრიოტი. ამასთან კეთილიცაა; მას არ უყვარს შურისძიება მარადიული, შეუწყნარებელი. ამიტომ. ილალო თავისიანებს სთხოვს დახოცილ ლეკებსაც უპატრონონ:

„და ეგ ბრმა ძმები ჩვენები,
სამარეს მიაბაროთო;
თოფ-იარაღიც თავისი
ყველას თან ჩააყოლოთო“².

დარომაც, მთის ჩვეულებათა მიხედვით, ეს დიდი უბედურება გმირულად გადაიტანა. მივიდა მარტოდ დარჩენილი მამამთილის სახლში, ოჯახს ერთგულად მოუყარა. ხოლო მამამთილის სიკვდილის შემდეგ ოჯახი არ მოშალა. გოგო-ბიჭების სწავლება დაიწყო. ობოლი ბავშვი იშვილა, გაზარდა, ასწავლა.

ასეთია სალი, გამძლე, მადლიანი ბუნება მთიელისა, ბაჩანას გაგებითა და ჩვენებით. ამ პოემაში უხვადაა მთის ეთნოგრაფიული ელემენტები ჩაქსოვილი. აქაც ბაჩანა გმირის სახის ძიებაში მთიელი ვაჟკაცის თვალთ იცქირება.

* * *

ლიტერატურის საზოგადოებრივი ინტერესი 1890—1900 წლებში მანამდე უჩვეულო სისწრაფით ვითარდებოდა. ახალი, ჰუმანურმოქალაქეობრივი იდეები ცხოვრების ახალ გზებს ენერგიულად ქსელავდა. ბაჩანაც მათი გავლენის ქვეშ ძალუმად ექცეოდა. მისი გმირიც დროის მოთხოვნილებათა მიხედვით სახეს იცვლიდა.

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 229.

² იქვე, გვ. 233.

ბაჩანა სიცოცხლისა და კაცობის ღირსება-ფასს ასე გამოსთქვამს ლექსში „მეომრის სიმღერა“: მეომრის, ე. ი. ვაჟკაცის გაგებით, დედამ ის იმიტომ გაზარდა, ნანას იმიტომ ეუბნებოდა, მშობლიური სიყვარულისა და მზრუნველობის კალთას იმიტომ აფარებდა, რომ მას თემისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო ვაჟკაცი უქცევა ახასიათებდეს. ვაჟკაცი მტკიცედ უნდა იცავდეს თავის მოვალეობას. ომში წასული ვაჟკაცი დედას სთხოვს, ნუ ინალვლებო, „შამიკეროდი სუდარი, შამინახოდი მზასაო“. თუ ვინიცობაა მოამბე მოუვიდეს და უთხრას:

„ვეღარ მოგივა შინაო,
სანამდის იყო ცოცხალი,
ვერაინ შეაშინაო,
სიცოცხლე ძვირად გაყიდა,
მერე კი დაიძინაო“¹.

ნუ იდარდებს, მათ ორთავემ თავისი ვალი შეასრულეს: დედამ — ქვეყნის სასარგებლო შვილი გაზარდა, ხოლო შვილმა — დედა არ შეარცხინა, ვაჟკაცურად, გმირულად დაეცა მამულის სადარაჯოზე.

ამიტომ, ასეთი განწყობილებით აღზრდილი მეომარი ბრძოლის ველიდან დედას სანუგეშოდ, გასამხნეველად შემდეგს შეუთვლის:

„სანამ ვირ, შავრა ვიქნები,
მტერ-ღუშმნის სისხლის მთხვევლი,
არაფერს შეუშინდები,
უნგან კურთხევას მოველი“².

სილამაზე და მიმზიდველობა ვაჟკაცისა, ბაჩანას გაგებით, მკლავნდება გმირის გაბედულობაში, შეუპოვრობაში, ხალისში და ამტანიანობაში მტერთან ბრძოლის დროს.

ბაჩანა, როგორც ამას ახალი დროება მოითხოვდა, მოძმეთ მოუწოდებს შენივთდნენ, მტერზე წავიდნენ რისხვითა, ქვეყნის წინაშე ვალი მოიხადონ, განსაძღვლს ნუ შეუშინდებიან:

„დაე სულ გავწყდეთ, რა ვუყვით, ცრემლებს დაპლერიან ქალები,
დაე დამიწდეს მკლავები: საფლავს არ შეძრწუნდებიან
დედასი დაკვიტირებენ, ჩვენთა წინაპართ ძვალები“³.

კაცს ჰშვენის ვაჟკაცობა, საქვეყნო-სასარგებლო საქმეში თავდადება, სიმტკიცე, გაუტეხლობა. ბაჩანა ნიჭიერად იყენებს ხალხის გენით შექმნილ ბრძნულ, სახელმძღვანელო აზრს:

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 20.

² იქვე, გვ. 20—21.

³ იქვე, გვ. 9.

„კაცი იშობვის ერთს დღესა
და ისევ ერთს დღეს კვდებაო“¹.

ამას თვითონაც მოხდენილად შემდეგნაირად განაგრძობს: „კარგი ჭაბუკი სიკვდილსა არროს არ შეუდრკებაო“ და რომ მსმენელი თუ მკითხველი გაამხნევოს, სიკვდილის სიძნელე შეუმსუბუქოს, რაღაც აღფრთოვანებული მაღლიერი გრძნობით აფასებს ამ ლექსის შემოქმედს:

„საფლავიმც აუყვავდება
ვინაც გვაუწყა (ეს) მცნებაო“².

ბაჩანას შემოქმედების მიხედვით, ვაჟკაცმა კარგად იცის თავისი ფასი და დანიშნულება. მას სისხლსა და ხორცში გამჯდარი აქვს რწმენა, რომ ყოველი ადამიანი „თავის კაცობით დარჩება“.

რა აძლევს ადამიანს ამ მაღალი პატივის — „კაცობის“ სახელის მოპოვების შესაძლებლობას? ამის პასუხს ბაჩანა ვაჟკაცს იქვე ათქმევინებს: იმიტომ, რომ ის „ყველასათვის კარგის მდომელი, ჩვენის ქვეყნისთვის პირად გაფაციცებით მდგომელია“. გმირის ეს საზომი (პირადი დაუმორჩილდეს საზოგადოებრივს) განსაზღვრავდა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას და ლიტერატურას XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან — თერგდალეულთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლიდან. იგივე ახასიათებს ძმათა რაზიკაშვილების შემოქმედებას.

ბაჩანას ნიჭიერი ჩვენებითაც —

„მაშინ კარგია ვაჟკაცი, რა დილა-ბინდზედ ჰდგებოდეს, ისხამდეს გრილსა რკინასა,	საომრად ეშალებოდეს, ცხენი კი ჰხრავდეს ლაგამსა, ჰყოოდეს, ტოტზე ჰდგებოდეს!“ ³
--	--

ვაჟკაცის გაბედულობას, შეუპოვრობას, ამტანობას აქ ბაჩანა იშვიათი ოსტატობით გვინატავს. იგი ქმნის ერთიან ცოცხალ სურათს. თითქოს მხედარსა და ცხენს ერთიმეორისა ესმოდეთ და ბრძოლის ერთნაირი უჩინო იყვნენ შეპყრობილი.

ვაჟკაცი მტერთან ბრძოლაში ავლენს თავის გმირულ თვისებებს. ბრძოლაში გამოჩნდება მისი ნამდვილი სტიქია, ბრძოლაში ის თავს გრძნობს, როგორც ჩვეულებრივ გარემოში, მეტიც, როგორც ლხინში; ბრძოლაში ის ერთგვარი შემოქმედებითი განწყობილებით აღსავსეა. მოვუსმინოთ ბაჩანას:

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 8.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 58.

„მშინც კარგია ვაჟაკი, შუბის წვერითა ჰჩხვერაედეს,
რა ბრძოლის ველზე ჰქროლადეს; გარს ომს იყოს... ბრწყინადეს
ხმლით ჰქემდეს, თოფით ესროდეს, ხმლები... თოფები ხველადეს“¹.

აროდენ გვაგონებს ბაჩანას ეს ლექსი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მარგალიტს „კ ა ი ყ მ ა ს“.

ასეთი თვისებები გმირისა ბაჩანას შეეძლო ამოეკრიფა ხალხური, ფშავ-ხევსურული მდიდარი საგმირო ეპოსიდან, აგრეთვე XIX საუკუნის გმირული ხასიათის ქართული კლასიკური ლიტერატურიდან, ეროვნულ-განმანათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტს რომ ახმაურებდა. ამასთან ბაჩანამ ვაჟაკის სახეს მშრომელთა მასების, მოქალაქის, ადამიანის დანიშნულების აზრიც ბუნებრივად შეაქსოვა.

პოეტს კარგადა აქვს შესისხლბორცებული ხალხის მიერ საუკუნოებში გამოტანილი მორალი და უკედავი შოთა რუსთველის მიერ ხელიხელსაგომანებ მარგალიტად ქცეული ბრძნული დარიგება: „სჯოის სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. ამიტომ ბაჩანას ჭაბუკი — ვაჟაკი სასტიკად ემიჯნება ბოროტს, უთავბოლობას, „რაც კაცი დაძლუპავია, რაც ქვეყანაში ქუდის მომხდელი და სახელის დამჩრდილავია“²; მან განუხრელად წმინდა გზით უნდა იაროს.

ბაჩანას მოთხოვნით, ვაჟაკმა ისეთი სახელი უნდა დატოვოს, რომ არა მარტო სიცოცხლეში აღფრთოვანებდეს, ზრდიდეს თანამომძეებს, არამედ მკედარიც კი მათში ვაჟაკობას იწვევდეს (აქაც ზედმიწევნით ეხმაურება ბაჩანას ეს შეხედულება ვაჟა-ფშაველას აზრებს, გაშლილს მის პოემებში: „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „სისხლის ძიება“, „სული ობლისა“ და სხვა). ბაჩანა ყოველ ნამდვილ ადამიანს მოუწოდებს ჭაბუკობიდანვე სანატრელი ჰქონდეს, რომ

„გამავალ, გამომავალმა
იმ ადგილს დაისვენოსა,
მოჰყვეს ქვეყნიურ ამბავსა
და შენაც გამიხსენოსა.

ჰთქვას: ესაც იყო ერთ დროსა,
კარ სახელიც ჰქონდათო;
წურც აჰ გაუჰრეს ხსენება
იქაც სულითა ჰცხონდაო“³.

ეხმაურება რა ეპოქის მძლავრ მოთხოვნილებას, ბაჩანა ნამდვილი მოქალაქისათვის დახმარებას, მისი ბედის გაზიარებას აუცილებელ და ბუნებრივ მოთხოვნილებად მიიჩნევს. კაცი ცხოვრობს მოძმეთა ცხოვრებით, მათი ინტერესით. საზოგადოებრივი დასაბამი დულაბია საერთო ცხოვრების განსამტკიცებლად. საზოგადოების გარეშე პიროვნების სიცოცხლესაც არავითარი აზრი არა აქვს. საზოგადოებრივი

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 58.

² იქვე, გვ. 10.

³ იქვე.

გრძნობა იმდენად დიდი, იმდენად მაღალი და მიზიდველია, რომ მტერსაც კი საზოგადოებრივი ინტერესისათვის თავდადებული პიროვნების წინაშე ქედს ახრევენებს.

• • •

ბაჩანას პოეზიის ერთ-ერთი წამყვანი მოტივი ეროვნული მოტივია. უხეში კოლონიალური პოლიტიკის ქვეშ მძიმედ გაბეგრული პოეტის სამშობლო და მშობელი ხალხის უფლებააყრილი მდგომარეობა ბაჩანას კოშმარით აწვებოდა, მოსვენებას არ აძლევდა, სულს უხუთავდა. შებოჭილი, შევიწროვებული ხალხის განთავისუფლება, ადამიანურ პირობებში მისი ჩაყენება სანუკვარი მისწრაფება იყო ბაჩანასათვისაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე დღიდან. მისი პირველი ლექსი „ს ი მ დ ე რ ა“, დაწერილი 1882 წელს, ეროვნული ჩაგვრით გამოწვეულ მძიმე განცდების საფუძველზეა აგებული. ჭაბუკი პოეტი ასე გამოთქვამს აუტანელ გულისტკივილს:

„ნეტა, ვერ შევესწრობა
დამარცხებას მტრისასა?
გაპლვიძებოდეს ქართველსა,

ვადას ჰფერავდეს ხმლისასა,
ნათელი გადაპდიოდეს
ლავეარდს ივერის ცისასა“¹.

ბაჩანა, აღზრდილი XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსების პოეზიაზე, შებოჭილი არსებული მძიმე პოლიტიკური და ცენზურული პირობებით, იძულებულია გარემო მდგომარეობისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატავად მიჰმართოს ალევორიას, სიმბოლოს, ქარაგმას, ნართაულს, რათა ამ გზით მაინც ფართო მკითხველს გაუზიაროს თავისი ტკივილები, სინამდვილისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება და ხელი შეუწყოს ხალხის გამოღვიძებას. ჭაბუკი პოეტი ქარაგმებით ერთ-ერთ ადრეულ ლექსში ასე გამოჰხატავს ამ თავის მტანჯველ განწყობილებას: „მოჰქროდეს ქარი, უხიოდეს მტკვარი, ჰლეავენ ზღვანი, ჰმღეროდენ მთანი, მოჰძახდენ ველნი და ტყენი ბნელნი“. და ასე აბობოქრებული სტიქია ტკბილი სიმღერით მაღლობას სწირავდეს უფალს:

„მაღლობას გძღვენთო:
„გავიმარჯვეთო! გავიმარჯვეთო!“²

ცნობილია, კოლონიალური პოლიტიკის ხანაში შევიწროვებული ქართველი ხალხი ნადგურდებოდა არა მარტო პოლიტიკურადა და ეკონომიურად, არამედ ფიზიკურადაც. ქართველი ხან იძულებით (პოლი-

¹ ბ ა ჩ ა ნ ა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 1.

² იქვე, გვ. 2.

ტიკურ ნიადაგზე) და ხანაც თავისი ნებით (ეკონომიური მდგომარეობის გამო, რადგანაც მას აქ, თავის სამშობლოში, გასაქანი არ ეძლეოდა, სამსახურს არ აძლევდნენ და ცხოვრების სხვა წყარო აღარ გააჩნდა) სამშობლოდან იხვეწებოდა.

ბაჩანას ქართველი, ნებისით თუ უნებლიეთ რომ იყო გადახვეწილი, მისი სიტყვით რომ ვსთქვათ, „გადაგანძული“, წარმოდგენილი ჰყავს ალეგორიულად ტყვის სახით, რომელსაც ენატრება თავისი „მთიანი ქვეყანა“, ენატრება რაიმე გაიგოს თავისი შევიწროებული სამშობლო-სი. ტყვე ცაში თავისუფლად მონაევარდ ფრინველთ ასე მიმართავს:

„ფრინველნო, გემუდარებით,
მარქვით რამ ჩემის მხარისო.
მითხარით: ჩემს სამშობლოში
წყარონი კიდეე ჰლიანო?

მზეი, მთვარე და ვარსკვლავნი
ცაზედ კიდეეა ჰკრთიანო?
თაჯზედაც შემოეელები,
ჩემო ქვეყანაე მთიანო!“¹.

თვით საქართველოც ბაჩანას ნაირ-ნაირი ალეგორია-სიმბოლოებითა აქვს გამოხატული. სამშობლო მას ნაგულისხმევი აქვს მუხის სახით, რომლისადმი პოეტის ტრფიალება დაუშრეტელია.

რით აიხსნება პოეტის ასეთი სიყვარული მუხისადმი? ბაჩანა დაინტერესებულ მკითხველს იქვე აძლევს პასუხს. იმიტომაჲის ასეთი მტკიცე, შეუბღალავი გრძნობით მუხისადმი განწყობილი, რომ მუხა ვაჟაკია, მტკიცეა, მოუღრეკელია. მოვეუსმინოთ თვით პოეტს, როგორ ახასიათებს ალეგორიულად მუხას:

„რაც უნდა ქარი შხუოდეს
და ელვა იკლანებოდეს;
მთა-მარი ირეგნებოდეს,
ხილხული იხოშებოდეს;
ღერწამი მიწას ეკროდეს,
წვეკელი ტყეს ინაბებოდეს;

ზარდაცმული ბწყალზედა
ღერწამი ტყის ეხში ჰმუოდეს, —
ამაჯად ელი ავდარსა,
ქარს არ უყადრებ თავსაო,
ელვა და კეჟა-ქუხილი
ვერ შეგიხრიან წარბსაო“...².

ბაჩანა ამ ლირიკულ ლექსში ზედმიწევნითი სიზუსტით გამოხატავს თავისი ეპოქის მოწინავე საზოგადოების საერთო განწყობილებას.

საფუძვლიანი იყო ცნობილი ლიტერატორის გრ. ყიფშიძის შეხედულება ბაჩანას პოეზიის შესახებ, მოცემული უფრონალ „მოამბის“ „სალიტერატურო მიმოხილვაში“. გრ. ყიფშიძე სამართლიანად წერდა: „ბაჩანამ თავისის ძლიერის ლირიკით გაგვაცნო სული და გული, დარდი და მწუხარება ფშავ-ხევსურთა, ხან საკუთრად მათი, ხან საზოგადოდ მდაბიოთა. მაგრამ ისე კი, რომ მათი გრძნობა გაატარა თავის საკუთარ

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 4—5.

² იქვე, გვ. 8.

გულში, იქ დააწმინდავა, დააბროლა, ევროპულს, საკაცობრიო გრძი
ბაზრის ბრძმედში გაატარა და ისე მოგვიძღვნა“¹.

* * *

ერთ-ერთი ასეთი დიდი ტკივილი, რომელიც ხალხის სულის
გულს აღელვებდა, სტანჯავდა, იმ ხანში იყო ეროვნული ჩაგვრა.
გორც ზევით აღვნიშნეთ, ეროვნულ საკითხზე წერა მეფის რუსეთის
სასტიკად იყო აკრძალული, ამიტომ ბაჩანა მარჯვედ იყენებდა
საუკუნის ქართულ ლიტერატურაში განმტკიცებულ პოეტურ ხერხს--
აღეგორიას. ქართველი მწერლები განსაკუთრებული შთამაგო-
ნებლობით ხატავდნენ საქართველოს წარსულიდან ერის ჩაგვრის ეპი-
ზოდებს. მაგრამ, მიუხედავად ასეთი გამანადგურებელი ჩაგვრისა.
მტერი ქართველ ხალხში მაინც ვერ ჰკლავდა ვერც ეროვნული განთა-
ვისუფლების მძლავრ სურვილს და ვერც ეროვნულ კულტურას. ერი
მაინც თავისუფლდებოდა, კვლავ აღორძინებას ეძლეოდა.

ამგვარი სურათების მოცემით მწერლობის მიზანი იყო თვალსა-
ჩინოდ, დამაჯერებლად და მკითხველის გასამხნეველად დაეხატათ არა
წარსული დრო, არამედ თანამედროვე მდგომარეობა. ამ გზით მკითხ-
ველამდე ადვილად დადიოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდე-
ებიც და განთავისუფლების ბრძოლის გზებიც. ასეა ილ. ჭავჭავაძისა,
აკ. წერეთლისა, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა შემოქმედებაში. ასევე
ბაჩანას პოეზიაშიც.

პოეტს აღშფოთებს ცხოვრების უმართებულო წყობილება,
შელშიც კაცს (ხშირად საზოგადოების უდიდეს ნაწილსაც), პოეტს
დახასიათებთვე, „სხვის ყოფნა-ცხოვრება ჩალა-ბულა ჰკონია“ და
„კაცის სივერაგესა სამზღვარი არა ჰკონია“. საზოგადოების ეს სამარ-
ცხვინო მდგომარეობა ყველაზე მეტად ეროვნულ სფეროში ვლინდებ-
და. ბაჩანას გაგებით, წყეული და კაცობრიობის მოსისხლე მტერია
„ტყუილ-უბრალოდ მდევნელი სხვადასხვა ეროვნებისა“. პოეტისა-
თვის ასეთი მდგომარეობის მოთმენა სამარცხვინოა. ის თავის მღელ-
ვარე ხმას უერთებს ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას მძლავრ ძახილს
მტკიცედ გაერთიანდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის
ფრონტზე დამპყრობთა წინააღმდეგ. თვითონ ბაჩანაც მთელი თავისი
ცხოვრების მანძილზე თავდაუზოგავად ებრძვის მეფის უსამართლო
კოლონიალურ პოლიტიკას, რომელიც ლამობდა დამორჩილებული
ერების დანაწილებას, მათი ძალების დაქსაქსვას, რათა ისინი უფრო
ადვილად გადაეგვარებინა, მათში უფრო ადვილად ჩაეკლა ეროვნული

¹ ჟურნალი „მოამბე“, 1896, № 1.

კატეგორიის უფლებების, ბედნიერი, სამართლიანი ცხოვრების დამყარების
ის ბრძოლის სურვილი და შესაძლებლობა, და, ამ გზით დამორ-
ჩივებული, გაეთქვიფა დიდმპყრობელურ ერში. ასეთი იყო პოლიტი-
კის რუსეთისა.

ეს თავის წინამორბედთა მსგავსად ვაჟკაცური გატაცებით
ს გაერთიანებულ, ძმობა-ერთობის შეგნებით განმტკიცებულ
კისუფლებულ საქართველოს. მოძმე ქართველთ ის ასე მიმარ-
თ:

„ქაიხვიანი, მთიელ-ბარელი,
ლაშქარი გაეზიაროთ:
ნუ ვუღალატებთ ერთურთსა,
დუშმანი დაეზიანოთ“¹;

ბაჩანა ვერ ურიგდება გულსაკლავ ეროვნულ ჩაგვრას. მას, ამ უსა-
მართლობის წინააღმდეგ ამბოხებულს, „ტყუილად გდებას“, ურჩევ-
ნია „ჩახშობა-ჩაღობა“, თუ ვეღარ ეღიროს განთავისუფლებულ
„სამშობლოს თვალთ ხედვასა“. ამიტომ ის დაუღალავად ჩააგონებს
მკითხველს სამშობლოს დაცვა-განთავისუფლებისათვის მოკვდეს
„ზიზღით და გულგრილად“, ეინიდან პოეტის რწმენით,

„კაცის გმირული სიკვდილი
უფალსაც ეამბო,ო,
დაეიხოცებით? — რა ეუყვათ?
ახლა სხვა გაიზრდებაო“².

ქართველის გაერთიანების იდეა ბაჩანაში იმდენად დიდია, მისთვის ეს
იმდენად არსებითია და დამატყვევებელი, რომ არამც თუ ცხადლივ,
ამამედ სიზმრადაც კი მას გაერთიანებული საქართველოს სურვილი
არა სტოვებს. მას კარგადა აქვს გაგებული, რომ ერთიანობაშია ქვეყ-
ნის ძალა — ერის წინსვლისა, მისი შემოქმედებითი ნიჭის მთელი სის-
რულით გაშლისა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოწინავე მწერლებთან
ერთად ბაჩანა მხოლოდ ქართველ ტომთა გაერთიანებაზე კი არ ოცნე-
ბობს, არამედ მთელი კავკასიის ერების ერთად შემჭიდროებაზე და
შეკავშირებაზე. ამ კავშირის ის შემდეგნაირად წარმოვიდგენს ლექსში
„ს ი ზ მ რ ა დ“: პოეტს ესიზმრება, რომ ეს მოკვდა. მისი სიკვდილის
შემდეგ უკვე გაუფლია სამ-ოთხ საუკუნეს. შემდეგ ის წამომდგარა,
„ერთგვარი შიშით შეკრულს“ არაგვის პირ-პირ ჰუნეთი შეუფლია,

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 351.

² იქვე, გვ. 112.

გზაზე მას ხალხი შემოჰყრია. პოეტის გულს ამით სიხარულის აღი-
მოსდებია. ბედნიერი ბაჩანა წამოიძახებს:

„ბნელი გააღო კარია,
ისევ მჭონიყო სამშობლო,
მისი შთა, მისი ბარია.
ვიხილე გარდაუვალი
შედგვი ისტორიისა:
სიყვარული და ერთობა,
კავშირი კავკასიისა,

და მასში ბარახტრობა
მსკოვანი ივერისა.
ვიხილე ჩვენი მამული,
მღაღარი, განათლებული,
და ბევნი მტკიცე იმისნი,
ზეცამდე ამაღლებულნი“¹.

აი აქეთვენა მიმართული ბაჩანას პოეზიის ძალა. ბედნიერი ცხოვე-
რების დეტალები თანდათანობით მიმზიდველად იშლება ბაჩანას
თვალწინ. პოეტი ხედავს, მისი ტოლნი გაცოცხლებულან და ერთად
მღერიან მშობლიურ ხმებს — „გუშას მთიურს და ბარულს“. ეს შე-
თანხმებული მშობლიური სიმღერა პოეტს ასე აქვს გამოხატული:

„ლიხს იქილენი პანგებსა
რაკველ, იმერულ, გურულსა,
არაველები არაკველს,

კახლნი კარდანახულსა,
და მეტივერსა ახლები,
ნოტებში ამოკითხულსა!“²

ბაჩანა, ასეთი სანახაობით აღტაცებული, დიდი უშუალობით წა-
მოიძახებს: „ნეტამც სიზმარი არ იყოს, გავძლე იმათთან ყოფნითა“. ეს
ნატვრა ეპოქალური ნატვრაა ხელოვნურად, იძულებით დაქსაქსულ
და ეროვნულ ნიადაგშერყეული ქართველებისათვის, ეროვნულ-განმა-
თავისუფლებელ ბრძოლის ფრონტზე გამოსულთათვის.

ბაჩანას (და მის თანამოღვაწე-თანამოკალმეთა) ეროვნული მრწამ-
სი ზღვრული სიზუსტითაა განსახიერებული მის შემოქმედებაში და,
კერძოდ, ლექსში „აღსარება არაგვისა“ (არაგვი ბაჩანასათვის,
აგრეთვე ვაჟა-ფშაველასათვის და ზოგიერთი სხვა ქართველი პოეტისა-
თვის, სიმბოლოა საქართველოსი). ბაჩანა სიამაყითა და კმაყოფილე-
ბით გვეუბნება, რომ ის იყო და ურყევად დარჩა ეროვნულ-განმათა-
ვისუფლებელ ბრძოლის პოზიციაზე, მაშინ, როდესაც მრავალი თანა-
მემამულე, ანგარებიანი ზრახვით, გადაგვარების, „თვისტომის დაწუ-
ნების“ გზას დაადგა, სამშობლოსა და ყველაფერ ქართულს ზურვი
შეაქცია. ამის გამო პოეტსა და ასეთ ქართველთა შორის „დაიდვა დი-
დი უფსკრული“. პოეტი გადაჭრით ემიჯნება ქართველი საზოგადოე-
ბის ამ ნაწილს, მთელი თავისი არსებით ჰკიცხავს. თავისი მზრით გა-
დასწყვეტს — წმინდა მოვალეობად მიიჩნიოს ზრუნვა სამშობლოზე,
მის წინწაწევანზე სწავლითა და ურთიერთსიყვარულით.

¹ ბ ა ჩ ა ნ ა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 101—102.

² იქვე, გვ. 102.

„მოვლიერ, მეგრამ სად წავალ,
ჩემის სამშობლოს იქითა.
ძივლიერ, მაგრამ ისევეც
შენთან ვიქნები ფიქრითა.

ვიქნებ: ქვერანადა,
პეტენოლეს, ცუანდეს ვინაცა
ჩემს თავზედ ჯიბრანადა,
თუ ისაც არ გემსახეროს
ჩემსავით ჯიშინადა“¹.

წავალ და შენზედ მაინცა,

პოეტი დარწმუნებულია, რომ მისი სამშობლო გაჯანსაღდება, გა-
მაგრდება, აღდგება, მაშინ ის დინჯად გადაჰხედავს წარსულს, განუ-
ლილ გზას, ყველასა და ყველაფერს დაადებს სამართლიან მსჯავრს.

ეროზელც იქნება, ნაღაწის
გაცხრილვის უამი დადგება,
და მაშინ დაეიწყებულა,
მოღვაწე მკვდრებით აღსდგება.

მაგრამ მე მაშინ, ვინ იცის,
სად სამარეში ვიწვები,
და ჩვენის თავისუფლებ-ს
მაინც დარაჯი ვიქნები“².

ბაჩანა აღზრდილია 60-იანი წლების განმანათლებლების ჰუმანურ-
პროგრესულ იდეებზე. ის მათსავით გულისხმიერებით ადევნებს.
თვალს ევროპის განათლებულ ქვეყნებს. რა თქმა უნდა, მის ყურადღე-
ბასაც განსაკუთრებით მცირე ერთა პოლიტიკური და კულტურული
მდგომარეობა იზიდავს. ბაჩანა კარგად ხედავს და რწმუნდება. მრავალ-
მხრივი განათლება ერის ცხოვრებაში რა დიდ როლს თამაშობს,
რა დიდი შემოქმედებითი იმპულსის მიმცემია წინმსვლელობის საქმეში.

ბაჩანას ქვეყნის წინააწივისათვის განათლება დიდ პროგრესულ ჯა-
ლად შიანია. ამიტომაც აღნიშნულ ლექსში იგი არაგვს (ქართველ
ხალხს), როგორც ანდერძს, უბარებს:

„ეს კია, გამოილიძე,
ნუ გძინავს, აღსდგე მკვდრებითა,
და განათლებულ მოძმეებს
ამოუღეკი გვერდითა“³.

შეიარაღებულნი ცოდნითა და ვაჟაკობით; შესძლებენ გაერთიან-
ბული ძალებით გაინთავისუფლონ თავი მტრისაგან და განამტკიცონ
ერი. ესაა ბაჩანას, როგორც პოეტისა და მოქალაქის, ძირითადი
მრწამსი.

* * *

ეროვნული გრძნობით გაისრული ბაჩანა გულმოდგინებით ჩასუ-
ჭეროდა თავის დარღვეულ, გაბეგრულ, შებორკილ ქვეყანას და მწვავე

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 121.

² იქვე, გვ. 121—122.

³ იქვე, გვ. 122.

ტკივილებს ეძლეოდა. ის რწმუნდებოდა, რომ ე. წ. ოფიციალური წამყვანი საზოგადოება, რომელიც უმთავრესად პრივილეგიური კლასის წიაღიდან იყო შევსებული, ვერ უძლებდა კოლონიალური პოლიტიკის სისასტიკეს. ამჟამად ზედავდა მისი უდიდესი ნაწილი თანდათან როგორ კნინდებოდა, როგორ ადვილად კარგავდა საზოგადოებრივ ალღოს, პასუხისმგებლობას. ეროვნული თვითშეგნების ძალას, პირადი კეთილდღეობის წვრილმანებით დაინტერესებული, ხშირად უიალქნოდ, ნაკლები წინააღმდეგობის გზით მიდიოდა, ნიადაგს ჰკარგავდა.

ბაჩანა ასეთს უიდეალო, „ობივატელურ“ ცხოვრებას ლექსში „დაბარებული“ უწოდებს „ჩვენ წახლომას“, „მუღმივ დუხჭირს“, „მუღმივ მცდარს“. ბაჩანას მღელვარე დახასიათებით, აი როგორი იყო მისი თანადროული ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება:

„ზღვა-ზღვა მივტურავთ უაზროდ,
ნიჩბების მოუსმელადა,
არც-რასა ენაღვლობთ უშტარი,
ბელი გვეყავს წინამძლოლადა.
ჯავალთ თუ დავიღუპებით,

არა ვიცითრა სწორადა.
აღარც გული გვაქვს, აღარც ჰკეა,
აღარც თავილი სადმეა,
არა გვეზნია, სმა-ჰამის
გარდა, საგანი რამეა“¹.

აქ ქართველი საზოგადოების ნიშანდობლივი დახასიათებაა; ამასთან. თუმცა მწარეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჰეშმარტი. პოეტი მწარედ ჩივის:

დარდი მაქვს ათი ათასი,
მაგრამ წამალი კი არა“².

რა ქმნის ბაჩანაში ამ „ათი ათას დარდს“? რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი მდგომარეობა, რამაც საწუთრო შექმნა „ტირილისა, სევდისა და მწუხარებისა“. ეს გარემოება, პოეტის განსჯით, შედეგია იმისა, რომ „სიკვდილ-სიცოცხლე კაცისა არ არის თავის ნებისა და ამიტომ „ქვეყნად ბედნიერება არსად ირის“. ქვეყნის თუ ცხოვრების ეს „უკუღმა ტრიალი“, როგორც იტყოდა ვაჟა-ფშაველა, აწვალებს და გზა-კვალს ურევს ბაჩანასაც.

ბაჩანას ამ სევდას ამახვილებს და ამწვავებს ისევე თავისი ქვეყნის ისტორიის გათვალისწინება: ერთის მხრივ, ქართველთა გმირული, საარაკო თავდაცვითი ბრძოლა გარეშე მტერთან, ქვეყნის გადარჩენა მომხდურთა ნგრევა-რბევისაგან, თავისუფლების შენარჩუნება, მეორეს მხრივ, საქვეყნო საქმის, ერის გაერთიანების, წინ წაწევის ძირშივე დახრგუნვა; თვით ქვეყნის შიგნით უაზრო ქიშპობის, მტრობის, გაუტანლობის არსებობა. ბაჩანა წუხს, რომ მისი მოწოდება:

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 24.

² იქვე, გვ. 54.

„ქართველნი, მთიელ-ბარელნი,
ლაშქარი გავაზიაროთ;
ნუ ვულალატებთ ერთურთსა,
ღუშმანი დავაზიანოთ“¹.

ქვეყნის მდგომარეობა სავალალო და სამარცხვინო ხდება. ამის გამო ქართველი ხალხის ხვედრი, ბაჩანას მიერ კონტრასტულ პოეტურ სახეებში დახატული, ასეთია:

„აი მთაზედა, მწვანიაწვედა, ია დავთესე, ნარი მოსულა!	წყარო წყალზედა, ბროლიანზედა, წყალს დაეწაფე — შხამი ყოფილა!“ ²
--	---

ასეთი მუხთალია, პოეტის განცდილი და დახასიათებით, „ქართლის ბედი“, მაშინ, როდესაც სხვა ხალხთა (რა თქმა უნდა, ერთობის გრძნობით შეკრულ კულტურულ ერთა) ბედი, პირიქით, კეთილად, ბედნიერად ტრიალებს. ბაჩანა ნაღვლიანად, უდავოდ ერთგვარი ბოლმით, საყვედურით ამბობს:

„სხვამ იმავ მთაზედ შხამი დათესა, შეჰხედე ბედსა: ვარდი მოსულა!	სხვა იმავ წყალზე წყალს დაეწაფა, უკვდავებისა წყარო ყოფილა!“ ³
--	--

სამშობლოს ასეთი უკუღმართი ბედი ბაჩანას მწუხარებით, გაუნღლებელი კეწონით ავსებს. მიუხედავად ამისა, პოეტმა სევდის ბაღში, როგორც თვითონ ამბობს, „ზურმუხტის კვლები“ გაავლო და მათში დანერგა „სიყვარულის ტყე“. მაგრამ პოეტი სევდიანად შენიშნავს, რომ სავალალო მდგომარეობას არც ეს შეეღის.

ბაჩანა სამშობლოს სიყვარულით აღფრთოვანებული და ამავე დროს მისი ბედით დამწუხრებული შემოგვიჩივის:

„ვეტრფი ჩემს ერს და სამშობლოს, და ან ეგ მოჰკლა წყეული ოცნებით თავზე ვეღებო. თვალი კი ვერ გამიხელავ, მტერო, წინ ამეხეჩები ნეტავი ან მე დამკარგა,	„შურისძიებამ შემეპყრო, ვარ თავგულგამორეული“ ⁴ .
---	---

გარეშე მტრისაგან ჩაგვრა ქვეყნისა და თვით ქართველთა შინაური ცხოვრების აშლილობა, უმოქმედობა გრძელდება, ბაჩანას გაგე-

¹ ბ ა ჩ ა ნ ა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 351.

² იქვე, გვ. 52.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 96.

ბით, ძლიერდება კიდევ. პოეტს ამ გარემოებამ „ცოფით აუესო სულ-გული“: მას „ბნელეთის ზღვაში დაენტქა საკაცთმოყვარო კუნძული“; მოთმინების „ბეწვი უწყდება“, უიმედობის ბჭესთან მისული გრძნობს, რომ ქვეყანა ბეწვის ხიდზეა შემდგარი, დაყოვნება უკვე საბედისწე-როა. ის, თითქოს, სასოებასაც კი ჰკარავს და მთის პირით ლექსში „მთამჰთქვა“ ასე აღიარებს თავის დაკვირვებისა და მწარე ნაფიქ-რალის. შედეგს:

„მიწყდება ბეწვი მოთმინის,
წამ-ერთი კირად მიხდება,
ყოფადი ნაადრევი ჰკობს,

ქმნადი, რაც მალე იქნება;
თუ მოკლე ხანში, თორემა,
მერე გვიანა იქნება“¹.

ამ ლექსში ბაჩანას ბრძოლის უნარი თუ ყინი, თითქოს სუსტდება, მას თითქოს უიმედობაც კი იპყრობს. ასეთი განწყობილება 900-იან წლებში, გამძვინვარებული რეაქციის ხანაში, როდესაც ხელისუფლე-ბა ყოველივე თავისუფალი აზრის დასაბამშივე დათრგუნვას ლამობ-და, საზოგადოების გარკვეული ფენისათვის რუსეთშიც და ჩვენშიც დამახასიათებელი იყო.

ვაჟა-ფშაველამ ბაჩანას არ მოუწონა ეს ლექსი. მან მისთვის დამა-ხასიათებელი ფილოსოფიური სიღინჯითა და სიღრმით ლექსში „მთამ სრულიად სხვა სთქვა“ ბაჩანას ერთგვარი ძმური საყვედურისა და გაკიცხვის ტონით ასე მიმართა: „მოთმინი, აუჩქარები, ამწონ-დამ-წონი საქმისა, კი არ გამხადო მსხვერპლად შენ შემთხვევითის წამისა?“ ამასთან ერთად ვაჟა-ფშაველა ბაჩანას უკიყინებს სულსწრაფობასა და სულმოკლეობას: „სურვილი მალეობისა მოსაწონია თავისა?!“

ვაჟა-ფშაველა ფილოსოფიური თვალით გადახედავს წუთისოფელს და ასეთს ფრთიან აფორიზმს ესვრის თავის დაეჭვებულ ძმას: „ერთი წელი და ათასი ბარდაბარია ჟამისა!“ ამიტომაც ვაჟა-ფშაველა რაღაც დაფარული შინაგანი რწმენითა და დამშვიდებული კატეგორიული ტო-ნით ეუბნება შემფოთებულ პოეტს: „მამ ჩვენი ტანჯვაც ჩავთვალთ სიბნელეთ ერთი ღამისა“. ვაჟა-ფშაველას უნდა ძმას თავისი აზრის სიმართლე განუმარტოს:

„თუ სამერმისოს კარგს ეხედავ,
დღევანდლის დღისა მწველობა
სურდოთ მაჩნია, კლექისა
იმას არა აქვს ნიშანი,

ოღონდ გვექედოს გულში ღრმად
ყველას მომავლის მიზანი,
მოკრწყოთ ნაღვაწით, ოფლითა
ჩვენი სამშობლოს მიწანი!“²

და ბოლოს თავის პასუხს ბაჩანასადმი შთამავგონებლად, უაპელაციო რწმენისა და იმედის ტონით ათაევბს:

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 97.

² ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 2, გვ. 163—164.

„აპლელებულხარ ძალიან,
თავის ძმა ველარ გიციანი!
რომ მომავალი ჩვენია,
ამას რად უნდა მისანი?“¹

სევდისა და უიმედობის მოტივი ბაჩანასათვის დროებითია. მისთვის, როგორც წინ, მომავლისკენ მაყურებელი მებრძოლი პოეტისათვის, დამახასიათებელია მაჟორული, იმედიანი განწყობილება. ბაჩანა არ ემორჩილება გონჯ მდგომარეობას, შეუპოვრად უტევს ლაჩარ-ჯაბანთ, იმედდაკარგულთ, ვინც გაიძახის, რომ „საქართველოზე ეს არის ლომი კვდებაო, ჩაუხდა ბედის ვარსკვლავი, მალე მზეც გაუქრებაო“. პოეტს სურს, გამაგრდეს „ქართლის დედა“, ყველას გამამხნეველად, იმედიანად გაჰკივის:

ბევრმა გვიქადა გლოვაცა,
ბევრმა იუბნა ესაო,
ბევრმა გვიკრიჟა კბილები,
ჩუმად ფრანგული პლესაო.

ცუდად წაუხდათ ქადილი,
ვერას გამოკრუნენ ვეფხესაო,
ლეკები წამოუზარდნენ
მტრებზე ილესენ ბწყლებსაო“².

აი ამ ახალგაზრდების, „ვეფხის ლეკვების“ იმედი აქვს ბაჩანას. მას ქვეყნის მდგომარეობა გამუდმებით აფიქრებს, ხან იმედს აძლევს, ხან ცხარე ცრემლს აღვრევიანებს. პოეტი ცდილობს, განსჭვრიტოს მომავლის ბედისწერა, გაუგებარი ბედის „დაუღეგარი ბორბალი რომ ბრუნავს და ბრუნავს“. აი ამ ფიქრთა გრეხილში მას წინ გადაეშლება ხან „ნამყო ფასდაუღებარი“, ხანაც „დაესხმის ვარსკვლავები“ (ვარსკვლავები სიმბოლოა საიმედო ქართველი ახალგაზრდობისა). პოეტს ეს „საანდერძო“ ლამაზი სანახაობა მალაღი, „ტურფა“ გრძნობით ავსებს. ის ამ თავის სასიამოვნო განცდას უზიარებს მკითხველს:

„ვღუმვარ... იმედი მოფრინავს,
ვხედავ ცის კარის ვანხმასა,
ხმა ტკბილი ხდება მაშინ კი

საშავბნელეთო საკრავსა,
და სასოებით შევეცქერი
ჩვენის მომავლის ვარსკვლავსა“³.

ცხადია, ბაჩანაში სევდა და უიმედობა არ იყო არც მუდმივი და არც წამყვანი. ბაჩანას შემოქმედებაშიც სევდის მოტივი, როგორც ეს XIX საუკუნის ბევრი მწერლის შემოქმედებაში, დროებითი და სპორადული იყო.

ბაჩანასთვის, როგორც დაეინახეთ, უფრო დამახასიათებელია ოპტიმიზმი. თერგდალეულთა მიერ ქართულ ლიტერატურაში შემოტანილი ოპტიმიზმი საკმარისი სიძლიერით გამოვლინდა მთის მწერლების და,

¹ ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 2, გვ. 164.

² ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 9.

³ იქვე, გვ. 68—69.

კერძოდ. ბაჩანას შემოქმედებაშიც. ამას, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ხელს უწყობდა მათი მოღვაწეობის ეპოქაში ხალხის საგრძნობი რევოლუციური აღმავლობა, რომლის გავლენა ბაჩანამაც ძალუმად განიცადა.

ჯერ კიდევ 1884 წელს დაწერილ ალეგორიულ ლექსში „ტყევის სიმღერა“ გადახვეწილი ტყვე (თვით ბაჩანა), თუმცა სევდამოღებულია, მაინც არ ემორჩილება კაეშანს, გაუტეხელი გულით „ფრთოსანს“ „დამწვარ დედასთან“ (სამშობლოსთან — მოძმე ხალხთან) შემდეგს დააბარებს:

„უამბეთ: „ოცხალიაო“, —
შემოიციარცვოს შავია.

დრო მოვა: ცა დაიღვებს,
ბარად წამოვა ცვარია.

დაიხოშება ღრუბლები,
აპტყდება ნიავ-ღვარია.

დალისტნის არემარესა
დანიავეებს ქარია!“¹

„დალისტნის არემარეში“ ბაჩანა, რა თქმა უნდა, გულისხმობს კოლონიალური პოლიტიკით შექმნილ მონურ მდგომარეობას.

ბაჩანა, მართალია, ხედავს, რომ ქართველი ხალხის ცხოვრება მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში უგერგილოა, მაგრამ მას მაინც ღრმად სწამს, რომ ასე არ გაგრძელდება, რომ „არ გამქრალა ბედის წერა“, რომ ქართველი ხალხის ცხოვრების ჩარხი სასურველად მოტრიალდება.

რევოლუციური აზრის გამოღვიძებასთან ერთად მშრომელთა მასები ირაზმებოდა, ბაჩანას შემოქმედებაშიც ოპტიმისტური ჰანგი უფრო მკვეთრად და გაბედულად უღერდა. ჯერ კიდევ 1896 წელს მისი ჩანგი ასე იმედიანად უღერს:

„ჩემი ქვეყანა იღვიძებს,
საქმე კეთდება დიადი —

ისპობა შური და მტრობა,

ერთობის თესლი ვარდება,
ღღეს თუ არ, ხვალე მაინცა
ვიცი, რომ ამიყვავდება“².

ბაჩანას ამგვარ ოპტიმიზმს, ექვს გარეშეა, ასაზრდოვებდა ამ ხანებში მარქსისტული წრის — „მესამე დასის“ გამოსვლა რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწეობის პროგრამით და, რა თქმა უნდა, აგრეთვე პოეტის გარდაუვალი სურვილი თავისი სამშობლოს განთავისუფლების, აღორძინებისა და წინსვლისა. პოეტი ისეა ამ მისწრაფებით გამსჭვალული, რომ მის განხორციელებას სიცოცხლეშიც რომ არ მოესწროს, დარწმუნებულია, „ნაღვაწის გაცხრილვის ყამს“, ისმკედრეთით აღსდგება „და ჩვენის თავისუფლების მაინც დარაჯად იქნება“ („აღსარება არაგვთან“).

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 5.

² იქვე, გვ. 77.

ბაჩანას ოპტიმიზმი მასების რევოლუციური ბრძოლის მოტივში გადაიზარდა. ბაჩანა გაფაციცებით აღევენებს თვალს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ის ხალხთან ერთად მწვავედ განიცდის როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ჩაგვრას, ალექსანდრე მესამის შავი რეაქციის პარპაშს, რასაც შემდეგი ალგორიებითა და სიმბოლოებით გამოხატავს: „ჭვჭვოს და ჰშხეპს, ბნელა, გარეთა ძალი არ გაიგდებაო. ქარი მოგლეჯას უპირობს, ებრძვის და ეზიდებაო, გზის იქით კლდიანი არის, ფეხი არ ეკიდებაო“ („ელეგია“). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბაჩანა, ე. ი. ეპოქის მოწინავე მებრძოლი ნაწილი, მშრომელი მასა არ უშინდება ასეთ დარს და ხალისით წინ მიიწევს, რადგანაც, პოეტის თქმით, „იქით სიცოცხლე მიმელის“:

„ბნელდება, ჯანი ეხვევა,
ტარება მიძნელდებაო,
შინიც არ ვიშლი, მივლივარ,
მოხდეს, რაც მომიხდებაო“¹.

ბრძოლის განწყობილება განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებით თანდათან ღრმავდება. პოეტი თავისი მისწრაფებით აგრეთვე ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილის მებრძოლ განწყობილებასაც ააშკარავებს.

ლექსში „ოცნება პატიმრისა“: პატიმარი წყევლის წუთისოფელს, „შავი დროს ზარს“ (რეაქციას), როდესაც „ჰლამის სვავებმა (რეაქციის შავმა ძალებმა — მ. ზ.) ხალხი დაგვკამოს, დაბნელდეს ჩენი სამშობლო მყარი“. ბაჩანას, 60-იან მწერლების პოეზიაზე აღზრდილს, ღრმად სწამს, რომ პოეტმა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ფხიზელმა გუშავმა, არ უნდა მოიშალოს „ძილის დროს ქუხილი და სიბნელის დროს ელვა“. პატიმარი (პოეტი) დარწმუნებულია, რომ ასეთს პირობებში სიჩუმე, უმოქმედობა, დანაშაულია, მისი ქნარი უნდა ახმაურდეს. პატიმარი (თვით პოეტი) ასეთი მოუთმენელი ბრძოლის განწყობილებით გრგვინავს:

„როდემდის უნდა სენაკს ვუყურო,
ვიმგლოვიარო მე ხვედრი მწარე!
რა ხანი არის ბედკრულ ტუსაღსა,
გაწირული აქვს თავისი მხარე?
როდის იქნება ჩიტი მოფრინდეს,

მითხრას: „რატომ არ გახვალ გარეო?
ქართლის შვილებმა აქა და აქა
გადავიხადეთ ომი ცხარეო.
ბევრი დაეცა ურჯულოს ხელით...
გავიმარჯვეთ კი... გაიხარეო!“²

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1936, გვ. 28.

² იქვე, გვ. 59—60.

პატიმარი (პოეტი) ოცნებობს არა მხოლოდ პირად თავისუფლებაზე. არამედ საერთო, სახალხო, ეროვნულ თავისუფლებაზე, ძალმომრეობის დათრგუნვაზე, უკეთეს მომავალზე.

პატიმარს (პოეტს), რევოლუციური ბრძოლის განწყობილებით საესეს, ასე ეხატება გამარჯვებული მომავალი:

„ბორკილ გატყდეს... კარი გაეღოს, აბჯარს გაქონდეს ელეა, კრიალი...
ზორით შეგესმას ლაშქრის ღვრიანი და წითელ დროშას ივერიისას
ჩამოდიოდეს ქართველთ მხედრობა, მეტეხზედ ძრავდეს ნელი ნიაიი!“¹

„წითელი დროშა“ ხომ გარკვეული და ცნობილი სიმბოლოა რევოლუციისა, ხოლო მეტეხზედ ატანილი „ნელი ნიაიით“ მოძრავი „ივერიის წითელი დროშა“ — სიმბოლოა რევოლუციის გამარჯვებისა და ივერიის განთავისუფლებისა.

ლექსში „გზაა ბნელი“ ბაჩანა „გაუმადლარი გულით“ გადახედავს თავის ქვეყნის წარსულს, ვაი-ვაგლახით განვლილს ისტორიულ გზას, მძიმე ტკივილებში ითვალისწინებს „უადამიანოდ“ შევიწროებულ მის თანადროულ მდგომარეობას, თითქოს გამოსავალიც კი აღარაა იმ ჩანს. პოეტი ხედავს, როგორ შესჯდომია მხრებზე მას „შავი ყორანი“ და „უყუფეს საზარელ ხმაზედა“ (იგულისხმება შავი რეაქცია). ბაჩანა კარგად და მწვავედ განიცდის, რომ ასეთს პირობებში უქმნად ყოფნა აღარ შეიძლება. ის ენერგიულად მოუწოდებს მოძმეთ „წმინდა ერთობის პირს მხარი მოაბას ყველამ“, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუბედავ მოძმეთ აფრთხილებს — „ერთია შეგვქამოს მგელმა, თუ ტურა-მელამა“. ბაჩანას მოწოდება ასეთი სიმტკიცით გაისმის:

„მაშ შავრა, ძმებო, გაიწით! მოვეყვით ყველანი წინათა, გულზე ხელების დაკრება უხდება ქალაჩუნათა.	საასპარეზო დიდი გვაქვს, წადით, გაიწით წინაო! ყოვლის შემძლებმა სურვილმა გაპლწოს ქვა და რკინაო“ ² .
---	---

მშრომელის მასების ბრძოლის გაშლასთან ერთად ბაჩანაშიც ბრძოლის მოტივი ღრმავდება, ძლიერდება, ის ნატრობს, ამბოხებელ ამირანად გადაიქცეს, რათა ქვეყნის განთავისუფლებისა და წინმსვლელობის შემხუთავი ბორკილები დაამსხვრიოს. ამირანი ხომ ქართულ ლიტერატურაში (ა.კ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, კ. მყაუშვილი, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე და სხვ.) სანუკვარი პოპულარული სახეა, როგორც სიმბოლო უსამართლობის და მთრგუნველისა, სამართლიანობისათვის, ხალხის

¹ ბ ა ჩ ა ნ ა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 59—60.

² იქვე, გვ. 70.

კეთილდღეობისათვის მებრძოლი პიროვნებისა, დაძვრობელთაგან ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი გმირისა.

ბაჩანას ნატერა ასე უღერს:

„ნეტავი ამირანი მქნა,
მთა-ბარი გამესწორაო,
ღეუები ამომეყლიტნა,

ქვეყნისთვის დამეშორაო,
ღმერთს თუნდა მერე დავები,
ზედ დაეხურა გორაო“¹.

აღმავალი ეპოქის ზეგავლენით ბაჩანას შემოქმედებაში ეროვნული სრძოლა მტკიცედაა გადაზრდილი საერთო-სახალხო ბრძოლასთან უსამართლო წყობილების მოსასპობად. სოციალური ცხოვრების მოუწყვსიერება და მისდამი უარყოფითი დამოკიდებულება, როგორც ზევეითაც აღვნიშნეთ, ბაჩანას ძვალსა და რბილში აქვს გამჭდარი. არსებული უსამართლო წყობილება, ან, როგორც იტყოდა ვაჟა-ფშაველა, — „ქვეყნის უკულმა ტრიალი“ ბაჩანასაც მოსვენებას არ აძლევს. ბაჩანასაც ბრაზი და ზიზღი ავსებს, როცა ხედავს — „ერთი ბატონობს და სხვაა იმის მონადა“. მას „სტანჯავს“, „აოცებს“, „ძლიერ საკვირველად აქვს“, როცა ის ცხოვრებაში უმსგავსს, უსამართლო, კაცის გამანადგურებელ უთანასწორობას ხედავს. ბაჩანას შესაძლებლად და აუცილებლადაც მიაჩნია კაცთა უფლებბრივი და ქონებბრივი თანასწორობა.

ბაჩანა თავის აზრს მკაფიოდ გამოსთქვამს პოემაში „ღმერთები და სულა“ სულას პირით:

„მე იქა ვხედავ თავისუფლებას,
სადაც ყველა კანონმდებელი.
თვით უფალია თავის სიტყვისა
მეფე და მონაც ამსრულებელი“².

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოს, რომ ბაჩანა ისწრაფის, განმარტოს თავისი გაგება თავისუფლებისა, კაცთა თანასწორობისა. პოეტის შეხედულებით, „სწორობა განუსამძღვრელი“, ე. ი. კაცთა შორის სრული, აბსოლუტური თანასწორობა სინამდვილეში შეუძლებელია, ამისათვის საჭიროა კაცში მეტად დიდი და მაღალი სიკეთე და მაღლი მოქმედებდეს. სულას პირით ბაჩანა თავის მსჯელობას ასე დაასკვნის:

„ასე: სწორობა განუსამძღვრელი
სინამდვილეში ზღამარი არის.
ხოლო უფლებბრივ და ქონებბრივი
შესაძლებელი და ქმნადიც არის“³.

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 79.

² იქვე, - გვ. 259.

³ იქვე, გვ. 263.

აქ ბაჩანას ხმა ნიჭიერად ეხმაურება მტანჯველი ძიებითა და ბრძოლით სავსე თავის ეპოქას. მას ადამიანთა უფლებრივი და ქონებრივი გათანასწოლება ხალხის ცხოვრების წინმსვლელობისათვის სამართლიანად მიაჩნია და თავის მღელვარე ეპოქისათვის გადაუდებელ ამოცანად სთვლის.



ასეთი ტკივილებით დაკოდლილი ბაჩანა კარგად ხედავდა, რომ არსებული ცხოვრების უსამართლობის სიმძიმე განსაკუთრებით აწვება მშრომელთა მასებს, რომელნიც შრომობენ, ჰქმნიან მატერიალურ დოვლათს, მაგრამ არა თავიანთთვის, არამედ შეძლებულთათვის.

ცნობილია, ბაჩანამ ძლიერ განიცადა ხალხოსანთა გავლენა. ხალხოსნები მისი აზრთა მფლობელნიც იყვნენ. გარდა ამისა, ბაჩანა განცდებით გლეხის ბუნების მქონეა. მან ბავშვობიდანვე მძლავრად შეისუნთქა გლეხთა ცხოვრება, მათი მდგომარეობის სიღუფტირე. ის გლეხის ჭირითა და ლხინით ცხოვრობდა. ჩვეულებრივ გლეხსავით ხნავდა, თესდა, ფარცხავდა, ბარავდა, თოხნიდა, მკიდა, თიბავდა. ამით აიხსნება, რომ ბაჩანა მშრომელს პირველ რიგში ჰხედავს გლეხში (ისიც ვაჟა-ფშაველას მსგავსად სათანადოდ ვერ განასხვავებს, თუ ვერ აფასებს ქალაქის მუშათა მოძრაობას, ვერ ითვალისწინებს მის წამყვან როლს სამართლიანი ცხოვრების გამოჭედვის საქმეში). გლეხის ძირეული ტკივილი და ბუდე ყველა მისი უკმაყოფილებისა, რაც მას აწველებს და გაჩენის დღეს აწყევლინებს — იყო მისი უმწეო მატერიალური მდგომარეობა. ასე ესმის ბაჩანასაც.

„პური არა მაქვს, პურს ვეძებ
კაცი სამოცის წლისაო!
მითომ კი ვშრომობ, თავს ვიკლავ
ათსგვარს საქმეებშია:

რა ხენა და ფარცხვა, რა თოხნვა,
რა ბარვა, თიბვა-მკაშია,
მაგრამ არ იქმნა, ვერ გავძელ
იმ ერთის ლუკმა პურითა“¹.

ბაჩანა კარგად ხედავდა, რომ ადამიანთა ცხოვრების წინმსვლელობისათვის, დაავადებული ცხოვრების გამოჯანსაღებისათვის უპირველესად უნდა გადაჭრილიყო ლუკმა პურისა და ელემენტარული მოქალაქეობრივი უფლებების მოპოვების საკითხი. ამ მარტივი საკითხების გადაჭრის როგორც აუცილებლობას, ისე სიძნელეს ბაჩანა მისთვის ჩვეულებრივი სისადავითა და დამაჯერებლობით გვიხატავს. ის მაქსიმალურ ზუსტ ფერებში ანსახიერებს სინამდვილეს, რომელშიც მშრომელი გლეხი უადამიანო ექსპლოატაციის საგნად იყო გადაქცეუ-

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 91.

ლი ყოველი მხრიდან მისეული მტრის მიერ. აი როგორ ჩივის ბაჩანას გლეხი:

„მახტას ხელმწიფე არ მაკლებს
და მებატონე ღალასა,
ღვლედი საწესოს.. და თემი
ათასგვარს ხათაბალასა.

მაქვს თუ არა მაქვს შეძლება,
უნდა ჰაპანი ვეწიო,
თეთონ დავიწვა, სხვისთვისა
კი სამსახური გავწიო“¹.

ასეთი იყო მძიმედ დაბეგრული გლეხის ცხოვრება. ასე მძიმედ აწვებოდა მას მხრებზე „სახელმწიფოცა და თემიც“.

გლეხი, დაბადებიდან სიკვდილამდე მორჩილებით ყველას მასაზრდობელი, თავის ზურგზედ მწვავედ გრძნობდა არსებული წყობილების ჯოჯოხეთურ პირობებს. მას ყველაზე მეტ უსამართლობად მიიჩნდა ის, რომ მიწაც კი, რომელსაც თავს აკლავს, სხვისია.

ბაჩანა ხალხოსან მწერლებთან და ეპოქის მოწინავე მოღვაწეებთან ერთად არსებული სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის უსამართლობას ბოღმითა და შურისძიებით აღნიშნავს:

„ზოგს ას იმდენი მიწა აქვს,
რაც ათასს ჩემფერს არაო,
ღმრთისგან სასწოროდ შექმნილი
იმას ვინ ჩააყარაო?

მთელი ქვეყანა იმასა,
მე ერთი ბოღაც არაო?
წაწყმდეს სულით და ხორცითა,
ვინც წილი დააყარაო!“²

ბაჩანა სამართლიანადაა შეშფოთებული, მიწას რომ „წილი აქვს დაყრილი“. მისი ღრმა რწმენით, მიწა საერთოა, საყოველთაოა; ვინც მიწაზე შრომობს, მასვე უნდა ჰქონდეს საკურობისამებრ მისი გამოყენების უფლებაც. მაგრამ, მწერლის შეფასებით, ცხოვრების ჩარხი „უქუღმა ტრიალებს“.

ბაჩანას გაგებით, მიუხედავად გლეხის, ხალხის ცხოვრების მძიმე პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ გლეხისათვის წერა-კითხვის ცოდნა მიუწვდომელია, მეტიც, აკრძალულია, პოეტს მაინც სასოწარკვეთილება ვერ ერევა. მის გულს სჯერა და მის გონებას სწამს, რომ ასეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა შეუძლებელია გაგრძელდეს. ამის საწინდარი ბაჩანასათვის შემდეგია: ის აკვირდება სხვა მოწინავე ქვეყნების ცხოვრებასაც, ითვალისწინებს მათ მდგომარეობას ისტორიულ პერსპექტივაში და რწმუნდება, რომ არსებულ პირობებში დარჩენა მშრომელთა მასებისა შეუძლებელია. მხნე მებრძოლი პოეტი იმედინად შთაავგონებს მკითხველს:

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 91—92.

² იქვე, გვ. 92.

„სხვათა ცხოვრება წინ გვიძეეს,
შეგ ჩენი ოფლი პტანაო.
ცხოვრება სუფთა და ტკბილი
წინ მრდის თანდათანაო“¹.

პოეტს გაუნელებელი ბოღმა ავსებს განსაკუთრებით იმის გამო, რომ ხალხი, ასეთს აუტანელ ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობაში მყოფი, ჯერ კიდევ გონს არ მოსულა. აღელვებული პოეტის სურვილია — დეე, ხალხი უარესს მდგომარეობაში ჩაეარდეს, რომ „ნდომა უკეთესისა“ არ დაეკარგოს, გაუძლიერდეს.

* * *

ბაჩანას ასეთი ამბოხებული განწყობილებით აიხსნება, რომ ის რუსეთის 1917 წლის დიდ რევოლუციას აღფრთოვანებით შეხვდა.

ბაჩანას 1919—1924 წლებში დაწერილი აქვს ვრცელი პოემა „წაწლობა“, რომელიც ნაწილობრივ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა (პოემის მთავარი გმირების — იმედასა და ჯავარას ურთიერთობით ავტორს გამოხატული აქვს. თავისი დამოკიდებულება თავის მომავალ ცოლთან).

პოემა „წაწლობა“ იმდროინდელი მთის ცხოვრების ფართო სურათს იძლევა. პოემაში მკვეთრ ფერებშია მოცემული მთის ყოფის ზოგიერთი დრომოკმული ჩვეულება, როგორც არის წაწლობა, წაწალთან შეუღლების აკრძალვა, ხატში დარისხება, წყევლა და ა. შ. ამ ჩვეულებებს ბაჩანა სთვლის ისედაც შებორკილი ხალხის ზნის დამაქნიებელ, მიუღებელ მავნე მოვლენებად. პოემაში ამ ჩამორჩენილი ტრადიციებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება იმედას (თვით ავტორის) პირით ასეა გამოთქმული:

„გააგებინეთ ყველასა,
დრო გაუვიდა თემობას.
ხატში რისხება, წყევლასა,
ხალხის მტრუკვა და ბუზღუნა
ველარ დაგაკლებსთ ვერრასა“².

პოემაში რეალურ ფერებშია მოცემული მთის მოსახლეობის გაჭირვებული მდგომარეობა.

აქვეა მთიელი გლეხის პოზიციებიდან გაშლილი მკაცრი კრიტიკა მეფის შემხუთავი რეჟიმისა. მებრძოლ პოეტს კარგად აქვს გააზრებული-

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 94.

² იქვე, გვ. 539.

ლი, რომ ხალხის ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია არსებული უსამართლო წყობილებით. ამიტომ, რომ მისი პოემის „წაწლობა“ გმირმა იმედამ მტკიცედ იწამა მასწავლებლის მიერ საიდუმლოდ ჩაძახილი მოძღვრება:

სელმწიფე დიდკაცობითა
ქვესქანელში დასანთქმელია,
ძმობა და თანასწორობა
ხატ-ღმერთად გასახდელია“¹.

აქ მკვეთრადაა ხაზგასმული ავტორის ღრმა შეგნება და რწმენა, რომ ხალხსა და მეფეს შორის არსებულ ჭიდილში აუცილებლივ ხალხმა უნდა გაიმარჯვოს. ბაჩანას გააზრებით, სანამ ეს გამარჯვება არ მოხდება, მანამდე ქვეყანაზე სიმშვიდე არ დამყარდება, მანამდე დაბეჩავებული, შევიწროებული ხალხი თავის ცხოვრებას ვერ მოაწყობს. ხალხი უნდა გამოვიდეს ისტორიის ფართო გზაზე, სინათლის შუქზე. ამისათვის კი, ბრძოლისა და წინააღმდეგობის გაწვევასთან ერთად, ხალხი უნდა განათლებას მიეტანოს, რაც შესაძლებლობას მისცემს მას თავისი ნიჭი, უნარი და ენერჯია რაციონალურად, ნაყოფიერად გამოიყენოს. პოეტის შეხედულებით, ამ მიზნისათვის საჭიროა ხალხს:

„სამეურნეო დარგები
ვასწავლოთ ახალ წესზედა,
რომ მალე გამოვლვიძოს
და მალე დადგეს ფეხზედა.

ცოტა რამ უნდა,“ ეს ხალხი
არ იყოს მიმუნდა,
მხოლოდ ვასწავლოთ და მალე
ვახდება თაიგულადა“².

პოემა „წაწლობა“ ბაჩანას შემოქმედებაში, უდავოდ, საგულისხმო ნაწარმოებია. მასში ეპოქის მოწინავე რადიკალურ-რევოლუციური განწყობილებით და საკმარისი სიმკვეთრით გადაწყვეტილია ქვეყნის გარდაქმნის მრავალი საჭირობორტო საკითხი: დრომოკმული ზნეჩვეულების, ქალის უფლებების დაცვის, აგრეთვე მიწის მშრომელთაღმი გადაცემის, ხალხთა ერთობის, თავისუფლების, თანასწორობის და სხვ.

* * *

ბაჩანას შემოქმედებას, მის პოეტურ სტილს, გარდა მდიდარი და აქტუალური საკითხების ნიჭიერი გაშლისა, ახასიათებს მხატვრული სიუხვე და ფერადოვნება.

ბაჩანა მარჯვედ იყენებს კონტრასტის ხერხს, რაც მოვლენის თუ საკითხის გაშლას მეტ სიმკვეთრესა და თვალსაჩინოებას აძლევს. ნი-

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 334.

² იქვე, გვ. 443.

მუშისათვის ავიღოთ ლექსი „ქართველი გლეხი და წარჩინებული“. აქ დიდი სისადავით (რაც აგრეთვე დამახასიათებელია ბაჩანასათვის) დაპირისპირებულია პრივილეგიური კლასის წარმომადგენლები და ყოველმხრივ შევიწროებული გლეხი.

ამ დაპირისპირების საფუძველზე წარმოჩინდება მათ შორის არსებული არამართო ეკონომიკური და უფლებრივი სხვაობა და წინააღმდეგობა, არამედ გონებრივი და ზნეობრივიც (რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი გლეხის სასარგებლოდ). მთლიანად ლექსი გაშლილია კომპოზიციურ კონტრასტზე. ნაწარმოებში უხვადაა მიმობნეული კონკრეტული კონტრასტები. აი, მაგალითად, წარჩინებული როგორი მდიდური (სინამდვილეში კი დაძაბუნებული მოყირწულებით) მიმართავს გლეხს:

„შენ თუ მიწური ქოხი გაქვს,
მე — სახლი სართულებითა,
შენ მკვარტლიანი, მე შიგნით

მორთული ხაღიჩებითა.
შენ თიხის ჭურჭელსაც ჰნატრობ,
მე კი ვერცხლისაც მომწყინდა...“¹

მაგრამ წარჩინებულს ეს არ აკმაყოფილებს. მას ისიც კი უსამართლოდ მიაჩნია, რომ სიკვდილი გაათანასწორებს. „განა შენ ტანჯვით მოკვდები და მე სიამოვნებითა?“ — უკმაყოფილოდ, ბოლმინად ეუბნება ამ ქვეყნად გალაღებული წარჩინებული და შურით აღსავსე ეკვით და წყრომით ათავებს:

„იწნებ მე სულითაც წაწყვძდე,
შენ წარსდგე იაღლებითა!“²

ამითაც მშვენიერად აშიშვლებს პოეტი წარჩინებულის დაუოკებელ ბუნებას — ყველაფერში და ყველგან უპირატესობის მაძიებელს და მომთხოვნს.

ბაჩანა გლეხსაც ასევე დიდი უშუალოდით გადააწყვეტინებს ამ დაპირისპირების პრობლემას:

„შენი რამ ყველა მე მომეც,
ჩემსას შენ დავილოცაო.
ეგ იალობაც შენ გქონდეს,
ჩემთვის სხვა რამეც ჰქმარაო!“³

კონტრასტზევეა მთლიანად აგებული პოემა „საფრთხე“. ერთის მხრივ, ილალო — თამამი, გაბედული ვაჟკაცი, რომელსაც არ აშინებს არც საფრთხე, არც ავი წინაგრძნობა. მზადაა შეეჭიდოს დაბრკო-

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 94—95.

² იქვე, გვ. 95.

³ იქვე.

ლებებს, მეორე მხრივ, კი დ ა რ ო (ცოლი-ილალოსი), რომელიც წი-
ნაგრძნობისა და მოსალოდნელი ხიფათის შიშშია. ამ ნაწარმოებში
ერთმანეთს უპარისპირდებიან აგრეთვე — ი ლ ა ლ ო — უშიშარი, შე-
უპოვარი, სიძართლისა და ადამიანთა შორის ზავისა და ერთობის მო-
სურნე და ლეკები — ავაზაკობის, დაცემის, გაქურდვისა და სხვისი
შევიწროების მსურველნი.

ასევეა კონტრასტზე აგებული პოემა „ღმერთები და სუ-
ლა“. მასში ნაჩვენებია — პაექრობა ა რ ი მ ა ნ ს ა (ბოროტის დასა-
ბამსა) და ა რ მ ა ზ ს (კეთილის დასაბამს) შორის. ამ ბრძოლას ბაჩანა
რეალური, ეპოქისა და მისი მსოფლმხედველობისათვის დამახასიათე-
ბელი გადაწყვეტილებით ამთავრებს: კეთილის დასაბამი (არმაზი)
იმარჯვებს და სიკეთის ცხოვრებაში გატარებას ანდობს კაცს (სულას),
რომელიც აღსავსეა ღრმა რწმენით, რომ კაცნი უღმერთოდაც კარგად
შესძლებენ ცხოვრების მოწყობას.

ბაჩანა აგრეთვე ხშირად მიმართავს პ ა რ ა ლ ე ლ ე ბ ს. მაგალითად,
პოემაში „წაწლობა“ — ამ ჩვეულების უარყოფითი ხასიათის ჩვენე-
ბის მიზნით პოეტი გეაძლევის პარალელურ სახეებს: ჩონქარა, სულხა-
ნა, ივანე, იმედა, რომელნიც სხვადასხვანაირად აფასებენ წაწლობას
და სხვადასხვანაირადვე სარგებლობენ მით. ზოგი ძალადობს (ჩონქა-
რა — ჯავარასადმი), ზოგი ბოროტად იყენებს მას — მისდევს პირად
სიამოვნებას, უპასუხისმგებლობას იჩენს წაწალისადმი (სულხანა-ნა-
ნებასადმი), ზოგიც მას სისასტიკითა და სიწმინდით იცავს (ივანე), ზო-
გი კი არღვევს, უარყოფს ამ ჩვეულებას, როგორც დროისთვის შეუფე-
რებელს, საზოგადოებრივად მავნე, მანკიერ ჩვეულებას (იმედა). პა-
რალელუბის ხერხი ბაჩანას, უდავოდ, საშუალებას აძლევს უფრო
მკვეთრად და დამაჯერებლად გამოაეღინოს წაწლობის უმსგავსობა,
მიუღებლობა, მავნებლობა.

* * *

ბაჩანა ბუნების შვილია, ბუნების წილში აღზრდილი, მთიელი
გლეხის ცხოვრების გარემოში. ის ვაჟა-ფშაველასავით ბუნებას განიც-
დის, როგორც ცოცხალ არსებას. ადამიანი ხომ ბაჩანასათვის ბუნების
განუყრელი ნატეხია. ამიტომ ბუნება ბაჩანას ხშირად გამოყენებულ
აქვს, როგორც ფონი, რომელზედაც ადამიანთა ცხოვრებაა გაშლილი.
ნიმუშისათვის მოვიტანთ ნაწყვეტს პოემიდან „საფრთხე“:

„მალ-მალე მომაგონდება
სახე იმ ალაგებისა,
სადაც ჰდის ქოგი ირმისა,
და ბოლიქები შვლებისა,

სადაც მრავალი ჰანდარი
შემკული ლამაზობითა,
წელთ მატიანეს მიაძობს,
გრძელ-გრძელსა ათასობითა.

ძირს ქეტება, ჰყვივის ხოხობი,
მომოქრის თამაშობითა
მეთქვევა: „ასე ვეება
ჰალა, ვინ გააშენაო?

ან გულს სატყვევინალა
ასე რამ დააშენაო?
ნეტამც დალაღულ-ტანჯული
მუდამ იქ დამასენაო!“¹

ბაჩანას პოეზიის მიხედვით, ადამიანსა და ბუნებას შორის მუდმივი მჭიდრო კავშირია — ადამიანის განწყობილება ბუნებას ზედმიწევნით ესმის, თანაუგრძნობს და ისიც ამგვარადვე იმსკვალება. მაგალითად, პოემაში „წაწლობა“ ნანება და სულხანა უკუღმართი ადათებით შევიწროებულნი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მტანჯველი დაშორების შემდეგ კვლავ მძლავრი სიყვარულის გრძნობით შეერთდებიან. „ორნივე ტურფა და კარგები, ვარდივით მშვენიერები“ და „ბედნიერები“ მიდიან სულხანას სახლში. ნანებასა და სულხანას ეს ბუნებრივი მაღალი გრძნობა მკითხველსაც რომ სათანადო სიდიადით აგრძნობინოს, ბაჩანა ბუნებას მოიშველიებს და ასე აამეტყველებს:

„მიდამოც მწყაზრად ჰშვენოდა
გემაჟი არაგვიანად,
ყვეილ-ბალახით, წყარო-ფშით
მორთულის, ფარაგვიანად,
გალმა, გამოღმა, გორ-გურის
ტყის მწვანე მარაგვიანად

და მთათა ზურმუხტოვანის
ხავერდის კარვეზიანად.
გენაცვლე, ჩვენი ქვეყანავ,
მე ჩემის ჯღამანიანად,
მსურს ვიყო სამარიდამაც
შენდამი სალაშიანად!“²

იმედა ჯავარას წაწალია. ის მისდამი ბუნებრივი, წრფელი სიყვარულითაა შეპყრობილი. იმედა, წინასწარ გაფრთხილების თანახმად, ჯავარას შეჰხვდება. ჯავარას დაულამდება და იძულებულია ღამით მზექალასთან დარჩეს. იმედა სარგებლობს ამ მდგომარეობით, ჯავარას სიყვარულს აუხსნის, არწმუნებს, რომ წაწლობის გამო შეუღლების უფლების აკრძალვა არაა მართებული, რომ წაწლობა, როგორც მაენე და შეუფერებელი უნდა გადავარდეს, ის დრომოქმული ჩვეულებაა. დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ სიყვარულის გრძნობა იმარჯვებს. მეორე დილას ორივე დამშვიდებული გრძნობით თავ-თავის სახლში გაეშურება. იმედასა და ჯავარას გრძნობის სიმართლე და ბუნებრივობა რომ მკითხველშიც გააძლიეროს, ბაჩანა კვლავ ბუნებას იშველიებს:

„დადლილ-დაქანტულს ღრუბლებსა
მთის წვერზე დაეზანკათ
და იმათ ნაწყვეტ ნისლებსა
ხეე-ხუეში მოეკალათათ.
შაეტყობოდათ იმ ღამეს
ძალიან ბეკრი ეტრინათ
და ეხლა დასვენებულებს

აღუშფოთებლად ეძინათ.
მადლიდამ ღალად დაჰქეჰრდა
ცა წმინდა სინათლიანი.
ძირს არე ტყბილად სუნთქავდა
გორ-გური მწვანილიანი
და იმათ შორის ჰქრინავდა
ხეე-ხუეი წყაროიანი“³.

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 187--188.

² იქვე, გვ. 465.

³ იქვე, გვ. 371.

ბაჩანას ბუნება თავის მრავალფეროვანი მოვლენებით განპირობებულიად აქვს წარმოდგენილი: ბუნების მოვლენები ადამიანთა თვისებით აღჭურვილია. ბუნების კანონზომიერ ცვალებადობას ბაჩანა ძალუმიად განიცდის და მას თავის შემოქმედებაში იყენებს, როგორც საფუძველს ადამიანთა ცხოვრების აუცილებელი ცვალებადობის დასახატავად, მკითხველისათვის ცხოვრების ცვალებადობის კანონზომიერების შესასაგონებლად.

ნიმუშისათვის ავიღოთ ლექსი „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი“. ხანგრძლივი, სუსხიანი ზამთრის შემდეგ დადგება გაზაფხული. ბაჩანა გაზაფხულს გვიჩატავს მისთვის დამახასიათებელი ბუნების ნიშნებით — ალეგორიების, მეტაფორების, ეპითეტების, განპიროვნებების მოხდენილი გამოყენებით:

„ილა ცაშა, იქეჟა,
ბურჯღუმ-წინწელი ჰყარაო,
მოჰყვა ქვითინს და ტირილსა
ცრემლები ჩამოდვარაო...
მიწამ საკინძი გაიხსნა...
გულ-მყერდი მოიბანაო,

მოჰყვა რთვასა და კაზმვასა
კეკლუც ქალს დაეგვანაო.
მთამ გაიღვიძა და ერთი
გმირულად გაიზმორაო.
გადიყრევიანა თოვლ-ქარხლი,
ხე-ხუეებს მიაბარაო“¹.

გაზაფხულის ამგვარ გაღვიძებას მოჰყვება ბუნების გაცოცხლება, ამოქმედება:

„ქალები ფრინულით იესება
ცხვარ-ძროხის ძუძუ რძითაო,
ტყე და მინდორი — მწვანითა
ბეჟ-ბუჟი ბალახითაო“².

ასეთია გარდაუვალი კანონი ბუნებისა, ასეთივეა ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების კანონიც.

ბაჩანა ბუნების მოვლენათა განპიროვნებას ხშირად იყენებს, როგორც ალეგორიის, სიმბოლოს საშუალებას. ბუნების და ადამიანის ცხოვრებას პოეტი მთლიანობაში განიცდის. ბუნების მოვლენები მას ეხატება ადამიანთა ცხოვრების ნიშნებით და მათ ასევე აგვიწერს. ეს ხერხიც პოეტს ეხმარება ბუნების მოვლენა თუ სურათი მკითხველს მეტო კონკრეტულობით განაცდევინოს და აათვისებინოს.

ნიმუშისათვის მივმართოთ პოემას „თაღლაურა“:

„ის იყო მთვარე ჰქრებოდა,
გორის პირს ეფარებოდა;
ჩარად გაშლილი სხივები
ქალის თმათ ეფერებოდა,

ალმატრად გამოსხლეტილი
მთის წვერებს ეფინებოდა,
თითქოს მისხლეტას ვერ ჰმომბსო,
აკვდებოდ-ეკონებოდა“³.

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 57.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 127.

მკითხველი ასეთი სურათების გაცნობით ადვილად იგებდა მწერლის მიზანს და განიცდიდა მაღალ ესთეტიკურ სიამოვნებას.

* * *

ბაჩანა, ნაცნობთა და მახლობელთა მოგონებით, ცხოვრებაში ფიცხი, სწრაფი. აქტიური ქმედების კაცია. მისთვის აუტანელია წყნარი, უხალისო მდგომარეობა. ის მუდამ მოუსვენარი (ამ სიტყვის კეთილშობილური გაგებით), დაბრკოლებებს ეძებდა, თითქოს მათ გადალახვა-დაძლევაში პოულობდა სიმშვიდეს. ის მხოლოდ მოძრაობასა და საქმიანობაში პოულობდა სულიერ კმაყოფილებას. აქტიური შემოქმედი, აქტიური განცდების მატარებელი და გამომხატველი — ასეთად გვეხატება ბაჩანა ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც.

პოეტის ასეთი განწყობილება შესატყვის პოეტურ ფორმებსა და ხერხებს ეძებდა. ის მათ ადვილადაც პოულობდა და მოხდენილადაც იყენებდა. შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე.

ბაჩანას შემოქმედების ერთ-ერთი ასეთი დამახასიათებელი ხერხია მიმართვის გამოყენება. მიმართვა, ჩვეულებრივ, შემოქმედს ეხმარება ნაწარმოებში მოცემული თემის, იდეის თუ პიროვნების აქტიური მნიშვნელობა წინ წამოსწიოს, მკითხველს ის მკაფიოდ დაანახვოს.

ნიმუშისათვის: ბაჩანა აკაკი წერეთლისადმი გამსჭვალული მოწაფური მადლიერი გრძნობითა და ღრმა პატივისცემით საიუბილეოდ უწერს ლექსს-მილოცვას და უნდა მკითხველიც ასეთივე საზოგადოებრივი გრძნობით გამსჭვალოს მისადმი. ამ მიზნის მისაღწევად ბაჩანა ნიჭიერად იყენებს სწორედ მიმართვის ხერხს:

„ძვირფასო მოსაგონებო,
მხცოვანო კლაროსანო,
გულწრფელად მოგესალმებო,
ჩვენო უკედავო მგოსანო“¹.

ბაჩანას ხანაში, რეაქციისა და კოლონიალური პოლიტიკის ხანაში, ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა ვერ გაუძლო და ადვილად წავიდა დენაციონალიზაციის გზით, ზურგი შეაქცია სამშობლოსაც, ქართულ ენასაც და კულტურასაც, შეუგნებლად გაიძახოდა „რის საქართველო, რა საქართველო“, — როგორც მწარე დაცინვითა და გულსტიკივით აღნიშნავდა აკაკი წერეთელი. ამ დროს საჭირო შეიქმნა სამშობლოს, ხალხის განთავისუფლების მიზნით ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის შექმნა, საღი პატრიოტიზმის ქადაგება და

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 113.

ბაჩანაც, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თავის ხმას უერთებს ამ ფრონტზე მოღვაწეთ და ხშირად იყენებს მკაცრი, დაუნდობელი ცენ-ზურული პირობების გამო ალგორიას:

„მუხავ, მიყვარხარ, ტიალო,
გამართობით მდგომარე,
ერთი შენ გპოვე გულისა,
ქვეყანა შემოვიარე“¹.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე ყველაზე აქტუალური საკითხი იყო ერის შემჭიდროება, რათა გაერთიანებული ფიზიკური და მორალური ძალებით უფრო მედგრად ეწარმოებინათ ბრძოლა რეაქციის და კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. ბაჩანაც მწვავედ გრძნობს ამ მდგომარეობას და ენერგიულად მოუწოდებს მკითხველს ლექსში „ვინა ჰქვეა საქართველოზე“...

„გამოდო, ქართველის შვილებო,
ერთად შეენივდეთ ძალები,
წავიდეთ მტერზედ რისხვითა:
ბევრი გვიმართებს ვალები“².

ასეთივე კატეგორიისაა და პოეტის ამავე მიზანდასახულობას ემსახურება ბაჩანას მიერ ხშირად გამოყენებული შეკითხვის და იქვე პოეტის მიერვე პასუხის მოცემის ხერხი.

ნიმუშისათვის:

„ვინა ჰქვეა საქართველოზე:
„ეგ არის ლოჲი კვდებო,
ჩაუხდა ბედის ვარსკვლავი,
მალე მზეც გაუქრებო“³.

ამგვარი შეკითხვა მკითხველს, რა თქმა უნდა, აფხიზლებდა, ამხნევებდა, განთავისუფლების იმედს უნერგავდა, ბრძოლის უნარს უძლიერებდა.

ან კიდევ: პატრიოტული გრძნობით გატაცებული ბაჩანა დიდი მოწადინებით დაჰფურგურებს მკითხველს, გამალებით აქეზებს მას და ცდილობს საშველი, სამოქმედო გზა უჩვენოს. ლექსში „სიმღერა“ პოეტი ასე კენისის:

„ნეტა, ვერ შევესწრობია
დამარცხებასა მტრისასა?“⁴

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 7.

² იქვე, გვ. 9.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ.

და ამ შეკითხვა-ნატვრას იქვე დაურთავს ახსნას, თუ რა სურვილი ამოძრავებს პოეტს:

„გაპლვიებოდეს ქართველსა,
ვადას ჰფერავდეს ხმლისასა,
ნათელი გადაპდიოდეს
ლაჟვარდს ივერის ცისასა“¹.

ამგვარი ფრჩხილის გახსნა მკითხველს მოქმედების გზასაც უჩვენებს და შთაბეჭდილებასაც უდავოდ უღრმავებს.

შეკითხვა-პასუხზეა მთლიანად აგებული ბაჩანას შესანიშნავი ლირიკული ლექსი „გული აღარ მაქვს“. ამ ლექსს ბაჩანა უძღვნის თავის „პაწაწინა ასულის იათამზის ხსოვნას“. ბაჩანა დიდი უშუალობით უხსნის მკითხველს ასულის დაკარგვის გამო მღრღნელი სევდით დაბურულ გულს:

„გული აღარ მაქვს საწყალი,
ნეტა რად დამიკარგნია?
მომძულებია თუ რაა,
ნეტა რად დამიმარხნია?“²

პოეტი არ აყოვნებს და იქვე ამ შეკითხვის გახსნას იძლევა: „განა არ ვიცი საცაა, მაგრამ ვერ მიმიხედნია“... დაუკმაყოფილებელი, მბორგავი, დამწუხრებული, გრძნობამორეული პოეტი თითქოს ჰალუცინაციაში გადადის, კვლავ შეეკითხება თავის თავს:

„მამას ეძახის ეგება?
გავიქცე?“³

მაგრამ გონება იმარჯვებს, მოჭარბებული გრძნობის ლაგამს თითქოს მოსწევს:

„...მაგრამ ვაიმე, ველარც წინ მომეგებება,
იმას აღარა ერგება. ვერც შივალ, ველარც აქა ვძლებ,
შივალ, ის ველარც რას მტყვის, ვიწვები, ცეცხლი მეღება!“⁴

პოეტურ ხერხთა ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ბაჩანას მიერ რიჟიერად გამოყენებული — თ ხ ო ვ ნ ი ს, და ვ ა ლ ე ბ ი ს, მ ო წ ო -
დ ე ბ ი ს ჩართვა.

ლექსში „ტყვის სიმღერა“ ტყვე, სამშობლოსა და თავისიანებს მოცილებული, საკანიდან ხედავს რა თავისუფლად მონავარდე ფრინველთ, გულდათუთქული სთხოვს მათ:

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 1.

² იქვე, გვ. 88.

³ იქვე, გვ. 89.

⁴ იქვე.

„ღრანველნო, გემუდარებით,
მარქვეით რამ ჩემის მხრისაო.
მითხარით: ჩემს სამშობლოში

წყარონი კიდევ ჰდინაო?
მზეი, მთვარე და ვარსკვლავნი
ცაზედ კიდევა ჰკრთიანო?“¹

მოწყურებული სამშობლოსა და თავისიანებს, გაწამებული ტყვე ფრინველთ ავალეებს:

„ნუ ამირიდებთ, ფრთოსანნო,
ტყვესთან იქონეთ ზავია,
დამწუარს დედაჩემს უთხარით —
არ ჩაიჭოლოს თავია.
უამბეთ: „ცოცხალიაო“, —
შემოიცარცვოს შავია.

ღრო მოვა: ცა დაივლებს,
ბარად წამოვა ცვარია,
დაიხომება ღრუბლები,
აბტყდება ნიაჲ-ღვარია
დალისტნის არემარესა
დაანაივებს ჰარია!“²

დალესტანში ბაჩანა, ექვს გარეშეა, მეფის რუსეთს გულისხმობს. ასეთი ხერხით ბაჩანა მკითხველს შეგნებულად რაზმავდა, არსებულ წყობილებასთან ბრძოლის სურვილს უღვივებდა.

თავის შემოქმედებაში ბაჩანა ხშირად ასევე მოხდენილად აქსოვს მოწოდებას, უფრო კი მოწოდებას ბრძოლისას, თავდადებისას საერთო საქვეყნო საქმისათვის.

ლექსში „გზა-ბნელი“ პოეტი გაფაციცებით აკვირდება გარემო ცხოვრებას. ის მწუხარებით რწმუნდება, რომ ქვეყანას, მის სამშობლოს შესავეიწროებლად, „შესაქმელად“ დაერია „ურიცხვი მხეცი, ნადირი“ (იგულისხმება როგორც შინაური, ისე გარეშე მტრები), აღარ ჩანს გასავალი ბილიკიც კი. პოეტი გრძნობს, დადგა საბედისწერო უამი. ის აკანკალებულ ხელს ხანჯლისკენ წაიღებს და ასე მოუწოდებს თანაზიართ:

„...ძმებო, გავინძრნეთ,
ნუ მივეარდნიღვართ ძილადა,
სწავლა და ცოდნა, კრაც სხვათა,
ჩვენც გვინდა თავის წილადა,
ნურც ყველაფერი წარსულის
გვანჩნა თვალის ჩინათა.

თორემ ერთია შეგვეკამოს
მგელმა, თუ ტურა-მელამა.
მწმ მაგრა, ძმებო, გაიწით!
მიყვეთ ყველანი წინათა,
გულზე ხელებსი დაკრება
უხდება ქალაჩუნათა...

ღრომდე იობის მოთმენით
იზხნევოს ჰიანჭველამა.
და წმინდა ერთობის პირსა
მხარი მოაბას ყველამა.

საასპარეზო დიდი გვაქვს,
წადით, გაიწით წინაო!
ყოვლის შემძლებმა სურვილმა
გაპლწფოს ქვა და რკინაო“...³

ეს მოწოდება ეპოქალურია. აქ ბაჩანა აჩვენებს ეპოქის ტკივილებსა და მასთან ერთად გზასაც, ამ ტკივილებისაგან განკურნების სა-

¹ ბ ა ჩ ა ნ ა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 4.

² იქვე, გვ. 5.

³ იქვე, გვ. 69—70.

შუალეგებსაც; აგრეთვე მკითხველს რწმენას უნერგავს, რომ კაცის „ყოველის შემძლები სურვილი“ დაანგრევს დახაესებულ, დამპალ წყობილებას.

* * *

ბაჩანა, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მთის შვილია. მან ღალიანი მთის ხალხური ზეპირშემოქმედება ძალუმად სწოვა და კარგადაც შეირგო. ფოლკლორი პირველი წყარო იყო მისი პოეტური ნიჭის გაღვივებისა და ამოქმედებისა. მას ზეპირშემოქმედებასთან კავშირი შემდეგშიც არასოდეს არ გაუწყვეტია. ზეპირსიტყვიერებით ბაჩანა სარგებლობს როგორც ნაწარმოებთა შინაარსის, თემის გაშლის, ასევე მოქმედ პირთა დახასიათებისას. ფართოდ იყენებს ფშაურ დიალექტს. ამაზე არ შევჩერდებით, მისი შემოქმედების ეს მხარე ვაჟა-ფშაველასებურია¹.

შევჩერდებით ბაჩანას შემოქმედების დამახასიათებელ სტილისტურ ნიშანზე: ბაჩანა ნიჭიერად სარგებლობს ხალხური ჟანრებით — სიმღერა, საგმირო პოემა, დრამატული პოემა. ხშირად ეს ხალხური ჟანრები ნიჭიერად აქვს შერწყმული ერთს მთლიან დრამატულ პოემაში („წაწლობა“, „თალლაურა“, „საფრთხე“ და სხვ.).

მაგალითად, ხალხური ლექსი თუ სიმღერა „ი ა მ თ ა ზ ე დ ა“ — ღრმად ფილოსოფიური, ცხოვრებაში წინააღმდეგობის მკაცრი არსებობის ამსახველი, ბაჩანას მიერ ნიჭიერად არის გარდაქმნილი:

ბ ა ჩ ა ნ ა :

„აი მთაზედა,
მწვანინაზედა,
ია დაეთესე,
ნარი მოსულა!
წყარო წყალზედა,
ბროლიანზედა,
წყალს დაეწაფე
შხამი ყოფილა!“²

ხ ა ლ ხ უ რ ი :

„ია მთაზედა, თოვლიანზედა,
ია დაეთესე, ვარდი მოსულა.
ია გაშლილა, ვარდი გაზრდილა,
ირმისა ჭოგიც აქ შემოსულა.
ნეტა ეძოვათ, არ გაექელათ,
სიამრ-სიძეა იქ სანადიროთ.
სიძემ ესროლა — მოკლა ირემი,
ვაჰმე სიამრმა — მოკლა სასიძო“³.

ბაჩანა ხალხურ ზეპირშემოქმედებას უახლოვდება ძირითადი იდეის გაგებით და იყენებს ძირითადად პოეტურ სახეებსაც. ამასთან დიდ დამოუკიდებლობასაც ინარჩუნებს.

შეუპოვარი, გაბედული, სამართლიან ბრძოლასა და წინააღმდეგო-

¹ იხ. მიხ. ზანდუყელი, „ვაჟა-ფშაველა“, 1953.

² ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 52.

³ მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 332.

ბათა გადალახვაში რომ პოულობდა პოეტი თავის ნამდვილ დანიშნულებასა და კმაყოფილებასა, მთის ხალხურ ზეპირშემოქმედებასთან, ვაჟკაცის, კაი-ყმის თვისებათა დანახვა-გაგებაში და ასახვაშიც ასეთივე რჩებოდა.

ნიმუშისათვის ლექსი „ჩემი სალაშქრო სიმღერები“.

ბ ა ჩ ა ნ ა

„მაშინ კარგია ვაჟკაცი,
რა დილა-ბინდზედ ჰდგებოდეს,
ისნამდეს გრილსა რკინასა,
საომრად ემზადებოდეს,
ცხენი კი ჰხრავდეს ლაგამსა
ჰკვიოდეს, ტოტზე ჰდგებოდეს!“¹

ან კიდეც:

„მაშინ კარგია ვაჟკაცი,
რა ბრძოლის ველზე ჰკროლავედეს;
ხმლით ჰკემედეს, თოფით ესროდეს,
შუბის წვერითა ჰჩხვერავედეს,
გარს ომი იყოს... ბრწყინავედეს,
ხმლები... ! თოფები ხველავედეს!“²

ხ ა ლ ხ უ რ ი

მაშინ კარგია კაი ყმა,
რა დილა-ბინდი დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა,
„ომს ექამ“ ემზადებოდეს;
ხვალი რომ ჰხრავდეს ლაგამსა,
წალმა-უჟულმა დგებოდეს,
ათოქროვედეს მხედარი,
ტყვია ტანზედა ხედებოდეს“³.

ან კიდეც:

„ვაჟკაცსა გული რკინისა, ხანჯალი
თუნდა ხისაო.
მტრებსა უწყვეტდეს სინსილას.
მოყერებს უწვედეს ლხინსაო“⁴.

აქ თვალსაჩინოდ შემდეგი იგრძნობა: ბაჩანა თუ ერთ შემთხვევაში ძალიან ახლო მიდის ხალხურ ზეპირშემოქმედებასთან, მზა სახეებს იღებს, მეორე შემთხვევაში საგრძნობლად სცილდება, საერთო განწყობილებითა და მხოლოდ ზოგიერთი პოეტური აქსესუარის გამოყენებით კმაყოფილდება.

ცნობილია, საქართველოში, ხოლო განსაკუთრებით მთაში, დღემდეც ფრიალ გავრცელებულია მცირე შეყრისას, განსაკუთრებით კი ხატობაში თუ დიდი ლხინის დროს, ფანდურზე დამღერებით გაესაუბრ-გაეპასუხებიან, თუ გაეკამათ-გაეჭიბრებიან დამსწრენი ერთმანეთს. ეს, თუ გნებავთ, თავისებური ასპარეზი იყო და ახლაც არის კაცის ნიჭისა და უნარის გამოსაჩენად. ეს კ ა ფ ი ო ბ ა ა. მას ბარში გაშიარება ეწოდებოდა. კაფიობა იმართებოდა არა მარტო ლხინში, იქნებოდა ეს სახლში თუ ხატობაში, არამედ საერთო მუშაობის — ხენისა, მკისა, ყურძნის კრეფის და სხვა დროს, სამწყემსოებში, მგზავრობაში. ესეც ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი საგულისხმო ქანრია. ეს გაბაასება თუ დიალოგი-კაფიობა ექსპრომტად იქმნებოდა. კაფიობა

¹ ბ ა ჩ ა ნ ა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 58.

² იქვე.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხეცურული, 1931, გვ. 498.

⁴ იქვე, გვ. 502.

მონაწილეთა გონებამახვილობის, უნარის გამოვლინების მაჩვენებელი და გამავეითარებელი იყო. კაფიობა ორთა შორის ჩვეულებრივ მთავრდებოდა, როდესაც ერთ-ერთი მონაწილე სიტყვას მოუჭრიდა, ე. ი. მოპასუხე სიტყვას ველარ შეუერთმავდა. კაფიობაში გამარჯვება სასახელო იყო, გამარჯვებულს ხალხი დიდ პატივს სცემდა. კაფიობა წარმოებდა ორს და მეტს პირს შორის, ზოგჯერ კაფიობა საერთო, გუნდურ ხასიათსაც იღებდა.

ბაჩანას უყვარს ამგვარი ნიმუში კაფიობისა ხალხური ზეპირშემოქმედებიდან აილოს, ან თვითონ შექმნას და მოხდენილად ჩააქსოვოს თავის შემოქმედებაში.

ნიმუში პოემიდან „წაწლობა“:

ჩონქარას მოსწონს ჭავარა, მაგრამ ის მას არ თანაუგრძნობს. ჩონქარა ველარ ერევა თავის გრძნობას, მოიტაცებს მას. მაგრამ ჭავარა მაინც უარს ეუბნება: ჩონქარამ მღვდელი მოისყიდა, ჭვარიც დაიწერა, თუმცა ჭავარას თანხმობა არ განუცხადებია. ჩონქარამ ჭავარა სხვა სოფელში, მოკეთებში წაიყვანა. გაიმართა ღრეობა. ქალი თუ კაცი ყველა შეიკრიბა. ქალები სარძლოს — ჭავარას ართობენ, უნდათ მოიგონ მისი გული, რომ ჩონქარას ცოლად დარჩეს.

მამაკაცები კი ღრეობენ და ერთურთის ლექსებით შემკობა დაიწყეს. ასე გაიშლება მათ შორის კაფიობა.

ჩონქარა (ხუტას)

რად არ რას იტყვი, ხუტაო,
შე ოჯახ დასალუპაო!
წაწლობე კვერცხად გიქცივა
მენამე ზედ დამაკრუტაო.

ბარამბოსა და იასა

მეც კარგად ამოესუტაო.
თან დილა (ხთისოს)
შენს წაწალს ჭელებ შეუკრა
და ზურგზე წამომკილაო.

ხუტა (ჩონქარას)

თუ კარგი არის, შენს წაწალს
ახლა მე ჩამახუტაო.

ხთისო (თანდილას)

აი თუ არ გეწყინება
და სიხარულით ჰზიდაო?

ყვირილა (მომღერლებს)

თქვენ სმას და ჭამას გაჰყევით...
საქმეს სიფრთხილე უნდაო.

ჩონქარა (ყვირილას)

ოღომც მე გყავდეთ ცოცხალი
სხვა ნურაფერი გინდაო;
დალივეთ, გამხიარულდით,

საქმე ფეხებზედ მკილაო.
მასპინძელ გამხიარულდა
სულ ცეცხლი მოიკიდაო.

ხთისო (ყველათ)

ჩვენ რომ აქ ვისხდეთ მანამდე
არაყ არ გაგეთავდებთ,
ყვირილამ უკვოდ არა ჰტყეა,

მართლა, არ გამოგვადგება.
დრო არის, კაცებო, ავდგეთ,
ახლა ჩვენს ავიართათ;

არაყი იქაც დაელით,
ქალიც იქ წავიყვანოთა.
ჩარგალეებისად სათქმელი

ყვირილას დავებაროთა,
და თუ საჭირო იქნება,
სოფელიც დაიხმაროთა“¹.

ასევეა კიდევ კაფიობის ერთ-ერთი სახეობა ჩაქსოვილი პოემა „წაწლობის“ მომდევნო თავში. ბეროს, მთის კაცს, „ძველმანის“ (ძველი დრომოკმული ტრადიციების) უარყოფელს ავად გაუხდა შვილი ივანე, იმედას მახლობელი მეგობარი. ივანეს დეიდაშვილი — შინში ჯავარა, იმედას რომ უყვარს, მთის ჩვეულებისამებრ „მოსაკითხით“ მივიდა ავადმყოფ ივანეს სანახავად: „ხაქაპურებით, არაყით და წყვილი ჭრელი წინდითა“. ამის გამგები იქვე გაჩნდა იმედაც — კარგი ყველ-პურით, დედლით და „პატარა ტიკით“ კახური წითელი ღვინით. მასპინძლებსაც დიდად ესიამოვნათ ასეთი სტუმრების მოსვლა. დიასახლისობა ჯავარას დაევალა. შემოუსხდნენ სუფრას, დაიწყეს მას-ლაათი, სიცილი, დროის გატარება. ამას მოჰყვა სიმღერა-კაფიობა.

კაფიობას იწყებს ივანე. ის გამაღიზიანებლად მიჰმართავს იმედას — „ნეტამც შენ შინში გყავდესო“. იმედა უმაღლ ჩამოართმევს სიტყვას — „ნეტავი, ჩემო ივანე, და ემ შენს შინშსა ჰგავდესო“. ამას მოჰყვება ბევრი თანასოფელელის დაცივნა, გაქირდება.

შემდეგ ფანდური იმედამ ბეროს გადასცა. ბერომაც მქუხარედ და შთამავანებლად დაიწყო სიმღერა ვაჟკაცობაზე. ბერო შეჩერდა. ფანდური შეილებს გადააწოდა, თვითონ ყანწი აიღო, შენდობა უთხრა ძველ-ახალ გმირებსა, თავისუფლების გულისთვის ბრძოლაში დახოცილებსა“, რაც იმედამ და ივანემ მოუწონეს. ივანე ფანდურს იმედას გადასცემს და სთხოვს ფშაურად იმღეროს. იმედაც არ დააყოვნებს, ფანდურს აიღებს და, ჯავარას ეშხით მორეული, ქარაგმებით ჯავარას შიმართ სატრფიალო ლექსებს დაამღერებს. იმედა ცდილობს ამ ლექსებს ოღნავ, აზრიანად ფრჩხილი გაუხსნას, რათა ჯავარა გარკვევით მიახვედროს თავის გულისწადილს და ასე ამთავრებს:

„შენი ჰირიმე, ცისკარო,
სულ ჩემს გულშია ჰხიხარო,
ზამთარ-ზაფხულში სულ კარგი,
სულ ტურფა, ლამაზი ხარო.
ჰირიმზე, ია-ვარდისა,

თუ წყაროს გაზრდილი ხარო?
მე შენთვის ვიწვი, შენაცა.
თუ ჩემთვის არა ჰნთიხარო,
მომე ბარი და ნიჩაფი —
სამარე ამოვთხარო“².

იმედამ ფანდური ივანეს გადასცა, სთხოვა მასაც დაემღერა. ისიც აგრძელებს იმედას მიერ დაწყებულ ქარაგმას:

„ამოეთინდი, ჯეჯილო!
ქალო, შე დასანელებო,

¹ ბ ა ჩ ა ნ ა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 319—320.

² იქვე, გვ. 355.

ძალეებს არ დამავლევინო,
მაინც არ მოგეშველები,
რომ გკამდნენ, პირში ეპირო¹.

ივანეს სიმღერამ საერთო სიცილი გამოიწვია. ყველას მოჰხვდა კაკალ გულში. ჭავარამაც კარგად გაიგო ამ სიმღერით გაბაასების აზრი. მოემზადა წასასვლელად, მოიძიზუხა: „საცაა მზე ჩავა“ და „ისა სჯობია, თუ ქალი ეხლა თავის შინ წავა“, გამოემშვიდობა იქ მყოფთ და გაეშურა სახლისაკენ.

ასე ბუნებრივად აქსოვს ბაჩანა თავის შემოქმედებაში მთიელთა ზნე-ჩვეულებებს და ხალხური ზეპირშემოქმედების ნიმუშებს. მაგალითების გამრავლება, რა თქმა უნდა, ადვილია, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულიც მკითხველს აგრძნობინებს ბაჩანას სტილის თავისებურებას და ხალხურ შემოქმედებასთან სიახლოვეს.

* * *

საჭიროდ მიგვაჩნია შეეჩერდეთ ბაჩანას შემოქმედების კიდევ ერთს დამახასიათებელ სტილისტურ ნიმუშზე. ესაა მის შემოქმედებაში დიდი სისადავით და ბუნებრიობით აფორიზმის ჩაქსოვა.

ბაჩანა, როგორც ნიჭიერი პოეტი, დაჯილდოვებული იყო მახვილი დაკვირვებისა და ნახულის, გაგონილის ძირითადი არსის ადვილი გაგება-განზოგადებისა და ასახვის უნარით. ამასთან ის კარგად, ძალიან ახლოს იცნობდა ხალხურ ზეპირშემოქმედებას, საუკუნეთა მანძილზე გამოცდილებისა და ნააზრევ-ნაფიქრალის შედეგებს, გამოთქმულს აფორიზმის სახით.

აფორიზმი ჩვეულებრივ სხარტი, განზოგადებული პოეტური ფორმითაა მოცემული. ბაჩანას პირადი გრძნობა-გონების ნაყური ხალხის ნააზრევთან შერწყმული, ხშირად თავისებურად გარდაქმნილი, მომხიბვლელადაა ჩაქსოვილი მის მხატვრულ შემოქმედებაში.

ნიმუშისათვის აღვნიშნავთ რამდენიმეს:

1. ლექსს „მუხა“, რომელშიაც ბაჩანა ამელავნებს რა მალალ პატრიოტულ გრძნობას, დიდ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას სამშობლოსადმი, რაც მისი ღრმა რწმენით, მოქალაქისაგან მოითხოვს ხასიათის სიმტკიცეს, თავდადებას, ასე ათავებს:

„კაცი იშობვის ერთ დღესა
და ისევ ერთ დღეს კვდება“².

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 356.

² იქვე, გვ. 8.

ბაჩანა იქვე ხსნის ფრჩხილს ამ ხალხური თქმისას. ამიტომაც —

„კარგი კაბუკი სიკვდილსა
აროს არ შეუდრკებაო“¹.

ასეთი თქმა, ექვს გარეშეა, მკითხველს ამხნევებს და ქვეყნისათვის თავდადებული სამსახურისაკენ მოუწოდებს.

2. ბაჩანა მოღვაწეობდა საშინელი რეაქციის პირობებში. მძიმედ შებორკილი პოეტი იტანჯებოდა. სიმათლის თქმის საშუალება არ ეძლეოდა, კაცური დუღილით აღძრულ მართალ სიტყვას გულშივე იკლავდა. თავის ჯოჯოხეთურ ტყვიის მკითხველს მხოლოდ ალევგორიის საშუალებით, ისიც თუ ცენზორის ბრკყალებს როგორმე დააღწევდა, აცნობდა. ასეთია მის მრავალ ლექსთა შორის ლექსი „ტყვე ბუღლი“, რომელშიც ირიბი გზით ბაჩანა გამოსთქვამს ადამიანის შებორკვის გამო აუტანელ ტანჯვას და დაასკვნის:

„ცოდვა კია ბუღბული,
გალიაში მღერალი,
აგრეთვე ხელშეკრული
მოღვაწე და მწერალი“².

ტყვე ბუღბულში ბაჩანა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში თავის თავს გულისხმობს და ყველას, ვინც იძულებულია სდუმდეს.

3. ბაჩანას პოეზია ძირითადადში საგმირო ხასიათისაა. ის სასოებრივი აღტაცებით უმღერის ვაჟკაცს, კაი ყმას, რომელიც ქვეყნის, საზოგადოების საკეთილდღეოდ არავითარ საფრთხეს არ უშინდება, სიცოცხლესაც ჩალასავით სწევას. მკითხველი რომ ბრძოლაში სიკვდარს შეარაგოს, ბაჩანა მას ფილოსოფიური, სიმშვიდითა და გულგრილობით შთააგონებს:

„კაცის გმირული სიკვდილი
უფალსაც ვამებაო.
დავიხიკებით? — რა ეუყვართ?
ახლა სხვა გაიზრდებაო“³.

ეს ღრმა ფილოსოფიურად განზოგადოებული შეხედულება მომბიბვლელი აფორიზმია, რომელიც მკითხველს ამხნევებს, ამშვიდებს და ბრძოლის ხასიათს უკაეებს.

4. ბაჩანა ვაჟკაცობის მგოსანია. მისი გმირები მაღალი საზოგადოებრივი გრძნობებით არიან აღჭურვილნი. პოეტი თვალსაჩინოდ,

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 8.

² იქვე, გვ. 84.

³ იქვე, გვ. 112.

დამაჯერებლად აჩვენებს მკითხველს, რომ ვაჟკაცი — გმირი უსამართლო გზაზე მრავალ მოსიარულეს ამარცხებს. და ეს იმიტომ, რომ გმირი სამართლიან საქმეს ემსახურება, რაც მას გაბედულებას, სითამამეს, გამარჯვების შინაგან რწმენას აძლევს.

ბაჩანა პოემაში „თალღაურა“ თავის მსჯავრს აფორიზმის სახით გვთავაზობს:

„ერთი კარგი ჰჯობია,
ათის ცუდისა ყოლასა“¹.

ბაჩანა ცხოვრებაში გამარჯვებისათვის ჰკუთას, ცოდნას აქცევს ყურადღებას და მკითხველსაც ამისკენ მიუთითებს.

5. ბაჩანა მძიმედაა დამწუხრებული ცხოვრების მოუწყობლობით — ერთი მდიდარია, ყველაფრის მქონეა, მაშინ როდესაც მეორე მშვიერია, შევიწროებული, გაწამებული. ეს გარემოება განუსაზღვრელად სტანჯავს პოეტს და მკითხველს შთააგონებს, რომ მათი ასეთი მდგომარეობა მორალურად არაა გამართლებული. ამას ის კვლავ აფორიზმით ეუბნება:

„როცა პირველი ჭონსა და ფუფუნებაში ჩამრძალა, — ამ დროს სიცოცხლე მეორის	ჯვარზედ, ან ძელზედ მომჩაღა. ესეც მომკვდარჲ, ისიცა... მხოლოდ სახელი დამჩაღა!“ ²
---	---

ამიტომ, პოეტის გაგებით, კაცმა ისე უნდა იცხოვროს და ისეთი საქმეები უნდა გააკეთოს, რომ სახელი მოიხვეჭოს, შთამომავლობაში კეთილი სახელი დატოვოს. ამით ბაჩანა წინ სწევს საზოგადოებრივ დასაბამს, რასაც ეპოქაც ასე დაჟინებით მოითხოვდა.

6. ბაჩანამ კარგად იცის, რომ ცხოვრება განუწყვეტელი დენაა და ამ დენაში კაცნი მიდიან და მოდიან. ცხოვრება არ დგას ერთ წერტილზე, ის წინ მიდის. მისი წამყვანი ადამიანია. ცხოვრების დიალექტიკაზე დაკვირვებამ ბაჩანა დაარწმუნა ხალხურ სიბრძნეშიც: „წინა კაცი უკანისთვის ხილიაო“. ცხოვრების მსვლელობის გაცნობამ ბაჩანა იმაშიც დაარწმუნა, რომ წინა კაცს — საზოგადოებრივი ღირებულების მქონეს, საზოგადოებაზე მზრუნველს, ცხოვრების წინწაწევის ხელისშემწყობსა და სასარგებლოს, შთამომავლობაც არ ივიწყებს, პატივისცემით იხსენიებს, რაც საუკეთესო ჯილდო უნდა იყოს მოქალაქისათვის.

ამ აზრს ბაჩანა ასე მიაწოდებს მკითხველს:

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 152.

² იქვე, გვ. 217.

„წინა კაცთ ღვაწლი შემდგომთა
სიცოცხლეს უადვილებსა,
და კაციც ამაგს კაცისას
ფასსა ჰდებს, არ იცილებსა!

დიდება მათ და ნათელი
იმათ სულ — საიქიოსა,
ვინებიც ჩვენის გულისთვის
ჰწირავდეს სააქაოსა“¹.

ეს აფორიზმი ნათქვამია ბაჩანას მიერ იმ გმირთა გასამხნეველად და სასახელოდ, ვინც მის დროს მედგრად, თავგანწირვით ებრძოდა სულისშემხუთავ მეფის რეჟიმს, კოლონიალურ პოლიტიკას, ბედნიერი ცხოვრების გზას ჰკვალავდა და ამ ბრძოლაში ბევრი მათგანი გმირულად იღუპებოდა.

7. ბაჩანა თავისი მჩქეფარე ბუნებით ეპოქის ღვიძლი შვილია. ის მახვილი გონების თვალთ იხედება თანადროულობაში, მის წარსულში, შეშფოთებული რწმუნდება ქვეყნის უსამართლო განჩინებაში. ადამიანს არ ესმის, რომ მისი სიცოცხლე მეტად ხანმოკლეა და მან კი ბევრი რამ უნდა მოასწროს. ბაჩანა არიგებს მკითხველს:

„არა ჰჯობია ერთურთსა
სიამით გავაძლებით,
სანამ წამს ვიყვენთ“ და ისაც
სიმწარით დავალუვიოთ?“²

ამით ბაჩანა მკითხველს მოუწოდებს სოლიდარობისა, სწორი, სამართლიანი ვაგებისა და პატივისცემის განმტკიცებისაკენ.

ამ შემთხვევაშიც ნიმუშთა გამრავლება საგრძნობლად შეიძლებოდა, მაგრამ მოტანილიც. ვფიქრობთ, მკითხველს აგრძნობინებს ბაჩანას შემოქმედების ძირითად ტენდენციებს.

* * *

ამრიგად, ბაჩანას პოეტური შემოქმედება თავისი შინაარსით და სტილით, პოეტური ხერხებით, როგორც წინამდებარე მიმოხილვიდანაც შეიძლება მკითხველმა თვალსაჩინოდ დაინახოს, უდავოდ, ნიჭიერად ასახავს თავის ეპოქას — როგორც ჩვენი მშრომელი მასების უმწეო ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობას, ისე მის ებრძოლულ სულს სამართლიანი ცხოვრებისათვის. მშრომელი მასების გაუტეხელ ბრძოლაში მწერალი ხედავს იმედს, რომ ხალხი გაერთიანებული ბრძოლით ძველ ქვეყანას დაანგრევს და ახალს, ბედნიერ მომავალს შექმნის. ამაშია ბაჩანას შემოქმედების დიდი საზოგადოებრივ-შემეცნებითი მნიშვნელობა.

¹ ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938, გვ. 217—218.

² იქვე, გვ. 219.

თედო პავლის ძე რაზიკაშვილი

1869—1922

თედო რაზიკაშვილების ოჯახის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრია და თავისებური ხმით აქლერებული შემოქმედი. მან თავისი მხატვრული შემოქმედებით ქართულ ლიტერატურაში შესამჩნევი კვალი დატოვა.

მისი ცხოვრების გზა ტიპიურია დაბალი ფენებიდან გამოსული მოღვაწისათვის. ბიოგრაფიულ ცნობებს თედო რაზიკაშვილი გვაცნობს თავის საგულისხმო „ავტობიოგრაფიაში“. „ჩარგალის წმინდა გიორგის ეკლესიის 1869 წლის წიგნში სწერია: „მთავარ დიაკონს პავლე რაზიკაშვილს და მის მეუღლეს ბარბარეს (გულქანს) ეყოლათ ვაჟი თედორე, დაიბადა 1-ლ ნოემბერს და მოინათლა 8-საო“, მაგრამ დღე-ღამეში იტყოდა: „იმოდენა მოგნათლეთ, რომ საწყალმა შენმა ნათლია დეკანოზმა აბბაზში ვერ დაგაყენა, ფეხები ვერ მოგაკაკვინა, რომ წყალში ჩაეყენო: მკათათვეში მეყოლე, მაგრამ მონათვლაში სხვანაირად დაუწერიხარო“¹.

თედოს დედის ნათქვამიდან ცხადი ხდება, მთავარდიაკონს პავლეს თედოს წლოვანება (შეიძლება სხვა შვილებისაც), რაღაც პრაქტიკული მოსაზრებით, არაზუსტად აღუნიშნინებია ნათლობის წიგნში. თედო უფრო ადრე (ორი წლით მაინც) უნდა იყოს დაბადებული, ვიდრე ის ნათლობის წიგნშია აღნიშნული. თედო მშობლების მეექვსე შვილი იყო.

დაწვრილშვილებულ პავლე რაზიკაშვილს, უანგარო, ღარიბთა შემბრალებელ სოფლის მღვდელს, რომელსაც ჯამაგირის გარდა, „თუ წერის ჯინჯილებს არ ჩავთვლით, სამრევლოდან სხვა შემოსავალი არც კაპეიკი ჰქონდა, ოჯახის შენახვა უჭირდა. ბუნებრივია, მას უხდებოდა ისეთი შრომა, როგორსაც ჩვეულებრივი მისი მეზობელი გლეხები აწარმოებდნენ. ის შვილებსაც ბავშვობიდანვე შრომას აჩვევდა. „სანამ

¹ თ. რაზიკაშვილი, „ავტობიოგრაფია“, ლიტ. მუზეუმი, № 12875—ხ.

მკასა და თიბევას "შევძლებდი, — წერს თედო თავის ავტობიოგრაფიაში, — საქონელში დავდიოდი, მერე კი ყველა გლეხურ საქმეს ვაკეთებდი... ისე გავიზარდე წითელი კიტაიას ახალუხი მენატრებოდა და ვერ ველირსე. ჩუსტი ხომ თავის დღეში არ გვინახია" ¹.

ქართული წერა-კითხვა თედოს მისმა ძმამ ნიკომ (ბაჩანამ) დააწყებინა. ექვსი წლისა იყო ის, როცა ჩარგლის სკოლაში დაიწყო სიარული. მისი მასწავლებელი ჩარგლის სკოლაში იყო დათიკო როსტომაშვილი, რომლის გადაყვანის შემდეგ მასწავლებლად დანიშნეს ილიკო დათუაშვილი. მაგრამ ესეც მალე გადაიყვანეს და მის მაგიერ მოვიდა ქართული ენის უცოდინარი ანისოვი. ქართულის არმცოდნე მასწავლებელს ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა, მშობლებმა შვილები სკოლაში აღარ გაგზავნეს. ამ პროტესტის წაძომწყები თედოს მამა, პავლე რაზიკაშვილი იყო: მთავრობამ ამის გამო ჩარგალში სკოლა დახურა. მთავრობის ასეთი დამოკიდებულება სოფლის სკოლისა და ხალხის განათლებისადმი ხომ ტიპიური იყო მონარქიული წყობილებისა და კოლონიალური პოლიტიკის ძალმომრეობის ხანაში!

ამის შემდეგ თედო ორი წელიწადი ვერ სწავლობდა. 1882 წელს, როდესაც მისი ძმა, ლუკა (ვაჟა-ფშაველა), გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ ტოლანთ სოფლის სკოლის მასწავლებლად დაიხიზნა, მან თედო თავისთან წაიყვანა. თედომ ლუკასთან ერთი წელიწადი დაჰყო.

ცნობილია, 1883 წლის გაზაფხულზე, მაისში, ტოლანთ სოფლის სკოლის სარევიზიოდ, მღვდელი აღნიაშვილის დაბეზლების გამო — ლუკა რაზიკაშვილი „ნიდილისტი“ და „სოციალისტიაო“, მასწავლებლის საქმიანობის გამოსარკვევად ჩავიდა სახალხო სკოლების ინსპექტორი დარსკი, რომელთანაც ლუკას დიდი უსიამოვნება მოუვიდა. დარსკის ლუკა სკოლაში არ უშვებდა, სანამ იმ ქალაქს არ მაჩვენებთ რა ბრალსაცა მდებთო. ამას მოჰყვა ლუკას განთავისუფლება მასწავლებლის თანამდებობიდან.

ეს წელი თედოსათვის მეტად ნაყოფიერი იყო. აი რას წერს იგი: „უკვე მეცამეტე წელში ვიყავი. თბილად მეცვა. კარგად ვჰამდი. საქმე არა მქონდა რა. მთელი ღამეები წიგნების კითხვას ვუნდებოდი... ჩემს ძმას გაზეთებიც მოსდიოდა და ამან ხომ სულ გადამრია: როგორც მწყურვალე ისე ვეწაფებოდი წიგნებს და გაზეთებს. არ გამიშვია მას აქეთ გადაუწერავი რაც რომ ლექსი დაბეჭდილა ან პოემა ჩვენი პოეტებისა“ ² (ავტობიოგრაფია).

ამ დროისათვის (1883 წელს) თედოს ძმა ნიკო (ბაჩანა) გორის სა-

¹ ო. რაზიკაშვილი, „ავტობიოგრაფია“, ლიტ. მუზეუმი, № 12875—ბ.

² ეს რვეულები ინახება ლიტ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

ოსტატო სემინარიაში მიიღეს სახელმწიფო ხარჯზე. პავლე მღვდელი ცოტათი განიტვირთა და თედოს სწავლაზე ზრუნვა მეტი გულმოდგინებით დაიწყო. შვილი მან გორში წაიყვანა. თედომ გორის სემინარიასთან არსებული რუსული სკოლის უკანასკნელ განყოფილებაში გამოცდები ჩააბარა. პირველ ხანებში ყმაწვილი გორში დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა, მაგრამ ის სწავლას არ ღალატობდა. ერთი წლის შემდეგ თედომ გორის საოსტატო სემინარიაში შესასვლელი გამოცდები ჩააბარა. მალე მიღებული იქნა სახელმწიფო ხარჯზე.

თედო რაზიკაშვილი სემინარიაში გულმოდგინედ და წარჩინებით სწავლობდა. ის გატაცებით კითხულობს ქართველ მწერლებს. ნიკოლოზოური მისთვის დამახასიათებელი გულისყურით ეპყრობოდა ნიკიერ მთიელ მოწაფეს. ზედმეტად არ მიმანია მოვიტანო თედოს მოგონება: „თუმცა არა ვფიქრობდი მწერლობას, მაგრამ ისე მწამდა მწერლობის ღვაწლი სამშობლოს წინაშე, რომ ოჯახის გავლენას დაემატა მეტად სიმპატიური გავლენა ჩვენი ქართული ენის მასწავლებელი ნ. ლომოურისა. ამაზე მეტი საკეთილო გავლენა არა მგონია კაცმა კაცზედ იქონიოს. ჩემი ველური ბუნება ამისმა ღვთიურმა მოქცევამ დააღბო და გააბატონსა. სურვილი სამშობლო ლიტერატურისათვის სამსახურისა ამან გამოიორკეცა. დღეს უკვე ვაუკაცი და ქალაქ-რაზერეული იმავე მოწიწებას ვგრძნობ ამ ჩემთვის წმინდა კაცის მიმართ. მოთხრობების წერა სწორედ ნ. ლომოურმა დამაწყებინა და ძალიანაც მახალისებდა და მაქებდა“ („ავტობიოგრაფია“).

თედომ საოსტატო სემინარია დაამთავრა „პირველმა, საუკეთესო მოწაფედ“ 1889 წელს. მაგრამ მასწავლებლის ადგილი მაშინვე ვერ მიიღო. ამ გარემოებას თედო ასე გვაცნობს: „ერთს წელიწადს უადგილოდ დავრჩი, რადგანაც დარსკიმ, რო ვათავებდი, მაშინვე გამომიცხადა: შენ ადგილს ვერ მოგცემთო, შენ ისეთი გვარისა ხარო“ („ავტობიოგრაფია“). მხოლოდ 1890 წელს თედო რაზიკაშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ახლად გახსნილ ხელთუბნის სკოლის¹ მასწავლებლად დანიშნა, სადაც ის 1905 წლის 11 თიბათვემდე მსახურობდა. „ამ რიცხვიდან, — წერს თედო, — მთავრობამ დაკეტა სკოლა და მეც დამითხოვეს“ („ავტობიოგრაფია“).

თედო 1890 წელს დასახლდა სოფ. ხელთუბანში². გატაცებით დაი-

¹ ხელთუბნის სკოლა გახსნილი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის სახლში.

² შეირთო ცოლად იქაური ღარიბი გლეხის, წყალობა იშხანაშვილის ქალი თინათინი. მიეცა ექვსი ქალი. თუმცა არ სიამოვნებია, მაგრამ მალე შერიგებია ბედს, გული გაუმაგრებია შოთა რუსთაველის ბრძნული გადმოძახილით: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხედაია“. „მთის მკაცრ პირობებში გამოვილილა, — წერს თამარ რაზიკაშვილი, — თედომ კარგად იცოდა, რომ მთაში ქალი მშრომელია, ოჯა-

წყობა მუშაობა. ღრმად დაინტერესდა ხალხის ცხოვრების გაჯანსაღების საქმით. ის გულმოდგინედ სწავლობს დიდა პედაგოგების შეხედულებებს. თამარ რაზიკაშვილი თავის „მოგონებაში“ წერს: თედო „ზედმიწვევით იცნობდა პესტალოცის, უშინსკის, რუსოსა და სხვათა. ყველა საგანი ემარჯვებოდა, განსაკუთრებით ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა და ენა. ის როგორც შვილებს, ისე თავის მოსწავლეებს შთაგონებდა სამშობლოს სიყვარულს და უცხო ქვეყნების პატივისცემას. ის ჩვეულებრივ ასე ესაუბრებოდა მათ: „ჩვენ ყველა ერთს ტაფაზე ვიწვით, მეფის რუსეთს ერთნაირად უნდა ჩვენი გათქვეფა, მოსპობა; ჩვენ პატარა ერებმა ერთმანეთს მხარი უნდა დაუჭიროთ, ისე გადაგვყალბავენ, მგონი ჩვენი კვალიც აღარ დარჩეს: ამიტომ ჩვენ ერთმანეთის სიყვარულის მეტი არაფერი დაგვრჩენია“¹. ასეთი განწყობილებითა და მიმართულებით ზრდიდა თედო რაზიკაშვილი როგორც თავის შვილებს, ისე თავის მოწაფეებს და მის გარშემო მყოფ ხალხს.

თედო რაზიკაშვილი ადრე დაწვრილშვილდა. დიდი ოჯახი დიდ გაძლიერებას მოითხოვდა. სოფლის მასწავლებლის ხელფასი, რასაკვირველია, მას ვერ დააკმაყოფილებდა. უნდა სხვა სახსარიც გამოენახა. გამოსავალი სოფლის მეურნეობაში ჰპოვა. აზნაურ იაშვილისაგან ერთადერთ ცხენში ჰპოვიან მიწის ნაკვეთი მიიღო. ეს ჰაობი მან დიდი შრომის შედეგად ამოაშრო, გააკეთა, ჩაყარა ხეხილის ნერგები. ამყნო საუკეთესო ჯიშის ხეხილი, გაურია ვაზიც. თედო ცდილობდა ხეხილისა და ვაზის გაუმჯობესებას. მეურნეობაში წახალისებულმა თედომ მევენახეობა-მებაღეობასთან ერთად მოინდომა მეფუტკრეობაც, რაც წარმატებით შესძლო.

თედოს ხალხოსნური იდეების ზეგავლენით მეურნეობა აინტერესებდა არა მხოლოდ შემოსავლისათვის, არამედ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთათვის მაგალითის მიცემის, მათი წახალისების მიზნითაც.

თედო რაზიკაშვილი საზოგადოებრივი და პოეტური მოღვაწეობის პარალელურად დაუღალავად, დიდი გულისყურითა და დიდი წარმატებით, კრებდა ქართული ხალხური ზეპირშემოქმედების სხვადასხვა ენარის ნიმუშებს. შეკრებილი მასალები თითქმის გამოსაცემად გამზადებული ჰქონდა. თედო რაზიკაშვილი ამ მასალას სამართლიანად

ბი მის კისერზეა, სუბუქი თუ მძიმე საქმიანობა მას ევალება. თედოც ასე ზრდიდა თავის ქალიშვილებს: „ქალები კი ხართ, მაგრამ თქვენი თავის იმედით უნდა იყოთო. ყოველთვის ხომ მე არ გეყოლებით და ქმრები კი, ვინ იცის ვინ შეგხვდებიანო. გვაჩვენა ყოველნაირ შრომას“ (თამარ რაზიკაშვილი, „მოგონება თედო რაზიკაშვილზე“, ლიტ. მუზეუმი, № 10754—ბ).

¹ იქვე, გვ. 12.

დიდად აფასებდა, როგორც ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში მიღებულ და დადუღებულ დიდ სულიერ საუნჯეს, რომელიც უტყუარი სარკეა ქართველი ხალხის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გენიისა.

თედო რაზიკაშვილი მარტო ამ მიმართულებით არ ზრუნავდა ხალხის მდგომარეობის გაჯანსაღება-გაუმჯობესებაზე. ის კარგად იცნობდა და მწვავედ განიცდიდა ხალხის დაბეჩავებულ, დაბრიყვებულ, ყოველი მხრიდან შევიწროებულ ცხოვრებას. ამიტომ გატაცებით ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თამარ რაზიკაშვილი თავის მოგონებაში ხაზგასმით აღნიშნავს: „თედო რაზიკაშვილის სკოლა და სახლი შტაბი იყო იმ რევოლუციონერ-აგიტატორებისა, რომლებიც სოფელ-სოფელ დადიოდნენ და რევოლუციონერ იდეებსა და ლიტერატურას ავრცელებდნენ“¹. თედო რაზიკაშვილი მოსახლეობაში გამუდმებით აწარმოებდა საუბრებს რევოლუციურ თემებზე, ხალხს ათვით-ცნობიერებდა, რაზმადედა ახალი, სამართლიანი ცხოვრების ბრძოლით მოსაპოვებლად.

ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ შეწუხებულ გლეხობას, თედო გაბედულად ესარჩლებოდა, პირად უსიამოვნებას არ ერიდებოდა. აი თედოსათვის რა დამახასიათებელ ეპიზოდს გადმოგვცემს თამარ რაზიკაშვილი თავის „მოგონებაში“: „ერთხელ მამასახლისმა ერთ მოწინავე გლეხს სარქისა ფაღვიშვილს, რომელმაც მამასახლისის ცხენს „დროზე“ თივა ვერ დაუყარა, გაგულისებულმა ერთი მაგარი სახრე გადაუჭირა ზურგზე. თედო იქვე ახლო იდგა. დაინახა, თვალის დახამხამებაზე მამასახლისთან გაჩნდა და ისეთი სილა გაარტყა, რომ დაარტყანა. მამასახლისი უცბად ვერ მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე. ეგონა ჩოხაში გამოწყობილი თავადიშვილი იქნებოდა და სახტად დარჩა, როცა გაიგო იქაური მასწავლებელი, „ვიდაც გადმოთრეული ფშაველი“ იყო, ბევრი ეგინებინა, მაგრამ რას დააკლებდა, თედო იქ აღარ იყო. დავიწყებით კი არც იმას და არც სხვას არ დავიწყებიათ ეს შემთხვევა“².

თედო რაზიკაშვილი მოურიდებლად ჰქირდავდა ადგილობრივ თავად-აზნაურებს, რომლებიც მუშაობას არ კადრულობდნენ და სხვის ანგარიშზე ცხოვრებას ეტანებოდნენ. თედო ყველას გასაგონად, დაუფარავედ, სახალხოდ ამბობდა: „ვინც არ შრომობს, არც სჭამსო“. ვიზე

¹ თ. რაზიკაშვილი, „მოგონება თედო რაზიკაშვილზე“, ლიტ. მუხეუმი, № 10754—ბ., გვ. 23.

² იქვე, გვ. 24.

რა ნაკლები ჯანიანი არიან, იმუშაონ, ოფლი დაღვარონ და ისე იცხოვრონ“¹.

თედოს ასეთი საქციელი აღელვებდა ადგილობრივ ბობოლა პირებს. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მისთვის ზიანი მიეყენებინათ. მიმართავდნენ ხოლმე არაკეთილსინდისიერ საშუალებებს. მაგალითად: ნამყენები ფარულად გაუჩხეს; ხელისუფლებასთან აბუზღებდნენ. არაერთხელ საჩხრეკად პოლიციელები აწვიეს და სხვა ამგვარი: „ერთხელ, — მოგვითხრობს თ. რაზიკაშვილი, — ამ „სტუმრიანობის“ დროს ჟანდარმებმა ბუხარში ნიკოლოზ II სურათი თავდაყირა დადებული ნახეს. თედო დააპატიმრეს, გორში წაიყვანეს, და როგორც დამტყიცებელი საბუთები, მისი ხელნაწერებიც თან გააყოლეს“².

ამისა და სხვა საიდუმლო დაბეზღებათა საფუძველზე თედო გაასამართლეს და, როგორც რევოლუციონერს, — დამნაშავეს, ოლონეცის გუბერნიაში ცამეტი წლით გადასახლება გადაუწყვიტეს. მაგრამ თედოს ამ შემთხვევაში ბედმა გაუღიმა. რუსეთ-იაპონიის ომის დამთავრებას მოჰყვა 1905 წლის რევოლუცია, რამაც სხვებთან ერთად თედოსაც გაუღო ციხის კარები. თედო გზიდან, ყაზანის ციხიდან უკან დააბრუნეს სამშობლოში.

ამგვარმა რეპრესიებმა თედო ვერ შეაშინა. ამის შემდეგ მან უფრო გააცხოველა რევოლუციური მუშაობა. მისი სახლი გადაიქცა რევოლუციონერთა შტაბად. წითელრაზმელები იქ იყრიდნენ თავს. იქ იკითხებოდა რევოლუციური ბროშურები, პროკლამაციები. „თედოს შტაბში, — გადმოგვცემს თამარ რაზიკაშვილი, — სწყდებოდა სად და როდის მოეწყოს მიტინგი, „ბატონიანთ“ გამოეცხადოს „ბოიკოტი“³ და სხვა.

ცნობილია, რევოლუციის მალე მძაფრი რეაქცია მოჰყვა. დაიძრა დამსჯელი რაზმები ქართლისკენაც. შეერია ხელთუბნის ახლო-მახლო სოფლებს. პირველ რიგში დაუწყეს დევნა წითელრაზმელებს — რევოლუციონერებს. თედო ფშავში გაიხიზნა, ძმებთან შეაფარა თავი. ჟანდარმერია თედოს გაფაციცებით ეძებდა. მისი „სათანადოდ“ დასჯა, როგორც დიდი მემბოხე-რევოლუციონერისა, მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა. თედო ვერ იპოვეს. გულმოსულმა რეაქციონერმა ხელისუფლებამ თედოს სახლ-კარს დაუშინა ზარბაზნები და მთლად გადაწვა.

თედოს ოჯახი მთაში გაიხიზნა. მთელი წელიწადი იქ ცხოვრობდა. ხელისუფლებამ იგი სამსახურიდან მოხსნა. რეაქცია ცოტათი რომ

¹ თ. რაზიკაშვილი, „მოგონება თედო რაზიკაშვილზე“. ლტ. მუზეუმი, № 10754-ბ., გვ. 25.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 28.

მიწყნარდა, თედო დაუბრუნდა თავის დანგრეულ-გადამწვარ კერას ხელთუბანში. მაგრამ მაინც არ ეპუებოდა, უსამართლობასთან ბრძოლის გზას არ გადაუხვია. ამიტომაც მთავრობას გამუდმებით ეჭვისა და მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა. კვლავ არაერთხელ იყო მისი ბინა ჟანდარმერიის მიერ გაჩხრეკილი. მაგრამ თედო მუდამ წინდახედულად იქცეოდა. ჟანდარმერიაც მის სახლში მთავრობის საწინააღმდეგო მასალას ვერ პოულობდა. თედო რაზიკაშვილის ასეთი განწყობილებითა და მოქმედებით აიხსნება მისი აღფრთოვანებით შეხვედრა 1917 წლის რევოლუციასთან. მან თავისი სიხარული და კმაყოფილება რევოლუციის გამარჯვებით ასე გამოხატა:

„ვინც რა სთქვას, მე კი მომავალს შეეცქერი იმედინი,
წინ მეხატება მინდორი, მორთული ყვავილიანი.
ზედ მუშა თავისუფალი, მშრომელი ბარაქიანი.
შამეჩვენება ქვეყანა, ქონებით აყვავებული,
მინდორ-ვენახი აესილი, მოსავლით ვახელებული;
ძნით სავსე კალო, მიდამო, ზედ პურიო დახევეებული.
აღარ მოსჩანდეს მშვიერი, ნაკლები, დახამებული.
მომეჩვენება ქვეყანა ქალივით შეყვარებული.
სოფელი ძმობით, ერთობით დალოცვილ დამყარებული.
ყველა ძმა, ყველა მოკეთე, თხა, მგელი დაზავებული,
არც ავაზაკი, არც ჭურდი ამაყი აზავებული“¹.

თედო რაზიკაშვილი რევოლუციის შემდეგ მეტი ხალისით განაგრძობდა მოღვაწეობას თავისა და ხალხის საკეთილდღეოდ. მის მტრებს, შავრაზმელებს თედოს მოღვაწეობა არც ახლა აძლევდა სიმშვილეს. შავრაზმელებმა თედოსადმი შურისძიების მიზნით მოისყიდეს ხალხის ნაძირალები და ავაზაკები: „ჯერ დეკემბერში, — წერს თამარ რაზიკაშვილი, — თედოს საფუტკრიდან ხუთი სკა მოპარეს. ერთი კვირის შემდეგ ბაღში დაუწვეს საქონლისათვის მომზადებული თივის ზვინი. შემდეგ გორიდან მომავალს თედოს გზაზე გადაუდგა ცნობილი შავრაზმელი ვ. ფალეიშვილი და ცხენიდან ჩამოგდება მოუწოდოდა, მაგრამ თედომ ერთი თავისებური სილა სტკიცა და სახლისაგან გამოეშურა... შემდეგ ნაძირალებმა თედო შეიმწყვდიეს და 56 ჭრილობა მიაყენეს“².

ამ ჭრილობების შედეგად თედო რაზიკაშვილი გარდაიცვალა 1922 წლის 19 იანვარს.

ასე ვერაგულად შეწყდა თედო რაზიკაშვილის ხანმოკლე და შინაარსიანი ცხოვრება.

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, „მოგონება თედო რაზიკაშვილზე“, ლიტ. მუზეუმი, № 10754-ბ.

² იქვე, გვ. 31.

უდროოდ დაღუპული პოეტის, ნოველისტის, ხალხური ზეპირშემოქმედების ნიჭიერი შემკრების — თედო რაზიკაშვილის ნეშტი საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით გადმოსვენებული იქნა თბილისში და დიდუბის პანთეონში დაკრძალული.

თედო რაზიკაშვილის შემოქმედება

I

თედო რაზიკაშვილის პოეტურმა ნიჭმა, როგორც თვითონვე წერს „ავტობიოგრაფიაში“, მშობლების ოჯახშივე მიიღო უხვი და საღი საზრდო: მშობლების ნიჭსა, უნარსა და საქმიანობაზე იგი ბუნებრივად დაემყნო და შემდეგში დიდი მიმზიდველობითა და ნაყოფიერებით გაიფურჩქნა.

მშობლების გავლენას ამ მიმართულებით თავის „ავტობიოგრაფიაში“ თედო ასე ახასიათებს: „დედაჩემი მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყო. უბრალო რამე ამბავს ისეთი ამბით, ისეთი ფერადებით შეზავებულს გადმოგვცემდა, რომ იხილვებოდა მსმენელი. ის რომ დევებზედ ან ეშმაკებზედ, მოჯალაფაებზედ დაიწყებდა ლაპარაკს, მე სადღაც მოჯადოებულ, არაარსთა სამეფოში გადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი თვით მნახველ-გამგონად მეჩვენებოდა. იცოდა აურებელი ლექსი და ზღაპარი. ცალკე კაცთა და ქალთა ცხოვრება, ლეგენდები და ამბავი ჩვენს მეფეებზედ, უფრო თამარზედ და ერეკლეზედ. წაკითხულ-გავგონილსაც თავის გემოვნებაზედ გადააკეთებდა და თავის დაბალი სასიამოვნო ხმით გვიზუზუნებდა. როცა გვიამბობდა სამწუხარო რამე ამბავს, თან ტიროდა ხოლმე. თვითონ წერა-კითხვა არ იცოდა, იყო ბუნებით პოეტი, საშინელი მშვიდობის მოყვარე და უყიდურესობამდე გულკეთილი, უხვი, მოუღალავე მშრომელი და მოყვარული... დედაჩემი არ მახსოვს, რომ ჩემს სიცოცხლეში გაგვკავებოდა ვისმე, თუმცა მამაჩემი გულფიცხი და მოჯადომი იყო“¹.

თედო მამის დიდ გავლენასაც არ ივიწყებს. გარდა იმისა, რომ მამამისი შვილებისაგან შრომას, გარჯილობას მოითხოვდა და წარმატებითაც აჩვენდა, ამასთანავე მათში საზოგადოებრივ გრძნობებსაც მტკიცედ ნერგავდა და აღვივებდა. მამის ამ გავლენას თედო ასე იგონებს: „მამაჩემი დიდი თაყვანისმცემელი იყო ჩვენი პოეტი მწერლები-სა, აღმერთებდა საქართველოს, იმისი სამსახური ყველაზე უდიდეს მოვალეობად მიაჩნდა. გვიამბობდა მთების პიროფლიანებზედ (ე. ი.

¹ თედო რაზიკაშვილი, „ავტობიოგრაფია“, ლიტ. მუზეუმი, № 10754-ბ.

მთის გმირებზე, ვაჟაკებზე — მ. ზ.), აგვიწერდა პოეტურად იმათ ღვაწლს და გვიანატრებდა სამშობლოსათვის თავდადებას. „ვეფხისტყაოსანი“, გურამიშვილის ლექსები, ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული“ ზეპირად იცოდა. ზეპირად იცოდნენ ჩვენმა ბიძა-ბიძაშვილებმაც, რომლებიც მუდამ კვირა იყრიდნენ ჩვენსას თავსა, კ-თხულობდნენ და ზოგიც ფანდურზე დამღეროდა“¹.

თედო რაზიკაშვილი მთელი სისრულით გვაცნობს მშობლებს ოჯახში განმტკიცებულ შემოქმედებით ატმოსფეროს, ამიტომ ის განაცხადებს: „ეს ფანდურის ხმა ჰხიბლავს კაცს, აჯადოვებს და ატყვევებს, აღვიძებს გრძნობათა ცეცხლს, თუ კი სულ გაპირუტყვებული არ არის კაცი. და როცა ისმენ დიდებული კაცის სიტყვებს ისეთი აღტაცებით და მოწიწებით ფანდურზე დანამღერილს, შენც წაგძღვევს ოცნება და ამ დიდებულთა სახელის განაწილებას განატრებს“².

აი ამ კეთილ გავლენათა ქვეშ და მის ნიადაგზე თედო რაზიკაშვილის მწერლობითი ნიჭი გაიზარდა, გაიშალა გორის საოსტატო სემინარიაში სწავლის დროსვე. განსაკუთრებით დედის მაღალი ადამიანური, დიდი გრძნობითა და ნიჭით გასხივოსნებული სახე თედოს მთელი ცხოვრების მანძილზე ჰხიბლავდა და, როგორც მოჯადოებულს, კეთილისაყენ მიმართავდა.

ეს მაღლიერი გრძნობა თედოს გამონატული აქვს დედისადმი მიძღვნილ ლექსში:

„შენ ხომ დაღვარე ეგ ცრემლი, სწავლაში დამეხმარება.
ვისწავლი, შენ და სამშობლოს, ორივეს ვაგებარდებათ“³.

დედა და სამშობლო თედო რაზიკაშვილის შეგნებაში გარკვებულია. დედისადმი ნაზი, შეუბღალავი და გაუბზარავი დიდი სიყვარულის ძალა დამატყვევებლად ექსოვება სამშობლოსადმი ასეთსავე დიდ გრძნობას. სინამდვილეშიც თედო რაზიკაშვილის მთელი ცხოვრება სამშობლოსადმი დაუღალავ, დაუშრობელ სურვილსა და საქმიანობაში დაიფერფლა.

თედო რაზიკაშვილი ერთგვარი თავმდაბლობით და კრძალვით წერს „ავტობიოგრაფიაში“: „მე სრულაც არა ვფიქრობდი მწერლობას. მე ვამბობდი, პოეტებად ჩემი ძმებიც კმარან, თუ კარგს რასმე შესძღვნიან სამშობლოს მეთქი... მიეყავი ხელი ხალხური ნაწარმოების შეკრებას, შეგკრიბე 3000-ზე მეტი ლექსი, 200-ზე მეტი ზღაპარი და ლეგენდა, მრავალი ცრუ მორწმუნეობანი და შელოცვანი, ანდაზები და გამოცანები“. მაგრამ ცოტა ქვემოთ იქვე ამბობს: „თუმცა არა

¹ თედო რაზიკაშვილი, „ავტობიოგრაფია“, ლიტ. მუზეუმი, № 10754-ხ.

² იქვე.

³ იქვე.

ვფიქრობდი მწერლობას, მაგრამ მწამდა მწერლობის ღვაწლი სამშობლოს წინაშე“—ო. აი სწორედ ამ რწმენამ თედოს ააღებინა კალამი ხელში და ჩააყენა ქვეყნისათვის ამოქმედებულ მოქალაქე-მწერალთა რიგებში.

თედო რაზიკაშვილს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა მეტად მძიმე პირობებში მოუხდა. ეს იყო ალექსანდრე III შავბნელი ხანა, როდესაც მეტად უხეშად იქელებოდა კაცი და მისი თავისუფლებისადმი მისწრაფების ყოველი გამოვლინება.

ამ შავბნელი რეაქციის გაბოროტებული სუსხი განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში იგრძნობოდა, კერძოდ საქართველოში, სადაც რეაქცია დაუნდობელ ბრძოლას აწამოშობდა როგორც პროგრესულ-რევოლუციურ იდეებთან, ისე ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტთან. რეაქცია აქ მთელი სისასტიკითა და უხეშობით განაგრძობდა პოლიტიკას — „დაანაწილე და იბატონე“, რაც არღვევდა ეროვნულ მთლიანობას და ერსაც გადაგვარების გზაზე აყენებდა.

ამიტომ ქართველმა მოწინავე მწერლებმა 60-იანი წლებიდან საგრძნობი გაბედულებით გაშალეს ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ. უპირველესად ისინი შეეცადნენ მოწინავე საზოგადოების მებრძოლი პროგრესული აზრის გაერთიანება-განმტკიცებას. ამ მიმართულებას 60—80 წლებში წარმატებით აწვითარებდნენ ქართველი 60-ნელები ე. წ. თერგდალეულნი და ხალხოსნები. მათი მოღვაწეობის საბუდარში გამოიშუშნენ და დაიწყეს ლიტერატურული მოღვაწეობა ძმებმა რაზიკაშვილებმა: ვაჟა-ფშაველამ, ბაჩანამ და თედომ.

ბუნებრივია, რომ ჯერ კიდევ ყრმა თედო რაზიკაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას დაუოკებელი ახალგაზრდული ენერგიით ეძებს ქვეყნისათვის სასარგებლო ამოქმედების ასპარეზს. პოეტი, ხედავს რა საზოგადოებაში დაჩივებულ ადამიანთა დიდ რიცხვს, მტკივნეულად განიცდის თავის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასა და ამასთანავე შიშს — შესძლებს კი ამ ასპარეზზე ღირსეულ მუშაკობას, რომლისათვისაც ასეთი სასოებით ემზადებოდა, თუ ვერა.

ამ განწყობილებას თედო რაზიკაშვილი ერთ-ერთ თავის ლექსში ასე გამოთქვამს:

„ვთუ ისე სოდელმა
მეწის ლოგინი დამიგოს,
რომ ჩემი მოსვლა, ან წასვლა

ერთმაც ვერაჯერ გაიგოს;
არც დამიტროს გამულმა,
არც წმინდა ძეგლი ამიგოს!“¹

ქაბუჯი პოეტი, აღზრდილი 60-იანელი მწერლების, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის დიდი ზეგავლენით, ამ უკანასკნელსავით თავის,

¹ თ. რაზიკაშვილი, * * *, „ქვალი“, 183, № 33.

როგორც კაცის, მოქალაქის, დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ ქვეყანას რაიმე სარგებლობა მოუტანოს, გააძლიეროს, წინ წასწიოს საზოგადოების ცხოვრება. აი როგორი გულის სიღრმემდე ჩამწვდომი სიტყვებით გამოჰხატავს ის თავის წმინდა მოვალეობას იმავე ლექსში:

„თუ ვერაფერი საუნჯე
დავაგდე ქვეყნის საღაროს,
და ისე უმადურადა

გამოვეთხოვე სამყაროს,
სამშობლოსა ვსთხოვ, ნუ დამწყველს,
ეს უბედობაც მაკმაროს“¹.

ასეთია მტანჯველი შიში, კრძალვა ყრმა პოეტისა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ გარკვეული და გადაწყვეტილი მისწრაფებითაა სავსე — თავდაუზოგველად ემსახუროს ქვეყანას. მგოსნის ღრმა რწმენით, უამისოდ ვაჟკაცი „მიწის ტყვედაა გახსნარი, საბრალოა“; მისი სიჭაბუკის ყვაილი უდროოდ, უშინაარსოდაა დამკენარი და ცხოვრებაც „ნახევარ გზაზეა შემდგარი“. ამიტომ თედო რაზიკაშვილი ცდილობს გატაცებით იმუშაოს, იღვაწოს, ნამდვილი მოქალაქე-მამულიშვილის სახელი მოიხევეკოს. ამ განწყობილებასაც პოეტი იმავე ლექსში მკაფიოდ გამოჰხატავს:

„სანამ დავტოვებ სამზოვს,
ვეცდები წმინდა სახელი
იმ ბნელს უმზეო მხარესა

აენათო როგორც სანთელი;
თან ვაეყოლო სხვებიცა,
ჩემგნით გზა ჰქონდეთ ნათელი!“².

მამულიშვილურ-საზოგადოებრივი გრძნობით ანთებული თედო სხვებსაც ურჩევს სწორ გზას ნუ ასცდებიან, მედგრად ემსახურონ მამულს, ვინაიდან ასეთი მუშაობის გარეშე კაცის ცხოვრება უაზროა, უბედურებაა. ამ აზრსაც პოეტი თავის მკითხველთ საქმარისი სიმკვეთრით შთააგონებს.

„თქვენც ნორჩნო, ვინაც ვეყენის სახლს
ჭიქრობთ შეუღვით ბოძები,
მაგრა იარეთ, მამულსა

ნოკი, ცით მონაბოძები,
არ დაუკარგოთ და გახდეთ
საწყველი, შესაცოდები!“³.

თედო რაზიკაშვილს ცხადლივ თუ სიზმრად თავისი ქვეყნის სავალალო მდგომარეობა აკენესებს. „დარღვეულ კედლად, ნანგრევებად“ ეხატება მცხეთა (ეს საქართველოს სიმბოლო), რომელსაც დიდი ხანია „მტრულად დაჰლმუის ქარი მქუხარე“. პოეტის მწუხარებას აორკეცებს ის გარემოება, რომ მისი ქვეყნის დამრღვევი ძალა — „სპასთა სამეფო“, ძლიერდება, „ვითა ბალახი ჰყვავის, იზრდება“. პოეტს, უკეთესი მდგომარეობისათვის რომ იღვწის, სამშობლოს ეს მდგომარეობა გულს უკლავს; მაგრამ უკეთესი მომავლის იმედს მაინც არ უკარგავს,

¹ თ. რაზიკაშვილი, *4, „ქალი“. 1893, № 32.

² იქვე.

³ იქვე.

არ გამჭრალა მისი ქვეყნის ბედისწერა. სამშობლოს, შავის ბედის მოწყვეს, ასე მხნედ მიმართავს:

„იღვლე, მტკვარო, დაუსრულებლად,
ქართულთ მიწაზე ნუ მოჰშილი გზასა,
ჩემი არაგვაც შენს ჩემს ღუღუნსა
მუდამ ქუხილით მოაწუნდნს ხმასა.

მე მოკვდე, ოღონდ თქვენ წმინდა
წყალთა
ალარ შეერთოს ქართველთა ცრემლი,
მაშინ მოსძახეთ ჩემს ობოლთ ძვალთა:
„აწ განისვენეთ, გავზარდეთ მხსნელი“!!.

ლექსში „მ ც ხ ე თ ი ს ნ ა ნ გ რ ე ვ ე ბ ზ ე“ პოეტი სევდამორეული გადაჰხედავს საქართველოს წარსულს, რომელიც განუწყვეტელი სისხლისღვრის ისტორიაა არა მარტო გარეშეთა შემოსევით, არამედ, რაც უფრო მძიმე და სავალალოა, შინაური მტრების აშლილობით. თავისი ქვეყნის წარსულსა თუ აწმყოში მწერალი ჰხედავს მრავალს პირგამტეხს, სამშობლოს გამყიდველს, მძარცველს, ამტიალებელს, „ღედის ძუძუს მამკრელს“. მას ზარავს ასეთი ამბების მოგონება.

მწერლის გაგებით, სამშობლოს მოღალატე, „ღედის ძუძუს მამკრელი“, მართალია, უზომოდ გამდიდრებულია, გასუქებული, კმაყოფილია. მაგრამ ის ხომ იუდაა, ძმის გამყიდველი, არდამნდობი. ამიტომაც, პოეტი-მოქალაქის რწმენით, ამისთანა პიროვნებებს დამსახურებულად სდევს „ზიზი და წყევლა თავის ღლეშია“.

აქ, როგორც სხვანაირად მრავალ ნაწარმოებში, თედო რაზიკაშვილი, რა თქმა უნდა, ქართველ ხალხში ფეოდალური ყოფის გახანგრძლივებით შემონახულ, ერის დამღუპველ შინაურ ქიშპობას, შურს, აშლილობას სთარგუნავს, ჰკიცხავს, როგორც საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითება-დარღვევის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს.

თუმცა შავბნელი სინამდვილის დანახვით თედო რაზიკაშვილი შეძრწუნებულია, მაგრამ მას მწარე სინამდვილე ვერ იმორჩილებს, ის მაინც იმედს არ კარგავს; მას სწამს, რომ „ღღევანდლები დაწვერთ სხვა ისტორიას“, პოეტს კარგად ესმის, რომ ისტორიას ქმნის ხალხი და მისი ღირსეული წარმომადგენლები, ვაჟკაცი-მოქალაქენი. ამიტომ ნატრობს მოძმეთა შორის ხედავდეს ისეთს პიროვნებებს:

„ვინცა ქვეყნისა გულისთვის
დასთმობს სახლსა და კერასა.
პრომეთესავით საწიწკნად
გულ-მკერდს მიუშვებს ძერასა,

ჩაქსოვს უბედურთ ბელთანა,
თავის ბედსა და წერასა;
მათთან იტირებს და ლხინშიც
მათთანვე იწყებს მღერასა“ 2.

პოეტი წარმოიდგენს რა ასეთს მოღვაწეებს, „ვინც ქვეყნისათვის ეწირა“, ვინც თავისი კაცური, მოქალაქეობრივი მოვალეობა პირნათ-

1 თ. რაზიკაშვილი, „მცხეთის ნანგრევებზე“, „კვალი“, 1894, № 8.

2 თ. რაზიკაშვილი, „ბევრი ყოფილა გამტეხი...“, ლიტ. მუზეუმი,

ლად შეასრულა, აღფრთოვანებული, მოძმეთა გასამხნეებლად მადლიერების გრძნობას ასე გამოჰხატავს:

„შეადგენთ იმაჲ სიანა,
იმათ ღვაწლსა და სიციოცხლეს
და სიკვდილს ნაშუსიანსა
ვეუმევე მუშესა და გუნდრუქსა,
გაუეშლით ვარდს და იასა“¹.

ასეთს გმირებს ეძებდა ილ. ჭავჭავაძის მაღალი, მებრძოლი პატრიოტული ბუნება; ასეთსავე გმირებს გაჰკიოდა და უძახდა აკაკი წერეთლის „ბუკი და ნალარა“; ამავე მიმართულებას უერთებდნენ თავიანთ ძალუმ ხმას ძმანი რაზიკაშვილები და, კერძოდ, თედოც და სხვანი. ერის გადარჩენის, მისი კულტურული აღორძინების, ახალი ცხოვრების გზის ფართო გაჭრის პრობლემა ძალუმად ასმიანებდა ქართველი ხალხის ცხოვრებას.

თედოც კარგად გრძნობდა, რომ გმირთა თავგანწირული, უანგარო ბრძოლა ქვეყნისათვის, თანამემამულეებისათვის კარგი მაგალითია. იმედმოცემული პოეტი ამბობს:

„ვის მაღლით გამხნეებული
მეც ამოვიდგამ ენასა.
ვაქებ, ვადიდებ, შეავაჰკობ,

შავეეღრები ზენასა,
ღვაწლშემოსილთა მიბაძვა
შაგვაძლებინოს ყველასა“².

თედო რაზიკაშვილს, როგორც სხვა ქართველ მოღვაწეს, კარგადა აქვს გათვალისწინებული, რომ „ღვაწლმოსილთა“ მომზადება, მათი კადრების გამრავლება გადაუდებელი ამოცანაა. მან ისიც კარგად იცის, რომ „ღვაწლმოსილთა“ ცხოვრების გზა ძნელია, დიდი მსხვერპლის გაღებას მოითხოვს, ვინაიდან მათთვის ქვეყნის მჩაგვრელთა მიერ დაუნდობლად გამზადებულია „ცივი, ცივი, ვით სამარის ქვა“ — ბორკილი. ამიტომ პოეტი იმედიან ახალგაზრდას ქვეყნისთვის რომ გული ერჩის, თანაგრძნობით აფრთხილებს და თან გულსაც უმაგრებს: ამხნევებს: რომ ის მალე იგემებს ამ ბორკილის სუსხს, მასაც სევდა მოიცავს, „ქვეყნის გმინვას თან შეეზრდება“, დაიწყებს ბრძოლას, ბრძოლაში მკლავი გაუმაგრდება, ამიტომ ახალგაზრდას სიღინჯე მართებს, მომავალი ბრძოლისათვის საჭიროა დაფიქრებული მზადება.

„ნუ გეჩქარება ქვეყნის მჩაგვრელსა
მალე იგემებ ბორკილის ძალსა.
და მის შემუსკრელს, ყმაო, ოცნებით
გამოიხატავ ტკბილ იდეალს!“³

¹ თ. რაზიკაშვილი, „ბუკი ეოფილა გამტეხი...“, ლიტ. მუზეუმი, № 12404-ბ.

² თ. რაზიკაშვილი, „სიზმარი“, „კვალი“, 1894, № 28.

³ თ. რაზიკაშვილი, * * *, „კვალი“, 1894, № 9.

თედო რაზიკაშვილი ისეა შეშფოთებული არსებული მდგომარეობით, ისე აღონებს მას ქვეყნის "შავბედითი ყოფა, რომ არამც თუ ცხადლივ, სიზმრადაც კი მასთანაა, მასზე ფიქრობს, ოცნებობს, მისი ბედი ახარებს და ატირებს. ვაჟა-ფშაველასა და სხვა მგოსნებივით თავის აღფრთოვანებასა თუ სევდიან დამოკიდებულებას სამშობლოსადმი თედო ისეთ ფორმაში აყალიბებს, თითქოს, ეს მიმართულია არა სამშობლოსადმი, არამედ შეყვარებულისადმი.

თედო რაზიკაშვილი სატრფოსადმი (სამშობლოსადმი) ძალამორეული თავის გრძნულ სიყვარულს ასე წარმტაცად გვაძენობს:

„სიზმრად მეჩვენე, ნეტარი წამები მაწამებინე:	ღებქვეშ ყვავილად გეფინე; შენთვის ოცნებას ტაძარი
გებჯიე, გავცნე, გიციქირე.	ზეცაძლე აუჯებინე“ ¹ .

ამ განცდამ პოეტი აღაფრთოვანა, აღარც სიკვდილი ახსოვდა, აღარც რაიმე განსაცდელი; მისი გული აღარ კვნესოდა, მის გარშემო „შავბენელი აჩრდილიც“ გაჰქრა. სიხარულით თავბრუდახსმული მგოსანი უჩვეულო ძალით განიცდიდა სატრფოს (სამშობლოს) „ვარდის სუნთქვას“.

პოეტის სიხარული განუსაზღვრელია და ის აღტაცებული შესძახებს:

„რალა მენატრა, როცა შენ მყავდი და ჩემთან გეძინა, სამოთხის კარი გაგეღო, —	ბროლის გულმკერდი გეჩინა, აღარ ვიცოდი, მეტერა, თუ აღტაცებით მეცინა“ ² .
--	---

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტისათვის, რომელსაც თედო რაზიკაშვილმაც შეუერთა თავისი ხმა, წამყვანი იყო ჰატრიოტული გრძნობა, რეაქციულ-პოლიციური წყობილების წინააღმდეგ გალაშქრება, თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლა.

პოეტი ხმამაღლა აცხადებს, რომ მამულიშვილმა ყველაფერი უნდა გაწიროს სამშობლოსათვის:

„შენთვის უარყვავ, რაც კი რამ სიღოცხლეს შამაყვარებდა: ახალგაზრდობის სილაღე, ტკბილად რო მიწანწყარებდა;	გაზაფხულისა სიქველე, მიწას რომ აყვავებდა, უსაზღვრო გრძნეულობითა, შეებას რომ დაამყარებდა“ ³ .
---	--

¹ თ. რაზიკაშვილი, „სიზმრად მეჩვენე“, ლიტ. მუზეუმი, № 12405-ბ.

² იქვე.

³ იქვე.

თავისი მოქალაქეობრივი ტყვილები თედო რაზიკაშვილს დიდი უშუალოებით აქვს გადმოცემული ლექსში „ს ი ზ მ ა რ ი“. ეპკვარეშეა, ცენზურული მკაცრი პირობები აიძულებდა მწერალს თავისი გულნადებისათვის ი გ ა ვ ი ს — სიზმრის სახე მიეცა.

პოეტს ესიზმრება, ვითომც უძირო ზღვა ავად ბობოქრობდა (ეს 1905 წლის რევოლუციის წინა ხანებში რეაქციასა და გამანათვისუფლებელ მოძრაობას შორის ატეხილი ბრძოლაა), მისი ზვირთების ღრიალი, თითქოს, ცის დაქცევას ლამობდა. ამ აბობოქრებულ ზღვაში მისი ნავი (მისი ქვეყანა) „უნიჩბოდ დაქარქარებდა“. ისმოდა „საზარი ღრენა ზღვათმფლობი ქარისა“. გრიგალი, ელეა-ქუხილი (ატეხილი რევოლუციური ბრძოლა) ყურს სჭრიდა. გარშემო დაბნელდა. გრიგალმა პოეტის ნავს თავი წაართვა. მგოსანმა თავისი სიცოცხლე ბედს მიანდო. მსხვერპლის სუნი იგრძნეს თევზებმა, დაიწყეს მის გარშემო „ლიკლიკი“. „შეძრწუნებულ პოეტს თვალთ დაუბნელდა და დაღუმდა. მის წინ მძიმე სურათი გადაიშალა:

„ათი ათასი უმწეო
ზღვას გაკირვებით არღვედა,
ჩემსკენ ტურავდენ საწყლები;
ოვლი ეპირათ ნავზედა.
ზღვასთან უღონო ბრძოლაში
უთელელი იხოცებოდა,
ვინც დამრჩვალიყო, ცოცხალი,
ტიროდა, იხოკებოდა;
მაგრამ გრიგალის გრიალში

მთ კენესა იკარგებოდა,
ქაჩი გვხვავდა, წყეული
ჩვენი ტანჯვითა ტკბებოდა.
თან უმატებდა გრიგალი,
ნისლი წვებოდა შავათა.
მოდმოდიოდა მორევი,
ჩუღობული კქონდა დარათა,
ხსნა არსით იყო, იმედი
მარტო გვრჩებოდა ფარათა“¹.

ბრძოლით დაღლილი, დაქანცული, „შევიწროებაში მყოფი ხალხი პოეტის ნავს (იდეას) სახავდა მსხნელად. მაგრამ პოეტი თავის ნავიდან გულმოკლული „შესცქეროდა, ვერ კი შველოდა, ხალხის გაკირვება, კენესა და „გება გულის გამგმირი“ მატულობდა. რეაქციის გაძლიერების შედეგად საზოგადოებაში დაფანტულობამ, მერყეობამ იჩინა თავი; რევოლუციის გამარჯვების იმედი მხოლოდ რევოლუციონერებში შემორჩა. პოეტს ეზმანება:

„ჩვენთვის არ იყო დამხმარე,
არც ქვეყნის მხსნელი, არც გმირი
სულ ერთფერები ვიყვენით
მკვდარი მკვდარს ავეკიდენით,

„მთ და აქეთ სიკვდილი,
შუა ჩვენ ჩავეკიდენით.
დანთქმა, დაღუპვის ლოდინი,
არსად დამხსნელნი კიდენი“²

ხალხთა შევიწროებით, მისი „სასოებაშერყეულობით გაწამებული პოეტი ყველას, ვისთანაც კი ხმა მიუწვდებოდა, იწვევდა თავისთან,

¹ თ. რაზიკაშვილი, „სიზმარი“, „კვალი“, 1894, № 28.

² იქვე.

თავის ნავში, რათა გაერთიანებული ძალებით თავგამეტებით კვლავ შებრძოლებოდნენ ზღვას (რეაქციას). იმედიანი პოეტი ასე ათავებს ამ დაუმთავრებელ ბრძოლას ნათელისას სიბნელესთან:

„ვებრძვით ზღვას, მკლავი მაგარი
მისთვის არ დავეიშურია,

ვიბრძვით და ვიბრძვით ბოლომდე,
ვისაც სიცოცხლე გეწყურია“¹.

აქ თედო რაზიკაშვილს უფრო მეტად ეროვნული „შევიწროება აქვს მხედველობაში, უხეში კოლონიალური პოლიტიკის გატარების შედეგი რომ იყო. პოეტი დაუძლეველი სასოებით გასცქერის წარსულს, როცა მისი ერი თავისუფალი, დამოუკიდებელი იყო. აქედან ის წარსულის იდეალიზაციას ახდენს და ამასთან ერთად გამოხატავს დაუოკებელ წყურვილს, მისწრაფებას თავისუფალი სიცოცხლისა და მოქმედებისას.

ლექსში „მუხის ლოდინი“ „დროს მდინარებით“ დახვესებული, „უამთ მატინე“ მუხა (მისი სამშობლო) იგონებს წარსულ დროთა, როდესაც ღრუბლები „ციურ მანანას თავზედ აფრქვევდნენ“; ავი ამინდიც მუხას — „ჰადარა დარაჯს იმ არემარის“ ვერა ჰზარავდა. ის უხვი ბუნებით სტკებოდა. მაგრამ იცვალა დრო და მდგომარეობა. „მწვანის მაგივრად მალალი მთები თეთრად მოირთენენ, სიხარულის სუფრა აიღეს, სევდის სასმელი უხვად სვეს და დათვრნენ“. არემარე სასაფლაოს დაემსგავსა. მკმუნვარე მუხა ცვალებადს დროს სჭვრეტს, როგორც „ომის ველს გმირი“. პოეტს ესმის მუხის მწუხარება, გრძნობს რა მწარედ განიცდის მუხა თავის „ყოფნა-არყოფნის“ მდგომარეობას — სიცოცხლისა და განახლების დაუძლეველ სურვილს. პოეტი მას მთელი თავისი არსებით თანაუგრძნობს, მასთან არის. მუხა, — გულისტკივილით გვეუბნება თედო რაზიკაშვილი, —

„დგას და ჩაექერის შორეულ ჰალას,
აღარ ამორებს მწუხარე თვალსა,
იქიდან ელის სინათლის სხივსა.
იქიდან ელის სიცოცხლის ძალსა.

როდის იქნება ტურფა ზაფხულმა
მოგვიკაუნოს ჩაგრულებს კარსა;
დამდნარი თოვლი მთებიდან ზევში
გრიალ-ღრიალით ჩაჰქონდეს ზევისა“²

პოეტმა საკმარისად გამჟვირვალე ემოციურ ფერებში დახატა მუხის (თავისი ქვეყნის) საველადო მდგომარეობა. პოეტს უნდა მუხის შეუფრთხილებელი განწყობილება მის უილაჯობასთან დაკავშირებით და-

¹ თ. რაზიკაშვილი, „სიზმარი“, „კვალი“, 1894, № 28.

² თ. რაზიკაშვილი, „მუხის ლოდინი“, „კვალი“, 1894, № 3.

ანახვოს მკითხველს და ასე ათავებს მუხის უმწეო არსებობის გადმოცემას:

„ელის ზაფხულსა და მოლოდინში
ხანსდება უფრო გულმოწყენილი“¹.

თედო რაზიკაშვილს ქვეყნისა და ხალხის არა მარტო პოლიტიკური ჩაგვრა და შევიწროება აწუხებს, არამედ სოციალური და ეკონომიური საკითხების მოუწესრიგებლობა, რაც დიდი სიმწვავეით იყო დასმული 80—90 წლებში. დემოკრატი მწერალი დიდი ენთუზიაზმით ეხმაურებოდა მას როგორც კალმით, ისე ცხოველი სიტყვითა და საქმიანობით.

პოეტი მახვილი თვალით აკვირდება ხალხის ცხოვრების ჩარხის ტრიალს და სევდამორეული თანაუგრძნობს, „ვიზეც ტრიალებს ბორბალი ტიალი წუთისოფლისა! ვინც რწყავს სიცხე-სიცივეში ოფლით მიწას! ვისაც აქვს შხამით ან სიხარულით „ჟამი ამ ქვეყნად ყოფისა!“ მწერალი, გულისხმიერებით უკირკიტებს რა სინამდვილეს, რწმუნდება, რომ ცხოვრება უსამართლოა, უგზო-უქვლო. არსებულით აღშფოთებული პოეტი ბოლმიანი გაკვირვებით კივის:

„ვისა ჰკიღია სამუდმო ტირთი და ვეღარ მოუხდავ, თუნცა შეგზნელი სამყარო	თვის ასპარეზათ გაუხდავ, ღვე-ღამე გაუსწორებავ, ხელებზე ტყავი გაუძვრავ!“ ²
---	---

აი ამ მშიერი-მწყურვალი, გატანჯული ადამიანების, რომელთა ცოლ-შვილი მშიერია, რომელთაც „კაცის იერიც“ კი დაუკარგავთ, ბედი აწვალებს, სტანჯავს თედო რაზიკაშვილს. ის საჭიროდ სთელის ამ დაბეჩავებულ ხალხზე ზრუნვას, მკითხველსაც ენერგიულად უხმობს:

„ამ დაჩაგრულებს მოხედე, თუ კი ხარ, შენ სახეირო, ერთი რამ მაღლი დათესე	სამუდმო, საქვეყნიერო, რომ მერე მენაც გადილო, გაჯო და გემადლიერო!“ ³
---	--

უბედურთადმი თანაგრძნობით გულდასერილი პოეტისათვის არსებული მდგომარეობა შეუწყნარებელია, აუტანელია. მწერალი ვეღარ უძლებს მშიერი ხალხის ამოდენა ტანჯვა-მწუხარებას. ის შიშობს არ გაჰყვეს ეშმაკის კვალს, „ურწმუნოების მორევში“ (ე. ი. უიმედობის) არ შეაგდოს თავისი ნავი. მრავალი მიმართულებით შებორკილს, ბრძოლისა და მოქმედების ასპარეზმოსპობილ პოეტს თითქოს ერთი-და დარჩენია — შეინარჩუნოს ენა, ის მაინც გადაარჩინოს მანკიერ გზას — არ იყოს „უსამართლობის ტრფიალი“.

¹ თ. რაზიკაშვილი, „მუხის ლოდინი“, „კვალი“, 1894, № 3.

² თ. რაზიკაშვილი, „საწყლების უბანი“, „კვალი“, № 30.

³ იქვე.

ამოდენა ლოდინით დათენთილი და შეურაცხყოფილი, ახლა უკვე მოთმინებიდან გამოსული პოეტი სასოწარკვეთილებით ასე გადაგვიშლის, გულით რომ „ჯოჯობის ატარებს“:

„განა ძალი ვარ ოთხფეხი მე — კაცი სრული კუთია, რომ, როგორც უნდათ მატუნონ მოწვდილი პურის ყუითა! ობრათ კი გახდეს სიცოცხლე	და მისი მიზიდველობა, თუ იმის საგანს არა აქვს იმაზე მეტი ქველობა. მაშინ რათ მინდა მე მისი დღეთა სიახლე, გრძელობა?!“ ¹
--	---

ასე ძლიერ განიცდის პოეტი ცხოვრების მოუწესრიგებლობას, ადამიანთა სიმახინჯეს, გზადაკარგულობას; მწვავედ გრძნობს, რომ ცხოვრება „შესაზარავემა ბნელმა“ მოიცვა, გაჭირდა „უღლის ტარება“, აუტანლად დამძიმდა. „ქარის ქროლვამ“ (რეაქციამ, გამუდმებულმა ჩაგვრამ) გააჭრო „ხელში ნაჭერი სანთელი“ — უკეთესობისაკენ მისწრაფების სურვილი, იმედი; ამდენმა უსამართლობამ, „ბნელთან“ ამდენმა ბრძოლამ, „იმედის აღარ ქონობამ“ ადამიანი უზომოდ დაღალა, წაართვა ჯანი და ღონე.

ასეთსავე მდგომარეობაშია ჩავარდნილი თვითონ პოეტიც:

„ქაჯმა ჩაგვიდა ბრჭყალები
და შენდა უნებურადა
იმის ფერხულში გაეგბი!“²

თვითონ პოეტი მაინც არ ნებდება „ქაჯს“, არ უტყდება მდგომარეობის დაუნდობელ ძალას, რომელიც მის თავზე „აბრუნებს ცეცხლის კალოსა“, რომელმაც ის „ამირანივით დააბა, ჯაქვს ახევეს რკინის პალოსა“. პოეტი ძალამოკრეფილი თვითშთაგონებითა და გაუტეხელი ნებისყოფით, მხნედ მიჰმართავს მკითხველს:

„მაგრამ მოგიკვდე, თუ გულმა მის ბატონობა იწამოს, აზრი ხომ აზრად დარჩება ღეწი იგვემოს, იწამოს.	არ შედრკე! ეშმაკეული მაღე ნოიკამს ბოლოსა და ისევ ტპილად დაკმლერებთ ჩვენს ძვირფას საქართველოსა!“ ³
---	---

თედო რაზიკაშვილი თუმცა არ უშინდება არსებული ცხოვრების მძიმე პირობებს, ბრძოლის ძალას კიდევ პოულობს, სხვების გამხნეებისასაც ცდილობს, მაგრამ გარშემო ჰხედავს რა გზა-კვალ აბნეულთ, თითქოს ექვი ეპარება: ვაი რომ ვერ შესძლოს ამ წმინდა მოვალეობის აღსრულება, მისი ნიჭი და ენაც რომ დადუმდეს! ამ შიშს თედო რაზიკაშვილი გულწრფელად უმხელს თავის სკოლის ამხანაგს ნიკო ჯა-

¹ თ. რაზიკაშვილი, „საწყლების უბანი“, „კვალი“, 1897, № 30.

² თ. რაზიკაშვილი, „პასუხი“, ლიტ. მუზეუმი, № 12401-ბ.

³ იქვე.

ჩანაშის ლექსში „უძღვენი ჩემს მეგობარს ნიკო ჭანაშის-
შისას“.

„ვთუ რო ნუგა მიმტყუნოს
და ღიღმა აღმაფრენამა
სიღლის უსახლდრო კვეთება
ველარ ამოსტყვას ენამა,
და ჰკვეთა მყოფი ამაოდ
შემირთოს დროთა დენამა!

მე — მოქმელმა ველარა-რა ვსტკვა,
სიტყვა ენაზედ გამიხმვს.

და მადლი გულთა პერობისა
დროს ბუმბულივით გამიყვეს!“¹

ამ შიშში მყოფი თედო რაზიკაშვილი ერთსდა ნატრობს: თუ მას დაუქცნობელი და შეუსუსტებელი არ დარჩება ეს აღფრთოვანებული განწყობილება — გამაგრდეს და ემსახუროს სიკეთეს, ხალხს, წინააღმდეგობა გაუწიოს, ამხილოს უსამართლობა. პოეტი მაშინ შეიძლება შეურიგდეს თავის ავ ბედს, თუნდაც რომ მოკვდეს „ქვეყნისგან დაუტირელი“. მაშინ ის თითქოს ნაწილობრივ მაინც იქნება ვალმოხდილი. ის გულნაკლულია, დაუკმაყოფილებელი, მაგრამ სრულიად პირშერცხენილი არ დარჩება:

„ჩემს ლექსში მაინც ვიცოცხლებ,
იმედით გამოშვირალი!“²

აქ მშვენივრად მოჩანს თედო რაზიკაშვილის სახე, როგორც ტიპიური გზაშეკრული, კოლონიალური რეჟიმით დაბორკილი XIX საუკუნის ქართველი მოღვაწისა — პოეტისა.

II

თედო რაზიკაშვილის სამწერლო მოღვაწეობა უფრო მეტი სიღრმითა და სიფართოვით მხატვრულ პროზაში გამოვლინდა. ქართული ხალხური შემოქმედების კარგი და გულისხმიერი შემკრები, ზედმიწევნით მცოდნე ბავშვის ბუნებისა და მისწრაფებისა, აგრეოვე ბავშვის რაციონალურად განვითარებისა, ალლოიანი აღმზრდელი თედო რაზიკაშვილი შეიქმნა ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბავშვო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებით წინწაწევაში. საბავშვო ლიტერატურა საიმედო საფუძველია, რომელზედაც იზრდება და მტკიცდება ბავშვის გრძნობა, გონება და ნებისყოფა. საბავშვო ლი-

¹ თ. რაზიკაშვილი, „უძღვენი ჩემს მეგობარს ნიკო ჭანაშისას“, ლიტ. მუზეუმი, № 12401-ბ.

² იქვე.

ტერატურა, — შთააგონებდა მკითხველთ გამოჩენილი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი — „ბევრს სიკეთეს დასთესავს მოზარდს თაობაში, ბევრს მაღალს აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში, ბევრი კეთილშობილური, ჰუმანიური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუშაადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულისშვილს“¹.

გამომდინარე აღნიშნული მოსაზრებიდან, ი. გოგებაშვილი კატეგორიული ტონით ქადაგებს: „გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდნო ნაწარმოებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა ადგამს ნაბიჯებს წინ. მკვიდრს წარმატებებში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა“².

ასეთი მისწრაფება ერის გაჯანსაღებისა და წარმატებისა წარმართავდა XIX საუკუნის ქართველი მოწინავე საზოგადოების განწყობილებას.

თედო რაზიკაშვილმა ადვილად გაიგო და გაითვალისწინა ჩვენს ლიტერატურაში ამ მიმართულებით არსებული ხარვეზი და, როგორც გარკვეული შესატყვისის განწყობის მქონემ, დიდი ხალისით მოჰკიდა ხელი საბავშვო მწერლობას და ღირსეული კვალიც დასტოვა ჩვენს ლიტერატურაში.

თედო რაზიკაშვილმა ნიჭიერად გამოიყენა ბუნებისა და კაცთა ურთიერთობის კარგი ცოდნა, ცხოვრებაზე მახვილი დაკვირვების უნარი და ბავშვის ბუნებისათვის შესაბამისად რაციონალური ასახვა შესძლო თავის პატარ-პატარა არაკის მსგავს მოთხრობებში თუ ეტიუდებში. ყოველ მათგანში ფლორისა და ფაუნის სახეები თუ ადამიანთა ურთიერთობა მოცემულია მაქსიმალური სინამდვილით; გამახვილებულადაა ნაჩვენები მათი დადებითი და უარყოფითი თვისებები, ცხოველთა თუ მცენარეთა ურთიერთობას მწერალი ხშირად იძლევა ალეგორიულად, და ყველა ამას ისეთი მიმზიდველი ბუნებრიობით ხატავს, რომ ბავშვს აჯერებს, ახალისებს, აინტერესებს. ყმაწვილის მეხსიერებაში ძალუმად იბეჭდება წაკითხული და მას უმუშავდება სწორი გაგება — რა არის კარგი და რა არის ცუდი. ამ თვისების გამოუმუშავება აუცილებელია; საბავშვო ლიტერატურამ მოზარდში უნდა განავითაროს

¹ ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. 1, 1910, გვ. 127.

² იქვე, გვ. 126.

შეგნების ის ნერვი, რომელზედაც უნდა ჩამოყალიბდეს, შეივსოს და განმტკიცდეს მისი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა.

თედო რაზიკაშვილის შემოქმედება ერთგვარი შესავალი კარებაა სამყაროსი და იქიდან აღამიანთა უოთიერთობის სწორად გაგებისაკენ.

თედო რაზიკაშვილი ძალიან ახლოა ბუნებასთან, ის უშუალოდ ბუნების შვილია, მის წიაღში აღზრდილი, ზედმიწევნით ახლო იცნობს ბუნების მოვლენათ; ცხოველთა და აღამიანთა ქცევის რეალურ ეპიზოდებს იძლევა თავის მოთხრობებში.

თედო რაზიკაშვილის შემოქმედებაში წარმტაცი ფერებითაა მოცემული ბუნების სურათები. აბა მოვუსმინოთ მწერალს, როგორ განიცდის თვითონ და მკითხველსაც როგორ განაცდევინებს გაზაფხულის დასაწყისის ეტიუდში „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ის ს უ ნ ი“: „მინდვრად თოვლი აღარ იყო. კვერნაკის ჩრდილოეთი კალთები კი ისევ ვეფხვივით იყო აჭრელბულო, თოვლიც ისევ თოვლქვეშ ხვნეშოდა. თებერვალი იპარებოდა... ფრინველებსა და ცხოველებს მოუსვენრობა ეტყობოდათ. ინდაურები იფხორებოდნენ: ბოლოებს ჯარასავით შლიდნენ, მხრების წვერებს მიწაზე აფხაკუნებდნენ დაშნასავით, და ხმამალა ყვიტყვიტებდნენ: ბატები ერთად იკრიბებოდნენ, საღამოობით მინდვრიდან ყიყინით ბრუნდებოდა იმათი თეთრი ფარა. იხვებიც ხეებებს აღარ შორდებოდნენ. გაზაფხულის ნიშანია!

მართლაც, ჰაერი და ცა დამშვიდებულად მეჩვენა. სითბოს სუნი ტრიალენდა, ფრინველებს ერთი ყრიაშული და განგაში ედგათ. ძაღლები თავის ხრუწუნებიდან გამომძვრალყვენ და ეზოში და ეზოს გარეთ წელგაშლით დასეირნობდნენ.

ციდან ღრუბლები ქურდებივით მიიპარებოდნენ და მთას იქით აფარებდნენ თავსა. მეორე დღისათვის კი დარს ელოდა ხალხი.

— ბიჭო, ხვალისათვის ბარები და წაღდეგი ნახეთ!... — გასძახოდა მამა შვილებს.

გუთნის დედა გუთანს ჩაპლირლიტებდა: გაცვივნილს სოლებს უმაგრებდა ან ახალს უთლიდა... გაზაფხულდა! დროა გუთნები შევაბათ...

აქამდე მხოლოდ შავი ღრუბლებივით გადაჭიდული და საზარელად მოზუზუნე ცა სრულებით სხვა კილოზე ახმაურდა. გაივსო მომთაბარე ფრინველთა ყვილ-ჭყივილით. მხარგძელნი ფრთოსანნი, დედამიწიდან დაშორებულნი, ნელ-ნელა მიცურავენ თვალუწვდენელ ცის სხივებში ჩრდილოეთისაკენ. ყურს ოდნავ ხვდება მათი ყვირილი. ხოლო წვრილნი ფრთოსანნი შრიალით გადაურბენენ ხოლმე სოფლებს, საყდრებისა და კოშკების წვერებზე... თითქოს ყურისპირში ზარბაზანი დაუცალესო, უცებ საშინელი გრიალი მოესმა... ზვაგი გამოსქდა... შეკუმშული თოვლი შავ მუხის ტყეში თეთრი ღრუბლებივით-და ჩანს.

ნაკუწ-ნაკუწად აქცევს მას საზარელი გრიგალი და ბუნებულებით აიტაცებს თვალშეუწვდენელ ცის სივრცეში... როგორც მოხუცები ამბობენ, არაგვზე უკვე ჩირთი შემოსულა, მურყანი და თხილი იშლებათ, ბარად კი რამდენი ხანია გაზაფხულიაო. „მაშ გაუმარჯოს გაზაფხულს! გაუმარჯოს გაზაფხულის მოსვლას“¹.

მწაფერად იგრძნობა ბუნების მაქორული მაჯისცემა. განსაკვიფრებელი სიზუსტით, სიმკვეთრითა და უშუალოდ ბუნებისა და უშუალოდ ბუნების მოვლენათა გაცნობა-გაგებისა, არ უნდა დაევიწყოთ, რომ ამ მოთხრობას იგავური მიზანდასახულობაც უნდა ჰქონდეს. თედო რაზიკაშვილი ამ მოთხრობას წერს 1905 წელს, რუსეთის პირველი რევოლუციის განთიადზე. მას უნდა მოზარდ მკითხველს, რომლის გარშემოც რევოლუციის სუნი იყო დატრიალებული, აგრძნობინოს რევოლუციის ძალაც, მიმზიდველობა, ცხოველმყოფელი ზეგავლენა, როგორც ამას გაზაფხული ბუნებაში ახდენს, დააჭეროს მოზარდი მის საჭიროებაში და აუცილებლობაში.

ასეთივე რეალური სურათებითაა დახატული ბ რ ძ ო ლ ა ზ ა მ-თ ა რ ს ა და გაზაფხულს „შორის მხატვრულ ესკიზში „მ უ ხ ა გა ზ ა ფ-ხ უ ლ ზ ე“. ანლოვდება გაზაფხული. ზამთარი მრავალ სხვადასხვა ხერხს ხმარობს, თავისი სუსხი, თავისი გაღვინა-ბატონობა გარემოზე შეინარჩუნოს; გამალებით ჰგზავნის ყინვას, თოვლს, ცივ ქარს, ნისლს, მაგრამ ყველა ამოა გაზაფხულის სითბოსთან ბრძოლაში. მწერალი აღფრთოვანებული თანაგრძნობით ხედება რა გაზაფხულის ძლევა-მოსილ მოახლოებას, გამარჯვებას, დამარცხებული გულზვაკი ზამთრის განცდას, ასე გადმოგვცემს: „ელოდა ზამთარი, ელოდა თოვლის დაბრუნებას, ელოდა იმისგან სასიამოვნო ამბებს; ელოდა, რომ თოვლი აყოვნებდა მუხის გაუშლევლობასა, უღრანს ხეებში ჭერ ისევე ზამთრის ბრძანებლობასა, მაგრამ არც თოვლი დაბრუნდა და არც საამური რამე ესმოდა. ასევე დაემართა რთვილსაც. ელოდა ზამთარი, ელოდა გულის გასახარებლ ცნობასა; ლოდინმა გული გადაუღია... ვისღა ანსოვს ზამთარი“². არწივის პირით მწერალი ზოზლოთ და დაუნანებლად ასე მიმართავს „შიშისაგან თხსავით მოკუნტულ ზამთარს“: „ვიღას ანსოვს ზამთარი, გირჩევ გაიპარო, თავს უშველო“.

აქაც ნორჩ მკითხველს მწერალი, აძლევს რა დამაჯერებელ სურათს

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 212-215.

² იქვე, გვ. 286.

მოვლენათა ცვალებადობისას ბუნებაში, უხსნის მის ურყევ კანონზომიერებას, აჩვენებს ლოგიკურ აზროვნებას და უადვილებს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის აღქმასაც.

* * *

საგულისხმო და მიზანშეწონილი იქნება მიჯვავთ თედო რაზიკაშვილის საბავშვო მოთხრობების განხილვას მწერლის შემოქმედებას განვითარების მიხედვით.

თედო რაზიკაშვილმა, როგორც პედაგოგმა, კარგად იცის, რომ ბავშვის გარკვევა ობიექტურ სამყაროში თანდათანობით კანონს ემორჩილება. მწერალი მოხდენილად და რაციონალურად სარგებლობს პედაგოგიკის ძირითადი პრინციპით: მარტივიდან რთულზე, ნაცნობიდან უცნობზე, ახლობელიდან შორეულზე გადასვლა.

აქედან გამომდინარე თედო რაზიკაშვილი ბავშვის ყურადღებასა და მის ჰუმანურ გრძნობას პირველ რიგში ამახვილებს ოჯახურ გარემოზე, შთამაგონებლად აჩვენებს ბავშვს — მკითხველს დედის დიდ, დაუძლეველ სიყვარულს შვილისადმი, მის განუზომელ ზრუნვას შვილებზე.

ავიღოთ მოთხრობა „ნ ი ბ ლ ი ა“. ნიბლიამ ბუდეში ოთხი კვერცი დადო. ზრუნვითა და სიფრთხილით გამოიჩეკა ოთხი ბარტყი. დედა მათ განუწყვეტლივ უზიდავდა საზრდოს. მაგრამ, აი, როცა დედა საშოვარზე იყო წასული, ბავშვებმა მიაგნეს ბუდეს, ამოსხეს ბარტყები, წაიყვანეს სახლში. „გაფიქრეთ და გალობას ვასწავლითო“. ტყეობა ბარტყებისათვის საშინელ ტანჯვად გადაიქცა. „გამოიყვანდნენ გარეთ, — გადმოგვცემს მწერალი, — მოაბამდნენ ფეხებზე ბაწარს და გაუშვებდნენ ჰაერში. საცოდავებს ეგონებოდათ, თავისუფლები ვართო და სიხარულით გაშლიდნენ მხრებს, მაგრამ ბაწარი ისევ მიწაზე ჩამოაგდებდა ხოლმე მხარგამლილებს. მერე ბავშვები დაუწყებდნენ წევას და ათრევდნენ მიწაზე; ასე ასწავლიდნენ გალობას ბავშვები პატარა ტყვეებს, სანამ საწყლებს ბავშვების ხელში არ ამოუვიდათ სული“¹.

დედაჩიტიც, ბარტყები რომ ბუდეში ვერა ნახა, მძიმედ შეწუხებული კენესითა და ტირილით მოუსვენრად დაფრინავდა, „სად არ დაეძებდა თავის შვილებს?!“.

ასეთი ამბის აღწერით თედო რაზიკაშვილი ბავშვში, ერთის მხრივ, იწვევდა ცხოველთაღმი ჰუმანურ დამოკიდებულებას, მათ შებრალებას, გაფრთხილებას, ხოლო, მეორე მხრივ, თვალსაჩინოს ხდიდა დე-

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 8.

დის სიყვარულს შეილებიხადმი, მის მიძიმე შრომას შეილებიხ აღზრ-
დაში, ამასთანავე ბავშვებს შთააგონებდა უღედოდ, სხვის ხელში ყოფ-
ნა რაოდენ მტანჯველია. ამით მწერალი ახერხებს ბავშვს გაულრმასო
დედისადმი სიყვარული, შთააგონოს მკითხველს, რომ უსამშობლოდ,
უთვისტომოდ ისეთსავე მდგომარეობაში იქნება კაცი, როგორც ბარტ-
ყები ბავშვების ხელში. ეს კი ხელს უწყობდა ნორჩ მკითხველში პატ-
რიოტული გრძნობისათვის ნიადაგის მომზადებას, გაპოხიერებას. რა-
საც ასე დაუინებით მოითხოვდა საქართველოში XIX საუკუნის მეო-
რე ნახევარში მედგრად გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი
ბრძოლის ფრონტი.

თედო რაზიკაშვილს სურს მკითხველში განავითაროს საზოგადოებ-
რივი თვისებები, ხელი შეუწყოს სალი მოქალაქის მსოფლმხედველო-
ბის ჩამოყალიბებას. მისი მრავალი მოთხრობა აგებულია მოქალაქეობ-
რივ მოტივზე და აღწერილია ბავშვისათვის ადვილად გასაგები შემ-
თხვევები, ხშირად ცხოველთა სამყაროდან.

ცნობილია, უმადური, სხვისი ამაგისა და სასარგებლო მოღვაწეო-
ბის არღამფასებელი ადამიანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხშირად
ხორცმეტია. ამიტომ ერთ-ერთი საზრუნავი საბავშვო ლიტერატურისა
არის ბავშვში გამომუშავდეს მადლიერების გრძნობა. კეთილი ღვაწ-
ლის დაფასება. ამ მიზნით თედო რაზიკაშვილი გონივრულად და მოხ-
დენილად მოუთხრობს ბავშვს მადლიერების გრძნობაზე, მაგ., „მ უ-
რი ა (მეცხვარე ძაღლის ამბავი)“, „ძაღლის ჭკუა“ და სხვ.

მურია შემთხვევით აცდა თავის პატრონს. საშინელი ჰაპანაქებაა.
მზე დედამიწას სწვავს. ჰაერში ბული დვას. მიწა სიცხისაგან დახეთქი-
ლია. მაგრამ მურია ამას არაფრად აგდებს. გამალებული ეძებს პატ-
რონს. მწერალი ასე აგვიწერს ამ შემთხვევას: „მოიარა მთა-ბარი მუ-
რიამ, გადაიარა მინდვრები, მოიბინა სოფლები და ადგილები, სადაც
კი ერთხელ მაინც მისულა მისი პატრონი. ქვეყანა ფეხქვეშ გაიგო და
ეერას გახდა. პატრონის ძებნაში აღარც საჭმელი ახსოვდა და აღარც
სასმელი: ლუკმა რო ვისმე გადაეგდო, ის ყურსაც არ უგდებდა, გაშმა-
გებული გასცდებოდა და უფრო გაიჩქარებდა. ბევრს ცოფიანი ეგონა,
სად თოფით გამოუდგებოდნენ, სად კეტებით, მაგრამ მურია არც
ჰკებნდა არავის და არცა ჰყეფდა, ყველას ერიდებოდა და მირობდა
თავის გზაზე“¹.

მირობის მურია თავდავიწყებით, ენაგდმოგდებული, მოუსვენარა;
ეძებს პატრონს, არც ისვენებს, არც დგება, არც ჩერდება, არც წვება;
კლდეს, ღრეს, მდინარეს არ არჩევს; დარეტიანდა, თითქოს გაცოფდაო.

მურია ბოლოს პატრონსაც წააწყდება. სიხარულით კული აიშვირა.
პატრონს ლაქუცი დაუწყო: ხან ფეხებში გაუგორდა, ხან ზედ ახტე-

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 11.

ბოდა, წყმუტუნით დაუწყო ლოკვა. მაგრამ მურია მალევე აიძვრა, დაერია ძალღებს, დაუწყო გლეჯა. მურია გაცოფდა. პატრონი იძულებული შეიქნა მურია თოფით მოეკლა.

თედო რაზიკაშვილი ამ პატარა მოთხრობით მეტად მოხდენილად აჩვენებს პატარა მკითხველს კარგი მოპყრობისათვისა და ზრუნვისათვის, რაც დამახასიათებელია მეცხვარეებისათვის, როგორ ერთგულებას იჩენს მურია-ძალი. თუ პირუტყვის ასეთი გრძნობა კარგია. მიმზიდველია, ბუნებრივი და შოსალოდნელია, მით უმეტეს ის უნდა ახასიათებდეს კაცს. მწერლის სურვილია, ბავშვმაც გამოიმუშაოს ასეთი გრძნობა. სიკეთეს სიკეთით უპასუხოს. მან უნდა გაიგოს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმადური კაცი კარგის მოქმედი არ იქნება.

ცხოვრების ღრმად მცოდნე თედო რაზიკაშვილს შესანიშნავად ესმის, რომ მადლიერების გრძნობა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ერთგვარი დულაბია, ამიტომ ამ გრძნობის მიმზიდველობას სხვა ნაწარმოებებშიც გვაჩვენებს.

ძაღლის მადლიერება და ერთგულება უფრო მძლავრადაა გამოხატული ეტიუდში „ძაღლის ჭკუა (ნამდვილი ამბავი)“. ძაღლი ნადირობის დროს პატრონს ასხლტა. ბევრი უშედეგო ძებნის შემდეგ მშიერი და ქანცგამოცლილი ძაღლი ადამიანის კვალმა დუქანთან მიიყვანა. ის შიმშილით თავს ველარ სწევდა. პატრონმა დაინახა რა, ძაღლი ასეთს მდგომარეობაში, პური მიუტანა, დაუყარა და თან შეელაპარაკა. „პურს, — გადმოგცემს მწერალი, — ნელა დაუწყო ჭამა. — შეეკი მადლობელი თვალთ გადმომხედავდა ხოლმე. ამის შემდეგ აღარ მომშორებია, სადაც წავიდოდი, სულ უკან მომდევდა... სტოდა, თამაშობდა, მილოკავდა ხელებსა და პირს, ყმუოდა და წყმუტუნებდა გახარებული“¹.

ასე იქცეოდა ძაღლი, რომელსაც ახალმა პატრონმა წარბა შეარქვა. გავიდა ხანი. პატრონი და წარბა ბრუნდებოდნენ სოფელში და მოულოდნელად შეეხეჩნენ ცოფიან ძაღლს. პატრონმა გორიანებს ხელი დაავლო და დაუწყო სროლა ცოფიან ძაღლს, ეს რომ წარბამ დაინახა. — გადმოგცემს წარბას პატრონი: „უცებ აიჭავრა, მხიარულება ზელად დაკარგა, შეეშინდა, მოიკუნტა; მეკვრის ზედა, ხან წინ წამირბენს და თვალეში მაცქერდება, თითქო, მეხვეწება, წადა ჩქარა, შენი თავიც გადაარჩინე და მეცაო; ხან უკან მომეჭკევა და ცოფიანს თვალს აღარ ამორებს, თან მეკვრის და წყმუტუნებს“².

პატრონმა ფეხი აუჩქარა, მაგრამ ცოფიანი წამოეწია. პატრონმა გორახი კიდევ ესროლა. ახლა კი ცოფიანი ისარივით წავიდა მათზე. „ჩემი

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 356.

² იქვე, გვ. 354.

წარბა. — აგვიწერს პატრონი. — უცებ გამოცვალა, ეს მოკუნტული ძალი უცებ ვეფხვივით დადგა გზაზე ჩემ-უკან აჯაგრილი და. მოვარდა თუ არა ცოფიანი, ეცა და როგორც ბურთი ამოიღო ქვეშ“¹.

პატრონი წარბას ახლა ვეღარ უშველიდა. წარბამ მისთვის თავი გასწირა. ამ ამბავში სხვა ძაღლებიც მოგროვდნენ, მაგრამ ცოფიანს ვერაინ მიჰბედა. ცოფიანი ვენახებში გადახტა. ნაკბენი წარბა წკმუტუნით პატრონს დაეწია. ყურს აქნევდა, თან სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდა: პატრონი ამ თვალებში აშკარად კითხულობდა: „შენ შიმშილით სიკვდილს გადამარჩინე და მე კიდევ ჩემი თავი განაცვალეო“².

მაგრამ ყველაზე საყურადღებო და განსაცვიფრებელი ისაა, რომ წარბა ამის შემდეგ პატრონს ახლო არ მიჰკარებია, წავიდა და აღარ დაბრუნებულა. მან გაითვალისწინა, რომ ის აწი ვნების მეტს აღარაფერს მოუტანდა. ასეთი თავგანწირვით უპასუხა წარბამ პატრონს შედარებით უბრალო სიკეთისათვის და შემდეგ ჩვეულებრივი მზრუნველობისათვის.

ასეთივე მაღლიერების გრძნობის გამომხატველია გ ა რ ი ე ლ ა თა-მარ მეფისადმი, რომელმაც, შენიშნა რა გარიელას მოწყენილობა ტყვეობაში, თავისუფლება დაუბრუნა, ხოლო თავისუფალმა გარიელამ რამდენიმე ხნის შემდეგ თამარს ბროლის თითებზე სამი ჩხირი დაულაგა, რომელთა მაგიურმა ძალამ თამარის სამეფო გაამდიდრა და გააძლიერა.

* * *

თედო რაზიკაშვილი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თავისი დროის დიდილი შვილია. მწერალი ძალუმად განიცდის ეპოქის მტკივნეულ საკითხებს, ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში გაშლილ ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელს და სოციალურ-ეკონომიურ ფრონტზე. ის, როგორც ბუნებით ნიჭიერი პედაგოგი, საჭიროდ სთვლის, ბავშვს პატარაობიდანვე ჩაუწეროს თავისუფლებისა და სამართლიანობისადმი მისწრაფება, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება. ამას თედო ნიჭიერად ახერხებს მრავალ ეტიუდში, კერძოდ „მ თ ა მ ა შ ე მ ა ი მ უ ნ შ ი“.

ჰასანასა და ყურბანას უნდათ კმაყოფილი ცხოვრება. ამ მკონის განხორციელებისათვის მათ ირჩიეს იოლი, ნაკლები წინააღმდეგობის გზა. დაიპირეს მაიმუნი და მოინდომეს მისი ექსპლოატაცია. მაიმუნს დაარქვეს გ ი უ ლ ხ ა ნ უ მ ი. დადიან სოფელ-სოფელ, უწყალოდ, დაუ-

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 254.

² იქვე, გვ. 355.

ზოგავად ათამაშებენ მაიმუნს მაყურებელთა წინ და ამ გზით კრეფენ ფულს. მაგრამ მაიმუნი დაიქანცა, ძალა გამოეცალა.

დალაშქრისას ჰასანა და ყურბანა კმაყოფილნი მოუსხდებიან ვახშამს, მაიმუნსაც უწილადებენ. მაგრამ მაიმუნი არა სჭამს; ის ავდაა. ზომამზე მეტი ჯაფა, ისიც სიცხეში, მან ველარ აიტანა.

ექსპლოატატორები შეუბრალებლები არიან. მეორე დღეს ჰასანა მაიმუნს ძალით მიათრევს ჯაჭვით სოფელში, სადაც ხალხი კალიასავით ირეოდა და შემოსავლის იმედი დიდი იყო. მაგრამ მაიმუნი არ მისდევს, კენესის, გასაქცევად იწევს, „უნდა, — ამბობს ავტორი, — წაიღეს იმ თავისუფლების ქვეყანაში. საიდანაც ბოროტმა კაცებმა ის მოიტაცეს და ამ ტანჯვა-ვაების მხარეში მოიყვანეს. იწევს გიული, ეწევა ჰასანაც. მაგრამ გიული მაინც იძრობს ყელიდან ჯაჭვს და მირბის. მირბის, რა მირბის, სულ მიფრინავს. აღარაფერი სტკივა, მორჩა. დალილობაც დაავიწყდა, ფრთები შეესხა. მიფრინავს გიული თავის სამშობლოსაკენ, როგორც ფრინველი, მიჰქრის, როგორც ქარი, მისცურავს, როგორც ღრუბელი, სულ ცას გაეკრა, რომ ბოროტი ჰასანა ველარ დაეწიოს. მიფრინავს გიული თავის დედისაკენ, თავის უტებ ტყეებისაკენ, თავის ტოლამხანაგებისაკენ. აგერ, თავის სამშობლო ქვეყანაც! თავისუფალია ახლა გიული, თავისუფალი! აგერ, ნათესავები, ძმები, დები, დედა! ეკერის დედას, ძუძუებში ჰკოცნის დედას, ველარ გამაძლარა მისი ალერსით“¹. რა უშუალო, ღრმა, წრფელი ღირისმითაა გადმოცემული მაიმუნის ეს ბუნებრივი დიდი გრძნობა!

მეორე დღეს ჰასანამ და ყურბანამ ბევრი აჯანჯლარეს გიული, მაგრამ ველარ გამოადიძეს. ასე ათაეებს მაიმუნი-გიული თავის გაწამებულ სიცოცხლეს!

რაოდენი სიანლოვე, სიყვარული, მიმზიდველობა უნდა იგრძნოს ბავშვის ნორჩმა გულმა გატანჯულ გიულისადმი, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი არ სტოვებს სამშობლოსადმი, დედისადმი, თავისუფლებისადმი მისწრაფება. როგორი სიმტკიცით, ძალით ჩაიბეჭდება ეს განწყობილება ბავშვის ნორჩ გულშიც, როგორი თანაგრძნობა გაღვივდება ბავშვის შეგნებაში სუსტთა, დაბეჩავებულთა და დაჩაგრულთადმი! განსაკუთრებით როდესაც ბავშვის გარემოცხოვრებაშიც ეს მოვლენები ვითარდებოდა და მოითხოვდა პასუხს.

* * *

სუსტთა, ღარიბთა და დაჩაგრულთადმი თანაგრძნობის გაღვივება; ჩვენება, რომ ღარიბი უფრო კეთილი და სამართლიანია, ვიდრე მა-

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 171.

ძლარი. უფლებამოსილი, თედო რაზიკაშვილის შემოქმედებაში დამახასიათებელი და წამყვანი მოტივია. დაჩაგრულთა, ღარიბთა და ექსპლოატირებულთადმი თანაგრძნობა, მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. უკეთესის მოპოვება და განმტკიცება ხომ თედო რაზიკაშვილის ეპოქის ძძლავრი და ქმედითი მოთხოვნილება იყო. მწერალი გულისხმიერად ეხმაურება ამ საკითხს.

ნიმუშისათვის ავიღოთ ესკიზი „ახალწლის წინა დამეს“.

დეკემბრის დამეა. საშინელი ყინვაა. მთა და ბარი სავსეა თოვლით. გრივალი გრიალებს, პანერში ნამქერი ტრიალებს და უფრო აბნელებს მიდამოს. სოფელში სიჩუმეა. თითქოს ყველა ჩაკეტილია თავის სახლში. ამ დროს სოფლის თავში გამოჩნდა ერთი კაცი ჭოხით ხელში და მხარზე ტომარავადაკიდებული. „თუთრ წვერზე, — აგვიწერს მწერალი, — ყინულები ჩამოჰკიდებოდა. ტიტველი ხელფეხი სიცივისაგან დაღურჯებული ჰქონდა. ტანზე თითქმის არაფერი ეცვა. თავზე ერთი ტყავის დაგლეჯილი და შემქვარტლული ქუდი ეხურა. ტანზე ძველი ჩამოხეული ტილოს პერანგი უჩანდა. გული გაღეღილი ჰქონდა. სასტიკ ქარს თოვლი შიგ გრიალით შეჰქონდა. ძველი შარვალი ქვედატანს ძლივს უფარავდა. მაღალ შუბლზე ნათელი ადგა. მშვიდ სახეზე დიდებულება ჰქონდა გამოხატული“¹. ქარი ზუზუნებდა, არემარეს გლეჯდა, გარეთ ყოფნა შეუძლებელი იყო. კარში ძალიც კი არ გაიგდებოდა. ეს უცნობი მათხოვარი იყო.

მათხოვარმა ბატონიანთ კარს მიატანა. ოჯახის პატრონს შესძახა: დამე გამათევინეო. კარისკაცმა უარი უთხრა. ადგილი არა გვაქვსო და უხეშად მიუხურა კარი. მათხოვარი სთხოვს, ბატონს გადასცენ მისი სახვეწარი. როცა ბატონს მოახსენებენ, ის ბრძანებს გლახა გააგდონ.

ამინდითა და ბატონის გულქვაობით შევიწროებულმა ორადმოხრილმა გლახამ განაგრძო გზა. დაბნელდა. სოფელი შავი ნისლით დაიხურა. გლახა შეწუხდა. მღვდლის კარის წინ გაჩერდა. გასათენებელი ბინა სთხოვა, მაგრამ მოესმა მღვდლის გაჯავრებული ხმა: „ჩემთვის რა მაქვს, მაგას რა ევაჰამო“. გლახა გააგდეს. მღვდელი და სახლობა ტკბილად შეექცეოდა გემრიელ ვახშამს.

შეძლებულთაგან გაუკითხავი მათხოვარა მიადგა ერთი ღარიბის საცხოვრებელს, რომელსაც სახლის მაგიერ ქოხი ედგა. გლახამ ბინა მოსთხოვა. საწყალმა არ დააყოვნა, მოეგება: „მობრძანდით, მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა“... შეიყვანა ქოხში, გაუჩაღა ცეცხლი. როცა გლახამ „მშიაო“ უთხრა, ღარიბი დაღონდა. მაგრამ, გლახის მითითებით, ტალახი პურად იქცა. ძველი ქალამნები — წყალში ჩაყრილ ბატ-

¹ თ. რაზიკაშვილი. საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 20—21.

ნის ხორცად და ქვევრები — ღვინით სავსე. გლახა ქრისტე იყო! საწყალი კეთილი კაცი გამდიდრდა.

ცხადია, თედო რაზიკაშვილს გარკვეული მიზნით აქვს გამოყენებული ხალხური ზეპირმემოქმედების მთარული სიუჟეტი.

თედო რაზიკაშვილი ეუბნება მკითხველს, რომ, ხალხის რწმენით, — ღარიბი უფრო კეთილია, უფრო სათნო, ადვილად გაუგებს გაპირებულ მოძმეთ. იცის მათი თანაგრძნობა, დასმარება. ამისთანა კაცს, მწერლის ჩვენებით, თვით განგება აჯილდოვებს. ასეთია გაგება ხალხისა. რაც ასე მკვეთრადაა აღბეჭდილი ზეპირმემოქმედებაში. ბელეტრისტი მოხდენილად იყენებს ხალხური ზღაპრის ელემენტს, რაც მეტ დამაჯერებლობას აძლევს ნაწარმოებს და იდეაც მაქსიმალური მხატვრული ძალითაც იბეჭდება ნორჩი მკითხველის გულში. ბავშვი დიდი უშუალობით ითვისებს მდიდრების, „დიდი კაცების“ ქედმაღლობასა და უკადრისობისადმი უარყოფით დამოკიდებულებას; შეეცდება გულისხმიერი იყოს დაჩაგრულისა, ღარიბისა და სუსტისადმი.

* * *

თედო რაზიკაშვილი უკვირდება გარემო ცხოვრებას, ხედავს მის მოუწყობლობას, უთანასწორო ბრძოლას არსებობისათვის, რაც იწვევს მცხოვრებთა ინტერესთა სხვაობას, სწორად მათ შორის დაუნდობელ წინააღმდეგობას. ამ ბრძოლაში იმარჯვებს ვერაგი ან ძლიერი, გაბედული, მოხერხებული. ამ ბრძოლაში ჩაბმული კაცი სწორად უფრო დაუნდობელია, ვიდრე ნადირი ან ფრინველი.

ბავშვს — ნორჩ მკითხველს რომ უფრო თვალსაჩინოდ; რელიეფურად დაანახოს და აათვისებინოს ცხოვრების მოუწყვსრიგებლობის ეს ძირითადი ხრახნი, მწერალი ამბავს ნადირთა ურთიერთობის ფონზე გადაშლის.

თედო რაზიკაშვილი ზედმიწევნით კარგად იცნობს ბუნებას — მცენარეებს, გარეულ თუ შინაურ ცხოველებს, ფრინველებს, მწერებს. ის თავის მხატვრულ ნაწარმოებებში მაქსიმალური სიზუსტით აძლევს ცნობებს მათი ყოფის, მოქმედების შესახებ. ბავშვები თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში დაწვრილებით ეცნობიან საქართველოს კოლორიტს, შინაურ თუ გარეულ ცხოველებს: ცხენს, ხარს, მელასს, კურდღელს, მგელს, დათვს, თრითონას, ციყვს, თავგს და სხვას; ფრინველებს: ქათამს, ინდაურს, კაკაბს, კაქკაქს, გუგულს, შაშვს, მერცხალს, ჩხიკვს, ყვავს, სვავს, არწივს, ქორს, ძერას და სხვას; აგრეთვე მწერებს: ფუტკარს, ობობას, ჭრიჭინას. კალიას და სხვას. თედო რაზიკაშვილის მოთხრობები თუ ესკიზები-მინიატურები ქართველ ბავშვთათვის დღემდე ცხოველთა და ფრინველთა შესახებ ბ რ ე მ ის წიგ-

ნების მაგივრობას სწევს. ამ მოთხრობებში სისრულთა და სისწო-
რით არის მოცემული საქართველოს ფაუნისა და ფლორის თითქმის
ყოველი ნიმუში თავთავიანთი სპეციფიკური თვისებებით, ყოფით.

მცენარე-ცხოველთა ყოფის, ურთიერთობის ჩვენებით, თედო რა-
ზიკაშვილი, გარდა ბუნების შოვლენათა არსში ბავშვის უშუალო შეყ-
ვანისა, მეორე მიზანსაც ისახავს: ნორჩ მკითხველს ადამიანთა ურთა-
ერთობა, ცხოვრების შოუწესრიგებლობაც მკვეთრად აგრძნობინოს,
ათვისებინოს და ამ გზით გარემო ცხოვრებაში წამოჭრილი პროგრე-
სული იდეების სწორ ასათვისებლად და გასაგებად ნიადაგი მოუშა-
დოს. ამიტომ თედო რაზიკაშვილი ხადირთა, ფრინველთა და მწერთა
დანასიათებისას ხშირად ხატავს ადამიანთა ურთიერთობას, რომელშიც
კაცი მოჩანს უფრო ვერაგი და დაუნდობელი.

ნიმუშისათვის ავიღოთ „რქიანი (მოთხრობა ნადირთა ცხოვრე-
ბიდან)“. შველი რქიანი ხშირად ასერბებს ხიფათს გაექცეს, თავი
იხსნას მგლებისა და სხვა მტაცებელი ცხოველებისაგან, მაგრამ კაც-
სგან თავდახსნას — ვერა. კაცი უფრო ბოროტი და შეუბრალებელია.
მგლებს გაექცა რქიანი. ის შველას, დახმარებას კაცისაგან მოელის.
ამიტომ ტყიდან სოფლისაკენ გარბის, მისი ფიქრით, იქ, სოფელში
„კაცი დგას, ის მგლებს არ შემაჰმევს, დამიხსნის მოსისხლეებისაგან;
რაც უნდა იყოს, ის კაცია, მგელი ხომ არ არის, მიშველის“¹. მაგრამ
კაციც ისეთივე, თუ მეტი არა, დაუნდობელი, შეუბრალებელი აღ-
მოჩნდება. მან, დაინახა რა დამფრთხალი, მის კარზე შეფარებისა და
დანმარების მიზნით მივარდნილი რქიანი, გახარებულმა ვერაგულად
წარმოსთქვა: „დადალულა, არ მოკვდეს და გაუყარა ყელში ხანჯალა“.

ასეა უსამართლობა, ძალმომრეობა გამეფებული ბუნებაში და კაც-
თა შორისაც. კაციც ისევე შეუბრალებელია. ამიტომ ძლიერ, ძალაუფ-
ლების მქონეთ, რომელნიც თავის ძალას ღარიბთა, ჩაგრულთა, სუსტ-
თა შესაეწროებლად იყენებენ, შეზღუდვა ესაჭიროება ცხოვრებისა
სამართლიან საფუძველზე გარდაქმნის მიზნით.

* * *

ამ უკუღმართი ცხოვრების მოწესრიგება, მწერლის გაგებით, სა-
მართლიანობის საფუძველზე შესაძლებელია, მხოლოდ საჭიროა კა-
ცის ბუნების სათახადო დახვეწა. აუცილებელია სიფ-
ხიზლე, გარჯილობა, ამტანობა. ბრძოლა ბედნიერი ცხოვრების დაწყა-
რებისათვის; კაცი, მწერლის რწმენით. თვითონ ქმნის კმაყოფილ, ბედ-
ნიერ ცხოვრებას მოძმისადმი სიყვარულისა, თანაგრძნობისა და თავი-

¹ თ. რაზიკაშვილი. საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 42.

სუფლების საფუძველზე. ამ მიზნის გახსორციელებისათვის კი საჭიროა პიროვნება აღიჭურვოს სათანადო მომზადებით — ცოდნით, უნარითა და ჩვევებით.

თედო რაზიკაშვილი, როგორც დაკვირვებული მოქალაქე, პედაგოგი, კარგად ხედავს, რომ ცხოვრება წინ მიდის, რთულდება. ახალ პირობებში ადამიანს გაცილებით მეტი ცოდნა და ჩვევა-უნარი სჭირდება, ვიდრე წინათ. ამიტომ მოქალაქე პირველ რიგში უნდა შეიარაღდეს ცოდნით, რომელიც მას გარემოში გარკვევის შესაძლებლობას მისცემს და სინამდვილის გონივრული გარდაქმნისათვის ბრძოლის საშუალებებს გამოანახვინებს. აძლევს რა სათანადო ხარკს თავისი დროის მოთხოვნილებას, თედო რაზიკაშვილიც გადაუდებელ მოთხოვნილებად აყენებს სწავლის, განათლების აუცილებლობას. სკოლაში უნდა სწავლობდნენ როგორც ვალები, ისე ქალები.

თედო რაზიკაშვილის „პატარა ხანუმა“ აი როგორა გადამღები ხალისით შთაგონებს ნორჩ მკითხველს ენკენისთვეში სწავლის დაწყების პათოსს: „ენკენისთვის პირველში გაისმა სკოლის ზარის წკრიალიც და ერთს წამს შემოუარა სოფელს. ზოგს ბანიდან ჩასძახა, ზოგს კარებიდან, ყველგან ხმა მიაწვდინა. მოსწავლე გოგო-ბიჭებმა მოძებნეს თავისი აბგები. ზოგი წიგნს ეძებდა, ზოგი დაფას, ზოგი კალამს. პატარა ხანუმას კი საძებნელი არაფერი ჰქონდა. ის მოუთმენლად მოელოდა მინდვრიდან ვასოს მოსვლას, რომ სკოლაში გაჰყოლოდა.

მეორე დღეს მასწავლებელთან იდგა მორცხვი ხანუმა და სიხარულით შესცქეროდა კედლებზე გაკრულს ათანაირ სურათებს, თითქოს პირველად ხედავსო. დაფამა და წიგნმა ხომ სულ გადარიეს. სკოლის წიგნში ეწერა: „ლიზა ბეჯითაშვილი მიებარა ორს ენკენისთვეს 1892 წელს“¹.

თედო რაზიკაშვილი დაბეჯითებით მოუწოდებს თავის მკითხველს სწავლისაკენ. განათლება მას ცხოვრების კარს გაუხსნის და, თუ გონიერი იქნება, გაიმარჯვებს.

ცნობილია, საბავშვო მწერალი ბავშვთა რაციონალური გართობისა და აღზრდისათვის წერს: ბავშვისათვის ადვილად გასაგებ და მისაღებ სამყაროსა და მოქმედ პირთ ანსახიერებს. საბავშვო ლიტერატურა, აღნიშნული თვისებების გამო, ხელს უწყობს ბავშვის ბუნების, მისი ხასიათის ზრდას, გაშტკიცებას, მისთვის ცხოვრებაში შესაფერი თვისებების გაშომუშავებას, მისი მსოფლმხედველობის დახვეწას. აქეთკენაა მიმართული თედო რაზიკაშვილის საბავშვო მწერლობა. ის მოხდენილად, თვალსაჩინოდ, ხელშესახებად იძლევა მოქმედი პირების

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 35.

საშუალებით ამა თუ იმ დადებით ან უარყოფით თვისებას, მიმართულებას, მიდრეკილებას.

მაგალითად, ცნობილია ბავშვის ბუნებრივი განვითარება ვერ ეგუება ზედმეტ შებოჭვას; ბავშვი სილალეს უნდა გრძნობდეს, მისი ნორჩი გული და მხრები მდგომარეობის სიმძიმის ქვეშ არ უნდა იკუმშებოდნენ და იზნიჭებოდნენ. საჭიროა ზომიერი სითამამე, გამბედაობა. გაბედული იმარჯვებს. ამიტომაც რუსმა დიდმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში გაბედულად გამომოსროლა: „незримость храбрых поэм мы слышу“. ესეც ეპოქის ძახილი, მოწოდება იყო. ნიმუშისათვის ავიღოთ „სათაგეთის ამბავი“.

გაბედულებამ, სითამამემ „გადაფრინდას“ — თავეს გადაარჩენინა შიმშილით სიკვდილს. თავისი მოძმეები. თავისი და თანამოძმეების შიმშილით შეწუხებული „გადაფრინდა“ გაბედულად და დიდი მოხერხებით შეძერება მასწავლებლის ოთახში, სადაც მას საკმელი ეგულება. მართლაც, იქ ის აუარებელ საცუცნავს ნახავს, გახარებული მხნედ ჩასძახებს შეშინებულ, იმედგაწყვეტილ თავებს: „თქვე ჩემი ცოდვით სავსენო, თქვენა, რა კატის ჯარი დაგეცათ თავსა, ან თრითინას ლაშქარი! რას იმალებით, ადექით ჩქარა, საშოვარი ბევრია. ოთახის პატრონი წასულა სადღაც, იქაურობა სავსეა საყოკლოზინავეებით“¹.

„გადაფრინდას“ ასეთი რიხიანი, თამამი ხმის ვაგონებამ ყველას სიხარული, იმედი მოჰგინა, დიდი და პატარა ფეხზე დააყენა. „გადაფრინდას“ წინამძღოლობით ყველა თავი დოსტოლოვ ოთახში ავიდა. სიხარულით მაგიდაზე შეხტნენ, გამგებულნი ეცნენ მასზე დალაგებულ ხილს. „ზოგი თხილს, ზოგი ნიგვზის ჩურჩხელას ებრძვის, როგორც დავითი გოლიათსა. ზოგი გოზინაყს გიახლება“². ასე დანაყრდნენ, გაძლნენ. „გადაფრინდა“ აღარც ამით კმაყოფილდება. უნდა გაზედოს, რაც არც მას და არც სხვებს ჯერ არ გაუბეღიათ. და თავებს ომანიანად შესძახებს: „მოიტა, ბიჭო, დავლით ე არაყი. თუკი კაცები სმენ, ჩვენ რალა დაგვემართა, რომ ვერ დავლიოთ. დავასხათ და ჩამოვაყოლოთ“³. ყველამ ცოტ-ცოტა დალია. სადღეგრძელოებიც თქვეს, შექეფიანდნენ. კმაყოფილი თავები სიხარულით გაიძახოდნენ: „აბა ამას ჰქვია დროების გატარება! ძალიან გავიხარეთ“⁴.

„გადაფრინდამ“ არც ეს აკმარა თავებს. მუსიკის დაკვრაც მოინდო-

¹ თ. რაზიკაშვილი, „საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 49.

² იქვე, გვ. 50.

³ იქვე.

⁴ იქვე.

მა, ააცუნტრუკა ყველა. შემდეგ შემოსძახა კიდევ. ამ დროს შემოსულმა პატრონმა თავგები დააფრთხო, მოანახვინა სორო. მაგრამ გემო გაბედულებისა თავგებს გაგებული აქვთ, გზა უკეთესი ცხოვრებისაკენ გაკვლეულია. ამ უკანასკნელისაკენ მისწრაფებას, მისკენ გაბედულად წასვლას თედო რაზიკაშვილი დადებითად აფასებს. მკობხველსაც უნერგავს ამ გრძნობას. ამასვე თხოულობდა ეპოქა.

მაგრამ თედო რაზიკაშვილმა ისიც კარგად იცის, რომ გადამეტებული გაბედულება, სითამამე არ გამოდგება. ის ხშირად მახინჯ, მავნე ხასიათს იღებს. კაცს ყოველთვის წინდახედულობა უნდა ახასიათებდეს, არ უნდა აპყვეს ცრუ თავმოყვარეობას. ამის ცოცხალ, თვალსაჩინო, ჭკუის მასწავლებელ მაგალითს მწერალი ბავშვს აძლევს მოთხრობებში „მ გ ლ ე ბ ი“, „გ უ ლ ა დ ი მ ა მ ლ ა ყ ი ნ წ ა ს ა მ ბ ა ვ ი“ და სხვ.

მოთხრობაში „მგლები“ დიდი უშუალობით, სოფლისა და მეცხვარეთა ცხოვრებისა და ჩვევების კარგი ცოდნით აღწერილია ერთი ჩვეულებრივი სახიფათო ამბავი მწყემსების ცხოვრებიდან.

გამოცდილი, გაბედული, გულადი მწყემსი ხარანაული უამბობს ამხანაგებს თავის შეხვედრას მგლების ხროვასთან. ის არა მალავს, რომ შიშიც დიდი ჰქამა, მაგრამ წინდახედულობითაც თავი გადაირჩინა.

ახლაგაზრდა, გაბედული, გულადი მწყემსი ნადიბაიძე ხარანაულის ამბის მოსმენის შემდეგ ამაყად განაცხადებს: „ვერც შემაშინებენ მგლები და ვერც რას მიზამენ!“¹

ნადიბაიძეს გამოცდილი, წინდახედული მწყემსი ბეწინა ეუბნება: „არ გადაგზნია თავსა, ნადიბაიძე, ძამიავ, იმიტომ ამბობ მაგრე, თორემ თუ სადმე დაგეხვიენ... ავად გაცვლევინებენ ფერსა“². მაგრამ ნადიბაიძე მაინც ახირებულად გაიძახის: „აი, ეს ბურთი და მოედანი; ახლაც ხომ ნაკლები ღამე არ არის და არც ნაკლები მგლები. მე სანადლესთვის ახლა ლაგოდებს წავალ და იქიდან ღვინოს მოვიტან. ხომ იცით, გზაც შორია და თავმოუფარებელი მინდორიც, კაცს რომ გაუჭირდეს, ერთ ხეს ვერაჲ ჰნახავს“³. ნადიბაიძე თხოულობდა ათ თოხლზე დანაძლეებას.

მწყემსებმა ბევრი უშალეს, მაგრამ ნადიბაიძე თავმომწონედ, ახირებულად მოითხოვდა დანაძლეებას. ბეწინამაც თანხმობა განუცხადა, თუმცა დარბაისელი, გამოცდილი მწყემსები არ ურჩევდნენ. ნადი-

1 თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ: 128.

2 იქვე, გვ: 129.

3 იქვე.

ბაიძემ არ დაიშალა. მწყემსებმა მაინც დაარიგეს, როგორ მოქცეულა-
ყო ის, ხიფათი თუ შეხვდებოდა.

ნადიბაიძემ აიღო თოფი, პატრონები, შემოირტყა ხმალი და თამა-
მად გაუდგა გზას. გამოცდილი მწყემსები შეფიქრიანდნენ. უბედუ-
რება არ შემთხვეოდა ნადიბაიძეს: წინდახედულობა გამოიჩინეს, არ
დაიბნენ, ცხენებიც მზად იყოლიეს, თუ გაჰირდება, დავებმართოთ.

მართლაც, ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ ძალებმა საერთო ყეფა და
განგაში ასტეხეს. მწყემსები მაშინვე გარეთ გამოცვივდნენ. თოფის ხმა
შოესმათ. მას მოჰყვა შეორე, მესამე და შემდეგ ზედიზედ. შეფიქრია-
ნებული მწყემსები შესხდნენ ცხენებზე, მისაშველებლად გაეშურნენ.

მართლაც, ნადიბაიძე დიდ გაჰირებაში ნახეს. „მწყემსები, — ნათქ-
ვამია, — რომ მივიდნენ, მგლის ჯოგი გაქცეულიყო მათ მიახლოვებაზე.
ნადიბაიძეს თოფი გადაეგდო და ოთხივე კუთხივ ხმაღს იქნევდა, ხან
ჰკიოდა; იქვე ორი შველი შუაზე გაჰრილი ეგდო. ბევრი უყვირეს
მწყემსებმა, ბევრი უძახეს, ნულარ გეშინიან, ჩვენა ვართო, მაგრამ ვე-
ლარა გააგონეს რა“¹.

აი რა სასაცილო და უსიამოვნო მდგომარეობაში ჩავარდა ცრუ
თავმოყვარე, წინდაუხედავი, თუმცა გულადი, გაბედული, კარგი ვაჟ-
კაცი ნადიბაიძე.

მოთხრობაში ნადიბაიძეს სახიფათო საქციელი ისეთი უშუალობით,
ისეთი დამაჯერებლობითაა შოცემული, რომ, უდავოა, ნორჩ მკითხ-
ველს ძალუმად შთაებეჭდება მეხსიერებაში ეს გონიერი, მაგრამ მწა-
რე გაკვეთილი.

არახაკლებ, შეიძლება ითქვას, დამახასიათებელი და ჰკუის მასწავ-
ლებელია მამლაყინწაზე მოხდენილად გადატანილი გამოუცდელი
ახალგაზრდა კაცის დაუფიქრებლობის, ქედმაღლობის მავნე, დამღუპ-
ველი შედეგები „გულადი მამლაყინწას ამბავში“. სა-
ბავშვო ნაწარმოები არა მარტო ბავშვთა ჰკუის მასწავლებელია და
აღმზრდელი, არამედ, მოზრდილთათვისაც საგულისხმო. ამას უდავოდ,
მთლიანად ამართლებს თედო რაზიკაშვილის საბავშვო მოთხრობები.
ბევრი მათგანი ბავშვის აღზრდის სისტემის ავი და კარგი გზის დამა-
ჯერებლად მაჩვენებელია. ასეთი ხასიათისაა ზევით განხილული მოთხ-
რობები. ასეთია „გულადი მამლაყინწას ამბავიც“.

კრუხის საბუღარში ერთი სამამლე ყველაზე ადრე გამოიჩეკა. მოე-
წონა მას ქვეყანა. თავის შემდეგ გამოჩეკილებს ზემოდან დაუწყო
ცქერა. თანატოლებში არ ერეოდა, „გარგარ დადიოდა, თავმოწონებით
იბღინებოდა“. სამამლემ იუკადრისა ამ წერილფეხობასთან გოდორში
ყოფნაც, გამოძვრა, თავმოწონეთ შემოუარა გოდორს, მაგრამ შესცივ-

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 131.

და, მიატანა კრუხის — დედის უბეს. სითბოში კარგა მოიშუშა. მალე სხვა წიწილებიც გადმოსხეს საბუდრიდან, გარეთ ყოფნა სუყველას მოეწონა. სამამლე კი მედიდურად დასწიოდა თავის და-ძმებს. „მე ვნახე პირველად ეს ქვეყანა და მზე! მე მეკუთვნის მზეც და ქვეყანაც, ჩემო დებო და ძმებო!.. მე რომ არ გამოვმძვრალიყავ პირველი, თქვენ რას იბოვიდით? საქათმიდან კი გამოვპოფდით თავს?... ვინ დაგანახვებდათ ქვეყანას? ვინ დაგატკობდათ მზის შუქით? ამოგძვრებოდათ სიბნელეში სული, დაიხოცებოდით ქვეყნის უნახავნი. მე ვარ, რაცა ვარ! ახლა გავიზარდო, მაშინ ნახეთ, რა იქნება!“¹

სამამლე წიწილა ყოველთვის ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ის უფრო შემძლეა, ვიდრე იმისი და-ძმები. ამას ის ავლენდა სწრაფ კენკაში, კიაყელას გადაყლაპვაში და ა. შ. ხშირად მას ამ უპირატესობის ჩვენება ვერ გამოსდიოდა. ის მაინც იხტიბარს არ იტესდა. „მულამ გაბერილი და გასიებული დაიარებოდა, ამრეხილი, გაჯავრებული. მხრები მულამ აწეული და აფხორილი დაქონდა. ეხლა თავის და-ძმებს კი არა, სხვა ვარიებსაც ებრძოდა. მეტისმეტი მოუთავსებელი ხასიათი ვაუხდა. დედა ბევრს არიგებდა, სტუქსავდა კიდევ, მაგრამ სამამლია წიწილა ყურს არ იბერტყავდა“².

გავიდა ხანი, მამლაყინწამ ყვილი დაიწყო. უფრო მედიდური გახდა. „მე ეხლა დიდებული მამლაყინწა ვარ! რა ვუყოთ, თუ ჩემზე ხმამალა დიდი მამალი ყივის, ის ბრიყვია! მე ვარ, რაცა ვარ!.. ეი, შენ, ვარიკავ, აქეთ შემომხედე, ვარ დიდებული და ქებული თუ არა? იქით ჩქარა, თორემ ამ საათში თავს შუაზე გავიჩეხ ამ ჩემი აღმასივით ნისკარტითა“³. და თუ უმალ დადებითს პასუხს არ მიიღებდა, გაბრაზებული ნისკარტს თავში ჩასცხებდა.

ერთხელ ყვინჩილა სასტიკად განრისხდა: ერთმა ვარიკამ მას საკმარისი მორიდებით უთხრა: „დიალაც, ძმაო და ამხანაგო, რომ ქებული და დიდებული ხარ, ვინ არ იტყვის მაგას“⁴. ასეთი უბოდიშო თქმის გამო მეტად დამახასიათებელი დიალოგი გაიმართა მათ შორის:

„— ვინ არის შენი ძმა და ამხანაგი, შე ბრიყვო, შენა? გავეხარდება კი რომ ტოლად გავიხდე, არ იცი, რომ ბატონობით უნდა მომიხსენიო?“

— ბატონო მამლაყინწავ, ნუ გამირისხდები, თუ შენი საკადრობის სიტყვა-პასუხი არ ვიცი. მე ერთი გაუზრდელი ვარიკა ვარ, ბრიყვი და უვიცი.

¹ თ. რაჭინკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947; გვ. 307—308.

² იქვე, გვ. 311.

³ იქვე.

⁴ იქვე.

— სწორეს ლაპარაკობ, — თქვა ბლენძით მამლაყინწამ, — მე ეხლა ბატონი ვარ და მალეც ყველა შეიტყობს ამას¹.

ამის შემდეგ სწორედ განკიცხვის დღე დაუდგათ ვარიკებს, ყვინჩილა-მამლაყინწებს, ინდაურის ჭუტეებს, ბატის თუ იხვის ჭუჭულებს. მამლაყინწას მედიდურობას, თავგასულობას უკვე საზღვარი აღარ ჰქონდა: ვარ ბატონი თუ არა შე პირუტყვო? — „და ჩასცხებდა საცოდავ ჭუჭიას“².

თედო რაზიკაშვილმა უფრო რომ გაამახვილოს მამლაყინწას ამალელებელი, მიუღებელი, დამღუპველი ქცევა და უმსგავსი მოპყრობა მოძმეთადმი (რასაც ადამიანთა ცხოვრებაშიც ხშირად ვხვდებით), უკანასკნელთა უკმაყოფილებასაც დამახასიათებელ ფერებში იძლევა: „ვაი, ვაი, ვაი! წყალსაც წაუღია ყველა ბატონები და შენც იმათთან! ნუ მოხვალ, შე გასაქვავებლო!“

თედო რაზიკაშვილმა მოხერხებულად ჩააქსოვა ამ მოთხრობაში კრიტიკა ბატონებისა, რომელნიც ბოროტად იყენებდნენ თავიანთ უფლებასაც და მდგომარეობასაც. მწერალი მიუთითებს, რომ კაცის ბუნებას, ხასიათს, თავგასულობას, ქედმაღლობას პირობები ქმნის — აღზრდა, საზოგადოებრივი ყოფა და ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილება.

აი როგორ გამოხატავს ამას მწერალი დიალოგში:

„— ეს ძალიან თამამი მამალი იზრდება, — იძახდა პატრონი, — სწორედ ნამდვილი მამალია, მაგის დაკვლა არ შეიძლება, უნდა შევიინახო.“

— ეს ბალღი ძალიან ცუდათ დააბოლოვებს თავის სიცოცხლეს, — ამბობდა დიდი, გამოცდილი მამალი, — ძალიან იწევს თავში. თავს შეჰკრავს სადმე!

— ჯა, ე სახელგაწყვეტილი, — ჯავრობდა დიასახლისი, — სულ ამოხოცა წიწილები, არ ვიცი, რა ვუყო? მაგ კაცის ბრალია, არა შერება, — თამამი, თორემ აქამდე ათჯერ დაკვლავდი!“³

მართლაც, ამ თავმომწონე, ქედმაღალმა ყვინჩილამ მეტად ცუდად, ლაჩრულად დაამთავრა თავისი სიცოცხლე. ქორი რომ დაეცა, ვერავეითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ქორს როცა ის მალლა-მალლა მიჰქონდა, თითქოს ამაშიც თავის უპირატესობას ჰხედავდა.

ბავშვი ადვილად მიხვდება მოთხრობის დედააზრს, მიზანდასახულობას. ადვილად გადმოიტანს ადამიანზე ამ ამბავს და ბუნებრივად

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 312.

² იქვე, გვ. 312.

³ იქვე.

გამოუმუშავდება შეხედულება, აზრი: ასე მოუფა ყველას, ვინც მამ-
ლაყინწასავეთ მოიქცევა, ვინც გონივრულად არ შეაფასებს თავის ძა-
ლას, ნიქს, უნარს.

* * *

თედო რაზიკაშვილმა კარგად იცის, რომ უარყოფითი ხასიათის გან-
ვითარებას ხშირად, ძალიან ხშირად ხელს უწყობს არარაციონალური
აღზრდა: ბავშვის უაზრო და განუზომელი განებივრება, ქება, დაუმსა-
ხურებლად წინ წამოწევა. ეს მოზარდში იწვევს ცრუ თავმოყვარეო-
ბას, ამპარტაუნებას. იგი დაუმსახურებლადაც კი ყველგან და ყველასა-
გან თავისი უპირატესობის აღიარებას თხოულობს. ეს უარყოფითი, მა-
ვნი თვალსაზრისები მას დავაყვაცებაშიც მისდევს, რაც ხშირად ღუპავს.
ამგვარი შეხედულების ნიჭიერ ილუსტრაციას თედო რაზიკაშვილი
იძლევა მოთხრობაში „ფ ა ლ ა ე ნ ე ბ ი“.

დედა გოგლიას ბავშვობიდანვე აგონებდა, რომ ის ღონიერია,
გმირია, გოლიათია; რომ ის სხვაზე უკეთესია, რომ ის გამოირჩევა.
„ვინ გაუძლებს ჩემს ფალავანს, ჩემს რკინის კვანძულს დეკემბრის“ —
გამუღმებით შესძახოდა დედა გოგლიას. იმანაც თავში ჩაიდო, რომ
ის დეცია, მას ვერავინ გაუძლებს და პატარაობიდანვე დაიწყო თავის
ძალის გამოჩენა სუსტებზე — კატაზე, მამალზე, ინდაურზე. მათ მოს-
ვენებას არ აძლევდა, უწყალოდ სტანჯავდა. ხანდახან ინდაურიც გა-
მოიჩინდა ხოლმე თავის ძალას და გოგლიას აატირებდა ხოლმე, ფრთო-
სა თუ ნისკარტის შემორტყმით. მაშინვე დედა წაეჭომაგებოდა ხოლ-
მე, გოგლია გამარჯვებული გამოდიოდა, რითაც დედა გოგლიაში მედი-
დურობას აღვივებდა¹.

მაგრამ გოგლიას ყოველთვის როდი ახლდა დედა. ერთხელ ის პა-
ტარა ლეკვებმა სამარცხვინოდ დაამარცხეს. ბიჭის უდიერმა მოპყრო-
ბამ ლეკვები გააბრაზა. კანკები აუწვეს. გოგლია ლეკვებს სამარცხვი-
ნოდ ეხვეწებოდა: „გამიშვით, გამიშვით, გეყოფათ, კმარა, ძალიან ნუ
იკბინებთ, ე!“². მაგრამ გოგლია ამ მწარე გაკვეთილებს ვერ იყენე-
და და ხშირად უარეს მდგომარეობაშიც ვარდებოდა.

ასეთია მავნი, უაზრო, გადაჭარბებული ქება-წაქეზება, სიყვარუ-
ლი მშობლისა იქნება თუ აღმზრდელისა.

ასეთი აღზრდის მანკიერებაში თედო რაზიკაშვილის „ფალავნები“
არა მარტო მშობელს, არამედ ბავშვებსაც კი ადვილად აჯერებს, მათ
განწყობილებას აჯანსაღებს. განა ცოტა შემთხვევაა, როცა დედა ან

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 77.

² იქვე.

მახლობელი ბავშვს დაუწყებს ხოლმე უადგილოდ ქებას. ბავშვი-წითლდება, სცხენია და დედას თუ მახლობელთ უკმაყოფილებას უცხადებს.

ამიტომ მშობელიც და მასწავლებელიც, გვარწმუნებს მწერალი, ფხიზლად უნდა იყვნენ გონიერი აღზრდის სადარაჯოზე, ფაქიზად მოექცნენ ბავშვის სულს, გაუფრთხილდნენ.



თედო რაზიკაშვილმა კარგად იცის, რომ ბავშვის აღზრდა დიდი და რთული საქმეა. აღზრდელს განსაკუთრებული ყურადღება, დაკვირვება სჭირდება. მან, მშობელი იქნება ის, მახლობელი თუ მასწავლებელი, კარგად უნდა გაითვალისწინოს, რომ ბავშვს ამზადებს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მას უნდა ესმოდეს, რომ ცხოვრება ყველაზე ბრძენი, ნაყოფიერი მასწავლებელია, მაგრამ, ამასთანავე, მეტად მკაცრი. ცხოვრება ყველასაგან დაჟინებით მოითხოვს საქმის, დავალების ზუსტად და დროზე შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში უღმობელია თავისი განაჩენით. მოუფიქრებელ ნაბიჯს კაცს არ აპატიებს, ხოლო თუ ეს მოუფიქრებელი ნაბიჯი სხვებს ზიანს აყენებს, უფრო მკაცრი და დაუნდობელია. ამიტომ ახალგაზრდას ბავშვობიდანვე უნდა გამოუმუშავდეს სათანადო საზოგადოებრივი მისწრაფებანი და ჩვევები.

თედო რაზიკაშვილის აზრით, ბავშვს უნდა ჰქონდეს იმის შეგნება, რომ , რასაც აკეთებს, კარგად იცოდეს, თორემ სხვის გაკეთებულსაც გააფუჭებს. ასეთს შეხედულებას ჩვენი მწერალი თვალსაჩინოდ გამოხატავს ეტიუდში „მ შ რ ო მ ე ლ ი“. ბებე ქეთევანი გულმოდგინედ კრეფს საწინდე ძაფს. ეტყობა ძალიან ეჩქარება. ქრაქისა და ცეცხლის სინათლეზე დაუღალავად ძაფს ხვეწავს. არაფერს ყურადღებას არ აქცევს. გვერდით უწევს გულთეთრი კატა, შესცქერის ბებე ქეთევანს. შუალამე გადავიდა. ბებე ქეთევანიც დაწვა. დარჩა ციკუნია მარტო. ციკუნია იცის, რომ ბებეს ეჩქარება წინდის მოქსოვა, ხვალ თეკლიას მამა ქირაზე უნდა წავიდეს და ფეხზე წინდები არ აცვია. ციკუნიას უნდა მიეშველოს ბებე ქეთევანს. მოინდომა წინდის ქსოვის გაგრძელება. მონახა წინდა ბებეს ბალიშს ქვეშ, გამოიღო: ატრიალებს, ჰსუნავს, როგორღაც არ ემარჯვება. წინდის ჩხირები უშლის, გამოაძრო წინდის ჩხირები: „ჩაჰკვიდა ციკუნია წინდის თავს კბილი, აიღო მაღლა, მერე კანჭებით დაიჭირა, გადააქვს და გადმოაქვს იქით-აქეთ ეს თათი, როგორც ბებე შერებოდა, თან მეტა სიფიცხით მაღლა ისვრის, საითყენაც თათი გადავარდება, ისიც იქით ტრიალებს, ხან ზურგზე, ხან კუდის თავზე: თან გორგალიც გორავს, ძაფიც იწე-

წება, ახლა გორგალს ეცა, წააჯდა ზევიდან, გორგალი გაგორდა, გაჰყვა ციციოც, გააქვს და გამოაქვს. ხან ტახტქვეშ შეაგორა, ხან გოდრის ქვეშ... ჩასტიდა ძაფს პირი, ტერფი ფეხებით დაიჭირა, ეწევა ძაფს, ფრთხილებს თათი, უბევრდება ძაფი ციციუნიას“¹... დახედა ციციუნია, ნაქსოვი ტერფი დაილია, თითქოს სადღაც გაიპარა. ნართიც აწეწ-დაწეწა, დაიხლართა და თითქმის დამთავრებული წინდაც დაარღვია.

რა ხალისის მომგვრელი ბუნებრიობითაა აღწერილი ციციუნიას ზიცილქე, ნავარდობა! როგორი დამაჯერებლობითაა მოცემული ციციუნიას შეუფერებელი სურვილი დაეხმაროს ბებე ქეთევანსა და დახმარების მაგიერ გაკეთებულ საქმეს რომ დაუშლის.

ავტორი გვეუბნება: საქმის გაკეთებას ცოდნა უნდა, ცოდნა კი სწავლითა და დაკვირვებით მოდის. და ბავშვიც შესაფერ რეაგირებას ახდენს, ჰკუას სწავლობს, გამოცდილებას იღებს.

* * *

თავის შეკავება, სურვილის საჭიროებისამებრ სათანადო კალაპოტში ჩაყენება, მისთვის ბუნებრივი გზისა და მიმართულების მიცემა დიდ როლს თამაშობს. თედო რაზიკაშვილიც საჭიროდ სთვლიდა ამ თვისებათა განვითარებას აღრიდანვე, როდესაც ბავშვის ბუნების ფორმირება ხდება, ამიტომ მის შემოქმედებაში ხსენებულ თემას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია.

ამ მიმართულებით თედო რაზიკაშვილს შექმნილი აქვს რამდენიმე ნიჟიერი ნაწარმოები. ნიმუშისათვის ავიღოთ „ქ უ რ დ ი“.

ახალწლის წინა დღეა. ოჯახი ჩვეულებრივ სამზადისშია. პატარა რეზიკო დედის გარშემო ტრიალებს. დაჟინებით თხოულობს ცოტა ნიგოზი მისცენ; ახალი ტანისამოსიც, დედას რომ მისთვის მოუშზადებია, დღესვე ჩაიცვას, ფოჩიანი კამფეტებით, მამამ რომ საახალწლოდ მოუტანა, პირი ჩაატყბარუნებინონ. დედა არიგებს: „როგორ იქნება, შვილო, მოითმინე ამაღამაც და ხვალ აქ არ იქნება!“² რეზიკოს მოესმა გოზინაყის შიშხინი, ტყაცა-ტყუცი ტაფაზე. რეზიკოს თაფლისა და ნიგოზის სუნი ცხვირში უღიტინებდა.

რეზიკომ საკმაო გოზინაყი ჰქონდა, ტაფა მოფხიკა და გოზინაყიან თეფშებს შეციებულნი გვერდები ააციცქნა, ფოჩიან კამფეტს კი მაინც ვერ მისწვდა. დედისკომ რეზიკო აღერსით ძლივს დააძინა, მაგრამ იმ კამფეტის ჯავრი მას ძილშიც ჩაჰყვა. გამოეღვიძა რეზიკოს. დამეა. ყვე-

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 81—82.

² იქვე, გვ. 164.

ლას სძინავს. ისევ ის კამფეტის აწუხებს. თავის გვერდზე დალაგებული პარკები მოაგონდა: „რას უშავს, რომ ვნახო, სანამ გაულვიძიოთ, რა ჭურის ხილია?“ რეზიკო წამოჯდა ლოგინში. ჯერ ყური დაუგდო, რალაც ფხაკუნის და ძაღლების ხმა ისმოდა. დაფრთხა. საბანში ჩაყო თავი. დასძლია შიშსაც და ცალი თვალი მაინც პარკისაკენ გაეჭყა. პარკი რეზიკოს მოსვენებას არ აძლევდა. პარკს ნელ-ნელა მიუახლოვდა: „ჯერ ერთში ჩაყო ხელი: რა ტკბილი იყო ის ინდის ხურმა! ბევრის ჭამა კი არ შეიძლება, დედა გაიგებს“, მერე მეორე ნახა, ბოლოს კამფეტის პარკშიც ჩააპარა ხელი. ის იყო დიდი კამფეტი უნდა ამოეთრია, რომ უცებ რალაცამ გაიფრთხილა, ეცა პერანგის სახელოში რეზიკოს და გაქანდა ილიისაკენ“¹. რეზიკო შეშინდა, საშინლად დაიყვირა და ღრიალით ლოგინზე გაიშლართა. ამ ღრიალზე დედას გამოეღვიძა, მივარდა გულწასულ შვილს და ძლივს მოაბრუნა. თურმე იმ ფოჩიანი კამფეტისათვის თავის მიეგნო, ძალიან მოსწონებოდა ფოჩები თავის საბუდრისათვის და როცა ის კამფეტს ფეჭენიდა, რეზიკოსაც მაშინ ჩაეყო ხელი. „მეორე დღეს, — გადმოგვცემს მწერალი, — დიდ კამფეტს ვერც კი შეხედა ჩვენმა ქურდმა“.

მწერლის აზრი ასეთია: ვისაც არა აქვს მოთმინება, თავის შემაგრება, ის მიზანს ვერ მიაღწევს, საკუთარ და სხვათა მშვიდობიანობასაც დაარღვევს და თავსაც შეირცხვენს. ბავშვმაც პატარაობიდანვე უნდა შეითვისოს, რომ „მოთმინება კარგი საქონელია“, თავის თავზე კაცი უნდა გაბატონდეს, ცდუნებას ადვილად არ უნდა გაჰყვეს, წადილს, განსაკუთრებით მდაბალს, მანკიერს უნდა დროზე ლაგამი ამოსდოს.

თედო რაზიკაშვილის ეს და სხვა ამგვარი მოთხრობები არა მარტო ბავშვთათვის არის ცოცხალი სარკე სინამდვილისა და ჭკუის მასწავლებელი, არამედ ისინი, უდავოდ, მშობელთა და აღმზრდელთაც დიდ სარგებლობას მოუტანენ.

* * *

თედო რაზიკაშვილის ეპოქა გარდამავალია. მშრომელთა აღმავლობის. გავლიძების, რევოლუციური ბრძოლის ხანაა. საჭირო იყო გაბატონებული, მჩაგვრელი კლასებისადმი მშრომელთა შურისძიების გავლიძება, გამძაფრება, ამ მიმართულებით ახალგაზრდა მკითხველთა განწყობილების განვითარება. თედო რაზიკაშვილიც, ეს ბავშვის სუ-

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 165.

ლის ინჟინერი. ეხმაურება რა ეპოქის მოთხოვნილებას, წერს საყმაწვილო თხზულებებს, ნორჩი მკითხველისათვის ადვილად ასათვისებელი ფორმით.

ნიმუშისათვის ავიღოთ ამბავი „სამაგიერო“: ვანუა ქრიჭინაშვილი კარგა ხნის განმავლობაში სიმინდის თოხნაშია. სიმინდები სოფლიდან საკმარისადაა მოშორებული. მარტოხელა ვანუას ხელსახოცით დილით მიჰქონდა სადილ-სამხარი — ყველი, პური და ლიტრით წყალი. ყველსა და პურს ის ხეზედ ჰკიდებდა. ეს მალე შენიშნა ერთმა ყვავმა და სისტემატურად ჰპარავდა ვანუას ხან პურსა და ხან ყველს. ვანუას ყვავი თითქმის შიმშილით კლავდა.

ვანუამ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ყვავი ყველგან მიაგებდა ხოლმე ვანუას მიერ დამალულ საგზალს.

ცოლმა ურჩია ყვავისათვის ბუდე ჩამოეშალა. მაგრამ ვანუამ მორიდომა ყვავი უფრო მკაცრად დაესაჯა. ავიდა ხეზე, რომელზედაც ყვავს ბუდე ჰქონდა გაკეთებული, ამოიღო ბუდიდან კვერცხები, მოხარშა და შემდეგ ისევ ჩაუწყო ბუდეში. ყვავი დიდხანს იჯდა კვერცხებზე, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოჩეკა. ასე მწარედ დასაჯა ვანუამ თავხელი, დაუნდობელი ყვავი.

„სამაგიერო“ მწერალს დაწერილი აქვს 1901 წელს. ეს მშრომელთა პირველი რევოლუციური დემონსტრაციების დროა.

ბავშვის გულის მესაიდუმლე ავტორის მიზანია ამ მოთხრობით ახალგაზრდა მკითხველის შეგნებაში გააღრმავოს მშრომელთა სიძულვილი მჩაგვრელებისადმი. ფრინველთა, ნადირთა და მწერთა ყოფაცხოვრების, ურთიერთობის დახატვით ნორჩ მკითხველს ადამიანთა შორის არსებული რეალური დამოკიდებულება დაანახვოს.

* * *

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თერგდალეულთა მიერ ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით დიდი აქტუალობით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტი. საზოგადოების ყველა ცოცხალი-შემოქმედი ძალა დიდი გულისხმიერებითა და ენთუზიაზმით გაჰყვა ამ ბრძოლას. მაგრამ ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ისე ადვილი შეიქნა. აღმოჩნდნენ როგორც ვარეშე მძლავრი მტრები — ბიუროკრატულ-პოლიციური მონარქიული რეჟიმი, კოლონიალური პოლიტიკის უხეში მოხელეებით, ისე არანაკლები შინაური მტრები — დეგრადაციის გზაზე დამღვარი პრივილეგიური კლასი, კარიერის მაძიებელნი, შეშინებულნი, თავის ნაქუქში ჩაკეტილი ქართველებიც

თედო რაზიკაშვილმა, როგორც ჩვენმა მრავალმა პროგრესულად მოაზროვნე მწერალმა, გაბედულად შეუერთა თავისი ხმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტზე ანაკადებულ მებრძოლთა საქმიანობას. ისიც, როგორც მრავალი სხვა ჩვენი მწერალი და მოღვაწე. ობიექტური პირობების გამო იძულებული შეიქნა ქარაგმის, გადაკრულის, ალგორიის ხერხი გამოეყენებინა. ფართო მკითხველთა წრე ამ ხერხის ადვილი გაგებისა და ათვისებისათვის უკვე კარგად იყო მომზადებული წინამორბედი მწერლების შემოქმედებით.

ნიმუშისათვის ავიღოთ „ცირცელი“. ტირცელის განცდებისა და შეხედულებათა დახატვით თედო რაზიკაშვილი ზედმიწევნითი სიმკვეთრით გვაძლევს ქართველი ხალხის ცხოვრების ცოცხალ სურათს: XIX საუკუნეში პოლიციური ხელისუფლებისა და მისი იმპერიალისტური კოლონიალური პოლიტიკის ძალმომრეობის ქვეშ მრავალი ქართველი იძულებით, ძალმომრეობით, გადაბირებით გაძევებული იყო სამშობლოდან.

ცირცელის სახით თედო რაზიკაშვილი ანსახიერებს ზნეობრივად და გონებრივად საღ, უპრეტენზიო ქართველ მოქალაქეს, რომლისთვისაც სამშობლოს ჰირი და ლხინი, სიხარული და მწუხარება საკუთარია. „მე, — ეუბნება ცირცელი ამხანაგებს, — თუ არა ჩემი სამშობლო, სხვაგან ვერ ვიცხოვრებ და თქვენი კი არ ვიცი, ჩემო თვალს ჩინებო!“¹

მწერალი ცდილობს დაწვრილებით გაგვაცნოს ცირცელის სულიერი ცხოვრება. ამიტომ ის მკითხველს დასაწყისშივე ასეთს დახასიათებას აძლევს: „ძალიან უყვარდა ცირცელს თავისი მშობელი მთა: თვალჩაუწვდომელი კლდეები, ჩამორეცხილ-ჩამოგლეჯილნი... უყვარდა ღრმა ხეები, ზამთარ-ზაფხულ ზევით სავსენი და მთებიდან ჩამოგორებული მდუმარე ლოდები, მწვანე ხავსმოკიდებულნი“².

მამულისადმი სიყვარულით აღვლევებული ცირცელი, თითქოს, რაღაც საშინელ განსაცდელს გრძნობდეს სამშობლოს მოცილებაში, სწორად დაუქმყოფილებელი გრძნობით წამოიძახებდა ხოლმე: „თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი, მთებო, თქვენა, თქვე ჩემი სიცოცხლის ჩამდგმელნო! განა ქვეყანაზე იქნება თქვენისთანა რამე კიდევ!“³ რა დიდი სიმკვეთრით ეხმაურება თედო რაზიკაშვილის ცირცელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტს, ასე მძლავრად გახმაურებულს იღ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, რაფ. ერისთავის და სხვათა შემოქმედებაში.

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 133.

² იქვე, გვ. 132.

³ იქვე, გვ. 133.

ცირცელის სახით თედო რაზიკაშვილი (როგორც ხევსურის 'სახით რაფ. ერისთავი) ხატავს ქართველს, რომელიც ერთგული რჩება თავის სამშობლოსი, კმაყოფილდება არასახარბიელო მდგომარეობით, ოღონდ კი დარჩეს თავის ქვეყანაში. მას არ შეაცდენს დიდება, სიმდიდრე, სამშობლოს გარეთ რომ სთავაზობენ, რასაც ქართველი ხალხის ცხოვრებაში ხშირად ჰქონდა ადგილი. ზოგიერთი ქართველი (რა თქმა უნდა, პრივილეგიური კლასების წარმომადგენელი) მცირედი სამსახურეობრივი წარმატების მიზნით, (ხან კი იძულებითაც, რადგანაც მას სამშობლოში გაბატონებული ხელისუფლება გასაქანს არ აძლევდა), ადვილად ტოვებდა სამშობლოს, იხევწებოდა უმტკივნეულოდ და იქ ბიუროკრატულ-პოლიციურ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში არაიშვიათად თავისი ქვეყნის საწინააღმდეგო საქმიანობაშიც ლევდა ულაზათო სიცოცხლეს.

ასეთი მდგომარეობა საკმარისი სიცხადითაა მოცემული „ცირცელში“ ჰვარტლიანი სვავის სახით, რომელიც ვით ცბიერი ეშმაკი, ჩასჩინებებს ცირცელს: „რას ირთმევ ამ გაფხევილ მთაში სულს, ამ უსულო და უსიცოცხლო კლდეებს რას ჩასციებიხარ, ზამთარში თოვლის მეტს ვერაფერს ჰხედავ, ქარის გრიალის მეტი არა გესმის რა, ზავთქუხილი და გუგუნი ძილს გიკრთობს და ტანში გშლის. ან არ გეშინიან მოზავადეს კლდე, დაგეცეს და დაგლეწოს, ან დაიძრას მთიდან ლალი ზვავი და დედამიწიდან აგფხიკოს? რას ხედავ აქ საშუალებას? ახლა ბარი უნდა ნახო, რა დიდი სოფლებია და დიდი და მდიდარი ქალაქებია, საყდრებითა და სასახლეებით მორთულ-აჭრელებულნი, რა მდორე და ღრმა მდინარეებია, ათასნაირი თევზით სავსე, ნავ-ხომალდებით აჭრელებული და რკინისა და ქვითკირის ხიდებით შემორტყმული! რა ბალ-ვენახებია ათასნაირი ხილითა და ნაყოფით დაზნექილი და დატვირთული ხეებით სავსენი, შენი ნაყოფი იმათთან რა გამოჩნდება?... უჰ, რამდენი საჭმელი ლეშია იქა!... უჰ, რამდენია საჩვენებლო! ჰამა მაინც იცოდე ჩვენსავით, შე საწყალო... პირველი დაანებებდი ამ მთესსა და კლდეებს თავს, წახვიდოდი და სხვებსაც გააბედვი-ნებდი ბარად ჩასვლასა“¹.

ღრუბლების ზემოთ, განაგრძობს მწერალი, ამაყად მცურავი არწივი (ე. ი. უშიშარი, მებრძოლი-პატრიოტი), მოისმენს რა ასეთ საუბარს, ცირცელს ჩამოსძახებს: „არ გაბრიყვდე უკეთურო, და არ დაუჯერო მაგ ქვეყნის გამცემ იუდეებს, მაგ წყეულ-შეჩვენებულ მაცდურებს, განა ჰკვათამყოფელი თავის სამშობლოს გასცვლის რაზედმე!? არ გაგიგონია ქართველთ ნათქვამი:

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 135.

„არ გაეცლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გაეცლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!

როგორც უფალო, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!“¹

არწივის ჩამოძახილი ცირცელს „კაკალ გულში ხვდება“; ისიც გრინობამორეული წამოიძახებს: „წყეული ვიყო და შეჩვენებული, თუ ჩემ მშობელ ქვეყანაზე კარგი მინდოდეს რამე!“

მაგრამ ცირცელის ბედი სხვანაირად დაატრიალა კაცმა (ე. ი. უსამართლო ხელისუფლებამ). ის ძალმომრეობით ძირ-ფესვიანად მოთხარა. მიუხედავად ცირცელის წინააღმდეგობისა, კაცი (ბოროტი, უსამართლო ხელისუფლება) მას თავს არ ანებებდა. მალე ცირცელს მთები და კლდეები შორს დარჩა. გაბენტერებული-მოტყუებული ახალ ადგილზე მოჰხვდა, სვაეები (ე. ი. ბიუროკრატი-რეაქციონერები) რომ უქებდნენ.

პირველ შეხვედრისას ცირცელსაც თითქოს მოეწონა ახალი ადგილი: „ჰო და რით არის ნაკლები ეს ქვეყანა ჩემ სამშობლოზე!“ მაგრამ უმალვე ამ ფიქრმა შეჰზარა და შერცხვენილმა ასე უსაყვედურა თავის თავს: „სწორედ მე ჩემს სამშობლოში ყოფნის ღირსი არ ვიყავი და ღმერთმაც ამიტომ დამსაჯა, იმიტომ მომიგლიჯა გულიდან ჩემმა სამშობლომაც და აქ გამომტყორცნა... მე ჩემს სამშობლოს ვეღარ ვნახავ, ღირსი არა ვარ იქ დაბრუნებისა, არა!“²

თედო რაზიკაშვილი ნიჭიერად იძლევა ნებისით თუ უნებლიეთ გადახვეწილთა შინაგან მერყეობას, ტანჯვას, რასაც, რა თქმა უნდა, ადგილი ჰქონდა ასეთ ადამიანთა შეგნებაში.

მაგრამ არსებული სინამდვილით შეწუხებული და ამხედრებული მწერალი მდგომარეობის ამგვარი მხილებით ვეღარ კმაყოფილდება. აქ არ სვამს წერტილს, უნდა გარკვეული ნაწილის გრძნობა თუ მდგომარეობა მაქსიმალური სისრულით გააშიშვლოს. ახალ ადგილზე ცირცელს შეახვედრებს ზღმარტლს, რომელიც მასავით გადასახლებულია და ამით კმაყოფილიც არის. იმას თურმე გადაჭიშვებას აღუთქვამენ, რაც მას კმაყოფილებას ჰგვრის. „ჩემი ეკლები, — ეუბნება ზღმარტლი ცირცელს, — თუმცა ისევ მასხია, მაგრამ ასე ამბობენ, ამას მოვკრით და ზედ უეკლო, საუკეთესო მსხვილი ბალის ზღმარტლს, ვამყნობთო. რა უშავს... მე ეხლა ერთი ხეპრე ტყის ხილი ვარ და მაშინ სულ სხვა ვიქნები, ჩემ ნათესაეებს ზედაც არ შევხედავ“³. რაოდენი სამარცხვინო, გულსაკლავი სიმართლეა ჩაქსოვილი ზღმარტლის ამ თქმაში! ეს ხომ ნიჭიერი ქარაგმაა, რომელიც გამჭვირვალედ გამო-

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 135—136.

² იქვე, 23. 138.

³ იქვე, 23. 139.

ხატავდა გადაგვარების გზაზე დამდგარ ადამიანთა მდგომარეობას! და ეს ქარაგმა ადვილად დადიოდა მკითხველამდე. ამიტომ, მწერლის თქმითაც, ადვილად მიხვდა ცირცელს:

ბელეტრისტი საბოლოოდ გახსნის ცირცელის (პატრიოტის) ტრაგედიასაც და თავის მიზანდასახულებასაც:

„— ეკ, ზღმარტლო, ნეტავი შენ, რომ სადაც მიხვალ, ქუდს იქაურად დაიხურავ, ეგ იუდობაა, სხვა არაფერი.

— რას ამბობ, მთიულო, — გაეხმაურა ამ ლაპარაკზე ზამთრის ძილიდან გამოფხიზლებული ჭანჭური ცირცელს. — მადლობელიც არა ხარ, რომ იმისთანა პატრონის ხელში ჩავარდი და მთიდან ასეთ ქვეყანაში მოხველ? მე ვიცი, იქ თავისუფლად რო ყოფილიყავ. მაგრე გაგიფრთხილდებოდნენ, როგორც აქ გიფრთხილდებიან? ერთ მარცვალსაც ვერავენ მოაკლებს შენს მტევანს!

— ვიცი რო არავეს რას შეაქმევენ, მაგრამ თვითონ კი ყველაფერს შესჭამენ, — გაეპასუხა უგულოდ ცირცელს¹.

უდავოდ, თედო რაზიკაშვილს ამ საბავშვო მოთხრობაში მომხიბვლელი ნიჭერებითა აქვს გამოყენებული ალეგორიაც, ქარაგმაც, გადაკრულიც, გამძვინვარებული კოლონიალური და ბიუროკრატიულ-პოლიციური სისტემის ვერაგული პოლიტიკის სისწორითა და სიმართლით ასახვის მიზნით. ამ მიზანს თედო რაზიკაშვილი დიდი წარმატებით ახორციელებს.

თედო რაზიკაშვილი ცირცელის (პატრიოტი მოქალაქის, რომელსაც უხეში ხელისუფლება მეტად თვითნებურად ჰგლეჯდა თავის ეროვნულ ნიადაგს) ცხოვრების დასასრულს მძიმე, მუქ ფერებში გვიხატავს.

გავიდა გაზაფხული. გაზაფხულს მოჰყვა ზაფხული — ცირცელისათვის ტანჯვისა და წამების დრო. დასნეულებული, გატანჯული ცირცელი ნატრობდა თავის მშობლიური ადგილის ნახვას, რაც, მისი რწმენით, უეჭველად მოარჩენდა. სასოებამიხილი ცირცელი ასე კვნესოდა: „ოჰ, კაცო, კაცო! რა მიყავ, რათ მომწყვიტე ჩემ სამშობლოს, რატომ იქვე ცულით არ ამჩეხე და ცეცხლზე არ დამწვი? ნეტა იმ ქვეყნად მაინც შეგხვდებოდე, ჩემო სამშობლოვ, ბედნიერსა და იქ მაინც გამძალო შენი ცქერით! მაგრამ შენც ხომ არ მოკვდები, რომ სიკვდილის შემდეგ შევიყარნეთ! მშვიდობით, მშვიდობით!“² რა ჩაწვდომითაა გამოხატული გადახვეწილის „სევდა სამშობლოზე!“

ასეთი პატრიოტული განცდა XIX საუკუნის ლიტერატურაში მძლავრად არის გამოვლინებული, მაგ., აკ. წერეთლის ლირიკაში („სუ-

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 139.

² იქვე, გვ. 140.

ლიკო“, „აღმართ, აღმართ“ — და ა. შ.), აგრეთვე გ. ჭალადიდელის ლექსში „სიმღერა ვარდახევილისა“. თედო რაზიკაშვილის ცარცელის ეკნესას ეხმაურება ჭალადიდელის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ნატვრა:

„ჩემს სამშობლოს ვიკონებ,
ნახვას ველირსებოდე...

იქაურსა მწვანეზე
ნეტამც როსმე ვჯდებოდე,
ნორი ყვაილსა, ბუჩქებზე
ბავშვურადა ვეკლქობდე,
დას ძმურად ხელს ვართმევდე,
ძმებს ყელზე ვეხვეოდე...
ოჰ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,

ნეტამც, გავფრინდებოდე!

ოდეს მამულს, კეთილო,
მარად ვეკარგებოდე.
მომკალ, ნუ გეცოდები, —
არ მსურს გენადვლებოდე!..
გამაცოცხლე, მანატრე,
თუნდ საფლავში ვდნებოდე,
აყვავებულ სამშობლოს
ეუკი მოვესწრებოდე!“¹

ცირცელმა ბარად (უცხოეთში) ვერ იხეირა. მეორე გაზაფხულზე ფოთლები აღარ გამოუტანია. ასე იღუპება და დაიღუპება, თედო რაზიკაშვილის რწმენით, ყველა, ვინც ნებით თუ უნებლიედ გადაიხვეწება სამშობლოდან. სამშობლოს უჩვენობა იქნება დააკლდეს, მაგრამ, მწერლის რწმენით, ის არ დაიღუპება, ჩვენ კი უცხოეთში უკვალოდ დავირღუპებით.

ამგეარსავე განცდას ნიჭიერად გამოხატავს აკ. წერეთელიც იგავურ ლექსში „ღამ ურა“.

* * *

XIX საუკუნის დასასრულს, 900-იანი წლების კარბიჭეში, მშრომელთა რევოლუციური აღმავლობის საგრძნობი გამოვლინების პერიოდში, ამგვარი პატრიოტულმა-განმათავისუფლებელმა გრძნობამ თედო რაზიკაშვილი დაახლოვა რევოლუციურ მოძრაობასთან. მან თავისი ამგვარი განწყობილება მთელ რიგ ნაწარმოებებში გამოხატა: „აშუღი მიმინო“, „როგორ გაჩნდენ ხობებო“, „ბუსფეხი“, „მიხო და მწვანე კალია“, „მოვლენ, მოვლენ“... და სხვა. რა თქმა უნდა, ყველა ამ მოთხრობის მიზანდასახულობაა ბავშვის — ნორჩი მკითხველის შეგნებაში მოამზადოს ნიდაგი განმათავისუფლებელი პროგრესულ-რევოლუციური იდეების მისაღებად და ბედნიერების მოპოებისათვის საბრძოლველად.

ავილოთ „აშუღი მიმინო“. აქ აშკარად მკლავნდება ავტორის 900-იანი წლებით გატაცება. მწერალი გრძნობს, რომ ხალხთა და, კერძოდ, ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. მწერალი

¹ გ. ჭალადიდელი, კრებული, 1947, გვ. 36.

ბავშვისათვის მისაწვდომი საშუალებებით ალეგორიისა და ქარაგმის სახით ასე ახასიათებს ამ მოძრაობას:

ზამთრის ერთ სუსხიან დილას მშვიერი და თავჩაქინდრული მიმინო მოწყენით იჭდა პანტაზე. ოცნებობდა თბილ საკმელზე, რამდენიმე დღე იყო, ნაყრი არ ენახა. იქვე ახლოს მოუჭდა მას ეშმაკი — მტაცებელი ჯიხოლა, რომელიც აგრეთვე მშვიერი იყო. ჯიხოლა მიმინოს რჩევისა და დარიგების კილოთი თავის გამოცდილებასა და დაკვირვებას უზიარებს:— „ახლანდელ დროში, ჭკუაა საქმე, ჭკუა“, რომ მშვიერი არ დარჩეს კაცი. მიუხედავად იმისა, რომ მიმინომ ამაყად გადახედა ჯიხოლას და თითქოს თავისთვის, მაგრამ ჯიხოლას გასაგონად, ჩაილაპარაკა: „ეს მასხარაც მტაცებლობს“, ჯიხოლამ მაინც განაგრძო დალაგებით საუბარი და თავის ნათქვამს მიმინოს ასე განუმარტავს: „ახლა ისეთი დროა, რომ ყველამ თავის ყადრი ისწავლა. ის დრო წავიდა, როცა უგონო ნიბლია ფიქრობდა, მიმინოს ლუკმა ვარ, იმან უნდა შეშპამოსო. მაშინ თავი ჩვენ საკმელად ეგონათ გაჩენილი და არავის არ უკვირდა. ახლა კი მტაცებლებს გვეძახიან და სისხლის მსმელებს. თავის სიცოცხლესა და პირადობას უფრთხილდებიან და ჩვენ აღარაფრად გვაგდებენ“¹.

აქ, ცხადია, თედო რაზიკაშვილი სამართლიანად წინ სწევს მანამდე დაჩაგრულთა, დაბეჩავებულთა მოთხოვნილებებს, რასაც ადგილი ჰქონდა 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში.

ჯიხოლა აფრთხილებს მიმინოს, რომ, მართალია, ბევრი ჭკვიანი მის მიერ არჩეულ საშუალებებს ეჭვის თვალით შეხედავს, მიუხედავად მიზანს, მაგრამ საკმარისი რიცხვი მაინც გაბრუებდება და ისიც გვეყოფაო. „სანამ, — შთააგონებს მიმინოს ჯიხოლა, — სულელები დაჭკვიანდებიან, ზაფხულიც მოვა და სხვა ბრიყვებიც დაიჩეკებიან“. ამასთან, განაგრძობს ჯიხოლა, „მზეწვია ძალიან ეშმაკია, ვინაიდან ის ოთხნაირად მღერის და დაყურსებულ ჩიტებს გულს უნაეარდებს, სიცოცხლეს უღვიძებს“².

ჯიხოლა შეატყობინებს, რომ მზეწვიამ მოახერხა მეფედ ამორჩეულ ბუს უჭკუობასა და შეუფერებლობაში ჩიტების დარწმუნება. მათაც „ამოკრეს კუკუ და გააგდეს საწყალი ბუ“. ჯიხოლა გაამხნევებს და გააფრთხილებს მიმინოს: „თუ ხანდახან შიგა და შიგ თვალის ამხელი არავინ გამოუჩნდა, როგორც გვინდა, ისე მოვიქცევით“³. ჯიხოლას

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 181.

² იქვე, გვ. 181—182.

³ იქვე, გვ. 182.

რჩევაში მეტად გამჭვირვალედაა განსახიერებული ბიუროკრატის ცნობილი ხერხი. ჭიხოლას რჩევა მიმინოს ჭკუაში დაუჯდა.

ზამთრის დილაა. სიცოცხე და შიმშილი საშინლად ავიწროებს ჩიტთა სამეფოს. საბრალო ჩიტები მობუზულან. მოხერხებულნი საბძლებსა და თივაში შემძვრალან, საწყლები ღობეებსა და ჩირგვებს ქვეშ მიყუყულან და სიცოცხისაგან იკრუნჩხებიან და შესაბრალისად წრიბინებენ, ერთმანეთს შესჩივიან თავიანთ გაჭირვებას.

სწორედ ამის გამოყენება მოინდომა მიმინომა და მისმა მრჩეველმა ჭიხოლამ; ჩიტების ხმაზე დაიწყეს გალობა: „გვიშველეთ, გვიშველეთ, მტრის ხელში ნუ ჩაგვყრით“ — წრიბინებდა მიმინო. — „ვაიმე, ვაიმე! არა გრცხენიათ, რომ არ გვიშველით?!“ — გაჰკიოდა ჭიხოლა. ან ხმამაღლა ეპატიჟებოდნენ მსუქან საუზმეზე ჩიტებს. გასკრა ამ ხერხმა. ჩიტებიც ბრყვდებოდნენ. მრავლად მიდიოდნენ მიმინოსთან: ზოგი გასაძღომად, ზოგიც გაჭირვებულთა მისაშველებლად. გაივსო ჯაგები ჩიტებით. იდგა ერთი ურიაშული და უივილ-ხივილი. ეძებდნენ საჭმელს, საშველადაც მზად იყვნენ, მაგრამ მიმინოს მეტს ვერავის ხედავდნენ. ესაუბრებოდნენ მათ ენაზე მოლაპარაკე მტაცებელს — მიმინოს. ისიც იჯდა თავმოკატუნებული, არავის უშავებდა. თითქოს ჭკვიანებიც შეფიქრიანდნენ, იქნება მოსისხლე მიმინო სიმართლის გზაზე დადგა, ინანიებს ცოდვებს. თუმცა ეჭვი მაინც არ ტოვებდა მათ. განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს „ვაჟბატონი“ აქ შეყრილი ჩიტების ზოგის დედას იჭერდა, ზოგის — ძმას, დას, მამას, შვილს, ნათესავს. ბევრს რის ვაი-ვაგლახით დაულწევია თავი ამ აშულის კლანჭებისაგან!

მიმინოს ვერაგობას კარგა ხანს ვერავენ მიუხვდა, თუმცა ბევრი მსმენელთაგანი უგზო-უკვლოდ იკარგებოდა: მეორე დღეს მრავლად პოულობდნენ ბურტყლებს, მაგრამ მიმინოზე ეჭვს ხომ ვერ მიიტანდნენ. დრო გადიოდა, ჩიტები იკარგებოდნენ. ხევი ბუმბულითა და ბურტყლით ივსებოდა. შეთხელდა საჩიტეთი. მიმინო კი სუქდებოდა. ჭიხოლას რჩევა მას კარგად დაუჯდა.

რა ცოცხლად და დამახასიათებლად, ტიპიურად არის ნაჩვენები გამძვინვარებული რეაქციის ფარული, პირმოთენე-ვერაგული პოლიტიკა! რა დამახასიათებლადაა მოცემული ხალხის დაუნდობელი მასობრივი ხოცვა, რასაც ადგილი ჰქონდა მეფის რუსეთში.

მაგრამ არც მზეწვიას (ე. ი. ოპოზიცია) ეძინა. მან მალე შენიშნა მიმინოს ეშმაკობა, ბოროტი განზრახვა, ვერაგული საქციელი, ვისაც შეხვდებოდა, ყველას ეჩიჩინებოდა მიმინოს უფრთხილდითო. მიმინომაც, გაიგო რა მზეწვიას ამბავი, დაემუქრა: „ვინა გკითხავს შენა, ვინ ამოგირჩია ქვეყნის პატრონად, ეგდე შენს ქერქში, რა გინდა, რად მიშ-

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 185.

ლი ხელსა? ხო იცი, როცა ხელში ჩამივარდები; ხეირს არ დაგაყრი“. მაგრამ მზეწვია თავისას არ იშლიდა, ჩიტებს შეუპოვრად აფხიზლებდა, ბრძოლისათვის მოუწოდებდა, რაზმავდა.

მეტად დამახასიათებელია მზეწვიას შთამაგონებელი რჩევა: „გამოიჩინეთ ყურები, ძმებო, — ეჩიჩინებოდა ის შეყრილ ჩიტებს, — მართალია, გშიათ, გცივათ, მაგრამ მიმინო — გაგაძლობთ? ეგ თქვენგან მოვლის ვაძლობას. ქვეყნის მასხარად ნუ ვხდებით, ტკბილი სიტყვით ნუ ვტყუვდებით. ჩვენ ძალად მაინც ნუ ვეჩრებით პირში და ვისაც ძალით მოასწრობს და დაიქერს, რა ვუყოთ. ერთმანეთს მხარი მივცეთ ყველამა. მართალია, პატარები ვართ, უღონონი, უკლანჭონი, მაგრამ სიცოცხლე ხომ ყველას გვიყვარს. ჩვენი ბუდე და ჩვენი მიწა-წყალი ხომ არავის მოგვძულებია. შევკრათ პირი, შევიყარნეთ ერთად, დავესხათ თავს და თუ ვერ მოვკლავთ, აქედან ხომ გავაძეევებთ. გაიგებს ხომ მაინც საჩიტეთი, რომ მიმინო ჩვენი სულთამხუთავია და საკვლავოდ გაფრთხილდებიან“¹.

უდავოდ, ტიპიური პროპაგანდაა მთელი დამახასიათებელი ნიუანსებით, თედო რაზიკაშვილის ეპოქაში რომ გატაცებით ეწეოდნენ რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული აგიტატორები!

მზეწვიას სიტყვებმა ნაყოფიერი შედეგი გამოიღო: ჩიტები გამოფხიზლდნენ, ამოქმედდნენ. ჩხიკეები სიამოვნებით ატყობინებდნენ თავის მოძმეებს: „იცით?... ჩიტებს გადაუწყვეტიათ მიმინოსთან ოპი და არ ვიცი, როგორ წავა მაგათი საქმე. მე კი მგონია, უნდა გაიმარჯვონ, თავგამომეტებულ კაცს ბევრი შეუძლიან“². მართლაც, ასეთ თავგამომეტებულ ბრძოლას აწარმოებდა გაღვიძებული მშრომელი 900-იან წლებში, რაც ასე აშკარად, თვალსაჩინოდ გამოვლინდა 1905 წლის რევოლუციაში.

მიუხედავად იმისა, რომ მიმინოს ჩხიკვისათვის არაფერი დაუშავებია, ისიც „რაზმს აწყობდა“, მოძმეებთან თავის დადებას აცხადებდა. გაერთიანდნენ — ნიბლია, ლობემქვრალა, წყლისჩიტი, ღალღა, მწყერჩიტა, შაშვი, კოდალა და ათასი სხვა, გარდა ბეცი ბუსი, ე. ი. რეაქციონერის, რომელიც წიფლის ღრუში იჯდა და ბუტბუტებდა. ყველა იმუქრებოდა, გადმოგვცემს მწერალი, და სისხლის აღებას ფიცულოზდა: „ახლა მიმინომ ნახოს იმისი რუსული მაზარა (მიმინოს ლეგა ფერი აქვს), როგორ დავფხრიწოთ ამ პატარა ჩიტებმა“³.

მართლაც, ნათქვამია მოთხრობაში, ჩიტები გაერთიანდნენ მტაცებელი მიმინოს წინააღმდეგ. აი, როგორ აგვიწერს მწერალი ჩიტთა

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 186.

² იქვე, გვ. 186--187.

³ იქვე, გვ. 187.

გაღვიძებას თავის დასაცავად: „მეორე დღეს დილით ყივილ-ხივილი და ხმაურობა იდგა. გუნდი და გუნდი წვრილფეხობისა სოფლისკენ მიეშურებოდა... რა ჭურის ხალხი არ იყო აქა. მომეტებულს ერთმანეთის სახელიც არ გაეგონა... ყველა კი ერთმანეთს ულოცავდა და ესალმებოდა. თვითონ უკვირდათ... ამდენი სად ვყოფილვართო. ტყიდან მოსულებს ბაირახტრად ჩხიკვი აერჩიათ და წინამძღოლადაც ის იყო“¹.

მწერალმა დიდი თვალსაჩინოებით დაგვიხატა გაღვიძებული მასების საერთო ამბოხება, მათი შეგნებული გაერთიანებული ძალა და ბრძოლის უნარი მიმინოს (გაბატონებული უსამართლო ხელისუფლების) წინააღმდეგ. ის, სასიამოვნოდ აღლვებული, დაასკვნის: „რას იფიქრებდა მიმინო, თუ დაჩაგრულ-დამონებული ჩიტები ხელს გამოიღებდნენ და ომს გამოუცხადებდნენ“².

თედო რაზიკაშვილი სხვადასხვა ობიექტური პირობების გამო გაურბის მიმინოსთან ჩიტთა ბრძოლის დეტალების მოცემას, მაგრამ მიგვანიშნებს, რომ ომში ბევრი მოკვდებოდა, რომ ომი მკაცრი და დაუნდობელი იქნებოდა. ბელეტრისტი იყენებს ხალხურ ლექსს, რომელიც, მისი რწმენით, გადარჩენილ დასევდიანებულ ჯიხოლას უნდა ეკუთვნოდეს:

„ჩიტა შეჰამეს მიმინო,
შეიქნა დროთა ცვლილება...
აბა, თუ შევრჩეთ, ჩიტებო,
მაგაზე თავმოვლილობათ“.

ასეთი იყო მაშინ, მწერლის რწმენითა და ჩვენებით, სახელმწიფოში ძალთა ურთიერთობა, ასეთი შურისძიებით იბრძოდა დარაზმული, შევიწროებული მასა ძალმომრეობის წინააღმდეგ და თ. რაზიკაშვილიც მებრძოლთა მხარეზეა მთელი თავისი სიმპათიებით. ბელეტრისტი ნორჩ მკითხველთა ცხოვრებაში გათვითცნობიერებას წარმატებით ახერხებდა და მოზრდილთაც არა სტოვებდა უყურადღებოდ.

* * *

თედო რაზიკაშვილს კარგად ესმოდა, რომ დაწყებული ბრძოლა მჩაგვრელთა და ჩაგრულთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლოა. ამ ბრძოლამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი მშრომელთა ახალი, სამართლიანი, ბედნიერი ცხოვრების მოპოვებისა. ნიჭიერი მწერალი-მოქალაქე კარგად ითვისა წინებს, რომ ბრძოლაში ბევრი დაიღუპება, ბრძოლის გაგრძელებისათვის გადაუღებლად საჭირო შეიქმნება მებრძოლთა

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 187.

² იქვე, გვ. 188.

კადრების მომზადება. ამიტომ ამ რთული და დიდი საზოგადოებრივი მოვლენის ჩვენებას თედო რაზიკაშვილი მრავალ მხრივ იძლევა, რათა ნორჩი მკითხველი აღრიდნევე მოძრაობის მნიშვნელობისა და ხასიათის გაგების კურსში შეიყვანოს და, ამას თუ მთლიანად ვერ შესძლებს, ნიადაგი მაინც შეამზადოს.

900-იანი წლების მშრომელთა საზოგადოებრივ აღმავლობას თედო რაზიკაშვილი ასახავს პაწია მოთხრობაში „როგორ გაჩნდნენ ხოხბები“. მწერალი იშვიათი სიმკვეთრით გვიჩვენებს (რასაკვირველია, აგრეთვე, ალეგორიისა, ქარაგმისა, გადაკრულის ხერხთა გამოყენებით), თუ რამდენი სიძნელის დაძლევა დასჭირდათ ახალი ცხოვრების მქადაგებლებს, რათა მასებში მისი მოპოვების სურვილი და აუცილებლობა გაეღვიძებინათ, ხოლო შემდეგ გაეღვივებინათ კიდეც.

დასახელებულ მოთხრობაში ენთუზიასტ მქადაგებლად ჩხიკვიამ გამოყვანილი. ის თავისუფლების იდეების პროპაგანდას ყველაზე დამონებულ არსებებთან — შინაურ ქათმებთან იწყებს. ჩხიკვი კრუხს უქადაგებს, რომ პატრონის დამორჩილება მავნებელია, უბედურებაა; თავისუფლად, დამოუკიდებლად ცხოვრებაა სიამოვნებისა და ბედნიერების მომცემი; ამისთანა პირობებში ფიზიკური გადარჩენის შესაძლებლობაც, სიცოცხლის შენახვაც გაცილებით მეტია. „თუ პატრონი გინახავთ, — შთააგონებს ჩხიკვი კრუხს, — თითქოს ზრუნავს თქვენზე, ეს მხოლოდ თავისი ინტერესებიდან გამოდის“. მეტად კონკრეტულად და დამაჯერებლად უხსნის ჩხიკვი კრუხს, რომ ქორს შეუძლია წელიწადში ერთი, სულ დიდი, ორი წიწილა მოსტაცოს, მაშინ, როდესაც პატრონი მის წიწილებს წლის განმავლობაში მუსრს ავლებს.

ჩხიკვის ასეთს აგიტაციას ყურს მოჰკრავს მამალი, შეძრწუნებული ამგვარი ქადაგებით, გაბრაზებული მიმართავს ჩხიკვს: „დაიკარგე აქედან ვილაც მოთრეულხარ! მე გატყობ კაი სული არ უნდა იყო. რა გინდა აქა, რისთვის მოსულხარ? გინდა ჩემი ცოლ-შვილი არიო, ჰა? პატრონი გვივლის, გვაჰმევს, გვახმევს, მტერს გვაშორებს, შენ კი მოსულხარ და ყბედობ: შენი პატრონი გჰამთ, გაეცალენითო. აქედან დაიკარგე, თორემ, მგონი, გაჩენის დღეს გაწყველინებთ“¹.

მამლის სახით დიდი სიმკვეთრით, რელიეფურადაა დახასიათებული დამორჩილებულის უძრაობა, დამყაყება, რასაც უდავოდ ადგილი ჰქონდა ძველი, დრომოქმული ყოფის სინამდვილეში და რაც მძიმე დაბრკოლებად ეღობებოდა ახალი, რევოლუციური იდეების გატანას

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 220.

მასებში. ამასთანავე, ასეთივე ტიპიურობითაა მოცემული ახალი ადამიანის, მქადაგებლის, ხალხის მოკეთის სახე ჩხიკვის სახით.

ბეც, გაუგებარ მამალს ჩხიკვი მამხილებელი კილოთი შეეპასუხება: „რათა ჭავრობ, ჩემო მამალო, მე თქვენთვის გეუბნებით, თორემ მე ისეც თავისუფალი ვარ. არც პატრონი მინდა, არც ბატონი, არც მაგისტანა გულშემატკივარი, დაეფრინავ ტყეში ჩემს ნებაზე... არც მგელს ვეჭმევი, არც მტერს დაუუვარდები. ჩემი თავის მოვლა მე თვითონ ვიცი... პატარა ჩიტიც კი თავისუფალი უნდა იყოს და შენ მაგოდენა ლეშის პატრონი მონობაში იძრობდე სულსა! შვილებს შენ თვალწინ გიკლავენ, გიყიდიან, შენ კი იმდენად ბრმა და ყრუ ხარ, რომ თვალი ვერ გაგიხელია, ავი კარგისაგან ვერ გაგიჩხევი... გაბედეთ, წამოდით, ისეთ ჭავიან ფერდობს გასწავლით საცხოვრებლად, რომ თქვენ თავს თქვენვე დაჰხაროდეთ... პირველ ხანებში, მართალია, გეხამუშებათ, სიფრთხილაც მეტი დაგჭირდებათ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ანდაზა: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“. ბოლოს ისე შეეჩვევით, რომ თქვენ თავს თქვენვე შენატროდეთ... ჩვენც დაგეხმარებით, რითაც იქნება, მტერს არ გავახარებთ თქვენზედა. დეე, მიხვდეს ის თქვენი ბატონ-პატრონი, რომ ქათამსაც შეუძლია თავის თავის მოვლა და პატრონობა, თუ კი ეცდება“¹.

მართალია ციტატი დიდი მოგვივიდა, მაგრამ მისი აზრი მეტად დამახსიათებელი, უშუალო, თვალსაჩინო და დამაჯერებელი კილოთია მოცემული. მასში თანამედროვე მკითხველისათვის არა მარტო 900-წლების აგიტატორი — ხალხში გასული „მოკეთის“ სახეა სისრულითა და სიმკვეთრით მოცემული, არამედ მთელი ეპოქა ცოცხლად იგრძნობა.

მწერალი ღრმად განიცდის ეპოქის მოქმედი ძალების ხასიათს, მიმართულებას, ურთიერთობას. მკითხველს რომ უფრო სრული სურათი მისცეს, დანახვოს ავი და კარგი, ნათლად გაარკვიოს მოვლენებში, ბელეტრისტი განაგრძობს მამლის ბუნების გამოაშკარავებას.

მამალი ჩხიკვის ქადაგების დროს გაჩქარებითა და ხმამაღლივ ყიოდა, რათა ჩხიკვის ნალაპარაკევი ქათმებს არ გაეგონათ. მას თავის ოჯახისა და უფროსების დაკარგვის დარდი ჰქონდა. სამაგიეროდ, კრუხი ჩხიკვს გულდასმით უსმენდა. მისი სიტყვები კრუხს კაკალ გულში ჰხვდებოდა. „რა ბედნიერი დედა ვიქნები — ოცნებობდა კრუხი — რომ ეს შვილები ყველანი შემრჩნენ... ოჰ, ჩხიკვო, თუ ყველა მართალია და მართლა ამიცხადდება, რასაც შენი ბედნიერი ენა მეუბნება და მიქაღის!“ აი ამ თესლზე გაიშალა განმათავისუფლებელი იდეები ხალხში.

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ე ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 220—221.

თედო რაზიკაშვილი დიდი ცოდნით გვიხატავს, ხალხის გულში ეს იდეები როგორ იდგამდა ფეხს. ჩხიკვის ნაამბობი ძალიან დააფიქრებს და დაინტერესებს კრუხს. ის გატაცებით ყველას უამბობდა ჩხიკვის ნალაპარაკებს; როგორც მას მოსწონდა, ისე აზაგებდა, აფერადებდა და თანაც აშკარად აცხადებდა, რომ გადაწყვიტა ბედი სცადოს, უარეს მდგომარეობაში მაინც არ ჩაეარდებოდა. მხალისი მეზობლები კი დასცინდნენ, — უპატრონოთ ერთი წუთიც არ შეიძლება დარჩენა. თვით განებივრებული ძალი, რომელიც ოჯახს ემსახურება, ხშირად იგემებს ხოლმე ჯონს პატრონისა და მისი ცოლშვილისაგან, მაინც კმაყოფილია, რადგანაც ხანდახან ძვლებს გადმოუგდებენ ხოლმე სახრავად. ამაზე მეტი კი მას არც თავისუფლება და არც ბედნიერება უნდა. ასევეა ცხენიც, რომელიც თავლაში აბია, ქერი და თივა აქვს. ამიტომ ისიც უარს ამბობს თავისუფლებაზე. შრომაში დაღლილი ხარი, მძიმე ტვირთის ზიდვით წელმოწყვეტილი ვირი კი ადვილად ხედებიან, რომ საჭიროა თავისუფლება, საჭიროა ხელსაყრელი პირობები ცხოვრებისა, აუცილებელი გზა ჩხიკვისაგან ნაჩვენები აღთქმულ ქვეყნისაკენ.

ამგვარი მაგალითების საფუძველზე მწერალი დაასკვნის: „მსუქანი და მუქთახორა ცხოველი და ფრინველი წინააღმდეგი იყო თავისუფლებისა, სამაგიეროდ ყველა გამხდარი, მშვიერი მშრომელი და ოფლის მღვრელი მას შეჰსტროფოდა და შეჰხაროდა“¹. ამიტომ კრუხიც თავისი წიწილებით სასოებით მიემართება „აღთქმულ ქვეყნისაკენ“.

მთის მცხოვრები ფრთოსანნი — კაკბები, შურთხები, როჭოები, შაშვები, ჩხართები, კოდალები ჩხიკვის წინამძღოლობით დიდი სიხარულით მიეგებებიან კრუხს. „ირგვლივ ერთობისა და თავისუფლების ყვირილი ისმოდა“², — დასძენს მწერალი. რამდენიმე წლის შემდეგ, ავტორის რწმუნებით, ქათმები გარდაიქმნენ, კაცის მიახლოებაზე ქარივით მიქროდნენ და კაცის გულს შურითა და ბრაზით ავსებდნენ. მელის დაკვირვებითა და დახასიათებით „ქათმები ახლა ხობებად გადაიქცნენ“.

ალეგორიის ხერხის საშუალებით მშვენივრადაა განსახიერებული 900-იან წლებში მშრომელთა აღმავალი რევოლუციური მოძრაობა. ამასთანავე მწერალი არ ივიწყებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა ადამიანებს ზრდის, ამაგრებს. ისინი უკეთესობისაკენ ძლევამოსილად მიჰყავს.

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 222.

² იქვე, გვ. 223.

თედო რაზიკაშვილი, გადაწყვეტ ისტორიულ მნიშვნელობას აღ-
ლევს რა ხალხის რევოლუციურ ბრძოლას, ამ თემას თავის საბავშვო
მოთხრობებში მრავალმხრივ ანვითარებს და აშუქებს.

ნიმუშისათვის ავიღოთ „ბუს ფეხი“, რომელსაც საგულისხმო
სათაურთან მიწერილი აქვს „გურული ლეგენდა“. ეს მინაწერი
მკითხველს აგრძნობინებს, რომ ამ გამოკონილ ამბავში გურიის რევო-
ლუციური ცხოვრების ანარეკლია მოცემული. ცნობილია, ძველი რე-
ჟიმის დროს გურია ერთ-ერთი მძლავრი რევოლუციური კერა იყო.
მწერალიც ალევგორიის საშუალებით ამ რევოლუციურ ცხოვრებას
შემდეგნაირად ხატავს:

ბელურებს კარგად მიჰყავდათ თავიანთი საქმეები, მათ მეფე არ
ესაჭიროებოდათ. მაგრამ ერთმა „თავდიდა ბუმ“ მეფობა დაიჩემა და
თავი იმათ ხელმწიფედ გამოაცხადა. თავისუფლებას მიჩვეული ბელუ-
რები წუხნდნენ, შფოთავდნენ, შეთქმულებას შეთქმულებაზე ახდენდ-
ნენ ბუს ბატონობის მოსასპობად, მაგრამ ყოველი შეთქმულების შემ-
დეგ ბუს საბრძანებელში ბელურების ბუმბულის სქელი დორები იკე-
რებოდა, ვინაიდან მეამბოხე ბელურების მეთაურებს ბუ აჭერინებდა
და ციხისა და ციმაბირის უქონლობის გამო თავის მუცელში გზავნიდა
დასასჯელად.

ბელურებისაგან გამოგზავნილ კაცებს კი ბუ არწმუნებდა, რომ ის
ბელურებს არ ერჩის, პირიქით, იცავს, ცდილობს, რომ ბელურები
სხვას არ დააჩავკრინოს. ის მხოლოდ „ბუნტოვნიკებს“ აჭერინებს,
რადგანაც ისინი მათ აბრეყებენ, საქმეს აცდენენ. აღლევებენ: „ბუ
ჩვენი ხორციტა და სისხლით ძღებაო. ჩვენ ბარტყებსა და კვერცხებსა
სჭამსო და ამისთანები. ვეცადოთ მოვიშოროთ მისი ბატონობაო“¹.

რა სისადავით, როგორი სიზუსტითაა მოცემული, ერთის მხრით,
დაუოკებელი ცბიერება გაბატონებული ხელისუფლებისა, ხოლო, მე-
ორე მხრით, გაღვიძებული ხალხის გაბედული ფეხის ადგმა!

მწერალი ამით არ კმაყოფილდება, მას უნდა მკითხველს დაანახ-
ვოს რეალურ ფერებში ბიუროკრატიული ხელისუფლების მზაკვრული
პოლიტიკა. ის აგრძელებს ბუს (მეფის, გაბატონებულის) დახასიათე-
ბას: ბუ ბელურებს არწმუნებს, ის რომ მათი ხელმწიფე არ იყოს, ბე-
ლურეთი მთლიანად ამოვარდებოდა. ბელურების მტრები — მიმინო,
ალალი და მრავალი სხვა ამგვარი დაუნგრევენი ბუდეებს და მათ ბარ-
ტყებსა და კვერცხებს შეუჭამენ. ამიტომ მეფე — ბუ ბელურებისაგან
მოითხოვდა: „თქვენი მოვალეობაა, ვინც ჩემზე ცუდი თქვას რამე,

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 246.

დაიჭიროთ და ჩემთან მოიყვანოთ“¹. რა ჩვეულებრივი და დამახასიათებელი საშუალებაა დაჩაგრულთა დამორჩილებისა, ექსპლოატაციის, რომელსაც მიმართავდა და მიმართავს ხოლმე რეაქციული ხელისუფლება!

მწერალი განაგრძობს ბუს (მეფის), რომელმაც იგრძნო დაბლიდან შემოტევა და იკრებს ძალას, მმართველობის სისტემის დახასიათებას: ბუს კლანტები ძალიან უჭრიდა. იმ ახლომანლო არემარეში მტაცებელს არ გაუტყაპანებია: ზოგი გაგლიჯა, ზოგი დაამარცხა-დაიმონა, შეაშინა, ააფორიაქა, მრავალი ქვეშევრდომი დაიმორჩილა, მოიმადლიერა. დაიწყო ძღვნების მირთმევა მეფისადმი. მიჰქონდათ კვერცხები. რა თქმა უნდა, თავის კვერცხებს არავინ გაიმეტებდა, სხვებს ჰპარავდნენ. ბუკი არას დაგიდევდა, ოღონდ კი თვითონ ყოფილიყო მამღარი. როგორც ბუნებრივი შედეგი, მწერლის ჩვენებით, ამ გარემოებამ ფართოდ გამოიწვია ქურდობა და ავკაცობა. ყურს კი არავინ იბერტყავდა. ბუს და მის კარისკაცთ ხომ საკმელი არ აკლდათ!

საზოგადოებრივი წყობილების კარგი მცოდნე და მასთან შეურიგებელი თედო რაზიკაშვილი, მეფისა და გაბატონებულ კლასთა აღვირახსნილობას რომ ფარდა ახადოს, ასეთ დახასიათებას ჩაურთავს: ბუ ბუზღუნებდა, „მხოლოდ მზის სინათლეს ვერ უძლებდა, რა შესძლებოდა, როგორმე მზეს ძირს ჩამოაგდებდა და სულ ნაკუწ-ნაკუწად აქცევდა: მაგისმა შუქმა დამაბრმავა, თვალი ვერ ამიხელია, კარში ვერ გამომიხედილა... სულ ღამე უნდა იყოს, კარგი მაშინ იქნება“². ბუს კარისკაცნიც კვერს უკრავდნენ: „ღმერთს სიბნელე რომ არ გაეჩინა, ჩვენი მოდგმა შიმშილით ამოსწყდებოდაო“³.

უდავოა, აქ გამოყენებულია ალეგორიის ხერხი: ფრინველთა ურთიერთობით ნაჩვენებია ადამიანთა, კერძოდ, ჩვენი ცხოვრების ცოცხალი სურათი XIX საუკუნეში — უხეში კოლონიალური პოლიტიკით გამაგრებულ მონარქიულ-ბიუროკრატიულ წყობილებაში. მზე — სიბნელე. ესენიც ხომ სიმბოლოებია: მზე — განათლების, გაღვიძების, რასაც ებრძოდა რეაქციული ხელისუფლება; სიბნელე — გაუნათლებლობის, ჩამორჩენილობის, რასაც ამტკიცებდა მონარქიული წესწყობილება.

აქვეა მკითხველისათვის მეტად მისახვედრად განსახიერებული იმპერიალისტური ომის მზადების წინ მეფეთა შენიღბული წვეულება, მათი ნადირობა და ღზინი. ერთის მხრით, მოცემულია ძლევამოსილი მეფეები — არწივი, ბუ და მათი შემციცინებელი კარისკაცნი, მეორე

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო ნოთხრობები, 1947, გვ. 246.

² იქვე, გვ. 247.

³ იქვე.

მხრით, მათ ქვეშევრდომთა შიში, ცდა, როგორმე თავი შეაფარონ უშიშარ ადვილს, რათა თავი გადაირჩინონ, მსხვერპლად არ შეეწირონ მეფეთა ქეიფს, მათ უბრალო სიამოვნებას; გულგახეთქილი ბელურები ამ დროს კანკალითა და ცახცახით ფეხზე ძლივსდა იდგნენ. მწერალი მოხდენილად შესწყვეტს მეფეთა ნადირობის აღწერას ლ ი რ ი კ უ ლ ი გ ა ნ დ გ ო მ ი თ: „ეჰ, რა კარგია თავისუფალი ცხოვრება! ცოცხალი იყო და შენი სიცოცხლე შენად არ გეგულებოდეს, ისევ არა სჯობია, არ იყო, თუ შენი სიცოცხლე სხვის ნებაზეა დამოკიდებული!“¹

თედო რაზიკაშვილს უნდა ეს ფლიდი ქვეყანა და მისი ფლიდი მმართველნი დამახასიათებელი დეტალებით გამოაჩინოს, მკითხველს აგრძნობინოს და გააგებინოს მათი ბილწი ბუნება და საქციელი. ნადირობაში დახელოვნებულმა არწივმა (ძლიერმა მეფემ) ბუს (შედარებით სუსტს, მოკლე ძალისა და მოკლე ჭკუის მეფეს) წვროებიც ჩამოუტყუა, რომ მასაც ადვილად ენადირა, მაგრამ არწივმა ეს ისე გააკეთა, ვითომც ბუნებრივად მოხდა. ბუს მლოქვენლმა მხლებლებმაც ნანადირევი მართლაც თავის მეფეს მიაწერეს და ერთი ზეიმი გაუმართეს. ბუმ თავებრუდამხვევი მედიდურობით მოინდომა თვითონაც გამოეჩინა მეფური ძალა. ჩაება ნადირობაში. ბელურების ხელმწიფე გაფარჩხული ფრთებით და გაშლილი კლანჭებით ნადირის დაჭერის მაგივრად ერთ ღრმა ჭაობში ჩავარდა და ყელამდე ტლაბოში ჩაიფლო.

ეს რომ სხვადასხვა ჯურის ფრინველებმა შეიტყვეს, დამარცხებულ ბელურათა მეფეს დასცინოდნენ და ნიშნსაც უგებდნენ. ბელურები კი კანკალებდნენ, ეგონათ, მათი ბრალია ბუს დამარცხება, „როცა ამოვა, სულ ტყავს გაგვაძრობსო“. შეუდგათ ჩოჩქოლი, რა გააკეთონ, რომ მეფე ამოიყვანონ. შემოკრბენ ბელურები, მოიტანეს ერთი ბაწარი, ჩააბეს მხრებში და დაუწყეს ბუს ამოწევა. ბევრი დაიღუპა, ბევრმა წელი მოიწყვიტა. გაჭირვებულებმა შველა სთხოვეს სხვა ფრინველებს, მაგრამ, დახმარების მაგიერ, ზიზლი დაიმსახურეს, მეფისათვის თავდადებულებს შეაფურთხეს და თავიანთ გზას გაუდგნენ. დიდი წვალებითა და მსხვერპლით, როგორც იყო, ბატონი ბუ ამოათრიეს ჭაობიდან ამოგანგლული, გაწეწილი, გაბეჩავებული. მწერალი აჩვენებს, რომ ასეთი მდგომარეობაც ვერ არწმუნებს მონათქცეულ ბელურებს მეფე-ბუს სისუსტეში, დაძაბუნებაში, უქნარობაში. ბელურებმა განაგრძეს ბატონი ბუს გასუფთავება ნაწილ-ნაწილად. ბელურებმა ფეხის გაწმენდა რომ მოუენდომეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ დაეჭიდნენ, ცალი ფეხი აუწიეს, მაგრამ ბატონმა ბუმ თავი ვერ შეიმამარა და ყირამალა ტლაბოში გადავარდა.

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 251.

ახლა კი იგრძნეს ჩიტებმა, რომ დროა ბუს მონობა თავიდან მოიშორონ, ისინი გაკვირვებული სიხარულით ჩასჩურჩულებდნენ ერთმანეთს: „ბუ, ჩვენ რომ უძლეველი გავგონა, ისეთი უღონო ყოფილა, რომ ერთი ფეხის აწევით დაუციათ ძირს ბელურებსო“¹. დიდი ჩოჩკოლისა და მზადების შემდეგ ჩიტებმა გადაწყვიტეს ბუს თავს დასცემოდნენ და ჭავრი ამოეყარათ. „ყველა ემზადებოდა, ყველა გულში მუშტს იცემდა, ემუჭრებოდა“ — კმაყოფილებისა და გამხნეების კილოთი დასძენს თედო რაზიკაშვილი.

თედო რაზიკაშვილს. ეს მოთხრობა დაწერილი აქვს 1905 წელს. აქ, ბუნებრივია, 1905 წლის რევოლუციის ამბები, მშრომელთა, ჩაგრულთა დარაზმული ბრძოლაა მოცემული მეფისა და მისი წესწყობილების წინააღმდეგ. მართალია, კლასობრივი წინააღმდეგობა არაა სათანადოდ გამახვილებული, მაგრამ ლეღვისა და ყოფის საერთო სურათი, გარკვეული ისტორიული მომენტები ალეგორიაში მოხდენილად არის ჩართული.

თედო რაზიკაშვილი ამ მოთხრობაში თითქოს წინაც იხედება; ამ ბრძოლის შედეგსაც გვიხატავს. სურათის აღწერას ასე ათავებს: „მეორე დღეს წინ შემხვდა ბელურების ლაშქარი, ბრძოლიდან დაბრუნებული. აქ იყო: მოხუცი, ახალგაზრდა, დიდი, პატარა, ქალი და კაცი. ყველას ნისკარტით თითო ბუმბული ჰნ ფრთა მოჰქონდა ნიშნად ბუზე გამარჯვებისა. ამით აჩვენებდნენ თავის შვილებს, რომ ბუს ბატონობას ბოლო მოეღო და ბელურეთი თავისუფალი იქნება ამას იქნით!“² ამ მოთხრობაში აშკარადაა გამოვლინებული თედო რაზიკაშვილის გამახვილებული პოლიტიკური განწყობაც და ალლოც! საჭიროა ბრძოლა, რასაც გამარჯვება მოჰყვება.

* * *

ასეთია რადიკალურ-რევოლუციური რწმენა, განწყობილება და მიმართულება თედო რაზიკაშვილისა. ეს რწმენა, მისი პროპაგანდა იყო მიზეზი მწერლის დაპატიმრებისა და გაციმბირებისა.

ცნობილია, 1905 წლის რევოლუციას მალე მოჰყვა რეაქცია მთელი თავისი დაუნდობელი სუსხით, სისასტიკითა და შურისძიებით. მრავალი მეზრძოლი დაპატიმრეს და გადაასახლეს.

თედო რაზიკაშვილმა, რეაქციის დასაწყისშივე მწარედ იგემა დაუნდობელი შურისძიება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეაქციამ მასში არამც თუ ვერ ჩაკლა თავისუფლებისადმი მისწრაფება, არამედ უფრო გაამახვილა. ის გამარჯვების იმედს არა კარგავდა, მხნედ განაგრძობდა

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 256.

² იქვე, გვ. 257.

მასების ბრძოლისაკენ მოწოდებას. ასეთი განწყობილება მან მშვენიერად გამოხატა 1907 წელს დაწერილ მოთხრობაში „მოვლენ, მოვლენ!“.

1

მოთხრობაში „მოვლენ, მოვლენ“... თედო რაზიკაშვილი იძლევა რევოლუციაში მრავალ მონაწილეთაგან ერთ ტიპიურ ოჯახს, რეაქციით დაზარალებულს და შევიწროებულს ოჯახის მარჩენალის დაპატიმრებისა და გადასახლების პერიოდში. რეაქცია რევოლუციონერთა მიმართ სასტიკად, ხშირად გაუკითხავად შურს იძიებდა. ვისაც კი დასწამებდნენ მთავრობის მოწინააღმდეგობას, არამც თუ უმალ სამსახურიდან ითხოვდნენ, არამედ აპატიმრებდნენ კიდევ. ჯერ ციხეში ჩასვამდნენ, შემდეგ კი, ძალიან ხშირად გამოუძიებლადაც კი ან ფორმალური გამოძიების შემდეგ, ცივ შორეულ გუბერნიებში უკრავდნენ ხოლმე თავს. პატიმრებს ცოლ-შვილის ნახვის უფლებას აძლევდნენ მხოლოდ გადასახლებაში გაგზავნის წინ, იმასაც დიდი მუდარას შედეგად.

თედო რაზიკაშვილი ცოცხალ სურათს იძლევა იმისას, თუ რა მდგომარეობა იყო ციხის კარებთან პატიმართა გამგზავრების წინ: „აქვე იყვნენ ბევრი სხვა. დიდკაცებიც თავისი შვილებით. ზოგი გადახრწნეული ბებერი იყო, ზოგი გასათხოვარი, ზოგიც ახალი პატარძალი. ესენიც იმასვე ელოდნენ, რასაც ელის დედა (მოთხრობაში ასახული ოჯახისა — მ. ზ.). ისხდნენ, იდგნენ, ელოდნენ, აქვე იყო იმისი დაც თავისი ორი გოგოთი. გლეხის ცოლი სულ ახალგაზრდა ქალი, სასოწარკვეთილი, ტირილით დაოსებული, ცრემლისაგან დაწითლებული თვალებით. აქვე იყო ამათი მეზობლის გოგას ცოლიც თავისი ექვსი შიშველ-ტიტველი ბაღლით. ამათ ქმრებს ხვალ ერთად მოელოდათ ცივ ქვეყნებისაკენ გამგზავრება. ბევრიც სხვანი იყვნენ, რომლებსაც არც კი იცნობდნენ და სოფლის სახელიც კი არ გაეგონათ იმათ. ერთმანეთს იშვიათად ჰკითხავდა ვინმე ამბავს, ან ვის ეცალა საამბოდ. ყველას ერთი დარდი აწვა გულზე, სხვა ყველაფერი დავიწყებოდათ. ბედნიერს აძლევდნენ დაუბრკოლებლივ ქაღალდს და ისიც გაბრწყინებული სახით მიეშურებოდა ციხისაკენ“¹.

ასეთი იყო პატიმართა პატრონების მდგომარეობა ციხის კარებთან რეაქციის ხანაში, როცა მეფე თავისი ერთგული მოხელეებით შურს იძიებდა რევოლუციონერებზე.

სურათი, რა თქმა უნდა, ცხოველია და ბევრის მთქმელი. მაგრამ თედო რაზიკაშვილი ამით არ კმაყოფილდება, უნდა მკითხველს ზედმიწევნითი სისრულით განაცდევინოს შავბნელი დრო თუ რეჟიმი და

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 298.

ახლა იგი ციხის შიგნით შეჰყავს. პატიმართა და მათ მნახველ-მახლობელთა წამება და შევიწროება გრძელდება, თითქოს რალაც ტანჯვის მორევი შექმნილა, რომელიც მათ ძალაუნებურად უნდა განეკლონ: „ციხის ეზო, — აგვიწერს მწერალი, — საესე იყო სანახავად მოსული ხალხითა. შუაზე თოკი გაებათ, რომ თოკს არაეინ გადასცდენოდა, ვისაც ნება არა ჰქონდა. პატიმრებიც, ვისაც არაეინ მოსვლოდა, ზოგი ფანჯრიდან გადმოიციკირებოდა, ზოგი აივანზე იდგა. სანახავად მოსული ქალები და კაცები პატიმრებს შემოჰხვეოდნენ. ზოგი ტიროდა კიდევ. ეხვეოდნენ: ცოლი — ქმარს. დედა და მამა — შვილს, და — ძმას, მეგობარი — მეგობარს. ზოგს გული წასელოდა, აღარ იცოდნენ, რა ექმნათ: იჭაჰებოდნენ ბავშვები; საერთოდ სამწუხარო და მძიმე სურათი იყო. იქვე ეყარა პატიმრებისათვის მოტანილი კალათები, ბოხჩები, ხელსახოცები, შეხვეული ქალაღები, მაგრამ ამის დარდი არაეისა ჰქონდა. ყველა ეშურებოდა ესარგებლა თავისუფალი წუთებით, დამტკიცებულყო, რაც სათქმელად და დასაბარებლად უნდოდა. ყველა ჩქარობდა, მოუსვენრობდა. ზოგნი ჩუმაღ ჩურჩულებდნენ, რომ არაეის არ გაეგონა, ან ზედამხედველის ყურადღება არ მიექცია, აქეუიქით იციკირებოდა, ზოგი ღმამალა ელაპარაკებოდა ჩვეულებრივ საოჯახო საქმეებზე, ან იმისთანა საქმეებზე, რაც პოლიციასთან არ იყო დასამალი. ზედამხედველები და ციხის უფროსიც ყველას ერთნაირი ყურადღებით არ უგდებდნენ ყურსა. იმათ მხოლოდ რამდენისამე პატიმრისაკენ ჰქონდათ თვალისა და ყურიც. იმათ სიტყვებს სათანადოდ ითვლიდნენ, თუ როგორმე სხვის ლაპარაკში არ გამოეპარებოდათ და ველარ გარჩევდნენ“¹.

სურათი შავზნელი დროისა უტყუარია, ნიღაბს მწერალი დაუნდობლად ჰგლეჯს ძველ, შავზნელ, მეფის უსამართლო რეჟიმს.

მაგრამ მწერალი არც ამით კმაყოფილდება. მოწოლილი ბოღმა არ ასვენებს მას, მკითხველს უნდა მისცეს ამომწურავი სურათი ამ ტანჯვის გოღგოთაზე აყვანილი ხალხისა, სიმართლის, ადამიანური ცხოვრების პირობებისათვის რომ იბრძოდა.

თედო რაზიკაშვილი პატიმრებისა და მათი მახლობლების უკანასკნელი გამოსალმების აღწერით სურათს უფრო დამახასიათებელი დეტალებით აესებს: ხაზს უსვამს ცოლების მძიმე, გაკირვებული მომავლის მოლოდინით გამოწვეულ ტანჯვას, უილაჯობას, ხოლო განსაკუთრებით მათი ბავშვების ტირილს, ცრემლს აღერსთან შეერთებულს.

აი პატიმარი რევოლუციონერი მასწავლებელი, რომელიც ციხესა და შევიწროებას თითქოს ვერ შეუცვლია. ის ჩვეულებრივი ღიმილით მიეგება ცოლ-შვილს და დამწუხრებული გულით გადაჰკოცნა ყველა-

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 299.

ნი. შვილები ერთად შემოეხვივნენ, თან ტიროდნენ და ცრემლებით უსველებდნენ სახეს. პატიმარი მამა ამ მძიმე გაყრის მომენტშიც კი ინარჩუნებს მტკიცე ხასიათს: არ იბნევა, დაარიგებს ცოლსა და შვილებს, როგორ მოიქცნენ, განსაკუთრებით შვილებს: დედას გაუგონონ, ისწავლონ, წერილი მისწერონ ხოლმე და ეცადნენ კარგები და გონივრები იყვნენ.

აქვეა მოცემული პატიმარი გლეხი გიგასი და მისი ცოლ-შვილის მწარე განცდებიც. უნუგეშოა, გაჭირვებული, არაფრის მქონე, გიგას ცოლი. მას ხუთი ქათმის მეტი არაფერი აბადია. ამ ქათმების კვერცხებით ის ყიდულობდა ნავთს, საპონს, მაგრამ, ახლა იძულებულია ეს ქათმებიც გაყიდოს და აღებული ექვსი აბაზი საგზაოდ ქმარს მიუტანოს. „გიგა, შენ უფრო დაგჭირდება, თორემ იქ ვინ რას მოგცემს?... ჩვენ უნავთოდაც კარგად გავძლებთ, ოღონდ შენ იყავ, გიგა, კარგად და ნურა გაგიჭირდება რა. პერანგი შეგიკერე: აბა, სულ ხომ მაკერთ პერანგში არ ამოირთმევ სულსა; სხვა არა იყოს რა ქუჭყი დაალპობს“¹.

მოთქვამს გიგას ოჯახი. ტირის თვითონ გიგაც. გიგას ტირილი რომ გაამართლოს, მწერალი შენიშნავს: „ეს გმირი კი არ იყო, ქვეყნისათვის თავდადებული, რომელსაც ცოლიც, შვილიც თავის თავიც ქვეყნისათვის შეეწირა. ეს იყო ჩვეულებრივ მშვიერტიტველი გლეხკაცი, რომელიც დიდმა რევოლუციამ (ასე ეძახის ხალხი) ღრმა ძილიდან გამოათხიზლა და თვითონაც თავისფერ გაჭირვებულებთან ერთად მიუდგა „ერთობას“².

მწერალმა რომ გაამძაფროს შთაბეჭდილება, მოგვითხრობს: იქ მდგარმა პატიმარმა, ამ სურათს რომ უყურებდა, ნახულსა და გაგონილს თუ როგორ ვერ გაუძლო და ისტერიული ტირილი დაიწყო. ამხანაგებმა ის ვაი-ვაგლახით ძლივს შეიყვანეს კამერაში დასამშვიდებლად.

დიხანაც, ტანჯვის გოლგოთაა ნაჩვენები, რომლის დანახვაც მკითხველს შეუთრეგებელ სიძულვილს უნერგავდა ძველი წყობილებსადმი.

მძიმე სურათს ავსებს მკვეთრად მოცემული გადასახლებულის ოჯახის შევიწროებული მდგომარეობა, ცოლის ზედმეტი გამრჯელობა, ოჯახის ნაკლოვანება: ცოლისა და შვილების დამქანცავი მოლოდინი. ამ მოლოდინს ამძაფრებს ბავშვების მარჩიელობა ბედის კვერით, გაიგონ, მამა დაბრუნდება თუ არა. და აი ბედის კვერიც რომ უჩვენებს— მამის დაბრუნებას, რაც ბავშვებში აღფრთოვანებას იწვევს: „მამა მოვა, მოვა მამა! „შაქრო და გიგაც მოვლენ! მოვლენ!“ — ყვიროდნენ

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 301.

² იქვე, გვ. 300.

გოგონები და სიხარულის ურიაშული ედგად“. ასე იმედიანად ათავენს მწერალი „ერთობის კაცების“ ამ მძიმე ოდისეიას. ცხადია, რეაქციის ხანებში თვითონაც იმედს არა ჰკარგავდა, რაც მისი პრაქტიკული ცხოვრებითაც დასტურდებოდა და მკოთხეულსაც გამარჯვების იმედს ძალუმად უნერგავდა.

* * *

თედო რაზიკაშვილს კარგად ესმოდა და პრაქტიკაშიც რწმუნდებოდა, რომ ხალხის ინტერესების გამარჯვების, ბედნიერი, სამართლიანი ცხოვრების მოპოვებისა და განმტკიცების მიზნით, მოქალაქეს სპირდება გარკვეული თვისებები. ეს თვისებებია: ხასიათის სიმტკიცე, გაუტენლობა, შრომის დიდი უნარი, ცოდნა, საზოგადოებრივი ადლო, ერთობის გრძნობა, ბრძოლის უნარი. მხოლოდ ასეთი თვისებების მქონე მოქალაქის მოღვაწეობას, ბრძოლას, შეუძლია მოიტანოს სათანადო დადებითი შედეგები.

ეს მწერალს მშვენივრად აქვს ასახული „პირველ საშოვეარში“. რა თქმა უნდა, აქაც ალეგორიის შემწეობით, ბავშვისათვის ადვილად მისახვედრი, მძლავრად ჩამბეჭდავი ფორმით.

ასე იშლება „პირველი საშოვარი“: ზამთარი ილევა. ჯერ კიდევ ჰყინავს. სკაში ფუტკარი გუგუნებს. საკმელი გამოელიათ. შიმშილით ზევრი იხოცება. საკმლის ძებნას უნდა შეუდგენ, მაგრამ დედა ფუტკარი აფრთხილებს წინდახედულნი იყენენ. დამშეული ფუტკრები უკვე გაფაციცებით ხრავდნენ და ღრღინდნენ დინდგელით და საქონლის ნეხვით ამოლესილ სკის სათვალეს. ხრამა-ხრუმი და შრიალი ისმოდა. აი სკაშიც შეძვრა მზის წმინდა სხივი. ფუტკრებმაც იწყეს ბზუილი, ფაცი-ფუცი, გარბოდნენ და გამობოდნენ. ერთმა გულადმა ბანჯგვლიანმა ფუტკარმა გამოყო სათვალისა უღვაშები, ცოტა ხანს ასე დაჰყო, თითქოს ჰაერს სუნავდა, მერე გაბედა, გამოძვრა, სათვალის წინ ფიცარზე მიიარ-მოიარა და ისევ სკაში შეძვრა. ბანჯგვლიანმა ფუტკარმა სიხარულით ამცნო ფუტკრებს, რომ უკვე თბილა და არც ისე საშიში უნდა იყოს, როგორც დედა ფუტკარი ბრძანებს. ბანჯგვლიანის ხმამ ფუტკრები გაამხნევა; დაიწყეს თითო-თითოდ სკიდან გამოსვლა, მაგრამ ისევ უკან ბრუნდებოდნენ.

ბანჯგვლიანი კი ბზუილით აფრინდა, იწყო ჰაერში ტრიალი, მიათვალ-მოათვალეირა სკის ადგილმდებარეობა, პატარ-პატარა წრეებს აკეთებდა, დაბუხულ მხრებს ავარჯიშებდა. ხან ძირბვენასთან მიფრინდებოდა, ხან შინდთან, რაიმე საზრდოს ასაღებად. ბოლოს გამოძვრა ლურემა. ცოტა ხნის შემდეგ ყვითელი საშოვრით დატვირთული ბანჯგ-

ვლიანი სიხარულით მიეშურებოდა სკისაკენ და სასიამოვნო ძღვენიც მიჰქონდა.

მაგრამ ქარი ებრძვის ბანჯგვლიანს, უნდა ის სიცივით გააფიჩხოს; საშინლად ბღავის, ისერის უკან ბანჯგვლიანს და მიწაზედ საშინლად ახეთქებს. ბანჯგვლიანი ნაშოვარს უფრო უფრთხილდება. წამოდგა. კმაყოფილი დარჩა, რომ ნაშოვარი ქარმა ვერ მოსტაცა. ქარს ზიზღით გახედა და გაბედულად წამოდგა: „რამდენიც უნდა დამახეთქო, ქარო, ჩამაგდო წყალში, გადამისროლო უფსკრულში, ვერ გამიტეხ გულს! რაც ვიშოვე, იმას ხელიდან ვერ ამომგლეჯ!“¹

ეს ადგილი განსაკუთრებით საგულისხმოა. აქ წინ წამოწეულია გონიერი გამბედაობა ბანჯგვლიანისა, რაც ადამიანთა ცხოვრებაში დიდ სასარგებლო როლს თამაშობს. ამასთან, კარგად და სიმართლით გამოხატავს რევოლუციურ განწყობილებას მშრომელი მასისას, რომელიც მტკიცედ, თავგანწირვით ებრძოდა ძველ დახანკებულ, სულის შემხუთავ წყობილებას, ძალით, ბრძოლით სტაცებდა მას უფლებებს, მედგრად იკვლევდა გზას ბედნიერი მომავლისათვის და რაც-მომოვეებული ჰქონდა, იმას ცოცხალი თავით ხელიდან აღარ უშვებდა.

სათანადო შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით მწერალს უნდა გამახვილოს მშრომელთა ბრძოლის უნარი და ასე განაგრძობს: „ბღუის ქარი. მოაქვს ლელისა და ნარის ლელქაში, მოაგორებს ხმელს, ძირიანად მოგლეჯილს ეკლებს და ნარებს. იყინება ბანჯგვლიანი, აი ეს-ეს არის ბრავა მოსძვრება, მაგრამ სძლებს, სძლებს, რადგან პირველი საშოვარი ამან უნდა მიიტანოს და ზამთრისაგან შეშინებულს და სასოებადაკარგულ სკას ისევ სული ჩაუდგას, იმედი ჩაუნერგოს. ცოტა კიდევ და ბანჯგვლიანი გულადმა სკის კარებზე ეცემა, დაღალული და გაყინული“²

ბანჯგვლიანმა გაიმარჯვა. თავგანწირვით პირველი საშოვარი მოუტანა ამხანაგებს. ამხანაგებსაც იმედი მისცა სიცოცხლისა, გამარჯვებისა. მწერალს უნდა მკითხველს აგრძნობინოს, გააგებინოს, რა დიდი სასარგებლო საქმე ჩაიდინა ბანჯგვლიანმა. სიხარულითა და ყრბამულით შემოეხევიენენ ბანჯგვლიანს ამხანაგები, — კოცნიდნენ, ლოკავდნენ, ათბობდნენ, თავს ევლებოდნენ. მოტანილ პირველ საშოვარს სინჯავდნენ და გახარებულნი სკაში შერბოდნენ, სასიხარულო ამბავს ამცნობდნენ ამხანაგებს.

ფუტკრებისაგან გამხნევებული ბანჯგვლიანიც მალე წამოდგა, სკაში შევიდა. იქ მუშა ფუტკრები მას აქებდნენ, აღიდებდნენ, ულოცავდნენ. მთელი სკა სიხარულმა და ნეტარებამ მოიცვა. აქ ორმაგი სასიხარ-

1 თ. რ ა ზ ი კ ა შ ე ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 382.

2 იქვე.

რულო ამბავი მოხდა: პატარა ფუტკრებმა ზამთარს აჯობეს და სკაში საშოვრით დაბრუნდნენ. „მართალია, — შთამაგონებლად ათავებს მწერალი საგულისხმო ამბავს, — კიდევ ბევრი იმსხვერპლა სასტიკმა ქარმა და სიცივემ, მაგრამ ამას თითქო აღარავინ ამჩნევდა“¹. გზა გამარჯვებისაკენ გაიკვერვა, იმედი და რწმენა განმტკიცდა და ფუტკრები მიზანსაც აღწევენ.

აქაც ყველაფერი სიმბოლური და ალეგორიულიცაა, მწერალი მშრომელთა აღმავლობას, მათ გამოვლინებულ მტკიცე რწმენასა და ბრძოლასაც ხატავდა. მკითხველამდე დაჰყავდა პროგრესული აზრი, მას სათანადოდ ზრდიდა. ამაში და ამგვარ ზეგავლენაში იყო დიდი საზოგადოებრივი და შემეცნებითი მნიშვნელობა თედო რაზიკაშვილის შემოქმედებისა.

* * *

თედო რაზიკაშვილის ღირსება, როგორც მწერლისა, რაც ზევეითაც აღვნიშნეთ, იმაში მდგომარეობს, რომ ის წერს როგორც ბავშვთათვის — მათი ცნობისმოყვარეობისა და გონებრივ-ზნეობრივი აღზრდის მოთხოვნილებათა მიხედვით და მაქსიმალურად აკმაყოფილებს კიდევ ამას, ასეთივე წარმატებით წერს მოზრდილთათვისაც.

ცნობილია, 90-900 წლებში თუ საზოგადოების ერთი ნაწილი მძლავრ აღმავლობას განიცდის, წინ იყურება, ახალი გზების გატეხას ლამობს, სამაგიეროდ, მეორე ნაწილი, იმედგაცრუებულია, წინმსვლელობას ეწინააღმდეგება, განურჩეველია; ჰხედავს რა ნიადაგის რღვევას, პესიმიზმს ეძლევა. ლიტერატურაში მისთვის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ხდება კულტი. ხელოვნება, კერძოდ ლიტერატურა, მწვავე-მტკივნეულ ყოველდღიურ საზოგადოებრივ საკითხებს გაუბრბოდა.

მშრომელთა მასების ანაკადებული ბრძოლა კი თხოულობდა ლიტერატურა, ხელოვნება ამსახველი და გზის მაჩვენებელი ყოფილიყო მათი ყოველდღიური ცხოვრებისა, გამომხატველი ყოფილიყო მათი მისწრაფებისა. აქტუალურად დაისვა საკითხი, ხელოვნება ვის უნდა ემსახურებოდეს — მაღალ პრივილეგიურს, კმაყოფილება-ფუფუნებაში მყოფ ფენებს, თუ მშრომელ, მებრძოლ მასებს?

დიდი რუსი მწერალი მ. გორკი მოუწოდებს მკითხველს ენერგიულად ჩაებას ძველი, დამძალი, შემბორკავი წყობილების დამხობაში, ახალი ცხოვრების მოპოვებისათვის ფართო გზის გატეხისა და მშრომელთა დარაზმებისათვის ბრძოლაში. ქართული მწერლობაც კვალდაკვალ მისდევს განმათავისუფლებელ მოძრაობას. ჩვენი მწერ-

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 383.

ლების შემოქმედებაც ყოველდღიური ცხოვრების, მშრომელთა მასე-
ბის ტანჯვა-ვაებისა და თავგანწირული ენერგიული, მწყობრი ბრძო-
ლის გამომხატველია.

აქი ნიჭიერმა რევოლუციონერმა-დემოკრატმა პოეტმა ი. რ. ევ-
ლოშვილმა 900-იანი წლების განთიადზე „მუზას“ — პოეტს.
მუშის პირით მოუწოდა:

„აბა შეხედე, პირმშენიერო:
აღმოსავლეთი ვით იღებება;
ნუთუ არ გინდა ჩანგი აუღერო?...
ათასი გულიც მას ეგებება!
შუუხმაცბილე მათ შენი ჰანგი,
ღაღი გამირი იმათთან ერთად,
ღე. ქარბზალმა ძირს დასცეს კერპი,
აღამიანი ვადიქცეს ლმერთად!
ეს ოფლანი ათასი მკერდი,
ნოქნილი მკლავი ოკლში, შრომაში,
მათი ნუგეში, მათი იმედი
ჰაწევებს, რაც უნდა, მხოლოდ
ბრძოლაში!

ჩუ! აცერ სხივამც შეიჯამაშა
და მონამ მალა ასწია ქედი,
ბრ'ოლის ხმამ დაპყრა დაიგანგაშა,
—ომ განოსქედოს მან თვისი ბედი!
შენედ დროშას განთიადისას,
წილად შეღებულს, ამაყს, მშენიერს,
ორჯან ღმერთები, თრთიან კერპები
და დაეს უხრიან მის სიძლიერეს!
რასაც იცნება მხოლოდ გიხატავს,
აი ა: არი, თვალმშენიერო,
გაუღე ჩანგი იმის სხივებში
და წაწინ სიმით სხვაგვარად დაპყრავს! —

ასეთი იყო კატეგორიული და ძლევამოსილი მოთხოვნა მშრომელი-
მასებისა რევოლუციურ ეპოქაში.

თედო რაზიკაშვილიც ხომ სწორედ ამ წლებში მოღვაწეობს. ისიც
ფხიზლად ეხმაურება ამავე საკითხებს. მოთხრობაში „ცასწავა-
ლამ როგორ მოიხვეჭა სახელი“ ის მწერლობისა და მწერ-
ლის დანიშნულებას არკვევს.

ცასწავალა (ტოროლა) შარაგზანზე დაფრინავდა, დაფანტულ
მარცვლებს კენკავდა, თანაც თვალყურს ადევნებდა გამვლელ-გამომვ-
ლელთ: იქნებოდა ეს მუშა საქონელი, მძიმე რკინის უღელში შებმუ-
ლი, თუ მეურმე გლეხი, საქონელზე უფრო გაქედილი და გაპირუტყ-
ვებული, გულის სიღრმიდან მკენესარე დიღინი რომ ამოსდიოდა; თუ
ხალხის სისხლით გაბერილი სოფლის წურბელა, რომელიც ეტლს და-
აგრიალეებს და დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევს გაძვალტყავებული გლე-
ხის თხოვნას, საფქვაუი ზურგით რომ მიაქვს, ეტლზე დაუდოს და სოფ-
ლამდე მიუტანოს, თუ პაპანაქება ზაფხულის დღეში ყანაში მუშების.
მოთქმა წარსულ-აწმყოზე:

„აგლეხის როდის გაუთენდება,
ან როდის გასთენებია
როდის ყოფილა მოლხენით,
გულე არ დაძლონებია.

ოაკესღფლება ძილშიც კი
ბეჩაეს არ მოსჩვენებია,
თავის საკუთარ კერაზე
შეგლა არ დაბერებია.

¹ ი. ევლოშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1936, გვ. 236—237.

არც ვაჟი კაცად ჰქცევია,
არც შალი ვასთხოვებია!
პურით არავინ გამძლარა,

ღვინით არ ზიარებულა.
ვინც იმის სისხლი არა სვა,
აბა ვინ აშენებულა?!“¹

ასეა მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა გაქირვებაში და წუთისოფლით გაუხარელი. ასევე ხედავდა ცასწავალა თავის ამხანაგ და მეზობელ ჩიტებს და სხვა მრავალ წვრილფრთოსანთ, მონადირისა, მელინისა, კვერნისა და სხვა მტაცებელთა მსხვერპლთ და ლუქმას.

ცასწავალა ყოველდღე ხედავდა, როგორ ფორიაქობდნენ და იელიტებოდნენ დამფრთხალი ჩიტები. უკვირდებოდა ამ უსამართლო, ძალმომრე, უნუგეშო ცხოვრებას და გულში „მოუთავსებელი გრძობა ებადებოდა... ასეთი ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, რითაც იქნებოდა ხალხს უნდა გაეღვიძა და ახალ სიცოცხლეს მოჰბლაუჭებოდა მხსნელ ფიცარივით, ძველი ყოფა-ცხოვრებისათვის მძლავრად ჩაეცხოწიხლი“².

ნახული და გაგონილი ცასწავალამ თავის სიმღერაში გამოავლინა. „გალობდა მდბიო მოუხეშავ სიმღერას, მალა ასული. ეს სიმღერა იმით იყო კარგი, რომ სუყველას ესმოდა. შიგ დამალული არა იყო რა, თავის გულის ვარაშ, თავის სათქმელს, თავის საწაადელს მალა ჰაერში ამბობდა, რომ ქარს ოთხკუთხივ გაეფანტა“.

წვრილფეხა ფრინველები გაკვირვებულნი უსმენდნენ ცასწავალას გრძნობით აღსავსე იმედიან გალობას:

გაოცებულნი შესცქეროდნენ ამ პატარა ფრთოსანს, რომელიც არ მოერიდა არც არწივზე მალა აფრენას და არც ღრუბლებთან საუბარს. გაკვირვებული და შთაგონებული მსმენელი ფრთოსანნი დამაჯერებლად ამბობდნენ: „თუ ის შესძლო (ცასწავალამ — მ. ზ.) რომ მაგრე მალა აფრინდა, განა მაგისი სხვა სიტყვა მაგრე მართალი არ იქნება? მაშ ჩვენც შეგვძლება, ჩვენს თავს ვუპატრონოთ, აღარავის დავეჩავგვრინოთ და შევექმიოთ. ჩვენც შეგვძლება თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებაზე ოცნება“³. თედო რაზიკაშვილი აქაც შთაგონებს მკითხველს: „გაბედულება ქალაქებს იღებს“, ამიტომ «Безумству храбрых поем мы славу!»

თედო რაზიკაშვილს, აღზრდილს ილ. ჭავჭავაძის პოეტურ სტილზე, უყვარს ფრჩხილების სისრულით გახსნა; ის მიისწრაფვის თავისი აზრი თუ განწყობილება მკითხველისათვის მისახვედრი, მისაღები გახადოს და ასეთ შეხედულებას განავითარებს: ცასწავალას გალობა

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 260.

² იქვე, გვ. 261.

³ იქვე, გვ. 262.

მშრომელთა, გაქირვებულთა, დაჩაგრულთა ცრემლის მოსაწმენდადაა გამიზნული.

მწერალი ცასწავალას გალობას უპირისპირებს ბულბულის ტკბილ ხმას, რომელსაც ჩვეულებრივ მოწონებით უსმენდნენ შეძლებულნი, ცხოვრებაში უზრუნველნი, გალალბებულნი. მაგრამ, სჯობია თვითონ თედო რაზიკაშვილს მივცეთ სიტყვა: „აქამდე ბულბულიცა გალობდა, მაგრამ ვინ უგდებდა ყურს შეყვარებულებისა, მგოსნებისა და ცხოვრებისაგან გალალბებულთა მეტი?!... „ბულბულზე უდიდესი მგალობელი ქვეყანაზე არაფერ იქნებოა“, — იძახდნენ... ვისგანაც კი ცხოვრებას იმ დროს ფასი ედო, აქედნენ ბულბულს და ცამდის აჰყავდათ. მამ არ მოიწონებდა თავს? მაგრამ განა მარტო შეყვარებულნი, მგოსნები და ცხოვრებისაგან გალალბებულნი იყვნენ ქვეყანაზე? სხვანიც იყვნენ, სხვანიცა... ღამე, როცა ბულბული გალობდა, ისინი, მოღალულნი, მკვდრებივით ეყარნენ და ეძინათ ჯათისაგან წელმოწყვეტილებს. დილით, როცა ბულბული განთიადს ქებათა ქებას შეასხამდა, შუშა. მკლავზე ნამგალგადებული, სამკალში გარბოდა, ნამგლისა და ცელის წკრიალი ბულბულის ხმას ჰფარავდა და აყრუებდა. სცხვენოდა რა ბულბულისა, დაეუზულს, ოფლში მოხარშულ მუშას, ხრინწიანი ხმით, რაღაც სევდიან სიტყვებს ბუტბუტებდა. ხალხი ემღერებოდა ზედს, თუ თავის მასაზრდოებელ მიწას, რომ ასე ძუნწობდა და სულ ნაკლებსა და ნაკლებს მოსაჯალს აძლევდა?“¹

მეზბროლი მწერლის შეხედულება ხელოვნების დანიშნულებაზე 900-იანი წლების ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშნებით რელიეფურადაა გამოხატული: ზრუნვა დაჩაგრულებზე. მშრომელებზე, რომელნიც ჰქმნიდნენ ცხოვრების ღირებულებას, მაგრამ თვითონ მეტად მცირეთი სარგებლობდნენ: მათი წყურვილი სიცოცხლისა და მოთხოვნა—ხელოვნებაც, ლიტერატურაც მათ ინტერესებს ემსახურებოდეს: მათ ცხოვრებას ასახავდეს, ყველას თვალსაჩინოდ დაანახევოს, რომ ისინი მშვირები, გაქირვებულნი არიან და ასეთი მდგომარეობიდან უნდათ განთავისუფლება. მშრომელთა ცხოვრების წყარო — მიწა (აქ მიწაში შესაძლებელია უხეში კოლონიალური პოლიტიკით დამორჩილებული სამშობლო იგულისხმება) შეძლებულთა ხელშია, მოუვლელია, გამოფიტულია, მაგრამ სჯერათ, რომ თუ მიწა მათ ხელში იქნება, ისინი მოუვლიან და მიწაც კვლავინდებურად უხვად აღუნაზღაურებს შრომას. ამ აზრს აი როგორ გამოახატევენ მწერალი მიწას, რომელიც მუშას შემდეგი მოწოდებით მიმართავს: „მაინც გულს ნუ გაიტეხ, ისევ დედად დაეჩები, შენ ეცადე მიხსნა, შენ ხელში ისევ დედა ვიქნები“².

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 262—263.

² იქვე, გვ. 263.

თედო რაზიკაშვილი ასეთი გამოაშკარავებითაც არა კმაყოფილდება. მას სურს მკითხველს ბოლომდე გაუშიშვლოს თავისი შეხედულება, ნაწარმოების მიზანდასახულობაც და მოთხრობას ასე ათავებს: „თუმცა ბუღბუღი უდიდესი მგალობელი იყო, მაგრამ ამ დროისათვის იმისი ტკბილი ხმები აღარ ვარგოდა. ბუღბუღის ტკბილი გალობა აღარ აკმაყოფილებდა ტანჯულთა ხროვას. ვინ იცის, ბუღბუღსაც რომ გაებუნდა და ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეეთანხმებინა თავისი დიდებული პანგები, ის უფრო სახელოვანიც შექმნილიყო და ცასწავალა ვეღარც კი შეენიშნათ. ამ ტვირთ მძიმეთაც უყვარდათ ტკბილი ხმები, ესენიც გრძნობდნენ ბუნების სიდიადეს და მშვენიერებას, როცა ლუკმისათვის ზრუნვა დღეს ღამედ არ აქცევიანება“¹. აშკარაა, თედო რაზიკაშვილი ირ. ევდოშვილის მსგავსად გარკვეულად მოითხოვს: მწერალი, თუ უნდა მის შემოქმედებას საზოგადოებრივი ღირებულება ჰქონდეს, მთელი თავისი ნიჭითა. და უნარით გარემო ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს უნდა უპირკიტებდეს და მათ ღარიბთა, მშრომელთა, დეჩაგრულთა სასარგებლოდ აშუქებდეს.



თედო რაზიკაშვილის შემოქმედებისა და მოღვაწეობის ამ მცირე მიმოხილვიდანაც მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ის მთელი თავისი სამწერლო და პედაგოგიური უნარით და შესაძლებლობით ებოქის საპირბოროტო მოვლენებს მკაფიოდ აშუქებს დემოკრატიულ-რევოლუციური პოზიციებიდან. ის განუხრელად და თვალსაჩინოდ აჩვენებს თავის მკითხველს რა არის ქ ა რ გ ი, რაც საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას ხელს შეუწყობს, წინ წასწევს და რა არის ც უ დ ი, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას დააკნინებს, დაარღვევს; როგორი უნდა იყოს, რა თვისებებით უნდა აღიჭურვოს მოქალაქე, რომ მან ცხოვრებაში თავისი საზოგადოებრივი ადგილი გამოიხატოს და სასარგებლო მუშაობით გარკვეული წვლილი გაიღოს ქვეყნის შენების საქმეში.

თედო რაზიკაშვილის შემოქმედება, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, არა მარტო ბავშვს ზრდის, აზნადებს მას მოქალაქედ, არამედ მოზრდილთაც დიდ გონებრივ და ზნეობრივ საზრდოს აძლევს, მსოფლმხედველობას უხვეწავს, ხასიათს უმტკიცებს. ასიტომ თედო რაზიკაშვილას შემოქმედებას დიდი საზოგადოებრივი ღირებულება ჰქონდა და დღესაც აქვს. ის არა მარტო ქართული საბავშვო ლიტერატურის ოქროს ფონდში რჩება, არამედ საერთოდ ქართული ლიტერატურისა.

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 264.

საგულისხმოა, მოკლედ მაინც გავარკვიოთ, თედო რაზიკაშვილს რა საშუალებით, პოეტური შემოქმედების რა ხერხებით მოაქვს თავის განწყობილება. მსოფლმხედველობა მკითხველამდე.

გარდა ზემოთ გზადაგზა აღნიშნულისა, კიდევ გამოვყოფთ თედო რაზიკაშვილის შემოქმედების სტილის ზოგიერთ თვისებას.

1. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მწერლის კარგი ცოდნა ჩვენო ქვეყნის ბუნებისა, მისი ფლორისა და ფაუნისა, რომელთა განსახიერებას, გადმოსაცემი ამბის საჭიროებისამებრ, არაჩვეულებრივი სიზუსტითა, უშუალოდ და დიდი დამაჯერებლობით ახერხებს. თედო რაზიკაშვილს მკითხველი — ბავშვი დიდი ოსტატობით, უშუალოდ შეჰყავს ნადირთა, ფრინველთა თუ მწერთა სამყაროში; მკითხველს მათ ცხოვრებას მაქსიმალური თვალსაჩინოებით არამარტო აცნობს, არამედ უშუალო მოწმედა და მონაწილედ ხდის. მაგ., „სათავგვეთის ამბავი“. „ძაღლის ჭკუა“, „რქიანა“ და სხვა.

2. თედო რაზიკაშვილის შემოქმედებაში აღწერილი ბუნების მოვლენებს თუ პატარა მკითხველი პირდაპირი გაგებით იღებს, თანაგრძნობასა და უარყოფით დამოკიდებულებას ამხეილებს ამა თუ იმ ნადირის, ფრინველის ან მწერის ბუნებისა და ქცევისადმი, მოზრდილი მკითხველი მათ ითვისებს არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ, როგორც მოხდენილ ალეგორიას, ნადირთა, ფრინველთა და მწერთა ბუნება-მოქმედებაში წარმოიდგენს კაცთა ცხოვრებას, კაცთა ურთიერთობას. ამ მიმართულებით თედო რაზიკაშვილი იყენებს XIX საუკუნის ლიტერატურაში ცენზურული და საერთოდ პოლიტიკური პირობების გამო მიღებულ პოეტურ ხერხს — ალეგორიას, ქარაგმას, ნართაულს. ეს ხერხი ბავშვს დაეხმარება, ბუნება გაიცნოს და ზნეობრივადაც ამაღლდეს. მოზრდილი მკითხველიც მიხვდება რა ალეგორიას, გაამახვილებს ყურადღებას ადამიანთა სხვადასხვა თვისებაზე თუ საზოგადოებრივ მოვლენებზე და მით სწორი შეფასების უნარს გამოიმუშავებს. მაგ., „გაზაფხულის სუნი“, „გულადი მამლაყინწას ამბავი“, „მუხა გაზაფხულზე“, „მურია“ და სხვ.

3. გარდა აღნიშნულისა, თედო რაზიკაშვილის შემოქმედება ხასიათდება მდიდარი ძარღვიანი ენით. ქართული ენის ბუნებრივი დახვეწილი სინტაქსით — სხარტი — ლაპიდარული წინადადებებით და მოქმედ პირთა თუ მოვლენათა შეკუმშულად დახვეწილი ტიპური ნიშნების მოცემით (იქნება ეს ბუნების მოვლენა თუ ადამიანი, ან გარეული თუ შინაური ცხოველი, ფრინველი თუ მწერი, ან მათი ყოფა). ნიმუშისათვის:

„გაზაფხული იყო. სიცოცხლის მომცემ მზეს ათასფრად აეყვავებო-

ნა დედამიწა. ათასფერი ყვავილი ეგებებოდა გაზაფხულს. იაც გაშლილიყო და თრთოლვით, კანკალით მოელოდა ყოველ დღეს. იას ძალიან ეშინოდა, არ ვიცი კი რა აშინებდა: მოკლე სიცოცხლე თუ სხვა რამე¹. შემდეგ: „დილა იყო, ცხვარი მთის კალთებზე შეფენილიყო, მეცხვარე იჯდა და სევდიანად სალამურს აკაკანებდა. კურდღელი ხარბად წიწკნიდა დანამულ ჭეჭილს. ტოროლა „ცასწავალას“ იძახდა, მზეს პირი მოეკრა მთების წვერებისათვის და ჯერ ჭალამდე ვერ ჩამოეხწია“². კიდევ: „ხევსური შიშია განთქმულ მონადირედ ითვლებოდა. იმისი გაუვალი მთა აღარსად იყო. გუდამაყრის ჩონჩხები, ხევსურეთის მთების კუდები და თვით გერგუტიც მოვლილი ჰქონდა. იმისაგან შეწირული ჭიხვისა და კლდის ვაცის ადლიანი რქები ხახმატისა და გუდუნისჯვრის იფნებზე ეკიდა და სალუდე ყორის კედლებზე იყო ჩამწკრივებული. ეს ხატისათვის მირთმეული ძღვენი იყო მადლობის ნიშნად და ქრთამადაც შიშისაგან, რომ საკვლოდაც მოემართა ხელი“³.

4. თედო რაზიკაშვილის შემოქმედებას ამშვენებს ნიჭიერი საზოგადოებრივ-მორალური ხასიათის კონტრასტები. ნიმუშისათვის: „ქარი ხვიოდა, გრიგალი ჰგლეჯდა არემარეს. შავი ღრუბლები ცაზე აღიოდნენ და ჩადიოდნენ. ბატონიანთ სახლიდან დაირისა და ტაშის ხმა ისმოდა“⁴.

„გლახა კარებზე იდგა და ელოდა. ბატონის ოჯახში ლხინი და გახარება იყო. ქალები და ვაყები ლეკურს უვლიდნენ. დაირა გრიანებდა. მოსამსახურემ ბატონს მოახსენა: გარეთ გლახაა და ბინას თხოულობსო. ბატონმა უბრძანა გაეჯდოთ გლახა“⁵.

„გლახა მუხლზე არღვევდა თოვლს და ორად მოხრილი მიაბჯუნდა ჯოხს. ბატონის ბავშვები კარებზე იდგნენ და იცინოდნენ გლახაზე“⁶.

5. პარალელურად რამდენიმე მოვლენის აღწერა:

„შიშმილით შეწუხებული მგლები ღმუოდნენ. ღრუში შეხიზნული ბუ მწარედ გაჰკიოდა. ყველა შეწუხებული და შეძრწუნებული იყო. ვინც გარეთ იყო, სახლში ეშურებოდა. ვინც სახლში იყო, გარეთ აღარ ჰყოფდა თავს. ყველას კარები დაეხურათ, გაეჩაღებინათ ცეცხლი და შემოსხდომოდნენ ძირს“⁷.

1 თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 1.

2 იქვე, გვ. 6.

3 იქვე, გვ. 194.

4 იქვე, გვ. 21.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 22.

7 იქვე, გვ. 20.

„სოფელს თავზარი დაეცა. ყველა კარებსა ჰკეტავს; საქონელი დრიალით გარბის, ძაღლები იმალებიან. მგზავრები ხესა და ქვევს ეფარებიან, თავს იმალავენ. ვაი იმასა, ვინც მურიას არ მოერაღება!“¹.

„ჰყეფენ სოფელში ძაღლები: ერთი ამბავი, ბრძოლა და გნიასი აქეთ. კივიან კაცები. შეშინებული ძაღლები კარებს მისწოლიან ზურგით, თან აწვებიან; უნდათ შეამტვრიონ, შევიდნენ სახლში, თან იყეფებიან, ეგებ პატრონმა გაიღვიძოს და მოგვეშველოს მაინცაო. მაგრამ პატრონი ყურს არ იბერტყავს, იცის, რომ საიმიო არა უჭირთ რა“².

„სალამოს ხანზე ვანეს სახლში რომ შეგვეხედნა, კაი ამბავს დავინახავდით. ბიჭები ფაცა-ფუცში იყვნენ. ზოგი ბრინჯს არჩევდა, ზოგი წყალს აცხელებდა, შეშას უკეთებდნენ, ჯამებსა რეცხდნენ, ღვინის ჭიქებს წმენდნენ. ერთი საღვინე ღვინით სავსე ედგათ. დუქნიდან სამი შაურის ბრინჯი და ზეთი წამოიღეს. ფლავის შიშხინს ნერწყვების ყლაპვით შესცქეროდნენ. ზეთის სუნი ცხვირში მადას უღვიძებდა“³.

6. თედო რაზიკაშვილს აგრეთვე დიდი წარმატებით აქვს გამოყენებული გ რ ა დ ა ც ი ი ს ხერხი.

„მირბის მურია, მირბის უგზო-უკვლოდ, სადაც გზა გადაუხვევს, ისიც იქითკენ გადარბის. სადაც მოელანდება რამე, ისიც იქითკენ მირბის. სადა ახსოვს ეხლა პატრონი. მირბის მურია, აღარც ისვენებს, არც დგება, არც წვება. თავში ტვინი ერევა. ჭიანჭველასავით რაღაც გაურბიან და გამოურბიან. აგერ წყალს ეცა მურია. წყალმა წაიღო. ხან ჩაეფარება, ხან ისევ ამოჩნდება. ებრძვის ტალღებს. ბოლოს ნაპირზე გადის, არც იბერტყება, არც ისვენებს, მირბის ისევ კულამოძლებული, ენა გადმოგდებული“⁴.

„გარიღლა სიამონენებაში ხან ჩაეშვება აუზის ძირისკენ, ჩაიყურყუმელავენს წმინდა ნაკადში და ერთს წამს გაქრება. მაგრამ მეორე წამს, მეორე ნაპირში აღმოჩნდება, თითქოს გაუმარჯენიაო და ამაყად თავაღებული წყალს უწყებს მხრებით ცემასა და ტყაპუნს; ხან დაიხრება და ფრთების ცემით გაქან-გამოქანებული ზვირთი კისერზე და ზურგზე გადასდის. ცვარი წყალი კი არ ადგება ზედა; ისევ ასეთი ლამაზია და კობტა“⁵.

„ამ დროს ქარი კი ჰქროდა და სისინებდა, თან... მოჰქონდა შორეული სოფლებისა და ქალაქების ხმაურობა და განგაში, აღელვებული ზღვების ბობოქრობა და ქუხილი. მოჰქონდა ყოველივე ესა, უამბობ-

¹ თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 12.

² იქვე, გვ. 144.

³ იქვე, გვ. 54.

⁴ იქვე, გვ. 12.

⁵ იქვე, გვ. 15.

და გზა-გზა სულიერთა და უსულოთა. და დაიხსომებდა რა იმათ ნათქვამსაც — სიხარულს თუ მწუხარებას, ტირილს თუ სიცილს, მღერას თუ კვნესას, ჰქრებოდა კვალწმინდათ და მიჰქონდა ახლა სხვა ქვეყანაში და სხვა ერში და ახლა იქ უამბობდა უცხოთა უცხო ქვეყნის ამბებსა“¹.

7. თედო რაზიკაშვილი თავისი შემოქმედების სტილს ხშირად აცხოველებს მიმართებითა და შეკითხვებით.

ნიმუშისათვის:

„წადი, ჩემო ტურფავ! წადი, გაფრინდი შენს ძმებთან. მე ხელს არ შეგიშლი, გაფრინდი, გარიელ!“...²

„მშვიდობა შენდა, გაზაფხულის სტუმარო, მშვიდობა შენს მოსვლას“³.

„ხომ არ გცივა, ოსტატო (ობობა — მ. ზ.)? რას მობლუნძულხარ, ან იქნება დაიღალე ქსელის ქსოვაში? რამდენ ბუზს მოუქსოვე სულდარა?“⁴

„თქვენ გენაცვალათ ჩემი თავი, მთებო, თქვენა, თქვე ჩემი სულის ჩამდგმელნო!“⁵

8. პოეტური ლექსიკის გამდიდრების საშუალებანი:

ა. ე პ ი თ ე ტ ი:

„უელმოღერებული, ნაიალადარი ხარ-ირემი ამაყად და მსუბუქად ატრიალებდა მრავალშტოვან რქებსა“⁶.

„დახავსებულ-დაძაბუნებული ქერქი ძონძებივით ეკიდა... სასოწარკვეთილი, ღონემიხილი აქეთ-იქით იხედებოდა“⁷.

„წელმოწყვეტილი და მხრებდამტვრეული (სვავი) თავის მკვლელებს მარტოდა უქშენდა“...⁸

„არა სძინავს ერთ კოდო მხედარს, მორთულ-მოკაზმული, ხმალხანჯლიანი, ფიშტო-დამბაჩიანი ის მსუბუქად დააქროლებს თავის კანკმაღალ ცხენს“⁹...

ბ. მ ე ტ ა ფ ო რ ა:

1 თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 134.

2 იქვე, გვ. 17.

3 იქვე, გვ. 15.

4 იქვე, გვ. 110.

5 იქვე, გვ. 133.

6 იქვე, გვ. 95.

7 იქვე, გვ. 196.

8 იქვე, გვ. 108.

9 იქვე, გვ. 111.

„გარიელამ მხრებგაშლილმა ერთი შეინავარდა, ერთი შეითამაშა და ასარივით გაეშვა თავის მოძმეებისაკენ“¹.

„დადგა გაზაფხული. ჰაერში სითბო დატრიალდა. ყველგან ამოყვეს თავები პატარა ნაზმა ყვავილებმა და მიესალმნენ ერთმანეთს გრძელი ძილის შემდეგ“...²

„როცა არწივის ყეფა სვავის ყურამდე მიაღწევდა, მაშინვე მხრები უდუნდებოდა“...³

„ზამთარმა გაშალა თავისი თეთრი კარავი და მოსვენებას მისცა თავი“...⁴.

„თვით გაზაფხული შორს არ იყო, მოწინავე მახარობლები კიდეც მისულიყვნენ და გაზაფხულიც თავის ბრწყინვალე ამალით უკან მოდიოდა!“⁵

„აბა, თავს რად შეიწუხებს ბუდეში ჩაიწყალოს თვალი და გული. აბა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მაგან „კუკუ“ ვეღარ იძახოს და ყურები აღარ გამოუჭედოს გამვლელ-გამომვლელს თავისი ყბედობითა. ის არ ურჩევნია ეგრე იწანწალოს და სხვის ბუდეებიდან კვერცხები იპაროს“⁶.

გ. შე დ ა რ ე ბ ა :

„ჭაბუკის წვერ-ულვაშივით ახლად აბუსუსებული ბალახი საამურად ბზინავს თბილსა და მხიარულს დღეში“⁷.

„კლდეებიდან საზარელი ყვირილი და გრილი ისმის, თითქოს დევები დაუჭერიათ და მიუჯაჭვიათ კლდეებზე“⁸.

„ფიჭორს სჭამდა და ჰგლეჯდა რაღაცა, სჩხვლეტდა და სწევდა შანთვიითა“⁹.

„ქარის კვილი, ნამქერის თეთრი ღრუბლები, მთების გუგუნო, კლდეებიდან ჩამოკიდებული უზარმაზარი ყინულის სვეტები, ზეაეების ქუხილი და უძირო ხეებში ჩაღენა — ცირცელისათვის დედის ნანა და დაძმებში ღზინი იყო!“¹⁰

დ. ჰ ი ჰ ე რ ბ ო ლ ა :

„ალალი გაჰკვრიყო მიწას და გაჩქარებით მიცურავდა ჰაერში...“

1 თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 17.

2 იქვე, გვ. 5.

3 იქვე, გვ. 101.

4 იქვე, გვ. 118.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 120.

7 იქვე, გვ. 15.

8 იქვე, გვ. 48.

9 იქვე, გვ. 95.

10 იქვე, გვ. 132.

უცებ შენიშნა ნარზე მჯდარი ნიბლია... ჯერ ნელა წამოვიდა, რომ ნიბლიას არ გაეგო და არ გაფრენილიყო. მერე უცებ მოკუმშა მხრები, დაიქშუვლა და ელვასავით დააწყდა თავზე ნიბლიას კანკგამილილი“¹.

„მოიარა მთა-ბარი მურიამ, გადაიარა მინდვრები, მოიბრინა სოფლები და ადგილები... ქვეყანა ფეხქვეშ გაიგო და ვერას გახდა“².

„გამდიდრდა სახელმწიფოს ხაზინა. გამდიდრდა საქართველო. გაძლიერდა თამარი. გავარდა სახელი ქვეყნის კიდემდე. განათლდა საქართველო, სოფელი არ არის, თამარის ეკლესია არ აეშენებინოს, დაბა და ქალაქი არ არის, ციხე-კოშკები არ აღემართოს; მდინარე არ არის, ხიდი არ გაედვას, უვალი ადგილი არ არის, სავალი გზა არ გაეყვანოს, კაცი არ იყო, წყალობა არ ექნას“³.

ე. განპიროვნება:

„ია დიდხანს იყო მარტოდმარტო. თავის გულის წადილს ვერავის უზიარებდა. მხოლოდ ზოგჯერ ნიავე თუ წაიღებდა იმის კენესას და მოჰყენდა ყვავილთ სამეფოში. ესმა მინდორთ დედოფალს იის სევდა, მისი ნალველი, მისი სიმარტოვე, შეებრალა და გამოუგზავნა მეგობრად პატარა ყვავილი კესანე“⁴.

„კესანე და ია ტკბილი მეზობლები იყვნენ. დაჰბერავდა ნიავე და მიახლიდა მეგობრებს ერთმანეთს. ისინიც გადაიქდედნენ ყელზე ყელს და სტკებობდნენ სიყვარულით; მოჰყვებოდნენ ტკბილად კუჭკუჭს, მაგრამ კაცის ყური კი ძვირად გაიგონებდა იმათ ლაპარაკს“⁵.

„ქარი ჰკრეფდა ფიფქ თოვლს, უბერავდა და შლიდა მთების კალთებზე. ნამქერი ტრიალებდა ჰაერში და უფრო აბნელებდა ისეც ბნელსა და შავს ზამთრის დღეს“⁶.

„ერთხელ მზის შუქი პირდაპირ თვალეში მიადგა ფითრს. ფითრმაც ნამძინარევი თვალეში მოიფშენიდა, გაინძრა, გაიშალა ცოტათი წელში, მზეს თვალი აარიდა და ზურგი კი უცხუნა. ძალიან ესამოვნა მზის სტუმრობა“⁷.

9. ხალხური ზეპირსიტყვიერების მორალის ჩაქსოვა მ.ოთხრობაში: მაგალითად: ა. ეტიუდში „ახალწლის წინა ღამეში“ იშვიათი ბუნებრიობითაა რეალურ ამბავში ჩაქსოვილი მათხოვარის სახით ღარიბთან მისვლა ქრისტესი, რომელიც საშინელ ამინდში არც ბატონმა და არც მღვდელმა სახლში არ შეუშვა. ღარიბმა

1 თ. რაჭიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 7.

2 იქვე, გვ. 11.

3 იქვე, გვ. 19.

4 იქვე, გვ. 2.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 20.

7 იქვე, გვ. 91.

ღია გულით მიიღო, რაც შეეძლო, არ დაიშურა: ცეცხლი დაუნთო, მოასვენა; მაგრამ საკმელი კი არ აღმოაჩნდა. მაშინ კეცში ჩაკრული მკაღი — გადაიქცევა მშვენიერ პურად. ქვაბში ძველი ქალამნები — მშვენიერ ბატკნის ხორცად, ცარიელი, უზარმაზარი ქვევრი — „ღელის რძესავით“ ღვინოებით სავსე. გლახა ამის შემდეგ ნიავევით გაქრება¹.

„თუ სხვა წლით იზრდებოდა, ფითრი დღით“².

ბ. ხშირია მოვლენა, როცა ნაწარმოების ამბის განვითარებაში თედო რაზიკაშვილი დასამახსოვრებელ ადგილას ამბავს და ამბავს რებს მოხდენილი ანდაზით. მაგალითად:

„საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“, — ნიბლიასაც ეგრე მოუვიდა“³.

„ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო“ — გაუქირებლად რა მომივა!“⁴ ამბობს მშვიერი მელია, ჩხიკვის ეშმაკობით დასჯილი. „მთა-სა ვარ, ფეხი ბარს მიდგა, ჩემია მთელი ქვეყანა“⁵ და სხვა ამგვარი.

10. უხვადაა გამოყენებული ეთნოგრაფიული მასალა — ხალხის ზნე-ჩვეულებანი: სოფლის ყოფა, მარხვა, ბზობა, ლიტონიის დამე და სხვ.

თედო რაზიკაშვილი ხშირად სარგებლობს ხალხურ მეტყველებაში გავრცელებულ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიციებით:

მაგალითად: გაღმა-გამოღმა, ტყლაშა-ტყლუში, ვაი-ვაგლახი, ლუკმა-ლუკმას ეწეოდა, ხევ-ხევ, ჭია-ღუა, მორთულ-მოკაზმული, ხმალ-ხანჯლიანი, ფიშტო-დამბაჩიანი, გაუპროლ-გამოუპროლდა, დიდი და პატარა, მკლე და მსუქანი, ბუჩქნარ-ბუჩქნარებს, გამელელ-გამომელელი, გაღმა-გამოღმა, ჩამორეცხილ-ჩამოგლეჯილი და ა. შ.

რა თქმა უნდა, წარმოდგენილი მხატვრული ხერხები მხოლოდ მცირედი ნაწილია და სრულიადაც ვერ ამოსწურავს თედო რაზიკაშვილის მდიდარი შემოქმედების პალიტრას. ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევას ითხოვს. მაგრამ წარმოდგენილი მასალაც, ვფიქრობთ, მკითხველს აგრძნობინებს თედო რაზიკაშვილის მხატვრულ ოსტატობას.

¹ თ. რაზიკაშვილი, საბავშვო მოთხრობები, 1947, გვ. 22—23.

² იქვე, გვ. 94.

³ იქვე, გვ. 7.

⁴ იქვე, გვ. 71.

⁵ იქვე, გვ. 104.

90-იანი წლები

თავის ადგილზე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებას 80—90 წლებში თვალსაჩინო გარდატეხა დაეტყო. კაპიტალისტურ საწყისებზე შემდგარმა რუსეთმა თავისი იმპერიალისტურ-კოლონიალური პოლიტიკის სისტემის განმტკიცებით ადვილად დაიმორჩილა საქართველოს ეკონომიური ცხოვრება. ნატურალურმა მეურნეობამ ძალუმი სისწრაფით იწყობდა. გამოდის ისტორიის ასპარეზზე ახლად ფეხადგმული ბურჟუაზია. ქართველი თავადაზნაურობა, ისედაც დასუსტებული ბურჟუაზიასთან კლასობრივ ჭიდილში, ადვილად ირღვევა. ქვეყანა მიდის კაპიტალისტური განვითარების უღმობელი მტკრევის, რღვევისა და ტყვიულების გზით. საქართველოს ეკონომიკა ითქვიფება დიდი რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბიუროკრატიულმა მეფის რუსეთმა თავის მისწრაფებათა განხორციელების მიზნით ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს „მოწესრიგება“ დაიწყო. ამ გარემოებამაც გამოიწვია ვაჭრობა-მრეწველობის ჩქარი ტემპით განვითარება. დატრიალდა და ამუშავდა როგორც შინაური, ისე უცხო კაპიტალი: დაიწყო გზატკეცილების გაკეთება, რკინიგზის (თბილისი — ფოთი) გაყვანა. 60-იანი წლების მეორე ნახევარში მირზოევებმა უცხო კაპიტალის შემწეობით მოაწყეს თბილისში პირველი საფეიქრო ქარხანა. 70-იან წლებში დაიწყეს ტყიბულის ქვანახშირის ამოღება რკინიგზის საჭიროებისათვის. 1877-1878 წლების რუს-ოსმალთა ომმა და შემდეგ ბათუმის ნავსადგურის შემოერთებამ, ბაქობათუმის რკინიგზის საშუალებით შეერთებამ (1883 წ.) და ჭიათურის მარგანეცის წარმოების დაწყებამ (1879 წ.) საოცარი სისწრაფით ამოძრავა როგორც საწარმოო კაპიტალი, ისე საზოგადოებრივი ცხოვრება, დააჩქარა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, კაპიტალისტური წარმოების აღმავლობა.

ვ. ლენინი ასე ახასიათებს კავკასიის (eo ipso საქართველოს) ამ ეპოქის ეკონომიკურ მდგომარეობას: „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის

ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარ-ჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმისშემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული, ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდოდა ამაყ მთიელს პოეტურ ეროვნულ კოსტუმს და ევროპული ლაქის კოსტუმით მოსავდა მას... კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციისა და მისი მიწათმოქმედი მოსახლეობის გაძლიერებული ზრდის პროცესთან ერთად სწარმოებდა აგრეთვე (ამ ზრდით მიჩქმალული) პროცესი მოსახლეობის მიზიდვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ. ქალაქის მოსახლეობა კავკასიაში გაიზარდა 350 ათასიდან 1863 წ. 900 ათასამდე 1897 წ. (კავკასიის მთელი მოსახლეობა 1851-დან 1897 წლამდე გაიზარდა 95%-ით)¹.

90-იანი წლებისათვის ქარხანა-ფაბრიკების რიცხვი თბილისში, ბათუმში, ბაქოში საგრძნობლად გაიზარდა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო სოფლის ნატურალური მეურნეობის კატასტროფულ რღვევას და პროლეტარიზაციის პროცესის სწრაფ განვითარებას, 90-იან წლებში მარტო ბათუმში მუშათა რიცხვი 10.000-დის აღიოდა². სულ რაღაც 25-30 წლის განმავლობაში სურათი საქართველოს ეკონომიური ცხოვრებისა რადიკალურად იცვლება. კარჩაკეტილი ჩვენი ქვეყანა თანდათან ჩქარის ნაბიჯით გამოდიოდა ფართო საზოგადოებრივი ცხოვრების. სარბიელზე, კაპიტალისტური წარმოების გზით მიექანებოდა. ამ გარემოებამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ფ. მახარაძე, „გამოიწვია, ერთის მხრივ, წვრილი ხელოსნობის წარმოების რღვევა და, მეორე მხრით, სოფლის მეურნეობის დაცემა და გლეხკაცთა გადატყვევა“³. სრულებით ბუნებრივია, რომ ამ გარემოებამ გააადვილა მუშა ხელის განთავისუფლება და ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა წარმოებისაკენ მიზიდვა. სოფელს ემჩნევა დარღვევა, დაიწყო პროლეტარიზაცია არამარტო გლეხობისა, არამედ წვრილფეხა აზნაურებისაც.

ბატონყმობის გადაყარდნამ გლეხის მდგომარობა აჩამც თუ არ გააუმჯობესა, არამედ ბევრ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, გააუარესა, რადგანაც უმიწო გლეხი მემამულეთა და შეძლებულ გლეხთა უარესი ექსპლოატაციის საგანი გახდა. გაძვალტყავებული გლეხი

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი (IV გამოცემა), ტ. III, გვ. 704.

² ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, 1927.

³ Ф. Махарадзе, К тридцатилетию существования Тифлисской организации, 1925, стр. 27.

ველარ უძლებს შიმშილს, გაჭირვებას, ტანჯვას, როგორც ჩვენი პოეტი ნ. ჩხიკვაძე განვკვრებით წერს —

„ვერ აიტანა ბეჩავ გლახმა სულ განსაცდელი,
ვერ გაუმკლავდა შიმშილს, სიცივს, ვაი-ვაგლახსა,
გაპოტირა თოხ-სახნისი, ახო ანჯელი,
გამოეთხოვა შეყვარებულ მიწასა, წყალსა“.¹

მთელი სიმძიმით გლახის წინაშე ისმება „ყოფნა — არყოფნის“ საკითხი. ის სავსეა მწარე ბოლმით, სავსეა შურისძიებით. მას სწყურია სიცოცხლე, სწყურია ადამიანური ცხოვრება, მას სურს ცხოვრებას დაუბრუნოს „ნაღველ-გესლით თვისი იარა“.

აქ წყდება ღარიბ გლახსა და შეძლებულ კლასთა შორის კავშირი. ჩნდება მათ შორის უფსკრული და რაც დრო გადის, ეს უფსკრული მათ შორის უფრო ღრმავდება.

სასოწარკვეთილმა გლახმა „ოხვრით, ქვითინით გამოიკეტა ტანჯვის ბუდედ გადაქცეული ტიალი ქოხი“ და მიაშურა ქალაქს, რომ მოიპოვოს „მყუდრო ბინა, ნავთსაყუდარი“.

მაგრამ ბოგანოდ ქცეული გლახისათვის ქალაქში, რომელიც „ტანჯვისავე ცეცხლითაა ანთებული“, სადაც „ურთიერთს ებრძვის შიმშილი და ფუფუნება, ერთი მონაა, მეორე კი შუბლმორკმული“ — თავშესაფრის პოვნა არც ეგეთი ადვილი იყო. წვრილ ვაჭართან. წვრილ მწარმოებელთან თავის შეფარება არაფერი სახეირო იყო. ამასთან წვრილ ვაჭართა თუ მწარმოებელთათვის ამოდენა ცარიელი ხელი საჭირო არ იყო. ცარიელა ხელთა რიცხვი კი თანდათან მატულობდა. აქ, ქალაქში, ჩნდებოდა „უბანი დაჩაგრულთა, განწირულთა შესაფარი, შრომიანი სასაფლაო, ჯოჯოხეთი“. იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის სწრაფი კაპიტალისტური განვითარებისათვის, მშვიერთა ექსპლოატაციისათვის. ჩნდებოდა ხელსაყრელი პირობები დიდი წარმოების გაჩაღებისათვის. ასეთი წამოწყებანიც მალე დაიწყო.

ქალაქი იწყებს ზრდას. დაიწყო სავაჭრო-სამრეწველო წამოწყებათა გამრავლება-გაძლიერება. მუშახელი მოთხოვნილებას გაცილებით სჭარბობდა. ამან გამოიწვია მშრომელთა საშინელი ექსპლოატაცია. „სამუშაო დღე 15—18 საათი იყო. ხელფასი კი მეტად მცირე“².

90-იანი წლებისათვის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოადგენდა ორ ერთიმეორის მოწინააღმდეგე ახალ კლასს: ერთი

¹ ნ. ჩხიკვაძე, „ლექსები“, 1922, გვ. 115.

² ფ. Махарадзе, К тридцатилетию существования Тифлисской организации, 1925, стр. 27.

მხრით, ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელი, ხოლო, მეორე მხრით, მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტი, ე. ი. უფულო და ფულიანი. პირველთა ხვედრი იყო აუტანელი შრომა, შევიწროება, მეორეთა კი — დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. მათ შორის ჩატეხილი ხიდი თანდათან უფრო ღრმავდებოდა და წინააღმდეგობაც თანდათან შეუტრიალებელი ხდებოდა. მართალია, საშინელი ექსპლოატაციის წინააღმდეგ ჩვენშიც აქა-იქ ფაბრიკა-ქარხანაში გაფიცვაც კი ეწყობოდა, მაგრამ სტიქიურად, მუშათა დარაზმვა ჯერ კიდევ ნააღრევი იყო.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი ეკონომიურ-სოციალური მდგომარეობა და მასთან დაკავშირებით ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება, როგორც ცხოვრების ახალი ვითარების გამოსახილი, 90-იან წლებიდან შესამჩნევად მდიდრდება და რთულდება. ამ პერიოდს, უდავოდ, ახასიათებს საერთო-საკაცობრიო ცხოვრების ფერხულში ჩაბმის მძლავრი ტენდენციები და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური საკითხების დემოკრატიული საზომით განსჯა-გაზომვა.

საქართველოში მუშათა მასების ცნობიერებაში 90-იანი წლებიდან საგრძნობი სისწრაფით ხდება კლასობრივი თვითგამორკვევა. ამას ხელს უწყობდა, გარდა მეფის რუსეთის საერთო ტლანქი პოლიტიკისა, რომელიც უხეშად ჰქელავდა მუშებისა და გლეხკაცთა უფლებებს, აგრეთვე საქართველოში, როგორც განაპირა, „ინაროდცთა“ ქვეყანაში, გაბატონებული მკაცრი, ბეცი კოლონიალური პოლიტიკა, საქართველოს რუსეთთან ეკონომიურად და კულტურულად უფრო მკიდროდ დაახლოვება, რუსული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ვ.წმთავ-სუფლებელი მოძრაობის დიდი გავლენა საქართველოზე და ის, რომ საქართველოში მუშათა რიცხვის ზრდას შეხვდა რუსეთის გზით მარქსისტული მოძღვრების გადმონერგვა და გავრცელება.

90-იანი წლებისათვის რუსეთშიც ჯერ კიდევ არ იყო მუშათა გაერთიანებული ორგანიზაცია. ალექსანდრე III-მ მეფობა საშინელი რეაქციით დაიწყო, განსაკუთრებით განმათავისუფლებელი იდეებისა და მოძრაობის წინააღმდეგ, ამით უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსი საზოგადოების გარკვეულ ლიბერალურ ნაწილზე, რომელიც შეკრთა, მოდუნდა და ზღაზვნით გატყეპნილი ცხოვრების გზით არჩია წასვლა.

მაგრამ პარალელურად ამისა რუსეთის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში იწყო გამოაშკარავება იმ გარდატეხამ, რომელიც მასების ცხოვრებაში დიდი ხანია მზადდებოდა. რუსეთის სინ.მღვ.ლემში მრეწველობის მძლავრმა განვითარებამ სამოქმედო ასპარეზზე დარაზმა მუშათა კლასი, რომელმაც მალე განსაკუთრე-

ბული და დამოუკიდებელი ადგილი დაიჭირა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მუშათა კლასმა ისტორიის გზაზე გამოსვლისთანავე თავის მრწამსად, როგორც სოციალ-ეკონომიურსა, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში, რევოლუციური გეზი გამოაცხადა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფერო მომავალი ქარიშხლის მოლოდინით გაიფინთა. მ. გო რ კ ი — ეს ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველი ამ პერიოდის რუსეთის ცხოვრებისა, თავის „შე ვ ა რ დ ე ნ ი ს ი მ ლ ე რ ა შ ი“ ასე ახასიათებს ამ ხანის საზოგადოებრივ ცხოვრებას: ყველაფერი სთვლემს. მაგრამ ეს თვლემათვისიზებელია, დაჭიმული. გეჩვენება, რომ შემდეგ წამში ყველაფერი ფრთებს შეიბერტყს და გარკვეულ ტკბილ ხმათა თანწყობილ ჰარმონიაში აულერდება. ეს ხმები მოგვითხრობს ქვეყნის საიდუმლოებაზე. ისინი აიტაცებს სულს მაღლა, ლურჯწყვდიად უფსკრულში, საიდანაც მოეგებება მოციმციმე ვარსკვლავები და ღვთაებრივ მუსიკალურ გამოცხადებას შემოძახებს.

ცხოვრების ასეთი დაჭიმულობა განსაკუთრებით ქალაქად იგრძნობოდა და გავლენას ახდენდა, გარდა მუშებისა, ინტელიგენციის ისეთ წრეებზე და პიროვნებებზე, რომელთაც მკვიდროდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი მშრომელი კლასის ბედს. გარკვეულად იგრძნობოდა, რომ ცენტრი მოქმედებისა და მომავლის საძირკველის მშენებლობისა მუშათა კლასში უნდა გადმოტანილიყო. აუცილებელი ხდებოდა დროის შესაფერ კარგსა და საღს პრინციპებზე მოწყობილი მუშათა ორგანიზაცია.

ალექსანდრე III-ის რეაქციით შევიწროებული ხალხსნობა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა „ხალხში სიარულით“ და ხალხის საკეთილდღეოდ თავდავიწყებითი მუშაობით, ვეღარ ახერხებს ცხოვრების სათანადო ხელმძღვანელობას და 80-იან წლებში იწყებს რღვევას.

გართულებული, ცხოვრების ჭიშკარს მძიმედ მოწოლილი ცხოვრება კი დაეინებით თხოულობდა ახალს, უფრო შესაფერ იდეოლოგიას. და 80-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში ჩნდება და სწრაფადაც ვითარდება ახალი მოძღვრება — მარქსიზმი, რომელმაც შესაფერი და ხელსაყრელი პირობები ჰპოვა განვითარებისათვის.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მარქსიზმი იწყებს მუშათა კლასის დარაზმვას, ცხოვრების სათავეში ჩადგომას, მისი მოწესრიგებისათვის ზრუნვას. 1883 წელს გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი აარსებს მარქსისტულ ორგანიზაციას „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“. აქედან მარქსიზმს რუსეთში მტკიცედ ეყრება საფუძველი და წარმატებითაც ვრცელდება.

მალე მარქსისტული მოძრაობის სათავეში გ. პლენანოვთან ერთად გამოდის ვლ. ლენინი. მათი ენერგიული და რაციონალური მოღვაწეობა აერთიანებს მარქსისტულ ცალკეულ ორგანიზაციებს ერთს მთლიან მუშათა პარტიაში (1898 წ.), რომელსაც დაერქვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

* * *

90-იანი წლების დასაწყისშივე ჩვენს ცხოვრებასაც ემჩნევა ზემოაღნიშნულ პირობათა ზეგავლენით ამოძრავება. აი ამ მდგომარეობას როგორ ახასიათებს უფროსი. „კვალის“ მარქსისტულად განწყობილი თანამშრომელი ხომელი: „მას აქეთ, რაც დაიწყო და აყვავდა სამი ძლიერი რთული წარმოება: ქვა-ნახშირისა, შავი ქვისა (მარგანეცისა) და ნავთისა, რაც რკინიგზების გაყვანა-გამოყვანამ გააჩაღა საქართველოში, აღებ-მიცემობა პურისა, სიმინდისა და სხვადასხვა ლითონებისა, რომელთაც უმნიშვნელო სახელი არ დაუმსახურებიათ მსოფლიო ბაზარზედ — ეკონომიური ყოფა ჩვენი ერისა სრულიად შეიცვალა, წინ წავიდა და საქართველოში, ვისაც კი აჩნდა სიცოცხლისა, სიფხიზლისა და ნიჭის ნასახი, ყველა „გავერობიელების“ გზას დაადგა“¹.

ეს „გავერობილება“ უნდა გვესმოდეს, როგორც სურვილი და რწმენა — ცხოვრება უსათუოდ გაჰყვეს ახალ ეკონომიურ კაპიტალისტურ განვითარებას. ამ ნიადაგზე დაიწყო დავა თაობათა შორის. ახალი თაობა აშკარად ხედავს შემოჭრილი კაპიტალის ძალას და გავლენას ცხოვრებაზე, ადამიანის ფსიქიკაზე და მოქმედებაზე. მისთვის ცხადია, აღნიშნავს ეგ. ნინოშვილი, „... სადაც კაპიტალიზმი და მრეწველობა ეხლანდელი ეკონომიური და სოციალური წეს-წყობილებით ფეხს გაიდგამს, ერის ერთი ნაწილი ლატაკლება და ვარდება მეორე ნაწილის ხელში ეკონომიურ მონადო“².

90-იანი წლების ჩვენი ახალი თაობა, ე. წ. „მესამე დასი“ ამასთან ერთად კარგადა გრძნობს, რომ კაპიტალიზმის განვითარება აუცილებელი მოვლენაა. კაცობრიობამ ეს განვითარების სტადია უეჭველად უნდა განვლოს, რომ სამართლიანი, ბედნიერი ცხოვრების პირობები შექმნას. „კაპიტალიზმი და მრეწველობა, — წერს ეგ. ნინოშვილი, — ისეთი მდინარეა, რომ, თუნდა კიდევ ძლიერ მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებთ და უნდა შოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება არა თუ საქართველოსთვის, არც ერთი

¹ „კვალი“, 1893, № 20, გვ. 6.

² ე. ნინოშვილი, ფხვნილებათა სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 57.

ქვეყნისთვის“¹. ასეთისავე აზრისანი არიან ყურნ. „კვალს“ სხვა მრავალი თანამშრომელი.

90-იანი წლების დასაწყისშივე იწყება თაობათა ახალი „გაყრა“, ახალი „დავა“, ახალი სოციალური დაჯგუფების უფრო ჩქარი და გარკვეული ჩამოყალიბება. მართალია, ახალი თაობის მიერ იდეოლოგიის გარკვევა უცბად არ მოხდა, ახალი თაობა, როგორც მისი წევრებიც (ფ. მახარაძე, რ. კალაძე და სხვ.) წერენ, განიცდიან ხალხოსნების გავლენას. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება.

90-იანი წლების ახალი თაობის მსოფლმხედველობის გარკვევას ხელი შეუწყო როგორც ჩვენი ცხოვრების კაპიტალისტური მიმართულებით განვითარებამა და მისმა გართულებამ, ისე მარქსისტული აზროვნების გავლენამ, რომლის პოპულარიზაცია ხდებოდა როგორც ახალგაზრდა ქართველთა ვარშავა-ვენევის ჯგუფის შემწეობით (განსაკუთრებით მახარაძე-ჟორდანიას წერილებისა და მოხსენებათა საშუალებით), აგრეთვე რუსი მარქსისტული მოაზროვნების უშუალო გავლენით. მარქსისტული მოძღვრების წარმოშობა-განვითარება საქართველოში მჭიდროდაა დაკავშირებული გადმოსახლებული რუსი სოციალ-დემოკრატების სახელებთან, როგორაც იყვნენ: ფ. აფანასევი, გ. ფრანჩესკი, ს. ალილუევი, ლ. ლუზინი, ვ. კურნატოვსკი, მ. კალინინი და სხვანი.

ქართველი ახალი თაობის წარმომადგენლებიც (ეგ. ნინოშვილი, მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, ნ. ჟორდანი და სხვანი), განიცდიან რა არსებული წყობილებით (მშრომელთა მძიმე შევიწროებული მდგომარეობით) გამოწვეულ უკმაყოფილებას და მანამდე მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნებით — ხალხოსნების მოქმედი იდეოლოგიით დაუკმაყოფილებას, ეძებენ ახალ შესაფერ მიმართულებას. ეს ახალი თაობა ენერგიული ძიების შედეგად 1892—1894 წლებში ზემოაღნიშნული პირობების ზეგავლენით მარქსისტულ მსოფლმხედველობას გატაცებით გაპყვება და ცნობილი ხდება „მესამე დასის“ სახელწოდებით. 1892 წ. 25 დეკემბერს დაბა ყვირილაში (ზესტაფონში) ხდება პირველი კრება; შემდეგში ცნობილი „მესამე დასის“ სახელით. ეგ. ნინოშვილის ბიოგრაფი რ. კალაძე, ამ თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, აი რას მოგვითხრობს: „ტფილისიდან ეგნატესთან (ნინოშვილთან — მ. ზ.) ერთად წავედით: მიხა ცხაკაია, ისიდორე კვიციარიძე და მე. იქ, იოსებ კაკაბაძის ბინაზე დაგვხვდნენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანი, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, დიმიტრი კალანდარაშვილი და იოსებ კაკაბაძე... გაიმართა

¹ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 57.

სულ ორი თუ სამი სხდომა, რომლებსაც ვესწრებოდით სულ ათი კაცი. გარეშე არავინ ყოფილა: არც თავმჯდომარე და არც მდივანი ასპარეზზე ოფიციალური გამოსვლის თარიღად აინტერესნა, როლი ეგნატეს უნდა შეესრულებია, ხოლო მთავარი მომხსენებლის — ნოე შორდანიას, რომელსაც იმ დროს თავისი სტატია „რა ვაკეთოთ?“ და, როგორც ამბობენ, ნიკოლოზ მიხაილოვსკის სტატიის — „პროგრესის“ კრიტიკა ჰქონდა დაწერილი“.

როგორც სამართლიანად აღნიშნავენ რ. კალაძე და სხვებიც, 1892—1894 წლები ამ ახალი თაობისათვის მოსამზადებელი მუშაობის ხანაა. ცხფერების პირობები კი არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდებოდა და დაყინებით თხოულობდა ახალ გზას, მუშაობის თუ ბრძოლის ახალ მეთოდებს. ამ გარემოებამ ახალ თაობაში ეს გაურკვეველი დუდილი ააჩნარა, დახვეწა და გარკვეული კალაპოტი მისცა.

ეგ. ნინოშვილის დასაფლავების დღე (1894 წ. 29 მაისი) შეიძლება ჩაითვალოს ამ ახალი თაობის — „მესამე დასის“ სამოღვაწეო კრებას არ აურჩევია. ყველა გრძნობდა, რომ თავმჯდომარის როგორ აფასებს ამ დასის გამოსვლას უურნალი „კვალი“: „ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე. მის კუბოს გარშემოკრებენ, ასე ვთქვათ, მესამე დასი ახალგაზრდობისა; ესე იგი სულ უკანასკნელი წლების თაობა — ისინი, რომელნიც გამოსულან ასპარეზზე მეოთხმოცდაათე წლებიდან. ნამდვილი ამათი მოთავე. ამათი სახელი და ანატი იმედი ყოფილა ნინოშვილი, რომლის ნაწერებშიაც ბრჭყვინავს ამ მესამე დასის ახალგაზრდობის სულის მისწრაფება და მათი მოქმედების პროგრამა, მომავალში... ეს მესამე დასი ხდება დაუძინებელ მტრად ახლანდელი ჩვენი ინტელიგენტ-მეთაურებისა და მათი მოქმედება მიაჩნით მავნებლად ჩვენი ქვეყნისათვის. ამ დასში არიან მრავალი სოფლის მასწავლებელი, გონება-განვითარებულნი სემენარიელნი, სამოსწავლო ინსტიტუტში კურსდასრულებულნი და მეოთხმოცდაათე წლების ზოგიერთი სტუდენტობა. ნინოშვილის კუბოზედ პირველად წარმოსთქვეს ამათ თავისი პროგრამა მოქმედებისა“².

„მესამე დასის“ მოქმედების ეს პროგრამა ეგ. ნინოშვილის კუბოსთან გამოთქვა ეგ. ნინოშვილის მეგობარმა და „მესამე დასის“ ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა ს. ჯიბლაძემ: „აწინდელი ცხოვრების ახალმა მიმდინარეობამ, — თქვა მან, — უკვე ამოზიდა, გაასწორა ყოფილი ჭურღმული — უფსკრული ორივე წოდებათა შორის, შერევა ორივე ერთს ბანაკში, აუგო წესი ძველ ბატონყმობას და მის ნაცვლად ამოაცურა ახალი, დროთა ვითარების მიხედვით, არანაკლები სა-

¹ რ. კალაძე, ეგნატე ნინოშვილი, 1927, გვ. 119—120.

² „კვალი“, 1894, № 21, გვ. 3.

მარცხვინო და სათაკილო. ჩვენი ახალი ბატონი ის ნივთიერებაა, რომელსაც ფულს ევაზიან. ამ ახალი კერპის გახურებულ თითებზე იხრაკება შეუბრალებლად ურიცხვი მსხვერპლი, მის წინაშე იღრეკენ მუხლს ძველი ყმაცა და ბატონიც, მის უდაურ უფლებებში გადადის ყოველგვარი შრომის იარაღი და აქედან ყველა შრომის წარმომადგენელი, მის ყურმოკრილ მონად ხდება თვით მეცნიერებაც კი. ამ ახალმა ბატონყმობამ კარგა ხანია დაამთავრა ზრდა მოწინავე ერთა შორის, სადაც საშინელი ბრძოლა გამოიწვია. ჩვენში კი, თუმცა ის ახალდაბადებულია, ბავშია, მაგრამ სამაგიეროდ ეს ბავში საუცხოვო თვისებისაა — შესანიშნავის სისწრაფით იცის ზრდა. ამაში გვარწმუნებს სტატისტიკური ცნობები ჩვენ მეზობელთა ერის ცხოვრების. ამნაირად ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას ანუ კლასს. ერთი მხრით, ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელი, მეორე მხრით — მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხედვრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი — დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, რად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილიცაა; აი, სად ირღვევა უფსკრული და ბევრგან კარგა ხანია გარღვეულიცაა. ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთის მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ეპითავითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღწვიან და უნდა იღწვოდნენ კიდევ საუკეთესო წარმომადგენელი ახალი თაობისა“¹...

აი. ასეთია „მესამე დასის“ მიერ თავის პირველ ფეხისადგამში გარემო ცხოვრების გაგება. გარკვეულად ვამჩნევთ, რომ ამ დასში მარქსიზმი ფეხს იკიდებს და მისი დროშის ქვეშ ლამობენ მოქმედებას.

ასე წარმოიშვა და ამოქმედდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიულ მარქსისტული „მესამე დასი“.

„მესამე დასმა“ განსაკუთრებული ადგილი დაიკირა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან მკაცრი ბრძოლა აწარმოა ქართველი თავადაზნაურულ-ნაციონალური და ლიბერალურ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ და აგრეთვე ქართველი ხალხოსნების წინააღმდეგ, რომელნიც სათანადოდ ვერ აფასებდნენ საქართველოში კაპიტალისტური განვითარების გზას და პროლეტარიატის ისტორიულ როლს ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

„მესამე დასი“ არ იყო მთლიანი მიმართულების გამომსატველი. მისი უმრავლესობა, რომლის ხელმძღვანელიც ნოე ყორღანია იყო, ლეგალური მარქსიზმის პოზიციებზე იდგა. უმრავლესობა უარ-

¹ „კვალი“, 1894, № 22, გვ. 15.

ყოფდა პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას რევოლუციურ მოძრაობაში, უარყოფდა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეას. „მესამე დასში“ დასაბამიდანვე არსებობდა რევოლუციური უმცირესობა — მიხ. ცხაკაია, ფილ. მახარაძე. შემდეგში ეს უმცირესობა თანდათან იზრდება ალ. წულუკიძის მიმატებით (1895 წ.), ლადო კეცხოველის (1897 წ.), ხოლო 1898 წ. „მესამე დასში“ შედის ი. ჯულაშვილი (სტალინი), რომელიც მალე შეიქმნა ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი ამიერკავკასიაში რსდმპ-ის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციებისა.

„მესამე დასის“ მუშაობამ თბილისში და საქართველოს სხვა საწარმოო ცენტრებში წარმოშვა მარქსისტული ორგანიზაციები, წრეები, რომელთაც ხელი შეუწყო მარქსისტული იდეების პოპულარიზაციას, პროლეტარულ-რევოლუციური მოძრაობის განვითარებას მასებში. ამ წრეების, თუ ორგანიზაციების შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუსი სოციალ-დემოკრატი მუშები და ინტელიგენტები, რომელნიც საქართველოში სამუშაოდ იყვნენ ჩამოსულნი, ან, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედონი, გადმოსახლებულნი, მაგ.: მ. კალინინი, გ. ფრანჩესკი, ი. ლუზინი, ს. ალილუევი, ვ. კურნატოვსკი და სხვ.

1896 წელს მარტო თბილისში არსებობდა ოცამდე მარქსისტული წრე, რომლებიც რევოლუციურ-მარქსისტულ იდეებზე ზრდიდნენ თბილისის მუშებს. აი როგორ აფასებს ი. სტალინი ამ წრეების მუშაობას: „პირველ ხანში სოციალ-დემოკრატიას არ შეეძლო თავისი მოქმედება გაეგრძელებინა მუშათა მასაში და ამიტომ ის სჯარდებოდა მხოლოდ საპროპაგანდო და სააგიტაციო წრეებში მეცადინეობას. ერთადერთი ფორმა მისი მოქმედებისა მაშინ წრეებში მეცადინეობა იყო. მიზანი ამ წრეებისა იყო: შეექმნა თვით მუშებში ისეთი ჯგუფი, რომელიც შემდეგში მოძრაობას ხელმძღვანელობას გაუწყვედა. ამიტომ ეს წრეები მხოლოდ მოწინავე მუშებისაგან სდგებოდა, მხოლოდ რჩეულ მუშებს ჰქონდათ საშუალება წრეებში ემეცადინათ, მაგრამ მალე გაიარა წრეების ხანამ. სოციალ-დემოკრატიამ იგრძნო მოთხოვნილება გამოსულიყო წრეების ვიწრო ზღუდეებიდან და თავისი გავლენა გაეგრძელებინა მუშათა ფართო მასაზე. ამას გარეგანმა პირობებმაც შეუწყო ხელი“¹.

1898 წლიდან, როდესაც ი. სტალინი შევიდა „მესამე დასში“ და მასში ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსიზმის მიმდევართა უმცირესობის ჯგუფი, ამგვარი წრეები შეიქმნა ბათუმშიც, ქუთაისშიც, ფოთშიც და სხვაგან. ისინი თავიანთ გავლენას ავრცელებდნენ აგრეთვე სოფლად გლეხობაზეც. ამ წრეების მუშაობა ხელს უწყობდა

¹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 14.

რევოლუციის მოძრაობის შეგნებულ მასობრივ პოლიტიკურ ბრძოლაში გადაზრდას, ჭეშმარიტი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნას.

90-იანი წლების მეორე ნახევრისათვის საქართველოში, როგორც აგრეთვე ყველგან რუსეთში, ხდება მუშათა კლასობრივი თვითგამორკვევა, მათი აღჭურვა მარქსისტული იდეოლოგიით და გადასვლა ორგანიზაციულ-რევოლუციურ ბრძოლაზე, რამაც საზოგადოებრივი ცხოვრებას გარდაქმნაში დიდი როლი ითამაშა.

ამრიგად, 90-იანი წლების მიწურულში საქართველოშიც შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელშიც „მესამე დასი“ შევიდა როგორც შემადგენელი ნაწილი მთლიანი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა.

ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა აღნიშნული ახალი მოვლენების გამო შესაბამისად გართულებულია. მასში ახალი ეკონომიური და ფსიქოლოგიური ხასიათის მოტივები შესამჩნევად ადგილს იჭერს. ლიტერატურული ცხოვრების მთავარი მაგისტრალი კლასობრივი დროშის ქვეშ მიმდინარეობს. ახალი ქვეყნის მშრომელთა ზედნიერების მიძემი ცხოვრების ძიება, მასების შინაგანი რევოლუციური დარაზმვა, მათში კლასობრივი თვითშეგნების გამომუშავება და მათი სამოქმედო-საბრძოლო ასპარეზზე გამოსვლა — აი თემები და საკითხები ლიტერატურისა. აქედან იღებს საწყისებს ახალი დროის, ახალი ცხოვრების უიშვარს მოზღვავებული ახალი კლასის — პროლეტარიატის შესაბამი ლიტერატურული ძვრის გამომხატველი რეალიზმი, ე. წ. სოციალისტური რეალიზმის სათავეები. ამ ახალი კლასის იდეოლოგიის, კლასთა შორის წინააღმდეგობის, რევოლუციურ-პროლეტარული რეალიზმის ელემენტების შემომტანად ქართულ ლიტერატურაში 90-იან წლებიდან მოჩანან — ე. გ. ნი ნო შ ე ი ლ ი და ი რ. ე ვ დო შ ვ ი ლ ი. ამათ ჯგუფთან არიან მწერლები: ლ ა ლ ი ო ნ ი (არს. მამულაიშვილი), ი ა ე კ ა ლ ა ძ ე (ი. ცინცაძე), ჭ ო ლ ა ლ ო მ თ ა თ ი ძ ე და სხვანი.

მათ პარალელურად მოღვაწეობს მწერალთა ჯგუფი (განსაკუთრებით შემოკრებილი „ივერია“ — „მოამბის“ გარშემო: „თერგდალეულები“ (ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვ.), ხალხოსანი მწერლები (ნ. ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი, ეკ. გაბაშვილი და სხვ.), აქვე არის მთელი ჯგუფი ახალგაზრდა მწერლებისა, რომელიც ძირითადად აგრძელებს პირველი ორი ჯგუფის კრიტიკულ რეალიზმს, თუმცა ახალი დროის ტიპივრლები მასაც უფრო მწვავედ აწუხებს (შ. არაგვისპირელი, დავ. კლდიაშვილი და სხვ.).

1905 წლისათვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვ-

რებაში გამძაფრებულია კლასთა შორის წინააღმდეგობა. ამ ბრძოლამ მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა 1905 წლის რევოლუციაში. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მძლავრი ნაკადი ამსახველია კლასთა შორის ამ გამწვავებული ბრძოლისა (იხ. ევდოშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ქოლა ლომთათიძე, ა. აბაშელი და სხვანი).

1905 წლის რევოლუციის დამარცხებას მოჰყვა რეაქციის ხანაში უფრო მწვავედა კლასობრივი წინააღმდეგობა. პროლეტარიატი ლამობს საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვანის როლი ხელთ იგდოს. ამავე მიმართულებით მოქმედებს ქართული ლიტერატურის ერთი მძლავრი ნაკადიც, რევოლუციურ-დემოკრატიული ჯგუფი მწერლებისა, რომელიც გამოხატავს მშრომელთა ინტერესებს და ახალი ცხოვრების ბრძოლით მოპოვებას ქადაგებს.

ამ საკითხის გადაწყვეტა XIX საუკუნემ ვერ შესძლო. ეს ტკივილები XX საუკუნემ მიიღო და მის საბოლოო დაგვირგვინებას აწარმოებს. ამიტომ 1905 წლის რევოლუციის ხანის ქართული ლიტერატურა ახალი, უფრო სწორედ უახლესი ხანისაა, რომელიც პროლეტარიატის ჰეგემონიის ქვეშ მიმდინარეობს და მას თავისი განვითარების ეტაპები აქვს.

უზნატი ნინოშვილი (ინგოროყვა)

1859—1894

ეგ. ნინოშვილი ახალი (XIX საუკუნის) ქართული ლიტერატურის ისტორიაში საგულისხმეო მოვლენაა როგორც თავისი მსოფლმხედველობით, ისე ლიტერატურული მიმართულებით. სამოღვაწეო ასპარეზზე ის XIX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისშივე გამოდის და საქართველოს გართულებული ცხოვრების ნიჭიერ მხატვრად გვევლინება.

ეგ. ნინოშვილი თავისი მოღვაწეობით ქართული ლიტერატურის ისტორიაში ახალს, თავისებურ პერიოდს იწყებს. ის „მესამე დასის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია როგორც პუბლიცისტიკაში, ისე მხატვრულ შემოქმედებაში. შეიარაღებული მარქსისტული მსოფლმხედველობით, ის საგრძნობი სიმკვეთრით ასახავს ძველი ყოფა-ცხოვრების უარყოფით, დრომოკმულ ჩვეულებათ, ძველი ფსიქოლოგიის, მსოფლმხედველობის დარღვევას და ახალი ცხოვრების სასიცოცხლო ყლორტებს.

ეგ. ნინოშვილი სამწერლო ასპარეზზე თუმცა მეტად მოკლე ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს ლიტერატურას საგრძნობი კვალი დააჩნია. მან ქართულ ლიტერატურაში ახალ მიმართულებას დაუდო სათავე. შეიძლება ითქვას, თავისი სკოლა შექმნა, და მალეც გაუჩინდნენ მიმდევრები: ლალიონი (არსენ მამულაიშვილი), ია ეკალაძე (ი. ცინცაძე), ჭოლა ლომთათიძე და სხვები.

ეგ. ნინოშვილმა, ერთმა პირველთაგანმა, აუღო ალღო ახალ ცხოვრებას, მშრომელთა მოძრაობას, ასე აჩქარებულად რომ ფენს იკიდებდა საქართველოში 90-იან წლებიდან, და თავისი შემოქმედება სწორედ აქეთ მიმართა.

რამ შეუწყო ხელი ეგ. ნინოშვილში ასეთი მსოფლმხედველობის განვითარებას? რატომაა ეგ. ნინოშვილის შემოქმედებაში ასე მკვეთრად ასახული ახალი ცხოვრების დაუზოგველი ჭიდილი ძველთან და ძველის კატასტროფიული ნგრევა?

ამის გასაღებს ჩვენ ვპოულობთ: ა) გარემო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, 90-წწ. მშრომელთა მასების აღმავლობაში; ბ) „მესამე დასის“ როგორც მოაზროვნე და სამოღვაწეოდ დარაზმული ჯგუფის წარმოშობა-ჩამოყალიბებაში, რომლის აქტიური წევრიც დასაბამიდანვე ეგ. ნინოშვილი იყო. მართალია, ეს ჯგუფი შინაგანი ინდივიდუალური სხვაობით ხასიათდებოდა, მაგრამ ის მარქსისტული (თუმცა უმეტესობა ლეგალური მარქსიზმის) მსოფლმხედველობით იარაღდებოდა და მარქსისტული პოზიციებიდან ცდილობდა მოვლენების გაშუქებას; და გ) თვით ეგ. ნინოშვილის პირად ცხოვრებაში.

* * *

ეგ. ნინოშვილი, ღარიბი გურული გლეხის თომა ინგოროყვას შვილი, დაიბადა 1859 წელს. მან მთელი თავისი ცხოვრება მძიმე ეკონომიურ პირობებში განვლო. ღედით ნაადრევად დაობლებულ ეგნატეს ზრდიდნენ ბიძა ალექსი და მამიდა ნინო. საიდანაც მან თავის ფსევდონიმად ნინოშვილი აირჩია.

ეგნატე ნინოშვილი ავტობიოგრაფიაში ასე გვაცნობს თავისი ცხოვრების პირველ წლებს: „შვილი თუ რვა წლისა ვიქნებოდი, როცა ჩემმა მამიდამ ერთ დილას წამიყვანა მდინარეზე, ჩამადგმევინა ფეხი შიგ და დამაწყებინა „ან“, „ბან“-ის კითხვა კარანდამით დაწერილ ნაგლეჯ ქალაღზე... ანბანის გაზეპირების შემდეგ წამიყვანეს ერთი აზნაურის ოჯახში, ღვდელთან (ეს აზნაურის ოჯახი მეტად გარყვნილი რამ იყო). ღვდელი მასწავლიდა რალაც ლოცვებს: მხედრული წერა-კითხვა თითონ ღვდელმა არ იცოდა და არც მასწავლიდა... აზნაური ღვდლის ოჯახში (დიდ-ჯალბიანი იყო) აუარებელ საქმეს მაკეთებინებდენ, ერთ წამს არ მასვენებდენ. ნახევარი წლის შემდეგ ღვდელთან ყოფნისა მშობლებმა გამგზავნეს ქ. ფოთს. ამ ღვდლის ძმისწულთან, რომელსაც ქალაქ ფოთში ხის ვაჭრობა ჰქონდა. მთელი ერთი შემოდგომა. ზამთარი და გაზაფხული ვეგდე ამ ვაჭარი აზნაურის სამზარეულოში და ვაცხოვდი მისი ბრძანებით მკადს. წერა-კითხვის ან სხვა რამეს სწავლა-კი ჩემთვის აღარსად იყო ამ დროს. უკანასკნელ მშობლებმა, (ბიძამ) მომაშორა ამ საშინელ ცუდ მდგომარეობას, წამომიყვანა შინ და მიმცა სოფლის სასწავლებელში“¹.

1871—1875 წლებში პატარა ეგნატე „ხან შინ ძროხებსა და თხებს“ მწყემსავედა და ხან დროგამოშვებით სოფლის სკოლაში დადიოდა. ხოლო 1876 წლის თებერვალში შევიდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მან დიდი ნიჭი და ბეჯითობა გამოი-

¹ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 3.

ჩინა. მეორე განყოფილებიდან იმავე თვეში მესამე განყოფილებაში გადაიყვანეს. მიუხედავად ეკონომიურად დიდი შევიწროებისა, ეგნატე არა მარტო მესამე განყოფილების გაკვეთილებს ამზადებდა გულისყურით, არამედ იმავე დროს ემზადებოდა მოსამზადებლიდან პირდაპირ მეორე კლასში გადასულიყო, რაც წარმატებით მოახერხა. ესმა თოთიბაძე იგონებს, რომ ეგნატე ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ყოფნის დროს დიდ გაკირვებაში ცხოვრობდა. „საქმელი მოჰქონდა მისი ზურგით შინიდან, რადგან ძაან ღარიბი იყო... ჰადს ზელდა და იცხობდა. თუ იყო რამე მინდორში მონახვიდა ფბალს და მოხარჩვიდა, რასაც მარილს წააყრიდა, მიაქმევდა მჰადს, ან კიდომ ყველს ან ტარანს, თვარა და ქე იყო შმიერი. მიუხედავად ამისა, სულ კითხულობდა და კითხულობდა. არ იქნებოდა მისი ტყვილი გაჩერება, სულ წიგნზე იყო მიციკქინებული. სამკითხველო არ იყო მაშვინ, მარა სულ სხვა და სხვაი წიგნები მოქონდა და კითხულობდა. საცხაიდან ყოველთვის მეიტანდა წიგნს“¹.

1878 წელს ეგნატე გადავიდა თუ არა მეოთხე კლასში, სასწავლებელში მოხდა მოსწავლეთა უკმაყოფილება ზედამხედველის დეკანოზ სიმონ ქიქოძის მიერ სკოლაში დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ. მოსწავლეთა ამ საქციელს სიმონ ქიქოძემ უწოდა „ბუნტი“, მისი ხელმძღვანელობით კომისიამ აწარმოვა გამოძიება, რის შედეგადაც ეგ. ინგოროყვა და ჯიჯიშვილი ბარნაბა აღიარებული იყვნენ ამ საქმის მოთავეებად და სკოლიდან გარაცხეს როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედონი. მათ მიეცათ „მგლის ბილეთი“, ამრიგად სწავლის გაგრძელება სახაზინო სკოლებში მათთვის შეუძლებელი გახდა.

მაგრამ სწავლასა და კეთილსასარგებლო მოღვაწეობას მოწყურებული ეგ. ნინოშვილი არ შედრკა, დასახული მიზნებისაკენ მაინც ენერგიულად გაიწია. დამოუკიდებლად მოემზადა, 1879 წლის გაზაფხულზე ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორთან ჩააბარა გამოცდები სახალხო სკოლის მასწავლებლის წოდებაზე და იმავე წლის შემოდგომაზე (ოქტომბერში) გაემგზავრა თავის სოფელში (ჩოჩხათის საზოგადოებაში) მასწავლებლად.

ეგ. ნინოშვილს, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებს სოფლის მასწავლებლის ასპარეზი. მისი გული და გონება უფრო ფართო სარბიელს ეძებს. გრძნობს, რომ მას მეტი განათლება, მეტი ცოდნა ესაჭიროება. მასში იღვიძებს დაუძლეველი სურვილი წავიდეს სასწავლებლად საფრანგეთში. ანებებს მასწავლებლობას თავს. საფრანგეთში წასასვლელი ფულის შეგროვების მიზნით, რომ ხელახლა სწავლას

¹ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1835, გვ. 131—132.

შესდგომოდა, შევიდა ამხანაგად „ვილაც“ „პოლრიალჩიკებთან“, მაგრამ აქედან მას ვალების მეტი არა დაჩენია რა“. შემდეგ 1882—1883 წლებში ეგნატე სუფსის სადგურზე ტელეგრაფისტად მსახურობდა. აქედან 1884 წელს მიდის თბილისში არსენ კალანდაძის ტიპოგრაფიაში ასოთამწყობად, საიდანაც მხოლოდ ხარჯის ფული დღეში 7 კაპიკი ეძლეოდა, რადგანაც ტიპოგრაფიას შემოსავალი მცირე ჰქონდა.

1885 წელს ეგნატე ატარებს გურიაში თავის სოფელ ჩოჩხათში — უნდა თავის თავზე მუშაობა, არ იშორებს სურვილს საფრანგეთში წასვლისას. მეტად საგულისხმოა ეგ. ნინოშვილის იმ დროის წერილი თედოსახოკიასადმი. სეველიანი, დაუქმყოფილებელი კილოთი სწერს ის თედოსახოკიას: „სულ გურიაში უნდა დარჩეო? — მეკითხები. მაშ რა ვქნა, ძმაო? ხომ გინახავს ფრთებ დაჭრილი ფრინველი, რომელიც აღმა-აღმა გასაფრენად იწევდა, მაგრამ ძალა კი არ შესწევდა? სწორედ ამ ფრთებ მოჭრილ ფრინველს გავს ჩემი წადილიც: გულს სწყურია, ენატრება სწავლა-განათლების შეძენა, ყენეა-პარიჟის თავისუფალი ცხოვრების ხილვა, მაგრამ ღონე და გარემოება არ შემწევს ეგ წადილი განვახორციელო. ვინ იცის, იქნება ოდესმე თუ არა, ისეთი ბედნიერი შემთხვევა, ისეთი ბედნიერი დრო, რომ პარიჟი და სხვა მისთანა თავისუფლების სამშობლო ქალაქები ვნახო, თავისუფლების ჰანგებით სავსე „Marsellieuse“ გავიგონო! ეჰ, ეგ შემთხვევის საქმეა და არც ღირს ამაზე ლაპარაკი“¹.

* * *

ეგ. ნინოშვილი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რომ ფული შეაგროვოს და როგორმე საფრანგეთში წავიდეს. 1886 წ. სოფლის მწერლადაც მუშაობს, მაგრამ ამ თანამდებობაზე ექვს თვეზე მეტი ვერ გასძლო. საგულისხმიეროა ეგ. ნინოშვილის წერილი სოფელ ჩოჩხათის სკოლის მასწავლებელ სიმონ ჭუმბურიძისადმი: „სულიერო ძმაო სიმონს!.. შენ ჯერ შეუჩვენელი ხარ მაქაურობას და ალბათ მოწყენილი იქნები, მაგრამ მალე გაგიცნობენ, მიგიწვევ-მოგიწვევენ და გულს გადააყრლებ. მე ხომ შენში ისეთი სიმპატიური კაცი გავიკანი, რომ ნახვას არ მოგაკლებ, თუ ამ დასაქმევე კანცელარიას დავახწიე თავი. სილარიბეს დაუდგა თვალი, თორემ სოფლის კანცელარიაში განა დაიდგომება კაცი. ორიოდ გროში მაქვს ამოსაგები და ის თუ დაეტყუე როგორმე გაიძვერა მამასახლისს, მერე აქ რომ დამაბან, მაინც არ დავდგები. მგონია მალე გავთავი-

¹ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 111, 1935, გვ. 86.

სუფლდე აქედამ და გნახავ. შენი სულიერი ძმა ეგნატე ინგოროცა“¹.

მართლა, სიმ. კუმბურიძის მოგონებით, ამ წერილის მიღების შემდეგ არ გასულა ოთხი-ხუთი დღე და ეგნატეს სოფლის მწერლობისათვის თავი დაუნებებია და ჩოჩხათში დაბრუნებულა, სადაც სიმ. კუმბურიძესთან ერთად თვითგანვითარებისათვის მოუკიდია ხელი. „სკოლას რომ მოვრჩებოდი, — მოგვეთხრობს სიმ. კუმბურიძე, — დავიწყებდით ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვას. ხან ის კითხულობდა და მე ვისმენდი, ხანაც მე ვკითხულობდი და ის ყურს მიგდებდა... წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს უხვად გვიგზავნიდა ბ. სპირიდონ თოფურია სამოქალაქო სკოლის წიგნთსაცავიდან და სამოქალაქო კლუბიდან, სადაც საერთო ფულით ქონდათ გამოწერილი მასწავლებლებს საუკეთესო რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთები. განსვენებულს ძლიერ უყვარდა მოთხრობებში ტიპების დაკვირვება და აწონ-დაწონვა“².

იმავე 1888 წლის ნოემბერში ეგნატე ახერხებს საფრანგეთში, მონპელიეში გამგზავრებას. მონპელიეშიც ეგ. ნინოშვილს უსახსრობის გამო მძიმე პირობები შეექმნა. ორგანიზმის სისუსტის გამო მან მუშაობაც ერთ კვირაზე მეტი ვერ შესძლო და 1887 წლის მარტს უკან გამოემგზავრა იქაური ქართველი მოსწავლეების დახმარებით.

1887 წლის აპრილში ეგნატე გრიგოლ გურიელთან დადგა მწერლად. აქ მან იმსახურა 1887 წლის 7 ნოემბრამდე. არც ეს სამსახური იყო სასარგებლო, თუმცა იქ ის გაეცნო გურიელების ხელნაწერ დოკუმენტებს, რამაც საბაზი და მასალა მისცა, „ჯ ა ნ ყ ი გ უ რ ი ა შ ი“ დაეწერა.

* * *

1889 წელს ეგ. ნინოშვილი ხან შინაა, ხან ბათუმში სამუშაოს საძებნელად: ხან ნავსადგურში მუშაობს, ხან ქარხანაში უბრალო მუშად დღეში ათ შაურად, ხან მანეთად, იქ ეცნობა მუშათა მდგომარეობას, იჩენს მუშებისადმი დიდ მზრუნველობას.

1890 წელს ის ნ. დოლობერიძის კანტორაში მუშაობს. ზესტაფონში, სადაც აგრეთვე მძიმე სამუშაოს ეწევა. „მე მგონია, — წერს ეგნატე, — ჩემი ჯანი და სიმრთელე დავლუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით. ამ დროიდან მოწყებული შემეჩვია აკადემყოფობა და მას შემდეგ იშვიათად ვყოფილვარ კარგად“³.

¹ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 76.

² იქვე, გვ. 152.

³ იქვე, გვ. 5.

მიუხედავად საქმით ასეთი დატვირთულობისა და ჯახის სისუსტისა, ეგნატე მაინც თავდავიწყებით მუშაობს თავის თავზე, აი რა საგულისხმეორო წერილს სწერს ის ვარლამ ჭიჭინაძეს: „... ერთი დიდი ურემი ამბები ჩამომიტანე მაგ პიტერიდან. თუმცაღა ეხლა ბევრს არაფერს გწერ, მაგრამ, როცა ჩამოხვალ, ჩვენი ერთ დიდ ბელელ ამბავს დაგახვედრებთ. იცი, შენ კაზიონი კი არა, არაკაზიონი ამბები ჩატენე გოდრებში... აბრამ ტიმოფეევს რატომ წაეჩხუბეო. კაცო, სადაც წასაჩხუბებელია, იქ წაჩხუბება უნდა! რას მიქვიან მოთმენა და ისიც ადგილის გულისთვის! ჯანი გავარდენ იმ სიცოცხლეს, თუ კი ჩემს დღეში კომპრომისებზე ვივლი! იცი, ვარლამ, ჩვენი ცხოვრება უამისოდაც კომპრომისებით არის სავსე. არა, ძაო, სადაც უსინდისობას დაინახავ, იქვე უნდა უკიეინო... მე კიდევ ზესტაფონში ვარ და კიდევ ვალებით ვცხოვრობ. ზესტაფონში ეხლა კარგი სამყოფია, იმოდენა წიგნები გამოიწერეს ყმაწვილებმა, რომ მგონი, თბილისშიაც ვერ იშონოს კაცმა მეტა“¹. ეგნატე აქვე ატყობინებს, რომ „კარლ მარქსს სწავლობს“. აქედან ცხადია მარქსის შესწავლა თვით ეგნატესათვისაც ფაქტია. ეს წერილი იშვიათი სიმკვეთრით ავლენს ეგ. ნინოშვილს, როგორც მტკიცე, შეუდრეკელ, პრინციპულ მოქალაქეს, დიდი მორალისა და ინტერესის შემცველს.

1891 წლიდან ეგნატემ თავი დაანება ნ. ლოლობერიძის კანტორას და მუშაობა საფილოქსერო დასში დაიწყო. მას მოუხდა დალესტინის მრავალი პუნქტისა და ლეჩხუმის და რაჭის რამდენიმე სოფლის მოვლა.

1892 წლის აპრილიდან ის ხელახლა უბრუნდება ლოლობერიძის კანტორას. მაგრამ მალე, იმავე წლის აგვისტოში, თავს ანებებს და გადადის თბილისში. აი რასა სწერს ის თედო სახოკიას: „...სხვაგან სიცოცხლეს, იქ (თბილისში) სიკვდილი სჯობიან, ის არის ჩემი „ალ-თქმის ქვეყანა“... მე შინ (ჩოჩხათში) ვარ, მაციებს, ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უნდა გთხოვო: თუ შეგაძლია, მომიხერხე „ივერიის“ რედაქციაში მუდმივი სამუშაოს შოვნა. ავად ვარ, მაგრამ რა ვუყო, კარგა როდის ვყოფილვარ! სანამ ცოცხალი ვარ, ჰამა ხომ მინდა. რედაქციაში მუშაობა ქე მაინც არ მეთაკილება, მუშაობასაც შევიძლებ. ერთი სიტყვით, თედო, თუ ჩემთვის კარგი გსურს, გამიწყვე ეს საქმე“².

ამ ხანებში ეგ. ნინოშვილი ათავსებს თავის მოთხოვნებს და პუბლიცისტური ხასიათის წერილებსაც „ივერიაში“ და „კვალში“; მისი ნაწარმოებები ცალკეულადაც იბეჭდება. ის ამ დროს უკვე ცნობილი და მიღებული მწერალია. მკითხველიც და პატივისცემელიც ბევრი

¹ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 100.

² იქვე, გვ. 103.

ჰყავს. ისიც გარკვეულად გრძნობს თავის მოწოდებასა და გზას, უნდა ახლო იყოს ქართული კულტურის ცენტრთან, ქართულ ჟურნალ-გაზეთობასთან. ამიტომაც ასე მიისწრაფვის თბილისში.

მაგრამ თბილისშიც დიდხანს არ მოუხდა ცხოვრება. 1892 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა ეგნატეს მამა. ეგნატე დაბრუნდა სოფელში. ავადმყოფობამაც ხელი დარია. ის აჩქარებით წერს მოთხრობებს, უგზავნის ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც მას აწვდიან იმ დროისათვის ჩვეულებრივ მცირე ჰონორარს. ამგვარ შევიწროებაში მყოფ ეგნატეს ავადმყოფობა უფრო ერევა. თითქმის ლოგინიდან აღარც წამომდგარა. ეგ. ნინოშვილის, ამ დროს უკვე სახელმძღვანელო მწერლის, ავადმყოფობა ქართველ საზოგადოებას ძლიერ აწუხებდა. მწერალს თანაგრძნობის მრავალი წერილი მოსდიოდა.

მწერლის მდგომარეობას მისი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში. გზ. „ივერიაში“ ასე ახასიათებს ერთ-ერთი მისი მახლობელი მეგობარი.

„ჩვენი ე. ნინოშვილის ავადმყოფობას ამ ბოლო დროს მეტად უიმედო ნიშნები დაეტყო. რადგანაც სოფლად მისი ცხოვრების პირობები აუტანელი შეიქმნა, მან განიზრახა ბათუმში დაბინავება. სამწუხაროდ, ბათუმმა ვერაფერი თანაგრძნობა აღმოუჩინა ჩვენს მწერალს... მისი ცხოვრება აქაც აუტანელი შეიქმნა. ავადმყოფმა არჩია ისევ თავის სოფლის ქონში დაბრუნება. სისუსტე თანდათან უძლიერდებოდა, მიუხედავად ამისა, მუდამ შრომასა და მუშაობას დაჩვეული, ის დროგამოშვებით წამოვარდება ლოგინიდან და ამოდ ცდილობს დაწყებული შრომის გაგრძელებას: აკანკალებულ ხელიდგან კალამი უხსლტება და გაშმაგებული, თვალცრემლიანი ლოგინად ეცემა: „ვკვდები, ვკვდები“, — ამბობს შესაძრწუნებელი ქვითინით, „ვკვდები იმ დროს, როცა ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი, როცა ჩემი მომავლის მოქმედების პროგრამა უფრო ნათლად გამოვარკვიეო“. ამ პატიოსან კაცს საშინლად აწუხებს ის გარემოებაც, რომ პასუხის მიწერაც არ ძალუძს იმ პატივისცემ პირებისათვის, რომელთაგან თანაგრძნობით სავსე წერილებს ღებულობს“.¹

ასეთს ეკონომიურ შევიწროებაში, ფიზიკურს ტანჯვა-ტკივილებში და სულიერ მღელვარებაში დალია სული უდავოდ ნიჭიერმა მწერალმა, პრინციპულმა მებრძოლმა-მოქალაქემ ეგნ. ნინოშვილმა 1894 წლის 27 მაისს.

-- 7

* * *

ეგ. ნინოშვილი, 1893 წელს ეკამათება რა Plehs-ს (ნიკო ხიზანიშვილის ფსევდონიმია), გაოცებული უკმაყოფილებით შენიშნავს:

¹ გზ. „ივერია“, 1894, № 83.

„ბ. Plebs-ი მბარალებს, თითქოს მე ვფიქრობდე „სიმდიდრე ბოროტებაა“ მეტი. მაკვირვებს ბ. Plebs-ი, რომელიც ისე კარგად კითხულობს დაუწერელს, რისთვის ვერ წაუყითხავს ჩემს სტატიაში დაწერილი შემდეგი სტრიქონი: „არც სასურველია მრეწველობის შეფერხება არც ერთი ქვეყნისთვის-მეტი? სიმდიდრე თავისთავად ბოროტება კი არაა, ბედნიერებაა, მხოლოდ სიმდიდრით შეუძლია ადამიანს დააკმაყოფილოს თავის ათასგვარი მოთხოვნილება. მაგრამ უთანასწოროდ განაწილებული სიმდიდრე, თუ გნებავთ, ბოროტებაც ვახლავს... ასე, ჩემო მკითხველო, ცალმხრივი სიმდიდრე ნუ გაგვახარებს, სანამ გულები ისე არ იქნება მომზადებული, რომ ყველა გამრჩელს შეეძლოს იმისაგან ღვინის სმა“¹.

ეს შეხედულებაა დასაბამი საფუძველი ეგნ. ნინოშვილის მსოფლმსედველობისა და მისი როგორც პუბლიცისტიურისა, ისე მხატვრული შემოქმედებისა.

ეგ. ნინოშვილი, შვილი ღარიბი გურული გლეხისა, მთელი ცხოვრების მანძილზე მასთან მჭიდროდ დაკავშირებული, მისი ჭირისა და ლხინის მოწმე და თანაზიარია. ამიტომაც, რომ ეგ. ნინოშვილის მხატვრული აპერეპეცია მშრომელი ხალხის გაჭირვებულ ცხოვრებას ჩაჰკირკიტებს, მის დამახასიათებელ მოვლენებს და მათ მიზეზებს ამჩნევს, იკვლევს, კრფს და მათ მხატვრულ სახეებში სჭედს. სრულიად სამართლიანად შენიშნავს მწერლის მეგობარი და მისი ერთი პირველი დამფასებელთაგანი: „ძალა ნინოშვილის ბუნებრივი ნიჭისა მასში გამოიხატა, რომ რის ამოკითხვაც მან ვერ მოასწრო წიგნებიდან, ამოკითხა ცხოვრების სიღრმიდან, მისი ცოცხალი ფაქტებიდან, ამ საიმედო და უტყუარი წიგნიდან“².

ზედმიწვევით მცოდნე ამ წიგნის შინაარსისა, მისი დიდი ოსტატობით წამკითხველი და გამგები, ეგ. ნინოშვილი ჩაბმული იყო მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი, ე. წ. „მესამე დასი“ დიდი ენერგიითა და გატაცებით იწყებდა.

ეგ. ნინოშვილის ხანმოკლე მოღვაწეობას რომ ვუკვირდებით, ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ მწერალი გაურკვეველია, რომელი იყო მისი შემოქმედების ძირითადი გზა — მწერლობა — მხატვრული შემოქმედება, თუ კრიტიკა-პუბლიცისტიკა. სრულიად სამართლიანია ორი, თითქოს სხვადასხვა ხასიათის შეფასება ეგ. ნინოშვილის მწერლობისა ორი მისი მახლობელი მეგობრის მიერ: „მოთხოვნილების წერას ის აღმაცერად უყურებდა, — წერდა ერთი მათგანი, —

¹ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 65-66.

² თუჩან. „კვალნი“, 1935, № 8, გვ. 12-13.

თავის ძალას გრძნობდა უფრო სხვა სფეროში ლიტერატურისა — კრიტიკა-პუბლიცისტიკაში, რომლისთვისაც ამ ბოლო დროს ემზადებოდა და ფექტობდა ასპარეზზე გამოსვლას“¹. ეგ. ნინოშვილის ნიჭის ეს ერთი მხარეა, რომლითაც ის მის მახლობელთა ერთი ჯგუფისათვის მყლადენდებოდა.

მაგრამ მახლობელ მკითხველთა ყურადღებას ეგ. ნინოშვილის ნიჭი მარტო ამ მხრივ არ იპყრობდა. „ძალაუნებურად, — წერს მეორე ახლო მეგობარი ეგ. ნინოშვილისა, — ხელში კალამს იღებს, უბრალო ფელეტონის დაწერა უნდა, მაგრამ მის უნებურათ მოთხრობა გამოდის...“² და თითქოს ასეთ გაუგებრობის გასაღებს „კვალის“ თანამშრომელი იქვე, იმავე წერილში იძლევა: „მის მოთხრობაში დასურათ-ხატებულნი ტიპნი — ყველა ცოცხალი პირებია, ყველას მათ პირადათ იცნობდა ჩვენი ძვირფასი ეგნატე. რომ კიდევ ეგრძნო სავსებით თავისი ბელეტრისტული ნიჭი, ე. ნინოშვილი მაშინაც ვერ მიაქცევდა უმთავრეს ყურადღებას მწერლობითს მოქმედებას“³.

მიუხედავად იმისა, რომ ეგ. ნინოშვილი ფართო მკითხველ საზოგადოებაში თავიდანვე განმართდა როგორც მწერალი-ბელეტრისტი და მის მსატყრულ ნაწარმოებებს სიამოვნებით ბეჭდავდნენ ჩვენი ურნალ-გაზეთები, ეგ. ნინოშვილი მაინც გულით ეტანებოდა პუბლიცისტიკას. ამ მიმართულებით აი რა საგულისხმო წერილს სწერს ის. ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას 1894 წ. 1 იანვარს: „ძლიერ მესიამოვნა, რომ ჩემი სტატია დაიბეჭდა. ჩემი მოთხრობების დაბეჭდვისთვის მე არასდროს არ ავჩქარებულვარ, სტატიების დაბეჭდა კი ყოველთვის მეჩქარება, ყოველთვის ბავშვივით მიძგერს გული, მინამ ჩემს სტატიას დაბეჭდილს დავინახავდე. როცა მოთხრობას ვწერ, სრულიად დამშვიდებული ვარ, სტატიის წერის დროს კი ჩემი გული ღელავს, თითქო ვიღაცას პირადათ ვებრძოდე, ვეჩხუბებოდე. მოთხრობებში მე ვცდილობ, შეძლებისდა გვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები, სტატიებით კი ვებრძვი იმათ, ვინც თავიანთი ცრუ აზრებით ხელს უშლიან ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის წყლულის განკურნავზე. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, რომ ეს უკანასკნელი (სტატიები) უფრო საყურადღებოა ჩემთვის“⁴.

საგულისხმოა გავარკვიოთ, რა იყო იმის მიზეზი, რომ ნინოშვილს, თითქმის უკვე სახელმწიფოებრივ ბელეტრისტს, ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიკვლეული, რომ მასში უფრო მძლავრი იყო ბელეტრისტული ნიჭი?

¹ უფრ. „კვალი“, 1894, № 20, გვ. 2.

² უფრ. „კვალი“, 1895, № 8, გვ. 13.

³ იქვე.

⁴ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 114.

რა იყო იმის მიზეზი, რომ ის ვერ მიაქცევდა უმთავრეს ყურადღებას „მწერლობით მოქმედებას“, როგორც ზოგიერთი მისი მეგობარი-თანამოკალმე წერს?

ამისი მიზეზი უპირველესად უნდა ვეძიოთ ეპოქის გამოკვეთილ თავისებურებებში, იმ დროისათვის დაწყებული იყო დაუნდობელი ბრძოლა ფულის მოგების საფუძველზე, საზოგადოების გამოფხიზლებული მოწინავე ნაწილი მწვავედ განიცდიდა, რომ ამ ახალი კერძის სამსხვერპლოზე შეუბრალებლად იწვოდა და იფერფლებოდა ურიცხვი ხალხი, რომ მის წინაშე მუხლს იდრეკდნენ ყმაცა და ბატონიც, მის უცილებელ უფლებებში გადადიოდა ყოველგვარი შრომის იარაღი, რის შედეგადაც ბევრი მის ყურმოჭრილ მონად ხდებოდა; მეცნიერებაც კი ამ კერძმა თავის დასაცავად თუ განსამტკიცებლად აალაპარაკა.

ამას გარდა, თვით ეგ. ნინოშვილის თავისებური ცხოვრების პირობები და ბუნებაა ამ მიუქვლელობის მიზეზი. ეგ. ნინოშვილი, როგორც მოვიხსენიეთ, სიღარიბეში გაზრდილია. მისი ცხოვრებას კარგი მცოდნე — მის დუღილში გამოვლილი და გააქვებულე, მისი მწვავედ შემგრძნობი. ბუნებრივია, რომ ის, როგორც ფხიზელი, ნიჭიერი, დიდი ჰუმანისტი, ჭაბუკობიდანვე ჩაება გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლაში, შეიძლება ითქვას, ჭაბუკობიდანვე იდეურ-პოლიტიკურ მებრძოლად გვევლინება, ჯერ კიდევ ოზურგეთის სასწავლებლის მოწაფის სკამზე მჯდომი.

ეგ. ნინოშვილის ყოველი სიტყვა და მოქმედება მძლავრი გამოძახილი იყო გაძვალტყავებული მშრომელი ხალხის ცხოვრებისა. ის ცხოვრების მიერ აქტუალურად წამოყენებული საკითხების თუ მოვლენების შეუფერავი მხატვარია. ეგ. ნინოშვილი მშრომელთა მასების აბობოქრებულ კლასობრივ ბრძოლაში ჩაბმული. ვით ფარვანა დასტრიალებდა და უანგაროდ იწვოდა და იფერფლებოდა ხალხის ბედნიერების სამსხვერპლოზე. ყოველი თავისი სიტყვით თუ საქმით უპირველესად, თუ მთლიანად არა, პასუხს ეძებდა იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომელთაც მიზნად ხალხის მასების კეთილდღეობის, ბედნიერი, თანასწორუფლებიანი ცხოვრების გზა ჰქონდა.

ამ მიზნისათვის ეგ. ნინოშვილის რევოლუციურ განწყობილებას, ალბათ, ვერ აკმაყოფილებდა მხატვრული შემოქმედება, რომელიც. ჩვეულებრივ, უფრო მეტ დროსა და დამშვიდებულ სულიერ განწყობილებას თხოულობს. ასეთი მიზნისათვის ეგ. ნინოშვილს უფრო მოქნილ, შესაფერ და მებრძოლ იარაღად მიაჩნდა პუბლიცისტური წერილი. ამავე გარემოებით აიხსნება, რომ ეგ. ნინოშვილის მხატვრული შემოქმედებაც პუბლიცისტურ კილოშია დაფერილი. მისი შემოქმედების მეთოდიც. პუბლიცისტურ-მხატვრულია. მაგალითად, მან თავისი „გოგია უიშვილი“ „თე-

ატრის“ რედაქციას გაუგზავნა როგორც კორესპონდენცია „საახალწლო პურღვინოს“ სახელწოდებით. მან დაწერა კორესპონდენცია, როგორც სოფლის მეთვალყურემ. როგორც მშრომელი ხალხის ცხოვრების მესაიდუმლემ, და ის ამ ნაწარმოებში კორესპონდენტი კი არა, ნიჭიერი ბელეტრისტი-მხატვარი აღმოჩნდა. და ეს ბუნებრივი იყო გარდამავალი მებრძოლი ეპოქის მწერლისათვის. ეგ. ნინოშვილისათვის მხატვრული ნაწარმოებები მხოლოდ ბასრი მახვილი იყო არსებული წესწყობილებისა და კლასობრივი მტრის წინააღმდეგ.

ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა აღნიშნულ გარემოებას, რომელშიც ეგ. ნინოშვილს ბრძოლა, ცხოვრება და შემოქმედება უხდებოდა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მწერალი მოწაფეობიდანვე მძიმედაა დაკოდილი ახალი ცხოვრების მოქალაქის მოვალეობით, და ამ მოვალეობის შესრულებისათვის ბრძოლაში მსხვერპლის გაწირვის დიდი სურვილითაა ჩაბმული, ამასთანავე თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მისი შემოქმედება მხატვრული ასახვა და გამოძახილია მწერლის თანამედროვე ეპოქისა, მაშინ ჩვენთვის სრულიად გასაგები გახდება ეგ. ნინოშვილის მხატვრული შემოქმედების გამონაყოფი — მძლავრი ტენდენცია, რომელსაც ნაკლად უთვლიდა მას ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი და რომელიც, საბედნიეროდ, მხატვარს და, შეიძლება ითქვას, დიდ მხატვარსაც ვერა ჩრდილავს. ასეთი შეხედულება უფრო თვალსაჩინო, დამარწმუნებელი იქნებოდა ეგ. ნინოშვილს თავისი ნიჭის ბუნებრივი და თავისუფალი გაშლა რომ მოესწრო.

* * *

რამ მიიპყრო ეგ. ნინოშვილის ყურადღება და ნიჭი? ეგ. ნინოშვილი სოფელში, მის ჭირ-ვარამში აღზრდილი, სოფლისა და მისი გაჭირვება-ტანჯვის დიდი მესაიდუმლეთა. ამიტომაც გასაგებია, რომ მწერლის ნიჭი და ყურადღება უპირველესად მიიპყრო სოფლის სილატაკემ, უილაჯობამ, რომელიც ისედაც უფლებააყრილ გლეხს ახრჩობდა, გასაქანს არ აძლევდა, ანადგურებდა.

ეგ. ნინოშვილის თანამედროვე ცნობილი რევოლუციონერი მიხაკაკაია ასე ახასიათებს მწერლის შემოქმედებას: „ვისაც სურს ჩვენს ცხოვრებას პირდაპირ გაუსწოროს თვალი და არა რომანტიულად, ის იპოვის ე. ნინოშვილის თხზულებებში საუკეთესო მასწავლებელს იმისა, თუ სადაა ჩვენი ცხოვრების ნამდვილი იარები... აბა, დაუკვირდეთ „პალიასტომის ტბის“ უბედურ მსხვერპლთ, „ჩვენი ქვეყნის რაინდს“, მსხვერპლთა „გოგია უიშვილის“, „სიმონას“ და თქვენ, მოზარდო და მომავლო თაობავ, იპოვით ნამდვილს წყლულს ჩვენის ცხოვრებისას: ეს არის ეკონომიურად დაცემა ქვეყნის მკეებავის

მშრომელისა, ეს არის პიროვნების უარყოფა ჩვენში და მხეცური მოქმედება „მკლავაძეებისა“, ეს არის სოფლის ხალხის უსწავლელობასა და გაჭირვებაზე თავის ღიბინისა და დიდების გამართვა „ფულიან“ დროიძეებისაგან და სხვა...“¹

საკირაო ახლო მივიდეთ ეგ: ნინოშვილის პოეტურ სამყაროსთან, რომელიც მწერალს სისხლის ცრემლებში აქვს დანახული და მგრძობიარე გულიდან გამონაჟონი სევდა-ბოლმით აკინძული.

ეგ. ნინოშვილის ასახვით. ისეა საზოგადოებრივი წესწყობალება მომართული, რომ გლეხი მხოლოდ საექსპლოატაციო ცხოველადაა გადაქცეული.

აგილოთ მწერლის ერთი პირველთაგანი მოთხრობა „გოგია უიშვილი“. შეუფერავადაა მოცემული გლეხის ოჯახის ჩვეულებრივი ცხოვრება. გოგია უიშვილი და მისი მეუღლე მარინე დაოჯახებიდან გამუდმებით წელეზზე ფეხს იდგამენ, დღესა და ღამეს ასწორებენ, როგორც იტყვის ჩვენი ხალხი, მუდამ მოუსვენარი ხარივით შრომა, ოფლის ღერა, ჭაპანის წევა, მაგრამ მაინც ვერა და ვერ ამოუვიდნენ ს-ღ. რბეს: ვერა და ვერ მოახერხეს „ბალანები მაინც დაეპურებიათ“. მკითხველს გულის სიღრმემდე სწვდება მარინეს სიტყვები, ცხოვრებით უკმაყოფილო და გაწამებული გოგიას გასამხნეველად თქმული: „რა ვუყოთ, სატელი ჩვენ არ დაგვიკლია და თუ ვერ ვიხეირეთ, ალბათ, ასთე ყოფილა ჩვენი ბედისწერა. მარტო ჩვენ ხომ არ ვართ ასე. ყაძახს ასში ერთს ვერ ნახავ ჩვენზე უკეთესად იყოს, ქვეყანა იმ დალოცვილ ღმერთს ჩვენთვის არ დუულოცავს“². რა მწვავედ იგრძნობა გაჭირვებული, ტვირთშიმე გლეხის მდგომარეობის უილაჯობა!

მარინეს სიტყვები: „ყაძახს ასში ერთს ვერ ნახავ ჩვენზე უკეთესად იყოს“ — ძალუმად იზიდავს მკითხველს და გარკვეული მიმართულებით სჭიმავეს მის ყურადღებას: ჩანს, გოგიას და მარინეს ასეთი მდგომარეობა ჩვეულებრივი, ტიპური ყოფილა. გოგია და მარინეც ტაპებია ჩვენი გაძვალტყავებული გლეხისა.

მკითხველი უფრო მეტის ინტერესით ეცნობა მათი ცხოვრების აღწერასა და ვითარებას. ეგ. ნინოშვილი ამ მოთხრობაში გოგიას ცხოვრების რამდენიმე ხაზს იძლევა, რომლებიც გამახვილებულად გვიშლის ჩვენი გლეხის მწარე მდგომარეობის ცოცხალ სურათს.

ეგ. ნინოშვილი ნიჭიერად აშიშვლებს გოგიას ცხოვრების ძირებს. ის შეუფერავად. ცხოვრების ზედმიწევნითი სიზუსტით გვაჩვენებს, გოგია (და სხვა მრავალი მისთანა) ცხოვრებას რა დოვლათით იწყებს: „გოგიას მამამ, ... — მოვეითხრობს მწერალი, — სიკვდილის შემდეგ თავის სამს ვაქს (გოგიას და მის ძმებს) სამემკვიდროდ დაუტოვა:

¹ ჟურნ. „კვალი“, 1894, № 21, გვ. 7.

² ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, 1932, გვ. 126.

ერთი პატარა ფიცრული ქველი სახლი, ერთი „ნალია“, ერთი ფაცხა და შვიდი დღიუხი საბეგრო, ანუ როგორც ეძახიან „სანადელო“ მიწა! ძმებთან გაყოფის შემდეგ, აი ამ ქონების მესამედი, სახელ-ლობრ, მხოლოდ სახლი, როგორც უფროსს, შეხვდა გოგიას. აი აქაა გოგიასა და საერთოდ გლეხობის უკმაყოფილებების ძირი.

ცხადია, ამ ქონებით გოგია ოჯახს ვერ გააძლებდა, ადვილად ფეხზე ვერ წამოაყენებდა. მაგრამ ეგ. ნინოშვილი ხაზს უსვამს გლეხის გამძლეობას, დიდ ენერგიას, გაუტეხელ ხასიათს — ის ასეთ მდგომარეობას არ უშინდება.

გოგია და მარინე, როგორც ყმაწვილნი და ჯანიანი გლეხები, დიდი იმედით, ხალისით და შეუპოვრად შეუდგებიან ოჯახის მოწყობას; ადამიანურ ცხოვრებას დანატრებულნი, ისინი იმედოვნებენ, რომ გაირჯებიან, ხელს გაანძრევენ და ტკბილ ცხოვრებას მოეწყვიან. „თავდაპირველად. — გვეუბნება მწერალი, — დაბრკოლებაც ვერ აშინებდა ამ ყმაწვილ ცოლ-ქმარს — „რა ვუყოთ, დღეს არა, ხვალ მაინც კარგად წავა ჩენი საქმე“-ო — ფიქრობდნენ ისინი და გულმაგრად ებრძოდნენ ყოველგვარ დაბრკოლებას“².

ამ სიტყუებში რაოდენი ძალა და მაღლია! ეგ. ნინოშვილი დაბრკოლებულ გლეხობას აჩვენებს და ეუბნება მკითხველს: რის გაკეთება არ უნდა შესძლოს ასეთმა სიცოცხლის წყურვილმა! მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გოგია და მისი ცოლი მარინე, მართლაც, გამუდმებით „ერთგული“ ამტანი საქონელივით შრომობდნენ, ცხოვრების მძიმე ჰაპანს დაუზარებლად ეწეოდნენ, მიწას ოფლს უხვად აწვიმებდნენ, მათი მდგომარეობა, გაუმჯობესების მაგივრად, დღითიდღე უარესდებოდა, მათი ცხოვრება თანდათან კნინდებოდა. „სიკვიდილი ჯობია ჩემ სიცოცხლესო“, ოხვრით ამოხდებოდა ხოლმე ხან ქმარსა და ხან ცოლს.

ამ გარემოების მიზეზს ხალხის მეგობარი მწერალი ასე ააშკარავებს: „მიწა—მამული მის ბარაზე არსად მოიპოვება, ნაბატონარი საბეგრო მიწას („ნადელო“) გარდა: გადასახალი დღითიდღე მატულობს, უფროსი, მებატონე, მღვდელი, მამასახლისი, ასე გასიჩქეთ, ნაცვალიც კი მას უწყურება და იჯაბნებს. სახსარი ცხოვრების გაუმჯობესებისა არსადა სჩანს... მისი ფიცრები, რომლითაც „ოღის“ აშენებას ფიქრობდა, კარგა ხანია, რაც გაყიდა სხვადასხვა გადასახალის დასაკმაყოფილებლად. გადასახალში წაართვეს მარინეს მზითვი: ნახი, ფარდაგი, სპილენძის ქვაბი და ის „ქისეის“ კაბა, რომელიც გოგიამ ჯვარის დაწერის დროს უყიდა მარინეს. რიგიანი საჭმლის უქონლობა ანუ, როგორც თვითონ გოგია იძახდა, „გლახათ ყოფნა“, სმირად აჩენ-

1 ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, 1932, გვ. 125.

2 იქვე, გვ. 26.

და გოგიას ოჯახში ავადმყოფობას. მეტადრე ერთ ზაფხულში გოგიას ცოლ-შვილს გაუჩნდა სნება და ერთი ბავშვი მოუკლა; სხვები თუმცაღა გადარჩნენ სიკვდილს, მაგრამ ერთი ბავშვი კი დამუნჯებულიყო ავადმყოფობისაგან და მას შემდეგ ასე მუნჯად დარჩა. აი ასეთმა უნუეგწომ მდგომარეობამ შეაძულა გოგიას სიცოცხლე და ანატარბინა სიკვდილი: ამიტომ უჩიოდა ის ცასა და ქვეყანას¹.

აი ნამდვილი, რეალური, ტიპური სახე გლეხის ცხოვრებისა, მ-სი უილაჯობისა, სულიერი განწყობილებისა. აი მიზეზი ხალხის უკმაყოფილებისა, ბოღმისა. ამაში იყო დასაბამი ხალხის მებრძოლი ყინის გაჩენისა და გაღვივებისაც. ამის საფუძველზე ჩნებოდა უკმაყოფილების საკირე ყოველი მხრიდან შევიწროებული გლეხის გულში. მაგრამ ობიექტური პირობები უდიერად ბოჭავდა მას, უკმაყოფილებაზე დაფიქრების შესაძლებლობააც კი უსპობდა, აბეჩაეებდა.

ეგ. ნინოშვილის სიახლე და თავისებურება იმაში გამოიხატა, რომ, მიუხედავად ზემოთქმულისა, მისი ნაწარმოების გმირებში პროტესტს, მებრძოლის განწყობილებას (თუმცა ზოგან სუსტს) მაინც ვგრძნობთ. ხშირად ეგ. ნინოშვილის გმირების პასიური პროტესტის იქით მკითხველი მკაფიოდ გრძნობს საზოგადოებრივი ცხოვრების კიშკართან მძლავრი რევოლუციური ქარტახილის მოწოდებას.

გოგია უიშვილიც, ასეთი ცხოვრებით გაბოროტებული, მუდამ წყნარი, შუბლგაუხსნელი და შრომაში თავჩაქინდრული, კარგავდა მოთმინებას, წონასწორობას და „ხშირად, — ამბობს — მწერალი, — ისეთ რამეებსაც ლაპარაკობდა, რომ მაყურებლები ამბობდნენ: „ადგილზე რომ მიაწიოს ამ სიტყვებმა, გოგიას უტიმბიროდ არ დაარჩენენ“-ო. ერთხელ ეკლესიაზე რაღაც ლაპარაკი ჩამოვარდა. გოგია ჩაერია ლაპარაკში და ისეთი რამეები წამოროყა, რომ მღვდელი ოქმის შედგენას უპირებდა, თუ ხალხს არ ეთხოვა მღვდლისთვის — „შეუნდეთ, ესეთი უსტაველი, ბრიყვი კაცია, არ გაეგება რას ლაპარაკობსო. ასევე მოუვიდა გოგიას სოფლის სასამართლოში: წამორომა ისეთი სიტყვები, რომ გოგიას სიმამრს კარგი ძღვენი დაეხარჯა მამასახლისთან — „აპატიე ჩემს სიძეს, ნუ მოახსენებ მთავრობას მის ნათქვამს“-ო².

აქ ეგ. ნინოშვილი მოხერხებულად ავსებს სურათს გლეხის ბოღმიანი, შევიწროებული ცხოვრებისას, რომელიც არა მარტო სოციალური და ეკონომიური უთანასწორობის საფუძველზე იქმნებოდა, არამედ აგრეთვე ვერაგი პოლიტიკის სისტემითაც, რომლის ძალითაც გლეხს ყველა ქელავდა, ჩაგრავდა დაწყებული მღვდლით, მოსამართლით, უფროსით და გათავებული სოფლის მწერლითა და გზირით.

¹ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1932, გვ. 26—27.

² იქვე, გვ. 127.

ე. ნინოშვილს სურს მკითხველს თვალსაჩინოდ აჩვენოს, რომ გლეხს სახელმწიფოს ძალა-უფლების მქონენი უყურებენ როგორც მუშა პირუტყვს, მას არ ინდობენ, არავითარ ანგარიშს არ უწევენ. ნინოშვილის მანძილსა და მკითხველს აჩვენოს, რომ არსებული ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილება ძალმომრეობაზეა აშენებული, ის უსამართლოა, უაზროა: მკითხველი დააჯეროს, დაარწმუნოს, რომ ასეთი ქვეყანა უნდა დაინგრეს, და ყველა შეგნებული მოქალაქე ვალდებულია ამას ხელი შეუწყოს.

კალანდობის წინაღობა. ცნობილია, ეს დღე ყველასათვის და გლეხისათვისაც „ბედნიერი“ დღეა. სხვებთან ერთად გლეხი, მთელი წლის განმავლობაში „რიგიანი საქმლის“ უქონელი, საკალანდოდ გულმოდგინედ ემზადება, რომ ამ დღეს მაინც მაძლარი და ოდნავ მაინც დაკმაყოფილებული შეხვდეს. გლეხს წელიწადში ასეთი დღე ხომ ერთი აქვს. გოგიას ოჯახიც კალანდის წინაღობის სათანადო ფაცა-ფუცშია. „ბედნიერი“ დღის მოლოდინში მთელი წლის გაჭირება და მოთმინება თითქოს საღდაც უკვალოდ გამქრალა.

ამ დღეს გატანჯულ გოგიას ოჯახს ეგ. ნინოშვილი შემდეგ ტიპურ ხაზებში გვიხატავს: „გოგია უიშვილი იჯდა თავის სახლში და, თითქო ყოველივე ჯავრი და ნადველი დავიწყნიაო, მხიარული, წარბ-გახსნილი ხან თავის ცოლს ებაახებოდა და ხან ბავშვებს ეალერსებოდა. გოგიას კმაყოფილების მიზეზი ალბათ ის იყო, რომ „საკალანდო“ პურ-ღვინო და ნამზადისი უკვე მზად ჰქონდა. მაჩინე, რომელსაც ღვთის მოწყალეობად მიაჩნდა თავის ქმრის პირ-სახეზე დანახული ღიმილი და კმაყოფილება, ბედნიერად სთვლიდა ამ დღიას თავის თავს, თითქო თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალიაო, ისე სიცილი-კისკისით აცხობდა „საკალანდო“ ხაჭაპურებს. გოგიას ბავშვები, რა თქმა უნდა, მერცხალსავით ჭიკჭიკებდნენ და ცელქობდნენ. — „კალანდა“ თენდებოდა, ხაჭაპურები ცხვებოდა, მსუქანი ღორი და ქათმები უნდა დაეკლათ, ამასთან თავიანთ შობლებსაც მხიარულს ხედავდნენ და ამაზე მეტი ბედნიერება იმათთვის რაღა იქნებოდა! მეტადრე ერთ საქმეში იყო პატარა ორწლიანხვერის ქალი, თებრო: ხან დედასთან მივიდოდა და დაუწყებდა ყურებას და ტიკტიკს: „ნენა, დიდი პული კიდევ გააკეთებ!.. სულო, სულო!.. ხან მამას ეხვეოდა და ეუბნებოდა: „ბაბა, ხეალ კალანდაია, მე ალ დავიძინავ“... და სხვა“!

ასეთი მდგომარეობა, ოჯახისათვის რომ ჩვეულებრივი უნდა იყოს, გლეხკაცისათვის წელიწადში მხოლოდ ერთია! ამ დღეს, თითქოს გატანჯული გლეხის ოჯახის წევრებს ყველაფერი დავიწყებიათ, თითქოს დღევანდელი დღე აღარ გათავდებო, სიამოვნება და კმაყოფი-

1 ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1932, გვ. 128.

ლება ყველას სახეზე კრთის. მხიარულება, ხუმრობა, ალერსი მშობლებისა და ბავშვების გულში ბუნებრივად გადმოჩქეფს. რალაც იმედი ეძლევათ, იქნება „ამ კალანდიდან მოწყებულნი წალმა შეტრიალდეს მათი იღბალი“. მაგრამ ამ წამიერ იმედსაც კი მწარე ეპვი მოშხამავს. ცხოვრების ჭირ-ვარამში გამობრძმედილი გოგია თავის თავზე დაცინვით იტყვის: — „აგია, მარინე, რომ იტყვიან — გლეხის კაცი სიხარულში მოკვდებაო. ერთი ფუთი ყირიმული პური ვიშოვეთ საკალანდოთ და ქვეყანა ჩვენი გვეგონია“¹.

კაცის გონების შემზარავი სინამდვილეა გაწამებული გოგიას გულიდან ამონაკვნისი! მართლაც, გლეხის ცხოვრება ჯოჯოხეთად ყოფილა გადაქცეული!

გოგიასა და მის ცოლ-შვილს ჯერ არც კი ეგრძნოთ ამ ოცნების სიტყბო, რომ გარეთ ძაღლის საშინელი წყუტუნი გაისმა. მალე შეშინებულ და ფერწასულ ცოლ-ქმარს ნაცვალის ხმაც მოესმათ.

დიდი ოსტატობითაა დახატული, სინამდვილეს როგორ ებრძვის გატანჯული გლეხის სიცოცხლის წყურვილის მინიმალური მოთხოვნა და სინამდვილე როგორ ამსხვერვეს მას. გოგიას არ უნდა დააჯეროს, რომ ნაცვალს ან ვინმეს შეუძლია მათ ეს დღეც მოუწამლოს. მიუხედავად იმისა, რომ გოგიამ გარკვეულად იცნო ნაცვალის ხმა, მაინც უნდა თავის თავიცა და ცოლიც დაარწმუნოს, რომ ნაცვალს ან სხვა ვისმე, რა ხელი აქვს, როცა „კალანდა აგერ გათენებულა“. მაგრამ სინამდვილე ხომ იმიტომაა სინამდვილე, რომ ოცნებას ფრთა შეაკვეცოს, ოცნებით მოპოვებულ წამიერ ბედნიერებასაც შხამი ჩაანთხოს!

გოგიას კარებს ნაცვალი ექვსი ყაზახით მოადგა. გოგიას გადასახადში თუმანს სთხოვენ. გაიმართება მათ შორის დიალოგი:

„— ივანე, რავე ჩივი, თუმანი ასე ადვილი საშონელია ჩემგან? სამ დღეს არა, სამ თვეს ვერ ვიშოვი ერთ თუმანს!..

— ვერ ვიშონიო, ამ რუსებთან არ გაგივა, ძალა აღმართსა ხნავსო. ხომ გაგიგონია? გაშონინებენ. ჯობს ულაპარაკოთ მოგვეცე, ლაპარაკს ძან ხუობენ!

— ჩემი ბაღნების დამკვლელი ვიყო. ივანე, თუ ერთი გროში გამართეს! ქენი კაცობა, ამ კალანდის გასტუმრება მაცალე, მერე სადმე საქირაოს წავალ და ვადვიხდი. — შეეხვეწა ნაცვალს გოგია.

— გეყურება, შენ ზღაპარს ჩივი, მგონია! რომელ საქირაოზე წასვლაა? ქვეყანას თხრიან და ატირებენ და შენ რას ჩივი! ფული თვარ გაქ, სხვაი რამე მოგვეცი: ღორი, ქათმები და სხე.“²

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1932, გვ. 130.

² იქვე, გვ. 131.

გოგიამ იცის. რომ ბეჩაევი გლეხი გადასახადს ვერსად წაუვა. ის უარსაც არ ამბობს. მისი თხოვნა მინიმალურია: დააცალონ კალანდა გადაიხადოს, ნუ მოუწამლავენ ამ დღეს მაინც, შემდეგ წავა სამუშაოზე, ფულს აიღებს და გადაიხდის.

აქ კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალია ჩაქსოვილი: გლეხს სოფელი ვეღარ აცხოვრებს. მისი დარღვეული ნატურალური მეურნეობა ვეღარ აკმაყოფილებს გლეხის ახალ მოთხოვნილებათ. გლეხი იძულებულია გავიდეს სოფლიდან სამუშაოდ, რათა ხელი როგორმე გაიმართოს.

მაგრამ გოგიას თხოვნას არც ნაცვალი და, მით უმეტეს ყაზახები, ანგარიშს არ უწევენ. რადგანაც გოგიამ გადასახადი ფული არ მისცა, დაუპატიჟებელი სტუმრები მისცვიდნენ გოგიას საკალანდოდ მომზადებულ ხორაგს, აკრიფეს წასაღებად; წინააღმდეგობის გაწვევისათვის მარინეს შეურაცხყოფა მიაყენეს, გოგიასაც სცემეს და უფროსთანაც წაიყვანეს.

ეგ. ნინოშვილი ამით არ ათავებს უსამართლო წყობილების მიერ გლეხის დაუმსახურებლად დაბრიყვება-დაჩაგვრის ჩვენებას. უნდა მას ნიღაბი მთლად ჩამოაგლიჯოს და განაგრძობს გოგიასადმი ხელისუფლების დამოკიდებულების გაშიშვლებას.

ნაცემ გოგიას იმედი აქვს უფროსთან სამართალი იპოვოს. მაგრამ უფროსმა ნაცვალსა და ყაზახებს დაუჭირა მხარი, გოგია გაამტყუნა, გააროზგინა კიდევ; ამის შემდეგ ნაცემი გოგია და მისი ცოლიც ციხეში ჩაასმევინა. მხოლოდ კარგა ღამე რომ გავიდა, როცა უფროსმა ნადავლით კარგად ივაზშმა და კმაყოფილება იგრძნო, „კეთილი ინება და გოგია ცოლით გაანთავისუფლა“.

აი ტიპური დამოკიდებულება ადმინისტრაციისა, სახელმწიფოსი გლეხისადმი.

ფიზიკურად და ზნეობრივად გაწილებულნი, შეგინებულნი, განადგურებულნი გოგია და მარინე დაღამებისას გაციებულ კერასა და აწიოკებულ ოჯახს დაუბრუნდნენ.

გოგია გატყდა, დაეცა ფიზიკურადაც, სულიერადაც. დაუძლეველ მოჯადოებულ მდგომარეობაში გრძნობს თავს. გოგია მიუჯდა ცეცხლს, „შემოიღვა თავზე ხელი და მდუმარება“. მარინემ კი, როგორც იყო დასძლია თავს, მიუბრუნდა ოჯახს, მშვიერ ბავშვებს ჯერ კვერი გამოუსტხო, დაუნაწილა, გოგიასაც მიაწოდა; გოგიამ რომ არ აიღო, გასამხნეველად უთხრა: „ახლა ვითამ თავი რომ დავიხოცოთ, იმით რა გავვიკეთდება? რა ვუყოთ, ბევრს ჩვენზე ვარესიც დამართია“.

ამ დეტალში მშვენივრადაა მოცემული გლეხი ქალის ოჯახისადმი დიდი პაუხისმგებლობა, ქართველი გლეხის ქალის მორალური გამძლეობა, მხნეობა და მასთან, რომ ხელისუფლების ამგვარი მოპყრობა

გლებებისადმი არამც თუ ჩვეულებრივია, არამედ უარესსაც კი აქვს ადგილი. ეგ. ნინოშვილს ხომ ეხერხება დეტალის თითქოს შემთხვევით ჩვენებით ამა თუ იმ მოვლენის მეტად თვალსაჩინო და დამახასიათებელი ნიშანი მისცეს მკითხველსა.

ბევრი ჭირ-გარამის მნახველმა მარინემ მონახა დარჩენილი პურის ფქვილი. გამოაცხო სამი ხაჭაპური: ორი ქათამიც მოიგდო ხელში, ბაეშეს დააკვლევინა, გაამზადა.

გოგია კი მთელი ამ დროის განმავლობაში მძიმედ ჩაფიქრებული ბუხართან იჯდა და ცეცხლს ჩასცქეროდა. ჩიბუხიც კი, მუდამ პირში რომ ედო, ახლა აღარ აგონდებოდა.

მარინემ საქმიანობა მოათავა, შუა ღამე იყო გადასული. მან გოგიას მზრუნველობით გაახსენა — „დროა დაფწევთო“, მაგრამ გოგიას თითქოს არც კი გაუგონია. ილაჭამოცლილი, ფიზიკურად და სულიერად დაქანცული მარინე მიწვა ბაეშეებთან, იმ იმედით, რომ გოგიაც მოიღლება და დაწვებაო. დაღლილმა მარინემ მალე ჩაიძინა.

სახლში საშინელი სიჩუმე დამყარდა. გოგია მწარე ფიქრებშია ჩაფლული. მამალმაც იყივლა. გოგია თითქოს გამოფხიზლდა, „ერთი გიეიგით გააქნია თავი აქეთ-იქით, თითქოს რაღაცაზე უარს ამბობსო“, ადგა, მძინარე ცოლ-შვილს ყურება დაუწყო, თითქოს რაღაცას თუ ვიდაცას ებრძვისო. სასოწარკვეთილებაში მყოფი გოგია რწმუნდება, რომ სიცოცხლე აღარ ღირს, ასეთს პირობებში მას არც ფასი აქვს და არც სიტკობება. ის საშინელ ტკივილებში გადაწყვეტს ამ ძალმომრეობის, ძალღუმადური ცხოვრებიდან გაქცევას, თავის მოკვლას.

გოგიას ცოლ-შვილთან მძიმე მღელვარებაში იღუმალი გამოთხოვება იშვიათი ძალითა და სიმკვეთრით ააშკარავებს გლების, იმ ცხოვრების მოძულეებულ გერის, ჯოჯოხეთურ ტანჯვას: „გღალატობ, ოჯახო! გღალატობ ცოლ-შვილო! მე მივალ, ვთავისუფლდები და თქვენ გტოვებ სატანჯველში! მომიტევეთ! ვეღარ გავუძელი! ვეღარ ევიტანე მეტი და გვექმეცი, გღალატე, მარინე! დავყარე შვილები შენს ამარა და გაგექმეცი!.. შენ უფრო სულგრძელა ყოფილხარ ჩემზე!.. რა იმედით დევიწყეთ უწინ ოჯახობა!.. ვფიქრობდი. ამნაირად გათავდებოდა!.. რა დღეში რჩება ახლა ჩემი ცოლ-შვილი! მომიტევე, მარინე, მომიტევეთ, შვილებო! მომიტევეთ, მე თავს ვუშველე და თქვენ ასე დავყარეთ!“.. და, თითქოს უნდა თავი გაიმართლოს ამგვარი საქციელის გამო, ასე განაგრძობს თავის სულიერ ტრაგედიას: „რა ვქნა?.. ღმერთია მოწამე, რაც თავს მოვსწრია, მერე დღეი არ მომისვენია და ღამე, ჩემი ოფლი მიწას ერთოდა, მარა ჩემს დღეს საშველი არ დაადგა! ერთი სიხარული არ მინახავს! სხვაი — სხვაი იყო

¹ ე. ნინოშვილი, თხ. სრული კრებული, ტ. 1, 1932. გვ. 133—139.

და შოლტით ცემა!.. არა, არ იქნება, გათავებულია! შვიდობით ცოლ-შვილო! სადა, არც მე ვიცი!.. ყველამ, ყველამ მუხტევეთ თქვენს მოღალატე გოგიას!¹ ამ სიტყვებით და ასეთი ტანჯვით გავიდა გარეთ, მიიღო გატენილი თოფი გულზე, გაჰკრა ჩახმანს თითი, თოფმა იქექა და გოგია ჩაეცა კვალში.

მაგრამ არც ამით თავდება გაწამებული ცხოვრების სურათი.

მეორე დღეს მეზობლებმა საშინელი სურათი ნახეს. გაგიყებული მარინე დანით ხელში დასდევდა შვილებს დასასოცად. პატარა თებრო დაეკლა. შეგროვილმა მეზობლებმა დაიჭირეს მარინე, დააბეს. ბავშვები მეზობელს ჩააბარეს. ასე ტრაგიკულად მთავრდება, პარტახდება ჯანღონითა და პატროსნებით აღსავსე მშრომელი გლეხის ცხოვრება.

ძალმომრეობის ქვეყანაში ძალა-უფლების მქონეთა მიერ შევიწროებამ, უსამართლობამ გოგია სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. იმ პირობებში უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა გლეხთა მხრივ წარმოებდა შემთხვევის მიხედვით, ცალკეული პირების მიერ, ვინაიდან რევოლუციურ მოძრაობას მასში ჯერ არ ჰქონდა ფეხი მოკიდებული. ბუნებრივია, ასეთს ვითარებაში ბრძოლა გლეხის სრული დამარცხებით, განადგურებით მთავრდებოდა.

თუ თვითმკვლელობა შესაძლებელია შეფასებული იქნას, როგორც ცხოვრების აუტანელი პირობების წინააღმდეგ პროტესტი, ეს უნდა ითქვას გოგია უიშვილის თვითმკვლელობის შესახებ. როგორც ჩანს, ასევე აფასებს ამ მოვლენას თვით ავტორი ეგ. ნინო-შვილი. ეს მეტად მკაფიოდაა გამომჟღავნებული გოგიას თვითმკვლელობის წინ ცოლ-შვილთან გულგამგმირავ გამოსაღმებაში — განსაკუთრებით მწვავედ, თავზარდამცემად ისმის გოგიას ბოღიში და პატიების თხოვნა ლალატისათვის, რომ ის ამ ტანჯვის ქვეყანაში ცოლსა და მის ამარა შვილებს სტოვებს და აგრეთვე მწუხარებით წამოძახილი: „რა იმედით დავიწყე უწინ ოჯახობა!.. ვფიქრობდი, ამნაირად გათავდებოდა!“ გოგიას გაწამებული გულიდან ამოხეთქილი ეს გოდება გლეხთა საერთო სასოწარკვეთილ მდგომარეობას გამოხატავდა. მკითხველსაც ეს ასე ესმოდა.

ამაშია დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ამ მოთხრობისა და მისი მთავარი გმირისა. მკითხველებში ძლიერდებოდა პროტესტი არსებული შემხუთავი პირობებისადმი, რაც მათ საბრძოლველად დარაზმვას ხელს უწყობდა.

¹ ე. ნინო-შვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1932, გვ. 138—139.

განა ასეთივე გაძვალტყავებული, დაბეჩავებული მდგომარეობა არაა ასახული ეგ. ნინოშვილის მოთხრობებში — „განკარგულება“, „პალიასტომის ტბა“ და სხვ. ყოველი მათგანი მკითხველს თვალსაჩინოდ. დამაჯერებლად უხატავს, რომ გლენს სულს აქეთ არაფერი აქვს, რომ სოფელი გლენს ველარ ასაზრდოვებს. გლენსი, სხვა და სხვა სახის გადასახადებით ყოველი მხრიდან შევიწროებული, წლებზე ფეხს იდგანს, უადამიანო მძიმე მუშაობას ეწევა, მაგრამ მისი ცოლ-შვილი მაინც შიმშილისა და სიცოვისაგან წივს. ის იძულებულია თავისი ნაშრომი გარეთ გაიტანოს, გაჰყიდოს.

ტიპიურია კაცია მუნჯაძის („განკარგულება“) მდგომარეობა. მინდვრად, ყანაში, სამი დღე და ღამის მუშაობის შემდეგ ქანცგამოღეული კაცია ერთს საღამოს სიამოვნებით პრუნდება თავის ქოხში — ოჯახში. იმედი და ღიმილი კრთის მის სახეზე. მას შეუძლია სიმინდი მოიჭარბოს, გაჰყიდოს და საცოდავი ტიტველა წვრილ-შვილი მაინც შემოსოს.

ეგ. ნინოშვილი შეუფერავად აშიშვლებს კაცია მუნჯაძის (ამ ტიპიური გლენის) აუტანელ გაჭირვებას. მარინეს, კაციას უფროს ქალს „ვიწრო ჩითის კაბა.. სიძველისაგან... ისე დახეოდა, რომ ბევრგან სხეული უჩანდა; საბრალო ქალი თავის მშობლებთანაც კი სირცხვილით ხელებს იფარებდა ტიტველა სხეულზე... მარინეს მომხანო სამ ბავშთაგან მხოლოდ ერთს ზოლებ-ზოლებად ეკიდა წინ და უკან პერანგის ნაშთი, ორი ბავში კი სულ ტიტველი იყო“¹.

შვილების ასეთი უმწეო მდგომარეობა კაციას ისედაც დაღრღნილ გულს არ აძლევს მოსვენებას. ბარსა და თოხს არ ატოვებინებს. მაგრამ მაინც მდგომარეობას ვერა სცეკის. ამის მიზეზს მწერალი ხედავს მეურნეობის დარღვევა-დაჭუტემატებაში და გლენსკაციის ბეგარა-გადასახადებით შევიწროებაში.

გლენის ამ მდგომარეობას ეგ. ნინოშვილი ასე აგვიწერს: „რამდენი ხანია ემზადებოდა კაცია, ურმით სიმინდს წავიღებ, გაუყიდი და ცოლ-შვილს დავმოსავო. მაგრამ ხან ხარი ვერ იშოვა (თვითონ კაციას კი ცალი ხარი ჰყავდა); ხან ურემი, ხან წვიმა მოვიდა და იმან დაუშალა გამოწყობილი მგზავრობა, ხან კიდევ სხვა საქმე გამოეკრა და აქამომდე დარჩა კაციას შვილები დაუმოსავად. ახლა კი სრული იმედი ჰქონდა კაციას, რომ ვერაფერი გადაეღობებოდა წინ მის მოგზაურობას, რადგანაც კარგი დარი იდგა და კაცია ყოველისფრით მზად იყო. ამ გარემოებამ დიდი სიხარული გამოიწვია კაციას ოჯახში.

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 210.

დიდა და პატარას სიხარული ენატებოდა სახეზე“¹. რა მცირედია საკმარისი, ნიჭიერად და გულის გამგმირავად გვიჩვენებს ეგ. ნინო-შვილი, რომ გლეხის ოჯახს სიამოვნება, სიხარული მიენიჭოს!

მაგრამ მეტად ხანმოკლე და მიუწვდომელი გამოდგა ეს სიხარული როგორც კაცისათვის, ისე მისი ოჯახისათვის. კაცია და მისი ოჯახი ჯერ ვერც კი გამოტყვევდნენ მოსალოდნელი სიამოვნებისაგან, დაღლილ-დაქანცულმა კაციამ ვერც კი მოასწრო ხეირიანად ამოსუნთქვა ოჯახში, რომ მის კარებს ნაცვალი მოადგა და გამოუტყბადა: „ამედამ ერთი ძალიან დიდი კაცი გეიარს მაშინით და რკინისგზაზე ყარაულები უნდა დააყენოს“. ერთ ყარაულად კაცია უნდა წავიდესო.

კაციამ მოინდომა წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ რას იზამს, რა გზა აქვს ხელმოკლე, უილაჯო, უუფლებო გლეხს? მალე გაჩუმდება, განსაკუთრებით, როცა ნაცვალი დაჰპირდება, თუ კაცია ერთ დღეს მას ყანაში უშველიდა, შემდეგი კვირის ბეგარისაგან გაანთავისუფლებდა. ზომაზე გადამეტებით ნაჯაფავი კაცია ნატრობდა იმ დამესმანც მოესვენებანა თავისი მოთეთქვილი ჯანი, ერთი „გემოთი დაეძინა“, მაგრამ სწორედ იმ დამეს „გამოსკდა დიდი კაცი და ყველაი“, — გულნაკლულად წარმოსთქვამს ბედით უკმაყოფილო კაცია.

წავიდა კაცია სადარაჯოზე. დარჩა მარტოდ ტრიალ მინდორში, რკინიგზის ხაზთან. საქმეც არა აქვს, რომ გაერთოს, დაივიწყოს თავისი შევიწროებული მდგომარეობა. დაქანცული უნდა იდგეს და ელოდოს „დიდი კაცის გავლას“. დატრიალდა მის გატანჯულ თავში მწვავე ფიქრები. ცოცხლად წამოუდგა თვალწინ საწყალი „ყაძახის“ ცხოვრება. „... ცოლ-შვილი დაარჩინე, — მწარედ შლის კაცია გლეხის მდგომარეობას, — ფოშტის ფული გადიხადე, უჩიტლის, მწერლის.. გზის სამუშაოზე წადი, სადარაჯოთ წადი, ყველას მორჩილება გაუწიე, ყველას ემსახურე! არა, ძალიან უბედურათ არის ყაძახის ცხოვრება მოწყობილი!...“²

ასეთი ფიქრებით დანაღვლიანებული კაცია თავისი ცხოვრების მძიმე პირობების ანალიზში ბუნებრივად ჩაღრმავდება. თავის ყოველი მხრივ შებოროტად ცხოვრებას თვალდია შეჰხედავს და ასე განაგრძობს თავის ფიქრთა გრეხილს: „ახლა დიდი კაცი მობრძანდებო... ძალიან ბევრი დიდი კაცი უნდა იყოს ქვეყანაზე, რომ იმდენი სამსახური სჭირდება... ჩვენი საქმე იგია, თუ გვიბრძანებს, ვუდარაჯოთ, თუ არა ციმბირში გაგზავნიო... ნეტა რანაირია იგი ციმბირი? ძალიან ფინთი კი უნდა იყოს... დიდკაცებს კი არ ჰგზავნიან ნეტა ციმბირში? კი რა ბრიყვი ვარ? დიდკაცები სხვებს გზავნიან, თავის თავს ხომ არ გაგ-

¹ ე. ნ. ნ. შ. ვ. ი. ლ. ო. ხ. ს. რ. უ. ლ. კ. რ. ბ. ლ. ო. გ. II, 1933, გვ. 210.

² იქვე, გვ. 213.

ზავნიან! რა უბედურებაა! ყაძახო, იხადე, ემსახურე, ემორჩილე და თუ რამე შეგცდა, ციმბირი და შენი ჯანი!“¹

მოთხრობის ეს ადგილი მრავალმხრივად საგულისხმო: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რეალურ ფერებშია მოცემული „უბედურად მოწყობილი ყაძახის ცხოვრება“; მეორე — რომ თვით გლეხს კარგად აქვს შეგრძნობილი თავისი სავალალო მდგომარეობა და მისი მორჩილება, წინააღმდეგ სურვილსა; მესამე — პირველად ჩვენს ლიტერატურაში დიდი მკაფიოობითაა მოცემული ორი მოწინააღმდეგე კლასის ინტერესების ასე მკვეთრად დაპირისპირება, სხვადასხვაობა და შეურიგებლობა, რასაც კარგად გრძნობს თვით გლეხი და ბოლშევიკი ივსება დიდი კაცების მიმართ. ამაშია ეგ. ნინოშვილის ნოვატორობა ჩვენს ლიტერატურაში. მაგრამ მივყვეთ კიდევ კაცის ამ შავბნელი ღამის შავბნელ ფიქრთა გრეხილს.

ამისთანა და ბევრი უფრო ამაზე მწარე ფიქრი დაესია კაცია მუნჯაძეს. ისედაც მოთენთილი მისი გონება და მთელი მისი არსება უფრო მოითენთა, დაიღალა, ძილი ბედნიერებასავით მოენატრა. დიდ ხანს ებრძოდა კაცია ამ გრძნობას, მაგრამ „ძილის ნდომა ისე ტკბილად უვლიდა ტანში“, რომ კაციას მეტი აღარ შეეძლო. „მოდო, პაწია თვალს მოვატყუებ და მერე უფრო ფხიზლად ვიქნებო“ — იფიქრა კაციამ. დაიდო თოფი მკლავზე, დადო თავი რკინიგზის ლიანდაგზე და დაწვა: „თუ ვინცობაა, მაშინა მოვიდა, რეიცაზე რომ თავი მექნება, მაშინვე შევიტყობ და წამოვხტებო“.

აი ასეთს ტანჯვა-ვებაში, შიშსა და კრძალვაშია გლეხის ცხოვრება დასაბამიდან დაბოლოებამდე, ამბობს მწერალი და მკითხველიც ასევე აღიქვამს! მწერალს უნდა სინამდვილე უფრო სისრულით გააშიშვლოს და აქ არა სვამს წერტილს, კაციას მდგომარეობის ასახვას ასე განაგრძობს:

ქანცგამოლეულ კაციას მაგრა ჩაეძინება. მას ძილშიც არ ასვენებს გატანჯული ცხოვრებით დაგუბებული ფიქრები. კაცია ხედავს სიზმარს — მოდის მატარებელი სულ ერთიანად ოქროსი, შიგ სხედან წვერგაპარსული ოქროს ტანსაცმლიანი კაცები, და კაციას მწყურალად უყურებენ, ვითომ იმიტომ, რომ მათ გაუგიათ, კაციას სძინავსო. „ვაი, დავღუპე ცოლი და შვილი! — ამბობს ვითომც კაცია თავისთვის, — ციმბირში გამგზავნიან!“

ამით მწერალს უნდა მკითხველს დაანახვოს, რა მძიმედაა ჩაქედილი გლეხის შეგნებაში მისი დაჩაგრული მდგომარეობა, მას არამც თუ ცხადლივ, ძილშიც არ სტოვებს შიში და კრძალვა გვაბატონებული კლასის წინაშე. ასე ღრმად ზის ეს განცდა გლეხში და მძიმედ შხა-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 213.

მავს მას. მწერლის მიერ კლასობრივი ჩაგვრით გამოწვეული კაცობის მტანჯველი ფიქრების სიზმარში გადატანა კი არ ანელებს კლასობრივი წინააღმდეგობის შეგნების ძალას, არამედ უფრო აძლიერებს, ამახვილებს.

მეორე დღეს, განთიადისას, რკინიგზის დარაჯმა ლიანდაგზე იპოვა მკვდარი კაცი, რომელსაც თავი ჰქონდა წაგლეჯილი. ეს იყო კაცია მუნჯაძე! აი ასე უკუღმართად, უწყალოდ იღუპება გლეხი, გვაჩვენებს მწერალი.

განა ასეთსავე დაბეჩავებულ, დაბრიყვების მდგომარეობაში არ არის გლეხობა, რომელსაც მეტად თვითნებურად კრეჟს და პარსავს მოსე მწერალი, ვის წინააღმდეგაც საჩივარი არც ცალკე გლეხს და არც მთლიანად სოფელს არ გასდიოდა? განა ასეთსავე შემადრწუნებელ სურათს არ წარმოადგენს ტარიელ მკლავაძის მიერ აწიოკებული და შეურაცხყოფილი; უპატრონოდ და განუკითხვად დატოვებული სოფელი?

* * *

ეგ. ნინოშვილის შემოქმედებას წითელ ზოლსავეთ გასდევს ის თვალსაზრისი. რომ ცხოვრებაში ფული გაბატონდა, ფულის საჭი-როება გლეხსაც სოფლიდან ქალაქისაკენ ერეკება. სოფელი ირღვევა. დაწყებულია სოფლის პროლეტარიზაცია. იზრდება ქალაქი. ეს ხდება სოფლის ანგარიშზე. ქალაქის ფულიანი ცხოვრება სოფლის პატრიარქალურ ყოფას პირველ ხანებში შხამივით ეკიდება. ქალაქის ზრდისა და მისი სოფელთან შეჯახების პროცესში იქმნება ახალი ყოფა.

ეგ. ნინოშვილი ხომ ჩვენი ცხოვრების ამ გარდამავალი პერიოდის ნიჭიერი მწერალია. მან კარგად შესძლო ხალხის ცხოვრებაში ღრმად ჩაეხედა, მკვეთრად დაენახა ცვლილებები.

სოფლისათვის ქალაქის მნიშვნელობას 90-იან წლებში აი როგორ ახასიათებს თვითონ ეგ. ნინოშვილი: „გურიის დასავლეთის მხრის სოფლებისათვის ქ. ფოთს დიდი მნიშვნელობა აქვს: რაც რამ გასაყიდი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ჰყიდის; სასყიდელია და — კიდევ იქ ყიდულობს. როცა ამ სოფლების გლეხს გარდასახადისათვის მიადგებიან კარზე და ფული კი არა აქვს, მაშინ ფოთია მისი თავდები: „მაცა, ფოთს ჩევირბენ, ამევიტან და მოქცემ“-ო, ეუბნება გლეხი „ზბორჭიკ“-ს ან ნაცვალს. დილიდამ საღამომდე მიდიან და მიდიან ფოთის გზაზე ქათმებით, ინდაურებით, იხვებით, ბატებით, ღომით, სიმინდით და ვინ იცის რით არ დატვირთული გურულები. ხე-ტყე ხომ აუარებელი ჩააქვთ გურიიდან ფოთს. ამიტომაც არის, რომ როცა

ხმა გავარდება, „ფოთი ყრუვდება, სხვაგან გადააქვთ“-ო... ზემოხსენებულ სოფლის გლეხებს ჭავრით გული უსქდებათ“¹.

ქალაქისაკენ გზა ერთადერთია. მართალია, ქალაქის ჯერჯერობით მოუწყობელი ცხოვრების პირობებში მუშა-გლეხი, შეჩვეულ ქონს მოწყვეტილი, ადვილად იღუპებოდა, მაგრამ შეეწრობული, გამოუვალ ჩიხში მომწყვეული იგი მაინც ქალაქში ეძებს ახალ, „ბედნიერ ცხოვრებას“; ის იქ თავდავიწყებით ეშვება ცხოვრების ჭიდილში და, გამოუტღელი და მოუმზადებელი, ხშირად ადვილად მარცხდება.

განა ქალაქის ამგვარმა ცხოვრებამ არ იმსხვერპლა კოტე მამალაძე („უცნაური სენი“), რომელმაც შემდეგში გაბრიელ ჩამწარდაძის მთელი ოჯახი დაასწულა და გაანადგურა? განა ამავე ქალაქს არ მიაშურა იმედგადაწყვეტილმა, სოფლის დრომოკმული პატრიარქალური ტრადიციების მსხვერპლმა ქრისტიანემ („ქრისტიანე“)? განა აქ, ქალაქში არ დაიღუპა მისი ახალგაზრდობა, ძალა, სილამაზე, სრფაქიზე, რომელთაც საღ პირობებში კარგი ნაყოფი უნდა მოეცათ? განა ქალაქისაკენ ცხოვრებას არ მიატანა გზა-კვალარეულმა სონიამ („ქრისტიანე“)? განა ქალაქისაკენ გზაზე არ იღუპება იქნანე თავისი შვილით ნიკოთი („პალიასტომის ტბა“) და მრავალი სხვა?

რატომ? იმიტომ, რომ სოფლად ცხოვრება გაქირდა, ცხოვრებას ახალი მამოძრავებელი ღერძი — ფული გამოუჩნდა. ფული ახლანდელი დროის ძალაა, ცხოვრების საშუალებაა და ფულის შოვნა, თავის გადარჩენა იმ დროს, მხოლოდ ქალაქში შეიძლებოდა.

ფული და, როგორც ამ ფულის მოპოვებისა და გამოყენების საშუალება, ცოდნა-სწავლა, იყო „ყოფნა არ ყოფნის“ გადამწყვეტი.

სწავლა კვილებს ხელს მაღალი წოდებაც, რადგანაც რწმუნდება. რომ ცხოვრების კეთილდღეობის ნიადაგი მას სწრაფად ეცლება. მაგრამ, შეჩვეული სხვისი ოფლითა და ხარჯით მზამზარეულ ცხოვრებას, ის ვერ ეგუება სწავლის შეძენის სიძნელეებს და ჯერ კიდევ შემორჩენილი დოვლათის გამო, სათანადოდ ვერც აფასებს მის საჭიროებას (ტარიელ მკლავაძე თავისი ამფსონებით — „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, იასონ უქმაძე, ლევან ძველისენიძე — „ქრისტიანე“).

სწავლის აუცილებლობა გლეხმა უფრო გაითვალისწინა. ის ადვილად რწმუნდება. რომ სწავლა საჭირო და აუცილებელი იარაღია ადამიანური ცხოვრების პირობების შექმნისათვის (ივანე — „პალიასტომის ტბა“, მოსე — „მოსე მწერალი“, დავითი — „სიმონა“). მაგრამ გლეხისათვის სწავლის გზა ძნელი და მძიმე დასაძლევია იყო. სწავლის მიღება იმ დროს ხვედრი იყო მხოლოდ შეძლებულთა, უფლებამორკმულთა.

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1932, გვ. 159.

გლებს კი კუჭი ვერ გაეძლო, შიშველი ხორცი ვერ დაეფარა. ის უფლებააყრილი იყო, იძულებული იყო სიყრმიდანვე მძიმე უღელსი შეებმულიყო, უსინარულოდ დაეღია დღენი თავისი. სოფლისა და გლებსის ცხოვრების კარგი მცოდნე, მისი მესაიდუმლე ეგ. ნინო-შვილი ასე ახასიათებს გლებსის მდგომარეობას: „...მუშა-გლებს, რაც გინდა რა დარი იყოს, მაინც არ შეუძლიან მოისვენოს; გლებმა კარგად იცის, რომ მოსვენება და სატანჯველის მორიდება უარესს სატანჯველს შეახვედრებს და ამიტომ არასდროს არ ისვენებს, არც დარში და არც ავდარში, ეწევა უღელს, სანამ სიკვდილი არ დაახუჭინებს თვალებს“¹.

ასეთს მდგომარეობაში იყო წერილშვილის პატრონი გლები ღვანე, რომელიც თავისი უფროსი თექვსმეტი წლის შვილით ნიკოთი ტყეში მთელი კვირაობით, ხან შეიძლება თვეობითაც, რჩებოდა ფიცრების დასამზადებლად, რომლებიც ფოთში უნდა გაეყიდა, რათა ოჯახი როგორმე დაეპურებინა. ივანე მწუხარებით ამოიკენესებდა ხოლმე, როცა სამუშაოზე თავის სუსტი აგებულებას შერლს ნიკოს დაინახავდა. მამა ატყობდა, რომ ნიკოს ნაზ აგებულებას მძიმე მუშაობა უჭირდა, ამიტომ ის ერთხანს სოფლის სკოლაში ჰყავდა, მერე საქალაქო სასწავლებელში წაიყვანა. ნიკომაც სწავლის ნიჭი გამოიჩინა, პირველ შეგირდად ითვლებოდა თავის ამხანაგებში, მაგრამ ივანემ ვეღარ შესძლო შვილის სკოლაში რჩენა და მალევე გამოიყვანა სასწავლებლიდან, იძულებული შეიქნა გვერდში ამოეყენებინა და მუშაობაში მისი ისედაც სუსტი აგებულება ჩაეკლა. როცა კი ივანე ნიკოს წიგნს ხელში დაუნახავდა, უფრო მეტად იტანჯებოდა და თითქოს მონანიებით ამბობდა: „წვევიწყმიდე სული, შენ რომ სკოლას მოგაშორე! ახლანდელ დროში უსტავლელი კაცი უღლის ხარია, მეტი არაფერი“. სინამდვილეშიც, ივანეცა და მისი შვილი ნიკოც სტიქიასთან ბრძოლაში ისე ილუპებინან, როგორც უღლის ხარები. მწერალი იქვე მშენივრად ჩაურთავს, რომ ამგვარი უბედურება გლებსის ცხოვრებაში ჩვეულებრივია.

სწავლის საჭიროებაში გლებობაც რწმუნდება, ამიტომ, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ზოგიერთი გლები არაფერს ზოგავდა, შვილისათვის სწავლა როგორმე მიეცა, რათა მისთვის მაინც აეცილებინა მწარე ხვედრი.

აქი მოსე გულფუჭაძის მამამაც („მოსე მწერალი“) აღარ მოინდომა თავისი შვილი სოფელში დაეტოვებინა. მამას უნდოდა სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ მის შვილს სწავლა განეგრძო, მაგრამ, როგორც ღარიბმა გლებმა, ვერ შესძლო. არც ის უნდოდა,

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1932, გვ. 161.

რომ სკოლაში ნამყოფი შვილისათვის ოხნი მიეცა ხელში. თვითონ მოსეც გულთ ცდილობდა თონისაგან განთავისუფლებას.

მამას ჯერ უნდოდა დუქანში მიეცა, მაგრამ დუქანი ვერსად აერჩია. შემთხვევით მან მამასახლისისაგან გაიგო, რომ პოლიციის ბოქაულს ხელზე მოსამსახურე ესაქიროება. მოსეს მამამ გადაწყვიტა შვილი ბოქაულისათვის მიეცა. „ჯამაგირი ჯამაგირათ ექნება, --- ამბობდა მოსეს მამა, — ამას გარდა, ერთი რამ საჭიროება რომ შემექნას, პრისტავი მწყალობელი მეყოლება, ამასთან კიდევ პრისტავის ოჯახში ჩემი შვილი ბევრ რამეს ისწავლისო“¹. მოსეს მამის ბუნებაში კარგადაა გამომქლადნებული გლახში კულაკობის გავლენა, ხოლო მოსეს სახით — გაანჯნაურებული მდაბიო, რაც პირველ ხანებში, ასეთ გარდამავალ ხანაში დამახასიათებელი იყო.

ბოქაულის ოჯახში მოსემ დიდი ნიჭი და სიმკვირცხლე გამოიჩინა. ბოქაულმა შეამჩნია, რომ მოსეს რუსულად გადაწერა ეხერხებოდა. ამიტომ ხშირად ავალებდა მას ქალაღდების გადაწერას. მალე მოსე ისე გაიმართა, რომ წერილმანი ქალაღდების შედგენა დამოუკიდებელი დაიწყო. მოსეს მამამ შვილის „სწავლაში“ წარმატება რომ გაიგო, ბოქაულთან ძღვენის მიტანას მოუხშირა. ამას მოჰყვა მოსეს სოფლის სამართალში მწერლად გამწესება. იმ პირობით კი, რომ მოსეს ჯამაგირის ერთი მეოთხედი ბოქაულისათვის ეძლია.

აქედან იწყება მოსეს ცხოვრებაში ახალი და საინტერესო პერიოდი. მოსე გულფუჭადის სახით მწერალი იძლევა სოფლის ახალ ვითარებაში, კაპიტალისტური ცხოვრების პირობებში გაიძვერა ტიპის წარმოშობას და მისი ცხოვრების გზის დახასიათებას. პირველ ხანებში მოსე მწერალი ხალხთან მორიდებული, თავაზიანი და ყურადღებიანი იყო. მაგრამ მალე გაითვალისწინა, რომ გლახთა უვიცობით, მათი ჩამორჩენილობით, მათი დამორჩილება-დაშინებით შეუძლია ისარგებლოს და პირადი მდგომარეობა გაიუმჯობესოს. „მოსე, — გადმოგეცემს მწერალი, — გამოიცადა, შეისწავლა, თუ როგორ ეპყრობიან უფროსები გლახებს და თითონაც გათამამდა. ბოლოს ისედაც გათამამდა მოსე, რომ გლახები ბუზადაც აღარ მიაჩნდა. ამასთან შეეჩვია მოსე ქრთამების აღებას და ყალბი ქალაღდების შედგენას. მამასახლისის და სოფლის მსაჯულებს, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა, რაც მას სურდა, იმას აკეთებდა“. იმ დროის სინამდვილე იშვიათი სიმართლითაა მოცემული.

მოსემ ფულს გემო თანდათან გაუგო. ამასთან დაკავშირებით მისი თავგასულობაც იზრდებოდა, ის უფრო თავხედი, ვერაგი ხდებოდა. რადგანაც ბოქაული ზურგს უმაგრებდა. მწერალი ერთი-ორი ხაზის

¹ ე. ნინოშვილი, თხ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 175.

მოსმით მშენებრად ჰგლეჯს ნიღაბს ძველი წყობილების აღვირაშე-
პულ მექრთამე მოხელეებს.

მოსეს საქმეებით მოთმინებიდან გამოსულმა სოფელმა არაერთხელ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მისი გაძევების ან გადაყვანის შესახებ, მაგრამ სოფელი უძლური აღმოჩნდა, ვინაიდან სოფლის „... საჩივრის სიმართლე თუ სიმრუდე იმ ბოქაულს ჰქონდა მინდობილი საძიებლად, რომელსაც მოსე თავის ჯამაგირიდან მეოთხედ ნაწილს აძლევდა. გლეხებისაგან არზის მისართმევად ამორჩეული პირები კინალამ სატუსალოში არ ჩასვია ბოქაულმა, ტუქსვა და ლანძღვა ხომ აუარებელი მიიღეს მისგან“¹. გლეხებმა მოსეზე საჩივრით ახლა გუბერნატორს მიმართეს, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. მოსე მაგრად რჩებოდა თავის თანამდებობაზე, ამასთანავე გამარჯვებული მოსე უფრო გათავხედდა, გათამამდა. მან „მოღვაწეობა“ მეტი უპასუხისმგებლობით განაგრძო. გადაემტერებოდა საჩივრის მოთავე გლეხებს და იმათ საქმეს, როცა ჩაუუარდებოდა ხელში, რაც უნდა მართალი საქმე ყოფილიყო, უკულმა დაატრიალებდა.

ბოქაულისა და უფროსთა დახმარებით თავგასული მოსე, როცა ერთს სოფელში კარგად მოინადირებდა, ახლა სხვა სოფელში გადადიოდა, რადგანაც კარგად იცოდა, „რომ სოფლიდან სოფელში ველარავინ გაედევნება სამტროდ“.

გაიძვერობაში მოსე ისე დაოსტატდა, რომ მისი დაქერა სიყალბეში ძლიერ ძნელი იყო „თუმცა კი დღე იშვიათად გავიდოდა, რომ რამე ყალბი ქალაღი არ შეედგინა და ქრთამი არ აეღო“, როგორც, მაგალითად, უნათლოშილებისაგან.

ასეთი სიყალბე-გაიძვერობით მოსემ კარგა დიდი დოვლათი შეიძინა, „გამოიჭიმა კოხტა სახლი, შეირთო აზნაურის ლამაზი ქალი და ცხოვრობდა სრულ კმაყოფილებაში“. კარგი ურთიერთობა დაამყარა მაზრის უფროსთან, „რომლის წყალობითაც მოსეს პირველი ადგილი ეჭირა სოფლის მწერლობაში და კეთილსაიმედო პირად იყო ცნობილი მაზრის სამმართველოში“. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ჩამორჩენილ, დაბრძოლებულ სოფელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ამის შემდეგ მოსეს ძალა და ნიჭი გლეხების თვალში და უძლეველი გამოდგა. მოსე გლეხებს დიდი სწავლული კაცი ეგონათ და ამბობდნენ: „სტავლას, ძმავ, მოხმარა უნდა! რამდონა იგი რაცა უნივერსია თუ, სემელარია, იქიდან გამოსული, მარა ნახე, თუ ჩენი მოსე მწერლის მეთაფდი საქმე შეეძლოს“².

ეგ. ნინოშვილი გვაჩვენებს, მოსე მწერალი, ეკონომიური კეთილდღეობის შექმნასთან ერთად, თანდათან როგორ შეიცვალა, დიდკა-

¹ ე. ნ. ნ. შვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 176.

² იქვე, გვ. 177.

ცობა დაიწყო. გლენობის აღარ ერიდებოდა, აღარც რცხვენოდა. მეტად გათავებდა. თითქოს თავისი ძალისა და გავლენის დემონსტრაციას ახდენსო. მოესტურებოდა მოსეს გლენჯაყებს კანცელარიაში დაიბარებდა. მოესტურებოდა დაბარებულ ხალხს არც კი მოუსმენდა: ხშირად კარგა ხანს აცდევინებდა და შემდეგ დაუბრუნებლივ გამოუცხადებდა, რომ საქმეზე მეორე დღეს მისულიყვნენ.

აი ერთი ჩვეულებრივი ეპიზოდი გლენთა და მოსეს ურთიერთობიდან: ზაფხულს დღეს გლენჯაყობა კანცელარიასთან იყო შეკრებილი. ელოდნენ მოსე მწერალს. ის იგვიანებდა. სამსრობისას ძლივს გამოჩნდა. მისი მოსვლისთანავე გლენობა ფეხზე წამოცვივდება და სალამს მისცემს. მწერალმა მადლობის ნიშნად მოკეცილი მათარასი ჭედის „კოზაროკზე“ მილო და თავის ოთახში შევიდა, ჯერ კარგა მოისვენა, შემდეგ, მოდგა კარებზე და გლენებს ბრძანებისა და უკმაყოფილების კილოთი გამოუცხადა: „... ვინც დღეისთვის უკავით დაბარებული, ეხლა წადით და ხვალ დილას მოდით, ამას მოჰყვა უკმაყოფილო გლენების შებაასება მოსესთან:

— დევიდუპეთ, ბატონო, მუშა კაცოზა აგი დღეები ძვირათ ღირს. თუ შეიძლება, გაგათავისუფლეთ. — აყაყანდნენ გლენები.

— მერე თქვენ რომ სულელურად აქ დაცივინდეთ, ჩემი ბრალია? ხომ დენინახეთ დამავიანდა, რატომ არ წადით სახლში?

— რა ვიცი, თქვე დალოცვილო, ხან იმას გვიჩივი, რავა გაბედეთ უკითხავად წასვლა. საღამომდი უნდა მოგეცადათო. ხან — რეიზა არ წაღითო. რა გევიგოთ ამისაგან? — უთხრა ერთმა გლენმა.

— შენთან სალაყბო თავი არა მაქვს. მოსვენება მესაჭიროება; გეუბნებით, ხვალ დილას მოდით. თუ არა — წადით და თქვენებურა დამიწყეთ საჩივარი“¹. ასეთია ბოქაულით ზურგგამაგრებული სოფლის მწერლის მოსეს გლენებთან დამოკიდებულება და თვითნებური მოღვაწეობა.

მოსე მწერალი ახალი დროის ტიპია. ფულის შოვნამ მისი ეკონომიური მდგომარეობა გაამაგრა და განამტკიცა. მშვენივრადაა მოცემული ამ ნიადაგზე როგორ გარდაიქმნა „ყაძახის“ ფსიქოლოგია, მისი შეხედულებანი და მოქმედება: მან მოისურვა დამორჩილება და ექსპლოატაცია პირველ რიგში თავისივე მოქმედებისა. როგორც უფრო დაბალი ლობისა. „აილე, რის ალებაც შეიძლება“ — ასეთია მისი ეპიგრამები: ლოზუნგი, ასეთია ამ ცხოვრების ახალი ტიპის, გაიძვერას მორალი.

¹ ე. ნინო შვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 180—181.

ეგ. ნინოშვილი დიდი გულისხურით ჩაჰკირკიტებს ამ მოვლენას. სწორედ აქ იწყებოდა მშრომელთა გაჰირებული ცხოვრება. ახალ საფეხურზე ჩნდებოდა ახალი ექსპლოატატორი ახალი ფსიქოლოგიით, უფრო მძლავრი, უფრო დაუნდობელი, ვიდრე წინა პერიოდისა.

განა ასეთივე შეტამორფოზა არ მოხდა გუშინდელ ყაძახში — დ ა ვ ი თ დ რ ო ი ძ ე შ ი („სიმონა“)? განა ფულმა არ გააღვიძა და არ დაგეშა მისი დაუქმყოფილებელი სურვილი ყველას მოდრეკისა, დამორჩილებისა? განა ფულმა არ შექმნა ის სოფლის ბატონ-პატრონად, „გაუღენიან, მძლავრ კაცად“?

ეგ. ნინოშვილი დიდი დამაჯერებლობით გვიხატავს დავით დროიძის (ეს ხომ განზოგადებული ტიპური სახეა ახალი დროით წარმოქმნილი ადამიანების — დროიძეების) ცხოვრების გზას.

დავითი, „ერთის აზნაურის „ნაკვაცარი“, ყმაწვილობისას ვილაც ნიგვზის ხეებით მოვაჰრე ბერძენს ჯერ მოჯამაგირედ ედგა, შემდეგ კი „პრკაშჩიკად“. პირადი საქმეების გამო ბერძენი სამშობლოში წავიდა. ვაჰრობის წარმოებისათვის დავითს კარგა ფული დაუტოვა. ბერძენი აღარ დაბრუნდა. ფული დავითს დარჩა. დავითმა ხერხიანად გააგრძელა ვაჰრობა. კარგა ფული მოიგო. მალე დავითი კუნძებში აღებული მოგებით აღარ კმაყოფილდებოდა, რადგანაც კუნძები დაძვირდა. დაიწყო სიმინდითაც ვაჰრობა, ამ ვაჰრობაშიც დავითმა სარგებელი ნახა. საგრძნობ თანხას რომ ხელი მოჰკრა, დავითი მობრუნდა სოფელში, შეისყიდა თავისი მებატონისაგან „ნადელის“ მიწები, გაიკეთა კარგი ოდა. გაიჩინა ცოლ-შვილი. „თუ რამ „საფოდრათო“ საქმე გამოჩნდებოდა ახლო-მანლო და სარგებლიანობა ეტყობოდა საქმეს, — გვეუბნება მწერალი, — დავით ხელიდან არ გაუშვებდა, თუ არა და, — ცხოვრობდა თავისი ფულების „პროცენტით““.

სოფელში, მეზობლებში დავითმა ფულის გასესხება დაიწყო. უფროსი ვაჟი რომ წამოეზარდა, გახსნა თავისავე სოფელში დუქანი, მიიტანა, რაც სოფლისათვის მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა: ხმელი თევზი, მარილი, ნავთი, საპონი, სანთელი და ა. შ., დახლში დააყენა თავისი უფროსი შვილი. დუქანსაც კარგი შემოსავალი ჰქონდა. წამოიზარდნენ უმცროსი შვილებიც. დროიძის ოჯახმა განზე გაშალა ფრთები, — უფროსმა სოფელს დაანება თავი და მანლობელ ქალაქში დაიწყო „მანუფაქტურით ვაჰრობა“. ამრიგად: ორი მისი შვილი მამის ხელობას დაადგა. ნიგვზის ხეების ყიდვა-გაყიდვას და ვაჰრობას მისდევდნენ. ორი უმცროსი შვილი დავითმა სკოლაში გაზარდა. ერთი იმათგანი პოლიციაში იყო „სეკრეტრად“,

¹ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული. ტ. 1, 1932, გვ. 192.

შეორე, ყველაზე უმცროსი, იუნკრის სკოლაში ჰყავდა და იმედი ჰქონდა, რომ მალე ოფიცრობას მიიღებდა.

ცხადია, თავისი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, დავითმა მშვენივრად აუღია ალლო ცხოვრებას და მოხერხებულად აასხა მასზე პირადი საარგებლობა: გადასახადებისაგან განთავისუფლების მიზნით, ფულის შენწეობით, მოახერხა სასულიერო (პრივილეგიურ) წოდებაში ჩაწერა. ფულისავე შემწეობით, დავითმა ახლო და „კეთილი“ ურთიერთობა დაამყარა როგორც სოფლის ძალაუფლების მქონე პირებთან, ისე მაზრის ადმინისტრაციასთან, მან ამის გამო სოფელ წაბლისერში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. მის ოჯახს აზნაურის ოჯახს ეძახდნენ, თუმცა ყველას კარგად ახსოვდა, რომ დავითი რაღაც ოცი თუ ოცდაათი წლის წინათ ერთი გუდამშიერის შინაყმა იყო.

მას სოფელში ყველა შიშითა, მორიდებითა, კრძალვითა და პატივისცემით ეპყრობოდა. თვით ქეთევანი, ძალადის ქვრივიც კი, რომელიც ყველას თავზე კაკალს ამტვრევდა, დავითს მორიდებით ექცეოდა. „ასე გასინჯეთ, — გადმოგვცემს ეგ. ნინოშვილი, — ერთხელ დავითის ერთმა შვილმა ორი ღორი ერთად მოუკლა ქეთევანს, მხოლოდ იმისათვის, რომ ეზოში შემოვიდაო. სხვა მეზობელს, — განაგრძობს მწერალი, — რომ ეს გაეხდებოდა ქეთევანისთვის, ქეთევანი თოფით მიუხტებოდა ოჯახში, მაგრამ დავითთან, პირიქით, ბოდნიშიც კი მოიხადა: „რა ვქნა, ქვრივ-ოხერი ვარ, პირუტყვის მოვლა ვერ შევძელი და შეგაწუხეთო“. ქეთევანმა მორჩილება ამჯობინა, რადგანაც იცოდა, რომ „დავითი, თუ მოინდომებდა, კოლოსავით გასრესდა ამ საცოდავ ქვრივ-ობოლს“.

აი როგორ მოღუნა ფულის ძალამ და ფულით გაძლიერებულმა დავითმა ამაყი, მოუღრეკელი ხასიათის პატრონი ქეთევანი! ქეთევანის მორიდებულმა და მორჩილმა კილომ გული მოუღობო დავით დროიძეს, მან მოკლული ღორები დაუბრუნა ქეთევანს და საკაბე ჩითიც აჩუქა.

ყველაფერი ეს დამახასიათებელია ახალი ცხოვრების პირობებში ამოტივტივებული ტიპისათვის.

რა არის მიზეზი დავითის გადიდკაცების, „გააზნაურების“, გაამაყების, მედიდურობისა, ყველასი და ყველაფრის დამმორჩილებელი სურვილით შებოჰვისა, თუ არა ისევე ფული და მდგომარეობა, იმავე ფულით მოპოვებული? განა ეს ფსიქოლოგია არ არის მიზეზი დავითისადმი დაუმორჩილებელი სიმონას გზა-კვალის არევისა, გაუბედურებისა, მისი ოჯახის დანგრევისა? განა ამ ფსიქოლოგიაში არ არის ჩამარხული ის შეუერივებელი ბრძოლა, რომელიც იწყება „დარბაისელ“ დავითსა და ბავშვს სიმონას შორის? განა ეს

ფსიქოლოგია არ აიძულებს დაეითს უდანაშაულო სიმონა წლობით ცოტეში გამოამწყყდევენოს?

დავითმა სოფელში ყველა დაიმორჩილა. გარდა ობოლო თხუთმეტწლის სიმონა ძალადისა. დავითს უნდა სიმონაც მოდრიკოს, მასაც „გვერა ასწავლოს“, რომ ისიც მისი მორჩილი გახდეს. დავითს ამ მ-ზნის მიღწევა იოლი გზით გაუპირდა. მისი წადილი შეუხატულეზლობის გამო მისთვის უფრო მტანჯველი შეიქნა. დავითმა გადაწყვიტა არაეითარ საშუალებას არ მოერიდოს, ოღონდ კი სიმონა გზიდან ჩამოიშოროს. ამისთვის მან მეტად უპატიოსნო გზა ამოირჩია. ჯერ კიდევ ბავშვს, ობოლ სიმონას ის საქვეყნოდ, სოფლის ყრილობასე დააბრალებს სოფელში მომხდარ წვრალმან ქურდობას. სიმონაც იქ იყო, დავითის სიტყვები გარკვევით გაიგონა, „... ჯერ თავზარ-დაცემულივით, — გადმოგვცემს მწერალთ, — გაშეშდა, მაგრამ საჩქაროდ გამოერკვა, წამოდგა წინ და თვალეზზე სიბრაზის ცრემლ-მოდენილმა უთხრა დავითს: „—დავით, რა დაგიშავე, რომ პაწაობიდან შემიძულე? ისე შენმა ცოლ-შვილმა ნახოს ხერი, რაეაც მე შენი ან ყურბენი. ან ზილი, ან იი დათიკაის სიმინდი მევიპარე! აა, შენ წაწყმენდილო, ქვეყნის მყლაპაო, რას მერჩი, რას?!“¹

დავითმა მიერ მოღუენულ, დამორჩილებულ ხალხს — მეზობლობას სიმონას ეს სიტყვები და საქციელი გაუევირდა, თუმეცა, ალბათ, სიმონას ნათქვამს გულში ყველა იზარებდა, მაგრამ დავითის, შეძლებული კაცის, მხილების შიში და კრძალუა დღე კქონდა. ხალხი სიმონას მიეარდა და პირზე ხელა მიადარა: „—ბიჭო. ხომ არ გადარაე, თავად-შვილი ვერ გაუბედავს ამას მაგისტანა სიტყვებს! შენი ტოლი ხომ არა გგონია! გაჩუმდი. გაჩუმდი!“... მაგრამ მოთმინებადაკარგულმა, ალალმართალმა სიმონამ მათ არ გაუგონა და გაცხარებულ გულზე დავითს პირში, საქვეყნოდ მიადახა: „—შენ რომ ბერბენს ფულები მოპარე და იმით გაეეთდი, ისე გგონია სხვაიცა!“².

დავითმა ეს ვერ მოითმინა და მამასახლისს დაუევირა: „მამასახლისო, მომზორე აი ყაზირალი, თვარა!“...

იშვიათი სიმკვეთრითა და ბუნებრიობითა გამიევილებული კლასობრივი წინააღმდეგობა გაეულაკებულ გლეხსა და დარიბთა შორის. მ.მასახლისმაც უმალ უბრძანა სიმონას დაქერა ყარაულებს, რომელთაც ის ძლივს დაიმორჩილეს და წაიყვანეს სატუსალოში.

სისხლადულებულმა სიმონამ იქიდან დავითს გამოსძახა: „თუ გამოეედი აქედან, გიხვენებ შენ სეირსო“. დავითმაც შეფიქრიანებულმა თქვა: „ვეუო, იგი აღარ ხუმრობს, მგონია!“.

სინამდელიდან ამოგლეჯილი ცოცხალი სურათია რეალურ ფე-

¹ ე. ნიონოშვილი, თხზ. სრული კრებულო, ტ. 1, 1932, გვ. 195.

² იქვე.

რებში მოცემული! აქაა დასაწყისი იმ შეურიგებელი წინააღმდეგობისა და ბრძოლის, რომელიც ახლო მომავალში, 900-იან წლებში, ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში გრანდიოზულ სახეს მიიღებს და რომელსაც ეგ. ნინოშვილი დიდი უშუალობით, სიმკვეთრითა და სისწორით ითვალისწინებს.

მართალია, დავითმა გაიმარჯვა, სიმონა დააქვრინა, მაგრამ სიმონასადმი მტრობა მასში თანდათან უფრო გაიზარდა. მალე დავითს ბოსელი გაუტეხეს და ცხენი მოჰპარეს. დავითმა ეჭვი მიიტანა სიმონაზე. ეს მისთვის ხელსაყრელიც იყო. სიმონას დააბრალა. როგორც სიმონა სამართლიანად ამბობს, „მამასახლისი დავითის ხელშია, რასაც დავითი უბრძანებს, იმას იზამს!“ ამიტომ სიმონას მოსკლამდე კანკელარიაში მამასახლისმა ოქმი შეადგინა, როგორც დავითს სურდა და გაისტუმრა გუბერნატორთან. სიმონას ამის გამო სამწეღიწადნახეჯარი ციხეში ჯდომა მოუხდა. როცა დაბრუნდა, სახლი განადგურებული დახვდა. დიდი სახლი და ხარები გადასახადში გაეყიდათ. ყველაფრის ამის მიზეზი დავითი იყო. ბრახმორეული სიმონა დავითს ცუდად იხსენიებს, „მითხარით, ახლა არ ვემართლები იმას, ვნც მე ასე უსამართლოდ დამლუბა, იი რომ დავკლა?!“

მაგრამ ოდესღაც გაუტეხელი, მოუღრეველი ქეთევანი, აწ შეშინებული, მოლუნული, დაყვავებით ამშვიდებს შვილს: „შვილო, შენ ცოცხალი იყავი და ყოლისფერს იშოვნი, შვილო, ... ჩემი დღეი შეგემატოს, დავითის საყვედურს ნურავის გააგონებ, ხომ იცო, შვილო, მდიდარი კაცია და მდიდარს ყოველთვის უჭრის ხმალი ღარიბზე. ნუ, გენაცვალოს დედა! დავითის ძვირს ნუ იტყვი, გვაწყენა უღანაშაულოდ და, თუ მოინდომა, კრდე გვაწყენს“¹.

დავით დროიძესა და სიმონა ძალაძეს შორის ბრძოლა ამით არა თავდება. პატიოსანმა სოფლის მუშა-კაცმა სიმონამ ციხიდან დაბრუნების შემდეგ შეირთო ერთგული შეყვარებული დარიკო. დაიწყო ორივემ ოჯახის მომარჯვება. მაგრამ დავითს მტრობა არ შეუწელებია, მას სწაღია სიმონას მოლუნვა, დამორჩილება, რასაც ვერ ახერხებს. ამიტომ დავითი ყველა საშუალებით სარგებლობს, რომ მოუღუნავი სიმონა გაანადგუროს. იმ ხანად ფირალებმა გაიტაცეს ფოსტით ფული. გუბერნატორმა ბრძანა სოფელმა მისცეს საეკვო პირები. სოფელმა ამოირჩია „სანდო პირები“, მათ შორის დავით დროიძეც. ამით ისარგებლა დავითმა და სიმონაც საეკვო პირთა შორის აღარიცხვინა. „ამ საეკვო პირებს და მათში სიმონასაც, ორა წლის ვადით უჭრეს თავი საპატიმროში“. დარჩა სიმონას ოჯახი ობლად — მოხუცი, დაავადებული დედა და ცოლი ფეხმძიმედ.

¹ ე. ნ. ნ. შ. ვ. ი. ლ. თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1932, გვ. 275.

აი როგორ რთულდება ამ ორ მოწინააღმდეგე კლასთა ურთიერთობა, შეურიგებელი, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა სოფლად.

ეგ. ნინოშვილი არც აქ სვამს წერტილს. ის ცდილობს უფრო მეტი სინამდვილით დახატოს ეს წინააღმდეგობა, აჩვენოს მკითხველს, რომ ფული და მით მოპოვებული ძალა-უფლება ქმნის, თუ რყენის ადამიანის ფსიქოლოგიას. განა ფულმა და მით გადიდვებამ არ ჩამოაყალიბა და განამტკიცა დავით დროიძის უმცროსი შვილის ტრიტიკოს წამხდარი ფსიქოლოგია და ბნელი შეხედულებანი ცხოვრებაზე; ადამიანთა ურთიერთობაზე?

სოფელ წაბლისერში დღესასწაულია — „გიორგობა“. აუარებელ ხალხს მოუყრია თავი წმინდა გიორგის ეკლესიაში ღამის სათევად. დავით დროიძის შვილებიც საგიორგობოდ შინ მისულან. დიდი ღვინო და ვითის სახლში. ღარიბი მეზობლები დავითის სახლში ირეოდნენ, მორჩილად და სიხარულით ეგზავნებოდნენ დავითს და მის შვილებს, — „ვინ პურისთვის, ვინ ღვინისთვის და ვინც სად დასჭირდებოდათ“. მეზობლები შესტრფოდნენ დავითის ვაყებს, რომელთაც ძვირფასად ეცვათ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა დავითის უმცროსი შვილი, რომელსაც „პრაპორშიკის“ პაგონები ეკერა მხრებზე. ამასთან ტრიტიკო ღამაში ყმაწვილიც იყო და ქალების მოწონებასაც იმსახურებდა. რათა მეტი ყურადღება მიექციათ, საღამოობით ტრიტიკო შეჯდებოდა თავის ოქროსფერ ცხენზე და სასეირნოდ გადიოდა.

ერთ საღამოს ტრიტიკო აღელვებული დაბრუნდა შინ. ოთახში რომ შევიდა, იქ მყოფ ძმას აღტაცებით უთხრა: „დედავ, დედავ, რა ღამაა-ზი! Какая красавица! სანებეზე ვარდი ამოვავ, რომ იტყვიან, აბა ეს არის, Я, брат, очарован! Это «сельская Венера!»! მალე საუბარში გამოირკვა, რომ ეს ვენერა იყო ქეთევანის რძალი — დარიკო, სიმონა ძალაძის ცოლი, რომლის ხელში ჩავდებაც ტრიტიკომ მოინდომა.

ძმამ გააფრთხილა, რომ დარიკო ისეთი „მიუკარებელი, ჭიუტი და გულგაუხსნელია, რომ მის ხელში ჩავდებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია“. ამასთან მისი დედამთილის ქეთევანის შიშითაც ვერავინ გაბედავს მის ხელის ხლებას. ძმა ტრიტიკოს გაახსენებს, რომ დავითსაც კი ეშინია ქეთევანისა: სიმონას საქმეში ბრალი არა მაქვსო, ეფიცება. იმასაც დასძენს, რომ დარიკოს ქმარი, სიმონა, იმისთანა „შავი უამი ყაძახია, რომ ერთი თუ თავზე ხელი აიღო, ჩვენს ოჯახს დაუქცევებს არ მოარჩენს... კაცს რომ გააძაღლებ, გიკმენს“.

მაგრამ თავგასულ, ვნებიანობით აღელვებულ ტრიტიკოს ეს არაფრად მიაჩნია, რადგანაც ის შეძლებულია, ფულიანია. აღშფოთებული

† ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1932, გვ. 208.

თავის ძმას ასე მიჰმართავს: „რა ოხრად გინდათ ის შეძლება და ფულეზი, თუ კი დედაბერიც თქვენ შევაშინებთ!.. ის კი არა, კრინტის დაძვრას ვერ უნდა გიბედავდნენ მეზობლები, მაგრამ რომ არაფერი გესმით... სიმდიდრე და ძალა იმითია კარგი, რომ ყველა შენს წადილებს აისრულებ, თუ ჩემი წადილები არ ამისრულდება, ხალხი, დედაბერი, ვიღაც ბიჭი და ყველანი მე შემაშინებს, მაშინ რა ჯანაბად ვაქნევ სიმდიდრეს?!. თუ კი ის ბიჭი, სიმონაია თუ ვინცხა, ჩვენი ვნება შეუძლია, მოიშორეთ თავიდან, ან სულ დააკარგვინეთ და ან მოაკვლევინეთ. მაშ რად გინდათ ის ფულები, თუ ეგეც არ შეგიძლიათ“¹.

კარგადაა გაშიშვლებული ამოტივტივებული ფულიანის ბუნება — ფული გაქვს, კაცი ხარ, ყველა და ყველაფერი შენია; ფული არა გაქვს, არაფერი ხარ, ყველას მონა-მორჩილი უნდა იყო. ასე უყურებს ცხოვრებას ახალი დროის გმირი — ბურჟუა — ტიტოკო.

მართლაც, მან გახრწნილი ფეფიკოსს საშუალებით, უსინდისო ხრიკებით, მოტყუებით დარიკო ხელთ იგდო. შეუტრაცხოფილი დარიკო თვითმკვლევლობით ათავებს სიცოცხლეს. მაგრამ ტიტოკოს ამ ბინძური სურვილის შესრულებას შეეწირა დავით დროიძის მთელი ოჯახიც.

ასე იწყება დაუნდობელი ქიდილი ფულიანსა და უფულოს შორის.



ახალი ცხოვრება, ფულის ტრიალის საფუძველზე რომ იშლება, ქმნის ახალ ყოფას, ადამიანთა ახალ ურთიერთობას, ახალ ზნე-ჩვეულებებს. ხდება საზოგადოებრივი კულტურული ცხოვრების ერთი საფეხურიდან მეორეში, უფრო მაღალში გადასვლა თუ გადაზრდა. თუ, ერთის მხრით, ფულის ხელში ჩაგდება, მისი ამოქმედება და გამოყენება ერთს — ფულიანს აბატონებს მეორეზე — უფულოზე, სამაგიეროდ, მეორე მხრით, ამისავე საფუძველზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩნდება პიროვნების — ადამიანის სრული განთავისუფლების დაჟინებითი მოთხოვნილება. ეს გარემოება თვალსაჩინოდ ამჟღავნებს წინა პატრიარქალურ ყოფაში შექმნილ მრავალ ზნე-ჩვეულებათა დრომოქმელობას და იწყებს მათი უარყოფის ხშირად დაუძლეველ სურვილს. ამ გარდამავალი ხანის ნიჭიერი ამსახველია ეგ. ნინოშვილი.

ეგ. ნინოშვილი, როგორც ძლიერი ალღოთი დაჭილდობული მხატვარი, აშკარად ხედავდა, რომ ძველი ყოფის ზნე-ჩვეულებანი

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1932, გვ. 209—210.

ველარ იტევენ ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებს, ველარ აკმაყოფილებენ მათ. ძველის რღვევა დაიწყო კატასტროფულად, ეს რღვევა ხშირად თითქოს ადამიანის სურვილის წინააღმდეგაც კი ხლებოდა. ამ რღვევის პროცესში ახლის, სასურველის, აუცილებელის, სამართლიანის მაძიებელი ხშირად საშინელი მწვავე ტკივილებითა და ტანჯვით ემსხვერპლებოდა სინამდვილეს.

განა ლიზა (შემდეგ უხეში ქმრის — ჯერანის კაპრიზის გამო მელანოდ გარდაქმნილი), გლეხი ზალიკა ნარიშვილის ჯანითა და ზნეობით მთელი ქალიშვილი, ძველ ცხოვრებაში შექმნილი მავნე, უაზრო ჩვეულება-მსოფლმხედველობის მსხვერპლი არ არის? უფროსმა უნდა გადაწყვიტოს ოჯახის ყოველი წევრის ბედი: ცოლის შერთვა, გათხოვება და სხვ. და ყოველი წევრიც მოვალეა მას დაემორჩილოს, ამ ჩვეულების წყალობით განსაკუთრებით ქალი რაღაც უფლებაყრილ მდგომარეობაში იყო: მას არ შეეძლო თავის სურვილით ამოერჩია საქმაროც კი. უფროსის მიერ დანიშნული თუ არ მოეწონებოდა, უარის თქმა მაინც არ შეეძლო, განშორებაზე ხომ ხმას ვერ ამოიღებდა, უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდა. თუ გათხოვებამდე ქალი მშობლების უსიტყვოდ მორჩილი იყო, გათხოვების შემდეგ ის ასევე ემორჩილებოდა ქმარს. ოფიციალური კანონიც ამ ტრადიციის სადარაჯოზე ფხიზლად იდგა. ეგ. ნინოშვილი, ხალხის ცხოვრების მესაიდუმლე, თავისი გმირების პირით, აღშფოთებით გადმოგვცემს, რომ მრავალი შემთხვევა ყოფილა, გაქცეული ცოლი პოლიციას სახლისთვის დაუბრუნებია, რადგანაც ქმარს ასე სურდა, თუმცა ცოლი არ უყვარდა და აუტანელ დაცინვა-წამებაში ატარებინებდა მას ცხოვრებას.

განა სწორედ ამ ჩვეულებამ არ გადააქცია როგორც ლიზას (მელანოს) ცხოვრება განუწყვეტელ წამებად, ისე თვითონ ჯერან ტევრიძის, ლიზას ქმრისა, და ზალიკა ნარიშვილის ოჯახი ჯოჯოხეთად? განა ამავე ჩვეულებამ არ ჩააკვლევინა თავის გულში გამოუთქმელად სიყვარული ელისაბედს, ჯერანის დას, „რადგანაც ბოზობად ჩაუთვლიდნენ დედა და ძმა, რომ გაემხილა — მიყვარს და იმაზე გამათხოვეთო“? განა ეს ჩვეულებები არ იყო მიზეზი ლიზას ტრაგიკული სიკვდილისა და ჯერან ტევრიძის ოჯახის გაპარტახებისა?

სინამდვილის რა მწუხრი მელოდია ისმის ლიზას მწარე გამოცდილებით ამონაკვნისში: „ძალიან უბედურათ არის ქალის საქმე! ყაძახის ქალი ნამეტურ დაჭირულია! ჯერ დედ-მამაა შენი ბატონი და მერე ქმარი! ხმაის ნება არც ერთთან არ გაქ! რომ განწვალონ, მაინც იმათ ხელში უნდა დარჩე, სინამდი ცოცხალი ხარ! აბა, სხვაი რა გაგივა? გეიქცევი? რა გამოვიდა მერე? რამდენი გეიქცა, მარაზოგი დაქერილი მეიყვანეს, ზოგი ქმარმა მოკლა და ზოგი ჰირმა

დაალპო. თაობიდან არის ყოლიფერა უხეიროთ მოწყობილა და იგია!..“¹

ლიზას ეს კენესა მართებული და ბევრის მთქმელი პროტესტია საზოგადოების ერთი დიდი ნაწილისა. მართალია, პროტესტი გარეგნულად მეტად პასიურია, მაგრამ შინაგანი მძლავრი დულილი აშკარად იგრძნობა. ლიზას ჩივილის იქით მკითხველი მტკივნეულად განიცდის ამ კენესის გამომწვევ „უთავბოლო და მოუწესრიგებელ ქვეყანას“ თავისი ჯოჯოხეთური, უსამართლო წყობილებით, რომელიც კაცს იძულებულს ხდის ძალა-უფლების მქონეს დაემორჩილოს, დაემონოს, თავისი ნებით განადგურდეს.

ასეა ბეჩავე ლიზაც. ის იძულებულია ბედს დაემორჩილოს, აიტანოს ადამიანისათვის დამამცირებელი ყოფა ქმრისაგან თუ დედამთილ-მულისაგან. ლიზას წამების საბაბი ყველაფერია, ხშირად სრულიად შემთხვევითი და უსაფუძვლო.

ასეთია ლიზას გამწარებული ცხოვრების-გზა ქმრის ოჯახში.

ჯერან ტვერიძეს, დედისა და მამიდის მიერ მისთვის არჩეული ზალიკა ნარიშვილის ქალი, ლიზა, ნიშნის მიტანისას ერთი შეხედვით არ მოეწონა. უნდა ითქვას, რომ არც ლიზას მოეწონა ჯერანი. მაგრამ ვერ მოხერხდა მაშინვე მათი გაშორება. ჯერანი ქორწილს აგვიანებდა. დამყარებული ჩვეულების თანახმად ეს გარემოება ჩრდილს აყენებდა ზალიკას ოჯახს, — მის ქალს ლიზას. მაგრამ ჯერანი მაინც არა ჩქარობდა. ლიზას გამოუჩნდა სხვა. ვინც ლიზასაც მოსწონდა. ახლა ეს ჯერანმა იწყინა — დანიშნულს ვინ წამართმევსო და დაუყოვნებლივ ჯვარი დაიწერა. ამ დღიდან ჯერანმა ლიზას ბედნიერების მაგიერ საშინელი, სრულებით დაუშასხურებელი ტანჯვა და შეურაცხყოფა დაატეხა თავზე. „წამხდარ საქმეზე ხასიათი მარც იმისთანაი უნდა გავხადო, როგორც მე მინდაო“, — ამბობდა დაუკმაყოფილებელი ჯერანი. ამ მიზნით მან ლიზას ჯერ სახელი გამოუტყვალა. „პატიოსანი ქალი ლიზას სახელად არ დეირქვამსო“. და ლიზას მელანია უწოდა. შემდეგ ჯერანმა ხელი მიპყო ცოლის ზნე-ჩვეულების გარდაქმნას და ისეთ წვრილმანამდისაც მივიდა, რომ თმაც კი ისე უნდა დაევიარცხნა, როგორც ქმარს მოსწონდა.

ამ სურვილში ჯერანს მისმა დედამ და დამ პირი მისცეს. აქედან იწყება ლიზას უფრო საშინელი წამება. რატომ ასე არ გაივლი? რატომ არ იციანი? რატომ იციანი? რატომ ხარ მოწყენილი? რატომ გაგეხარდა ესა თუ ის ამბავი? რატომ სიამოვნებით შეხედე, ან რატომ არ შეხედე სიამოვნებით ამას თუ იმას? და მრავალი ამგვარი წვრილმანი საბაბი იყო ოჯახის წევრთა ლიზასადმი ჯალათური და-

¹ ე. ნინოშვილი, თბ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 100.

მოკიდებულებსა. იშვიათი სიმართლითაა მოცემული პიროვნების დამამცირებელი ოჯახური ეტიკეტი!

ჯან-ლონით, სიცოცხლის დაუშრეტელი წყურვილით აღვსილი ლიზა ძნელად ურიგდებოდა ასეთს ყოფას, რამდენადაც შეიძლებოდა იმ პატრიარქალური ცხოვრებისა და ტრადიციების პირობებში, ურჩობას უწევდა. ბევრჯერ გადაწყვიტა გაქცევა ოჯახიდან, ერთ-ხელ თავისი ბარგი გამოკრა, მაგრამ რაღაც ხმამ თითქოს ჩასძახა: „რა ტყუილად მოემზადე!“ ლიზა დაფიქრდა, მას გაახსენდა მულისა და დედამთილის სიტყვები: „მიწაში, ქვესკნელში რომ ჩაძვრე, იქიდან ამოგათრევეს შენი ქმარი და მაშინ უყურე შენს სეირსაო“. გაახსენდა ისიც, რომ ერთი მათი მეზობლის ქალი დაჭერილი მოაყვანიდა მამასახლისიმ¹ და ჩააბარა ქმარს. გაგონილი ჰქონდა ლიზას ის ამბავიც, რომ ერთმა გლეხმა მიაგნო სადღაც ქალაქში თავის ცოლს და დამბაჩით მოკლა. „უშველოს ღმერთმა, ყაძახი იგი ყოფილა, ასთე უნდოდა იმისთანა ბოზ დედაკაცსაო“, -- ამბობდა ამ შემთხვევის გამო ხალხი. ხმა გამოვიდა, რომ პოლიციამ მოუწონა გლეხს ეს მკვლელობა და „ფიქრი ნუ გაქ შენ, ამიზა ციმბირში არ გაგვზავნიანო“, უთხრაო... ახსოვდა მელანიას ჯერანის მუქარაც: „იცოდე, რომ გეიპარო, შენიან შენი ჭირისუფლიანა, ყველას ღორსავით დაგკლავო“¹. რა საოცარი სიძლიერითა და სიმართლით ხდის მწერალი ფარდას იმ ტანჯვის ქვეყანას!

ესა და ამგვარი ბევრი სხვა გაახსენდა ლიზას, შეკრული ფუთა დაღო და გადაწყვიტა მწარე ბედს დამორჩილებოდა, სანამ ძალა ეყოფოდა. ამ მდგომარეობაში ერთადერთი სიამოვნება და ცხოვრებასთან დამაკავშირებელი ძალა იყო მისი შვილი პატარა ლუკა. „აგი ანთია ჩემ დაღამებულ გულში სანთლათ, აგი რომ არ მყავდეს, რა ვიცი, რას ვიზამდი“, ეუბნებოდა ლიზა კეთილ მეზობელს თეკლეს.

მაგრამ ლიზა, როცა ამ ერთადერთ ნუგეშს დაკარგავს, მაშინ იმედგაცრუებული, სასოებაწართმეული ურწმუნოდ გადაიქცევა. არავის ნუგეში მის გულს მალამოს აღარ სცხებდა, ყველაფერზე გულსაკლავად ასე კენესოდა: „კაია ნუგეში, თუ გწამს... მარა მე აღარა მწამს... წევია იგი ღროი, რომ ეფიქრობდი, აი დღეს, აი ხვალ უკეთესად შეიცვლება ჩემი ყოფა-მეთქი!“.. გათავდა, ლიზას აღარ სწამს, რომ ამ ცხოვრებაში მისთვის შეიძლება რაიმე სიკეთე; ის სასოწარკვეთილია, მისთვის სიცოცხლეს მიმზიდველი ძალა დაუკარგავს. ასეთი აუტანელი ჯოჯოხეთური პირობებია არსებულ ცხოვრებაში, ამბობს მწერალი და ეს სჯერა მკითხველსაც.

ცხოვრებით გატანჯულს, სიცოცხლემოძულებულს ლიზას, როცა

¹ ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., თბზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 95.

მას, მარტოკა დარჩენილს, თავისი ოდის აივნიდან გადაუხედია აქა-
რის მთებისაკენ, რომლის წვეროები აქა-იქ ჯერ კიდევ თოვლით იყო
დაფენილი და თვალისმომკრელად ბრწყინავდა მზის სხივებზე, არა-
ერთხელ უნატრია: „—ნეტაი ამსვა და იქინეი, იმ მთის გადაღმა,
დამსვა! რა კაი იქნება! მოშორდი ამ წვალეზას, ამ ვაი-ვაგლასს! ვინ
იცის, იქინეი რა ამბავია, მარა მაინც, რაც უნდა იყოს!... ამაზე ვარსი
ხომ არ იქნება! მარტო აქაურობის მოშორება რათ ღირს!“¹

ლიზას ეს ნატვრა არსებული ცხოვრებით უკმაყოფილოთა ნატვ-
რაა, არსებული ცხოვრების უარყოფა, ახალი ცხოვრების, სამარ-
თლიანის, თანასწორობის, ადამიანთა სიამოვნება-ბედნიერების მიმ-
ცემი პირობების ნატვრაა; ნატვრა ახალი ცხოვრებისა, რომლის ფორ-
მაცა და შინაარსიც ლიზასათვის თუმცა გაურკვეველია, მაგრამ რომ-
ლის არსებობა მას სწამს, სწყურია, რომელიც მისთვის აუცილებე-
ლია.

ახალი ცხოვრების მოპოვების უნარი და შესაძლებლობა ლიზას
არა აქვს. მძიმეა მისი ცხოვრების პირობები, ის კარჩაკეტილია, უფ-
ლებააყრილია. ბრძოლისათვის ლიზა მზად არ არის. მაგრამ არც და-
მორჩილება უნდა. იმ დროს ორგანიზებული ბრძოლის შესაძლებ-
ლობა არამც თუ ქალისათვის, მამაკაცთათვისაც კი ჯერ არ დამდგა-
რიყო. ასეთი ბრძოლის დასაწყისის ნიჭიერი მხატვარია ეგ. ნინოშვი-
ლი.

ლიზამ ვერ აიტანა განუწყვეტელი უდიერი დამცირება, შეუ-
რაცხყოფა და თვითმკვლელობით ათავებს თავის გამწარებულ სი-
ცოცხლეს.

ლიზა გოგია უიშვილის ღვიძლ დეა. ესენი საერთო ტანჯვის
ბუდიდან უკმაყოფილოდ გამოიყურებიან. მათ ერთნაირი სულის-
კვეთება აქვთ — არსებული ცხოვრების მოუწესრიგებლობა, მასში
გამეფებული ძალმომრეობა სტანჯავთ. ისინი ერთნაირი წყევლა-
კრულვით ზურგს აქცევენ ამ უსამართლო, ბნელ ქვეყანას; შეზ-
ღუდულნი თავიანთი მსოფლგაგებით, ისინი თვითმკვლელობით გა-
მოხატავდნენ არსებულ ცხოვრებასთან შეუთრეგებლობას. მათი თვით-
მკვლელობა პროტესტი იყო არსებული წყობილების წინააღმდეგ.
ასეა მათი თვითმკვლელობა გააზრებული ეგ. ნინოშვილის მიერ.
ასეთსავე რეაქციას იწვევს ეს აქტი მკითხველშიც. ძველი წყობი-
ლება თავისი დრომოკმული ზნე-ჩვეულებებით და უფლება-მმართვე-
ლობით უნდა დაინგრეს, უნდა დამყარდეს სამართლიანი — „ძმობის,
ერთობის და სიყვარულის“ ცხოვრება, ამისათვის საჭიროა ბრძოლის
ახალი გზა — რწმუნდებოდნენ მკითხველები და შეგნებულად ირაზ-
მებოდნენ. ამაშია ეგ. ნინოშვილის შემოქმედებისა და, კერძოდ, აღ-

¹ ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, თსზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 94.

ნიშნული ნაწარმოების დიდი საზოგადოებრივ-შემეცნებითი მნიშვნელობა.

ასეთივე მძიმე ტრადიციებს არ გაექცა სოფ. ნიგვზიანში მცხოვრები დათია ხელმოკლიძის ნიჭით დაჯილდოებული, სიცოცხლით სავსე ქალიშვილი ქრისტინე? განა ძველმა, დრომოქმულმა ტრადიციებმა და მორალმა არ გახადა ქრისტინე, ისედაც იასონ უქმაძის მიერ შეურაცხყოფილი, შერცხვენილი, ყველას დაცინვის, დაძრავის ობიექტი? განა ამ ტრადიციების უღმობელმა ძალამ არ ააღებინა ქრისტინეს ხელი საყვარელ ოჯახზე და პატარა გოგიაზე? ასევე ხავსმოკიდებული ტრადიციები გადაეღობა ქრისტინეს, დაბრუნებოდა ოჯახს, როცა გაიგო და მიხვდა, რა ჯურღმულშია ც მოემწყვდა.

დრომოქმული ტრადიციების ძალა უფრო ძლიერი აღმოჩნდა ქრისტინეში, ვიდრე ისეთი დიდი და ძლიერი გრძნობა, როგორცაა სიყვარული ოჯახისა და განსაკუთრებით შვილისადმი. ეს იმიტომ, რომ ქრისტინემ კარგად იცოდა, სოფლის ძველი მსოფლმხედველობა და ზნე-ჩვეულება მას სახლში აღარ გააჩერებდა, ჯოჯოხეთს მოანატრებდა. აქ მართლდება კარლ მარქსის ცნობილი დებულება: ტრადიციები ადამიანის ტვინს კომპარატივით აწებებო.

ასეა ქრისტინე, ლიზა, სონია და მრავალი სხვა. ქრისტინე ლიზასავით თავს არ იკლავს. ის თვალეზახვეული აიღებს გზას მაცდური ქალაქისაკენ, რომელიც მას თუ სოფლის ცხოვრების ჯოჯოხეთისაგან განთავისუფლებდა და მოჩვენებით თავისუფლებას მისცემდა, სამაგიეროდ ლუქმაპურას. მსხვერპლად გადააქცევდა და ამგვარი ბრძოლისათვის მოუშზადებელს ადვილად დაღუპავდა.

„ქრისტინეც“ და „პარტახიც“ ჩვენი ცხოვრების ნამდვილ სურათებს გვიხატავს. პუბლიცისტური ტენდენცია ავტორისა მათში საგრძნობლად აშკარავდება. განსაკუთრებით სიძლიერითაა მოცემული ლიზააი („პარტახი“), ქრისტინესი და სონიას („ქრისტინე“) გაწვალებული ცხოვრების გზა; მათი ცხოვრების პირობებთან ბრძოლა, მათი სულიერი ტკივილები, მათი განცდათა ანალიზი, მძიმე სულიერი მოძრაობისა. ცხოვრების შემბორკავი პირობებით გაწვალებული კაცის დახატვა ეგ. ნინოშვილის შემოქმედებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

აღნიშნულ ნაწარმოებებში ცხოვრების მოუწესრიგებლობის საკითხთან ერთად საკმარისი სიცხადითაა დასმული ქალის უფლებამოვალეობის საკითხი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მკითხველიც რწმუნდება, რომ შეუძლებელია ქალი დარჩეს ასეთს მდგომარეობაში, საჭიროა მისი განთავისუფლება, საჭიროა ქალთა ემანსიპაციის პრობლემის რადიკალური გადაჭრა. ეს პრობლემაც ხომ აღწერილ ეპოქაში ძალიან აქტუალური იყო.

ქრისტიანესა და სონიას („ქრისტიანე“) ცხოვრების გზის გამრუდება-გაუქუღმართებას ეგ. ნინოშვილი სხვა სოციალურ ურთიერთობაშიც გვიხატავს. ცნობილია, მაღალი პრივილეგიური წოდება XIX საუკუნეში განწირული სულისკვეთებით და ზნეობრივი განურჩევლობით დარღვევის გზით მიექანებოდა. ამ გარდამავალ ხანაში მრავალი მათგანი სოფლის მცხოვრებთათვის (პირველ რიგში გლეხთათვის) მაინც ხორცკეტად გადაიქცა. ეს „ნაშთი ძველის დიდებისა“ მგლური ვნებიანობით დანავარდობდა და ისედაც გავერანებულ, დამცირებულ და შევიწროებულ სოფელს აწიოკებდა.

ეგ. ნინოშვილი, როგორც ხალხის ბედზე დიდი მზრუნველი, მისი „მოკეთა“-დამცველი, არ შეიძლება არ აღვლევთელიყო ამგვარი დრომოქმელი მაინც საზოგადოებრივი მოვლენით და თავის შემოქმედებაში არ აღებეჭდა მისადმი თავისი სიმძულვილი.

ეგ. ნინოშვილის შემოქმედებაში ასეთები არიან უქმაძე, ლევან ძველისენიძე („ქრისტიანე“), ტარიელ მკლავაძე თავისი ძნა-ბიჭებით („ჩვენი ქვეყნის რაინდი“) და სხვანი. ეს ვაჟბატონები ეკონომიური დოვლათისაგან ჯერ სრულებით არ არიან დაკლინი; მათ ცოტა რამ ძველი სიმდიდრისა კიდევ შემორჩენიათ; მათ ცხოვრება კვლავ პირადი სიამოვნებისა და უზრუნველი ვნებიანი სიტყობილის სარბიელად აქვთ დასახული; ისინი ლაგამშიშვებულნი, შეუკაცბელი კმაყოფილებით ყურყუმელაობენ დაბალი გრძნობების კაობში.

ეგ. ნინოშვილი აი როგორი სამართლიანი რეალური ფერებით გვიხატავს ამ მოდგმის — ძველისენიძეების ერთ-ერთ ტიპურ წარმომადგენელს. „ლევანი — ახასიათებს ეგ. ნინოშვილი. — იყო ოციოცდა-ხუთი წლის კაცი, მხარ-ბეჭ განიერი. კარგი შესახედავი, ღვინისა, ქეიფისა და ჩხუბის მოყვარე. რაც გიმნაზიის მეოთხე კლასიდან გამოირიცხეს. მას შემდეგ ოჯახს აღარ მოშორებია, ერთი-ორი კვირის ვადით თუ წავიდოდა სადმე ქალაქში დროს გასატარებლად, თორემ დანარჩენ დროს სულ სოფელში იყო. ხან თითონ ისტუმრებდა მისებრ მოქეიფე კნიაზებს და შინ ქეიფობდა, ხან კი იმათ ესტუმრებოდა და კიდევ ღვინის სმა-ქეიფი. გიმნაზიაში ნაწავლი. გარდა რუსული ლაპარაკისა. ისიც კარგად არა, და ქართულ-რუსულის წერა-კითხვისა (წერა გრამატიკის მხრით ორივე ენაზე უმართლოდ), აღარა აღსოვდა რა“¹.

ეს დახასიათება მეტნაკლებად ვრცელდებოდა თავდაზნაურული ახალგაზრდობის უმრავლესობაზე XIX საუკუნეში. მწერალი მაქსიმალური სიზუსტით იძლევა ლევანის და მამოს, ლევანისა და მისთა-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 27.

ნების ბუნების არსის შეფასებას — „სწორედ რომ ახალ დროების ლუარსაბ თათქარიძე ხარ“-ო. ამ ხორცმეტებმა, გაავზნებულმა მუქთა-ხორებმა არ იცოდნენ, როგორ შეევსოთ თავიანთი ცხოვრების სიცარიელე და როგორ დაეოკებინათ თავიანთი ველური ყინი.

ცხოვრების ზედმიწეგნით კარგი მცოდნე ევ. ნინოშვილი ასეთი ხაზებით ავსებს ლევანის დახასიათებას: „მეზობლებში ძლიერ ცუდი ხმა ჰქონდა ლევანს, ასე რომ იშვიათად გაიმეტებდა რომელიმე გლეხი თავის შვილს, ქალი ყოფილიყო თუნდა ვაჟი, ძველისენიძის ოჯახში სამოჯამაგიროდ“¹. მხოლოდ დიდი ეკონომიური გაჭირვება, უილაჯობათუ აიძულებდა გლეხს თავისი შვილი ამ ოჯახში მოჯამაგირედ მიეცა, აი ამ ხორცმეტი „კნიაზის“ მსხვერპლი შეიქმნა ნაყმევი ესიკაის ქალიშვილი ძველისენიძეების შინა მოსამსახურე სოფიო და, რა თქმა უნდა, მრავალი სხვა სოფიოსთანა!

ამავე წრისა და მოდგმისაა მეორე გმირი ამავე მოთხრობისა — იასონ უქმაძე. ამისი მამაც, ბეჟან უქმაძე, კარგი მამულის პატრონი იყო და გავლენიანი აზნაური. ამ მდგომარეობამ იასონის ხასიათსა და ცხოვრებას გარკვეული, ბრწყინვალე წოდებაში საგრძნობლად გავრცელებული ბეჭედი დაასვა: „... იასონი, — მოგვითხრობს მწერალი, — პატარაობიდანვე ფუფუნებას და ნებიერობას იყო მიჩვეული. რაც უნდა ახირებული რამ დაეყინებია ბავშს, დედამამაც და დებიც იმის ამსრულებელნი იყვნენ“. ასეთმა აღზრდამ იასონში ბუნებრივად გამოიწვია და გააძლიერა ჟინიანობა, თვითნებობა, ცრუ სიამაყე და პატივმოყვარეობა. მოაწია სწავლის დრომ და იასონიც მამამ მახლობლად ქალაქის სასწავლებელში მიაბარა. „იასონი, — გვაცნობს მწერალი, — სწავლაში ძლიერ კარგ ნიჭს იჩენდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მშობლების სახლში ლაღად და ნებიერად აღზრდილს, არაფრად ეპიტნაებოდა სასწავლებლის გადაჭარბებულ „დისციპლინა“. მასწავლებლები მუდამ უჩივოდნენ იასონს უმორჩილობასა და სიციქლეს, მაგრამ ბეჟანის ხათრისათვის ვერ გამოეგდოთ სასწავლებლიდან. ამ გვარად, გადავიდა ის მესამე კლასში“².

მაგრამ აქ ერთი მასწავლებლის, ალბათ, დამსახურებული წყრომითა და ტუქსვით ის იქამდე გათავხედდა, რომ მასწავლებელს სილა გააწნა. იასონი დაითხოვეს სასწავლებლიდან. ამით დამთავრდა მისი სწავლაც. იასონის მშობლებიც დაკმაყოფილდნენ მით, რომ მათმა შვილმა რუსული ლაპარაკი და წერა-კითხვა იცოდა.

ნაცნობ-ნათესავეების შემწეობით ბეჟანმა იასონი მაზრის სამმართველოში მწერლად მიაღებინა. მაგრამ იასონი, თავისი ხასიათის გამო, დიდხანს არც იქ დარჩა. მან მალე კანცელარიის ერთი „ტუზი“,

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1933, გვ. 28.

² იქვე, გვ. 9.

მისთვის შეუფერებელი მოქცევისათვის, კარგად მიბეგვა, რის გამოც სამსახურიდან დაითხოვეს.

ამის შემდეგ არც ბეჟანს და არც იასონს სამსახური აღარ უძებნიათ. იასონი, როგორც მრავალი მისი მოძმე, დაუბრუნდა მშობლების სახლს და აღარც მოშორებია მას. „ან რა გასაჭირი ადგა, — ღვარძლიანად შენიშნავს ეგ. ნინოშვილი, — რომ მაინც და მაინც სამსახურის გულისკთვის თავი შეეტივიებია? სასმელი არ აკლდა და საჭმელი, საცმელი და სახურავი. მაგრამ ამ უზრუნველ ცხოვრებაშიც ერთი-ორისთვის შემდეგ მოწყენილობამ მოიცვა იასონის სული და გული. წამოდგებოდა დილას, ისაუზმებდა, შემდეგ სადილი, ვახშამი და ძილი. მიდიოდა ამ ერთგვარობაში ღღეები, კვირეები, თვეები, იასონი იმტვრევდა თითებს მოწყენილობისაგან, ამთქნარებდა, იზმობებოდა... მაგრამ რა უნდა ექნა? მუშაობა და მეტადრე მიწის მუშაობა დიდი სათაკილო საქმეა სოფელს ხალხის თვალში. აბა, ამ სათაკილო საქმეს ზომ არ მოჰკიდებდა ხელს მდიდარი აზნაურის ერთად-ერთი ვაჟი... წყალდებოდა არარაობაში იასონის ძალა, სული და გული“¹.

იასონმა მალე გამონახა საშუალება. დაიწყო მეზობლებში განურჩევლად სიარული. ამ ხეტილში მალე გაიცნო ქალებიც. ამის შემდეგ მის მოწყენილობასაც ბოლო მოეღო. ისე გაუტკბა სოფელში ცხოვრება, რომ სამოთხეზედაც არ გასცვლიდა. ასლა იასონი იშვიათად იძინებდა სახლში, იასონს არამც თუ დედ-მამის რჩევა-დარიგება, „მგონი, — ამბობს მწერალი, — ჯაჭვი რომ მოგებათ, ისიც ვერ დაამაგრებდა ღამ-ღამობით შინ“.

იასონის ასეთმა გართობამ სოფელ ნიგვზიანში ბევრ ტკბილ ცოლ-ქმრობას გადაასხა მწარე ნალველი, ბევრი ოჯახის ცხოვრება შეარყია და გაამწარა, ბევრ გასათხოვარ ქალს მოხადა ლეჩაქი. თუ სადმე ღამაზ ქალს ნახავდა, „... გაუჩნდებოდა, — გადმოგვეცემს ავტორი, — გულში ვარამი ავთამყოფობასავით ამ ქალის ხელში მოგდებდა და, სანამ თავის წადილს არ შეისრულებდა, ვერ მოისვენებდა“². იასონის სურვილის აღსრულებას ხელს შემდეგაც უწყობდა: „იასონი იყო ღამაზი, ყმაწვილი კაცი, კარგი მოლაპარაკე, ხუმარა; ისეთი სიმღერა და ჩანგურის დაკვრა იცოდა, რომ ტკბილი ყრუანტელი დაუეღიდა ადამიანს მის გაგონებაზე; ამასთან მუდამ კონტა, „ჩაქურ“ ტანისამოსში გამოწყობილი... მუდამ მოცლილი და თავისუფალი“³.

¹ ე. ნ. ნ. შვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 9—10.

² იქვე, გვ. 10.

³ იქვე.

უგ. ნინოშვილის მიერ იასონ უქმაძის დახასიათება ზედმიწევნითია. იასონი ჩვეულებრივი, ტიპური სახეა ჩვენი განწირული მაღალი წოდებისა. რომელიც, მართალია, სულსა დაფაჟდა, მაგრამ ჯერ კიდევ განაგრობდა ცხოვრების ასპარეზზე თარეშს, ცხოვრებას სკვრეტდა და აფასებდა მხოლოდ როგორც წუთიერი სიამოვნების დაუშრეტელ წყაროს. მწერლის დახასიათებაში მკვეთრი ხაზებითაა მოცემული აგრეთვე ის გარეშობაც, რომელიც ამ ჯან-ლონით სავსე ადამიანებს ცხოვრებაზე ანეთს შეხედულებას უმუშავებდა, რაც მათ ახალგაზრდობიდანვე პარაზიტებად აქცევდა.

სოფლის ხორცმეტად, მის შემავიწროებლად და ამტუტებლად გადაქცეული თავადაზნაურობის ნაშეირი ქართულ ლიტერატურაში პირველად ნიჭიერად დახატა ილ. ჭავჭავაძემ მოთხრობაში „გლახის ნამბობი“ დათიკოს სახით. ამავე ბუდიდან არიან გ. წერეთლის იერემია წარბა თავისი ძმა-ბიჭებით („პირველი ნაბიჯი“), ნინოშვილის იასონ უქმაძე, ლეონ ძველისენიძე („ქრისტინე“) და ტარიელ მკლავაძე თავის ამფსონებით („ჩვენი ქვეყნის რაინდი“). როგორც ჩანს, ეს მოვლენა XIX საუკუნის ცხოვრებაში მეტად თვალსაჩინო და მტკიცეული ყოფილა.

იასონის დაუოკებელი მდაბალი ბუნების მსხვერპლი შეიქმნა და-თია ხელმოკლიძის ლამაზი და სათნოებით სავსე ქალიშვილი ქრისტინეც. იასონმა შეაცდინა, შეურაცხყო, გზა-კვალი აურიო და გაანადგურა არა მარტო ცხოვრებამოწყურებული; სალი, ჯან-ლონით სავსე ქრისტინე, არამედ მეტად უადამიანოდაც მოექცა თავის გოგას, რომელსაც აკვანშივე მოუსპო დედის აღერსი და თავის შეილადა არ მიიჩნა. მაგრამ, როცა ვინმე იასონს გაეხუმრებოდა: „ესა და ეს ბავში (გოგე) შენი მგზავსო“, იასონი გადაიხარხარებდა და უპასუხებდა: „ჩემია და აბა რა გასაკვირველია, რომ მე მემგზავსებოდეს!“ მერე უსირცხვოდ დაატანდა: „იციო, რა ლამაზი იყო მისი დედა? მთელი წელიწადი მოვუნდი იმის ხელში მოგდებას. ნეტა სად არის ახლა!“¹

რაოდენი აღშფოთება და ზიზღია ჩანთხეული ავტორის მიერ იასონის ამ უსაზღვრო ცინიკურ თქმაში!

როგორც ჩანს, ამგვარი, სადავემიშეებული, „საარაკო საქმეთა“ ჩამდენი. დაუოკებელი, დაუსჯელი, მავნე ხორცმეტი, დარღვეული „ბრწყინვალე წოდების“ წარმომადგენელი, რომელიც ისედაც გაწრიოკებული სოფლის მშრომელთა ზურგზე და სინდისზე შეეზღუდავად დათარეშობდა, მეტად სტანჯავდა ხალხის გულს, მისი ჭირ-ვარამის მესაიდუმლეს „ტანჯვის პოეტს“ — ეგ. ნინოშვილს.

¹ ე. ნინოშვილი, თხ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 45.

ამ სახეს ეგ. ნინოშვილი არა ერთხელ უბრუნდება. ეს სახე საკმარისი სიმკვეთრითაა მოცემული აგრეთვე მის ერთ საუბრეთესო ნაწარმოებში „ჩვენი ქვეყნის რაინდში“ — ტარიელ მკლავაძის სახით.

ტარიელ მკლავაძეც შეძლებული აზნაურის ერეკლე მკლავაძის შვილია. შეხედულებით რაინდია, ლომ-ვაჟაკი: მისი მსგავსნი მკლავაძეების გვარში ხშირად ყოფილან და მტრებთან ბრძოლაშიც დიდი ვაჟაკობა გამოუჩენიათო. მაგრამ, მწერლის შენიშვნით, სინამდვილეში კი, „...ის ახსოვს ხალხს, რომ მკლავაძეების რაინდები სუსტებს და ხელქვეითებს ანადგურებდენ და აწიოკებდენ“¹. ახალ დროში, ვინაიდან ცხოვრება ერთგვარ დამძვილებულ კალაპოტში ჩადგა, მკლავაძეების ძალმომრეობასაც ფრთა მოეკვეცა. ზოგმა მათგანმა დროს აულო აღლო, გადაინაცვლა პრაქტიკულ საქმეზე, მაგ., ვაჭრობაზე, მამულის გაშენებაზე. „ბევრს,—ამბობს მწერალი,—ქალაქებშიაც ნახავდით ლაქიებად, ან „პოვრებად“. ერთი-ორი უმაღლეს სასწავლებელშიაც მოხდა და შემდეგ „ჩინოვნიკებად“ გამოვიდნენ“².

მაგრამ აქა-იქ შემორჩათ მათ ძველი ტრადიციების მოტრფილენიც. ასეთი იყო ტარიელ მკლავაძე. ის აღიზარდა დრომოქმული მავნე ზნე-ჩვეულებათა ატმოსფეროში, რომელიც ძველად ბატონიანთ სასახლეში იყო გამეფებული.

ეგ. ნინოშვილი ეძებს, იკვლევს მიზეზს თუ საფუძველს, რომელზედაც იზრდებოდნენ და იქმნებოდნენ ეს ქვეყნის ხორცმეტყველები „გმირები“, რომელნიც მრავალთათვის მხოლოდ შეურაცხყოფასა, დამცირებისა და უბედურების მომტანნი იყვნენ. „ჯერ კიდევ, — მოგვითხრობს მწერალი, — ექვსი წლის ბავშვი იყო ტარიელი, რომ მშობლებმა ხანჯლის ტარება დააწყებინეს. სამაგალითოდ შეენოდა ჩერქეზული ტანისამოსით გამოწყობილ ტარიელს ეს იარაღი. ბავშვის პირობაზე ბეჭებ-განიერი, მეტად საღი, თვალ-ტანადი ტარიელი, ხანჯლით წელზე იმთავითვე ძველებურ რაინდს მოგაგონებდათ. ნათესაეები და ნაცნობები იმთავითვე დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. თვალტანადობის გარდა, საყურადღებო იყო ტარიელის გულადობა... იშვიათად წაეჩხუბებოდა თავის ტოლამხანაგებს, თუმცა კი გრძნობდა თავის უპირატესობას მათზე თავისი ფიზიკური ღონით. თუ მაინცა და მაინც გააჯავრებდა ვინმე, მაშინ კი დათვივით დატორავდა, თუნდა გამჯავრებელი ორი-სამი წლით უფროსი ყოფილიყო მასზე. — „მართლა რომ ტარიელი ხარ, ტარიელი“, — ეტყოდნენ მაშინ ალტაცებაში მოსულნი მისი მშობლები და ჩაკოცნიდნენ ტარიელს. — შართალია... ერთი დიდი ნაკლოვანება გამოაჩნდა ტარი-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 132.

² იქვე.

ელს: სრულიად სუსტი იყო სწავლაში, ასე რომ მისი მშობლები იძულებული შეიქნენ გამოეყვანათ სკოლიდან... იმდენ-ხანს სკოლაში ყოფნით ქართული კითხვაც კი ვერ შეისწავლა ტარიელმა, მაგრამ ამის გამო სრულიად არ მოუკლიათ მისთვის პატივისცემა მშობლებს და ნათესაებს. „ჩემი ვაჟი, ტარიელ, ვაჟკაცი იქნება და ვაჟკაცისთვის სწავლა არაფერი დიდი ბედენააო“¹. — ამბობდა ხოლმე მამამისი ერეკლე.

აი ასეთი იყო ტიპური აღზრდა ბრწყინვალე წოდებისა უმრავლეს ოჯახში. შეუჩვეველნი შრომას, ყურადღებას, მოთმინებას, თავის დაქერასა, ვერ ეგუებოდნენ სკოლის საერთო მოთხოვნილებას.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა, ტარიელს როგორც შინაურები, ისე გარეშენიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქება-დიდებათ ამკობდნენ, რამაც ტარიელი გაამაყა, გაათამამა, გაათავხედა. თავი გმირად წარმოიდგინა. ეგ. ნინოშვილი გვაჩვენებს, რომ საზოგადოება თვითონაა მიზეზი ტარიელის გაამაყებისა და გათავხედებისა, რადგანაც ის, განსაკუთრებით ქალები, ვაჟკაცს გარეგნობით და ძალღონით აფასებდა. ტარიელი მუდამ სარგებლობდა მათი ყურადღებითა და პატივისცემით. ის გამუდმებით, სადაც კი მოხვდებოდა, ლხინისა და გართობის ცენტრი იყო. თუმცა ვერაფერი მომლზენი: არც ცეკვა იცოდა, არც სიმღერა. აზრიანი მეტყველებაც არ ეხერხებოდა.

მიუხედავად ამისა, ტარიელს ქალები მოურიდებლივ აგონებდნენ: „უმშვენიერესი ამ ქვეყნად უმამაცესს ეკუთვნისო“. ტარიელიც ამ შექაზილს დამსახურებულად იღებდა თავის მიმართ. რა თქმა უნდა, ამგვარმა შექებამ, უპირატესობის ჩვენებამ ტარიელზე თავისებურად გავლენა მოახდინა. „...ტარიელ ნელ-ნელა შეეჩვია იმ აზრს, რომ მას, როგორც საუკეთესო ქმნილებას, საუკეთესო ადამიანს, სრული უფლება აქვს დასტკბეს ამ ქვეყნად. იგემოს ეს ქვეყანა, თუნდა ამ დატკობბას ღხვების სიცოცხლეც და ბედნიერებაც მოუხდეს მსხვერპლადო“². ამიტომ გათამამებული და გაამპარტავებული — გათავხედებული ტარიელი ცინიკურად, სიცლით გაიძახოდა იმ ქმრებზე, რომლებიც ტარიელისაგან შეურაცხყოფილად სთვლიდნენ თავის თავს: „რა არის, რა აჯავრებთ? უკეთესიც არის მათთვის, ჩემი წყალობით კარგი შვილები გამოუვებით“.

ქვეყნით დატკობბა ტარიელისათვის ორ საგანშია: ქალებში და ღვინოში. მესამეც იყო, როგორც გვარწმუნებს ეგ. ნინოშვილი: თავისი ფიზიკური ძალის „დასამაზხოვრად“ გამოჩენა. ტარიელ მკლავაქემ ჩაიღინა „საარაკო“ საქმენი: აიღო ერთი მომცრო კაცი და შემო-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 133.

² იქვე, გვ. 134.

ტყორცნა მოწინააღმდეგეს; შემდეგ უმაწვილმა კაცმა ტარიელს გული მოაყვანინა, ცხენზე მჯდომმა ტარიელმა თავისი მსხვილი მათრახი დაჰკრა უმაწვილს და თავი მართლაც რომ „გადაუფხრიწა“ და სხვ. მაგრამ ნათესაე-ნაცნობების დახმარებით ტარიელი ყველგან დაუქვე-ლი გამოდიოდა.

ტარიელმა დაიწყო ქეიფი და „სიტყვობით“ დროს გატარება. გაიჩინა სოფლადაც და ქალაქადაც ძმაბიჭვები. მაგრამ მისი „მოღვაწეობის“ ასპარეზი უფრო სოფელი იყო, რადგანაც მას უზრუნველად იხანავდა მშობლების შეძლებული ოჯახი და მის თავგასულობას სოფელში წინ ვერავინ ეღობებოდა, სურვილებს უფრო ადვილად ისრულებდა.

მართლაც, მეტად თავგასულად ეპყრობოდა ტარიელი სოფელს, განსაკუთრებით კი გლეხკაცობას. „თითქო, — მოგვიტხრობს ეგ. ნინოშვილი, — მისი ჰარამხანის კუთვნილება იყოსო, ისე უყურებდა ტარიელი გლეხ-კაცების ქალებზე... მეტადრე ცუდი ის იყო, რომ ტარიელმა ძალის ხმარება იცოდა იმ მანდილოსანზე, რომელიც ნებით არ დასგებდებოდა. ერთხელ ერთი გლეხის ცოლი ძალად გაიტაცა გზიდან იმ დროს, როცა ამ უკანასკნელს ყანაში მყოფ ქმართან სადილი მიჰქონდა. მკარეკერ ასლად ჯვარდაწერილ გლეხის ცოლს ძალით შეუმტვრია კარები იმ დროს, როცა იმ ქალის ქმარი სხვაგან იყო. ერთი მეზობელი გლეხ-კაცის ლამაზი ქალი, რომელიც თორმეტი წლის ძლივს იქნებოდა მოიტაცა და მთელი ერთი კვირის განმავლობაში ჰყავდა სადღაც“¹. მართალია, ტარიელმა ამ თავის უმსგავსი საქციელით კინაღამ თავი არ წაავო, ყოველ შემთხვევაში, კატორღაში კინაღამ არ წავიდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მშობლებმა და ნათესაობამ დიდი ხარჯითა და გეცადინეობით იხსნეს.

სასამართლოს ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ტარიელის აღვირახსნილობას, თავხედობას უფრო ათამამებდა. ამით აიხსნება, რომ „ამ საქმის შემდეგ არ გავიდა ერთი თვე, რომ ტარიელი დაუხვლა გსაში ერთი გლეხის ცოლს და გააუპატიურა“.

აი აქმაწვთობელი და შემადრწუნებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი თარეში ჯერ კიდევ ძალაში მყოფი, მაგრამ დაღუპვისაკენ დაქანებული პრივილეგიური კლასისა. ეგ. ნინოშვილი კიცხავს არა მარტო ამ ხორცმეტი თავდაზნაურობის უმსგავს, შემადრწუნებელ საქციელს, არამედ აგრეთვე იმ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას, რომელშიც ტარიელს და მისთანებს ასეთი ყოველად უპასუხისმგებლო გასაქანი ეძლევა. ეგ. ნინოშვილს ეს მეორე გარემოება უფრო აქვს მიზანში აღებული.

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1933, გვ. 135.

მართალია, ფორმალურად კანონი გლახებსაც მფარველობდა, კანონს ამგვარი ძალმომრეობისაგან ისინიც უნდა დაეცვა, მაგრამ სინამდვილეში გლახი მაინც კანონს გარეშე რჩებოდა. ამ გარემოებას მტკივნეულად განიცდის ეგ. ნინოშვილი და მკითხველსაც ამ თავის განწყობილებას ძალუშვად გადასდებს.

ტარიელი მარტო გლახის ქალებს კი არ აწიოკებდა, არამედ იმ გლახ კაცსაც. რომელიც კი გაბედავდა მისი უმსგავსი საქმის წინააღმდეგ ხმის ამოღებას, მას ავ დღეს აყრიდა, ისე მიბეგვავდა, რომ, თუ სიკვდილს გადაჩეებოდა, დასახიჩრდებოდა მაინც. მწერლის მოწმობით, ერთი გლახი ტარიელისაგან ცემის შემდეგ მესამე დღეს გარდაიცვალა. მაგრამ ამ „ჩინდულ საქმეებსაც“ ტარიელის მშობლები და ნათესავეები სასამართლოს აფუჩეჩებინებდნენ. ტარიელი აქაც დაუსჯეული რჩებოდა.

მწერალმა არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების უსამართლობას რომ საბოლოოდ ნილაბი ჩამოგლიჯოს და მის კანონმდებლობის ფიქტურული ბუნება და ძალა გააშიშვლოს, შემდეგ დამახასიათებელ ამბავს ჩაურთავს: უკიდურესობამდე შეეწირობებულმა, შეურაცხყოფილმა და მოთმინებიდან გამოსულმა სოფელმა ტარიელს განაჩენი შეუდგინა, თხოულობდა მის სოფლიდან გადასახლებას. განაჩენი წარედგინა, სწადაც ჯერ არს, მაგრამ ეს განაჩენი გლახებს უკანვე დაუბრუნეს შემდეგი წარწერით: „სოფლის ყრილობას, რომელიც შესდგება მხოლოდ გლახკაცებისაგან, არა აქვს უფლება თავის განაჩენით აწნაური გადაასახლოს სოფლიდანა“-ო.

ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, იყო მთავარი მიზეზი და ხელისშემწყობი ტარიელის შეუთავებელი ბინძური თავხედობისა. მის დაგეშილ, მიშვებულ მხეცად გადაქცევისა. ამის შედეგად ტარიელ მკლავაძე თავისი ლოთი ძმაბიჭებით თავისუფლად და უპასუხისმგებლოდ დათარეშობდა არა მარტო სოფელში, არამედ მთელ იმ მხარეში.

ტარიელ მკლავაძე და მისი ძმა-ბიჭები ერთი ასეთი გასეირნება-განადირებისას შეხვდებიან რკინიგზის სადგურზე სოფლის მასწავლებელს სპირიდონ მცირიშვილს და მის მეუღლეს დესპინეს — ყოვლად პატიოსან და სათნო ადამიანებს. ტარიელს დესპინე თვალში მოუვა, მისმა გარეგნულმა სილამაზემ ტარიელში მხეცური გრძნობები აშალა და გადაწყვიტა ამხანაგების — თავისი ძმა-ბიჭების დახმარებით, რადაც არ უნდა დაუჯდეს დესპინე ხელში ჩაიგდოს. რას არ გააკეთებს, რა გეგმას არ შეადგენს, რომ თავის ბინძურ მიზანს მიადგინოს. დესპინეს გატაცების მიზნით ღამით დაეცემიან დუქნის ოთახში ჩამომხტარ ცოლ-ქმარს; მოინდომებენ ოთახის კარის შემტკრევას, ძალადობის გამოყენებას. ვერ მოახერხებენ ამას, ვინაიდან ხმაურობაზე

შეიკრიბა აუარებელი ხალხი. ტარიელი გამხეცდა. ძლივს აკაჯებდნენ, მეორე დღეს ტარიელმა სპირიდონის „ბელნიჯოსაიით“ გაქყულტა მონდომა. ხალხმა ძლივსძლივობით ხელიდან გამოსტაცა სპირიდონი, რომელსაც, როგორც ბურთს, ისი ოპროდა ტარიელი.

ამას შედეგად მოჰყვა სპირიდონისა და ღესპინეს დასნეულება-ნერგებაშლილი ღესპინე მალე გარდაიცვალა. სპირიდონი რამდენიმე თვის ავადმყოფობის შემდეგ განიკურნა, მაგრამ მუშაობა აღარ შეეძლო. ტარიელი აქაც დარჩა დაუსჯელი.

ტარიელი და მისი ლოთი ამხანაგები, საშინელ პარაზიტებად გადაქცეულნი, შიშის ზარსა სცემდნენ მოსახლეობას, მედუჰნებებს, გამვლელს, გამომვლელს. მათ წინააღმდეგ ხალხის ზმა რჩებოდა „ხმად მლადადებელთა უდაბნოსა შინა“. საზოგადოება კი (რა თქმა უნდა, პრივილეგიური კლასი, ძალა-უფლების მქონენი) მათ ასეთს საქციელს გულგრილად უყურებდა, ხშირად (განსაკუთრებით ქალები) მისდამი აღტაცებასაც კი გამოხატავდნენ.

სწორედ აქეთაა — საზოგადოების წინააღმდეგ ეგ. ნინოშვილის შახვილი მიმართული. სწორედ საზოგადოებრივი წყობილებაა უხეიროდ, მავნებლურად მოწყობილი. მასთანაა ბრძოლა საჭირო, მისი დამსობაა გადაუდებელი ამოცანა. ასეთია აზრი ეგ. ნინოშვილის შემოქმედებისა, ასევე იღებს მკითხველიც. ამიტომაც მოთხრობის ფინალში ეგ. ნინოშვილი ახალ ადამიანს — სპირიდონ მცირაშვილს პირადი და საზოგადოების შეურაცხყოფისათვის შურს აძიებინებს და ეპიკურად, გმირულად მოაქვლევინებს ტარიელ მკლავაძეს.

სპირიდონის მიერ ტარიელის მოკვლა სისპოლურია. ესაა მწერლის გაგებითა და სურვილით, ახალი ადამიანის, ახალი ყოფის. ახალი სამართლიანი მსოფლმხედველობის გამარჯვება ძველზე, დრომოქმულზე, ძალმომრეობაზე, უსამართლობაზე. აი ამას როგორ გვიხატავს ეგ. ნინოშვილი:

გაჯიდა რამდენიმე წელი. სპირიდონი სევდამ და ავადმყოფობამ სულ მთლად დააუქლორა. ერთ დღეს სპირიდონი თბილისში მიდიოდა. მატარებელი შეჩერდა იმ სადგურზე, სადაც ტარიელმა სპირიდონსა და მის ცოლს საშინელი დღე დააყენა. სპირიდონმა შენიშნა თავმომწონეთ ქალებთან მოსეირნე ტარიელ მკლავაძე. მკაფიოდ გაიგონა ტარიელის კმაყოფილებით ნათქვამი: „...იმ ოჯახს მე პატივს ვცემ და არც მინდოდა, დაგარწმუნებთ, იმ ოჯახში იმ საქმის ჩადენა... მაგრამ მოთმინებიდან გამოვედი და მერე ვკარი ფენი, მგონია, სამ საეენზე კი გავისროლე!“¹.

ამ სიტყვების გაგონებაზე სპირიდონი საშინლად აღელდა. ტარიე-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1933, გვ. 169.

ლის სიტყვებმა სპირიდონის ბოლმიან გულში დაფერფლილი შეურაცხყოფის ცეცხლი კვლავ ააგიზგიზა. მთელ მის არსებას ელექტრონის დენივით მოედო. „კიდევ ვილაცის დაჩაგვრა და გაქელვა! თითქოს იმისთვის არის დაბადებული, რომ ყველა გაქელოს და შეურაცყოს! თავი მოსწონს კიდევ ამით!... „მოვთხოვ პასუხს! ორი ადამიანის სიკოცხლე ღირს იმათ, რომ მათ დამღუპველს პასუხი მოეთხოვოს! ორის და იქნებ მეტიც!“¹

სპირიდონი გაბედულად და თამამად მივიდა მოახლოვებულ ტარიულთან და უთხრა: „მე, სპირიდონ მცირიშვილი ვარ... მინდა პასუხი მომცეთ რას გვემართლებოდით, რომ ორს უდანაშაულო ადამიანს სიკოცხლე მოგვისპეთ?“²

ტარიელ მკლავაძემ სპირიდონის ასეთი მოთხოვნა სასაცილოდ მიიჩლო, მოინდომა თავისებურად დახტომოდა სპირიდონს და კარგა მანძილზე გაესროლა, მაგრამ სპირიდონმა არ აცალა, დასცა მას გულში რევოლვერი. ტარიელი წაიქცა. ხალხი შეგროვდა. სადგურზე უანდარმიც გაჩნდა. მან იკითხა: „Кто убил? — Я убил!“ — უპასუხა საჩქაროდ და მტკიცედ სპირიდონმა.

ტარიელი ხორცმეტა, მავნეა, ცხოვრების წინმსვლელობის შემფერხებელია. არსებული საზოგადოებრივი წყობა ზრდის მას და მისთანებს. უნდა მოისპოს ტარიელი და აგრეთვე არსებული უსამართლო საზოგადოებრივი წყობაც, ძალუმად შთააგონებს მკითხველს მწერალი.

* * *

ეგ. ნინოშვილი კარგად ხედავს და მკითხველსაც ნათლად აჩვენებს, რომ ტარიელ მკლავაძე და მისი ძმანი განწირულ გზაზე დგანან. მწერალი კარგად ხედავს, რომ წოდება, თუ კლასი, რომელსაც ეს „ვაჟბატონები“ ეკუთვნიან, უკვე დაირღვა, დღეს თუ ხვალ ისტორიის ასპარეზიდან სავესებით უნდა მოიხსნას და წარსულს ჩაბარდეს.

ეგ. ნინოშვილს კარგად ესმის ცხოვრების გარდუვალი კანონი: „რა ვარდმან მისი ყვაველი გაახმოს, დაამკჷნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“. ეგ. ნინოშვილმა კარგად იცის, რომ ამ რღვევაში და ტკივილებში ძველის შემცვლელი იბადება.

შისპილში დაბადებული და აღზრდილი სპირიდონ მცირიშვილი; გამუდმებით ცხოვრების ნაცარ-ტუტაში მყოფი, თუ ფიზიკურად სუსტდებოდა, სამაგიეროდ სულიერად, იდეურად მაღლდებოდა და არსებულ დრომოკმულ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ოსტატდებოდა:

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 169—170.

² იქვე.

სპირიდონ მცირიშვილი მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი შტკიცე და ურყევე ნებისყოფით გაპირებული ნაღზის ცხოვრებასთანა, ნაა მკიდროდ გადაჯაჭვეული. ის ხალხშია გასული, ან, როგორც უფრო მოხდენილად და შინაარსიანად ამბობდნენ, სახალხო მასწავლებლის ნარ-ეკლიანი მოღვაწეობის გზაზეა შემდგარი; ის დაულაღავი და დაუშრეტელი ენერგიით, დიდი სიღინჯითა და სიყვარულით ქვას ქვაზე სდებს ხალხის ბედნიერების დიდებული სასახლის ასაშენებლად.

თავისი უანგარო და სასარგებლო მოღვაწეობით სპირიდონ მცირიშვილი ხალხის გულს მალე მოინადირებს; ხალხის გულსა და გონებას კეთილი თესლის მისაღებად უხვად გააპოხიერებს.

აი როგორ ახასიათებს სპირიდონ მცირიშვილს მწერალი: „როცა სპირიდონ მცირიშვილმა საოცტატო სემინარიაში სწავლა დაასრულა, ის გააწესეს ერთ შორეულ მივარდნილ სოფელში სოფლის სკოლის მასწავლებლად. სპირიდონ მივიდა დანიშნულ სოფელში და ნახა, რომ ერთ მხარეს კარგი მოზრდილი სუფთა ნაშენი ხის სახლი დგას სოფლის სამართველოსათვის, მეორე მხრივ კი უხეირო ნაშენი, პატარა, ძველი სახლი, რომლის იატაკი თითქმის დამპალა. ფანჯრებში მინების უმეტესი ნაწილი დამტვრეულია და, რაც დარჩენილა, ისე გატალახიანებული, რომ ძლივს გაარჩევ, მინაა თუ ფიცარი. კერი ბევრგან გაშავებულია, რაიცა ამტკიცებს, რომ სახლში წვიმის წყალი ჩამოდის. ეს იყო სკოლა. ამ სკოლაში შემდეგი სამკაული ელაგა: ოციოდე მირყეულ-მორყეული სკამი შეგიარდებისათვის და შეუღებავი ხის დაფა. ამას გარდა, არც სასწავლო ნივთები და არც ოთახი მასწავლებლისათვის სკოლას არ მოეპოვებოდა. ხალხი გულგრილად უყურებდა სკოლის საქმეს. ბევრი მათში ამასაც იძახოდა — სულაც არ არის ჩვენში საჭირო სკოლაო. მასწავლებელს მძარცვეად რაცხდენ. ეს იყო მიზეზი, რომ ერთს წელზე მეტს იშვიათად დარჩებოდა მასწავლებელი აქ და ხშირად სკოლა უმასწავლებლოდ რჩებოდა“¹.

სოფლის სკოლის ასეთი სავალალო მდგომარეობა ნამდვილი სურათია კოლონიური პოლიტიკის გატარების ხანაში, როდესაც სახალხო განათლებითა და სახალხო (სოფლის) სკოლით სახელმწიფო არსებითად არ იყო დაინტერესებული, როცა სკოლა არსებობდა ფორმალურად, უფრო სტატისტიკისათვის, ვიდრე საჭირო-სასარგებლო საქმისათვის. სკოლის ნორმალურ მოწყობაზე ინვენტარით და მის ჯანსაღ, ხალხის წინმსწლელობასთან შეფარდებულ შინაარსზე და მიმართულეებაზე ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეებიც არა ზრუნავდნენ, ვინაიდან ისინიც უმრავლეს შემთხვევაში არ შეეფერებოდნენ თავიანთ თანამდებობას. ეს სკოლები თავის მიზანს არც შეესაბამებოდა

¹ ე. ნ. ს. მ. შ. ი. ლ., თ. ხ. ს. რელი კრებული, ტ. 11, 1933, გვ. 139—140.

და ვერც ასრულებდა, აქედან, ბუნებრივია, ხალხსაც მათზე გული გატეხილი ჰქონდა. მასწავლებელს ხალხი აფასებდა როგორც მის მრავალ ექსპლოატატორთა შორის — კიდევ ერთს, — მომატებულს, აბიტონ ჰას უნდობლად, უარყოფითად უყურებდა.

ამგვარს პუბლიცისტური ადგილები ეგ. ნინოშვილის შემოქმედებაში საგრძნობი რაოდენობით გვხვდება. პუბლიცისტური ელემენტი ორგანულადაა შერწყმული მწერლის შემოქმედებაში. პუბლიცისტი ეგ. ნინოშვილი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თითქოს დაუინებით ეძებს თავის ადგილს და გამოვლინების შესაძლებლობას. აქი მასში იბრძოდა ეს ორი — მხატვრული და პუბლიცისტური დასაბამი.

მიუხედავად სოფლის სკოლის ასეთი მდგომარეობისა და ხალხის გულგრილი განწყობილებისა, სპირიდონ მცირიშვილმა თავისი პატიოსანი და დაუღალავი შრომით მრავალი ხელშემშლელი პირობა გადალახა. ეგ. ნინოშვილი ასე ახასიათებს სპირიდონ მცირიშვილის როლს: „გავიდა ოთხი წელი, — ამ დროის განმავლობაში სპირიდონ მუყაითად შრომობდა, როგორც სკოლაში, შეგირდებთან, ისე თვითონ სკოლის გაუმჯობესებისათვისაც. ხალხს, რომელიც პირველად ისე აღმაცერივ, იჭვიანი თვალთ უყურებდა მას, ახლა ძლიერ შეუყვარდა სპირიდონი, რადგანაც დაინახა, რომ სპირიდონი არ სჯერდებოდა მხოლოდ ფორმალურად ბავშვების სწავლებას, ის ხალხის მასწავლებელიც იყო, ხალხს ესარჩლებოდა, იღვწოდა მათი წარმატებისათვის; არ ერიდებოდა ისეთ მოღვაწეობასაც კი, რომელიც პირადად მისთვის ძლიერ საშიში იყო. მისმა მოღვაწეობამ ისე წაახალისა ხალხი, რომ თავისი სურვილით ააშენეს სკოლისთვის საკმაოდ კარგი შენობა. სპირიდონი ანლა იმის მეცადინეობაში იყო, რომ როგორმე ბიბლიოთეკა დაეარსებინა სკოლისთვის, საჭირო წიგნები და ფული შეეგროვა, მაგრამ არ იქნა, მთავრობამ ნება არ დართო ჯერ ჯერობით“¹.

სპირიდონ მცირიშვილის სახის შექმნაში ეგ. ნინოშვილი ხალხოსანი მწერლების (სოფ. მგალობლიშვილის, ზაქარია გულისაშვილის (შაქროს) და სხვების) ერთგვარ გავლენას განიცდის.

90-იანი წლების დასაწყისში „მესამე დასის“ წევრები, მარქსისტულად მოაზროვნე ქართველი ახალგაზრდები, ჯერ კიდევ საცხებით გარკვეული პროგრამით თუ მსოფლმხედველობით არ არიან გამოსულნი სამწერლო ასპარეზზე. „ჩვენ, — მოგვითხრობს ფ. მახარაძე, — ვთვლიდით თავის თავს რევოლუციონერებად და სოციალისტებად, თავის დანაშნულებას ვხედავდით მთავრობის დამხობაში და მუშა-ხალხის სამსახურში, მაგრამ რა გზით ან რა საშუალებით? აქ ჩვენ ვაზიარებ-

¹ ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 11, 1933, გვ. 144.

დით „ნაროდნიია ვოლიას“ ტაქტიკას, ე. ი. ბუნტს, პოლიტიკურ ტერორს. ჩვენს თავში ყველაფერი თავსდებოდა: ჩერნაშევსკიც, დობროლუბოვიც, პასარევიც, მიხაილოვსკიც, გერცენიც, ლავროვიც (მარტოვიც) და ყელიაბოვიც... ამასვე განიცდიდა ეგნატე ინგოროყვაც (ნიონოშვილი), როგორც შემდეგში გამოიჩვენა, რადგანაც პირველად მას მე ვერ ვიცნობდი“¹.

სპირიდოხმა ხალხის საკეთილდღეოდ კიდევ სხვა ბევრი კეთილი რამ განიზრახა, მაგრამ მეოთხე წლის დამლევს, როცა მან ხალხთან მკვიდრო მეგობრული კავშირი დაამყარა, როდესაც უფრო ნაყრთიერად შეეძლო გაეშალა მუშაობა და მეტი სარგებლობა მოეტანა სოფლისათვის, მოულოდნელად იძულებული შეიქნა სხვა სოფელში გადასულიყო მასწავლებლად და დაეტოვებინა სკოლა, რომლის კეთილმოწყობას მან ამდენი ღვაწლი დასდო.

ასეთი იყო ჩვეულებრივი ხვედრი სახალხო მასწავლებლისა ძველი რეჟიმის დროს. ასეთი მასწავლებელი ყოველთვის პოლიტიკურად არასაიმედოდ ითვლებოდა ხოლმე და დაუსრულებელი გადაყვანა-გადმოყვანით აიძულებდნენ თავი დაენებებინა საყვარელი საქმისათვის, ხშირად ასეთს მასწავლებელს ხელისუფლება ხელოვნურად შექმნილი მიზეზით სდევნიდა.

ახალ ადგილზე გადაყვანამ სპირიდონი ძალიან დააღონა. ის ძალაუფლებურად დანაორჩილდა ბედს. სხვა რა გზა ჰქონდა. სპირიდონს უფრო ის აწუხებდა, ვინ იცის, მის მოადგილეს არ მოენდომებინა მის მიერ დაწყებული ხალხისათვის კეთილი საქმის გაგრძელება.

ეგ. ნინოშვილს უნდა მკითხველს ახალი ადამიანის. „ხალხის მოკეთის“ სახე მისი დამახასიათებელი თვისებებით დაუხატოს: აჩვენოს მისი გმირული ბუნება, მაღალი საზოგადოებრივი შეგნება. ყველა ამას მწერალი სპირიდონის საქმიანობაში ნიშანდობლივად გამოაჩენს.

სპირიდონს სხვა სოფელში გადაყვანის მომენტში მეორე მოულოდნელი ანბაციც ეხებებოდა. დესპინე, მღვდლის ქალი, ჯანდონითა და სილაძახით სავსე, რომელსაც სპირიდონი ასწავლიდა რუსულს და სხვადასხვა აღმზრდელობითი ამბების გადაცემით ანეთარებდა, რომლის გულიც სპირიდონმა თავისი სათნო და უმწიკვლო ბუნებით მოინადირა, — სიყვარულს უმხელს.

სპირიდონშიაც იყო დესპინესადმი თბილი და ნაზი გრძნობა ადრეული, მაგრამ ის ვერც კი ბედავდა ეს გრძნობა თავის თავისთვისაც კი აშკარად გაემხილა. სპირიდონს მიუღებლად, უპატიოსნოდაც კი მიაჩნდა, რომ აუადმყოფს, ლატაკს, შეერთო ასეთი ჯენილება, გაეზიარებინა მისთვის ის ტანჯვა, ის ნარ-ეკლიანი გზა, რომელიც მათ ცხოვ-

¹ ფ. მახარაძე, ტფილისის ორგანიზაციის 30 წლისთავისთვის, 1925.

რებაში მოელოდა. „დესპინე, — ფიქრობდა სპირიდონი, — უნაკლო ქმნილება, შეხვდება ვინმე მისებრ საღ ყმაწვილ კაცს, შეიყვარებს და ბედნიერი შეიქმნება. რისთვის უნდა მოუფსპო ეს ბედნიერება!“¹
აქაც ეგ. ნინოშვილის მიერ ხალხოსანი მწერლების შემოქმედების სტილია დაცული. პირადი ბედნიერება „ხალხის მოკეთის“ მიერ თუ სულ არ იყო დაფიქრებული, ყოველ შემთხვევაში, მეორე პლანზე მაინც იყო გადატანილი. ასევეა სპირიდონიც. მაგრამ, როდესაც დესპინემ, მიუხედავად იმისა, რომ სპირიდონმა მას დაუფარავად მუქ ფერებში დაუხატა თავიანთი მომავალი ცხოვრება, დესპინემ მაინც არ დაიჩია უკან და ჩაება იმ საქმეში, რომელსაც სპირიდონი ასე გატაცებით ემსახურებოდა.

მართლაც, სპირიდონის ახალ ადგილზე დანიშვნის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ სოფელ X-ში სალაპარაკო საგნად გახდა ახალ-მისული მასწავლებელი და მისი მეუღლე: „კაი ამხანაგები რომ გინახავს, ისთე ეხმარებიან ერთმანეთს საქმეში. ორივე ისე ზრუნავს სკოლისთვის, რავარც კაი დედ-მამა შვილის აღზრდაზე“ — თო — ამბობდა ხალხი“². ეს მასწავლებელი იყო სპირიდონ მცირიშვილი. ის და მისი მეუღლე დესპინე ხალხის საკეთილდღეოდ საქმის გაკეთებაში, ხალხზე ზრუნვაში ერთმანეთს არ აცლიდნენ. „ჩვენი ძაღლონე ქვეყნის სამსახურს შეეწიროთ. ეს არის ადამიანისათვის ნეტარებაო“, — გატაცებით იძახოდა დესპინე.

სპირიდონი და დესპინე კარგად ითვისებდნენ, რომ ამ დიდი მოვალეობის ღირსეულად შესრულებას ესაჭიროება შესაფერისი გონებრივი მომზადებაც. ამიტომ ისინიც, როცა შეგირდების სწავლას მორჩებოდნენ, მთელ საღამოებს წიგნების კითხვაში, თვითგანვითარებაში ატარებდნენ; მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული ის ჭეშმარიტება, რომ, ვისაც ხალხის წარმატებისათვის მოღვაწეობა სურს, „თანამედროვე სწავლა-მეცნიერებით უნდა ინათებდეს გზას... ამიტომაც მეცადინეობდნენ ისე მუყაითად, თითქოს, კარგი შეგირდი გაკვეთილის სწავლას შესდგომილია“³. ამიტომ ცოლ-ქმარი მრავალ გაჭირვებას სიამოვნებითა და იმედიანად იტანდნენ, ხალხისათვის ბედნიერი მომავლის გზას გატაცებით ჰკვრავდნენ.

აი ამ ადამიანების, როგორც მრავალი სხვის, შეურაცხყოფა, დამცირება მოინდომა ტარიელ მკლავაძემ თავისი „ცმა-ბიჭების“ დახმარებით. სპირიდონ მცირიშვილმა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, შური იძია, ტარიელ მკლავაძე რევოლუერის ტყვიით განგმირა.

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1933, გვ. 146.

² იქვე, გვ. 148.

³ იქვე, გვ. 148—149.

სპირიდონის მიერ ტარიელის მოკვლა, სპირიდონის გამარჯვებაა ტარიელზე. ეს კი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, გამარჯვებაა იმ ახალი კაცისა, რომელიც უსამართლო ძველი ცხოვრების რღვევის წიაღში ჩნდება, შევიწროებული, უფლებააყრილი ხალხის წრიდან გამოდის, რომელიც უკეთესი, თანასწორუფლებიანი მომავლისათვის თერაპონაც შეგნებულად ემზადება და ხალხსაც სიყვარულით, სიმტკიცით ამზადებს, ხალხს რიგებს მედგრად სკვდავს.

სპირიდონს მკაცრიშვილი თავისუფალი, სამართლიანი მომავლის გატაცებული ნოციქულია!

* * *

კლასთა თუ წოდებათა შორის წინააღმდეგობა და ახალი კაცო, ხალხის მეგობარი ეგ. ნინოშვილის შემოქმედებაში სინამდვილის კარგი ცოდნითაა ნაჩვენები.

ეგ. ნინოშვილის რომანი „ჯანყი გურიაში“ ამ მიმართულე-ბით დიდ ინტერესს იმსახურებს. მასში განსახიერებულია 1841 წლის გურიის აჯანყება. ეს რომანი ეგ. ნინოშვილს უწერია 1888—1889 წლებში. ამ ნაწარმოებში ეგ. ნინოშვილი ყველაზე მკვეთრად და სრულად შეღავნდება თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობით.

ეგ. ნინოშვილმა 1841 წლის გურიის აჯანყება არსებითად გაიკნო და შეისწავლა შემდეგი მიმართულეებით: ა) მწერლის დროს ჯერ კიდევ იშვიათნი არ იყვნენ აჯანყების უშუალო მონაწილენი და დამსწრენი. ამ პირებს ეგ. ნინოშვილი პირადად იცნობდა; მათი მოგონება, ცხადია, მეტად ძვირფასი მასალა იქნებოდა ავტორისათვის. ბ) მოგონებები ამ არაჩვეულებრივ ისტორიულ მოვლენაზე გურიის მოსახლეობაში ზეპირად თაობიდან თაობაზე დიდი ინტერესით გადმოდიოდა; დღესაც კი ეს გადმოცემები გურიაში ცოცხლად ბუდობს, მით უმეტეს, ეს ცხოველი იქნებოდა ეგ. ნინოშვილის დროს. აპროლონ წულაძე, რომელმაც, სიმ. ხუნდაძის დავალებისა და გეგმის მიხედვით, ეგ. ნინოშვილის შესახებ გურიაში ცნობები შეკრიბა, წერს: „გურიის გლეხთა აჯანყებით ვინ არ იყო მოხიბლული და აღტაცებული? ამის შესახებ მსჯელობა-ლაპარაკი, ერთი მეორის აზრის გაზიარება, მოგონებათა და სხვა ეპიზოდების გადმოცემა ჩემს ახალგაზრდობაშიც იყო... ეს ხომ ნამდვილი აჯანყება იყო გლეხობისა...“¹

აღნიშნულის გარდა, ეგ. ნინოშვილი გაეცნო არქივს გრ. გურიე-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1931, გვ. 289—290.

ლისას, რომელთანაც ის მსახურობდა 1886—87 წლებში. ამ გზით მიღებული მასალაც გამოყენებულია ავტორის მიერ.

გურიის აჯანყების შესახებ დაბეჭდილი მასალებიდან შესაძლებელია ეგ. ნინოშვილი სარგებლობდა შემდეგით: „Акты археографической комиссии“, ტ. IX, რომელშიც დაიბეჭდა 1884 წელს; დი. მ. ყიფიანის მოგონება, გაკვერთი რომ ეხება გურიის აჯანყებას და ლ. ისარლოვის მცირე წერილი «Краткий очерк гражданского управления в Закавказском крае и возмущения в Гурин» («Кавказ», 1875, № 109).

რაც შეეხება მეფის მოადგილისა და კავკასიის სამხედრო შტაბის სათანადო განყოფილებათა მდიდარ არქივს, იგი, როგორც სამართლიანად შენიშნავს სიმ სუნდაძე, ეგ. ნინოშვილისათვის მაშინ ხელმიუწვდენელი იქნებოდა.

ამრიგად, 1841 წლის გურიის აჯანყების შესახებ მასალა ეგ. ნინოშვილმა არსებითად გაიკნო და შეისწავლა აჯანყებაში მონაწილეთა, მის მოწმეთა და გურიაში მოსიარულე გადმოცემების შემწეობით. ეს ისტორიული ფაქტები მწერალმა გაიაზრა როგორც რევოლუციონერმადემოკრატმა. მან გურიის აჯანყება გაიგო და გააშუქა კლასობრივი, ყმასა და ბატონს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით.

მწერალი, შეიარაღებული სოციოლოგიური-მარქსისტული მეთოდოლოგიით, დიდი გულისყურით ირკვევს აჯანყების გამომწვევ მიზეზებს. მას მართებულად ესმის როგორც გამომწვევი მიზეზი, ისე მისი წამყვანი ძალების ურთიერთობა. ეგ. ნინოშვილი სისწორით აფასებს ამ რომანში გლეხობის, მემამულეებისა და მეზობელ თურქთა (რომელთა მისწრაფების გამომხატველია ჰუსეინ ბეგ თავდგირიძე) ინტერესთა სხვადასხვაობასა და მათ ხელოვნურ გაერთიანებას.

გურიის თავდაზნაურობა უკმაყოფილოა რუსეთის ხელისუფლებით, რომელმაც მას უფლებები შეუკვეცა, შეავიწროვა. ამით უნდა ისარგებლოს თურქეთმა, რომელიც რუსეთის ასეთი მომიჯნავედ გახდომის შემდეგ ფრიად შემფოთებულია და ცდილობს ქობულეთისა და აჭარის თავდაზნაურების საშუალებით გავლენა მოახდინოს გურიის თავდაზნაურობაზე და ააჯანყოს რუსეთის წინააღმდეგ, რათა რუსეთი განდევნილი იქნეს გურიიდან. ამ მიზნის განსახორციელებლად გამოყენებულია ჰასან ბეგ თავდგირიძე, რომელსაც ნათესაური კავშირი აქვს გურიის თავადებთან. ჰასან ბეგი ამ მიზნით ხშირად დადის გურიაში, გურიის თავადებს, თუ ისინი რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას მოაწყობდნენ, ჰპირდება როგორც ფულადს, ისე თოფ-იარაღითა და ჯარითაც დახმარებას. ჰასან ბეგი აუგად იხსენიება რუსეთის ზნე-ჩვეულებასა და წესწყობილებას, სამაგიეროდ, — წერს ეგ. ნინოშვილი — „სამოთხისებურ ცხოვრებად ხატავდა ხონ-

ქარის ქვეშევრდომობას“. ასეთი ინტრიგის ქსელი კარგა ხანს იქსოვე-
ბოდა. ქობულეთ-აჭარის თავადები, მართლაც, უკმაყოფილების თესლს
გურიის თავადაზნაურობაში აღვივებდნენ, ყოველ წლით თითო-ორო-
ლას გადაბირებდას ახერხებდნენ, „მაგრამ სრულ აშლილობას გურიის
ხალხსა და რუსეთის მმართველობას შორის ვერ ახერხებდნენ“.

ჰასან თავდგირიძისაღმი დავალებული საქმის განხორციელებას
ხელი შეუწყო ერთმა შემთხვევამ, რამაც გურიის გლეხკაცობა ააღელ-
ვა: რუსეთის მთავრობამ გურიის მოსახლეობას გამოუცხადა, რომ ხა-
ზინას ყოველწლიურად კომლზე ფული უნდა უხადოს. ამ გამოცხა-
დებამ, ისედაც ბატონ-ყმობით გაბეგრილ გლეხობას, ცეცხლი მოუ-
კიდა. ამ გარემოებით ისარგებლეს რუსებით უკმაყოფილო გურა-
ის თავადაზნაურობამ და ჰასან ბეგმაც და 1841 წელს გაშალეს გურა-
ის აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ.

ასე მოხდა გურიის აჯანყებაში სამი წრის სულ სხვადასხვა ინტე-
რესთა ხელოვნური გაერთიანება, რაც, რა თქმა უნდა, ისედაც დაჩაგ-
რული გლეხობის საზიანოდ დამთავრდა.

ეგ. ნინოშვილი დამახასიათებელი ნიუანსებით იძლევა აღწერებუ-
ლი სოფლის საიდუმლო შეკრებას, ხალხის გაფიცვას, ხატზე ფიცს
მიღებას, როგორც ეს ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების ისტორიამ შე-
მოინახა. აჯანყების მოთავენი არიან, როგორც გლეხები — ბესია, პე-
ტრია მკედელი, ათარმიზი, როსტომ მეჩხიურე, ისე აზნაურებიც —
ივანე, სიმონ. შეთქმულები, სანამ საბოლოო ბრძოლის გზას აირჩე-
ვდნენ, ბესიას წინადადების თანახმად, გადაწყვეტენ შეეკითხონ და და-
რიგება მიიღონ ნასწავლი კაცისაგან — გიორგი ბესიასაგან, თავადი
NéNé-ის შვილობილისაგან. ამორჩეულები გიორგისთან საიდუმლოდ
მიდიან ღამით, მას ჯერ ხატზე დააფიცებენ, შემდეგ საიდუმლოებას
გაუმხელენ და დარიგებებს სთხოვენ.

საგულისხმოა გიორგის აზრი, ვინაიდან გიორგის შეხედულება,
თვით ავტორის, ეგ. ნინოშვილის, შეხედულებაც უნდა იყოს. აჯანყ-
ბულთა გადაწყვეტილება გიორგიმ გაიკვირვა. მოაულებს მან აუხსნა,
რომ აჯანყება მეტად მძიმე საქმეა. „ზოგიერთ შემთხვევაში, — უთ-
ხრა მათ გიორგიმ, — ჯანყი ხალხის ბედნიერების მომასწავებელია,
მაგრამ სამაგიეროდ უგუნური აჯანყება კი სრულიად დაღუპავს ხალხს“¹.

გიორგიმ მისულთ განუმარტა, რომ რუსეთის წინააღმდეგ აჯან-
ყება ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველი იქნება. „ჩვენი ქვეყანა, —
უხსნის ის მოსულებს, — შეერთდა რუსეთთან იმიტომ, რომ ჩვენი
უგუნური, არამზადა მთავრებ-მეფეების ურთიერთ შორის ჩხუბებით...

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1931, გვ. 18.

სრულიად დაუძღვრებელი ვიყავით და მოველოდით, აი დღეს, აი ხვალ. აგვიკლებს სპარსი, ოსმალი, ლეკი და სხვა ბარბაროსი ხალხიო. რა რომ რუსეთს შევეუერთდით, მას შემდეგ ამ მხრით სრულიად უშიშარნი შევიქცენით. შესაძლებელია, — განაგრძობს გიორგი, — დღეს ჩვენთვის უმჯობესი იყოს, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი შეიქმნებოდეს, მაგრამ სამაგიეროდ იმას კი აღარ ბრძანებთ, თუ რა ვიქნებოდით, აქამომდე რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია!"¹

გიორგის უნდა ხალხის განწყობილება ეროვნული, პოლიტიკური პოზიციებიდან სოციალური ჩაგვრის საფუძვლებზე გააღვივოს, ამისათვის საუბარს, თუ რჩევა-დარიგებას ასე განაგრძობს: „რაც შეეხება მას, რომ გლეხ-კაცობა ცუდ მდგომარეობაშია, ცალკე თავადაზნაურობა იმსახურებს და ცალკე მთავრობაო, ამას თუ ბრძანებთ, ამისი მეც თანახმა ვარ. არც ერთ რიგიან სახელმწიფოში, გარდა რუსეთისა, ბატონ-ყმობა აღარ არსებობს. ასე გასინჯეთ, თვით გაუნათლებელ ოსმალებშია-კი მოსპეს ეს საზარელი და სამარცხვინო სენი — ადამიანის მონობა. მაგრამ ამასთან ვიტყვი, რომ დღეს რუსეთშია-ც ძლიერ გაცხარებული ლაპარაკი და მოქმედებაა მონობის დარღვევის და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“².

გიორგი იმედს გამოსთქვამს, რომ რუსეთის გლეხობაც განთავისუფლდება და მასთან ერთად ჩვენი გლეხ-კაცობაც. გიორგის უნდა გურიის (რა თქმა უნდა, მთელი ქართველი) გლეხკაცობა დააჯეროს, რომ განთავისუფლების, ბრძოლის ფრონტი რუსეთის გლეხობასთან უნდა გაერთიანდეს, მაშინ შედეგიც უფრო სასურველი და ნაკლებ მსხვერპლიანი იქნება. გიორგი ასე ასაბუთებს თავის აზრს: „თუნდაც რომ ძალიან აჯანყდეს ჩვენი ერთი მუჟა ხალხი, რას ვახტება რუსეთის მრავალრიცხვიან, ომში 'გავერჯიშებულ ჯართან? მგონია დიდი გონიერება არ უნდა, რომ კაცმა დაინახოს ჩვენი უძღვრება: ჩვენ არც ჯარი გვყავს, არც ფული გვაქვს, არც თოფ-ზარბაზნები და ტყვია-წამალი... თუ რაიზე უცაბედმა შემთხვევამ არ მოუშართა ხელი, ჩვენს ქვეყანას დღეს არ შეუძლიან რუსეთისაგან გამოცალკეება. ასეა, ძმებო, კიდევ განვიმეორებ, თუ მთავრობას მართლაც იმ ზომამდე არ მიუყვანია ჩვენი ქვეყანა, როგორც იტყვიან, ამ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობსო, აჯანყება გულშიდაც არ უნდა გავივლოთ. ჩვენი გლეხ-კაცობა უნდა იყოს შემყურადე რუსეთისა... ვინიცობაა, რუსეთში გლეხ-კაცობამ ნება-ყოფლობით ვერა რა გამოიტანოს და აჯანყდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი გლეხ-კაცობაც ვერ გაჩერდება გულ-ხელ დაკრეფი-

¹ ე. ნ. ნ. ო. შ. ე. ლ. ი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1931, გვ. 18.

² იქვე.

ლი, მიხედვას რუსეთის მაგალითს და იომებს თავისუფლების მოსაპო-
ვებლად“¹.

გიორგის ასეთი რჩევა, რა თქმა უნდა, 90-იანი წლებისათვის, რო-
დესაც ბატონყმობა დიდი ხნის გადავარდნილი იყო, ანაქრონიზმი იქნე-
ბოდა, რომ პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ. ეგ. ნინოშვილს 90-იან
წლებში, მშრომელთა საერთო აღმავლობის დროს, ხალხის სოციალურ-
ეკონომიკური და პოლიტიკური განთავისუფლებისათვის ბრძოლისა
და რევოლუციური მოქმედების აქტიური გაშლის ეპოქაში, გიორგის
ძვიერ ნაჩვენები გზა — რუს და ქართველ რევოლუციურად მებრძოლ
მშრომელთა ფრონტის გაერთიანება — საერთო მიზნის მისაღწევად
მიაჩნია სასურველად, საჭიროდ და აუცილებლად.

უკმაყოფილო, აღელვებულ ხალხს, რომელიც უკვე ამოქმედებულ
იყო, სიტყვა ადვილად ვერ შეაჩერებდა. აჯანყება სტიქიურად გაიშა-
ლა. გიორგიმ მთელი პასუხისმგებლობით იგრძნო, რომ ხალხს სწო-
რედ ახლა სჭირდებოდა მისი დახმარება. გადაწყვიტა დაეტოვებია
მშობლების სახლი, გასულიყო ხალხში იმ მიზნით, რომ აჯანყებულ-
თა მიზანი შეეცვალა, მისთვის სწორი მიმართულება მიეცა: „ჩვენმა
ხალხმა რუსებს კი არ გაუწიოს წინააღმდეგობა, არამედ მონობას, ანუ
ბატონყმობას. გლეხკაცობის განთავისუფლება, მისი მდგომარეობის
გაუმჯობესება, უნდა ჰქონდეს მიზნად აჯანყებას და არა რუსების
განდევნა“.

გიორგი უერთდება აჯანყებულთ. მკიდრო კავშირს დაიჭერს აჯან-
ყების მთავარ სარდალთან — ამბაკო შალიკაშვილთან.
ორივეს უნდა აჯანყებას ნაკლები მსხვერპლი მოყვეს. ხალხი აღ-
ფრთოვანებით შეხვდა მათ. ეგ. ნინოშვილი ცხოვრების ზედმიწევნით
ცოდნით ასერხებს კლასთა წინააღმდეგობის ბუნებრივ და მკვეთრ გა-
მოვლენას.

აზნაურმა ივანემ, გაიგო რა გიორგის რჩევა: რუსების წინა-
აღმდეგ კი არა, ბატონ-ყმობის წინააღმდეგ უნდა მიიმართოს ბრძო-
ლაო, ღრმად აღშფოთდა. მან თავისი მიზნის გამომქალაქება დაიწყო:
ხალხში ის ასეთს ხმას დაარხევს: „ბატონ-ყმობა არც თქვენი, ყაძახე-
ბის დაწესებულია და არც ჩვენი, თავად-აზნაურებს. იგი დღეს არ გა-
ჩენილა, უხსოვარის დროიდგან მომდინარეობს. ალბათ ღეთას ბრძა-
ნებაა და ამიზა იმის უარის ყოფა ღეთის უარის ყოფა იქნება... ღმერ-
თმა ჩვენზე უფრო კარგათ იცის რაც საჭიროა“². ივანეს პოზიციას
უმაგრებს მისი შინაყმა კოზია. ხალხი, ბუნებრივია, გიორგისა და ამ-
ბაკო შალიკაშვილს გაჰყვა.

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1931, გვ. 19.

² იქვე, გვ. 42.

ივანე. ივანე ივანეს რა, მიზანს ვერ აღწევს, აზნაურ დათიასთან ერთად შეეცლება აჯანყების დამარცხებას და ამ მიზნით ჯაშუშ — გამცემის როლსაც კი კისრულობს. უდავოდ, ეგ. ნინოშვილის მიერ ნიჭიერადაა გამოვლინებული აზნაურ ივანესა და დათიას კლასობრივი ბუნება, ინტერესთა წინააღმდეგობა თავდაზნაურთა და გლეხთა შორის.

აზნაური ივანე და დათია დაიჭერენ საიდუმლო კავშირს ოზურგეთის უფროსთან პოლკოვნიკ ბრუსილოვთან, მისი დავალებით მოსყიდვიან ჰასან ბეგ თავდგირიძეს, კოზიას მტრულად მოაქვევინებენ აჯანყების მეთაურ გლეხს ბესიას, რომელიც უნდობლად ეკიდება ივანეს, გლეხკაცებს ურჩევს არ დაუჭერონ ივანესა და დათიას.

ეს გამცემლები აჯანყებულებს მეთოდურად გზა-კვალს აუბნევენ. ხმას გააერცვლებენ, ვითომც აჯანყებულების მოთხოვნებს მთავრობა აკმაყოფილებს. ამით ისინი ასუსტებენ გლეხთა სიფხიზლეს, მათ ბრძოლის უნარს, რაც საშუალებას მისცემს პოლკოვნიკ ბრუსილოვს მთავრობის ჯარის საშუალებით დიდი ზარალით აჯანყება ჩააქროს, ამბოხებული გლეხკაცობა დაბეგროს და თავდაზნაურებს შინაყმები დაუბრუნოს.

აჯანყების დამარცხების შემდეგ მთავრობამ, მართლაც მრავალი გლეხი და თვით ამბაკო შალიკაშვილი მძიმედ დასაჯა; გიორგის დაჭერაც მოინდომა, მაგრამ მან ოსმალეთში გადახვეწა მოასწრო, სადაც ერთი წლის შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა, რუსეთის ჯაშუშად მიიჩნია და თავი მოკვეთა.

ასე მთავრდება ამ საგულისხმო ისტორიული მოვლენის განსახიერება ეგ. ნინოშვილის რომანში „ჯანყი გურიაში“.

ეგ. ნინოშვილის რომანში „ჯანყი გურიაში“, როგორც სამართლიანად აღნიშნავდნენ ფ. მახარაძე და სიმ. ხუნდაძე, საკმარისი სიმკვეთრითაა გატარებული კლასთა და წოდებათა შორის ინტერესთა წინააღმდეგობა. სწორედ ამაშია ამ რომანის ერთ-ერთი სიახლეცა და სიძლიერეც. მკაფიოდაა მოცემული გლეხთა უკმაყოფილება, ბოლმა, შურისძიება; ასევე მკვეთრადაა ნაჩვენები თავდაზნაურთა რეაქციული მსოფლმხედველობა და განწყობილება-მოქმედება. მკაფიოდაა ნაჩვენები თავდაზნაურობა რეაქციულ მთავრობას (პოლკოვნიკი ბრუსილოვის სახით) როგორი მონური ერთგულებით უჭერს მხარს (არამარტო გურიის თავდაზნაურობა, არამედ ბრუსილოვის მოწოდების თანახმად, სამეგრელოს თავადების დადიანისა და ჯაიანის, ხოლო იმერეთისა — თავად წერეთლის მეთაურობით), რადგანაც ბრუსილოვში (სახელმწიფოებრივ რეაქციულ ხელისუფლებაში) თავდაზნაურობა

თავისი ინტერესების დამცველს, გლეხთა — მშრომელთა დამორჩილების საქმეში დამხმარეს ხედავს.

ასეთია ეპოქის ძირითადი მამოძრავებელი ძალებისა თუ ჩვეულებების ურთიერთობის მართებული შეფასება რომანში „ჯანყი გურიაში“.

ფაქტია, ეგ. ნინოშვილმა ზედმიწევნით შეისწავლა 1841 წლას აჯანყება. რომანში საკმარისი სიზუსტითაა მოცემული აჯანყების მსვლელობა, მისი განვითარების ეტაპები, ბრძოლის ადგილები, მონაწილეთა ნამდვილი სახეები: თავადი ამბაკო შალიკაშვილი, გლეხები: პეტრიელა მკედელი, ათარმიზი, თოიძე, როსტომ მეჩინურე; აჯანყების მოწინააღმდეგენი: პოლკოვნიკი ბრუსილოვი, თავადები — ნაკაშიძე, იმერეთის მილიციის უფროსი თავადი წერეთელი, სამეგრელოს მილიციის უფროსი თავადი დალიანი.

რომანი მთლიანად რეალურ ფაქტებს ემყარება¹ და გლეხთა აჯანყების რიტმსაც, უდავოდ, საკმარისი სიმძლავრით ამჟღავნებს. მეტად ცოცხლად და დამაჯერებლადაა მოცემული, ერთის მხრით, გლეხის მებრძოლი განწყობილება, მისი გამბედაობა, მეორე მხრით, ბიუროკრატიული ხელისუფლებისა და თავადაზნაურთა ყოფა და ეს სრულიად ბუნებრივია. ეგ. ნინოშვილი თავისი რევოლუციური მსოფლმხედველობით სხვანაირად ვერც შესძლებდა გურიის 1841 წლის აჯანყების გააზრებას.

ჩვენის გაგებით, ეგ. ნინოშვილი გურიის 1841 წლის აჯანყების ასახვაში სინამდვილეს სრულებით არ შორდება. ამიტომ მართებულად არ მრგვაჩნდა სიმ. ხუნდაძის (რომელმაც დიდი გულისყურითა და სიყვარულით შეაგროვა აუარებელი მასალა ეგ. ნინოშვილას შემოქმედების, კერძოდ მისი რომანის „ჯანყი გურიაში“ შესახებ) შემდეგი აზრი: „რასაკვირველია, გიორგი თვით ავტორის შემოქმედების ნაყოფია და მას ბევრი საერთო არა აქვს 1840-იანი წლების სინამდვილესთან... უდავოა, რომ ავტორმა თავისი ეპოქის, 80-იანი წლების ენით ამეტყველა თავისი გმირი, ისიც უდავოა, რომ გიორგის სახით უმთავრესად უღალატა ისტორიულ სინამდვილეს და ახლობელ ეპოქის აზრები მოახვია თავზე 40-იანი წლების გურიას“².

დაახლოებით ასეთივე აზრი აქვს უფრო ადრე გამოთქმული ფ. მახარაძეს: „მე პირადად საეჭვოდ მიმაჩნია, რომ ასეთი პიროვნება მართლა ყოფილიყო იმ დროს გურიაში... უფრო მართალი იქნებოდა, თუ

¹ ე. ნინოშვილი, თბზ. სრული კრებული, ტ. 1, 1931; იხ. რედაქტორის სიმ. ხუნდაძის შენიშვნები.

² ე. ნინოშვილი, თბზ. სრული კრებული, ტ. 1, 1931, გვ. 321.

ვიტყოდით, რომ გიორგის პირით აქ ლაპარაკობს თ ვ ი თ ა ე ტ ო რ ი.
ე. ი. ნინოშვილი“¹.

ჩვენ ეს მოვლენა ასე გვესმის: რა თქმა უხდა, ეგ. ნინოშვილი გუ-
რიის 1841 წლის აჯანყებას თავისი მსოფლმხედველობის — კლასთა
შორის ბრძოლის პოზიციებიდან ხედავს და აფასებს კიდევ. ჩვენი
გაგებით, „შორეულ წარსულში“ ეგ. ნინოშვილმა გმირები როდი ააღა-
პარაჯა თავისი ენით, „რომელსაც ის ამუშავებდა თავის პრაქტიკული
რევოლუციური მოღვაწეობისათვის“, არამედ მან გურიის 1841 წლის
აჯანყებაში მონაწილე ყველა სოციალური ფენა აამეტყველა თავთა-
ვისი ენით: ყმა-გლეხობა ებრძოდა ბატონებს და წინააღმდეგობით
გამსჭვალული ხშირად ტერორისტულ აქტებსაც კი მიმართავდა 30-40
წლებში. პროფ. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ ზავალესკი თავის მოხსე-
ნებაში გენერალ-ადიუტანტ სტრეკოლოვისადმი აღნიშნავდა გლეხკა-
ცობის ჯერ კიდევ 30-იან წლებში გამწვავებულ მდგომარეობას, მე-
მამულეების მიერ მათ მძიმე ექსპლოატაციას. „მართლაც, გლეხკაცობა
არამც თუ კეთილად არ არის განწყობილი მემამულეებთან, არამედ
ხშირად უარსაც კი ამბობს მათდამი დამორჩილებაზე, განსაკუთრე-
ბით შეძლებული გლეხკაცობა. მემამულენი, რადგან მდიდარ გლე-
ხებს ვერ იმორჩილებენ, გადასახადების, ბეგარისა და ხშირად თავი-
ანთი თვითნებობით მთელი სიმძიმით ღარიბებს აწვებიათ. გლეხკაცო-
ბა მასიურად ცდილობს შატონყმობისაგან განთავისუფლებას“². ვანა
ასეთივე შეგნება-განწყობილებით არ გვევლინება 1856—1857 წლებში
სამეგრელოს აჯანყებული გლეხობა, როგორც ბრძოლის უნარისა და
სტრატეგიული ნიჭის გამოვლინების მხრით, ისე ორგანიზებულად
გაერთიანებისა. ჩვენი გაგებით, რომანში „ჯანყი გურიაში“ ყველა
მონაწილე მებრძოლი გლეხი — ბესია, პეტრიელა მჭედელი, როს-
ტომ მეჩიხურე და სხვა სრულიად ბუნებრივი, რეალური სახეებია.
უდავოდ რეალური სახეა აგრეთვე აზნაური ივანეს მიერ გადაბირებუ-
ლი, გაბრიყვებული შინაყმა კოზია.

რომანში „ჯანყი გურიაში“ აგრეთვე სიმართლითაა მოცემული
დაუნდობელი, გაიძვერა აზნაური ივანეს სახით, თავისი პრივილეგიე-
ბის დაცვაში საშუალებებს რომ არ არჩევს, გლეხობა შეცდომაში შეჭ-
ყავს; ჰასან ბეგ თავდგარიძის მიერ გადაბირებული ივანე რუსთა წინა-
აღმდეგ გლეხობას ენერგიულად აღელვებს. ივანე აჯანყებას ხელს
უწყობს იმდენად, რამდენადაც ის თავადაზნაურთ გამოადგება. მაგრამ,
გაიგებს რა, რომ აჯანყება მიმართულია არა რუსეთის წინააღმდეგ.

¹ ეურნალი „პროლეტარული მწერლობა“, 1930, № 3.

² ი. ჯავახიშვილი, Социальное и политическое движение в Грузии в XIX веке, стр. 28—29.

არამედ ბატონყმობის მოსასპობად, იმავე მეთოდით, უმაღლეს საწინააღმდეგო პოზიციაზე გადაინაცვლებს: ხელისუფლებასთან, პოლკოვნიკ ბრუსილოვთან კავშირს დაიჭერს. მისი დავალებით მოისყიდის ჰასან ბეგ თავდგირიძეს. ბრუსილოვისვე დავალებით, გლეხობაში პროვოკაციულ ხმებს გაავრცელებს, რომ ვითომც მთავრობა იღებს აჯანყებულთა მოთხოვნებს, რითაც აჯანყებულთა სიფხიზლესა და უნარს შეასუსტებს, მოაღუნებს და აჯანყების დამარცხებას ხელს უწყობს. მწერალი არც აქ ლალატობს სინამდვილეს. სინამდვილეს, უდავოდ, კარგად ესიტყვება ისიც, რომ გლეხთა საწინააღმდეგოდ ერთიანდებოდა ხელისუფლება და თავადაზნაურობა შეშინებული, „შევიწროებული“ გურიის თავადაზნაურობის დასახმარებლად ხელისუფლების პირველ მოწოდებისამებრ ფეხზე დგება სამეგრელოსა და იმერეთის თავადაზნაურობაც.

არც გიორგია ეპოქისათვის უცხო, გაუგებარი, შეუფერებელი, ძალდატანებული სახე. გიორგი, მწერლის დასასიათებით, პეტერბურგის უნივერსიტეტშია ნასწავლი. მან პეტერბურგში მუყაით სწავლა-განვითარებაში დაჰყო ათი-თორმეტი წელიწადი. მწერლის რწმუნებით, ის საკმარისად თვალსაჩინო პიროვნება იყო. „გიორგის არსებობა, — რომანის ეპილოგში წერს ეგ. ნინოშვილი, — მისს სამშობლო გურიაში დღეს თითქმის სრულიად დავიწყებულია, მაგრამ სამაგიეროთ რუსეთში კიდევ მოიპოვებინ ისეთი პირები, რომელნიც ტკბილი მეგობრული გრძნობით გაიხსენებენ გიორგის“¹.

ცნობილია, რომ ამ დროს, 30-50 წლებში, რუს მოწინავე ინტელიგენციაში, კერძოდ, მოწინავე სტუდენტობაში იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ბატონყმობის ინსტიტუტის მოსასპობადაც იბრძოდნენ და რესპუბლიკის დამყარებაზეც ფიქრობდნენ. მოვიგონოთ დეკაბრისტების მოღვაწეობა, გერცენის და ოგარიოვის პოლიტიკური წრე, პეტრაშევეცელები და სხვ. სრულიად ბუნებრივია, რომ ათი-თორმეტი წლის მანძილზე ასეთს ატმოსფეროში ტრიალი პეტერბურგის უნივერსიტეტის ნიკიერ სტუდენტ ქართველზეც — გიორგიზე — მოახდენდა თავის დიდ გავლენას. სამშობლოში დაბრუნებისას გიორგის შეთქმულთა მიმართვა დაუყოვნებლივ აყენებს პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძველზე.

აი რაში და როგორ ვლინდება გიორგის მოღვაწეობის პრაქტიკული საფუძველები: გიორგი გულისხმიერია გლეხობისადმი, მისი მდგომარეობის გაუმჯობესების გულწრფელი მსურველია და, როცა საჭმემ მოითხოვა, ბეჯითი დამცველიც. მას ბატონყმობა მიაჩნია უსამართლო ინსტიტუტად და მის მოსპობას რუსეთის საქართველოდან

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1931, გვ. 29.

განდევნას კი არ უკავშირებს, არამედ ქართველი გლეხობის რუს გლეხობასთან გაერთიანებულ ბრძოლას. ამიტომ შეეცდება გურიის აჯანყება ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართოს.

პირველ ბრძოლებში, სანამ გამცემლის ხელი ჩაერეოდა, გლეხობა გამარჯვებულია. აჯანყების ხელმძღვანელი — სარდალი ამბაკო შალიკაშვილი ფიქრობს, რომ აჯანყებულები გაიმარჯვებენ და გიორგისთან ასეთს საუბარს გამართავს:

„— მერე, გიორგი, რავე უნდა ვქსათ, ქვეყანას ვინ ეპატრონოს?

— თუ კი სასწაული მოხდება, და ჩვენი გლეხჯაცობა თავადაზნაურობასა და რუსებს მოერევა, მერე რესპუბლიკური მართველობა დავაარსოთ...

— ვინმე რომ მთავრათ დევიყენოთ, ხომ არ ჯობს?

— ეგ ხომ სასაცილო, ბავშვური მოქმედება იქნება! ბატონი არ გვინდაო, დღეს სისხლსა ვღვრით ამის გულისთვის და ხელ-ახლავ ბატონი დავისვათ! ხომ იცით, რომ მთავარი ისევ მოაბრუნებს ბატონყმურ წესებს....

— მართალი ბრძანებაა. მე თქვენგან მაქ, გიორგი, იმედი, ნასწავლი კაცი ხართ და კაი რასმე ასწავლი ხალხს“¹.

აქ გიორგი სრულიად ბუნებრივად იხედება, სრულიად რეალური სახეა, როგორც განათლებული, პეტერბურგის უნივერსიტეტში აღზრდილი. გიორგის პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძვლებია: ა) რუსეთთან შეერთება საქართველოსათვის 18 საუკ. დასასრულს აუცილებელი და სასარგებლო იყო. ბ) ბატონყმობის ინსტიტუტი უსამართლოა, მოუცილებელია და უნდა მოიხსნას და გ) თუ სასწაული მოხდება და გლეხობა მოერევა რუსებსა და თავადაზნაურობას, რესპუბლიკა უნდა დავამყაროთ და არა მთავარი ავირჩიოთ. ორი პირველი დებულება გიორგისათვის ურყევეია, უეპკოა; ხოლო მესამე — რესპუბლიკის დარსება პრობლემატურია, ვინაიდან ჩვენი გლეხების მიერ თავადაზნაურების და რუსების მორევა სათუთა.

სამივე ამ დებულების მომხრენი იყვნენ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეშიც 30—40 წლებში, მაგ., სოლომონ დოდაშვილი და სხვ. ასე რომ, ეგ. ნინოშვილს „ისტორიული სინამდვილისათვის არ უღალატია“. ამიტომ არაა მართებული, რომ თითქოს გიორგისებურად აზროვნება, „მისი ენით ლაპარაკი“ ჩვენში შეიძლებოდა მხოლოდ ეგ. ნინოშვილის დროს, რომ გიორგის სახით ეგ. ნინოშვილმა „არსებული ეპოქის აზრები“ მოახვია თავზე 40-იანი წლების გურიას“, ან „გიორგის პირით ლაპარაკობს თვით ავტორი, ე. ი. ეგ. ნინოშვილი“.

ეგ. ნინოშვილის მსოფლმხედველობა და პრაქტიკული მოღვაწეობა

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1931, გვ. 95.

გაცილებით ფართოა და ღრმა, ვიდრე გიორგისა. ჩვენის გაგებით, გიორგი იმდენად ავლენს ეგ. ნინოშვილის შეხედულებებს, რამდენადაც ეს შესაძლებელი და შესაფერი იყო ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში 40-იან წლებში. აქ ეგ. ნინოშვილი არც სინამდვილეს ღალატობს და არც თავის რეალისტურ შემოქმედებით მეთოდს.

შესაძლებელია ოდნავ ძალდატანება იგრძნობოდეს აჯანყებას აქტიური მონაწილის აზნაური სიმონის სახეში.

აზნაური ივანე, როცა გაიგებს, რომ აჯანყება რუსთა განდევნას კი არ ისახავს მიზნად (რაც თავდაზნაურობას სწადდა), არამედ ბატონყმობის მოსპობას, ცდილობს აჯანყებაში არეულობა შეიტანოს, აჯანყებულები დაარწმუნოს, რომ 'ეს შეცდომა იქნება, ვინაიდან მისი შთაგონებით ბატონყმობა უხსოვარი დროიდან მოდის, „აღმათ ღვთის ნებაა, იმის უარის ყოფა, ღვთის უარის ყოფა“. ამასვე დაადასტურებინებს ივანე თავის შინაყმას — კოზიას.

მაგრამ აზნაური სიმონი გაბედულად გადასძახებს ხალხს: — „არა, ძმებო, არ შეცდეთ, პარველი თქვენი აზრი არ მოშალოთ, ბატონყმობა ამ ქვეყნის ჯოჯოხეთია, ბატონყმობის მოსპობა ღვთის სამყურიც იქნება და ქვეყნის სასარგებლოც. მადლობა ღმერთს, ყველამ იცით, რომ მე სხვა აზნაურებზე ნაკლები ყმის პატრონი არა ვარ, მარა ჩემი მხრით ხელი ამიღია ბატონობაზე, ღმერთმა ხეირი მისცეს ჩემს შინა ყმებს, მეც დედამ მშვა და რაიც. მას თუ ვემეზობლო, მემეზობლოს, ისე მან მისთვის იცხოვროს, მე ჩემთვის. მამა-ჩემი თუ ვარს იტყვის, ამაზე მე თანახმა ვარ, ძალა უყავით“¹.

ან კიდევ: სიმონს უყვარს გლეხის ქალი, ბესიას და მანა. სიმონი შეყვარებულ მანას ასე უხსნის თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას: „მანა, ან შენ რეიზა იტეხ ვულს და ან მე რეიზა მაწვალებ?... თავდაზნაურობა და ყაძახობა კაცის გამონათქვამია... აზნაურიო! უნდა გითხრა, ახლა რომ გვარის საქმეს შევხედავ, კინტრადაც არ მიმაჩნია ჩემი აზნაურობა და თუ დამიჯერებენ, არც ირ თავადობაა საბოლოო საქმე. დღეს მე ვარ აზნაური, ასე ქვია, ხვალ ეგება მე ყაძახი შევიქნა და ჩემი ყაძახი აზნაური“².

აქ ოდნავ ძალდატანება ემჩნევა. ასე ვერ იმსჯელებდა 40-იანი წლების გადარიბებული აზნაური. ასეთი მსჯელობა დასაშვები იქნებოდა მხოლოდ განათლებული, ნასწავლი აზნაურისათვის, ისიც როგორც ერთეულებისათვის, გამონაკლისებისათვის.

რომანი „ჯანყი გურიში“ მთლიანად დაწერილია დიდი ჰუმანური პრინციპებით. მკითხველს ცოცხლად განაცდევინებს როგორც

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1931, გვ. 42—43.

² იქვე, გვ. 5.

ასახული ეპოქის, ისე მწერლის თანადროულობის სულისკვეთებას, მასში მოქმედ ძალთა ურთიერთობას, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს, მათ დრომოქმულ ტრადიციებს და ახალი, უკეთესი ცხოვრების ძიებით გამოწვეულ ტიპილებს. მასში მკაფიოდ მოცემულია დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობის პერსპექტივა.

* * *

ცნობილია, რომ ეგ. ნინოშვილის ეს საინტერესო რომანი „ჯანყი გურიაში“ დაიბეჭდა ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1904 წ. კ. თავარ-თქილაძის მიერ, საგულისხმოა გავერკვეთ, ავტორმა რატომ სიცოცხლეშივე არ დაბეჭდა ის? სიმ. ხუნდაძე თავის რედაქტორულ შენიშვნებში ამ საკითხის შესახებ აღნიშნავს, რომ რომანს „ჯანყი გურიაში“ დაბეჭდვა ცენზორს სასტიკად აუკრძალავსო. „ცხადია, — განმარტავს ს. ხუნდაძე, — ამ რომანში გატარებული რევოლუციონური აზრები დიდ საფრთხობელას წარმოადგენდა თვითმპყრობელობისათვის. შეიძლება ამ უკანასკნელი. გარემოებითაც აიხსნებოდეს ის, რომ ვერც ავტორმა და შემდეგ სხვა გამომცემლობებმა (პერიოდულმა) ვერ გამოაქვეყნეს ეს რომანი“¹.

ჩვენი ფიქრით, ცენზურული დაბრკოლება არ უნდა იყოს ერთადერთი და ძირითადი მიზეზი. 90-წლებში დაბეჭდილია მრავალი ნაწარმოები, რომლებიც არა ნაკლებად მიუღებელი იყო მაშინდელი ცენზორისათვის. მაგ., 1893 წელს გამოცემული ყაზბეგის და სხვათა თხზულებები.

შეიძლება უფრო მართებული ახსნა შემდეგი იყოს: ეგ. ნინოშვილს უნდოდა განეგრძო მუშაობა რომანზე მხატვრული დახვეწის მიზნით. ამ აზრს ადასტურებს ეგ. ნინოშვილის ზოგიერთი მეგობარი, მაგ., რ. კალაძე. აი რასა წერს იგი: „ეგნატემ თავისი პირველი რომანი — „ჯანყი გურიაში“ იმ დროს დაწერა, როცა გრიგოლ გურციელის „სასახლეში“ სამსახურს, „მოურაობას“ თავი დაანება და „შინ“, თავის ბიძის — ალექსის სახლში დაბრუნდა. ეს იყო 1889 წელი. ხოლო რომანი პირველად დაიბეჭდა მხოლოდ ეგნატეს სიკვდილის შემდეგ, რადგან ეგნატე მის გამოქვეყნებას საჭიროდ არ სცნობდა. რატომ? და იმიტომ, რომ მას იგი საკმაოდ დამუშავებულად არ მიაჩნდა.

„1892 წელს მე მასთან ვნახე ამ რომანის ხელნაწერი, როგორც მას სოცს ტანქრით დაწერილი და ეგნატეს ვთხოვე წასაკითხათ მოეცა. დანიტომ და თან დასძინა: ეს ჯერ „შავადაა დაწერილი, საჭიროა მაგის

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1931, გვ. 281.

დამუშავება, მაგრამ ახლა სხვა თემები მაქვს დასამუშავებელი, მაგისტვის აღარ მცალია, ამ სახით კი არ მინდა გამოვაქვეყნო“¹.

ჩვენის ფიქრით, რომანის „ჯანყი გურიაში“ მეტი დახვეწის სურვილმა ეგ. ნინოშვილს შეაჩერებინა მისი დაბეჭდვა.

* * *

ეგ. ნინოშვილი, როგორც მკითხველი დაინახავდა, ძირითადად სოფელს უტრიალებს, მის საკირბოროტო მოვლენებს ხატავს. 90-იან წლებში ჩვენში ქალაქთა საგრძნობლად ზრდასა და ამოქმედებას, მკითხველი რომ ითვალისწინებს, განცვიფრებაში მოდის, — ახალი ცხოვრების განვითარების გზები ქალაქად რომ იწყებდა დაკვალვას, მუშათა კლასი ფაბრიკა-ქარხნებში რომ ეწეოდა ცხოვრების მძიმე ჰაპანსა, მათი ცხოვრება—რატომ დარჩა მწერლის ყურადღების გარეშე.

ეს გარემოება ასე აიხსნება: ეგ. ნინოშვილის მოღვაწეობა მეტად ხანმოკლე იყო — 1887—1894 წ.წ. ამასთან მას ცხოვრება და შემოქმედებითი მუშაობა მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა: ის ნახევრად მშვიერი, უბინაო და მძიმედ დასნეულებული ლუკმა პურისათვის ბრძოლაში ჰკლავდა თავის ღროს და ენერგიას. პეტრე უმიკაშვილს რჩევაზე — გურიის ცხოვრება მთელი მისი შესაძლებლობითა და სინამდვილით გამოავლინოს მან თავის შემოქმედებაში, ეგ. ნინოშვილი ასე უპასუხებს: „სად შემოძლია, დინჯად და ძლიერ დაკვირვებით ვხატო ხალხის ცხოვრება მაშინ, როცა ლუკმა პურისთვის მოუსვენრად იქით-აქით ეწანწალებ“².

ეგ. ნინოშვილი გიორგი წერეთელთან ერთ-ერთ მიწერილ წერილშიც ბოდიშს იხდის პასუხის დაგვიანების გამო და მასაც ასევე შესჩივის: „ჩემდა საუბედუროდ მთელი ზამთარი მოვემწყვდიე სოფელში, სადაც არც ბინა მქონდა ხეირიანი და არც საკმელი. ჩემს ოთახში ღამღამობით, როცა ბუხარში ცეცხლი გაქრებოდა, კურკლებში წყალს ჰყინავდა“³.

ეკონომიურ შევიწროებასთან ერთად საშინელი სენი — ტუბერკულოზი მწერალს არ აძლევდა შესაძლებლობას მეტი დატვირთვით ემუშავა: ის ნახევარზე მეტად ლოგინში მწოლიარე, სიცხიანი, აჩქარებით წერდა თავის მოთხრობებს, რომლებშიც, პირველ რიგში, ასახავდა სოფლის ცხოვრებიდან ბავშვობიდანვე მიღებულ შთაბეჭდილებებს.

სამწუხაროდ, ეგ. ნინოშვილის არქივი განადგურებულა, მაგრამ მაინც ირკვევა, რომ მას დარჩენია დაუმთავრებელი მოთხრობა თუ

¹ ჯურნალი „სიტყვა და საქმე“, 1934, № 2.

² ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 111, 1935, გვ. 99.

³ იქვე, გვ. 135.

რომანი ქალაქის ხელოვნება — მუშების ცხოვრებიდან, რომლის ნაწევრები შემორჩენილია გ. წერეთლის მიერ 1895 წელს დაწერილ და დაბეჭდილ ეგ. ნინოშვილის ბიოგრაფიაში¹. ამ დაუმთავრებელ მოთხრობაში, როგორც ჩანს, მწერალს მიზნად ჰქონია ქ. ბათუმში მუშათა ცხოვრების აუტანელი პირობების დახატვა.

მოვიტანთ ამ დაუმთავრებელი მოთხრობიდან შემორჩენილ ნაწყვეტს:

„ქ. ბათუმის ერთ მხარეს ნავთის ქარხნების ზემოთ მანდორზე ერთმანეთში უხეიროდ არეულ-აჩხიროულან ფიცრული ფარღალაა შენობები, რომელთაც ქოხები უფრო შეეფერება სახელათ, მინამ სახლები. გარშემო ამ შენობებს მუდამ ტლაპო-ტალახი ადგია. მისავალი გზები ისეთია, რომ წვიმების დროს დიდი სიფრთხილე გჭირია, ტალახში არ შთაინთქა. ქაობები, რომლებითაც მდიდარია ეს კუთხე, გაცლენთილია უწმინდურობით. მათი ანადენი ოსშივარი წამლავს ჰაერს და ისეთი საძაგელი სუნია გამდგარი, რომ სუფთა ჰაერზე შეჩვეულ ადამიანს ცვირ-აუხვეველათ არ შეუძლია გავლა. შენობები უბუხროს. თითო ოთახს თითო პაწია სარკმელი აქვს და ამიტომ ოთახში მზიან დღესაც კი ბნელა. მართალია ოთახს საკმაოდ აქვს ჰვრიტინები, მაგრამ იმათში ქარი უფრო ღონეზრად შედის, ვიდრე სინათლე. აი, ეს შენობებია არის თავშესაფარი იმ რამდენიმე ათასი მუშისა, რომელნიც მუშაობენ ბათუმის ნავთის ქარხნებში. ამ ვიწრო და ნამიან ოთახებში ბინადრობს ათი, თორმეტი კაცი ერთათ თითო ოთახში“².

აქ აწერილ მუშათა მდგომარეობაში იყო თვით ეგ. ნინოშვილიც, როცა ქ. ბათუმში შავ მუშად მუშაობდა როტშილდის ქარხანაში და მუშათა ინტერესებს იცავდა. აი რა საგულისხმო ცნობას გვაძლევს გ. წერეთელი იმავე ბიოგრაფიაში:

1890 წლის მარტის თვეში ქ. ბათუმში შევიწროებული მუშები (ქარხნის გამგებელმა ზროდლოვსკიმ მუშებს ქირა გაუნახევრა, ვითომ იმიტომ, რომ ნავთის ფასმა იკლო საზღვარგარეთ) გაიფიცნენ; ამ მუშებთან ერთად რამდენიმე ხნის განმავლობაში მსახურობდა ეგ. ნინოშვილიც, რომელიც „მათთან ერთად ეწეოდა მძიმე მუშაობასა და უფრო მძიმე ბრძოლას“. ქარხნის გამგებლისა და ხელისუფლების (რომელიც, რა თქმა უნდა, ქარხნის გამგებელს უჭერდა მხარს) მკაცრი მუქარის შემდეგ მუშებს მიუმართავთ გ. წერეთლისათვის შუამდგომლობა გაეწია სამხედრო გუბერნატორის თანამშემწესთან თ. ნ. ერისთავთან. როცა მუშები თავის მდგომარეობას აღწერდნენ, ერთმა სუშამ მწუხარებით წამოიძახა: „სად არის ახლა ჩვენი ეგნატე ინგოროყვა,

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 11, 1933, გვ. 326.

² იქვე, გვ. 269.

რომ ამას არ ხედავს, მეთაურათ, პატრონათ არ გაგვიხდებოდ!“ ამას, გ. წერეთლის გადმოცემით, მოჰყვა შემდეგი დიალოგი:

„— ვინ არის-მეთქი ეგნატე ინგოროყვა.

— იგი ჩვენი ძმაცაჲ, ჩვენ ჰქირში და ლხინში მოზიარე, ჩვენი ზას-წავლებელიაო. იგი რომ გეყოლოდა, ამას ვერ გვიზამდა ეგ ავი კაცი: ზროდლოვსკია თუ ვინცხა!

— მერე რა იქნა ეგ. ინგოროყვა?...

— ავით გახდა და ჭე წავიდა სახლში, თვარა კაი მოგცეს ლმერთმა, კაი მოთავე იგი ჩვენ გვეყოლებოდა ახლა!“¹

ალბათ ამ მუშათა ცხოვრების დახატვას ლამობდა ეგ. ნინოშვილი აღნიშნულ დაუმთავრებელ მოთხრობაში. აქედან ჩანს, რომ ეგ. ნინოშვილის შემოქმედების გზა ბუნებრივად ვითარდებოდა — სოფლის გაჭირვებული ხალხის მდგომარეობის ასახვის შემდეგ მწერალი გადადიოდა ქარხანა-ფაბრიკების მუშების შევიწროებული ცხოვრების ასახვაზე. როგორც სამართლიანად შენიშნავს სიმ. ხუნდაძე: „გურიის გაჭირვებულ გლეხთა ცხოვრების აწერიდან გადადიოდა „ქალაქურ“ თემებზე, გლეხთა ფენებიდან წარმოშობილ მუშათა წრეების ცხოვრების აწერაზე“². ცხადია, ეგ. ნინოშვილი ბუნებრივად აფართოვდა თავისი შემოქმედების ასპარეზს, შემოქმედებით თემატიკას; ამდიდრებდა შემოქმედების პალიტრას.

* * *

ეგ. ნინოშვილს მოთხრობების შინაარსი და მოქმედი პირები უმრავლეს შემთხვევაში, როგორც ამას დაჟინებით ადასტურებენ მწერლის თანამედროვენი და მეგობრები, უშუალო თანადროულობიდანა აქვს აღებული. ასეთი შეხედულება გამოიჩინა სიმ. ხუნდაძემაც ეგ. ნინოშვილის გმირების პროტოტიპების შესახებ დიდი მასალის შეკრებისა და შესწავლის საფუძველზე. ეგ. ნინოშვილის მოთხრობათა გმირების უმრავლესობა ცოცხალი მოქმედი პირები იყვნენ ეგ. ნინოშვილის დროს. მაგ., სიმონა ძალაძეში („სიმონა“) — განსახიერებულია ცნობილი ფერალი სისონა დარჩია; იასონ უქმაძეში („ქრისტინე“) — გურიის შეძლებული აზნაური ბეღია კომახიძე; მოსე მწერალში („მოსე მწერალი“) — მოსე ცინცაძე; ძმათა უნათლოშვილებში („მოსე მწერალი“) — ძმები მიხეილ და სერგო მოისწრაფიშვილები³. კიდევ: რომანში „ჯანყი გურიაში“ ივანე... ძეში—აზნაური სიმონ ქარცივაძე; დათაში — თავადი დათა გუგუნავა და ა. შ.

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933. გვ. 332.

² იქვე.

³ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1931; იხ. რედაქტორის სიმ. ხუნდაძის შენიშვნები.

ეგ. ნინოშვილი გარემო ცხოვრების სინამდვილიდან, ცოცხალი ადამიანების მოქმედებიდან იღებდა ზოგიერთ ტიპიურ მოვლენებს, ტიპიურ ეპიზოდებს და თვისებებს და მათ საფუძველზე თავისი მსოფლმხედველობით ქმნიდა გმირის სახეს. ზოგიერთ შემთხვევაში ეგ. ნინოშვილის მოთხრობის გმირი, რა თქმა უნდა, თავის პროტოტიპს სცილდებოდა ზოგ რამეში, გმირი არ იყო იდენტური პროტოტიპისა (და არც შეიძლება ყოფილიყო), მაგრამ სინამდვილეს კი არ შორდებოდა, ძირითადი დამახასიათებელი მასში არამც თუ არ იბლალდებოდა, არამედ თითქოს უფრო მახვილდებოდა, იხვეწებოდა კიდევ. ასეთია ეგ. ნინოშვილის შემოქმედებითი მეთოდი.

ეგ. ნინოშვილი ნამდვილი რეალისტი მწერალია, რომელიც სინამდვილეს ხედავს და ხატავს ახალი კლასის — მშრომელი, მებრძოლი მასების თვალსაზრისით. ის მთელი თავისი შეგნებითა და არსებით შეჭრილია ამ ბრძოლით შექმნილ ცხოვრების მორევში, ცდილობს მის მიმართულებას ალლო აულოს, იქიდან კრებს მტკივნეულ საჭირბოროტო საკითხებს, რომელთა გაგება-გადაჭრაში უნდა გამოინახოს სახე მომავალისა, „აღთქმის ქვეყნისა“, სადაც ბედნიერება უიშვილებისა, მუნჯაძეებისა, ჩამწარდაძეებისა, მცირიშვილებისა და მათ მოძმეთა დამყარდება.

ეგ. ნინოშვილმა თავის შემოქმედების ბაზად ახალ ცხოვრებაში დაწყებული კლასთა შორის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა და მისი განვითარების გეზი დაიხაზა. აქედან ცხადია, ეგ. ნინოშვილი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში იწყებს ახალ ლიტერატურულ მიმართულებას, ახალ ლიტერატურულ სტილს, რომელიც მოაქვს ახალ კლასს, ისტორიის სარბიელზე სამოღვაწეოდ გამოსვლას რომ იწყებს.

ხელოვნება, კერძოდ ლიტერატურა, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველი მოვლენა, ძირითადში კლასობრივია. ხელოვნების, კერძოდ ლიტერატურის დიალექტიკაც ბევრად თუ ცოტად შეეფარდება კლასობრივი ბრძოლის დიალექტიკას, რომელიც საფუძველია საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ახალგაზრდა აღმაველ კლასს თავისი განვითარების პირველ სტადიაში ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლისას თან მოაქვს საკმარისად დიდი მარაგი ახალი იდეებისა, რომელთა გამოხატვისათვის შესაფერი ფორმა ჯერ არა აქვს გამოუმუშავებული. ახალ კლასს, რომელიც ფეხს იდგამს, იკაფავს თავის გზას ისტორიის სარბიელზე, ხანგრძლივი ტრადიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა ჯერ არა აქვს. მას ჯერ არა აქვს გამოუმუშავებული თავისი კულტურა, აქედან მას თავისი სტილი ჯერ ჩამოყალიბებული არა აქვს.

ბუნებრივია, რომ ახალი კლასის შემოქმედებაში იდეოლოგია, შინაარსი გარეგნულ ფორმას სჭარბობს. ახალი კლასის მხატვარი მეტი ინტენსიობით ცდილობს უფრო ახალი იდეები, მოსწრაფებანი გაიტანოს მკითხველში, ფორმაზე ჯერ ნაკლებ ზრუნავს.

* * *

ახალი კლასის მხატვარი ახალ იდეას ხშირად ძველ ფორმებში აყალიბებს, სარგებლობს წინა პერიოდის ლიტერატურის გამოცდილებით. ასევე იქცევა ეგ. ნინოშვილიც. როგორც გაკვრით ზემოთაც აღვნიშნეთ, ეგ. ნინოშვილი არაიშვიათად ხალხოსანი და თერგდალეული მწერლების წერის ხერხებს იყენებს.

ეგ. ნინოშვილს პირველ რიგში მხედველობაში ჰყავს მასიური მკითხველი — გლეხი, მუშა, რომელსაც უნდა გაუადვილოს ნაწარმოების მთავარი იდეისა და მიზანდასახულობის სწორი და ადვილი გაგება. ამიტომ ის სარგებლობს სალაპარაკო, სადა ენით, სადა, არ ართული კომპოზიციით, რაც ასე. ახასიათებდა ხალხოსან მწერლებს. ამას გარდა, აღნიშნული მიზნის გასაადვილებლად ხალხოსანი მწერლები ნაწარმოებთა წამყვან გმირებს ისეთს გვარებს აძლევდნენ, რომლებიც მკითხველს ადვილად მიახვედრებდა, გაარკვევდა ნაწარმოების იდეაშიცა და მიზანდასახულობაშიც. ასევე ხშირად იქცევა ეგ. ნინოშვილიც. მაგალითად: გოგია უიშვილი, კაცია მუნჯაძე, დავით დროიძე, სიმონა ძალაძე, სპირიდონ მცირიშვილი, იასონ უქმაძე, ლევან ძველისენიძე, ტარიელ მკლავაძე და ა. შ.

ცნობილია, ხალხოსანი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში ახალი კაცის — „ხალხის მოკეთის“ სახით — მის მოსწრაფებათა და მთელი მისი ქცევის განსახიერებით — ცდილობდნენ თავიანთი პირადი მოსწრაფება და ცხოვრების გზა მოეცათ. ამგვარად, ხალხოსანი მწერლები მომავალი ცხოვრების გზის მაჩვენებელ გმირად მკითხველს ავტობიოგრაფიულ სახეს აძლევდნენ (მიხ. ასათიანი — „მე და ონისიმე“; ზ. გულისაშვილი (შაქრო) — „განთიადი“ — სიმონა; ეკ. გაბაშვილი — „ფრთებდაგლეჯილი“, „ნიგილისტკა“ და ა. შ.). ასევე იქცევა ეგ. ნინოშვილიც. სპირიდონ მცირიშვილში („ჩენი ქვეყნის რაინდი“) ადვილად მოჩანს დიდი ჰუმანისტი, დამცირებული ხალხის დიდი მეგობარი და მისი კეთილდღეობისთვის შედგარი მებრძოლი ეგ. ნინოშვილი.

სპირიდონ მცირიშვილის ავტობიოგრაფიულობას, როგორც ირკვევა, მწერლის თანამედროვენი კარგად ამჩნევდნენ. 12 მარტს 1894 წელს ეგ. ნინოშვილი თავის მეგობარს ალ. თოიძეს

აი რასა სწერდა: „მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ გმირი, მცირეშვილი. ერთ ჩემს ნაცნობს ჰგავსო. ანბობ. რალა მოთხრობის ავტორს? მართალია, მაგრამ მხოლოდ გარეგნობით. ისე კი. მცირე-შვილი უფრო ყოჩაღია ავტორზე“¹.

ავტობიოგრაფიული სახე მხატვრულ ნაწარმოებში. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იდენტური იყოს ავტორის — მწერლისა და შეიძლება ეს არც საინტერესო გამოსულიყო. ავტობიოგრაფიულ სახეში ჩვეულებრივ შეიძლება მოცემული იყოს ავტორის გარეგნობის, მისი სულიერი მისწრაფებისა და ქცევის მხოლოდ ძირითადი, არსებითი ხაზები, რომელთა საფუძველზე იქმნება სახე მსგავსი ავტორისა და მასთან სახე ეპოქისათვის დამახასიათებელი. ტიპური.

ასევეა ეგ. ნინოშვილის მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ გმირი — სპირიდონ მცირეშვილი. რომელშიც საკმარისად თვალსაჩინოდ აღბეჭდილია ავტორის. ეგ. ნინოშვილის არა მხოლოდ გარეგნული მსგავსება. არამედ აგრეთვე ძირითადი ხაზები მისი მისწრაფებებისა და ქცევისა.

გავერკვიოთ. რაშია ეს ძირითადი, არსებითი მსგავსება ეგ. ნინოშვილისა და მოთხრობის გმირს — სპირიდონ მცირეშვილს შორის.

თუ ავიღებთ ძირითად ხაზებს, რითაც ეგ. ნინოშვილი გვიჩაბრავს სპირიდონ მცირეშვილს, და შევადარებთ იმ ცნობებს. რომლებითაც ეგ. ნინოშვილს გვიხასიათებენ მისი მეგობრები, დაერწმუნდებით, რომ, მსგავსება, მართლაც, დიდია და უცილობელი.

ეგ. ნინოშვილი „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ გმირს. სპირიდონ მცირეშვილის სოციალურ წარმოშობასა და მისი სწავლის პერიოდს ასე გვიჩაბრავს:

„სპირიდონ იყო გლეხ-კაცის შვილი. ჯანის სისუსტე ბავშობიდანვე ემჩნეოდა. ეინ იცის, ჯანსალი და ძალუმი რომ ყოფილიყო სპირიდონი, მამას, ეგება, არც კი გაემეტებინა სკოლაში აღსაზრდელად — იმის სკოლა ყანააო“, ეთქვა, როგორც ამბობს საზოგადოდ გლეხ-კაცობა; მაგრამ მამა ხედავდა, რომ ჯანსუსტი სპირიდონი თავისი მუშაობით მაინცა და მაინც ეერ შეუმსუბუქებდა შრომის უღელს... მისცა შვილი სოფლის სკოლაში იმ განზრახვით, რომ, როცა ცოტაოდენ წერა-კითხვას და ანგარიშს ისწავლის, სადმე დუქანში დავაყენებ მოჯამაგირედო... დაასრულა თუ არა სოფლის სკოლაში სწავლა, აუტყდა მამას, — ქალაქის სკოლაში წამიყვანეო... ამრიგად შეაციდინეს სპირიდონის მამა... და წაყვანიეს შვილი ქალაქის სასწავლებელში. ამის შემდეგ, როგორც იყო მამა აძლევდა სპირიდონს სწავლის და წიგ-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 123.

ნების ფულს. ხარჯი -- ფქვილი. ყველი და ლობიო — თავისი ზურგით მიჰქონდა სპირიდონს შინიდან ყოველ კვირა-დღეობით ოცი ვერსის მანძილზე. ის იდგა ქალაქის განაპირას, მიწით შელესილ ქოხში, რომელიც ქირით მიცემული ჰქონდა მისთვის, თვეში ოთხ აბაზად... ყოველ საღამოობით მოიტანდა სპირიდონი მახლობელი ტყიდან თითო ტვირთ ფრჩხს. როცა დაღანდებოდა, სანთლის მაგიერად დაანთებდა ცეცხლს და მის სინათლეზე სწავლობდა გაკვეთილებს. საკმელს თავისი ხელით იკეთებდა. ტანისამოსი მუდამ აკლდა. ორი ჰანთარი „პარუსინის“ ბლუზის და შარვლის ამარა გაატარა“¹.

თიანქმის ზუსტად ასეთივე ნაშეებითაა ცნობილი თვითონ ავტორი — ეგ. ნინოშვილი. ისიც სინამდვილეში ღარიბი გლეხის შვილი იყო; ბავშვობიდანვე ჯანის სასუსტოთ ხასიათდებოდა. ამიტომ მანამამა, მამიდა და ბიძაც ცდილობდნენ სუსტი აგებულების ეგნატეს თოხი ასცდენოდა, წერა-კითხვა და ანგარიში ესწავლა, რომ სადმე იოლ საქმეზე დაეყენებინათ. ბოლოს ეგნატე მშობლებმა, სხვათა რჩევით თუ პირადი სურვილით, სოფლის სკოლაში მისცეს.

აი თვითონ ეგ. ნინოშვილი რას მოგვითხობს თავის „ავტობიოგრაფიაში“: „1871-1875 წლების განმავლობაში ხან შინ ძროხებსა და ცხვრებს ვწყყავდი და ხან. დრო-გამოშვებით, სკოლაში დავდიოდი. ერთის სოფლის სკოლიდან შემდეგ გადავედი მეორეში, რადგანაც მამაჩემი კამელარის აღწერის დროს შეაწერეს მეორე სოფელს. მასწავლებლები ამ სკოლებისა არც ერთი არ იყო სახეირო, თუმცა-ღა პირველს მეორე სჯობდა. 1876 წელს, სასწავლო წლის შუა (თებერვალში) შევედი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. მიმიღეს მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილებაში. იმავე თვეში გადამიყვანეს მესამე განყოფილებაში. ვსწავლობდი გაკვეთილებს ამ განყოფილებისათვის და აგრეთვე ვემზადებოდი მოსამზადებელიდან პირდაპირ მეორე კლასში გადასასვლელად. იმავე წელს, ეგზამენების დროს, მართლაც გადაველ მეორე კლასში. შემდეგ წელს გადავედი მესამეში, 1878 წელს, სექტემბერში, გადავედი თუ არა მეოთხე კლასში, გამოველ სასწავლებლიდან“...²

ეგ. ნინოშვილი 1878 წელს თავის ნებით კი არ ანებებს, სწავლას თავს. არამედ როგორც სასწავლებელში მომხდარ მოწაფეთა არეულობის მონაწილე, დათხოვნილი იქნა სხვა სასწავლებელში შესვლის უფლების ჩამორთმევით.

მაგრამ საკითხის უკეთესი გაშუქებისა და გადაწყვეტისათვის გამოვიყენოთ სხვათა, მახლობელ ნაცნობ-მეგობართა მოგონებანიც.

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 141—142.

² ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 3—4.

ესმა თოთიბაძე, რომელიც ეგ. ნინოშვილის ყოველდღიური ცხოვრების მოწმე იყო სწავლის პერიოდში, მეტად საგულისხმო ცნობებს გადმოგვცემს: ოზურგეთში ეგნატე, — მოგვითხრობს ესმა თოთიბაძე, — „ჯერ ცხოვრობდა მანასე თოთიბაძისას და შემდეგ გადმეარა, რადგან მოწაფეები სამი ძმაი მელუები გვედგა მანც. მელუები იძლეოდენ თვეში 4 მანეთს და საკმელი მისაკმელით მოქონდენ, ეგნატეს ფულს არ ვახთიებდით, მხოლოდ, რაც კი შეიძლო საკმელი მოქონდა მისი ზურგით შინიდან, რადგან ძაან ღარიბი იყო.

ეგნატე იქნებოდა ჩვიდმეტ წლამდე, სუსტი, მომალლო ტანის, ძაან ხმელი, ბეჭები მოხრილი და ვიწრო და გძელ პირისახის. იდგა იგენტან ერთად ბინაზე ჩვენსას და ოთხივე დეიარებოდა კლასში. გვეიდა წელიწად ნახევარი და ეგნატე გაგეყო. ჩვენი ადგილის კუთხეში ფენზე გამოთხარა მიწა. მეინმარია მელუები და დადგა ჭარგვალე. ასე ოთხარშინიანი იქნებოდა ირგვლივ... გადახურა რაცხა საწყლათ და დალობილი ჩელტეს კარი შეკიდა ზედ... შით მიწაზე დადო ორი შეშა და ზედ დადვა სამი ფიცრის ნაკიდურე, რომელზეც ტანგოუხნდელი წობოდა პირდაპირ. ქვეშაგებელი არ ქონდა. ეცვა ერთი პალტო ვინცხეის ნაქონი, ძაან გახუნებული და იმით იყო სულ. ტანისამოსს შინაურები ვერაფერს უკერვიდა... არც ფეხსაცმელი ქონდა, ერთი წვევიდა შინ და შინაურებს ქალამანი შეიკერენ მისდა. ზამთარში ფეხშიშველი ჩამოვიდა და იგი ხელით ჩემეიტანა (გზაზე დაგჯებოდაო).

რაც გიეწყობოდა სუფთა ბიჭი იყო საწყალი...

საკმელს თვითონ იკეთებდა...

ჰადს ზელდა და იცხოვდა. თუ იყო რამე მინდორში მონახვიდა ფხალს და მოხარჩვიდა, რასაც მარილს წააყრიდა. მიაკმევდა მჰადს, ან კიდომ ყუელს ან ტარანს, თვარა ქე იყო მშვირი“¹.

მსგავსება სპირიდონ მცირიშვილის და ეგ. ნინოშვილის სოციალური წარმოშობისა, გარეგნობისა და სასწავლებელში ყოფნისა განსაკვიფრებლად დიდია და დამაჯერებელი. მკითხველი ადვილად ხედავს სპირიდონ მცირიშვილში მის ავტორს — ეგ. ნინოშვილს. მაგრამ მეტი თვალსაჩინოებისათვის განვაგრძოთ შედარება.

მოთხრობაში სპირიდონ მცირიშვილის წიგნისადმი დამოკიდებულებას ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს: „... სწავლაშიაც სპირიდონი გლახურ მუყაითობას იჩენდა, მულამ კითხულობდა წიგნებს, შეუსვენებლად მეცადინეობდა თავისი განვითარებისთვის და ესეც ცოტა არ იყოს, ასუსტებდა მას ფიზიკურად“².

ასეთი მუყაითობა, მწერლის ჩვენებით, სპირიდონს გაჰყვა პრაქ-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 131—132.

² ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 142.

ტიკულ ცხოვრებაშიც. „შრომაზე სპირიდონი მეტად მხნე იყო; თავდადებით მეცადინეობდა სკოლაში, როცა მორჩებოდა და შეგირდებს გაუშვებდა, მივიდოდა მღვდლისას, დაუძახებდა მღვდლის პატარა ვაჟს, აუხსნიდა გაკვეთილს, მერე სკამდა სადილს და შემდეგ შუაღამემდე კითხულობდა წიგნებს“¹.

გავიდა ხანი. სპირიდონ მცირიშვილი დაოჯახდა, მაგრამ წიგნისადმი ინტერესი არამც თუ შეუწუხდა, პირიქით, გაეზარდა კიდევ. სპირიდონი არ დააყენა ხელისუფლებამ მისგანვე კარგად მოწყობილ სკოლაში, გადაადგო სხვა სოფელში. სპირიდონმა, შეიძლება ითქვას, მომეტებული ხალისით განაგრძო შრომა, ცოლიც ერთგულად ეხმარებოდა. მოუესმინოთ მწერალს:

„არ გასულა მას შემდეგ დიდი ხანი, რომ სოფელ 'X'-ში სალაპარაკო საგნად გახდა ახალმოსული მასწავლებელი და მისი მეუღლე. — „კაი 'ამხანაგები რომ გინახავს, ისეთ ეხმარებიან ერთმანეთს საქმეში. ორივე ისე ზრუნავს სკოლისთვის, რაეარც კაი დედ-მამა შვილის აღზრდაზეო, — ამბობდა ხალხი... რაც შეგირდების სწავლებაზე დრო მორჩებოდათ, წიგნების კითხვაში ატარებდნენ. ამათ შეგნებული ჰქონდათ ის ჰეშმარტება, რომ ადამიანს, რომელსაც სურს ხალხის წარმატებისთვის ცოტად თუ ბევრად იმოღვაწოს, კიდევ უნდა ესმოდეს, რაში მდგომარეობს ეს წარმატება, რომ მოღვაწე თანამედროვე სწავლა-მეცნიერებით უნდა ინათებდეს გზას. იცოდენ, რომ დიდი ნაკლი ჰქონდათ ამ მხრივ და უნდოდათ, რაც შეიძლებოდა, შეემცირებინათ ეს ნაკლი. ამიტომაც მეცადინეობდენ ისე მუყაითად, თითქოს კარგი შეგირდი გაკვეთილის სწავლას შესდგომიაო“².

მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ეგ. ნინოშვილისა თვალსაჩინოდამადასტურებელია მისი დიდი შრომისა, მუყაითობისა, უნარისა; როგორ მწვაედ განიცდიდა ის ცოდნის ნაკლებობას, რა საშუალებას არ მიმართავდა, რომ ეს ხარვეზები შეეცხო, „თანამედროვე სწავლა-მეცნიერება“ ახლო გაეცნო. განა ამ მიზნით არ მისწრაფის მშიერ-მწყურვალი ეგნატე საფრანგეთში? აი 'რას ამბობს ამის შესახებ ეგ. ნინოშვილი კერძო წერილში სიო კალანდაძისადმი: „მეგონა თუ სწავლის და განათლების სურვილი გაგაბედვინებდა აქ წამოსვლას... ეხლა 'მაინც, ამ წერილის შემდეგ ეცადე, როგორმე წამოხვიდე და თან იმოღენი ფულები წამოიღოთ, რომ მეც და სამსონ კანდელაქსაც რამე გვხთვის... იმ ფულებით თქვენ ორ კეთილ საქმეს იზამთ. ერთი თავის თავს გაანათლებთ სწავლით და მეორე საქართველოს სამ ნასწავლ კაცს შესძენთ... ოჰ! სიო რომ იცოდე აქაური განათლების ანბავი?! აქ რომ ვისწავლით, ჩვენი თვალები ისე განათლდება, რომ

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 142.

² იქვე, გვ. 148—149.

მტერს მტერათ გეცნობებს და მოყვარეს მოყვრათ. ეხლა ანუ ჯერე კი ვერც ერთს ვერ ვხედავთ! სიბნელის ფარდა გვახვევია თავზედ და გვეხვევა კიდევ, თუ აქაურმა სუფთა ახალმა ჰაიერმა არ გარეკა ჩვენი თავიდან ეს ბნელი ბურუსი“¹.

ეგ. ნინოშვილის მუყაითობას ადასტურებს სხვა მრავალი ნაცნობი და მეგობარიც. ვისარგებლებთ ორი მოგონებით:

მიუხედავად გაკირვებისა, წერს ესმა თოთიბაძე, — ეგნატე „სულ კითხულობდა და კითხულობდა. არ იქნებოდა მისი ტყვილი გაჩერება, სულ წიგნზე იყო მიციკინებული.

სამკითხველო არ იყო მაშინ, მარა სულ სხვა და სხვაი წიგნები მოქონდა და კითხულობდა... ყველას ეძინა და იგი კითხულობდა... ხშირად რომ არ ქონდა ნათეი და სხვისი შეწუხება ეზარებოდა, მაინც ფიჩხით ინათებდა“².

ეგ. ნინოშვილს რომ კითხვისადმი დიდი ინტერესი მთელ ცხოვრებაში გაჰყვა, ამას ადასტურებს მისი მეგობარი სახალხო მასწავლებელი ს ი მ ო ნ კ უ მ ბ უ რ ი ძ ე: „სკოლას რომ მოვრჩებოდი, დავიწყებდით ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვას... წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს უხვად გვიგზავნიდა ბ. სპირიდონ თოფურია სამოქალაქო სკოლის წიგნსაცავიდან და სამოქალაქო კლუბიდან, სადაც საერთო ფულით ქონდათ გამოწერილი მასწავლებლებს საუკეთესო რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთები. განსვენებულს ძლიერ უყვარდა მოთხრობებში ტიპების დაკვირვება და აწონ-დაწონვა. ის უფრო გაიტაცა ტურგენევის, ტოლსტოის, გოგოლის და დოსტოევსკის თხზულებებში. ტურგენევის ნაწერებში ძლიერ მოსწონდა მოთხრობა „Отцы и дети“. მას აკვირებდა ბაზაროვის სულიერი ძალა, ენერჯია“³....

და განა ეგ. ნინოშვილის კორესპონდენციები, პუბლიცისტური წერილები და მხატვრული შემოქმედებაც გარკვეულად არ ადასტურებს, რომ მას თავის დროისათვის ბევრი წაუკითხავს, ბევრი შეუსწავლია და ნიჭიერად დაუმუშავებია და გაუაზრებია. ასევეა დახატული მოთხრობაში სპირიდონ მცირიშვილიც.

განვავარძოთ მათი შედარება.

სპირიდონ მცირიშვილი მოცემულია როგორც იდეური კაცი, რომელიც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს. სპირიდონი, შეამჩნევს რა დესპინეს შიშს, ტარიელ მკლავაძის ცხოველური შეხედვით გამოწვეულს, გამამხნევებელი კილოთი ეტყვის: „იმ ხალხს, რომლის წამებული ცხოვრება შენ ისე გიტაცებს, ვერ აშინებს ვერც

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 82—83.

² იქვე, გვ. 132—133.

³ იქვე, გვ. 152.

შიმშილი, ვერც სიცივე, ვერც საპყრობილე, ვერც დაკარგვა, ვერც მარტობა და ვერც სახრჩობელა“. შემდეგ: „ისეთი მოღვაწეობისათვის, რომელსაც ჩვენ საჭიროდ ვთვლით, ყველგან ბრძოლის ველია“¹. იქვე: „... ის (სპირიტონი — მ. ზ.) ხალხის მასწავლებელიც იყო, ხალხს ესარჩლებოდა, იღვწოდა მათი წარმატებისთვის, არ ერიდებოდა ისეთ მოღვაწეობასაც კი, რომელიც პირადად მისთვის ძლიერ საშიში იყო“².

განა ასეთივე არ მოჩანს ეგ. ნინოშვილი თავის პუბლიცისტურ და მხატვრულ შემოქმედებაში, რომელშიც ის რეალური სინამდვილიდან კონკრეტულ ფაქტებს და პირებს მოუერიდებლად, უშიშრად პეიჯხავდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა? პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც, განსაკუთრებით ბათუმში ჯერ ბუჩუკარდღის, ხოლო შემდეგ როტშილდის ქარხანაში. ეგ. ნინოშვილი, მიუხედავად თავისი მძიმე მდგომარეობისა, გამუდმებით მუშების გამაერთიანებელი და მათი ინტერესების დამცველი, მათი ქომაგი იყო. ცნობილია, ეგ. ნინოშვილმა ვერ აიტანა ქარხნის მძიმე სამუშაო, დაანება თავი ბათუმს და დასნეულებული დაბრუნდა სახლში. მუშებს რომ სათანადო ხელფასს არ აძლევდნენ, შევიწროებული მუშები ჩიოდნენ და იძახოდნენ: „სად არის ეგნატე ინგოროყვა!“ გ. წერეთლის შეკითხვაზე: „სად არის ეგ. ინგოროყვა?“ მუშები უპასუხებდნენ: „ავად გახდა და ქეწავიდა სახლში, თვარა კაი მოგცეს ღმერთმა, კაი მოთავე იგი ჩვენ გვეყობოდა ახლა!“...

ასეთივე გულსხმიერ, კეთილ მოქალაქედ მოჩანს ეგ. ნინოშვილი პრაქტიკულ ცხოვრებაში, როგორც სპირიტონი მცირიშვილი მოთხრობაში. სიმ. ჭუმბურიძეც თავის მოგონებაში გარკვეულად აღნიშნავს ღარიბი და გაჭირვებული ხალხისადმი ეგ. ნინოშვილის გულსხმიერ დამოკიდებულებას. ის წერს: „ეგნატე მეტის-მეტი ნაზი გრძნობისა და შესანიშნავი ნიჭის პატრონი იყო. ამხანაგობა კარგი იცოდა, ღარიბი ხალხი ებრალებოდა და მის უსამართლოდ დაჩაგრვას გულგრილად ვერ შეხედებოდა“³.

მსგავსება სპირიტონი მცირიშვილსა და ეგ. ნინოშვილს შორის სხვა, ინტიმური ცხოვრების მიმართულებითაც განსაკუთრებულია.

სპირიტონი მცირიშვილის შესახებ მოთხრობაში ნათქვამია, რომ მან მღვდელს, რომლის შვილებსაც ის ასწავლიდა, გააგებინა სხვა სოფელში თავის გადაყვანის ამბავი... ნასადილევს სპირიტონმა შოინდომა მღვდლის ქალისათვის — დესპინესათვის უკანასკნელი გაკვეთილი მიეცა, მაგრამ ის სახლში არ დახვდა. სპირიტონი ამ გარემოებით გულ-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 139.

² იქვე, გვ. 144.

³ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 153.

ნაკლული დაბრუნდა სახლში. იქ მას დახვდა დესპინე, რომელმაც ერთგვარი შერეული ხვეწნისა და საყვედურის კილოთი განუცხადა: „... მე მტოვებ? ხომ გითხარი, უშენოთ გაძლება აწი აღარ შემიძლია-მეთქი!“¹

დესპინეს აღსარების შემდეგ სპირიტონიც თავის გრძნობას გაუმჟღავნებს: „დესპინე, გაგიტყდები და გეტყვი, რომ დიდი ხანია ჩემმა გულმა იგრძნო შენი სიყვარული, იგრძნო ისე მძლავრად, რომ მთელ ღამეებს უძილოდ მატარებინებდა და მატარებინებს, მარა გადაწყვიტე, ეგ სიყვარული ჩემსავე გულში ჩავიკლა. გადაწყვიტე იმიტომ, რომ არ მეგონა, თუ შენც გიყვარდი. მარა, თუნდა ეგვეც მცოდნოდა, მე მაინც ამ გადაწყვეტილებას დავადგებოდი, რადგანაც არ მინდა ჩემი ცხოვრების ვარაში შენ გაგინაწილო, არ მინდა გაგხადო იმ ტანჯვის მონაწილედ, რომელიც მე შემხვდება ცხოვრებაში. მე შენ მიყვარხარ და ამიტომ მსურს, რომ შენ ბედნიერი იყო და არა უბედური“².

ახლა მოვუსმინოთ ეგნატეს მეგობარს სიმ. ჰუმბურიძეს: ეგნატეს „ცოლის თხოვნა რომ გაგეშხილათ — გეტყოდათ: რა საჭიროა მეც ხელი შეუწყო მონების გავრცელებასაო“³. მაგრამ სინამდვილეში ეგნატე არც ასეთი გულგრილი ყოფილა ამ საკითხისადმი.

ეგ. ნინოშვილი ვონების თვლით, ითვალისწინებდა რა თავის უმწეო ეკონომიურ მდგომარეობას, ჯანის სიაუტტეს, გარკვეული მდგომარეობის უქონლობას, მართლაც, შეუძლებლად სთვლიდა ასეთი ნაბიჯის გადადგმას; მაგრამ გრძნობა, როგორც ჩანს, მაინც ღამობდა მის დატყვევებას. ეგნატეს ჰქონია დიდი, თუმცა ხანმოკლე, მწვავე რომანი — ნადასი კალანდაძესთან. ამისი საბუთი ეგ. ნინოშვილის სიცოცხლეში ფართოდ დარჩეული ხმა არის და უფრო დამაჯერებელი მწერლის ორი პირადი წერილი ნადასი კალანდაძისადმი. ორივე წერილს მოვიტანთ, ვინაიდან ისინი საგულისხმოა. არა მარტო ჩვენ მიერ საკითხის სისწორითა და ეფექტური გარკვევის მიზნით, არამედ იმიტომაც, რომ ეს წერილები ეგ. ნინოშვილის მორალურ სახეს მართებულ და მიმზიდველ ნათელს ჰფენს.

პირველი წერილი ლაკონიურია და სავსებით გარკვეული: „ყდ პატივცემულო ნადასი! არ მოვეყები გაჭარბებული ფრაზებით ლაპარაკს, რადგანაც ჭრელი სიტყვა-ფრაზები თქვენისთანა ინტელიგენტთან მეტად მიმაჩნია. აი მხოლოდ ესა მაქვს სათქმელი: თქვენმა გაცნობამ ერთგვარი გრძნობა დაბადა ჩემში, რომელსაც მდაბიურ ენაზე

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1933, გვ. 146.

² იქვე, გვ. 147.

³ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 153.

სიყვარულს. ეძახიან. რას იტყვიან თქვენის მხრით, შეგიძლია თუ არა ამ შემთხვევაში თანამიგრძნობით?

თქვენი პატივისმცემელი ე. ნინოშვილი (ეგნატე ინგოროყვა). ...იმედი მაქვს, როგორც განათლებული ქალი, პასუხის მოწერას არ ითაკილებთ და აგრეთვე არც დამიგვიანებთ“¹.

ეს წერილი მიწერილია 2 იანვარს 1892 წ. როგორც ჩანს, ნადასი კალანდაძეს უბასუხოდ არ დაუტოვებია ეგნატე, მაგრამ გარკვეული „კულტურული“ უარი კი შეუთვლია. ნადასი კალანდაძის ეს პასუხი, როგორც ირკვევა, ეგნატეს იმავე წლის 15 თებერვალს მიუღია, რომელსაც გამოუწვევია ეგნატეს „შერიგებულა“ წერალა. მოვიტანთ ამ მეტად საგულისხმო წერილის ნაწილს, რაც საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება:

„პატივცემულო ნადასი! დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ ჩემი წერილი უბასუხოდ არ მიაგდეთ კუთხეში, — თქვენი პასუხი მივიღე დღეს, 15 თებერვალს. დანაშაულად, დიდ დანაშაულად ესთვლი თავისთავს თქვენს წინაშე სიყვარულის გამოცხადებისათვის; ვკიცხავ თავის თავს, რომ ვერ მოვახერხე გულის პატრონობა, ვერ მოვახერხე ჩემივე გრძნობა ჩემივე გულში ჩამეკლა, ვერ მოვახერხე თავის შეკავება და მოვისწრაფე თქვენთან ამ ახირებული წერილის მოწერა. ჯერაც ვერ მიმიცია თავისთავისათვის ანგარიში, რა ნომივიდა მაშინ, რა დღეები იყო ის დღეები, როგორ დამატარე ისე გრძნობამ, რა ჩავიდინე ის! ენანობ, მაგრამ... სინანული ვერ მიმსუბუქებს იმ დანაშაულს, რომელიც უკვე ჩამიდენია.

ეხლა, მხოლოდ ეხლა, როცა გამოვფხიზლდა იმ სიმოტირალისაგან (გრძნობით და არა ღვინით), შემიძლია ცოტად თუ ბევრად დაუკვირდე ჩემს თავს და მივხვდე, რომ ჩვენს შორის (თქვენსა და ჩემს შორის) დიდი განსხვავება არის ყველაფრით: თქვენ ჯანით, სიყმაწვილით, სიცოცხლით აღსავსე ლამაზი ქალი, რომელსაც სრული უფლება გაქვთ ინეტაროთ, იცხოვროთ, დასტკბეთ ამ ქვეყნის სიტყბოებით, განა ჩემი ამხანაგი უნდა გამხდარიყავით?! მე, ჯერ ერთი, წლოვანებით არ შეგეფერებით თქვენ, რადგანაც თქვენ ჩემზე განსხვავებით უყმაწვილესი ხართ, ეს ერთი უმთავრესი დაბრკოლება. ეხლა სხვები. ჩემი ამხანაგი იძულებული იქნებოდა მშვირ-მწყურვალს იმ ეკლიან გზაზე ცხოვრებისა, რომელზედაც მე ვადგივარ, ტანჯული და წამებული, ეკლის გვირგვინით, უსიხარულოდ ჩასულიყო სამარეში. ეხლა კერძო ჩემს განსხვავებულ თვისებებს და ხასიათს არ იტყვიან გარდა იმისა, რომ დღეს ხვალობით მოველი ქლექს, გამომივლის რაღაცა ბნელდასავით შავი ფიქრები და მთელი ერთი კვირის განმავლობაში როგორც შავი ჟამი ისე ვარ, ცის და ქვეყნის მომდურავი... ყო-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 93.

ველივე ამას, ესე იგი ჩემს თავს, რომ დავეკითხები და მერე თქვენთან იმ ახირებული და უბედური წერილის მოწერა გავიხსენე, დემონი-ებურად გამეცინა. სწორედ დემონი („Демон“ поета Лермонтова) გამახსენდა: როგორც დემონმა შეაცდინა და დალუბა თამარი, ისე მეც თქვენი შეცდენა და დალუბვა მოვინდომე!... განა ეს ცოდვა მომეტევება! მართალია, თქვენ დაგიხსნა თქვენმა ხასიათის სიმამგრემ, მაგრამ განა ეს ამსუბუქებს ჩემს დანაშაულობას? არა და ათასჯერ არა!

სწორედ თქვენთან წერილის მოწერის მეორე დღიდანვე დაიწყო ჩემში „ეს განწირული სულის კვეთება“... მე თქვენთვის უნდა მომეწერა — „შევცდი, მომიტევეთ, უარს ვამბობ ჩემი თქვენთან მოწერილი წერილის შინაარსზე, ბოღვა იყო, ბოღვა, ცეცხლში ჩაწვით ის ბარათი“ მეთქი. მაგრამ არ მეგონა, რომ თქვენ იმ წერილის პასუხის ღირსად გამხდით, ყურადღებას მიაპყრობდით და ამიტომ აღარ მოგწერეთ დღევანდლამდე მეორე წერილი... თქვენ რომ არ გეთქვათ, ეხლა, თქვენი წერილის მიღების შემდეგ არ მოგწერდით მეტს, მაგრამ მთხოვეთ და აპა, ვასრულებ.

ასე ნატასი (თუ ნადასი?), დიდად სასიხარულოა, რომ მშვიდობიანად დაბოლოვდა ეს საქმე, დანაშაული (სიყვარულის გამოცხადება) დიდ დანაშაულად არ გადაიქცა და არ შევიქენი მიზეზად იმ უბედურებისა, რომელიც მოგელოდათ, რომელშიაც გაატარებდით ცხოვრებას ჩემთან მეუღლეობაში... გინატრით, რომ თქვენ და თქვენს არჩეულ ყმაწვილ კაცს ნეტარებით გეცხოვროთ; დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს დიდად სასიამოვნო იქნება ჩემთვის...

ასე ნატასი, დღეს 15 თებერვალს 1892 წელს, სრულიად და მოუბრუნებლად თავდება ის რომანი, რომელიც ამ თვე-ნახევრის წინეთ „კალანდას“ (ახალ წელს) დაიწყო სოფელ ხიდისთავში; „გათავდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“.

კიდევ განმეორებით გინატრით ნეტარ-ცხოვრებას თქვენ და თქვენ მეუღლეს, გრწამდეთ, რომ დიდათ მესიამოვნება, თუ როდისმე ჩემს ყურამდევ მოაწია თქვენი კარგი ცხოვრების ამბავმა.

თქვენი კეთილის მსურველი ეგნატე ინგოროყვა¹.

ეგ. ნინოშვილის წერილებში ნადასი კალანდაძისადმი ცხადად ჩანს სპირიდონ მცირიშვილის მაღალი მორალური სახე, მისი სიყვარულის ახსნა და დამოკიდებულება დესპინესთან. სპირიდონ მცირიშვილის მსგავსება ავტორთან ამ საკითხშიც ზედმიწევნითია და დამაჯერებელი. სპირიდონ მცირიშვილის ავტობიოგრაფიულობა, თუ ავტობიოგრაფიულობა აშკარაა. ზედმეტი არაა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოთხრობას „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და სპირიდონ მცირიშვილისა და დეს-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 94—97.

პინეს სახეებსაც ეგ. ნინოშვილი ქმნის ამ „უბედური“ რომანის შემდეგ. მწერლის მიერ მძლავრად განცდილი გრძობები შესანიშნავი სიმკვეთრით და სიმართლითაა ჩაქსოვილი მოთხრობაში.

მოთხრობაში მკვეთრადაა აღწერილი სპირიდონს, ისედაც სუსტი აგებულების მქონეს, დესპინეს დაკარგვის შემდეგ სნეულებამ როგორ დარია ხელი.

რკინიგზის სადგურზე ტარიელ მკლავადის მხეცური მოპყრობის შემდეგ დესპინე დასნეულდა. სპირიდონი ბევრს ეცადა, ექიმებზე მოუყვანა; ვალუბსაც არ შეუშინდა, დესპინე აბასთუმანში წაიყვანა. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. სნეულება დესპინეს თანდათან გაუძლიერდა. ბოლოს ჩაწვა ლოჯინში და ამის შემდეგ აღარც ამდგარა, ისე დალია სული.

დესპინეს სიკვდილმა მთლად დაარღვია სპირიდონის „უსიხარულო სიცოცხლე“. სპირიდონი კვირაში თითქმის ხუთი დღე ლოჯინში იწვა. ავტორი ასე აგვიწერს სპირიდონის მდგომარეობას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში: „გავიდა რამდენიმე წელი. სპირიდონი სულ მთლად დაჯანა სევდამ და ავადმყოფობამ: საცოდავად წელში მოხრილი, თვალეზრანული, ძვალ-ტყავად ქცეული, ის სამ თვეში ერთხელ ძლივს აუდგებოდა ავადმყოფობას, ერთ-ორ კვირას, როგორც იყო, დადიოდა ფეხზე და შემდეგ ისევ ჩააწვენდა საბრალოს ავადმყოფობა ლოჯინში... ეგდო მამისაგან დატოვებულ სახლში მარტოდ მარტო და მთელი დღეობდა — აი, აი, მოვა სიკვდილი და მომიპობს ამ უსიხარულო სიცოცხლესო... ხანდახან, როცა უსაზღვროდ მოაძულებდა მარტო გდება თავს, თუ სიარული შეეძლო, სპირიდონი ერთი ორი კვირის ვადით წავიდოდა რომელსაჲმ ძველ ნაცნობთან, სადმე ქალაქში, ან სოფელში, ვითომდა მგზავრობას ცოტა მაინც გადაეყვალე ჯავრიან გულსაო. მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუება იყო. მის გულს ახლა ველარაფერი გაართობდა“.

განა ასეთივე არ არის ეგ. ნინოშვილის მდგომარეობა მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, სწორედ მისი „უბედური“ რომანის შემდეგ?

1892 წლის ოქტომბერში ეგ. ნინოშვილი თ. სახოკიას სწერს: „... რაც თფილისში ამოველ, ამ ბოლო დროს 9/10-ს დღე და ღამისა ლოჯინში ვწევარ უძლურების გამო. მაინც სულ მომკლა იმ გარემოებამ, რომ შინიდან ძლიერ ცუდი ამბები მომდის: გუშინ დამარხეს ჩემი ოჯახიდან ერთი უსაყვარლესი ჩემი ნათესავი. მე ისიც ვერ შევიძელი, რომ ან ავადმყოფი მენახა და ან დამარხვანზე მაინც დაესწრობოდი.“

¹ ე. ნ. ნ. შ. ვ. ი. ლ. თ. ხ. ს. რ. უ. ჯ. კ. ბ. ლ. ტ. 11, 1933, გვ. 166—167.

ვიცი, მკითხავ — რა დასწერეო? აბა, რა უნდა დასწეროს ასეთ მდგომარეობაში კაცმა! მე კი მაინც არ დაუჭერე თავს, ძალა დავატანე და ერთი უხეირო მოთხრობა (სახელად „პარტახი“) დავკლანე ჩვენი ამხანაგების კრებულისათვის, გადავეცი კიდეც... ესლა კი აღარ მაქვს წერის ღონე. წერის მაგივრად მძიმე-მძიმედ ვახველებ და ვწვევარ ლოგინში“¹. ეგ. ნინოშვილი თავის მოთხრობას „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და მის გმირებს სწორედ ამ 1892 და 1893 წლებში ამუშავებდა.

ჩვენ ვისარგებლებთ კიდეც ორი დოკუმენტით:

1894 წლის 12 მარტის წერილში ეგ. ნინოშვილი მეგობარს ალ. თოიძეს ასე შესჩივის თავის ფიზიკურ უილაჯო მდგომარეობას: „აგერ ოთხი თვეა თითქმის, რაც ავადმყოფობის გამო ველარ მიმუშავნია. ასე გასინჯე, ძველი მოთხრობა მქონდა და ისიც კი ვერ შევასწორე“².

იმავე 1894 წლის 22 მარტს ეგ. ნინოშვილი სწერს გიორგი წერეთელს: „ბოდიშს ვიხდი, რომ აქამომდე ვერცერთ თქვენს წერილზე პასუხი ვერ მოგწერეთ. მიზეზი ამისა ჩემი ავადმყოფობის გაძლიერებაა. ჩემდა საუბედუროდ მთელი ზამთარი მოვემწყვდიე სოფელში, სადაც არც ბინა მქონდა ხეირიანი და არც საკმელი. ჩემს ოთახში ღამლამობით, როცა ბუხარში ცეცხლი გაქრებოდა, ჭურჭლებში წყალს ჰყინავდა. ზამთარში შიშით, გზაში არ გავცივდე მეთქი, ვერც სხვაგან წასვლა მოვახერხე. ახლა, ცოტა რომ გათბა ჰაერი, წამოველ ბათუმში (20 ამ თვეს ჩამოვედა). მაგრამ მგზავრობამ მაინც მავნო და უფრო ავად შევიქენი... ბევრი მაქვს სალაპარაკო, მაგრამ წერა აღარ შემიძლია“³....

როგორც ეგ. ნინოშვილისა და მისი მეგობრების წერილებიდან ჩანს, ეგნატეს მდგომარეობა ვერც ბათუმში გამოსწორდა; მიუხედავად დიდი სურვილისა, მას ხეირიანი ბინაც კი ვერ უშოვეს მეგობრებმა. ავადმყოფობა კი სწრაფად ვითარდებოდა. სილიბისტრო ჯიბლაძე, ეგნატეს უახლოესი მეგობარი, დაინტერესებულ ქართველ საზოგადოებას გაზ. „ივერიის“ საშუალებით 1894 წლ. 13 აპრილს ასეთ ცნობებს აწვდის ეგნატეს მდგომარეობის შესახებ: „ამგვარად მისი (ეგ. ნინოშვილის — მ. ზ.) ცხოვრება აქაც (ბათუმში — მ. ზ.) აუტანელი შეიქნა. ავადმყოფმა არჩია ისევე თავის სოფლის ქოხში დაბრუნება, სისუსტე თანდათან უძლიერდებოდა, მიუხედავად ამისა, მუდამ შრომასა და მუშაობას დაჩვეული, ის დროგამოშვებით წამოვარდებოდა ლოგინიდან და ამოღო ცდილობს დაწყებული შრომის გაგრძელებას: აქანკალბებული ზელიდან კალამი უხსლტება და გაშმა-

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 109.

² იქვე, გვ. 123.

³ იქვე, გვ. 125.

გებული. თვალცრემლიანი ლოგინად ეცემა: „გველები, ვკვლები“, — ამბობს შემადრწუნებელ ხმით, — „გველები იმ დროს, როცა ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარ, როცა ჩემი მომავლის მოქმედების პროგრამმა უფრო ნათლად გამოვარკვეე“¹.

განა სპირიდონ მცირიშვილიც მაშინ არ იღუპება, როდესაც დესპინეს სიყვარულით გამოთბარი, ენერგიამომატებული, მხნედ და გარკვეულად გაშლის ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობას, როგორც სახალხო მასწავლებელი?

აქ მოტანილი მასალა ადვილად აჯერებს მკითხველს, რომ ეგ. ნინოშვილსა და სპირიდონ მცირიშვილს შორის მსგავსება არა მარტო გარეგნულია, არამედ სულიერიც, იდეურიც — თითქოს ფაქტები სპირიდონ მცირიშვილის ცხოვრებისა და მისი განწყობილებაც ისე მიიმართება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ეგ. ნინოშვილის ცხოვრებაში.

მკითხველი ადვილად რწმუნდება სპირიდონ მცირიშვილის ავტობიოგრაფიულობაში, მის ავტობიოგრაფიულობაში.

* * *

ეგ. ნინოშვილი თავის მხატვრულ შემოქმედებაში ახალი იდეების (კლასთაშორის ბრძოლა, პროგრესული მისწრაფებანი) შემოტანასთან ერთად, წინა პერიოდის მწერლების შემოქმედებიდან იყენებს ლიტერატურის ნაცად ხერხებსაც. მაგრამ ეს სპეციალური კვლევის საკითხია. აქ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ, და ისიც ეგ. ნინოშვილის მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე, გაკვრით შევჩერეთ მკითხველის ყურადღება.

ახალი იდეა, ახალი ყოფა ძველ ფორმებში ასახული, ცნობილია, არ იძლევა უშუალო, სათანადო ესთეტიკურ განცდასა თუ შთაბეჭდილებას; თითქოს ეს ახალი იდეები ვერ ეტევა ძველ ფორმებში, ან უხერხულადაა მათში მოთავსებული. მაგრამ ახალი კლასის მკითხველი, რომელიც მწერალთან ერთად ჩაბმულია ცხოვრების ახალი გზის გაკაფვაში, ამ უხერხულობას არა, ან ნაკლებ გრძნობს; შინაარსის სიჭარბე მას არ ეჩოთირება. ნაწარმოების ფორმით, შესაძლებელია, ისიც არაა კმაყოფილი, ის, აქტიურად ჩაბმული ბრძოლაში ეძებს თავის სტილს, რითაც მეზობელი კლასი თანდათანობით სცვლის ძველი წინამორბედი კლასის სტილს. იდეების, ტენდენციის წინ წამოწევა მართალია ბრძოლის განვითარების მძლავრ რიტმს ამახვილებს, სამაგიეროდ ნაწარმოების მხატვრულ მხარეს ჩრდილავს.

¹ ე. ნინოშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1935, გვ. 158—159.

ფორმისა და შინაარსის ასეთ დისონანსს, ჩვეულებრივ, მტკიც-
ნეულად განიცდის წარმავალი კლასის მკითხველი, რომელიც კლასის
რღვევის პროცესში სცილდება სინამდვილის მტკიცე ნიადაგს, შინა-
არსეულად იცლება და თავისი კლასის მიერ გამომუშავებულ ფორ-
მას ებლაუქება (ფორმა ხომ უფრო მყარია, ვიდრე შინაარსი). ამიტომ
წარმავალი კლასის მკითხველისათვის აღმავალი კლასის მწერლის შე-
მოქმედება არასასიამოვნო, მეტიც, ხშირად უხეში ტენდენციური,
არამხატვრულია.

ჩვენი შეხედულებით, ეგ. ნინოშვილს შემოქმედებაში ტენდენ-
ცია ბუნებრივია, ეპოქალურია და ის მხატვარს ვერ ჩრდილავს. ეგ.
ნინოშვილის შემოქმედებაში, არსებული ტენდენციის იქით, მკითხ-
ველი ადვილად გრძნობს და ხედავს მძლავრი ცეცხლით ანთებულ
მებრძოლი ეპოქის დიდ მხატვარს.

ეგ. ნინოშვილის შემოქმედება და მოღვაწეობა დასაწყისია ახალ
ლიგზისა როგორც ჩვენ საზოგადოებრივ აზროვნებაში, ისე
მხატვრულ მწერლობაში. 90-იანი წლებიდან ამ გეზით იწყებს განვი-
თარებას ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მძლავრი ნაკადი,
რომელიც XX საუკუნეში საგრძნობი სისწრაფით ღრმავდება და
იშლება.

ამრიგად, ეგ. ნინოშვილის შემოქმედებით ქართულ ლიტერა-
ტურაში სათავეს იღებს ახალი რეალიზმი, მშრო-
მელთა ცხოვრების ამსახველი, რომელიც შემდეგში გაიშალა, რო-
გორც სოციალისტური რეალიზმი. ამაშია ეგ. ნინოშვილის შემოქმე-
დების ძირითადი თავისებურება და მისი ისტორიული მნიშვნელო-
ბაც.

დავით კლდიაშვილი

1862—1931

დავით კლდიაშვილის შემოქმედება XIX საუკუნის ცხოვრების დასასრულის — 90-იანი წლების, განწირული კლასის და ისის ბრწყინვალე გამომხატველია. ეს ის ხანაა, როდესაც ვლ. ლენინის მართებული დახასიათებით, „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევედა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმის შემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა, და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ეროვნულ კოსტრუმს და ევროპული ლაქიის კოსტუმით მოსაგდა მას (გლ. უსპენსკი). კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციისა და მისი მიწათმოქმედი მოსახლეობის გაძლიერებული ზრდის პროცესთან ერთად სწარმოებდა აგრეთვე (ამ ზრდით მიჩქმალული) პროცესი მოსახლეობის მიზიდვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ. ქალაქის მოსახლეობა კავკასიაში გაიზარდა 350 ათასიდან 1863 წ. 900 ათასამდე 1897 წ. (კავკასიის მთელი მოსახლეობა 1851-დან 1897 წლამდე გაიზარდა 95%-ით)“¹.

აი სწორედ ამ გარემოებაში, — ძველი ცხოვრების საწყისების სწრაფი რღვევისა და ახალი ცხოვრების გზების ძიებაში, როდესაც ფულისა და საქონლის ტრიალი თავისებურ, ახალ სახეს აძლევს ადამიანთა ურთიერთობას, — ვითარდება ქართველი ხალხის ცხოვრება 90-იან წლებში.

დ. კლდიაშვილი ამ ეპოქის პირუთენელი მემკვიდრეა. მაგრამ ის არ არის ფაქტთა უბრალო რეგისტრატორი. მის შემოქმედებაში ნი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3 (IV გამოცემა), გვ. 704.

ჭიერად აირეკლა წარმავალი, სწრაფად დაქანებული ფეოდალური კლასის ცხოვრების, ფსიქოლოგიისა და მსოფლმხედველობის უკანასკნელი სულის ლაფვა და აგრეთვე მის იქით უცნობი ქვეყნის, რომელსაც არსებულნი (წარმავალი ყოფა), სქელი ნისლით აფარებოდა, ცხოველმყოფელი მოძრაობა. დ. კლდიაშვილი¹ საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობაში მართალია მკრთალად, მაგრამ ახალ გზებსაც ავლენს, ძველის რღვევაში ის მართებულად ააშკარავებს ახალი ცხოვრების მძლავრ ტენდენციებსაც.

* * *

დ. კლდიაშვილის ოჯახის, მისი აღზრდისა და ცხოვრების პირობების გათვალისწინება შემოქმედების მართებული გაგების ნამდვილ გასაღებს იძლევა. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება დ. კლდიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ხაზები აღვნიშნოთ.

დავით კლდიაშვილის მამა, სამსონ კლდიაშვილი, იმერეთის სოფ. სიძნეთში მცხოვრები ლარიზი აზნაური იყო. სამსონი ადრე დაობლდა. მისმა მამობილმა, მეზობელმა გლეხმა დათიკო გიორგაძემ და მისმა ცოლმა კესარია მ პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, ნამდვილი დედმამობა გაუწიეს ობლად დარჩენილ სამსონს.

დ. კლდიაშვილი თავის „მემუარებში“ მადლიერებით იგონებს მათ, რომელთაც მის მამას, სამსონს, ორკლასიანი სასწავლებელი გაათავებინეს და ხელი შეუწყეს სამსახურში მოწყობილიყო. სამსონიც ამართლებდა მამობილ-დედობილის მზრუნველობას, კარგად უძღვებოდა სამსახურს და როგორც დავითი აღნიშნავს, „... ცოცხალმა, ლამაზმა, კოლეცკი რეგისტრატორის ჩინით დაჯილდოებულმა ყმაწვილმა... თავი მოაწონა მდიდარ მებატონეს (ნ. ლოლობერიძეს — მ. ზ.) და შეირთო მისი ერთად ერთი ქალიშვილი (კესარია — მ. ზ.). ცოლად“¹.

დედა დ. კლდიაშვილისა, კესარია, ერთადერთი ქალიშვილი იყო იმერეთისავე სოფ. ხომულის შეძლებული აზნაურის ნიკოლოზ ბერიძისა. დავითი თავის „მემუარებში“ ასე აგვიწერს თავისი პაპის მდგომარეობას: „დიდ ფართოთ გაშლილ ეზოს ერთ მხარეს იდგა დიდი ორსართულიანი სახლი. ქვედა სართული ქვითკირის, ზედა კი, ფართო აივნისანი, ხის. მოშორებით იდგა დიდი, გრძელი. ისლით დახურული სამზარეულო, მის გვერდით საქონლის სადგომი, შემდეგ თავლა; პატარა სახარჯო სიმიდისთვის ხულა, ამას მიყვებოდა საქათმე, საბატე, სალორე; იქით თორნე, მარანი და სანადირო

¹ დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1932, გვ. 11.

ძაღლების სახლი, განაპირაზედ იდგა ორი ორ-ორ სართულიანი ხულები, მუდამ საცხე სიმიწინათ, ღომით, პურით, ფეტვით: ეზოს შორეულ კუწქულში მოზრდილი შენობა — კამბეჩების სადგომი. ეზოს გადაღმა, მოკრულ წაბლარში — სათხებო და ცხვრის ფარები... სამზარეულოში აუარებელი მოსამსახურე ხალხი ფუსფუსობდა და ტრიალობდა¹.

ასეთს შეძლებულს აზნაურს დაუსიძვედა დავით კლდიაშვილის მამა, სამსონი, მაგრამ დედობილ-მამობილმა თავიანთი მოვალეობის შესრულება არც აქ ჩასთვალეს დამთავრებულად. მეტად საგულისძმო ცნობას იძლევა აქის შესახებ დავითი თავის „მემუარებში“. „... მცირე მიწის მქონებელ შეილობილს ცოლის მოყვანაზედ საჩუქრათ თავს გადააგდეს ოთხ ჭეცვამდე მიწა, ჩამოსახლო და საყანე; მზითვად აღებული ნაწილით აყიდვინეს ადგილი, აყიდვინეს სახლი, მოუტანეს, დაუდგეს ნაჩუქარ ადგილში; მოუწყვეს ხულა, ბეღელი, სამზარეულო, საბძელი — ერთი სიტყვით, ყველაფრით გაუმართეს ოჯახი და ძმას გამოყოფილი გადმოიყვანეს ახალ სამოსახლოზედ“². უდავოდ, დავით კლდიაშვილი თავისი მამის გამზრდელთა ასეთი ჩვენებით ხაზს უსვამს ქართველი გლეხის მადლიან ბუნებას. ნეტარხსენება ასეთ სიტყვისა და მოვალეობის პირნათლად შემსრულებელ ადამიანთ!..

სამსონს 1862 წელს მიეცა ვაჟიშვილი დავითი.

ბავშვობა დავითმა გაატარა ამ ორ სოფელში — ხომულსა და სიმონეთში. სოფლის ცხოვრებიდან მიღებული მრავალი ცოცხალი შთაბეჭდილება მან შემდეგში ნიჭიერად და ცოცხლად ასახა თავის მხატვრულ შემოქმედებაში. დავითის მშობლებმა კარგად გაითვალისწინეს, რომ ახალ დროში სწავლა ყველაზე საჭირო, იმედიანი დასაყრდენია. ამიტომ ისინი დაინტერესებულნი იყვნენ შვილებისათვის შესაფერი ცოდნა მიეცათ. სწავლა დავითს დედამ დააწყებინა, ხოლო შემდეგ, რაკი საჭირო იყო რუსული ენის ცოდნაც, მამამ შვილი წლის დავითი ქუთაისში წაიყვანა. ჯერ რუსი — ივანოვის ოჯახში მიაბარეს, სადაც მოკლე ხანში შეისწავლა რუსული ენაც და წერაკითხვაც. როდესაც დავითი სწავლაში — ერთრიგად გაიკეთა რუსულ ენაში, მომაგრდა, მამამ ის მიაბარა ანდრია ივანეს ძე მრეველის შვილის მოსამზადებელ სასწავლებელში. ეს სასწავლებელი ბავშვებს ამზადებდა გიმნაზიაში შესასვლელად.

დავითი მრეველიშვილის პანსიონში წარმატებით სწავლობდა. 1872 წელს მამამ დავითს გამოუცხადა, რომ ის სხვა ბავშვებთან ერთად კიევში უნდა წასულიყო სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად.

¹ დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1922, გვ. 6.

² იქვე, გვ. 12.

XIX საუკუნეში თითქმის ყოველწლიურად რუსეთში კადეტთა კორპუსებში თუ სამხედრო სასწავლებლებში მიჰყავდათ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებიდან აზნაურებრს ორმოც-ორმოცი ყმაწვილი. ესეც ერთ-ერთი საშუალება იყო ქართველთა გადაშენებისა. იქ ქართველი ბავშვები თითქმის რუსდებოდნენ, ივიწყებდნენ ქართულ ენას, შორდებოდნენ ქართულ ნიადაგს და რუსეთის მმართველობისათვის საჭირო და სასარგებლო მოხელეები ხდებოდნენ. ამ სამხედრო სასწავლებლებში ქართველ თავად-აზნაურთა შვილებს იღებდნენ სახელმწიფო ხარჯზე. ამიტომაც, ეკონომიურად განადგურებული და პოლიტიკურად და იდეურად განიარაღებული ჩვენი მაღალი წოდება ბრმად ეტანებოდა ასეთ სასწავლებლებს, სიამოვნებით გზავნიდნენ იქ შვილებს.

1872 წელს დავითი სხვა ბავშვებთან ერთად წაიყვანეს რუსეთში და გაანაწილეს ქ. კიევის სამხედრო გიმნაზიაში, სადაც მან გამოცდები კარგად ჩააბარა და ჩარიცხეს კიდეც.

კიევის ამ სამხედრო გიმნაზიას ასევე გერხასიათებს დავითი: „კორპუსი... ის იყო მოშალეს, გადააკეთეს სხვანაირად, დაარქვეს სამხედრო გიმნაზია; ჩამოაცალეს ყოველი მხედრული გარდა ტანისამოსის ფორმისა; სწავლა იყო რეალურ სასწავლებლის პროგრამით, შეიდ კლასიანი, ახალი ენებით, ნაცვლად ლათინური და ბერძნულისა, აღმზრდელები უმეტეს ნაწილად შტაცკები იყვნენ, უმაღლეს სწავლა მიღებულნი. მასწავლებელთა შორის ბევრი იყვნენ კიევის უნივერსიტეტის პროფესორები. ეს იყო ცნობილი, ეგრედ წოდებული „მილუტინის სამხედრო გიმნაზია“¹.

გიმნაზიაში მიღებული ქართველი ბავშვები გაანაწილეს განყოფილებებში. ჩააბარეს აღმზრდელებს. დავით კლდიაშვილი მადლიერებით იგონებს თავის აღმზრდელს მიხეილ ესიკოვსკის, რომელიც მამობრივი მზრუნველობით ეპყრობოდა მოსწავლეებს, განსაკუთრებით ქართველებს. ასევე სიყვარულით იგონებს მასწავლებელ ბერენშლამს, რომელმაც დავითს საქართველოს ისტორიის შესახებ თავის სახლიდან წიგნებიც მოუტანა. „კარგ დროს მოგხვდი ჩემდა იბლად კიევის გიმნაზიაში, — წერს დავითი თავის „მემუარებში“, — ყველაფერი ლიბერალურ გეგმაზედ იყო მომართული, სამხედრო მინისტრმა მილუტინმა სულ გადასახვაფერა წინანდელი კორპუსები, სწავლა მაღლა დააყენა და კაზარმოზა გამოდენა“².

დავით კლდიაშვილი სამხედრო გიმნაზიაში დიდი ხალისით სწავლობდა. მაგრამ ქართულს თანდათან ივიწყებდა; სამი წლის შემდეგ

¹ დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1932, გვ. 23.

² იქვე, გვ. 28.

სამშობლოში რომ ჩამოვიდა ზაფხულის არდადეგებზე, ისე დავიწყებოდა ქართული ენა, რომ დედასთან თურმე თარჯიმანი დასჭირდა. „... რადგან დედაჩემმა რუსული არ იცოდა და მე ქართული, — ამიტომ წავიყვანე თარჯიმნათ ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და წავვიღო სოფელში დედასთან“¹. ბავშვს სიხარულით შემოეხვივნენ დედა, ნათესაეები და მეზობლები, ყველა უაღერსებდა, ეკითხებოდა მას, თარჯიმანი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, ერთმა დამსწრე მეზობელმა, რა ნახა ბავშვების ასეთი გაჭირვება, თურმე იოხუნჯა: „ბავშვს დასამუნჯებლად ბარემ აქვე დავამწყვდეველი ოთახში, რაღა რუსეთში აგზავნიდით თქვე დალოცვილებო“¹.

ზაფხულის არდადეგების განმავლობაში დავითმა აღიდგინა მშობლიური ენის ცოდნა. მწარე გამოცდილებამ აფიქრებინა ქართული წიგნები წაეღო. კიევს სასულიერო აკადემიაში ამ დროს სწავლობდა ნ. ლომოური, შემდეგში ცნობილი ხალხოსანი მწერალი, რომელმაც ამ მიმართულებით დიდი დახმარება გაუწია დავითს, მიდიოდა მასთან, მიჰქონდა ქართული წიგნები, გაზეთები, გააცნო იქაური ქართველები, სასულიერო აკადემიის სტუდენტები: მიხეილილიურიძე და ივანე გაფრინდაშვილი, აგრეთვე უნივერსიტეტის სტუდენტები: კოწია ლორთქიფანიძე და პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, რომელთაც დიდი და კეთილი კვალი დააჩნიეს დავითის აღზრდასა და მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ნიკო ლომოურის თაოსნობით დავითისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოუჩენიათ აკადემიის სტუდენტებს, რომელნიც მას ხშირად ნახულობდნენ გიმნაზიაში და თავიანთთან აკადემიაშიც მიჰყავდათ. აი როგორ იგონებს დავითი ამ ქართველების მზრუნველობას: „ტყბილმა, ალერსიანმა ლაპარაკის კილომ, ლომაურის დამახასიათებელი თვისება რომ იყო, პირდაპირ მომხიბლა და შემაყვარა უზომოთ ეს ადამიანი. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე გატაცებით მოლაპარაკე ილურიძემ. მომიყვანეს გიმნაზიაში და თან წამომიღეს საკითხავად კვირეული გაზეთი „ივერიის“ მთელი წლის ნომრები, რომელშიც იყო დაბეჭდილი ილიას „დიმიტრი თავდადებული“. ლომაურმა ამიხსნა ეს პოემა, მომიყვა დიმიტრის ისტორია და გახელბული სიხარულით დამტოვეს. იმ დამეს არ დამძინებია; თავქვემ მედვა გაზეთის ნომრები და ხვალისათვის წასაკითხი „დიმიტრი თავდადებული“. მეძნელებოდა კითხვა, მაგრამ ჩემს თავს ძალას ვატანდი და ისე ვერევიდი საკითხს. მშველოდა და მიაღვილებდა საქმეს ის, რომ ჩემი კეთილის მყოფელნი მუდამ კვირას

¹ დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1932, გვ. 25.

² იქვე, გვ. 26.

ჩემთან იყვნენ და მისნიდენ წაკითხულს“¹. ასეთი კეთილი ურთი-
ერთობა დავითისა თავის უფროს კეთილ თანამემამულეებთან გრძელ-
დებოდა 1879 წლამდე. ამ წელს ლომოურმა, ილურიძემ და გაფრინ-
დაშვილმა დაამთავრეს აკადემია და სამშობლოს მოაშურეს.

1880 წელს დ. კლდიაშვილმა დაამთავრა კიევის სამხედრო გიმ-
ნაზია და სწავლის გასაგრძელებლად გადავიდა მოსკოვის სამხედრო
სასწავლებელში. როგორც მწერლის „მემუარებიდან“ ჩანს, მოსკოვის
სამხედრო სასწავლებელში მკაცრი რეჟიმი დაუხვდა, რაც მსმენე-
ლებს არ მოსწონდათ, განსაკუთრებით კიევიდან გადმოსულთ. ორი
წლის „სულთამაზთავი რეჟიმის“ შემდეგ დავითმა წარჩინებით და-
ამთავრა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელიც და სამოღვაწეოდ
აირჩია ახლად შემოერთებული ქ. ბათუმი.

როგორც მწერლის მოგონებებიდან ჩანს, სამხედრო სამსახური მის-
თვის სხვათა შორის იყო, თუმცა სამსახურში ამხანაგებისა და განსა-
კუთრებით ჯარისკაცებისადმი ის გამუდმებით დიდ ყურადღებასა და
ზრუნველობას იჩენდა. ჰუმანიტი დავითი ყოველთვის მაღალ ადა-
მიანურ დამოკიდებულებას ამყარებდა მათთან და დიდი ავტორი-
ტეტითა და ნდობითაც სარგებლობდა, რასაც ხელისუფლება ხშირად
იყენებდა ჯარისკაცთა დასამშვიდებლად, განსაკუთრებით რევოლუ-
ციური მოძრაობის ხანაში და, რაც მშვენიერადაა მოცემული მის
გულწრფელ, უტყუარ, შეუფერავ „მემუარებში“.

მაგრამ ვერაგი და უგუნური უფროსები დ. კლდიაშვილის ჯა-
რისკაცებისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას, მის ავტორიტეტსა
და მის საზოგადოებრივ საქმიანობას ეჭვის თვალით უყურებდნენ.
მას საჭიროებისამებრ იყენებდნენ, ნდობით კი არ ენდობოდნენ. აი
რა საინტერესო ცნობას გვაძლევს თვითონ მწერალი: „უფროსმა —
ჩემზედ უკმაყოფილოდ დარჩენილმა, წინათაც უკმაყოფილოდ მყოფ-
მა ჩემი მოქმედებით, მოუყარა თავი ჩემს „ცოდებს“, — რომ მე
რევოლუციონურ გასვენებას (ალექს. კლდიაშვილის — მ. ზ.) არ
აღერადე, რომ მე რბილად მოვექციე ჯარისკაცებს, როცა მათ არეუ-
ლობის მსგავსი მოქმედება გამოიჩინეს, რომ მე ცუდ მაგალითებს
უჩვენებ ხელქვეითებს და ამგვარებს — თავი მოუყარა და საოლქო
სამხედრო შტაბში გაგზავნა. მას სწადდა მე გამოვეყვანე დამნაშავედ
ყოველ უწყისობაში, რაც ნაწალში ხდებოდა და მოხდებოდა“².
საოლქო შტაბის უფროსმა გენერალმა გრიაზნოვმა ბრძანება გასცა
დ. კლდიაშვილი სამი დღის განმავლობაში გაგზავნილი ყოფილიყო
დალესტანში უდაბურ ადგილას, დუშლაგერში მყოფ სამურის პოლკში.
ბრძანების გამოგზავნა შეაგვიანდა — არსენა ჯორჯიაშვილის ნას-

¹ დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1932, გვ. 27—28.

² იქვე, თავი V.

როლმა ყუმბარამ ბარიათინსკის ქუჩაზე „სული გააცხებინა გრიან-ნოვს“

მხოლოდ ამ შემთხვევამ გადაარჩინა დ. კლდიაშვილი მოსალოდნელ დაღუპვას დუშლაგერში, როგორც თვითონვე გვეუბნება.

მაგრამ დავით კლდიაშვილის მთავარი ყურადღება მიმართული იყო საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ. ის გაბედულად, შეუპოვრად იბრძოდა დაჩაგრული ქართველი ხალხის უფლების დასაცავად კოლონიალური პოლიტიკის გამტარებელთა წინააღმდეგ, როგორც იყო გაზეთის „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი პალმი და სხვა¹. ენმარებოდა რევოლუციურ მოძრაობას, იარაღსაც კი აწვდიდა².

ამასთან ერთად დავით კლდიაშვილი იშვიათი სიყვარულითა და დაუზოგველი ენერგიით მუშაობდა ქ. ბათუმის საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურული გზით წარმართვისათვის, იქნებოდა ეს ქართული წარმოდგენების მოწყობა, ბიბლიოთეკის გახსნა, საკვირაო სკოლის მუშაობა, ქალაქის თავის არჩევა თუ სხვა.

ასეთმა რთულმა მუშაობამ, შფოტში, შეუწელებელ აღელვებაში გატარებულმა წლებმა³ როგორც საზოგადოებრივ ასპარეზზე, ისე განსაკუთრებით სამსახურში — შეუგნებელ, უვიც უფროსებთან, რომელთაც არც თავისი მოვალეობა ესმოდათ და თავის ხელქვეითთა ღირსება-ნაკლის გაგება-შეფასებაც არ შეეძლოთ, რითაც ხელოვნურად იწვევდნენ უკმაყოფილებასა და არეულობას ჯარში, — ისედაც სუსტი აგებულებისა და ნერვების პატრონი დავით კლდიაშვილი დაღალა, დასნეულა. ამ გარემოებამ საბაბი მისცა სამხედრო ხელისუფლებას: მოუღრეკელი, სიმაართლის მთქმელი დავით კლდიაშვილი 1908 წელს დაეთხოვნა სამსახურიდან შემდეგი მომიზეზებით: „მისმა ბრწყინვალეობამ გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა დროულად დაინახა თქვენი წასვლა სამხედრო სამსახურიდან“. რეაქცია იმარჯვებდა.

დავით კლდიაშვილმა მაშინვე შეიტანა განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ და გადასახლდა ქუთაისში. მის ოჯახს ვერ აცხოვრებდა დანიშნული მცირე პენსია. საჭირო იყო სამუშაოს ძებნა. კ. ბაქრაძის შემწეობით მან ადგილი იშოვა ქუთაისის ქალაქის გამგეობაში. ეს სამსახური მისთვის უცნობი და შეუფერებელი იყო. დაიწყო, როგორც თვითონ მწერალი ამბობს „მემუარებში“, „უფერული ცხოვრება“. მაგრამ აქაც მალე მისთვის დამახასიათებელი გატაცებით ჩაება საზოგადოებრივ კულტურულ საქმიანობაში: ახლად გახსნილი სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა, აკაკი წერეთლის იუბილე, ვაჟა ფშაველას შეხვედრა ქუთაისის მკითხველებთან, გაზეთი „შრომა“ და სხვა ამგვარი.

¹ დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1932, თავი V.

² იქვე, გვ. 279.

დავით კლდიაშვილმა ქუთაისის ქალაქის გამგეობაში სამი წელიწადი იმუშავა. შემდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭოში საქმის მწარმოებლად გადავიდა. აქ მას მუშაობის მეტი ხალისი მიეცა, ამ ხალისს აფრთოვანებდნენ საბჭოში მომუშავე იდეური ხელმძღვანელები: გ. ზ დ ა ნ ო ვ ი ჩ ი, კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე და სხვ. „თავმჯდომარეთ, — წერს დავითი, — იყო გ ი ო რ გ ი ზ დ ა ნ ო ვ ი ჩ ი, მის მოადგილეთ — კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე. ზდნოვიჩის ავტორიტეტი აქ უსაზღვრო იყო. ყველანი ღრმა პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი მისდამი. მან ეს კარგათ იცოდა, მაგრამ თავდაპირველი იყო და ყველას სადათ და სრული კეთილი განწყობილებით ეპყრობოდა. მას უკიდურესად უყვარდა ის საქმე, რომლის სათავეში იდგა და გატაცებით მუშაობდა, ოცნებობდა — ჰიათურა გადაექცია სამაგალითო საჩვენებელ პუნქტათ, როგორც სამრეწველო ადგილი და როგორც მომავალი ქალაქი. მისი მუყაითობით იმ მოგების თანხიდან, რომელიც საბჭოს ქონდა, მოწყობილი იყო სასწავლებლები, მშენებელი საავადმყოფო, საფერწლო პუნქტები; ოცდახუთი ათასი მანეთი ყოველწლიურად გადადებული იყო მოსწავლეთა სტიპენდიებისათვის; დიდძალი ფული იხარჯებოდა გზების კეთებაში, წყალსადენისა და ელექტრონით დაბის განათებისათვის. აქ შემოღებული იყო მუშათა დამზღვევი კასსა; კასის პირობების გასაცნობათ დაიბეჭდა ცალკე წიგნაკი მუშებს შორის დასარიგებლად“... აი სწორედ ეს ფართო დროული კულტურული მუშაობა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ იზიდავდა და ახალისებდა, ჯანმრთელობაზე ზრუნვას ავიწყებდა — გულწრფელ დემოკრატ მწერალს — დავით კლდიაშვილს ქიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოში.

მაგრამ დავით კლდიაშვილს არც აქ მოუხდა ხანგრძლივად მუშაობა. 1914 წელს დაიწყო თუ არა მსოფლიო ომი, ისიც კვლავ სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მან ნახევარი წელი დაჰყო ახალსენაკში დრუჟინის გაფორმებაში. შემდეგ მოუვიდა ბრძანება თავისი დრუჟინით გამგზავრებულიყო ქ. ბათუმში გენერალ ლ ი ა ხ ო ვ ი ს განკარგულებაში. გენერალმა ლიახოვმა ორი დღის შემდეგ დავით კლდიაშვილი თავისი დრუჟინით გაგზავნა ართვინისაკენ. დავით კლდიაშვილი ფაქტიურად მოხვდა მეტად უეციცი, უხეშ-ფაფხურა გენერლის მიღერის განკარგულებაში, რომელიც მეტად უგუნურ და მკენე ბრძანებებს იძლეოდა. დავითი მოურიდებლად უთითებდა გენერალ მიღერს არასწორ განკარგულებებზე; რითაც იწვევდა მის რისხვასა და სურვილსაც, დაესაჯა ურჩი პოდპოლკოვნიკი კლდიაშვილი. გენერალმა მიღერმა რომ ვერაფერი მოუხერხა, შარი მოსდო,

¹ დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მენუარები, 1932, გვ. 337—338.

კლდიაშვილის დრუჟინაში წესრიგი არ არისო, ჩამოართვა ნაწილი და თბილისში გაგზავნა გასასამართლებლად. დავითმა თბილისში დაპყრო თვენახევარი. გენერალმა ლიახოვმა ის უკან გაიწვია, ბათუმში და ბათუმ-ტრაპეზუნდის სატრანსპორტო ხაზზე პირონტაში (ლაზისტანში) დანიშნა კომენდანტად.

მაგრამ მალე მოხდა რევოლუცია. ძველი წესწყობილება დაემხო დავით კლდიაშვილიც აღფრთოვანებით შეხვდა რევოლუციას. განთავისუფლდა სამხედრო სამსახურიდან, ბევრ უსიამოვნებასა და ხიფათს გადაარჩენილი, მაგრამ ასეთი სამსახურით მოტეხილი, დასნეულებული, გადასახლდა თავის სოფელ სიმონეთში, ხშირად იმყოფებოდა ქუთაისსა და თბილისში.

1930 წელს დავ. კლდიაშვილს საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ზეიმით გადაუხალა ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავი.

1931 წელს დავით კლდიაშვილი გარდაიცვალა სოფ. სიმონეთში. მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ ის დაასაფლავა თბილისში, ქართველ მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

* * *

სამწერლო მოღვაწეობა დავით კლდიაშვილმა, როგორც თვითონვე გვიმოწმებს, ძალიან ადრე დაიწყო: „მეორე კლასში ვიყავი, — წერს ის, — მოთხრობა რომ დავწერე რუსულათ, რადგან ქართული დავიწყებული მქონდა. რამ დამაწერია, სრულიად აღარ მახსოვს. მახსოვს კი, რომ მოთხრობის გმირი სისხლში სცურავდა, მარჯვნივ და მარცხნივ ჰკლავდა ყოველ შემხედურს. ნაწარმოები ხელში ჩაუვარდა აღმზრდელს (კლასის დამრიგებელს), რომელმაც წაიკითხა და სიცილით მითხრა:

„... ძალიან გეტყობა აზიელობა! ამდენი სისხლის დაღვრა გაგვიგონია?! დაანებე თავი, სისულელეა!“¹ კეთილი მზრუნველი აღმზრდელის რჩევა დავითს მიუღია, წერა მიუტოვებია, სამაგიეროდ კითხვას დასწავებია, რაშიც აღმზრდელი თურმე ხელს უწყობდა. რუსი მწერლების გაცნობამ დავითს ჯერ კიდევ სამხედრო გიმნაზიაში ყოფნის დროს ქართველი მწერლებისადმი ინტერესი გაუღვიძა. „... თუმცა გაჭირვებით, — გადმოგვცემს მწერალი „მემუარებში“, — ძლივს ვკითხულობდი ქართულს, მაგრამ ქართულ წიგნს არ ვეშვებოდი“².

დაახლოებით ასეთსავე მდგომარეობაშია დავითი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროს. აქაც დავითი რუსულად წერს. სასწავლებლის ცხოვრება მდიდარ მასალას აძლევდა დავითსა

¹ დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1932, გვ. 364.

² იქვე, გვ. 365.

და მისი ამხანაგების შემოქმედებით ნიქს. ამის გამო, დავითის მოწმობის მიხედვით, ის რამდენიმე ამხანაგთან ერთად სცემდა პატარა, ალბათ, ხელნაწერ ჟურნალს, რომელსაც, თურმე, მრავალი მკითხველი ჰყავდა. მოსკოვში, სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროსვე დავითს ნ. ლომოურის მოთხრობა „ალი“ გადაუთარგმნია რუსულ ენაზე, მიუტანია „რუსკი ვესტნიკ“-ის რედაქციაში, მაგრამ, გადმოგვცემს დავითი, — „რედაქციამ რამდენიმე ხნის შემდეგ გამომიცხადა, რომ თარგმანი არ დაიბეჭდებო, რადგან მოთხრობა მეტად დაუჯერებელ ამბავს მოგვითხრობსო“¹. ამრიგად ეს თარგმანი დარჩა დაუბეჭდავი.

ქართველი მწერლების შესწავლა დავით კლდიაშვილისათვის გაადვილდა, როცა მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოში, ქ. ბათუმში, დაინიშნა ოფიცრად და შემდგომ თითქმის გამუდმებით საქართველოში მსახურობდა. აქ ის დაუახლოვდა ქართულ ოჯახებს (როგორც იყო, მაგალითად, ღურმიშხან და ქეთევან ჟურნალების ოჯახი; მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ბათუმში მოღვაწე გრიგოლ ვოლსკისთან (მწერალ უმწიფარიძესთან), მწერალ გ. წერეთელთან, ექ. კონდრატი მხეიძესთან და სხვებთან; ხვდებოდა გაცტროლებზე ჩამოსულ ქართველ არტიტებს, უახლოვდებოდა მათ (დავითს თეატრი ყოველთვის იზიდავდა), ამასთან ბევრს მუშაობდა თავის თავზე. „თან, — წერს ის თავის „მემუარებში“ — ვიწაფებოდი წერაში — ვთარგმნიდი ხან გერმანულიდან, ხან ფრანგულიდან. პირველი თარგმანი, ჩემი სახელი და გვარით მოწერილი, დაიბეჭდა ვასო აბაშიძის ჟურნალ „თეატრში“ 1885-ში“².

დავით კლდიაშვილის გულისყური, მისი სიყვარული, პოეტური და მოქალაქეობრივი გაქანება ხალხის, უფრო მდაბიო ხალხის ბედნიერებისაკენ მიისწრაფოდა, მას გულმხურვალედ და გულწრფელად დაჰკუთრებოდა; მისთვის იწვოდა მუდამ ნერვიულად აღმგზნები მწერლის ბუნება (ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლევა მისი უტყუარი გულწრფელი „მემუარები“).

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ხალხში მუდმივმა ტრიალმა, მასთან ახლო მისვლის სურვილმა და ათვისების საღმა უნარმა აამოძრავა და აამოქმედა დავით კლდიაშვილის მეხსიერება — ზევშოვიდან მიღებული შთაბეჭდილებანი გაამდიდრა და ჩვენი ცხოვრების, განსაკუთრებით სოფლის დამახასიათებელი მოვლენები მკვეთრ და ცხოველ სახეებში გამოაქანდაკებინა.

¹ დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1932, გვ. 365.

² იქვე.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში ლაღად სცემს დახვეწილი პოეტური ნიჭი, იმერეთის ცხოვრების ზედმიწევნითი კარგი ცოდნა, მისი უშუალო განცდა. ავტორი დიდი ოსტატობით გვახედებს თავისი გმირების სულის მოძრაობაში, მათ სევდასა და სიხარულს მაქსიმალური ძალით გვაგრძნობინებს. ლაღად ნაკედი ეპიზოდები და გამოქანდაკებული ცოცხალი, ტიპიური სახეები დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში არაჩვეულებრივ უხადო იუმორშია გაშლილი. აი ეს თვისებებია დავით კლდიაშვილს და მის მხატვრულ შემოქმედებას ასეთ მიმზიდველობას, ძალას რომ აძლევს და მას პირველხარისხოვან მწერალთა შორის აყენებს.

დავით კლდიაშვილი, როგორც ეგ. ნინოშვილი, სოფლის . დარღვეულ ყოფა-ცხოვრებას მკვეთრად ხედავს, მტკივნეულად განიცდის და მაქსიმალურ რეალურ ფერებში გვიხატავს, ის გამახვილებული თვალთ სოფლისაკენ იცქირება. დავითი და ეგნატე ჩვენი დარღვეული სოფლის უტყუარი ყოფის უკუფენაში, უდავოდ, ერთმანეთს ნიჭიერად აესებენ.

* * *

დავით კლდიაშვილი გარდამავალი, ბატონყმობის გადავარდნის შემდგომი პერიოდის მწერალია. ამ გარდამავალ ხანაში კაპიტალის ზეგავლენით ირღვევა ძველი ნატურალური მეურნეობა. ნიადაგი ეცლება როგორც პრივილეგიურ წოდებას — თავადაზნაურობას, ისე გლეხობას. მათი, ამ ორივე კლასის ყოფა-ცხოვრება ირღვევა და მათი წარმომადგენლები საშინელ ტკივილებში ახალი ყოფის გზებსა და ფორმებს ეძებენ. დავით კლდიაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცხოვრების დაისის ნიჭიერი, განუმეორებელი მხატვარია.

დავით კლდიაშვილს მისი შვილი, მწერალი სერგო კლდიაშვილი, შემდეგნაირად ახასიათებს: „დავითი უაღრესად ცხოვრების კაცი იყო. იშვიათად მინახავს ცხოვრების ყოველდღიურობაზე ასე დაწაფებული კაცი“.¹ მართლაც, ვინც კი იცნობდა განსვენებულ დავითს, ყველა მკაფიოდ ხედავდა. რა წრფელი, ყველაფრას შემკნევი, გულთან ახლო მიმტანი, მოსიყვარულე თვალთ დასტრიალებდა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობას, როგორი გადამდები სიხარულითა და იმედით ხვდებოდა ჩვენი ცხოვრების ყოველივე საღს. დადებითს. როგორი მოურიდელობით აქცევდა ზურგს, ჰკლავდა ყოველივე უარყოფითს, დრომოქმულს, რაც ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობის, გაჯანსაღების ხელისშემშლელი იყო.

ასეთივე იყო დავითი ლიტერატურულ მოღვაწეობაში. სერგო

¹ ს. კლდიაშვილი, რჩეული პირობა, 1951, გვ. 91.

კლდიაშვილი, იგონებს რა დავითის შეხედულებას მწერლობაზე, წერს: „მართალი უნდა გითხრა, სერგო, ლიტერატურულ სკოლებში არასოდეს მიფოთარებია. ჩემთვის მთავარია — რას და როგორ სწერ. თუ მწერალი განყენებულია, ის ჩემთვის არ არსებობს. ყალბ-საც უცბად შევნიშნავ... გადავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე“¹.

სწორედ ცხოვრებისა და ადამიანისადმი სიყვარული აცხებს დავით კლდიაშვილის როგორც პრაქტიკულ ცხოვრებას (ამის მშვენიერ კონკრეტულ მასალას იძლევა მისი „მემუარები“), ისე მის მხატვრულ შემოქმედებასაც. მეტად ნიშანდობლივ ახასიათებს დავით კლდიაშვილს მისივე თქმა, რომელიც შემონახულია სერგო კლდიაშვილის „მოგონებაში“: „ქართული მწერალი ვალდებული იყო საზოგადოებრივ ასპარეზზე ებრძოლა. უმეტესი დრო ყოველდღიურ საქმიანობაში ჩაბმული ვიყავით. ვიბრძოდით იმისათვის, რომ გექონოდა ქართული გაზეთი, ქართული სკოლა, წიგნი, სტამბა, თეატრი. ჩვენი მთავარი საზრუნავი ეს იყო. თითქმის მთელი ჩვენი ენერჯია იქ იხარჯებოდა. და თუ კიდევ ვწერდით...? მე პირადად ვწერდი იმიტომ, რომ არ შემეძლო არ მეწერა“².

კლდიაშვილის ეპოქა, 90-900 წლები, მეტად რთული იყო: ძველი მიდიოდა, საშინელ ტკივილებში ისტორიას კბარდებოდა, ახალი იკავებდა მის ადგილს ბრძოლით, მტკრევით, მსხვერპლით. მართლაც, ძნელი იყო შემოქმედი დაღუპებულ იყო, არ ეწერა, ცხოველ სახეებში არ აღებეჭდა სინამდვილე.

დავით კლდიაშვილის პოეტურ შეგნებასა და ყურადღებას განსაკუთრებით იზიდავს თავადაზნაურობის სოციალ-ეკონომიური დაშლა, თავადაზნაურობის, როგორც წამყვანი კლასის თუ წოდების, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობის სწრაფი დაკნინება.

შემოქმედების ამ ობიექტზე დაკვირვებისა და შესწავლის შესაძლებლობა დავით კლდიაშვილს ბავშვობიდანვე ჰქონდა მამის ოჯახში, სოფელში ცხოვრების დროს, მაგრამ 1892 წლიდან, ცოლის შერთვის შემდეგ მას ეს შესაძლებლობა გაუღრმავდა, და გაუფართოვდა. მისი სიმამრი პავლე მაჭავარიანი შეძლებული აზნაურ-შვილი იყო. მისი ოჯახი ყოველთვის სავსე იყო სხვადასხვა ბუნებისა და შეძლების თავადაზნაურებით, რომელთა ხასიათსა და ენას დავით კლდიაშვილი ინტერესით ეცნობოდა. სამართლიანია სერგო კლდიაშვილის განსჯა: „ეს ქარავანი ტიპებია: რომელნიც ასე ცოცხლად

¹ ს. კლდიაშვილი, რჩეული პროზა, 1951, გვ. 498.

² იქვე, გვ. 507.

გადმოგვცა დავითმა, უმეტეს შემთხვევაში დახატულია პავლეს (სი-
მამრის — მ. ზ) ოჯახში... „იქ ჩემთვის ნამდვილი აკადემია იყო!“
არა ერთხელ უთქვამს მამას¹.

თვითონ დავით კლდიაშვილიც იშვიათი კმაყოფილებითა და მ-
ღლიერებით იხსენიებს თავის სიმამრს — პავლე მაკავარიანსა და მის
ოჯახს: „ჩემთვის ძვირფასი პიროვნება იყო იგი (პავლე მაკავარია-
ნი — ნ. ზ.). კარგი შეძლების კაცი, გამოცდილი, შეგნებული,
ცხოვრებაში ჩახედული, ჭკუიანი, ენამახვილი, იგი საყვარელ ადა-
მიანი იყო თავის კუთხეში. მისი ოჯახი მუდამ სავსე იყო სტუმრე-
ბით; მოხუცი, ახალგაზრდა, ყმაწვილობა თავს იყრიდა მის ოჯახში.
ვის არ ნახავდი აქ. რას არ გაიგონებდი! ცხოვრების გასაცნობათ
საკმარისი იყო აქ მოქცეულიყავ რამდენიმე ხნით... თვით ოჯახის
უფროსი ცოლიან-შვილებიანათ გაბმული იყვნენ მუშაობაში, რაც
საშუალებას აძლევდა კმაყოფილ ცხოვრებისათვის: მიყვარდა აქ
ყოფნა, მიყვარდა მოხუცთან საუბარი, მიყვარდა და მაინტერესებ-
და მის ოჯახში მოსიარულეთა თვალის დევნა. აქ შემეწყობ ხელი ჩემს
ლიტერატურულ მუშაობაში“².

თავად-აზნაურები (განსაკუთრებით წვრილფეხა აზნაურები, რო-
გორც ნაკლები ქონებისა და მეურნეობის პატრონნი და ამიტომაც
ნაკლები გამძლეობით აღჭურვილნი) ბატონყმობის გადავარდნის
შემდეგ ლატაკდებიან. ამ წოდების ეკონომიური ოღვევის პროცესი
ულმობელი გზით წავიდა.

XIX სუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი თავდაზნაურობის, გან-
საკუთრებით აზნაურობის, დაღმავალი გზით დაქანება მასიურ მოვ-
ლენად გადაიქცა. ჩვენი ბრწყინვალე წოდების წიაღში გაჩნდა და
თანდათანობით გაიზარდა მისი შინა ფენა ეგრედწოდებული „შემო-
დგომის აზნაური“, „ხელმოკლე აზნაური“, „კუდაბზიკა აზნაური“. ჩვენმა
ლიტერატურამაც, როგორც ჩვენი ცხოვრების ცოცხალმა
უკუმფენმა და ცხოვრების კვალდაკვალ მიმდევარმა, ეს მოვლენა
დაუყოვნებლივ ასახა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ „კუდა-
ბზიკა აზნაურთა“ რიგებში ჩასარიცხავად ჩამღვარ გიორგი
ერისთავის ანდუყაფარს, პავლეს, შეიძლება ითქვას, „შემოდ-
გომის აზნაურის“ სახე ჩვენს ლიტერატურაში მოგვცეს — გ. წერეთ-
ელმა — „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკაში“ კუდაბზი-
კას სახით, „რუხ მგელში“ — ავთანდილ კვიციანიძისა
და მისი მოძმეების „საწიოკე მთის“ მონაწილეთა სახით; „მამიდა
ასმათში“ — ოთარის სახით. აგრეთვე ანტ. ფურცელაძემ მოთხ-

¹ დ. კლდიაშვილი, მეზუარბე, 1952, გვ. 503.

² იქვე, გვ. 368—369.

რობაში „ჩვენებური საქმის ბოლო“ — ნ ა წ რ ე ტ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს
სახით.

მაგრამ „შემოდგომის აზნაურთა“ მკვეთრ და, შეიძლება თამამად
ითქვას, უნაკლო მხატვრად დავით კლდიაშვილი უნდა მივიჩნიოთ.

დავით კლდიაშვილი თვითონ წარმოშობით ამ წრის ღვიძლი შვი-
ლია, მისი შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი ამ წრის კერაზევე,
მამისა და მახლობლების ოჯახში, ბავშვობიდანვე ჩაესახა და შეიზარ-
და. შემდეგ მან, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თავისი სიმამრის
პავლე მაჭავარიანის ოჯახში, თავისი შთაბეჭდილებანი „შემოდგომის
აზნაურთა“ შესახებ შეავსო, დააზუსტა, დახვეწა და მათი მრავალ-
ფეროვანი ტიპაჟი მოგვცა თავის შემოქმედებაში.

მხატვრულობის თვალსაზრისით დავით კლდიაშვილის მიერ „შე-
მოდგომის აზნაურთა“ ასახვა, — გარდა ავტორის მიერ ცხოვრების
დიდი და ზედმიწევნითი ცოდნისა, მოქმედ პირთა მკვეთრი, მრავალ-
ფეროვანი, და დამახასიათებელი დეტალის მოძებნისა და მისი ზომი-
ერად ჩაქსოვისა — მკითხველის ყურადღებას იზიდავს და ჰხიბლავს
ის საერთო იუმორისტული ტონი, რომელიც ასე ნიჭიერად ავსებს
დავით კლდიაშვილის მთელ შემოქმედებას.

იუმორი დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში მეტად თავისე-
ბურია, მეტად ჭანსალი, მიმზიდველი, ძლიერი.

ეს არ არის არც გამოჩენილი რუსი მწერლის ნ. გოგოლის
იუმორი — სიცილში არეული სევდის ცრემლი, ადამიანის ცხოვრე-
ბის სიცარიელით გამოწვეული. არც მეორე გამოჩენილი რუსი მწერ-
ლის ა. ჩეხოვის იუმორია — სიცილი სევდა-მოწყენილობაში
გაღწეული.

არც ილ. ჭავჭავაძის მწარე, აღშფოთებული, შეურიგებე-
ლი დაცინვაა, — მწერლის თანამედროვე ცხოვრების უარყოფითი
და ავადმყოფური მოვლენებით გამოწვეული. ილიას სიცილი მკი-
თხველს აღელვებს, აწუხებს, არასოდეს არ ამშვიდებს, შეურიგე-
ბელს ხდის მწერლის მიერ დახატულ პიროვნებასთან თუ მოვლე-
ნასთან. ილიას მკითხველი მწვავედ განიცდის, რომ ავტორი რაღაც
მძიმეზე, საშინელზე, მაუღლებელზე იცანის, გრძნობს, რომ ავტორს
მძიმედ დაგუბებული ბოლმა ავსებს. ილიას მკითხველი მკაფიოდ
გრძნობს, რომ პოეტს მხოლოდ დიდი ნებისყოფა იმაგრებს ჩვეუ-
ლებრივ ჩარჩოებში, მკითხველი ყოველ წუთს მოელის, რომ პოეტის
აღშფოთება, ბოლმა გადმოაჩხეთქს და წაღუკს სიცილის საგანს თუ
მოვლენას. ილიას სიცილი — მწარე, მკითხველში შეურიგებელი,
უარყოფითი განწყობილებს ჩამნერგავი დაცინვაა, ილიას სიცილი,
სადაც ნელდება, გულუბრყვილო ხდება, სინამდვილეში იქ უფრო
მწვავედ არტყამს.

დავით კლდიაშვილის სიცილი კი სულ სხვა ხასიათისაა. მის სიცილში რაღაც ბავშვური, გულუბრყვილო სიცილ-ხითხითი ისმის; სიცილი, რომელიც მკითხველის გულს მიძიმედ არ ჰკოდავს, არა მზა-მავს.

ვეფქრობთ, გ. ნატროშვილის მიერ დავით კლდიაშვილის იუმორის დახასიათება არ უნდა იყოს მართებული. გ. ნატროშვილი წერს: „კლდიაშვილის სიცილი თავისთავად ტრაგიკულია. მის მოთხრობაში იუმორის გრძნობას ყოველთვის ამარცხებს მწუხარება; მკითხველი ნათლად გრძნობს, რომ კლდიაშვილს ეცოდება ეს ხალხი და ამიტომ მისი სიცილი ცრემლზე უფრო მწარეა. ამაშია მისი თავისებურება. ეს უბრალო მხიარულება არ არის, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია“.¹

დავით კლდიაშვილის სიცილი, რა თქმა უნდა „უბრალო მხიარულება არ არის“. ასეთი გაგება, უდავოდ, დიდი შეცდომა იქნებოდა. მართალია, მას თავისი გმირები — „შემოდგომის აზნაურები“ ეცოდება, მაგრამ ნათლად ხედავს, რომ ეს მოვლენა დრომოქმულია, მისი გმირები თავისი ფსიქოლოგიით, ქცევით აღარ შეეფერებიან დროს. ისინი დროს ჩამორჩნენ; მწერალი რწმუნდება, რომ ისინი განწირულნი არიან, ისინი უნდა დაიღუპონ ან ცხოვრების ახალი გზა უნდა გამონახონ. ამ გარემოებას ავტორი გონებით შერიგებულია, რაც მისი იუმორის, დაცინვის სიმწვავეს გარკვეულად ანელებს. ამიტომაც დავით კლდიაშვილის სიცილი არასოდეს არაა ტრაგიკული. მწერალი თავისი მოთხრობების სიუჟეტს მოხდენილად ჰქარავს მოულოდნელობაზე. მკითხველი რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინშია, მაქსიმალურად სჭიმავს თავის ყურადღებას, დაძაბულად ელის კვანძის გახსნას. კვანძი კი მეტად ჩვეულებრივი, ყოველდღიური პროზაულობით იხსნება. მოქმედება მთავრდება არა იმდენად საშიში მდგომარეობით, რამდენადაც სასაცილოთი.

ნიმუშისათვის ავიღოთ დავ. კლდიაშვილის ერთმოქმედებიანი კომედია „დარისპანის გასაჭირი“.

აზნაურის ქვრივ მართა ქვიტირიძეს სურს ოსიკო ხარაბაძეს, რკინიგზის ახალგაზრდა კონდუქტორს, მიათხოვოს თავისი ღარიბი ნათლული ნატალია საბელაშვილი. მართა და ნატალიას დედა, პელაგია, დიდ მოლოდინსა და მზადებაში არიან. სწორედ ამ დროს გამოჩნდება მართას ნათესაური კულაბჯეა აზნაური დარისპან ქარსიძე. თავისი ქალიშვილით კაროქნათი, რომლის გათხოვება უნდა დარისპანს და ამ მიზნით დაკავს ის სოფლიდან სოფელში სტუმრად, მართას ამ სტუმრების მოს-

¹ დ. კლდიაშვილი, თხულებათა სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. X: X: V.

ვლა არ ესამოვნება, მაგრამ მაინც გარეგნულად „ნათესაურად“ შეხვდება. მალე სასიძოც მოდის. მართა დატრიალდება. დარისპანი მიუხვდება მართას მიზანს. დარისპანიც მოინდომებს ოსიკოს დასიძებას. დიდის ოსტატობითაა ასახული შეჯახება მართასა და ნატალია-პელაგიას სურვილებისა დარისპანის სურვილებთან. ორივე მხარე აშკარად ამჩნევს მოწინააღმდეგის განზრახვას. მაგრამ, ვითომც, შეუმჩნევლად, ყველა თავისას ცდილობს, სასიძოს აღერსა და პატივისცემაშია. ლამის არის მართასა და დარისპანს შორის დამოკიდებულება დიდ უსიამოვნებამდისაც კი მივიდეს. როცა საქმე საქმეზეა მისული, ოსიკო, საპატარძლოების უმზითვობას რომ გაიგებს. ცივად, თითქოს ამას არავისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, განაცხადებს: „დანიშნული მყავს, თეარა თქვენს რჩევას“... ყველა პირში ჩალაგამოვლებული რჩება. მთელი პროწიალი ყველასათვის მეტად პროზაულად მთავრდება. ამიტომ საღ სიცილს დასასრული არა აქვს.

ავტორმა კიდილისა და შეჯახების კვანძის გახსნა რომ უფრო შეამსუბუქოს, კომედიას მშვენიერი იუმორისტული დასასრული მისცა. ყველა მოქმედმა პირმა იგრძნო, რომ ბრძოლა თურმე უნიადაგო ყოფილა. ყველა ცდილობს ჩადენილი უტაქტობა, თავდაუქერლობა როგორმე გამოასწოროს. ინიციატივას ისევე დარისპანი იღებს და „შემოდგომის აზნაურისათვის“ დამახასიათებელი სტილით ასე მიმართავს:

„დარისპანი: ბატონო პელაგია, მგონი, რალაც გეწყინათ ჩემგან... გეფიცებით, ტყვილა იფიქრეთ, ვითომ იმ მუნჯ ბიჭზე რამე მეფიქრებინოს!... იმედია, ახლა აღარ მიწყურებთ!...“

პელაგია: არა, ჩემო ბატონო... რატომ ნებულობთ!

მართა: საწყენი რა შეხვდომია?... ერთმანეთის ვერ გეიგეთ, სხვა არაფერი!

დარისპანი: რასაკვირველია... იმისთანა ბიჭის გულისათვის რაღა წევიკიდებით ჩვენისთანა ქალიშვილების პატრონები... იმისთანების რა გეცოდნია ა?... არა, ბატონო პელაგია?!

მართა: რასაკვირველია!... დავასხით იმას თავსლაფი!...

დარისპანი: ასე, ბატონო პელაგია, იმედია, დეივიწყებთ ყოველივე უსიამოვნებას და როცა ჩემი მართა აგერ, ამ მოკლე ხანში, ჩემი ქალიშვილის ქორწილში მესტუმრება, თქვენც მცემთ პატრულს და ოჯახს გამინათლებთ თქვენის წვევით!... პატივისცემა ჩემს კიერზე იყოს...“¹

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1935, გვ. 78.

მკითხველი ამკარად რწმუნდება, რომ მდგომარობა არც ისეთი საშიში ყოფილა, როგორც მოსალოდნელი იყო, მაგრამ სასაცილო კი ბევრია.

მწარე ნაღვეს მკითხველში დავით კლდიაშვილის სიცილი არა სტოვებს. ამიტომ დავით კლდიაშვილი ნამდვილი იუმორისტია.

ცნობილია, იუმორი თხოულობს მჭიდრო შეგუებას კომიკურისას სერიოზულთან. სერიოზული მხოლოდ მაშინ მოქმედობს იუმორისტულად, როდესაც ის კომიკურ განვითარებაშია მოცემული. სერიოზული მოცემული უნდა იყოს არა კომიკურის გარეშე, არამედ მასში. იუმორის ამ ძირითადი თვისების განვითარებაში დავით კლდიაშვილი დიდ ოსტატობას იჩენს.

რა აძლევს საზრდოს დავით კლდიაშვილის იუმორს?

მისი შემოქმედების ძირითადი გმირი — „შემოდგომის აზნაური“, რომლის მრავალი ვარიაციაა მოცემული მის შემოქმედებაში. „შემოდგომის აზნაური“, მწერლის გააზრებითა და ჩვენებით, რაღაც ანაქრონიზმად და დარჩენილი ცხოვრებაში, ის დაფარვატებს ძველი მსოფლმხედველობით, ძველი გემოვნებით, ძველი ტრადიციებითა და ქცევით, მაშინ როდესაც ახალმა ცხოვრებამ, ასე ძლიერადაა სილად რომ ვითარდება, გამოაცალა მას ჩვეული ეკონომიური ბაზა — სხვისი ოფლით, მზამზარეულად ცხოვრება. წინააღმდეგობა — კონფლიქტი, — ერთის მხრით „კუდაბზიკა“ „შემოდგომის აზნაურის“ ზნე-ჩვეულებათა და თავის თავის უპირატესობის შენარჩუნების სურვილსა და, მეორე მხრით, ეკონომიურად გაწროვებულ, სხვის ხელში შემყურე, ხშირად ყოველივე შეურაცხყოფის გადამტან მდგომარეობას შორის — აძლევს დავით კლდიაშვილის იუმორს საფუძველსა და შინაარსს.

* * *

დავ. კლდიაშვილის რომელი ნაწარმოებიც არ უნდა ავიღოთ იქნება ეს „სოლომან მორბელაძე“, „როსტომ მანველიძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაქირვება“, „დარისპანის გასაქირი“, „ბაკულას ღორები“ თუ სხვა — ყოველი მათგანი და ისინი ყველა ერთად მშვენიერს, ცოცხალ და მკვეთრ სურათს გვაძლევენ ჩვენი მაღალი წოდების დაქვეითებისას, მის წარმომადგენელთა წოდებრივი პრივილეგიების შენარჩუნების შეუძლებლობისას.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში ცოცხალი გალერეაა მოცემული ამ ხელმოკლე, კუდაბზიკა აზნაურთა ტიპებისა. უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ მწერალი ამ ტიპების ასახვაში არ მეორდება. შემოდგომის აზნაურის სხვადასხვა სახეა: სოლომან მორბელაძე, როსტომ მანველიძე, დარისპან ქარსიძე, ონისიმე მათარაძე, პლატონ

სამანიშვილი, კირილე მიმინოშვილი, არისტო ქვაშავაძე, ოტია ქამუშაძე, აბესალომ სალამთაძე, ფილიპე ბარბაქაძე და მრავალი სხვა. მაგრამ ყოველი მათგანი ინდივიდუალური სახის მატარებელია. ამასთან ყველა ესენი ნიჭიერი განსახიერებაა ერთი მთავარი ტიპისა — „შემოდგომის აზნაურისა“; ყველა ესენი ერთი ბუდიდან არიან. ამაშია დავით კლდიაშვილის ნიჭის თავისებურებაცა და განსახიერების ხერხების ძალაც.

გავეცნოთ ამ მხატვრულ გალერეას.

როსტომ მანველიძეს („როსტომ მანველიძე“) „კეთილშობილება და მასთან შეკავშირებული სხვა-და-სხვა უფლებანი, — ახასიათებს მწერალი როსტომს, — უკანასკნელ ხანამდის განუყრელ და განუშორებელ საკუთრებად მიაჩნდა“¹. მანველიძეები თავიანთი გვარის წარჩინებეს იმითაც ხსნიდნენ, რომ მათი წინაპარი ერთ რომელიმე მეფეს (გარკვეულად ვერ ასახელებდნენ) კარის კაცად ჰყოლია და ბოლოს ისე დაუწინაურებია, რომ სახლთუხუცესობაც კი უბოძებია. ეს გადმოცემა მანველიძეების გვარშიცა ტრიალებდა მხოლოდ და დავიწყებას ეძლეოდა. მანველიძეები კი ცდილობდნენ ხშირ-ხშირად გაეხსენებიათ ეს შორეული ამბავი, „ნამეტურ იმ ვიგინდარებისათვის, რომელთაც ამ ბოლო დროს თავი წამოჰყვეს და ტუტუტურათ ტუჩს უბზუებდნენ წარსულისაგან ნაანდერძვე დიდებულებას და დაცინოდნენ ზღაპრულ ამბებზე აშენებულ ამყობას“². მანველიძეების ამგვარი შთაგონება ხშირად დიდი აყალმაყალით თავდებოდა, ბევრ უსიამოვნებას და ხანდახან სისხლის ღვრასაც იწვევდა, მაგრამ მანველიძეები მაინც არ ცხრებოდნენ. ამგვარი დავი-დარაბით მანველიძეები ცდილობდნენ თავიანთი გვარის „დიდებულ-ებისა და წარჩინების დაცვას“. ასეთია ტიპიური ქცევა დარღვეული, ეკონომიურად გადატაკებული თავადაზნაურობისა.

მაგრამ ცხოვრება თავისას არ იშლიდა. დაუნდობლად ეპყრობოდა მანველიძეებს. „გვარი, — აგვიწერს მწერალი, — შეუბრალებელ კლებაში შეჰყავდა, გადაქაჩულ აზნაურებს უკან-უკან სწევდა. დღე და ღამე გაჭირვებას უმატებდა. ყველას ხასიათი გამოეცვალა. ზოგი ისე გაამწარა, რომ ბზიკს დაამსგავსა, ზოგი ისე გაწყვიტა წელში, რომ ყველაფერზე გული გაუგრილა და თავის დიდებულ სახლთუხუცესის ხსენებასაც ავიწყებინებდა“³.

აი ამ მანველიძეების და მათ მსგავსთა ყოფა-ცხოვრების უტყუარი, ცოცხალი ამსახელება როსტომ მანველიძე. ცხოვრების ასალმაპირობებმა როსტომ მანველიძეს ზედიზედ ჩამოართვა ყველა პრი-

1 დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 353.

2 იქვე, გვ. 351.

3 იქვე, გვ. 352.

ვილგია: მამული, უფლებები, საზოგადოებაში პატივი: მთლად დააჩივავ, დაუკარგა ნდობა გარეულებშიც. და შინაურებშიც. ცხოვრებიდან თითქოს სრულიად გაირიყა, დარჩა მის მიყრუებულ ნაპირზე განმარტოებით ყველასაგან, შინაურებისაგანაც კი თავმიწებებული, დავიწყებული.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, კიდეც ბედი, როსტომს შერჩა ერთი შინაყმა დათია, რომელმაც, ბატონყმობის მძიმე უღლისაგან არაქათგამოცლილმა, სრულიად დაკარგა პირადი ცხოვრებისადმი მისწრაფება, „ალარც თავისუფლება დაეძია, — გვეუბნება მწერალი, — ალარც ცოლი, ალარც შვილი, ალარც საკუთარი ოჯახი და როსტომს შეეკედლა განუშორებლად“.

მართალია, დათია მეტად თავისნება კაცი იყო, მაგრამ როსტომიც და მისი ოჯახის წევრებიც ითმენდნენ, რადგანაც როსტომის ოჯახში ის ყველაფერი იყო, — მოურავიც, მზარეულიც, ხაბაზიც და სხვა. დათია ყოველნაირად ცდილობდა მანველიძეთა საკადრისი ცხოვრებით ეცხოვრებინა ნაბატონარი. მაგრამ ცხოვრება თავისას არ იშლიდა, ნაბატონარს ანიავებდა, დათიას ცდას უშედეგოდ სტოვებდა. ასეთი იყო შეუბრალებელი და გარდაუვალი სინამდვილე.

თანამედროვე ცხოვრების პირობებით ყოველნაირად შევიწროებული როსტომი მაინც ვერ ურიგდებოდა თავის მდგომარეობას, ვერ რწმუნდებოდა თავის საბედისწერო მდგომარეობაში, რომ ის მოუბრუნებლად ნადგურდებოდა, თავის „წარჩინებულ“ სიამაყეს, როგორც წყალწაღებული ხაფხფს, მაინც ეჯაჯგურებოდა და ხშირად გულნატკენი იტყოდა ხოლმე: „... გაგვაგლებსაცონ ბარემც დალოცვილებმა და ის იქნება... რაღა შეგვრჩენია! ყოველივე უფლება ჩამოგვეერთვა და წაგვეერთვა და ეგ არის!... რიდათი გაირჩეს კეთილშობილი ადამიანი ამ ჩემ დათიასაგან, არ ვიცი!“¹

მკითხველს, რა თქმა უნდა, სიცოლს ჰგვრის როსტომ მანველიძის ასეთი სიბეცე თუ სიმჩატე! ის იმდენადაა დაბრმავებული წოდებრივი ქედმაღლობით, რომ ვერ ხედავს „... რაც ყველაფერზე უარესი იყო, ის ემართებოდა, მისი ოჯახი ნიავედებოდა, ცივდებოდა, ინგრუოდა“.

რას წარმოადგენს როსტომ მანველიძის ოჯახი? მწერალი მეტად ცოცხალ, ტიპიურ სახეს იძლევა დაკნინების გზაზე დამდგარი შემოდგომის აზნაურისას. „ერთი ვაჟი ჰყავდა როსტომს, — ავიწერს ავტორი, — და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, ისე გადაკარგა ხადლაც. მეუღლე იყო მისი, მარცამი, და როგორც ის, ისე როსტომთან შეურცხვენელ მეუღლეობაში ნაყოლი ოთხი ქალიშვილი ოჯახს სრულიად გულს არ უდებდნენ, სრულიად მას არ დაეებდნენ, მე-

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 354.

დამ საკუთარ ოჯახს გარეთ იყვნენ; გაურბოდნენ თავიანთ უხალისობედეს, მისვლა-მოსვლას უნდებოდნენ: ხან ნათესავეებში იყვნენ, ხან კეთილებში, ხან ნაცნობებში, თავათაც დროს ატარებდნენ და სხვებსაც ეხმარებოდნენ დროს ტარებაში. ამაში კი ზედმიწევნით დახელოვდნენ: ზოგმა დაირა იცოდა შესანიშნავად, ზოგმა სიმღერა, ზოგმა თამაში — ლეკური, უზუნდარა, ბაღდადური და, ხანდახან მახლობლებთან, კეკ-უოკიც. ქალიშვილები თამაში, ლამაზნი და მოხდენილი შეხედულებისანი იყვნენ¹.

აი ნამდვილი, შეუფერავი სურათი თავადაზნაურთა ბუდისა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. ოჯახის წევრები, შრომას, გარჯას, მოთმინებას შეუჩვენებლნი, სიამოვნებისა და გართობის მონატრულნი და მაძებარნი, დაცარიელებულ ოჯახს გულს ველარ უდებდნენ, სახლში ველარ ჩერდებოდნენ, გაურბოდნენ.

მანგელიძიანთ ოჯახში კერა სავსებით თუ არ ჩამქრალა, მათი დარღვეული. დაცარიელებული და გაციებული სახლიდან სანთელი თუ გამობეჭეტავს, ესეც დათიას წყალობით. ამით აიხსნება, რომ როსტომი და მისი ცოლ-შვილი დათიასაგან ყველაფერს ითმენდნენ.

მაგრამ დათიას ერთგული სამსახური საკმარისი აღარ იყო, როსტომის ოჯახი დაუდევრობითა და უღონობით „უკან-უკან მიდიოდა... დღე მუდამ კლებაში იყო“.

სწორედ ოჯახის ეს გაჭირება იყო მიზეზი, რომ როსტომს, თუმცა არ მოსწონდა თავისი ცოლისა და ქალიშვილების ასეთი კარდაკარ წიალი ხან სად, ხან სად, კერი² ასეთი გაცეება, მაგრამ ველარ უშლიდა. ის ხედავდა, რომ „წლიდან წლამდის მათი შინ ყოფნა გაუჭირვებდა ისედაც გაჭირვებულ ცხოვრებას“. ამიტომაც ეს უკანასკნელნი, გადაჩვეულნი ოჯახის მოვლა-ზრუნვას, შეიხედავდნენ თუ არა ოჯახში, იქვე იმ ფიქრსა და დარდს ეძლეოდნენ, თუ სად და როდის წასულიყვნენ.

რა ცოცხალი სინამდვილეა, უშუალოდ ცხოვრებიდან აღებული! დავით კლდიაშვილი მეტად ნიჭიერად იძლევა როსტომის ცოლ-შვილის სახლიდან გაქცევის სურათს, რაც ასე დამახასიათებელი იყო შემოდგომის აზნაურთა ცხოვრებისათვის: „ამას წინად, — მოგვითხრობს მწერალი, — რაღაც შემთხვევით, დედამაც და ქალიშვილებმაც თავი მოიყარეს ოჯახში. რამდენისამე. დღის შემდეგ-კი ისევ აწრილდნენ წასასვლელად და ამისათვის მთელი დღე არბეინეს სოფლად დათია, რომ ურემი სადმე ენათხოვრებინა სადგურამდის ჩასასვლელად.“

სადამო იყო, დათია რომ დაბრუნდა.

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 354.

— რა ქენი, ბიჭო?... — შემოეხევიენენ მას ქალიშვილები.

— ვერსად ვერ ვიშოვნე... არავინ არ გვათხოვა, — თქვა დათიამ.

ქალიშვილებმა თავი მიანებს ფუთების კერას და შეზრიალდნენ.

— მძულს აქ მოსვლა!. — წამოიძახა უფროსმა ქალიშვილმა თალიკომ. — სიკვდილს უნდა ეღიროსო, სანამ აქედან ფეხის გადადგმას მოახერხებდე ადამიანი! დასწყევლოს ღმერთმა აქაურობა.

— მე რომ ზეგ ქუთაისში არ ვიქნე, მომკალით და ის იქნება! — გამწარებით გაიძახოდა ლამაზი ნატალია; — ზეგ ნუტყოკო დღეობას იხდის... სიტყვა მიცეცი, უსათუოდ ჩამოვალ-თქვა და დათიას წყალობით ყოველგვარ სიამოვნებას უნდა ჩამოვრჩე!

— რა დაგემართათ?... რა მოგივიდათ? არაფერი საშფოთაეი არა გაქვთ! — დინჯად წარმოსთქვა ქალიშვილების ახმაურებაზე ოთახში შემოსულმა მარიამმა. — თქვენ თქვენი საქმე ქენით. რაც წასალები გაქვთ, არაფერი დაგრჩესთ... ხვალ ყველანი ერთად წავალთ!.. ბიჭო, მთელი დღე იარე და ერთი ურმის შოვნა გაგჭირდა?... მიუბრუნდა იგი დათიას.

— ყოველთვის-კი აღარ გვათხოვეს, შე დალოცვილო! ყველას თავ-თავისი საქონელი საქნარისათვის სჭირდება... ტყვილა-კი არავინ ზის სახლში! — მიუგო დაღლილმა დათიამ¹.

ბრაზმორეული მარიამი ქმარს სთხოვეს, რომ ეგებ მან მაინც იშოვოს ურემი. როსტომი ზანტად წამოდგება, აიღებს ჯოხს და შემოღამებულში, მიუხედავად დათიას გაფრთხილებისა, წავა ურმის სათხოვნელად. დათიას სიტყვა გამართლდა; როსტომმაც ვერ იშოვა ურემი.

ქალიშვილებმა შექმნეს ერთი ალიაქოთი. მათ გამწარებას, გადმოგცემს ავტორი, საზღვარი არა ჰქონდა. მათ ბევრი იწრიალეს, ბევრი „იქაქანეს, ბევრი იკაპასეს“ და ბოლოს დედის რჩევა მიიღეს: მიუხედავად იმისა, რომ ფეხით წასვლა, მეზობლებისა და სხვათა დასანახავად, მათი, აზნაურობის თავმოყვარეობისათვის დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა, მაინც, სიამოვნებას რომ არ მოჰკლებოდნენ, გადაწყვიტეს: დილაადრიანად ადგებოდნენ, ფუთებს დათიას აკვიდებდნენ, ფეხით ივლიდნენ რკინიგზის სადგურისკენ... პელოს ნათლიის სახლამდის, იქ ნათლიისაგან ინათხოვრებდნენ ურემს და მატარებელს ჩაუსწრებდნენ თავის დროზე.

დიახაც, თავადაზნაურთა დარღვევის ცოცხალი სურათია ნიჭიერად, სიმართლით დანახული და მოთხრობაში დიდი ოსტატობით გამოქანდაკებული. ეს ცოცხალი ფაქტია ჩვენი არც ისე შორი წარსულისა.

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 355.

დავით კლდიაშვილს ახასიათებს — ცხოვრების სურათი მკითხველს ბუნებრივი ზომიერებითა და სისრულით მისცეს. ეს ხომ დარღვეულ თავადაზნაურთა ტიპური ოჯახია! ამიტომ ის მანველიძის ოჯახის დახატვას ამით არ ამთავრებს. თვითონ ოჯახის უფროსის როსტომის მდგომარეობასაც სათანადო ხაზებით ავსებს.

რა დარჩენია როსტომს ასეთს პირობებში, როდესაც ცოლ-შვილის გამოკვებასაც კი ვეღარ ახერხებს, როდესაც ოჯახის უფროსმა ავტორიტეტი დაკარგა, ცოლ-შვილმა კი ამის გამო თავი აიშვა?

როსტომი იძულებულია ცოლ-შვილი თავის ნებაზე მიუშვას, და თვითონაც მარტობაში დალიოს თავისი „გაძაღლებულა“ ცხოვრების უკანასკნელი დღეები. მარტოდ დარჩენილს, გამოყრუებულს, უმოქმედოდ თავმოებზრებულ როსტომს სახლში გდება რომ მოსწყინდებოდა, თავის ერთადერთს ერთგულ ადამიანს დათიას შეაკახმინებდა ჯორს, „შეჯდებოდა როსტომი თავის გამხმარ ბებერ ჯორზე, მიადგებოდა რომელსამე მახლობლად მცხოვრებ ნათესავს ან მეგობარს, რომ, მწარე გულით მონდომებულს, ძველებურად მოელხინა და ყმაწვილებთან სმაში გაბმულიყო. მაგრამ მეორე-მესამე ჭიქაზე უკვე მთვრალი იყო ხოლმე, მეოთხეზე-კი — ძილი მოეკიდებოდა და სუფრაზე ხვრინავდა. დაბრუნდებოდა შინ და ისევ მიეგდებოდა თავის გამოყრუებულ სახლში“¹.

ასეთია უღმობელი განაჩენი კალაპოტიდან ამოვარდნილი პრივილეგიური წოდების წარმომადგენლის როსტომ მანველიძისა და მრავალი მისთანასი, რომელნიც ახალი „შეუბრალებელი ცხოვრების პირობებისათვის“ სრულებით მოუშზადებელნი აღმოჩნდნენ. დაიწყეს ცხოვრება ნაკლები წინააღმდეგობის გზით, ადვილად გაანიავეს შემორჩენილი დოვლათი, ადვილადვე კინდებოდნენ, კიანდებოდნენ, ასეთი იყო შემოდგომის აზნაურთა ერთი ნაწილის ბედი. აი ამ დაქიანებულ, ძალაგამოღებულ პარაზიტებად ქცეულთა ბედის ნიჭიერი მხატვარია დავით კლდიაშვილი.

* * *

„შემოდგომის აზნაურის“ ტიპს დავით კლდიაშვილი იძლევა მოთხრობაში „სოლომან მორბელაძე“ — სოლომან მორბელაძის და მასთან ურთიერთობაში მყოფი ბესარიონ საქარაძისა და ქაიხოსრო ქათამაძის სახით.

¹დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 357.

სოლომან მორბელაძეც დაკნინებული, ეკონომიურად ნიდაგგამოცლილი აზნაურია! ცხოვრებით შევიწროებულმა, გულგატეხილმა სოლომანმა კარგად დაინახა, რომ მისი ოჯახი საესებით იფიტება. იღუპება. მძიმე ტანჯვასა და მწუხარებაში ის იძულებულია ახალ ცხოვრებას პირდაპირ შეხედოს, საბედისწერო მდგომარეობიდან გამოსავალი გამოიხატოს.

რა შეუძლია ნაბატონარს ახალი ცხოვრების პირობებში? ყოველდღიური შრომა მას არ ეხერხება, განსაკუთრებით ფიზიკური. ფიზიკურ მუშაობას ვერც მისი განებვიერებული სხეული აიტანს და ვერც მისი აზნაურული ქედმაღლობა. ძველი ტრადიციები, ძველი მსოფლინხედველობა, აზნაურული სიამაყე და ამპარტაუნობა ეანგიანი ლურსმანივით ჩაქედილა კულაბიკას შეგნებაში და ნებას არ აძლევს ქედი მოიხაროს და ხელი მოსჭიდოს მუშაობას, რომელსაც ახალი ცხოვრება ღაყინებით თხოულობდა. მაგრამ დამშეული კლუპი ძალაუვნებურად აიძულებს ცხოვრების წყარო გამოიხატოს.

ცხოვრების ახალი გზის გამონახვაში მისთვის მთავარი და მამოძრავებელი სურვილია აზნაურული ეთიკა და ეტიკეტი გარეგნულად მაინც დაცული იქნას. თუ ეს გარემოება დაცული იქნება, ის მზად არის მორალურ კონპრომისზე წავიდეს. ეს მისთვის ადვილი გადასალახავია, ეს მას არ ეჩითირება.

ახალი ცხოვრების პირობებში, ფული რომ თავის ძალაუფლებაში წედოდა, როცა ყველაფერი, ცოლის შერთვაც, სიყვარულიც ფულით იზომებოდა, უმზითვო ქალი, თუნდა ყველა ღირსებით აღჭურვილი, შეიძლება გაუთხოვრად დარჩენილიყო, მაშვლის ნიქსა და უნარს ფართო გასაქანი და მნიშვნელობა მიეცა. სოლომანმაც ამ პირობებში მაშვლის ხელობა ირჩია, როგორც მისთვის უფრო შესაფერი. სოლომანის გაგებით, ის, რაკი თოხსა და ბარს თავს აარიდებდა, თავის აზნაურულ ღირსებას არ დაკარგავდა.

სოლომანი კვდს იბჭიკავს, ქედმაღლობს, იბტიბარს არ იტეხს, ტრაბახობს, თვითონ ხომ იცის, რომ ცრუობს და დარწმუნებულიცაა, რომ მის მოსაუბრეს უჭირს დაჭერება, მაგრამ მაინც თავისას არ იშლის. ასეთი გამოსავალი სოლომანისათვის ნამდვილი ხსნა და გადარჩენაა.

სასაცილოა ასეთი ყალბი მდგომარეობა! ეს გარემოება ტრაგიკული იქნებოდა, რომ დავით კლდიაშვილის დიდი ინტუიცია ამ წოდების დაკნინებისა, სიყალბისა და ვადაგვარების აუცილებლობას არ ურიგდებ-

1 „სოლომან მორბელაძის“ სტილისტური განხილვა საგულისხმოდ აქვს გაშლილი დოც. გრ. კიკნაძეს თავის შრომაში „მეტყველების სტილის საკითხები“, 1957, თავი X. დავით კლდიაშვილის სტილი („სოლომან მორბელაძე“), გვ. 249—268.

ზოდეს და მკითხველსაც არ არიგებდეს. მწერლის სწორედ ეს მიდგომა რწევს მკითხველში საღ გადამღებ სიცილს და სევდისა და უკმაყოფილების კვალს აღარა სტოვებს.

ნდობადაკარგული სოლომანი, რომელსაც თავსაც კი არაინ ანდობს (და ეს მანაც მშვენივრად იცის). კარზე მისულ მოვალე პლატონს რიხიანად ეუბნება: „—მალე-მალე გაგისტუმრებ... მალე მოვიშორებ თავიდან შენს ვალს... ცოტა ფეხის გადადგმა შემეზარა, თვარა ფულს ვერ ვიშოვიდი მე?! მართლა, ისე დაგლახაკებულნი-კი არა ვარ, ზოგერთი აზნაურიშვილი რომ გინახავს... უფულობას რომ შეუშინებია. ცხვირები ჩამოუშვიათ და არ იციან, რა ქნან. ცოტა კიდევ მომიტმინე და თელათ დაგიბრუნებ იმ შენს ფულს“¹.

კარგად იცის სოლომანმა, რომ ვალის გადახდა ჯერ კიდევ საეჭვოა, პლატონიც დარწმუნებულია, რომ სოლომანის დაპირება ასე ადვილად არ ასრულდება, ვალის დაბრუნება სოლომანს ძალიან გაუძნელდება. მაგრამ მათ სხვა გზა არა აქვთ: სოლომანმა დამაჯერებელი კლოთი უნდა აღუთქვას ვალის მალე გადახდა, ხოლო პლატონმა იმ მოსაზრებით, რომ სრულიად არ დაკარგოს, მიიღოს სახე ვითომც სოლომანის დაპირებას ერწმუნება და მოიბოდიშოს კიდევ.

სოლომან მორბელაძისათვის, როგორც „შემოდგომის აზნაურისათვის“, აგრეთვე დამახასიათებელია შემდეგი. სოლომანმა პლატონი დაარწმუნა (!), რომ მამულობაში ის კარგ ფულს აიღებს და ვალს პირნათლად ჩააბარებს. სოლომანი, სტუმარ-მასპინძლობის წესისამებრ, პლატონს სახლში მიიწვევს, დაისვენოს და შენაყრდეს. სოლომანი ცოლს რიხიანად შესაჩებს — პლატონს „ხელათ ერთი ზაკუსკა მიართვას“. პლატონი საქმის კაცია, ის კარგად იცნობს სოლომანის და მისთანების ზნეს, მდგომარეობას; კარგად იცის, რომ მისი დარჩენა სოლომანს უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს, რომ სოლომანი ზრდილობისათვის იპატიეებს. ამიტომაც გულმოდგინედ სთხოვს გაუშვას, რადგანაც მას დარჩენა არასგზით არ შეუძლია. ეს გარემოება სოლომანს უფრო მეტს სიტამამეს მისცემს. სოლომანი ჭირვეულობს:

„— შენ არ მომიკვდე, მე შენ არ გაგიშვა!.. ბიჭო! — დაიძახა სოლომანმა: — პლატონის ცხენს უნაგირი მოხადე!

— შენ არ მომიკვდე, შენ, სოლომან, მე დარჩენა არ შემეძლოს!..

— და პლატონი უკან-უკან იხედა. სოლომანის ხელებიდან თავის ხელის განთავისუფლებას ცდილობდა. — სახლში მაქვს დაბარებული. უსათუოდ მოვალ ამაღამ-თქვა... გამიშვი, შენი ჭირიმე... შემალამდება... მერე ველარ ვივლი!

— დაგაწვენ, დავახურავ, დავაძინებ... დილით აღრე ადგები და წა-

¹ დ. კლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 55.

სწავლ. შე კაცო... — არ ეშვებოდა სოლომანი¹ და სხვ. დიდხანს ეხვეწებოდა და ემუდარებოდა პლატონს სოლომანი, არ უშვებდა, მაგრამ სინამდვილეში ოჯახში მქადიც კი არ ჰქონდა.

საეულისსმთა და მეტად დამახასიათებელი ამ კულაბზიკა, სასაცილო. ყალბ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისათვის — „შემოდგომის აზნაურთათვის“, — ეფროსინეს (სოლომანის ცოლის) საყვედური ქმრისადმი და ამ უქანასკნელის პასუხიც.

სოლომანმა ჭიშკრამდის მიაცილა პლატონი. შემდეგ აივანზე ავიდა და ნამგზავრი, დაღლილი, დასაჯდომად აივანს გაყოლებულ ფიცარზე გაწვა. ცოლმა ველარ მითმინა და კულაბზიკა ქმარს უსაყვედურა:

„ — რატომ ხარ ასე წინდაუხედავი, შე უბედურო?!...“

— რა იყო შე ქალო? ცუდი რა გქენი?

— აბა, რომ ეპატიუებოდი იმ კაცს. რა გეგულებოდა სახლში მისა-ტანად? ნეტავი შენ კულაბზიკობა არ გჭირდეს და სხვა არა მინდარა!... რომ დარჩენილიყო, რას აპირებდი?!

— ერთი, ორი შეპატივებით რავე დარჩებოდა, შე ქალო!... გადამ-თიელი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს... შევეპატოე, ღალი მოვიხადე... ისე ხომ ვერ გავუშვებდი, ასე არ მეთქვა... იმის შე-გეშინდა, რომ არაფერი გვაქვს?!²

რა არაჩვეულებრივი ცოდნითა და უშუალობითა დახატული ნია-დაგვამოკლილი, შინაარსსა და ძალას მოკლებული, დაკნინების გზა-ზე დაქანებული თავადაზნაურობის ფსიქოლოგია!..

„სოლომან მორბელაძეში“ დავით კლდიაშვილა გვიხატავს მთელ რაგ ასეთსავე გაკოტრებულ ხელმოკლე აზნაურებს. რომელთაც ახალ პირობებში ცხოვრება გასჭირებიათ, ძალაუნებურად ახალი ცხოვრების შეუბრალებელ პირობებს შებრძოლებიან, მათი სიმკაცრე მყისვე უგრძნობათ და ადვილად დათმობის (პირველ რიგში ზნეობრივი დათ-მობის) გზას გაჰყოლიან. ასეთია სოლომანის „მოღვაწეობის“ ხასია-თიც.

ბესარიონ საქარაძეს უნდა, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, ნაქალს, ქაიხოსრო ქათამაძეს, დაპირებული სამზით-ვო თანხიდან ასი მანეთი როგორმე დააკლებინოს. ამ განზრახვას ბესა-რიონი გაუმხელს მშუალ სოლომანს, რომელიც ცეცხლს მოიკიდებს, რადგან იცის უღმობელი ხსიათი ქაიხოსროსი და ეშინია, რომ საქმე ჩაიშლება. ის თავის გასამრჯელოს, რომელზედაც ამდენ იმედებს ამ-ტარებს. დაჰკარგავს. ბესარიონი თავის საქციელს ასე უხსნის სო-ლომანს: „ნამეტან გლახა დროში ვცხოვრობთ. შე რომ მარტო მივირ-

¹ დ. კლდიაშვილი, თბ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 56 — 57.

² იქვე, გვ. 58.

დეს, არაფერი, და ყველას, ყველას რომ გვიჩიოს. სად უნდა წვედიდეთ, ვისთან მივიდეთ, ვის შევეხვეწოთ მოხმარება?¹

მართლაც, გზა მათთვის არსაით ჩანდა. ახალ ცხოვრებაში, როცა ყველაფერი ფულით იზომებოდა, ქალის გათხოვების საკითხი „შემოდგომის აზნაურთა“ წრეში მეტად გაჭირდა და გართულდა. რამდენი უსიამოვნო ღელვა, დავიდარება, უმართებულო საშუალებათა გამოხატვა დასჭირდათ ბესარიონ საქარაძესაც, მაშვალ სოლომან მორბელაძესაც, რომ ქაიხოსრო ქათამაძეს მისთვის დაპირებული სამზითვო ფულიდან შვიდი თუმანი დაეკლო, ამის მიზეზს ბესარიონი ასე უბნის სოლომანს: „შე კურთხეულის შვილო, არ იცი რა საცოდაობაში ვართ ერთიანად ჩავარდნილი? ყველას, თელათ აზნაურობას რა გასაჭირის ღლე გვადგა, რა შავი ღლე შემოგვესწრო?... სამზითვო ფული-კი არა, ლუკმა პურს ძლივს-ძლივს ვშოულობთ, წლიური სარჩო სანახევროდ აღარა გვაქვს... ამასთან, იმისთანა უღმერთობაც შემოვიდა, რომ სანამ ფულით ჯიბას არ გაუტენი, ქალს აღარავინ თხოულობს... სად იშოვოს ჩემისთანა აზნაურიშვილმა ხუთასი და ექვსასი მანეთი... კაი, გაუყიდე მიწა, შევივიწროვე საქმე, ერთი მოვიშორიე, როგორც იქნა, მეორესა და მესამეს რაღა უყოს კაცმა? ფიქრობ, ფიქრობ. მარა არაფერი გამოდის“²... ასე ააწრიალა გროშის ძალამ და მისი მოპოვების სურვილმა ნიადაგშერყეული ბრწყინვალე წოდების წარმომამდგენლები, ე. წ. „ყოფილი აღამიანები“.

სოლომან მორბელაძეც ხომ ბევრი ფაქრისა და ბრძოლის შეზღვევ ძალაუნებურად მიჰყვება ცხოვრებას ნაკლები წინააღმდეგობის გზით, დაიწყებს მაშვლობას; ამჯობინებს ატყუოს ხალხი, იცრუოს და თვითონაც ხშირად დარჩეს გაცრუებული, ოღონდ კი, თოხს ან ბარს ხელში ნუ აიღებს. სოლომანი თვითონაც კარგად გრძნობს თავის ყალბ მდგომარეობას. ის ხშირად არის არა მარტო მოტყუებული, არამედ გალანძღულიც, მაგრამ რა ქნას? მან კარგად დაინახა, რომ „მშიერ კაცს სადა აქვს ღონე თავის პატიოსან სიტყვას გაჰყვეს“. თავისი ხელობითა და მდგომარეობით გამწარებული, ნაღვლიანი შავ-უყუღმა ფიქრებით შებოჭილი სოლომანი „შემოდგომის აზნაურის“ ნამდვილ ბუნებასა და მდგომარეობას ასე გამოამჟღავნებს: „ღმერთმა დასწყევლოს ამნაირი გაძალღებული ცხოვრებაც... მშიერ, გადატაკებულ კაცს რაღა უნდა ენდო კაცი? პატიოსნებაც დავიწყებულია და სეინჯისიც! ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუ-კი რამე წაგლიტა, წაგაფცქვნა, მოგატყუა, გაგაცუტურაკა! ყოფიფელი დავიწყებული აქვს ამ ოსერი გაფშიკებული კუქის გამოიპობით. დაწყეილა ღმერთმა ხელ-მოკლე აზ-

¹ დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 66.

² იქვე, გვ. 73.

ნაურის უსაშველო გაძაღვებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარა აქვთ. ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცი ცხოვრება გვედირსოს? ¹ ამიტომაც, ილაგამოცლილი სოლომანი იტანს გაცრუებასაც, გაწბილებასაც, გაღანძღვასაც, რადგანაც „ცხოვრებებს შევიწროებულ პირობებში“ ისევ ამ გზით შოულობს გროშს, სიცოცხლის შენარჩუნების ამ აუცილებელ საშუალებას.

განა ისეთივე გზით მოსიარულე არ არის დავით კლდიაშვილის მოთხრობის „სამანიშვილის დედინაცვლის“ ერთ-ერთი გმირი, ასეთივე მაწანწალა, დაახლოებით ამგვარივე საქმეებით თავის მარჩენალი სრფლის „აბლაკატი“ — ივანე გვერდევანიძე? რა თქმაუნდა, დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში „შემოდგომის აზნაურთა“ სახეობა მრავალფეროვანია. ყოველი მათგანი თავისებური ინდივიდუალობის მატარებელია. ამაშია დავით კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი.

* * *

შემოდგომის აზნაურთა სახეები უფრო მრავალფეროვნად და მიმზიდველად დავით კლდიაშვილს მოცემული აქვს მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“. ეს მართლაც ნამდვილი კალეიდოსკოპია, რომელშიც ცოცხლად და საკმარისი სისრულით გაბოიყურება XIX საუკუნის იმერეთის (თამამად შეიძლება ითქვას მთელი საქართველოს) წარმავალი თავადაზნაურობის ყოფა-ცხოვრება: იქნება ეს ყოველდღიური თოხისა თუ ბარის ცემით ლუქმაპურის მაძიებელი პლატონისა და ბეკინა სამანიშვილების ოჯახი. ოუჯიმშერსალობერიძის სარისტოან და მშრომელ წევრთა მიერ ჯერ კიდევ ღონიერი ოჯახი, სადაც ხშირად შეხვედებით მოწვეულსა და მოუწვეველ სტუმარს, გზადაკარგულ აზნაურთაგან, რომლებიც ხშირად სხვის სახლში ქეიფს უაზრო და დაუზოგველი ჩხუბით ამთავრებენ; თუკირილე მიმინოშვილი, ქარნაკრაივიც ერთ ადგილზე რომ ვერ ჩერდება, ოჯახზე ზრუნვა ცოლისათვის რომ დაუკისრებია და გამაღებით ეძებს საბაბს წავიდეს სახლიდან ქორწილში, ტირილში თუ წვეულებაში. ხშირად არც იმას დაგიდევთ, მრწვეულია თუ არა; თუ არისტოქვაშავაძე, გაყრის შემდეგ უსახლოდ რომ დარჩენილა და თავის სტუმრიანად სხვაგან დადის დროს განატარებლად; თუ დათია ბრეგაძე და მისი ძმები, რომელ-

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 85.

თაც სრულიად დაუკარგავთ თავმოყვარეობა უზომოდ გადატაკების გამო და არამც თუ სტუმარი, მასლობელიც კი მოსძულებით.

ყველა ეს და სხვა სახე, „სამანიშვილის დედინაცვალში“ მოცემული, დავით კლდიაშვილს უშუალოდ ცხოვრებიდან აქვს აღებული, ყველა ისინი მწერალს. როგორც თვითონვე გვიმოწმებს, თავისი სიმამრის პავლე მაჭავარიანის ოჯახში ჰყავს ნანახი, გაცნობილი.

მართებულია სერგო კლდიაშვილის აზრი: ბეკინა და პლატონი, როსტომ მანველიძე, არისტო, კირილე — სინთეტური სახეებია იმ ხალხისა, რომელიც დავითს უნაჩავს. ან ეის შესახებ სიმამრის ოჯახში გაუგონაა.

ფაბულა, რომელზედაც აგებულია „სამანიშვილის დედინაცვალი“, დაახლოებით სინამდვილიდან არის აღებული. ამბავი გარდახდა ბაბუა ჰავლეს ერთ ნაცნობ აზნაურს.

მე კარგად მახსოვს ბეკინას პროტოტიპი — მაღალი, ხმელი, ლხინის დიდი მოყვარული, შესანიშნავი მოსიმღერე, საოცარი ენამახვილი აზნაური ივ. ავ-ლი.

ბეკინა სამანიშვილსა და მის პროტოტიპს შორის არის განსხვავებაც: ივ. ავ-ლი შეძლებული იყო და მეორე ცოლის ხელში ჰყავდა რამდენიმე ვაჟი, რომელთა დაეჯეკებაც მოესწრო და რომლებთან ერთად თავის მოხუცებულობას მოღწენაში ატარებდა¹. სრულებით ბუნებრივია, რომ ბეკინასა და მის პროტოტიპს ივ. ავ-ლს შორის განსხვავებაა. ასეც უნდა იყოს, ბეკინა ფოტოგრაფიული პორტრეტი კი არ არის ივ. ავ-ლისა (ეს მკთხელისათვის, მით უმეტეს ფართო მკითხველისათვის საინტერესო არ იქნებოდა), არამედ შემოქმედებითი, მსატრეული პორტრეტი, განზოგადოებული სახეა, როგორც მწერლის ცხოვრებაზე ფართო დაკვირვების შედეგი. ამდენად მასში კერძო ნიშნები მოსხნილია, თითქოს უყურადღებოდაა დატოვებული, შემონახულია მხოლოდ საერთო, ტ ი პ ი უ რ ი. ასეთ მეთოდშია ძალა, მიმზიდველობა და მომხიბვლელობა დავით კლდიაშვილის გმირებისა.

დავით კლდიაშვილის მიერ მომარჯვებულ პოეტურ კალეიდოსკოპში ახალი მეურნეობის საფუძველზე ჩვენი პრივილეგიური წოდების დახარვეზულ ბუდეს მკითხველი ცხოვლად ხედავს. მკითხველი ნათლად და გარკვევით გრძნობს, რომ ყველა ეს ხალხი, მწერლის მიერ ასე მკვეთრად განსხვავებული, დღეს თუ ხვალ საბოლოოდ უნდა აღიგავოს დედამიწის პირიდან, — საბოლოოდ ამოვარდეს. ცხოვრების კალაპოტოდან: უწყალოდ უნდა გაირიყოს ცხოვრებისაგან, შიმშილით უნდა დაიხოცოს, ან არა და ცხოვრების ახალი გზა უნდა გამონახოს, შეეგუოს ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებს.

¹ ს. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, რჩეული პროზა, 1951, გვ. 504.

თუ ზოგიერთ ოჯახს (ჯიმშერ სალობერიძის, კირილე მიმინოშვილის, სამანიშვილების) ჯერ კიდევ შერჩენია არსებობის სახსარად, იაიც, უდავოდ, რყევასა, რღვევასა და დაკნინებაშია. სამაგიეროდ უმრავლესობა გაკოტრების, გაძვალტყუების, დაშლის გზაზეა შემდგარი.

ნიმუშისათვის ავიღოთ „სამანიშვილის დედინაცვალიდან“ ბრეგაძეების ოჯახი, რომლის გაწრიოკებული სახე გაყრის შემდეგ უფრო ჯამოაშკარავედა. ოჯახის წევრებს ტანი ვერ დაუფარავთ, კუჭი ვერ გაუძლიათ. მუშაობენ როგორც ჩვეულებრივი გლეხები. მაგრამ მანც საქმე ვერ მოუგვარებიათ. სიღარიბემ და გაჭირვებამ მთლად შეცვალა მათი ფსიქოლოგია. მახლობლისა და ნათესავის, მით უმეტეს უცნობის, სტუმრად მისვლა მათთვის უსიამოვნოა. არა იმიტომ, რომ დროს გატარება, მუსაიფი ეზარებათ, ან ამისათვის დრო არა აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ოჯახში მოსალხენი აღარაფერი ეგულებათ.

გულუხვი სტუმარმასპინძლობა, როგორც დამახასიათებელი თვისება ყმის შრომითა და ოფლით ზურგგამაგრებულ თავად-აზნაურთათვის, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, როდესაც ცხოვრების ეს ერთადერთი წყარო მათ ხელიდან გამოეცალათ, მყისვე გაქრა, წავიდა „ვითა სიზმარი ღამისა“. ასე დაემართათ, მაგალითად, ბრეგაძეებს.

დათია ბრეგაძემ, აივანზე პლატონი რომ დაინახა, უსიამოვნოდ, წარბშეხრით თავის ცოლს ნუჩიას ჰკითხა:

„— ის ვინაა, აივანზე რომ წამოჭიმულა?..“

— რა ვიცი, ვიღაც სამანიშვილიო... არისტომ მოათრია!..

— არისტომ? მაგ ოხერი კიდევ მეეთრია?! რა მიხდაო?..

— რა ვიცი, რა უნდა!.. დაწანწალობს. სხვა რა ენდომება!.. რაი მევიდა, სულ იმას იძახის, რომ აწი უფრო ხშირად ვიცილიო... მამიდამისს არწმუნებს.

— მისმა სიცოცხლემ!... მე იმას აქ ბინა დაეადებო!?! ორივეს კარში გავეყრი!.. რა გვარია ის კაცი!?

— სამანიშვილი, ბატონო, სამანიშვილი... რა იქნა ამდენი კითხვა?

— გაჯავრებით შეუტია ნუჩიამ. — ვახშამი გეჭირია აგერ...

— რა ვახშამი უნდათ?.. — დაიწყო დათიამ¹.

უკმაყოფილება გამოწვეულია შიშით, რომ მათ ცხოვრების სახსარი ეცლებათ, საშინლად შემცირებულს ვინმე კიდევ შეუმცირებს, წაართმევს. ამას გარდა, მათი ოჯახის ასე გადატაკების გამომჟღავნება მათ შერჩენილ სიამაყეს, ქედმაღლობას ლახავს. ასეთი განცდები სასტიკად ცვლის „ყოფილი ადამიანების“ ფსიქოლოგიას, აცარიელებს

¹ დ. კლდიაშვილი, თბზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 180.

მათ პიროვნებას, აცლის ადამიანურ თვისებებს — სიბრაღულს. პატივისცემას, თანაგრძნობას მახლობლისადმი.

განა ასეთი შიშით არაა გამოწვეული მთელი ტრაგედია პლატონ სამანიშვილისა? პლატონი მამის სურვილმა ცოლის შერთვის შესახებ მხოლოდ იმიტომ აღაშფოთა, რომ ეშინია მეორე ცოლთან მამას შეიღო არ მიეცეს და ისედაც სიმწრით მიღებულ სარჩო-საბადებელში მონაწილე არ გაუჩნდეს. პლატონი კარგად ითვალისწინებს, რომ მისი საცხოვრებელი წყარო ის მცირე მიწაა, რომელსაც იგი ამუშავებს. კარგად ხედავს, რომ წელებზე ტყეს იღვამს, მაგრამ ცხოვრებას მაინც თავს ძლივძლიობით ართმევს. სულ ცოტაა საკმარისი, რომ ნიადაგი სავსებით გამოეცალოს. ამ შიშშია ჩამარხული პლატონის მამისადმი წინააღმდეგობაც და ბოღმაც.

ბეკინას სურვილი გარდუვალი აღმოჩნდა. პლატონი მამის სურვილს მხოლოდ მაშინ შეურიგდება, როდესაც ამ საბედისწერო შიშის თავიდან ასაცილებელ გზას გამოიხატავს: გამოუძებნოს მამას ორნაქმარევი საცოლუ, რომელსაც არცერთთან შეიღო არ ჰყოლოდეს.

მშენიერადაა ნაჩვენები პლატონის მღელვარება. მაშელობას პლატონი სხვას არ ანდობს. თვითონ იღებს თავის თავზე. საქმე არც ისე ადვილი იყო, რომ უცბად თავი მოეხა, მით უფრო, რომ ბეკინას მოთხოვნა არ იყო განუჩივრებელი. მართალია, მას ახალგაზრდა ყმაწვილი ქალი არ უნდოდა, მაგრამ არც „უკბილო ბებერი“ ესია მოვინებოდა. ამასთან, შესახედავდაც მისი და მისი ოჯახის შესაფერი უნდა ყოფილიყო.

შევიწროებული პლატონი იწყებს იმერეთის სოფლებში სადღინა-ცეკლოს ძებნას; დიდი ცდა, ჯაფა, უსიამოვნება, შეურაცხყოფა გადაიტანა მან მგზავრობა-ძებნაში. მიზანს მიაღწია. შესაფერისი ქალი, სწორედ როგორსაც ეძებდა, გამოიხატა — ბრეგაძეების დედინაცვალი. პლატონმა დიდი უანგარობა გამოიჩინა, არც მშობიერი მოინდომა; ბრეგაძეების ღარიბი ოჯახი გამოქორწილების ხარჯებისგანაც რომ ეხსენა, სადღინა-ცეკლო მოიტაცა კიდევ თავისი სიძის კირილე მიმინოშვილისა და არისტო ქვაშაეძის დახმარებით.

დაწყნარდა სამანიშვილების ოჯახი. ყველა კმაყოფილია. მაგრამ დახე ფათურაქს თუ უბედურებას. გავიდა ხანი. მელანომ, პლატონის ცოლმა, შენიშნა, რომ დედინაცვალი ფეხმძივდაა, მალე პლატონიც და ბეკინაც დარწმუნდნენ ამაში. ამან კვლავ ააფორიაქა სამანიშვილების ოჯახი, განსაკუთრებით პლატონი. ბებერი მტანჯველი ფიქრის, განცდისა და განსჯის შემდეგ პლატონი მდგომარეობას ურიგდება, იქნებ მის დედინაცვალს გოგო ეყოლოს. მაგრამ, დახე უბედურებას, — ვაჟიშვილი არ მიეცა!

ახლა კი ოჯახის გაპარტახების შიშმა მოიკცა პლატონი; მან დაკარგა წონასწორობა. პლატონს იმდენად სძულდა ახლად დაბადებული ზავში, „რომ არც თავად უნახავს და ცოლსაც ნებას არ აძლევდა მასზე ხმა ამოელო მასთან“. მან ბავშვის დაბადებიდანვე მოითხოვა გაყაროდა მამა. მიუხედავად ბეკინას დიდი თხოვნისა, პლატონმა მაინც აღარ მოინდომა მასთან ცხოვრება. გაეყარა. ბეკინა მალე გარდაიცვალა.

მამის სიკვდილმაც კი ვერ შეარიგა პლატონი თავის პატარა ობოლ ძმასა და ქვრივად დარჩენილ დედინაცვალს. პირიქით, ის დაუძინებელ მტრად გადაეჭია მათ.

მოთხრობის ეპილოგში შემოდგომის აზნაურთა ყოფის აი როგორ დამახასიათებელ სურათს იძლევა ავტორი: „N-ის მომრიგებელი მოსამართლის სახლის აივანზე სწრაფ შეგვდებათ შავებით მორთული ხნიერი დედაკაცი, რომელსაც ხან მზად დაკეცილი მისართმევი თხოვნა უჭირავს ხელში, ხან ისეა — ხელცარიელი, გვერდით უყენია ხუთი წლის პატარა შავთვალა მალხაზი ბავში ჩითის ბლუზით, წითელი წულებით, კიზიროკიანის ქუდით თავზე, უქამროთ, და მოსამართლესთან ღისვლის დროის მოწვევამდის ეს დედაკაცი გულდამწვარი უამბობს ხოლმე ნაცნობთ და გარს შემოსეულ მაყურებელთ თავის გაჭირებებს, უსაშველობას და მწუხარებას, რაც მათ ორსავე დედა-შვილს ადგიათ მისას გერის, პლატონ სამანიშვილისაგან, რომელმაც აღარც ღობე შეარჩინა, აღარც საზღვარი, აღარც ადგილი და იძულებულს ხდის საწყალ მოხუცებულ ქვრივ დედაკაცს იწაწალოს ყოველკვირა სასამართლოში“¹.

ასეთს არალმობერს, შეიძლება ითქვას, ბოროტს, მტრულს დამოკიდებულებას იჩენს ცხოვრებისაგან შეშინებული პლატონი თავისი ძმისა და დედინაცვლის მიმართ.

* * *

მიუხედავად პლატონის ასეთი გულქვეა დამოკიდებულებისა ობოლი ძმისა და დედინაცვლისადმი, ჩვენ მაინც მართებულად არ მიგვაჩნია ი-ნ-შიძის აზრი 1897 წელს გამოთქმული „კვალის“ ნომერში. ის წერს: „...აქ ავტორს ერთი მარცხი მოსდის, რომელიც მოთხრობის ბოლოს აუშნოვებს. გამწარებული პლატონი ორსულ დედინაცვალს ეძგერება და მუცელში ქუსლის (?) ჩაცემას უპირებს. ეს მკითხველისათვის სულ მოულოდნელი შემთხვევაა, მის გრძნობას ეჩოთირება და მოთხრობის კილოს არ შეეფერება. ამისთანა შედეგს მხოლოდ სულის

¹ დ. კლდიაშვილი, თხ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 194.

მძლავრი მოძრაობა გამოიწვევს ხოლმე; პლატონის სულის გადასაჯალი კი მოთხრობაში უფრო მარტივი და ჰუმორულია. ავტორი ნაზად და ალერსიანად გვესაუბრება და ბოლოს ბეკინას ოჯახში კარი შეადო, შიგ მოულოდნელი საზიზღრობა დაგვანახა და დაგვაფეთა. მოთხრობის მეორე ნაწილი საზოგადოდ პირველისთანა ცოცხალი და შემუშავებული არ არის“¹.

ჩვენის ფიქრით კი, მოთხრობის „სამანიშვილის დედინაცვალი“ ბოლო სრულიად ბუნებრივია და ფსიქოლოგიურადაც გამართლებული. ცხოვრებით შევიწროებული პლატონი გრძნობს, რომ მისი ოჯახი თანდათან ლატაკდება, დაქვეითებას, განადგურების გზით მიდის; გაუარესების მიზეზად ის თავის ისედაც მცირე მამულის და ნახევრად მშვიერი ცხოვრების მომავალ მონაწილეთ—მასა და დედინაცვალს სთვლის. სვლინდელი დღის შიშმა, რომ ისიც, მისი ცოლ-შვილიც შესაძლებელია შიმშილით დაიხოცონ, პლატონი აღაშფოთა. გამოსავალს ასეთი მდგომარეობიდან ის ვერ ხედავს. პლატონი პატარა კაცია, ახალი ცხოვრების პირობებით ზომამზე მეტად შევიწროებული. ცხოვრობს ყოველდღიური, წვრილმანი, ზოოლოგიური ინტერესებით — ცოლ-შვილი ასაზრდოვოს და როდესაც ის ამ იმედის მომსპობ გარემოებას დაინახავს, წონასწორობას კარგავს. ამგვარი შიშის წინაშე უღონო, უილაჯო პლატონი კარგავს ადამიანურ გრძნობებს — შებრალებას, ლობიერებას, თანაგრძნობას, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნებას. მასში იღვიძებს მხოლოდ ცხოველური ინსტინქტები. ის დაუნდობელი, განურჩეველი „შურისმაძიებელი“ ხდება. ის მიზანშეწონილად თელის ჩანასახშივე გაანადგუროს თავისი მომავალი მოწილადე. ამიტომაც, რომ „ორსულ დედინაცვალს ეძგერება“. ხოლო ვერ მიაღწია რა მიზანს, პლატონი ცდილობს მცირეწლოვან მასა და დედინაცვალს ყოველგვარი დაუმსახურებელი უსიამოვნება და შევიწროება მიაყენოს.

მართლაც, საშინელია ასეთი დამოკიდებულების დამყარება ისეთი პატროსანი მშრომელი კაცისთვის მაინც, როგორსაც პლატონის სახით დავით კლდიაშვილი გვიჩაბრავს. მაგრამ მწერალს უნდა მაქსიმალური სიმკვეთრით დაგვანახოს ახალი ცხოვრების პირობებით რა ზომასგაცილებულ გაჭირვებაშია „შემოდგომის აზნაური“, რომელაც შიმშილით მოსალოდნელმა სიკვდილის შიშმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, ადამიანის სახე დაუკარგა.

თუ „სამანიშვილის დედინაცვლის“ მეორე ნაწილი, როგორც ამას აღნიშნავს ი-ნ-შიძე მითითებულ წერილში, — „შემუშავებულია და, პირველისთანა ცოცხალი არ არის“, ესეც ბუნებრივია და გამართლებული. არც ამ შემთხვევაში დალატობს დავით კლდიაშვილს ზონი-

¹ „ქვალი“, 1897, № 7.

რების ალლო: მოთხრობის პირველ ნაწილში სამანიშვილების ოჯახი გაკირვებული არ არის, მის წევრებს მძიმე შრომით გააქვთ ცხოვრების დელო, ამას არც პლატონი და არც მისი მეუღლე, მეღანო, არაფრად აგდებენ. ბეკინას ცოლის შერთვის დაუინებით მოთხოვნამ, მართალია, მწარედ შეაფიქრინა ბეკინას შვილიც და რძალიც, მაგრამ იმედი მაინც აქვთ: თუ სადენინაცლოდ სასურველ ქალს (ორნაქმარევეს. შვილი რომ არც ერთთან ჰყავდეს) აღმოაჩენენ და მამასაც დაიყოლიებენ, საქმე კეთილად დაბოლოვდება. ბეკინას თანხმობას, პლატონის მოგზაურობას სადენინაცლოს გამოსანახავად მოთხრობის პირველ ნაწილში შეაქვს ხალისი და სიცოცხლე. მაგრამ როცა იმედი გაკრუვდა, ოჯახი, დანაწილდა, ცხოვრება უფრო უხალისო, მძიმე შეიქმნა, სიცოცხლე გაუმწარდათ „შემოდგომის აზნაურებს“.

დავით კლდიაშვილის შემოქმედების, კერძოდ, მისი მოთხრობის „სამანიშვილის დედინაცლის“ ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილია პლატონ სამანიშვილის მიერ ორნაქმარევი ქალის გამონახვის ამბავი. ხალისითა და იუმორითაა გადმოცემული პლატონის უცნაური განზრახვის შესრულება. მოთხრობის ღირსება ცოცხალსა და მხიარულ მოძრაობაშია. გამოწყობილი პლატონი მიემგზავრება ორნაქმარევის დედინაცლის საძებნელად და მას აპყვება მომჯადოებელი ირონია. ღმრთული ფიქრი, რომელიც პლატონის განუყრელი თანაგზავრია და მთელ მის ფათურაკითა და სიძნელეებით საესე ძიების პროცესს ხალისიან შუქს ჰდენს.

მართლაც, მკითხველს უცნაურად ეჩვენება და გულიანად იცინის, როცა პლატონი ამ მისთვის საბედისწერო მომენტშიც კი არ ივიწყებს აზნაურისათვის შესაფერი გარეგნული პატივის დაცვას. ფეხით წასვლა სხვა სოფელში აზნაურისათვის სირცხვილია, პლატონს კი ცხენი არა ჰყავს. ცხენი ერთ მეზობელს ძლივს აღმოაჩნდა, ისიც ზურგადაყვლეფილი. მაგრამ პლატონს ცხენი მხოლოდ სხვის დასანახავად, პატივის შენახვისათვის უნდა: „—ფეხ-ფეხა მიყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მიყვები!.. სირცხვილისათვის მიმყვებს, თვარა რა“!...¹ ეუბნება პლატონი ცოლს. მაგრამ სინამდვილეში პლატონს თავისი სურვილის წინააღმდეგ ამ ზურგადაყვლეფილ საცოდავ ცხენზე შეკლომა მოუხდება. რატომ? გავიდა თუ არა თავისი სოფლიდან, მას შეხვდა ადვოკატი გვერდევანიძე. შეუფარებელი და სამარცხვინო იქნებოდა აზნაური პლატონი ცხენიანს ფეხით გაყოლოდა და ისიც სურვილის წინააღმდეგ მოაჯდება ზურგადაყვლეფილ „რამს“.

ასე, მოთხრობის მთელი შინაარსი იშლება კომიკური წინააღმდეგობის საფუძველზე, რაც მოულოდნელ სიტუაციებს ქმნის: ერთს

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 132.

ელით, მეორეს, სრულიად საწინააღმდეგოს იღებთ, რაც იწვევს განუწყვეტელ სიცილ-ხითხითს. მაგალითად, პლატონიც და არისტოც დარწმუნებულნი არიან, რომ გაძვალტყავებული ბრეგაძეები სიამოვნებით დათანხმდებიან დედინაცვლის გათხოვებაზე. მაგრამ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობას უწევენ, რადგანაც ეშინიათ, რომ დედინაცვალი მათ ქონებიდან წილს მოითხოვს. პლატონი და არისტო იძულებული შეიქმნებიან ელენეს ფიქტიური მოტაცებაც კი მოაწყონ (ამ პირობებში ელენე კარგავდა უფლებას გერებისაგან მოეთხოვა თავისი კანონიერი ხვედრი). ამ გზით პლატონი მამას დააქორწინებს. მაგრამ ელენე სწორედ ბეკინასაგან დაორსულდება. შემფოთებული, კეთილი პლატონი დაიშვიდება თავს მით, რომ დედინაცვალს ქალი ეყოლება, მაგრამ იქედი აქაც გაუცრუვდება — ვაჟიშვილი დაიბადება. და ასეა მთლიანად. ამბავი კომიკურ წინააღმდეგობაზეა აგებული, რაც მკითხველში განუწყვეტელ სიცილს იწვევს.

დავით კლდიაშვილს უნდა მკითხველს ზედმიწევნითი სისრულით გააგებინოს თუ განაცდევინოს „შემოდგომის აზნაურის“ ნიადაგამოცლილი ცხოვრება. ეს რომ უფრო დასამახსოვრებელი იყოს მკითხველისათვის, მწერალი ყოფის ასეთს დეტალებსაც მოიმარჯვებს: პლატონი გადაწყვეტს სადედინაცვლოს საძებნელად გზას გაუდგეს. მას ცხენი არ ჰყავს, მეზობლებში დადის, გაჭირვებით გამონახავს ცხენს, იმასაც ზურგგადაყვლეფილს. დაიწყებს პლატონი ცხენის შეკაზმვას და აღმოჩნდება „ენა არა ჰქონებია აბზინდს“, რის გამოც პლატონი იძულებულია მოსართავი „ჩხინკით“ დამაგროს. ეს დეტალი — მოსართავის „ჩხინკით“ დამაგრება, „შემოდგომის აზნაურთა“ ვანიავებულ ცხოვრებას მეტად ცოცხლად, თვალსაჩინოდ ხატავს. ან კიდევ: არისტო ქვაშავაძემ პლატონ სამანიშვილი ბრეგაძეებთან სტუმრად მიიყვანა. ბრეგაძეები მხოლოდ ბინდისასლა დაფაცურდნენ სტუმრის დასახვედრად: ეზოდან მოისმა რაღაც ხმაურობა... აგერ გაიბრინა ქათამაც, მას უკან მისდევდა ძაღლი დასაჭერად, აგერ კაცის ფეხის ხმაც მოისმა, რომ წირბოდა¹. ამ დროს ცხენების დახედვის მიზნით ეზოში ჩადის არისტო. „უეცრივ რაღამაც გაისისინა ჰაერში და არისტოს მოხვდა ჰოლოკი მარჯვენა კუნთში“². ისე რომ არისტო გულშეწუხებული დაეცა ყვირილით: „არ მომკლა ამ ვირმა!“... იშვიათი სიცხადით, მეტად დამახასიათებელ ფერებსა და მოძრაობაშია მოცემული გადატაკებული „შემოდგომის აზნაურის“ ოჯახის საჭმიანობა სტუმრის დახვედრისას! ან კიდევ: არისტო და პლატონი ბრეგაძეების ეზოში შევიდნენ. მათ კარგა მოგვიანებით გამოეგება უმ-

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 181.

² იქვე, გვ. 182.

ცროსი იმა სერაპიონი, რომელმაც სტუმრებს ცხენები ჩამოართვა. და-
ბა და შემდეგ სტუმრები სახლში მიიპატიოა. ახლა გამოჩნდა არისტოს
მამიდა ელენე (პლატონის სადენინაცელო), რომელიც თავის დის-
წულს ალერსით შეხვდა.

ელენეს დავით კლდიაშვილი ასე აგვიწერს: „ეს დედაკაცო სწორედ
ჯრიგო არ იყო. თავის ხნოვანობის მიხედვით შეხედულებაც სასია-
მოვნო ჰქონდა. მართალია, ეტყობოდა გამოსვლის წინ უმარილი მო-
ესვა პირზე, თვალების უბეები სულ ამოთეთრებული ჰქონდა ამ სა-
ცხებლით, მაგრამ მაინც მისი კაი ფერი და წითური ლოყები თვალში
ეცა პლატონს... „სჩანს, მართლაც, ღწერთი მწყალობს!“ — გაიფიქრა
კმაყოფილმა პლატონმა“¹.

რა თქმა უნდა, შეუთავებელ სიცილს იწვევს ეს დეტალიც: დედა-
ბერს, „ორნაქმარევს“, ასეთს სიღარიბესა და შევიწროებაში მყოფს,
უცხო სტუმართან შეხვედრისას უმარილის სახეზე მოსმა რომ არ ავი-
წყდება. რა მოხდენილად ახასიათებს ეს დეტალი ქალის ბუნებას, მის
სურვილს თავი მოაწონოს, უკეთესად გამოჩნდეს, ვიდრე ის სინამდვი-
ლეშია! ეს შტრიხი შთამბეჭდავად გვიჩვენებს ქალის ხასიათსა და
სოფლის ყოფასაც. დეტალის ამგვარი ნიჭიერი გამოყენება დავით
კლდიაშვილის მთელი შემოქმედებისათვისაა დამახასიათებელი.

* * *

„შემოდგომის აზნაურის“ სახეები აქვს მოცემული დავით კლდია-
შვილს მოთხრობაში „ქამუშაძის გაჭირვება“. აქაც, რო-
გორც „სამანაშვილის დედინაცვალში“, ცხოვლად, რეალურ ფერებში
განსახიერებელია მთელი გალერეა ახალი ცხოვრების პირობებში
ნიადაგამოცლილ, დარეტიანებულ, განწირულ მდგომარეობაში მყო-
ფთა, რომელთა ნაწილიც შეუბრალებლად იღუპება, ხოლო ნაწილის
გადარჩენა შესაძლებელია, თუ ისინი მოიკრეფენ ძალას და ახალ პირო-
ბებს შეეგუებიან, ახალი გზით დაიწყებენ ცხოვრებას. ვინც ადრე მი-
ვდება ამას, ის ადრეც გადაირჩენს თავს, როგორც მოიქცნენ პო-
ფირი ბიაშვილის და მისი ნათესავი ბეგლარ ჯინჭა-
რაძის მამები, რომელთაც, გაითვალისწინეს რა, რომ მამაპაპეულს
ბუდეში ცხოვრება მათთვის საბედისწერო შეიქმნა, ადვილად მოსწყდ-
ნენ მას და გზა ქალაქისაკენ აიღეს.

დავით კლდიაშვილი ამით მკითხველს უთითებს, რომ ახალი ცხო-
ვრების პირობებში ქალაქი თავისი საქმიანობით აღმავლობის გზით
მიდის, ქალაქი ხდება ცხოვრების ახალი გზის ხელმძღვანელი. და ამ

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 176.

აუცალებელ ვზას მწერალი დიდი ბუნებრიობით და ოსტატობით გვიხატავს.

მაქსიმე ბიაშვილი („ქაბუშაძის გაჭირვება“) ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მეტად გაჭირვებულ მღვდმარეობაში ჩავარდა და გადაწყვიტა ქალაქში გადასახლდეს. მან იქ ადგილიც იშოვა (ეკლესიაში გალობა დაიწყო, რადგან კარგი ხმა ჰქონდა) და ორი შეილიც სასულიერო სასწავლებელში მისცა. ერთი ეკლესიის დიაკვნად ეკურთხა, ხოლო მეორე, პ ო რ ფ ი რ ი, თავისი მკვირცხლი გონებითა და ცოცხალი ხასიათით „სასულიერო წოდების მშვიდ ცხოვრებას“ ვერ შეურიგდებოდა და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მომრიგებელ-მოსამართლის კანცელარიაში ამჯობინა მუშაობა. პორფირიმ მალე აუღო კანცელარიას ალღო, გარეთ დაიწყო მთხოვნელების მიღება, რჩევა-დარიგების მიცემა, რაც მეტ შემოსავალს აძლევდა. მაგრამ მალე მისმა მეტოქეებმა ამხილეს და პორფირი ბიაშვილი იძულებული შეიქმნა დაენებებინა თავი კანცელარიისათვის.

პორფირი ბიაშვილი, დავით კლდიაშვილის გაგებითა და ჩვენებით, ახალი, კაპიტალისტური ცხოვრების პირობებში შექმნილი და ანოტივიტივებული მოხერხებული, ე. წ. „საქმის კაცია“.

პორფირი ბიაშვილი არ დაიბნა, დიდხანს არ უფიქრია, რა ვზას უნდა დასდგომოდა. გადაწყვიტა კანტორა გაეხსნა არზების საწერად, სოფლებში ვეჭილობა და ქალაქის ადვოკატებისა და სოფლელთა შუამავლობა ეწარმოებინა.

პორფირი ბიაშვილი, „... დაუღალავი, ენერგიით სავსე:—ახასიათებს მწერალი, — მუდამ ხალისიანი, მოცინარი, გონება-გამჭრიახი, მოხერხებული, უცნაური ხრიკების მომგონი, მეტად ადვილად უახლოვდებოდა ხალხს პირველ გაცნობისთანავე... ერთხელ მის ხელში ჩავარდნილი პირი... ძნელად თუ დაუძვრებოდა, სანამ მისგან არ გამოირჩებოდა, რამდენის გამორჩენაც შეიძლებოდა“¹.

პორფირის მუდამ ჰყავდა ერთი რომელიმე სოფელი „საქმელად“. გაჭირვებულმა ცხოვრებამ ის თავისებურად გაწვრთნა. მან იცის ყველასთან მისვლა, ყველასი და ყველაფრის გამოყენება, თავისი და სხვისი საქმეების გაკეთება-გამოსწორება. მას უნარი აქვს უცხო სოფელში ადვილად გამონახოს ფეხისმოსაკიდებელი. აკი ასე ადვილად მოახერხა შორეული, როგორც მწერალი წერს, „ყვავი—ჩხიკვის მამიდობის მავგარი“ ნათესავის ო ტ ი ა ქ ა მ უ შ ა ძ ი ს საშუალებით, სოფელ თამარნაშენში თავისი მოღვაწეობის გადატანა; აკი ასე ადვილად მოიგო როგორც ოტიასა და მისი დედის, ეკვირინეს გული, ისე იქაური გლეხკაცებისა. პორფირი, მოგვითხრობს მწერალი, „...მალე

¹ დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 221.

შეთვისა ამ უცხო ხალხს და ხუმრობაში აპყვა სერაფიონს. მან იწო-
ვა მარჯვე შემთხვევა და მოპყვა ათასგვარ სასაცილო შემთხვევებს,
რაც მას ჰქონებია თავის სავექილობებში. მან მოხერხებულად გა-
დაიტანა ლაპარაკი თავის თავზე: ხან ტყუოდა, ხან ტრაბახობდა, ხან
რალაც უცნაურ ამბავს გამოუჩრევდა. ყველა ახლა იმას მისჩერებოდა.
მთელი შეკრებულება სმენად იყო გადაქცეული... ყურს უგდებდა ამ
ენაწყლიანსა და ენამოხერხებულ კაცს¹.

პორფირი ბიაშვილმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა შეკრებილ
გლეხებზე, რომ მალე ბევრმა მიატოვა ადგილობრივი შინა ვექილი
სარდიონ ქვლივიძე და მას მიანდო თავისი საქმე, ასე ას-
წავლა თუ დაგემა „შემოდგომის აზნაურის“ შთამომავალი ცხოვრების
შეუბრალებელმა პირობებმა.

ასეთივე ტიპია ბეგლარ ჯინჭარაძეც. ესეც წვრილფეხა
აზნაურთაგანია, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, სოფლად „მოუ-
ხერხებელი ცხოვრების გამო, ქალაქს შეხიზნული“. მისმა მამამ სოფ-
ლომ ჯინჭარაძემ მალე იგრძნო, რომ „სადაც მეტი ხალხია, იქ მეცა-
დინე კაცისათვის უფრო მეტია შემთხვევა რამე იშოვოს“.

უმცროსი შვილი ბეგლარი სოფლომ ჯინჭარაძემ ახალი ცხოვრების
ძოთხოვნილებათა მიხედვით სამოქალაქო სკოლაში მოსცა. ბეგლარმა
ადგილად შეითვისა მამის შეხედულებანი და ხასიათი. პატარაობიდან-
ვე მარჯვედ დააგემა, შეეცადა ისე გამომწვარიყო ქალაქის ცხოვრე-
ბის ქურამში, რომ „კაცად დამდგარიყო“. მეცადინეობაც დაუფასდა.
„კაცად“ იქცა, — შენიშნავს დავით კლდიაშვილი მისთვის დამახასია-
თებელი თავდაპირილი იუმორით. — „ჭკვიანი კაცი“ შეიქნა — „...თა-
ვით ფეხებამდე ეგოისტი, მხოლოდ პიროვნული ინტერესების მიმ-
დევარი, რომელთ გარეშე მას არაფერი სწამდა და კიდევაც გუნებაში
დასცინოდა შათ, ვინც რალაცას ეძებდა, რალაცებს თავს ატეხდა, ვინ
იცის, რისთვის, ან ვისთვის... კაცს აფასებდა მხოლოდ მის მიხედვით,
თუ რამდენად მისგან უსარგებლია, ან გამოელოდა რამე სარგებლო-
ბას“².

აი სწორედ კაცის ეს თვისებები შეიქმნა დამახასიათებელი და წა-
მყვანი ახალი „ულმობელი ცხოვრების პირობებში“. აი როგორი
ადამიანის ტიპი მოუშაედებოდა ახალ ხანაში, როდესაც ახალი ცხოვრე-
ბა ახალ კალაპოტში დგებოდა, ქალაქური ცხოვრების პირობები რომ
ძლევამოსილად მკვიდრდებოდა. ასე გრძნობს დავით კლდიაშვილი
ახალი, ბურჟუაზიული ცხოვრების დასაწყისს, რომელსაც სათავე
ქალაქში ედებოდა, სადაც ფული შეიქმნა ადამიანისა და ცხოვრების

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 233.

² იქვე, გვ. 240.

„უტყუარი“ საზომი, ხოლო ამ ფულის ქებნა თავისებურად სჭედდა აღამიანის ბუნებასა და ხასიათს.

ბეგლარ ჭინჭარაძესაც ბავშვობიდანვე გაჭირვებულმა ცხოვრებამ გააგებინა ფულის, კაპეიკის მნიშვნელობა და ყადრი. ფულისათვის ის ყველაფერს იკადრებს, ყოველივე მსხვერპლს გასწირავს. ამიტომ ბეგლარი ადვილად თანხმდება თავისი და ს ო ნ ი ა მიათხოვოს აზნაურ ოტია ქამუშაძეს, ანგარიში არ გაუწიოს დის სურვილს, რადგანაც დისადმი ჩვეულებრივი მოვალეობის შესრულება, — დის გათხოვება-ღაბინაება — უმზითვოდ, ე. ი. უფულოდ ხერხდება; ამით მასაც მეტი შესაძლებლობა ექნება პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს.

ოტია და მისი დედა, ეკვირინეც, მზითევს აღარ დასდევენ, რადგანაც მათ ოჯახში ქალაქელი — „განსხვავებული ქალი“ შედიოდა, მათი აზნაურული თავმოყვარეობაც დაკმაყოფილებულია. მეზობლების გასაგონად ეკვირინე სიამოვნებითა და სიამაყით გაიძახოდა: „ — გვერდში ამოუყენოს ჩემს რძალს მათი სოფლის ნაცარში ამოქინქნილი ქალბატონი!“... აქ ეკვირინეს მხედველობაში ჰყავდა სარდრონ ქველიძის ქალი, რომელიც ოტიას სიღარიბის გამო არ მიათხოვეს“: „...თავისი ტყედ წასული შვილი გაუტოლოს ბეგლარ ჭინჭარაძეს! მათმა სიცოცხლემ, — არ ცხრებოდა შვილის ქალაქელ ქალზე დანიშნვით გადიდგულებული ეკვირინე. — დეცხათ მაგათ თავს ლაფი!“ დავით კლდიაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალაქს სოფელთან შედარებით დიდი უპირატესობა მოუპოვებია.

ოტიას მიერ ქალაქელი ქალის დანიშვნამ სოფელი გააკვირვა. უმეტესობა ოტიას საქციელს მეტიჩრობად სთვლიდა და ამტყუნებდა კიდევ: „ქალაქ ადგილას გაზრდილი ქალის სოფელში მოყვანა სისულელეა“—ო, ზოგიც უნდობლად, ეჭვით უყურებდა ამ საქმეს: „ვინმე ოხერი შეაჩეჩეს სელში, თორემ რიგიანი ვინ გეიმეტებდა თავა, ქალაქს მიატოვებდა და ოტიას წამოყვებოდა სოფელშიო“².

სოფელმა იგრძნო თავისი გაწრიოკება, ჩამორჩენილობა, უილაჯობა. ქალაქის უპირატესობა აღიარა, მის წინაშე ქედი მოიხარა. სოფელი ამჟამად გრძნობს, რომ ბედნიერ ცხოვრებას ქალაქი იწყებს. ქალაქშია ცხოვრების წყარო. იმან უნდა გააშუქოს გზა მომავლისა. ის, სწორედ ის არის სიღარიბის ტალყვისიცი.

ეკვირინე პირდაპირ აღტაცებულია იმ ბედნიერებით, რომ მისი რძალი და მახსლები ქალაქელები, ნასწავლნი არიან. ის მომავალს მხედ და იმედინად შეჰხარის, რაგანაც კავშირი ქალაქთან დაიჭირა.

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 252.

² იქვე.

დავით კლდიაშვილი მისთვის ჩვეული დიდი ოსტატობით აგვიწერს ეკვირინეს სურვილს რძალს სოფლისა და პირადად მათი ოჯახის ხელმოკლეობა დაუშალოს, თავისი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა რძალს ისე წარმოუდგინოს, რომ მას მომავლის შიში ააციდინოს, შიში, რომელიც არ უნდა თვითონაც შეიმჩნიოს, რომლის გამხელას თავის თავთანაც ვერა ბედავს.

ქალაქისა და ქალაქელების უპირატესობას სხვა სოფლელებიც აშკარად გრძნობდნენ. ასეთს შეხედულებას მწერალი იშვიათი მოხდენილობით ხატავს სონიასადმი ოტიას ნათესავეებისა და მეზობლების დამოუკიდებლობაში. „მასთან, — გადმოგვცემს მწერალი, — ყველანი დიდის მორიდებითა და პატივისცემით იყენენ. სადაც მიდიოდა, ყველგან მეცადინებოდნენ, რაც გაეწყობოდათ. ქალაქურ წესზე გარჯილიყვენ და მასპინძლობა-ბოდიშებს დასასრული არა ჰქონდა, რადგან თითქმის ყველგან ნამეტანი ხელმოკლეობა და მოუწყობლობა სჩანდა. „სოფლურად ასე ვიციოთ... მეტი არ გვეხერხება, რა ვქნათ, რა ვუყოთ — თითქმის ერთნაირად ესმოდა ყველგან, სადაც-კი მისულა სონია. ზოგიერთნი-კი მიპატოებებსაც ვერ ჰბედავდნენ შეუძლებლობის გამო და ეკვირინესთან სხვა-და-სხვა მიზეზის დასახელებით მარჯვე დროისთვის სდებდნენ მისი რძლის პატივისცემას“¹.

ეკვირინე, რაც კი შეეძლო, ცდილობდა სონიასათვის ქმრის დარბიი ნათესავეების ნახვა და გაცნობა აერიდებინა. ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება სასიმოვნო და იმედისმომცემ ფერებში დაეხატა არსებული და განსაკუთრებით მომავალი ცხოვრება. მაგრამ გაჭირვებაში გამოტარებული სონია დედამთილის გადაპარბებულ ლაპარაკსა და დაპირებებში აშკარად სიყალბეს გრძნობდა. ამის დასადასტურებელ საბუთებს სონია, სახლიდანაც კი რომ არ გასულიყო, კარგად ხედავდა: საერთო გაჭირვება, ერთმანეთში ჩხუბი, მტრობა, დავიღარაბა, ვაუტანლობა — აი რა ავსებდა სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებას.

სონია, რაც მეტს ეცნობოდა და უკვირდებოდა სოფლის ცხოვრებას, მით უფრო ღრმად რწმუნდებოდა ქამუშაძიანთ ცხოვრების უნიადაგობასა და საშიშროებაში. ამისი დამადასტურებელი სონიამ სოფელში მრავალი ნახა: დაწყებული შეძლებულად ცნობილი სარდონ ქველიძის ოჯახიდან, უმზიანოების გამო ქალს რომ ვერ ათხოვებდა, და გათავებული ოტია ქამუშაძის ბიძების — ლევანისა და ომანის — გაწყალებული. გაძვალტყავებული და უგემურად აშლილი ცხოვრებით.

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 268.

აი როგორ ფერებში გადაუშლია სონიას თავიანთ ცხოვრებას ეფ-
ტოსინე, ლევან ქაშუშაძის ცოლი: „ჩვენ ნუ დაგვემდურები,
შვილო, ნუ დაგვემდურები, რომ ვერც გაპატუობთ და უპატუვემუ-
ლოდ რომ ხარ ჩვენგან! რითი დაგპატუო, შვილო, რანაირად გცე პა-
ტივი?... შენ რომ ჩენი ამბავი და მდგომარეობა იცოდე, პირაქეთ
შეგვიცოდებ და შეგვიბრალებ... სირცხვილია, თავის მოჭრაა, შენ
გენაცვალე, ამას რო გეუბნები, მარა რაღაზე დაგიმალო, შვილო, რა-
ბით დეიმალება ჩენი ამბავი?“¹

ეკვირიწე უმიზნოდ კი არ ცდილობდა სონია ეფროსინესთან არ
მიხულოყო და მისი გაჭირვებული მდგომარეობა თავის თვალთ არ
ენახა. ლევან ქაშუშაძისას სონიამ საშინელი სურათი იხილა. სინამ-
დვილემ ყოველგვარ წარმოდგენას გადააჭარბა. ეკონომიურად სავ-
სებით მიწასთან გასწორებული ოჯახი: ოჯახის უფროსი წევრნი —
ეფროსინე და ლევანი — ცხოვრებისა და ხალხისაგან, შვილებისგანაც
კი მოძულეებულნი, გარიყულნი, რაღაც სუბარელ და საცოდავ მდგო-
მარეობაში არიან.

მწუხარებით უამბობს სონიას ეფროსინე თავის მწარე ცხოვრებას:
„ქალიშვილებია და ვერც ერთი გასახარებელ ცხოვრებას ვერ ეღირსა,
ინათგან რა შემწეობას და ხელისწყობას მოველოდე! ვაჟიშვილები
იყვნენ და ორივემ ასე მოგვიძულეს, რომ მშობლებს კი არა, ძალს
არ მოიძულებენ, შენ გენაცვალე, ძალს არ მოიძულებენ!.. ა, ვარჩევ
განსმარ სიმინდს ყანაში თითო ტარობით და მომაქვს, დეკაკლოვ
და ეგება კინემს სამოწყალოდ წამილოს ეს ერთი კალათი წისქვილში
დასაფეველად... ჩვენთვის, შვილო, არც საჭმელი, არც სასმელი, არც
წყალია, არც შეშა... ცხელ საქამაღს ეგებ ორ-სამ თვეში ერთხელ
იღვიროთ, თუ არა და ცივ ჭაღზედ ვავდივართ, ჩემო შვილო!“²

ეს იყო სულ სინამდვილე!

სონიაზე ლევანის ნახვამ და მასთან საუბარმა უფრო მძიმე და
საშინელი მთაბეჭდილება მოახდინა. სონიამ კარგად დაინახა, რომ
ეს ხუდრი მარტო ლევანისა და ეფროსინესი კი არ იყო, არამედ მეტ-
ნაკლებობით მთელი სოფლისა. სონიამ ახლა სავსებით და ნათლად
გაითვალსწინა სოფლის ცხოვრების რაობა: „რა ვნახე, რას ვუხუტე,
შენ გენაცვალე, რა ამბავია! — იძახოდა გულდათუთქული სონია, —
რა მდგომარეობაში ჩაუგდია გაჭირვებას საცოდავები! ვაი, ვაი გაჭი-
რვებული კაცის ბრალი! ღმერთო, რა მოგველის?“² და სონიას შეგ-
ნებაში თითქოს შეუმჩნეველად, მაგრამ საკმარისი სიმძაფრით იქედ-

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 268.

² იქვე, გვ. 272.

ღა აზრი, რომ ეს საშინელი სურათი მიღი ნომავალი ცხოვრების სურათიყაა.

რაც დრო გადიოდა, ნათესავ-მეზობლების ცხოვრება სონიას თვალწინ უფრო მეტის სიცხადით იხატებოდა. ეს სანახაობა სონიას არასასარბიელო მომავალს უქადა.

სონია მოწოდებით ეტებს ცხოვრების გამოსწორების საშუალებებს. მან მოინდომა სოფლის მუშაობაში ჩაბმა. ოტიაყ, ისედაყ კარგი ღა დაუზარელი მუშა, ახლა თავდაუზოგეყლად მუშაობდა.

„მას, — გვეუბნება მწერალი, — იმედიყ ჰქონდა, რომ გაუძღვებოდა ამ შემატებულ საჭიროებას თავისი დაუზარებლობითა და ხელშეუშვებელ მუშაობა-მუყაითობით“¹. მაგრამ ეს მაინყ საქმეს ვერაჰველოდა. ყოველი ფეხის გადადგმაზე სონია რწმუნღებოდა, რომ ცხოვრების ნიადაგი მათ გამოცლილი აყვთ, ცხოვრებისათვის სხვა გზა უნდა გამოინახოს.

აჰ საინტერესოა ჰამუშაძეების ოჯახის კიდევ ერთი შტრისი აღიწრწიოს. ოტიასა და სონიას მიეყათ ვაყიშვილი. ბავშვს დიდი ბჰობის შემღღე მოანათვლინებენ შეძღებულ გღებს სიმონ სამადაძეს. აზნაურისათვის ასეთი საქციელი თუმყა სათაყილო იყო, მაგრამ აჰ ანგარიში იყო და საღუძღლიანი ანგარიშიც. ეს პატივისცემა აზნაურისაგან გღებისადმი, ოტიასა და ეყვირინეს აზრით, ნათღიას მოვალეღ გახღდა „ნათღუღისათვის ეზრუნვა და არ მოეყლო უსათუღად თავისი ღონიერი ღუყმიდან შეწევა“. ეყვირინემ და ოტიამ ეს მით უფრო გაბეღეს, რომ „ამ ბოლო ხანს ამგეყარი მაგალითი არა ერთი და ორი ყოფიღა სწორეღ იმავე განზრახვით“, რაც ეყვირინესა და ოტიას ამოძრავღბდა.

აი, ახალი ცხოვრების კიდევ ერთი დამახასიათებელი ხაზი. მაღალი წოღების დეკლასიურობა დაიწყო. ბრწყინვაღე პრივიღეგიურ კლასში შეეღია ახალი ეღემენტი დემოსიდან. მას ეკონომიყური წარმატების მრხეღვით იახლოღებენ, ინათებაღებენ კიდევ. გღები სამადაძე აზნაურებს გვერღში ამოუღვა, მათ უთანასწორღება.

ეს ზღგომარეობა ამყარად მუღავნღება ჰამუშაძიანთ ნათღობაში. აზნაურთა შორის სუფრაზე ნათღია-გღებს სიმონ სამადაძეს საპატიო ადგილი უჰირავს. მეტად დამახასიათებელია ვაჰრობით ზურგმომაგრებღული გღები სიმონა სამადაძის ჰერ მორიღებღული მოყყევა აზნაურთა წრეში, მაგრამ შემღეგ, როყა აზნაური ბესარიონ ჰამუშაძე სამადაძის მოყყევას იუყადრისებს და თვაღების ბრიაღით ეტყვის: „გაწყინა პატივისცემაღ, ყახახო?!“—ო, სამადაძე აღარ უთმობს და რაიყ გულღმისული შეჰყვირებს: „ყახახი ვარ, მარა შენისთანა შემოღღგომის აზნაურშიღს კიდევ ვჰობიყარ!.. თუ ძალზედაა, მობრძანდი,

¹ დ. კ ღ დ ი ა შ ვ ი ლ ი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 294.

ასლო მობოძანდი, ისე დაგბუბნო, რომ ღობემდისაც ვერ მიგყვეს შენი დამშეული სული! ...შენისთანა შემოდგომის აზნაურშვილებისა რა მცოდნია?“¹ აი სიმონ სამადაძეს ფული როგორ სითამამეს, გაბედულობას აძლევს.

„ქამუშაძის გაჭირვებაში“ მოცემულ აზნაურთა — ქამუშაძეების, მარუშაძეების, გორდელაძეების, ქველიძეების და სხვათა სახეებს რომ ვეცნობით, ჩვენთვის უკვე გასაგები ხდება გლეხი სამადაძის ასეთი კანდიერი შეაზილი და ფსიქოლოგია. ნიადაგმომაგრებულ გლეხს — სამადაძეს ეკვირინე ასე უხასიათებს თავის მძახალს პელაგიას: „ყაზახი ქვია, თქვენ გენაცვალეთ, თვარა რომელი აზნაური გაუტოლდება, ჩემო ბატონო?.. მდიდარი. თქვენი ჭირი შემეყაროს, ზრდილობიანი, ისეთი შეხედულობა აქვს, თავადიშვილი გეგონებთ, უბრალო-კი არა, ჩემო ბატონო!“² მართალია, სიმონ სამადაძეს ოფიციალური პრივილეგიები აკლია, მაგრამ, რაკი მას შეეძლება მეტი აქვს, ვიდრე მის მეზობელ აზნაურებს, ის მათთან გათანასწორებას თხოულობს და ანხორციელებს კიდევ: მეტიც, მას თავისი უპირატესობის შეგნებაც კი აქვს გამომუშავებული. ის თითქოს ზევიდანაც დაჰყურებს ამ „ყოფილ კაცებს“: „შევარცხვინე... შევარცხვინე შემოდგომის აზნაურიცა და ყველა!“ — მოურიდებლივ, თავისი ძალის შეგნებით მიაძახებს სამადაძე ქამუშაძიანთ!

ოტია ქამუშაძის ოჯახს ვერც სამადაძის ნათლობამ დასლო საჭირო მალამო. მდგომარეობას სინამდვილეში, და სონიას სწორი შეფასებითაც, კატასტროფიული გაუარესება ეტყობოდა. ცხოვრების უნიათობის გამო სონიას შინში თანდათან თავზარდამცემად იზრდებოდა.

დადგა ზამთარიც. ზამთარმა სოფლის ცხოვრებას უფრო მეტად ახადა ფარდა. ოჯახების გაჭირვებული ცხოვრება ერთიმეორეზე უფრო მწვეავედ და უიმედოდ გადაიშალა. სონიამ მეზობელთა მდგომარეობაში თავისი მომავალი ცხოვრების სურათი გარკვეულად დაინახა. გული გაუტყდა. ოტიაც გრძნობს თავის საველალო მდგომარეობას. მუშაობას უმატებს; თავს არ ზოგავს; ცოლის წინაშეც რატომღაც დარცხვენილია. მწერლის გადმოცემით, „მას რცხვენოდა ცოლისა მეტად მორიდებით იყო მასთან და მუდამ რაღაც საქმეში, მუშაობაში“.

ოტია დარწმუნდა, რომ მარტო მერწა ვერ დაკმაყოფილებდა მისი ოჯახის მოთხოვნილებას. საჭირო იყო „განსხვავებული გასჯა, განსხვავებული შრომა“, რაც მან არ იცოდა და არც ემარჯვებოდა. რომ

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 306.

² იქვე, გვ. 301.

მიწის. რომელსაც ის ამუშავებდა, „შეჩერება მხოლოდ, სამუდამოდ დაღუპავდა მასაც. მის ცოლშვილსაც და მომავალსაც“.

თავისი ოჯახის მდგომარეობის შემყურე სონია გამახალისებულსა და იმედის მომცემს ვერაფერს ატყობდა. მან იცოდა, რომ „ამ ხანად მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური. იყო ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი, ყოველის მხრით იქითივე გლეხი, როგორც აი გადაღმა ყანაში რომ მუშაობდა, მათი მეზობელი პეტრია დინაჩაძე, სრული მსგავსი მისი, გარდა იმისა, რომ აზნაურიშვილად იწოდებოდა. აზნაურობისთვის სასაცილო ხასიათი ეძლეოდა და თითქმის უფრო ამცირებდა ოტიას ამ გარემოებაში. ამას ხედავდა, ამას გრძნობდა სონია და შელახული მისი თავმოყვარეობა უცნაურად ამუშავებდა მის გონებას“.

მწერალი იშვიათი ცოდნით იძლევა თავისი ეპოქის როგორც სოფლის უტყუარ სურათს, ისე სოფლის შევიწროებულ მცხოვრებთა, სულისკვეთებას! მოთხრობა „ქამუშაძის გაჭირვება“ იშვიათი სიღრმადით, სიმართლით და დამაჯერებლობით აგრძნობინებს მკითხველს ჭველი ნატურალური მეურნეობის, თავად-აზნაურთა ყოფის კატასტროფულ დაშლას. მოთხრობა ამასთანავე მკითხველს მკაფიოდ აჩვენებს ცხოვრების ახალი გზის გამოჩაჩის, ახალი სოციალური ფენის ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლის აუცილებლობასა და კანონზომიერებას.

სონიამ ბევრი შინაგანი ტანჯვის, მწარე ფიქრების, მდგომარეობის ყოველმხრივი აწონ-დაწონის შემდეგ გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ცხოვრების ახალი გზა გამოეჩაჩა და ოტიასათვის ურჩია ერთადერთი სწორი გზა — აყრილიყო და ქალაქად გადასახლებულიყო.

„-ოტია! ჩვენ აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია... ამდენი ხანია გიციდი. ვითხრა ეგ... ჩვენ კიდევ უარესი თუ მოგველის აქ, თორემ უკეთესი არაფერი. ჩვენ უნდა წაივადეთ, უნდა გავშორდეთ აქაურობას, ოტია. უთუოდ, უსათუოდ, ოტია!

ამას იგიც გრძნობდა, იგიც ატყობდა.

— სად, შე ქალო? სად შემიძლია მე წასულა?

— სადაც საშოვარი უფრო მეტია, ქალაქ ადგილას, N-ში!... უსათუოდ, უსათუოდ! ამას ლაპარაკიც აღარ უნდა, ოტია! ეს გადაწყვეტილია, იცოდე! — მტკიცედ წარმოსთქვა სონიამ, — გესმის?“²

სონიას მოთხოვნამ ოტია დაარეტიანა. მაგრამ რაც უფრო მეტს უკვირდებოდა თავის მდგომარეობას, იმდენად მასში სონიას მიერ

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 296.

² იქვე, გვ. 317.

ჩანერგული აზრი ღრმავდებოდა. ოტიაც ნათლად რწმუნდებოდა, რომ მისი ცხოვრება დღითიდღე აუტანელი ხდებოდა. განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მოუსავლიანობამ აუტრუა გული სოფელზე. შიმშილმა და გაჭირვებამ საბოლოოდ დაარწმუნა ოტია, რომ საჭირია იყო ბუდის მოშლა და ქალაქში გადასახლება.

აი დავით კლდიაშვილი როგორ აგვიწერს ამ სურათს:

„მთელი სოფელი შეწუხებული იყო, შიმშილობა კარზე მომდგარი იყო. ყოველი მხრიდან გულის ამრევი ამბები ისმოდა. ჭირნახულის ფასი დღე-დღეზე მატულობდა. ხელმოკლე სოფლელებისათვის მიუწვდომელი ხდებოდა სარჩოს ყიდვა. ერთ დღეს ხმა გაეკრდა, რომ თამარნაშენის ზემო კუთხის გლეხი, პავლია მერაბიძე, ისე გამწარდა, რომ თავის ჩამოხრჩობა მოინდომა შიმშილის გამო, და ცოცხალ-მკვდარი ბაწრიდან ჩამოიღესო — დროზე მიესწროთ. რამდენიმე კაცი, — კიდევაც ასახელებდნენ, — სოფლიდან წასულიყვნენ სამათხოვროთ ქალებით და ბავშვებით“¹.

შეუფერავადაა ასახული კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში ნატურალური მეურნეობის მიმყოლი სოფლის სინამდვილე, მისი გაპროლეტარების პროცესი 90-იან წლებში.

დავით კლდიაშვილი ბუნებრივად გვიხატავს, როგორი თანდათანობით და ტკივილებით სოფლის მცხოვრები — გლეხია ის თუ თავდაზნაური — სტოვებს შეჩვეულ, აწ გაციებულ ადგილს და ქალაქისაკენ მიისწრაფვის სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით. საბოლოო ნაბიჯის გადადგმა ასეთს პირობებში ხშირად გამოწვეულია უბრალო მოვლენით, რაც გადამწყვეტი ბიძგის როლს თამაშობს. ასევე ხდება ოტია და სონია ქამუშაძეების ცხოვრებაშიც.

სოფლის ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობას დაემატა ისიც, რომ საადგილმამულო გადასახადის ასაკრებად სოფელში ბოჭაული მოვიდა. ვისაც ფული არ შეჰქონდა, ბელელს უბეჭდავდნენ. ოტიას ისედაც გაჭირვებულ ოჯახს, ბელელი, სამადაძისაგან ნაჩუქარი ერთი ტომარა ფეკელით, რომლის გადამაღვაც ოტიამა და ეკვირინემ მთლიანად ვერ მოახერხეს, დაუბეჭდეს. ამ გარემოებას დაერთო ლევანის, ოტიას ბიძის, შიმშილით სიკვდილი, მისი გაწბილებული ოჯახის სააშკარაოზე გამომჟღავნება.

ამ უკანასკნელმა გარემოებამ სონიას თავზარი დასცა, ველარ წყნარდებოდა და დარეტიანებულსავეით თავის თავს ელაპარაკებოდა: „შიმშილმა მოჰკლა, უსაღსრობამ... მშველელი — კი არსაით, არსადაა!. ყველა გაჭირვებულია, ყველა გაწვალებულია!... ყველა უბედუ-

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 314.

რებაშია ჩაჯარდნილი... ყველა ამას უნდა მოველოდეთ, ყველას ეს დღე უნდა დაგვადგეს!... არა, არა!...“¹

როგორი იშვიათი სიმკვეთრითა და სისწორითაა მოცემული სოფლისა და მისი მოსახლეობის ნატურალური მეურნეობიდან კაპიტალისტურში გადასვლის პროცესი. ჭეშმარიტად, დავით კლდიაშვილის მოთხრობები — გაცილებით ზუსტს და შთამბეჭდავ ცნობებს გვაძლევენ ჩვენი 80-90-იანი წლების ცხოვრების შესახებ, ვიდრე ბევრი ისტორიულ-ეკონომიური ტრაქტატი ამავე პერიოდის შესახებ.

ასეთს პირობებში სონიამ სრულის გადაწყვეტილებით უთხრა ოტიას: „მოეშორდეთ აქაურობას, მოეშორდეთ!... დროზე!... თუ მეტი გინდა კიდევ?“ და ოტიაც ნებისით თუ უნებლიედ, მაგრამ სრული შეგნებით — „კი, კი“-თ თანხმობას უცხადებს.

სონიას დაყენებითი მოთხოვნით ოტიამ ცოლ-შვილი მალე გაგზავნა ნა ქ. N-ში. რამდენიმე კვირის შემდეგ მან დედასაც გამოუცხადა შემზადებულიყო საბოლოოდ ქალაქში დასახლებლად.

ამ ამბის გაგონებამ ეკვირინეს თავზარი დასცა. აზრშერყეული ის გაკვირვებული და უკმაყოფილო კილოთი ეკითხებოდა შვილს: — „რატომ, რატომ?“ ეკვირინეს ეძნელება დატოვოს დიდი ხნის დადებული საბუღარი, მზადაა კბილით დაებლაუქოს მას, რომ გადაარჩეს განადგურებას. ეხვეწება შვილს, ოჯახს ნუ მოშლის, მაგრამ ოტიას ეს გადაწყვეტილება გამოტანილი ჰქონდა დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ თავის თავთან და, დარწმუნებული, რომ მათ სხვა გზა ხსნისა აღარა აქვთ, ასეთი კატეგორიული ტონით შთააგონებს დედას: — „თავს ველარ ვრჩენულობთ, დედა! თავს... წელში ეწყდებით მუშაობით, მარა არა გამოდის — რა... უქმად მიდის ყოველივე მაცადინობა... საბოლოოს ვილა ამბობს, გასაძღომს ველარ ვშოულობთ... ყველა გამწარებულია, შიმშილისაგან გონება არეული... აქ აღარაფერი სიკეთეა, ათანაირი გაკირვებისა და უბედურების მეტი!... ეგებ იქ მაინც ეშველოს კაცს! ბევრი იქით იწევა... ქე შოულობენ რაღაცას, თავს ირჩენენ... აქაურობას რომ მივაჩერდე, რა გამოდის გაჯახირების მეტი? იქ მაინც ვცდო თავს. თუ დავიღუპები, სულ ერთია, აქაც ხომ მეტი ხეირი არ მომეღის. ეს გადაწყვეტილია, დედი, გადაწყვეტილი!“²

ბევრს ეცადა ეკვირინე, ბევრი ეხვეწა შვილსაც, რძალსაც ოჯახი არ დაენგრიათ, სოფლიდან არ აყრილიყვნენ, მაგრამ შვილი და რძალი თავიანთი ცხოვრების საკეთილდღეოდ, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სხვა გამოსავალს ვერა ხედავენენ. და ეკვირინეც მწუხარებით დაჯდა ურემზე და გასწია თამარნაშენიდან გასაქალაქებლად.

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 320.

² იქვე, გვ. 328.

ოტიამ სოფელ თამარნაშენში თავისი სარჩო-საბადებელი, გარდა სახლისა, გაყიდა, გადასახლდა ქ. N-ში; მის განაპირას იყიდა პატარა ადგილი, ჩაიტანა თავისი სახლი და „შეემატა მის გვარადვე გამოქცეულ სოფლელებს, რომელთა პატარა სახლების რიცხვიც თანდათან მატულობს და სარტყელივით ერტყმება ქალაქს გარშემო. ესენი ჯერ-ჯერობით არც ქალაქში სწვრიან და სოფლის ჩვეულებაზე მცხოვრებნი უღარაგებენ დროს, რომელმაც სრულიად უნდა გაჰქანას იგინი ქალაქელებში და დაგეშოს ახალ ცხოვრებისათვის“¹.

ესაა დავ. კლდიაშვილის დაკვირვებული გონებისა და მოსიყვარულე გულის ურყევი განაჩენი. თუ ოტია „...დროზე მართლადაც აქაურობას არ გაეცლებოდა, თუ სხვაგან, უფრო მოსახერხებელ ადგილს არ შეათარებდა თავს, მასაც ასეთივე ბოლო ექმნებოდა: ისიც გააქცევადა შვილებს აქეთ-იქით და თავის ბიძასაებრ მშვიერი, მწყურვალი, უპატრონო, ასეთ საცოდაობაში დალევდა თავის გაჯახირებულს სულს“².

ახალი ცხოვრების პირობები ასე ულმობელად არღვევდა ძველ ყოფას, ნთქაედა სოფლის ნატურალურ მეურნეობას, შრომის რაციონალიზაციის უნარის უქონლობის გამო ანადგურებდა დრომოკმულ თავადაზნაურულ პრივილეგიებსა და ფსიქოლოგიას. მართალია, დავით კლდიაშვილი მომავალი ცხოვრების ფორმებს ნათლად ვერ არკვევს, თითქოს ვერცა ხედავს, მაგრამ ძველი რომ უნდა დაინგრეს, ახალი ცხოვრება რომ ახალი გზით უნდა წავიდეს, რომ ქალაქმა უნდა წამყვანი როლი ითამაშოს და ახალმა საწყისებმა შრომისა და ადამიანთა ურთიერთობისამ გაიმარჯვოს, ამას მწერალი მტკიცედ განიცდის და მკითხველსაც განაცდევინებს. ამაშია დავით კლდიაშვილის შემოქმედების დიდი საზოგადოებრივი, შემეცნებითი და ისტორიული მნიშვნელობა.

* * *

დავით კლდიაშვილის განხილულ მოთხრობებში ყოლორიტულადაა მოცემული XIX საუკუნის 80-90-იან წლებში კაპიტალიზმის განვითარების ზეგავლენით იმერეთის (ე. ი. მთლიანად საქართველოსი — კინიდან ტიპიური გარემო ქვეყნისა ტიპიურ სახეებში აქვს აკინძული ავტორს) სოფლის რღვევა; პირველ რიგში მწერლის მიერ წამოწეულია კატასტროფული გაწროვება და გაბიაბურება სოფლის თავადაზნაურთა ყოფისა და ფსიქოლოგიისა; ამასთან ნაჩვენებია გზა („ქამუშაძის

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1935, გვ. 329.

² იქვე, გვ. 325.

გაპირებმა“), საითაც უნდა წავიდეს ის, თუ მას სრული განადგურება არ უნდა. ამ მოთხოვნებში გზადაგზა გლახთა ეკონომიური რღვევა-ცაა ნაჩვენები, მაგრამ ვინაიდან აქ ცენტრი ყურადღებისა „შემოდგომის აზნაურთა“ გარშემო ტრიალებს, გლახთა შევიწროებული მდგომარეობა თითქოს ჩრდილში რჩება, თუმცა ისიც მკითხველის მიერ კარგად იგრძნობა.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებით აპერცეპციას, ბუნებრივია გლახთა ცხოვრებაც არ გამოირჩენია. მან შექმნა მთელი რიგი მოთხრობებისა („შ ე რ ი ს ხ ე ა“, „მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი“, „მ ი ქ ე ლ ა“, დრამატული ნაწარმოები „უბედურება“), რომლებშიაც მოცემულია მდაბიო ხალხის უნიათო, უილაჯო ცხოვრება. ამ ნაწარმოებებში დავით კლდიაშვილი უტყუარ სურათს გვაძლევს ძველი სოფლისა, ჩამორჩენილობით, ცრუმორწმუნეობით, პატრიარქალური დრომოქმული ზნე-ჩვეულებით დაავადებულს.

დავით კლდიაშვილის პირველი ნაწარმოები იყო „შერისხვა“ და „მსხვერპლი“. აი რა საგულისხმო ცნობას გვაწვდის თვითონ დავით კლდიაშვილი თავისი სამწერლო დებიუტის — „მსხვერპლის“ შესახებ: „...უთრნალ „მომამის“ რედაქტორ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ქ ყ ო ნ ი ა ს ა - გ ა ნ წ ე რ ი ლ ი მომივიდა: მოთხრობისათვის დიდ მადლობას იწერებოდა და თან იმასაც მწერდა, რომ აწერილი სურათი მეტად შავ-ბნელიაო, მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებსო და თან უმატებდა: ნუთუ მართლა ასეთი სიბნელით არის მოცული სოფლის ცხოვრებაო; საჭიროა უფრო შენელება სურათის. ეს რჩევა, — დაასკვნის დავით კლდიაშვილი, — მიუღებელი დარჩა ჩემგან; ის კი არა, ვნანობდი, რომ ბევრი რამ გამომრჩა აჩქარების - გამო“¹.

ახალმა ცხოვრებამ გლახკაცის ფსიქოლოგიაც საკმარისად შეარყია. გლახმა იგრძნო ცხოვრების — ყოფის რღვევა. დაირღვა სოფლის ნატურალური მეურნეობა. ამ მდგომარეობაში გლახიც, როგორც აზნაური, ცხოვრების ერთადერთ წყაროს მიწაში ხედავდა. მიწა კი გლახისათვის თანდათან უფრო მცირდებოდა. ამიტომ რალაც პანიკური შიშით ებღაუჭებოდა, მზად იყო ყოველი მტკაველი მიწა სისხლით დაეცვა, მიწის გარშემო დავა-უსიამოვნება არა მხოლოდ თავადაზნაურთა, არამედ გლახკაცთა შორისაც გამწვავდა. ამ ბრძოლის ნიადაგზე დავით კლდიაშვილი გვიხატავს ძველი ყოფის შეუსაბამობას ახალთან და მის საშინელ ტკივილებში რღვევას.

ავილოთ მოთხრობა „შ ე რ ი ს ხ ე ა“. სოფელს სასიარულო და სამუშაო გზა გაუფუჭდა. გზა უნდა გაკეთდეს კაცია სუგუნაშვილის მიწაზე, კაციას არ უნდა სოფელს თავისი მიწის ნაკვეთი გზად დაუთმოს.

¹ დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მემუარები, 1932, გვ. 366.

ამით მას შემოსავალი შეუმცირდება. ისედაც შევიწროებული ცხოვრება უფრო გაუარესდება. მიწა მას თვითონაც სჭირდება. შიმშილის მოლოდინით შეშფოთებული კაცია სოფელს ეურჩება და დაჟინებით იძახის: „მერე მე რა? სადაც გინდათ, იქ გააკეთეთ ახალი გზა... მე კი ჩემსას არავის დავანებებ“... მეტად ცოცხლადაა გლუხში გამოვლინებული კერძო საკუთრების მავნე ინსტიქტი, კოლექტიური გრძნობის სისუსტე.

მაგრამ სოფელმა თავისი არჩეული კაცების საშუალებით (მათ შორის იყო კაციას მეზობელი ანდრია ქურაშვილი) დაადგინა, კაციასათვის სოფლის გზისათვის მიწა ჩამოეჭრა. „—ღვთით არაფერი გიჭირს, სხვა ადგილებიც გაქვს. ბევრი-ბევრი ორი ბათმანი მოვიდეს ამ ჩამონაჭერზე... უნდა დაუთმო სოფელს, აბა რა ჰქნას სოფელმა?“ — ეუბნებოდნენ კაციას¹. მაგრამ კაცია შეუწყნარებელი იყო. კაცია ჯიუტობდა. სოფელს არ უთმობდა. „სოფელი ფეხებზე მკილია“, გაჯავრებით იძახდა. სოფელმა მაინც თავისი გაიტანა, ვინაიდან სოფლისათვის ეს გზა აუცილებელი იყო.

კაციას ჩივილმა და უკმაყოფილებამ ვერ გასჭრა. კაცია ვერ ადის სოფლის ინტერესების სიმაღლეზე. ბევრი იწანწალა კაციამ, „ორიოდე ადვოკატთანაც იყო ძღვნით, მაგრამ ვერ გამონახა „სამართალი“. კაციას ის უფრო სტანჯავდა, რომ ანდრიას სიტყვა მართალი გამოდგა.

იმედდაკარგულმა და დაჩაგრულად თავმიჩნეულმა კაციამ გადაწყვიტა შური იძიოს, განსაკუთრებით მეზობელ მოსამართლე ანდრიაზე, რომელიც ურჩევდა სასამართლოს განაჩენს დამორჩილებოდა. „ტყუილად გაისჯები, ჩემო კაცია, ამ საქმეს სხვაგან არსად არ მიიღებენ გასარჩევად, არც მირთი სუდი და არც ოკრუჟენი“ — ეუბნებოდა ანდრია. კაციამ გადაწყვიტა უზენაესი სასჯელისათვის მიემართა — კაციამ ანდრია გადასცა წმ. გიორგის ხატს იმ რწმენით, რომ ანდრიას წმ. გიორგი დასჯიდა.

ხატი ხომ გაპირვების ტალკვესი იყო ბრძოლის უნარსა და საშუალებებს მოკლებული, დაბეჩავებული, ჩამორჩენილი ხალხისათვის! ასეთი ნიადაგმორღვეული ხალხის მიერ ხატს ჰქონდა მინიჭებული უზენაესი ძალა განაჩენის გამოტანისა სიმართლის დამრღვევთა მიმართ. ასეთი იყო ხალხის რწმენა. ამიტომ კაციამაც წმ. გიორგის გადასცა ხალხის მიერ არჩეული ანდრია, რამაც მოსახლეობა, ასეთივე ცრუმორწმუნეობით შებოჭილი და თვით ანდრიაც შეაშფოთა.

კაცია კი გულდამშვიდებული ელოდა წმ. გიორგის საჯარო განაჩენს ანდრიასა და მის ამყოლთა მიმართ. მაგრამ დრო გადიოდა. ანდრიას წმ. გიორგიმ არავითარი ვნება არ მიაყენა. პირიქით, ანდრიაშ,

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 8.

რწმუნდებოდა რა კაცის გადაცემას არავითარი შედეგი არ მოსდევს, უფრო მეტი მხიარულება დაიწყო. კაცია ამ იმედგაცრუებით ნიადავს კარგავს. მას თავდაცვის გზა აღარ გააჩნია. კაცის ხატის რწმენაც შეერყა. მან სულიერი წონასწორობა დაკარგა და ხატობას, როცა წმ. გიორგის ხატის წინ ყველა მუხლმოდრეკილი იდგა, ხატს ხმამაღლა კადნიერი სიტყვებით მიმართა.

კაცის საქციელმა იქ მდგომ გლეხებს და განსაკუთრებით კი კაცის მეუღლეს, დოდოს, თავხარი დასცა. შიში, რომ ხატი დასჯის არა მარტო კაცის, არამედ მთელ ოჯახს, საშინელ განწყობილებას იწვევს ხალხში, განსაკუთრებით კი მის ოჯახში. ამ სულიერი კატასტროფის მსხვერპლი შეიქმნა თვითონ კაცია, რომელიც ჯერ კიდევ ჰარმაგი კაცი მალე უცნაურად მოტყდა, „სრულიად დაბერდა და მოიკუმშა“. ეტყობოდა „გარდამეტებით“ წუნდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. მალე უგონოდ ჩავარდა და სულიც განუტევა. შეშინებული სოფელი კაცის დამარხვასაც არ ესწრება: „ვერ ვიტირებთ, ღმერთს ვაწყენინებთ, რომ მისი მგმობელი ვიტიროთ!“ მიცვალებულ კაცის მხოლოდ ცოლ-შვილი გაჰყვა სასაფლაოზე.

დავით კლდიაშვილი მკვეთრად აჩვენებს მკითხველს, რა დიდი ძალა აქვს ხალხში ცრუმორწმუნეობას. მწერალი ჩაავიწყებს მკითხველს, რომ ხალხის ამგვარი რწმენა უნიადაგოა, ჩამორჩენილობისა და გაუნათლებლობის შედეგია. სოფელს განათლება ესაჭიროება, — ძალუ-მად ესმის მკითხველს დავით კლდიაშვილის სხვა ამგვარ მოთხრობებიდანაც.

დავით კლდიაშვილის მეორე მოთხრობა „მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი“ უფრო საინტერესოა. აქაც ნიჭიერადაა ასახული ხალხის ცხოვრება თავისი ჩამორჩენილობით, პიროვნების შემლახველი ზნე-ჩვეულებებით, ცრუმორწმუნეობით. ამ მოთხრობაში ეს მოვლენები ასახულია ახალსა და ძველს შორის ჰიდლის პროცესში. ნიჭიერადაა ნაჩვენები როგორ იჭექვყება პიროვნება, საშუალება არ ეძლევა წინწაწევისა, დიდი ბრძოლა და მსხვერპლი სჭირდება ძველ მსოფლმხედველობასა და ჩვეულებებთან დამოკიდებულებაში.

ახალგაზრდა მ ა რ ი ნ ე, ახლად გათხოვილი ნ ი კ ა ზ ე, ქვრივ ფ ე ფ ე ნ ა ს შვილზე, სავსეა სიცოცხლის წყურვილით, ენერგიით, სილამაზით; სავსეა ყოველდღიური ცხოვრების სურვილებით. მარინეს შრომა, საქმიანობა არ ეზარება. მუშაობს დაუზარებლად, ყველაფერი რაც კი ოჯახისათვის კარგი და სასარგებლოა, ეხერხება. ამასთან მას უყვარს „ლაქლაქი, დაურიდებლად ყბედობა, ცუნცრუქი“, სილამაზე, სიკეკლუცე.

მარინე ქმარს პარასკეობაზე ბაზარში გასაყიდად თავისი ხელით მოქსოვილ საჩოხე შალს და ოთხ წიწილას გაატანს და სთხოვს, ადებული

ფულით „თეთრი ან ცისფერი, თუ იშოვოს, ფოჩვიასი“, ბაღდადი უყი-
დოს, ვინაიდან, მისი განცხადებით, „ყველას ახურაეს თითო ბაღდა-
დი“, ის კი უბრალო თავსაფრით დადის ეკლესიაში.

ახალგაზრდა მარინეს ასეთი სურვილი, ბუნებრივი კეკლუცობა არ
მოსწონს მის დედამთილ ფეფენას, რომელიც ქვრივ-ოხრობაში ბევრი
უბედურების, შევიწროების, ვაივაგლახის მოწმე და ობიექტი ყოფი-
ლა. ფეფენას კარგად გაუცვია „პრელი“ ქვეყანა, კარგად გაუცვია
ადამიანის გულისა და ხასიათის სისუსტე, სიხარბე, ცბიერება, გაუტან-
ლობა, ამიტომ ყველასა და ყველაფერს უნდობლად უყურებს. ყველა-
სი და ყველაფრის ეშინია, რომ მისი დაუზოგველი შრომითა და ცდით
შერჩენილი ოჯახი არ დაინგრეს.

ფეფენას ეშინია, მისი რძალი მარინე არ შეაცდინოს და გზაკვალი
არ აურიოს გლახაკმა, „გაქუცულმა“ აზნაურიშვილმა და ვ ი თ კ ა რ-
უ გ დ ე ლ ა ძ ე მ, რომელმაც, რაც მარინეს „ლაქლაქი, დაურიდებლად
ყბედობა... ცუნტრუკი და კისკისი“ შენიშნა, მათთან წანწალი დაიწყო.
შეშინებული ფეფენა ამისათვის მკაცრად, დაუნდობლად ეპყრობა
რძალს, დაუმსახურებლად სტუქსავს. — გუბნები, პრანჭვა-გრეხას
თავი დაანებე-თქვა!... რაღა დროს შენი კოპწიაობაა. ვის ეპრანჭები,
მითხარი ერთი? ქმარი გყავს, იმას მოაწონე შენი თავი... ამ სხვებზე
რომ თვალი მიგირბის...

— ეგ ხქვენი ახალი განათლება არ მინდა მე, არა... ნუ იცი ყოველ
კაცთან შენებურად ლაქლაქი, დოურიდებლად ყბედობა, არ შეგფერის
ეგ შენი ცუნდრუკი და კისკისი... აბა, ეს გლახაკი, გაქუცული აზნოუ-
რიშვილი დაეთი რას დაწანწალობს ჩემს სახლში? ¹

შეშინებული ფეფენა, გაუფრთხილებლობის წყალობით ოჯახი რომ
არ შერცხვენილიყო, თავის რძალს მარინეს გამუდმებით აფრთხილებ-
და და ავიწროებდა. ამ შინაგანი შიშის საფუძველს ასე უხსნის თავის
მაზლს ო ნ ი ს ე ს, რომელსაც სურს, ასე უწყალოდ შევიწროებულ
მარინეს გამოესარჩლოს: „ონისიმე, ხომ იცი, რა გაჭირდება გამომივ-
ლია მე შენი ძმის ოჯახში... ყმაწვილი ქალი დაქვრივდი და გამოუც-
დელს ოჯახი მე დამაწვა კისერზედ... რა ოჯახი? სარჩო რომ არ მო-
დიოდა!... ვინ იყო ჩემი შემფარე, მშველელი?.. ყანას მე ვხნავდი, მე
ვწმენდი... თან ბოვშსაც ვზრდიდი... შემწე ვინ მყოლებია? ყველა-
ფერი მე ვიყავი, მე, მარტოხელა ქალი!... ვის უნახავს ჩემოდენა გასა-
ჭირი? ვის გამოუტთია, რაც მე გამოვცადე?.. მეზობლობას ჩამოვრ-
ჩი — ჩემს საქნარს ვუნდებოდი და ზოგიერთს კკუ-თხელს ჰგონია,
ვითომ მე ადამიანი მძულს და იმიტომ არ ვეკარები არავის!... ჩემი თა-
ვი ნამუსიანად შემინახავს — ჩირქი ოჯახისათვის არ მიმიცხია და რომ

¹ დ. კლდიაშვილი, ოსზ. სრული კრებული, ტ. I, 1935, გვ. 20.

ამდენი ტანჯვა-წვალებით შენახულ ოჯახს ვინმემ თავსლადი დასხას, ქვეყნის სასაცილოთ გამხადოს — მის სისხლს დაღვეს ფეფენა, იცოდე!¹

ღიახაც, ფეფენას ცხოვრების გზა მძიმეა, ძნელად ასატანი, რაც ჩვეულებრივი იყო მდაბიო ხალხის ცხოვრებაში. ფეფენა ასეთმა ცხოვრებამ დაღალა, დაქანცა, სიცოცხლის ხალისი თითქმის დააკარგვინა. პატიოსანი ლუკმა-პურის შენარჩუნების სურვილმა, ოჯახის პატივის დაცვისა და შენახვის ცდამ ის ვიწრო ოჯახურ ინტერესებში ჩაკეტა, ცხოვრების მიმდინარეობა აღარ დაანახვა. მას შიშმა ჰგერის ახალგაზრდა მარინეს რომ ჩაცმა-დახურვა ეხალისება. ის სრული შეგნებდით ეუბნება თავის მაზლს ონისეს, მარინეს დამკველს: „მე, ჩემო ბატონო, ხამის ლურჯი კაბითაც კარგად გამიტარებია ჩემი წუთისოფელი!“ ონისეს შეპასუხებაზე, რომ ახლა სხვა დროა, ფეფენა მიუღებელი განწყობილებით ეტყვის? — „ეგ არის, რომ სხვა დრო დადგა! ახლანდელი ქალები?!.. ძველი სინიდისიანობა გაქჭრა... ყველა ამჩატდა... უტიფარნი შეიქმნენ. მორიდებასაც გადაეჩვივნენ... აღარაფრის რცხვენიათ... გათამამდნენ“²...

გაპირებაში გამოვლილი, ოჯახის წვრილმან მოთხოვნილებებში ჩაძირული ფეფენა მწვავედ განიცდის ახალი ცხოვრების მოწოლას, შეშინებული რძალსაც აფრთხილებს: „ოჯახს უყურე... თვარა შენისთანა განათლებული ქალი ერთი-კი არ გვიანახავს შერცხვენილი თავსლად-დასხმული თავისი გაუფრთხილებლობის წყალობით!“³ ამიტომ ფეფენა კბილით ეჯაჯურება იმ კერას, რომელიც მან ასეთი წვალებითა და გაპირვებით შეინარჩუნა. ის ჩაიკეტა ოჯახის ინტერესებსა და ძველ ზნე-ჩვეულებათა ვიწრო ჩარჩოებში. მას აღარც დრო და აღარც ძალა არა აქვს და ამიტომ სურვილიც დაკარგა გარემო ცხოვრებას შეხედოს, მას თვალი გაუსწოროს, გაიგოს და დაათასოს შეცვლილი ცხოვრება.

ფეფენას განმარტოებული ყოფნა, მეზობლებთან მიუყარებლობა, განდგომილი უცნაური ცხოვრება იყო მიზეზი, რომ სოფლად მას კუდიანობას და ავსულებთან კავშირს სწამებდნენ; ყველას მისი ეშინოდა და ამიტომ ყველა გაუბრბოდა, ერიდებოდა. ფეფენამ განსაკუთრებით შიშის ზარი დასცა სოფლის დედაკაცობას, როგორც უფრო ჩამორჩენილ წრეს. ამიტომ მან ადვილად მოტეხა და დაიმორჩილა ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე მარინეც.

მარინემ რამდენჯერმე სცადა ფეფენასგან თავის დაცვა, მაგრამ

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 25.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 21.

არათფერი გამოუვიდა. ფეფენას ხელისაგან მარინე ვერც ონისეს გამოქომაგებამ იხსნა. მარინე მოწმეა, როგორი შიშის ზარი დასცა ონისეს ცოლს, სოფიოს, მისი ქმრის ფეფენასადმი წინააღმდეგობის გაწევის სურვილმა. შიშით ონისეც კი იძულებულია თავშეკავებულად ელაპარაკოს ფეფენას რძლის, მარინეს შესახებ.

ამის შემდეგ მარინე დარწმუნდა, რომ ფეფენასთან ბრძოლა შეუძლებელია, ის ყველაფრის მძლეა, ის მართლაც კუდიანია, ავსულებთან კავშირშია და დაემორჩილა, ეყმო მას სულიან-ხორციანად.

მკითხველი რომ უფრო დაარწმუნოს მეზობლების შეცდომაში, მათზე ცრუმორწმუნეობის დაუძლეველი მკენე გავლენის ძალაში, მწერალი განაგრძობს ამ მოვლენის გაღრმავებას.

მარინეს ამგვარ მდგომარეობასაც მეზობლები მის გაკუდიანებას აწერდნენ. სოფელმა ახლა ფეფენასთან ერთად მარინესაც დაუწყო მორიდება. მარინეც ჩამოშორდა ყველას „...ერიდებოდა ყველას, — გადმოგვცემს მწერალი, — ძვირად, ვისმე გამოელაპარაკებოდა; აღარავისი ნახვა, შეხვედრა მას აღარ ეხალისებოდა წინანდებურად“¹. ჩანს, მარინეში მდგომარეობის გამო მაქსიმალურად შესუსტდა ცხოვრების შეგრძნების ძალა.

მეზობლებს ახლა მარინეს შიშიც მიემატა. სოფელში დაიწყო მითქმა-მითქმა რძალ-დედამთილის კუდიანობაზე. მარინეს გაკუდიანების შემდეგ, სოფლის დაკვირვებით, მომრავლდა ყოველი უბედურება. სოფელი ამას მარინეს აწერდა. ახლა ბავშვებსაც კი აშინებდნენ მარინეს სახელით. მარინეს დანახვა ბავშვებს შიშის ზარს სცემდა.

დავით კლდიაშვილი. ამ ბნელეთის ქვეყანას თავისი სილატაკით, ჩამორჩენილობით, ცრუმორწმუნეობით იშვიათი ოსტატობით, ზედმიწევნით რეალური ფერებით გვიხატავს. მართლაც, დაუჯერებელია ასეთი ამბავი, სდამწუხაროდ, სინამდვილე რომ არ იყოს!

მაგრამ ამით არ ათავებს დავით კლდიაშვილი ჩვენი სოფლის ბნელეთის დახატვას. მწერალი მეტად მოხდენილად აჩვენებს მკითხველს მარინეს სულიერი გარდატეხის ტკივილებს, სოფლის ცხოვრების სინამდვილით გამოწვეულს. ყველა ლაპარაკობდა ფეფენას კუდიანობაზე და მის ავსულებთან კავშირზე. ფეფენას მძლავრ, გაჭირვებულ ცხოვრებასთან ბრძოლაში გაფოლადებული ნებისყოფა ვერავინ მოტეხა. ამ გარემოებამ მარინეშიც ურყევად განამტკიცა დედამთილის კუდიანობის რწმენა. რაკი მარინემ თავი ფეფენასაგან ვერასჯნით ვერ იხსნა, მანაც იწამა, ქედი მოიხარა მისი კუდიანობის წინაშე.

ამ გარემოებამ აიძულა ონისე, რომელმაც მარინე ნიკოს გაურიგა და რომელსაც მარინეს მშობლებისაგან დავალებული ჰქონდა უცხო

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1935, გვ. 35.

ადგილას ეპატრონა მარინესათვის, ეცნობებინა მარინეს მშობლებისათვის მათი ქალიშვილის მდგომარეობა. მარინეს მშობლები მარკოზა და ევა აღელვებულნი წამოვიდნენ შვილის საშველად. წამოიყვანეს, ხალხის რწმენით, საიქიოს ნამყოფი ვასილ კარიკაძე, რომელიც გასწმენდა მარინეს ავი სულებისაგან. დავით კლდიაშვილი მეტად მოხერხებულად და მოხდენილად ქსოვს მარინეს ამბავს, ააშკარავებს ხალხის ცრუმორწმუნეობას — ვასილის საიქიოს ყოფნისა და მის საშუალებით ავი სულებისაგან დახსნის სიცრუეს, მკითხავის თვალთმაქცობას. მკითხველს თვალსაჩინოდ აჩვენებს და არწმუნებს, რომ ყველაფერი ეს სიყალბეა, შექმნილი თვით ხალხის ჩამორჩენილი, განუვითარებელი გონებით. დამაჯერებლადაა ნაჩვენები ვასილის შიერ მარინეს განკურნების მეთოდი, რომლის საშუალებითაც მწერალი აშკარად გამოამჟღავნებს გაკუდიანების წარმოშობის პროცესს.

ვასილი დედაკაცების თანდასწრებით ჩაეკითხება დაავადებულ მარინეს უთხრას მას. როგორ გაკუდიანდა, აქვს თუ არა მას კავშირი ავსულებთან, ხანგრძლივი დაყინებითი ჩაკითხვის შემდეგ, რომ ვასილი ისედაც მიუხედავად ყველაფერს, თუნდაც მარინემ არაფერი თქვას, მარინე ძლივს გასაგონი ხმით ამოიძახებს, რომ მას აქვს კავშირი ავსულებთან და რომ დედამთილმა გააჩვია კუდიანებთან.

ვასილის დაყინებითი მოთხოვნის შემდეგ მარინე ასე ხსნის ავსულებთან თავის დაკავშირების ამბავს: მან უამბო, როგორ უმოწყალოდ სდევნიდა მას დედამთილი, მოსვენებას არ აძლევდა, როგორ გალახეს ის დედამთილმა და ქმარმა. დედამთილმა როგორ აუკრძალა ჯერ სახლიდან ეზოში გამოსვლა, მერე ეზოს გადაღმა გადაბიჯება; უშლიდა სხვებთან ლაპარაკს, რომ ვერსად და ვერავხვით დაიფარა თავი მისგან. და აი ასეთს მდგომარეობაში მყოფი, ათავენს თავის თავგადასავალს მარინე: — „ერთხელ ვენახში დავემალე, დავეწევი ბეოლის ძირში... მიმძინებოდა, უეცრად რაღაც შავი უშველელბელი დამეტაკა, გამომადვიდა, წამავლო ხელი და ცაში ამიყვანა ისე მაღლა, რომ თავბრუ დამესხა, დაბლა რომ გადმოვიხედე... „დამნებდიო, — მითხრა მან, — და ჩემი ნება ასარულეო. თორემ ახლავე აქედან ხელს გავგმეებ და მიწას დაგახეთქებო“. შემეშინდა, ავკანკალდი... ვუთხარი, ე. ბატონო-თქვა. „აბა გახსოვდეს ეგ შენი სიტყვა... მე ხუმრობა არ ვიციო“... ჩავაჩერდი, ვინ მელაპარაკებოდა, მინდოდა შემეტყო.. იმ შავ მოჩვენებაში ჩემი დედამთილი ვიცანი... მე უფრო შემეშინდა კიდევ და ხვეწნა დოეუწყე — ოღონდ ნუ მომკლავ და შენი მორჩილი ვიქნები-თქვა... არც ხმას გავცემ ვისმე უშენოდ, არც არსად წავალ შენდა დოუჯრთხავად-თქვა... ოღონდ მიწაზე დამიშვი-თქვა... ისევ თვალუბზე

წამომეფარა რაღაცა, გონება დამეკარგა... ახრზე რომ მოვედი, ისევ იმ ადგილას ვიწვევი, სადაც მიმძინებოდა“¹.

რა თქმა უნდა, მარინეს ნათქვამი დამსწრეთ შიშის ყრუანტელს ჰკვრიდა. დავით კლდიაშვილი იშვიათი დამაჯერებლობითა, ცოდნითა და თვალსაჩინოებით ხსნის მარინეს ამ განადგურებულ მღვდომარეობაზე მისვლის პროცესს.

ვასილის ჩაკითხვის შემდეგ მარინე გაანდობს: „ნიგოზს ვხალავდი... უეცრად თვალეზე წამომეფარა შავად... რეტი დამესხა, მეგონა, გადმოვარდი ეს არი-თქვა... ბრკყალები ჩამასო კაბაში... მალლა... სულ მალლა ამიყვანა!.. გადმოგაგდებო... აქედან გისვრიო... ნიგეზის წვე-როზე წამოეცობიო, თუ არ შემომიდექიო... კუდიანი გახდიო... შემე-შინდა, სული შემიხუთდა... მორჩილი ვიქნები-თქვა, ვუთხარი... ნუ მომკლავ-თქვა, შევეხვევრწე“...² ვასილის დაყინებითი მოთხოვნით: ვინ იყო? ვინ გელაპარაკებოდა მაგრე? იცანი? მარინემ დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ ძლივ გასაგონი ხმით თქვა — „დედამთილი!“ და მალეც მიიცვალა.

რა ნიჭიერად, რა დამაჯერებლად აქვს ახსნილი დავით კლდიაშვილს ამგვარი ცრუმორწმუნეობის ნიადაგზე მარინეს (მისი სახით ხალხის — მასის) მცდარი ახრა და რწმენა!

დავით კლდიაშვილის ჩვენებით შესაბრალოა, თანაგრძობის ღირსია არა მარტო დაბეჩავებული, განადგურებული მარინე, არამედ აგრეთვე ფეფენაც. ეს ორივე—მარინეცა და ფეფენაც—ერთგვარი მსხვერპლია ბნელეთის ქვეყნისა, რომელსაც ესაჭიროება სინათლე, ჰეშმარითი გზა მომავლისაკენ.

ასეთივე ცრუმორწმუნეობის, ჩამორჩენილი აზროვნების — „ყველაფერი ღვთის ნებით ხდება! ყველა მისი ნების ქვეშ ვიმყოფებით“, ამ მანე ფატალისტური შეხედულებისა და განწყობილების საფუძველზეა გაშლილი მიქელა გიორგაძის („მიქელა“) თავბრუდამსხმელი, პირდაპირ არაადამიანური ტრაგედია, მისი შვილიშვილის, სპიდონას განუკითხავად დაღუპეაც. სწორედ ეს ბნელეთია, ცრუმორწმუნეობით მოცული, მიზეზი იმ ბოროტმოქმედებისა, რომელსაც გულჩვილი, ბუნებით კეთილი, მოსიყვარულე მიქელას ჩაადენინებს.

მოხუცებულმა მიქელა გიორგაძემ მოკლე ხნის განმავლობაში მიწას მიაბარა სამი ვაჟიშვილი. მას მრავალრიცხოვანი ოჯახიდან შერჩა მხოლოდ ორი შვილიშვილი — სპიდონა და ნესტორა და დაქვრივებული რძალი მაია. მან ეს ხვედრი უზენაესი ნებისაგან მოთმინებითა და მორჩილებით მიიღო, რათა ღვთაების გული

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1935, გვ. 46.

² იქვე, გვ. 47.

მოეგო და მისგან შებრალება და შეწყენარება მიელო, რასაც ასე ენერ-
გიულად უქადაგებდა ხალხს ეკლესია. მიქელა მაინც მადლობას სწი-
რავდა უფალს, მზად იყო დაევიწყნა უბედურება, „რაკი ამაში ხედავ-
და ოჯახის მომავალ მშვიდობიანობას და თავისი გამწარებული სულის
მომვლელთ მისი სიკვდილის შემდეგ“.

მაგრამ მიუხედავად ასეთი მორჩილებისა და სასოებისა, მიქელას
თავს დაატყდა უბედურება — ოცი წლის შვილიშვილი სპიდონა მოუ-
ლოდნელად ავად გახდა. შეშინებულმა მამამ დააელო ხელი თავის
მკირეწლოვან შვილს ნესტორას და დედულეთს გადაიხიზნა. უილაჯო
მიქელას მზრუნველობაში დატოვებული სპიდონა დღითიდღე უარე-
სად ხდებოდა. ერთ დღეს ისე მძიმედ შეიქმნა, რომ მიქელას ეგონა
მოკვდაო. მაგრამ სპიდონამ მოიკეთა და მიქელას გამოუცხადა, რომ
საიქიოს ვიყავიო, მაგრამ ერთი წლით უკან გამომაბრუნესო.

მიქელა უძლურია, მან არ იცის, როგორ უნდა ებრძოლოს ავადმ-
ყოფობას; გრძნობს, რომ ის უილაჯოა, ირწმუნა, რომ ერთი წლის
შემდეგ სპიდონა მაინც უნდა ხელიდან გამოეცალოს. შიში, რომ მისი
ოჯახი ამოიკვეთება, ამოსწყდება რაღაც უჩინარი ძალით და ამდენ
მიცვალებულთ სულის მომხსენებელიც შეიძლება არ დარჩეს, მიქე-
ლას სასოწარკვეთილებაში ავდებს. ის ვეღარც საქმეს უდებს გულს,
გარინდული, დაბეჩავებული ეზოს აღარ სცილდება. მიქელა თითქოს
ნიადაგს კარგავს. ოჯახისა და მის პატრონად რჩება მხოლოდ პატარა,
უსუსური ბავშვი, ჯერედ გასაზრდელი ნესტორა. ახლა მან მთელი
თავისი სიყვარული, ყურადღება, ზრუნვა მხოლოდ ნესტორზე გადაი-
ტანა. შვილიშვილისადმი სიყვარულმა დასძლია, ვეღარ მოითმინა და
წავიდა მის სანახავად მძახლიანთას. მისვლისას, რძლის მაიას გატრ-
თხილების თანახმად, დაიბერტყა ჩოხა, ყაბალახი, ქალამნებიც. რომ
რამე სავნო არ მიიტანოს თავის გათვალული ოჯახიდან. იშვიათია. ხო-
ლო დავით კლდიაშვილის კალმისათვის კი დამახასიათებელი. ზუსტია,
ტიპიური დეტალებით ასახული ხალხის ეს ჩვეულება!

ბავშვის ნახვამ ბეჩაღ მიქელაში უფრო გააძლიერა მისდამი სიყვა-
რული და ფიქრი, ეს მაინც როგორმე გადაარჩინოს. აქ მძახალმა, რო-
მელიც ისევე შეპყრობილია ცრუმორწმუნოებით, ურჩია: „ტყვილა
მიატოვე შენი წინანდელი ნამოსახლი... კარგად იყავით იქ... ამ ახალ
სამოსახლოზე ბევრი უბედურება გეიარე... შეიძლება სახლის გადატა-
ნაზედაც რამე მავნებლობა შეგეპარათ და დაბუდებული იყვეს შიგ...
სახლის გაწმენდა გაგანთავისუფლებს... შენს ადგილზე სახლს გადავ-
დგამდი, თუ არ გავწმენდდი მაინც... დავარღვევდი და ისე გავწმენდ-
დი... უსათუოდ სახლში შეგყვებოდათ, რო ვადადიოდით იმ ახალ სა-
მოსახლოზე, რამე მავნეული... აბა რა,.... საიდანაა ამდენი ცოდვა

თქვენს თავზე!": მძასალმა გაბრიელმა სხვებიც დაუსახელა ასეთსავე მდგომარეობაში მყოფნი, რომელნიც სასლის გადატანით გაიწმინდნენ ავი სულისაგან.

პატარა შვილიშვილის ნესტორას გადარჩენის, შენარჩუნების სურვილით დატყვევებული მიქელა, როგორც წყალწაღებული ხაესს, ისე მოეკიდა ამ აზრს. გადაწყვეტს სახლი გადაიტანოს. თავის ამ გადაწყვეტილებას გამოუტყდა მას, რომელიც ასევეა ცრუმორწმუნეობით შებოკილი, გამოხანხავს „უამგამოვლილ“ ალექსი ბოკორიძეს (ვინაიდან ხალხის რწმენით ჩვეულებრივი კაცი ავი სულების შიშით ამგვარ საქმეს ხელს არ მოკიდებს) და დაუყოვნებლივ შეუდგება გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. მოსწნა პატარა კარავი, „ზევიდან ჭოგრები გაუდვა, ზედ ნეშოიანი შტოები გადახლართა სახურავად“, შეიტანა შიგ ორი ფიცარი, რომელზედაც უნდა დაეწვინა სპიდონა, შეიტანა კარავში ქვეშაგებელი, გაშალა გადებულ ფიცრებზე, გადაიყვანა იქ მძიმე ავადმყოფი, „საიქიოს ნამყოფი“ სპიდონა, რომელმაც ახალ საწოლზე მწუხარებით მოკვეთილივით მოიკეცა. სპიდონამ კარგად იცოდა, რომ აღარ იყო ამ სოფლისა, მაგრამ მაინც გული ეჩაგრებოდა. კარგად ხედავდა, რომ მისიანები მასზე უკვე ხელს იღებდნენ.

დაშალა მიქელამ სახლი, დაუწყო ალექსი ბოკორიძესთან ერთად წმენდა სახლის მასალას და ძველ ადგილზე გადატანას. მიქელას სპიდონაზე ზრუნვა ხშირად ავიწყდებოდა, არამც თუ საჭმელს, არამედ წყალსაც კი დროზე ვეღარ აწვდიდა. სპიდონას მდგომარეობა უარესდებოდა. მეზობელიც ვერ ეკარებოდა საიქიოს ნამყოფს, ავი სულით შეკრულ ოჯახს. ამასთან დაიწყო შემოდგომის საშინელი წვიმები. სპიდონას კარავში წვიმა თავისუფლად ჩადიოდა, სველ ქვეშაგებელში ავადმყოფობა სპიდონას უფრო უმძლავრდებოდა, მომვლელი არავინ იხანდა. მიქელამ ვერ გაბედა შეეყვანა ახალ სახლში. ერთს ღამეს ნიაღვარმა მთლიანად მოშალა სპიდონას კარავი, ქვა-ღორღი მიაყარა. მეორე დღეს სპიდონა მკვდარი ნახეს.

აი ასეთი ჩამორჩენილია სოფელი, ასე იღუპება გონების გაუხსნელობით ცრუმორწმუნეობაში მყოფი მისი მოსახლეობა. ცრუმორწმუნეობის საფუძველზე გაშლილი ზნე-ჩვეულება კოშმარივით აწვება ხალხის ტვინსა და ბუნებით კეთილ ადამიანებსაც კი უნებლიედ. შეუცნობლად ბოროტებას აკეთებინებს, როგორც მიქელას თავისი უპატრონო, ავადმყოფი შვილიშვილისადმი. სოფელი უპატრონოა, მას შეველა სჭირია, — ძალუმაღლ შთააგონებს მკითხველს დავით კლდიაშვილი ამგვარი ნაწარმოებებით.

1 დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. I, 1935, გვ. 338.

სოფლის მოსახლეობის ასეთივე მძიმე, გაწრიოკებული, შეუწყნარებელი მდგომარეობა მოცემული მოთხრობაში „მრევლ“: „ამასთან აქ ახალი საკითხიცაა შემადრწუნებელი სიცხადით დაყენებული.

სოფელში მოსულია ახალგაზრდა განათლებული მღვდელი ზოსიმე. გაძვალტყავებული სოფელი ვერ ახერხებს ახლადდანიშნულ მოძღვარს სოფელშივე მისცეს ბინა, რათა მღვდელი ახლო იყოლიოს და საჭიროებისამებრ გამოიყენოს იგი. ზოსიმე კეთილი ბუნებისა და ხალხის მოყვარული კაცია. მასაც უნდა შეძლებისდაგვარად ხალხს დაეხმაროს. ემსახუროს; მაგრამ სოფელში უბინაობის გამო, ის ვერ ახერხებს თავისი მოვალეობის ღირსეულად შესრულებას. ხალხის საყვედურს ასე უპასუხებს: „კი გეთქმისთ საყვედური, კი!.. მღვდელი ახლოს გინდათ გყავდეთ, ამისათვის ბევრს ვეცადე, მაგრამ რა გზით შემოვუარო ამას, როცა მთელ სოფელში ვერსად ვერ ვიშოვე საჭირაოდ სადგური!... თუმცა ჩემთვის მეტისმეტი გასაჭირი იქნებოდა ქირის გადახდა, მაგრამ ვინ ოხერი თავს არ შეიწუხებდა, ოღონდ კი თქვენგნით საყვედური ამეცილებინა... ეკლესიაზედაც დაშორებული ვარ და მრევლზედაც... მოძღვარი მქვია... ნამდვილ-კი, რა მოძღვარი ვარ?“¹

მოხუცებული აზნაური. ნესტორი გლეხობას ურჩევს საერთო ძალითა და დახმარებით მღვდელს „ერთი პატარა სადგომი აუშენონ“, და მაშინ მღვდელიც ახლო ეყოლება სოფელს და ყოველივე უკმაყოფილება და სამღურავიც მოისპობა. გლეხობა კარგად გრძნობს. რომ განათლებული მღვდლის ახლო ყოფნა სოფლისათვის სასარგებლოა. მაგრამ რა ქნას ხალხმა, როდესაც ისიც ღარიბია და მასაც აუტანელ პირობებში უხდება ცხოვრება. სოფლის მოსახლეობა (რა თქმა უნდა, გლეხობა) ასე ხსნის თავის უღონობას: „ჩვენ ჩვენი საკუთარი გაჭირვება გვეყოფა, ძლივს სული გვიდგია ტანში, ჩვენ მაგისაგან მოველით შველასა და დახმარებას, ჩვენი გაჭირვების გაადვილებას, და ამის მაგივრად ტვირთათ გვაწუხება... დასაბინავებლათ ჩვენ გვიხთება და შესანახავათ... ჩვენც ცოდვანი ვართ!“²

ახალგაზრდა მღვდელს ზოსიმეს ხალხის ეს სიტყვები გულში ისარით ხედება, მას კარგად ესმის, რომ ხალხს ასე ალაპარაკებდა გაჭირვება. ზოსიმე ნათლად ხედავდა, რომ ხალხის თვალში მღვდელი მისთვის მძიმე ტვირთია, „თვალებგამოპრაწული“ მის წაგლეჯაზე იგეშება.

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 197.

² იქვე, გვ. 198.

ზოსიმე კი, მწერლის დახასიათებით, „...სულ სხვა იმედებით მოდიოდა ამ ხალხში... ეგონა, ამ ხალხში შეიტანდა პატივისცემას მის წოდებისადმი, შეაყვარებდა იმათ სახელს, ვინც მქადაგებელი სიყვარულისა მოყვასისადმი, ვინც განმანათლებელია სულისა, გამწმენდი გულისა ყოველივე მძულვარებისა და ბოროტებისაგან“¹. ამის სამაგიეროდ ზოსიმე ხალხის აღნიშნულ უარყოფით დამოკიდებულებას ხედებოდა. შეფოთებული ზოსიმე მწუხარებით ეკითხებოდა თავის თავს: „სადაა სიყვარული, პატივისცემა, ნდობა, იმედი“, რაზედაც ოცნებობდა ის სემინარიაში თავის ამხანაგებთან, რომლებთანაც ერთად იგი ემზადებოდა მომავალი მოღვაწეობისათვის?! აქაც, აშკარაა, დავით კლდიაშვილის შემოქმედებას ხალხოსან მწერალთა გავლენის ბეჭედი აზის.

ხალხის ასეთი საუბრის დროს მღვდელი ზოსიმე უხერხულობასა გრძნობდა და ბურანში გახვეული გაქცევას აპირებდა. ამ დროს მასთან მივიდა ბიჭი ალფეხა და სთხოვა წაჰყოლოდა ავადმყოფი ძის საშველად. ზოსიმე დაუყოვნებლივ მოიხმობს დარაჯს პეტრიას, მოაყვანინებს ჭორს და გასწევს მრევლში დავრდომილის საშველად. გზაში შემოხედება მას მღვდელი მიხეილი, რომელიც საკმარისად დაგეშილია ისედაც გაპირებული ხალხის ყვლეფაში; დაუოკებელი სიამოვნებით და საღერდელაშლილი ხუმრობის კილოთი ლაპარაკობს „მსუქან, ბურუხიან კანჭიანთზე“ — მიცვალებულთა ქელეხებში მსუქან ცხვარსა და სხვა საკლავების ხორცზე, რაც, მიხეილის აზრით, მამა ზოსიმესაც „სხვანაირ გუნებაზე“ მოიყვანდა. ზოსიმეს მღვდელი მიხეილის ასეთი ცინიკური საუბრის მოსმენა შეაწუხებს და სევდიანად ჩააფიქრებს: „ნუთუ ეს მიხეილა ხუცესი მისი მომავლის გამოხატულებაა? ნუთუ მასაც მოელის ასეთი ბედი?“

ზოსიმე მალე ავადმყოფთანაც მივა. ის იქ საშინელ გამოუვალ სიღარიბეს, სიღატაკეს და სრულიად უნუგეშო მდგომარეობას ხედავს: „ეს წყვილია, — წერს მწერალს, — რომელიც ამ სახლში დამყარებულიყო... ეს სიღარიბე, ეს სიღატაკე, ამ სახლის ყოველ კუთხიდან რომ გამოსქვიოდა, ეს საწყალი ავადმყოფები, რომელთა უსაშუალობაც თვალებში ეჩხირებოდა, ეს მუმიასავით შეფუთვნილი მოხუცებული დედაკაცი (ავადმყოფების დედა ანუსია — მ. ზ.), ჩემად რომ ცრემლებს ღვრიდა“² — ზოსიმეს მწვავედ აგრძნობინებდა თავის უღონობას ამათი შეწევნისათვის. ამას დაერთო დარაჯი პეტრიას მგლური დამოკიდებულება ამ ისედაც გაპარტახებული და დაცემული

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 200.

² იქვე, გვ. 204.

ოჯახისადმი. აქაც მწერალი იძლევა იმდროინდელი ჩვენი სოფლის მოსახლეობის ცხოვრების უტყუარ მძიმე სურათს!

ამ სურათის ნახვამ ისედაც დანაღვლიანებული ზოსიმე უფრო დანაღვლიანა, უნუგეშობაში ჩააგდო და უფრო მწარედ ჩააფიქრა. ნახული, ზოსიმეს თვალში, — ამბობს მწერალი, — „...ამ ცხოვრებას ყოველსავე სინათლეს აკლებდა და ყოველსავე სასოწარკვეთილებას უკვეთავდა. სეგდით მოცული გული. ამღვრეული სული, შემოწოლილი გრძნობა გამოთქმას ითხოვდა, იწვევდა საღალადებლად, ხმაძალდა წარმოთქმას თავის უნუგეშობისას. თავის სევდიანობისას“¹.

მწერალს უნდა მკითხველს აჩვენოს, რომ ეს შემაძრწუნებელი სანამდვილე ბორკაჟს ნიჭიერ, კეთილი საზოგადოებრივი სურვილებით გამსჭვალულ ადამიანებსაც კი, მათი მოქმედების გზასაც ამრუდებს. თუ კეთილის მაღლი მტკიცე არ არის.

ზოსიმეს თვალწინ ცოცხლად დაეხატა ნახული ამბავი: მისი მრევლი. უკმაყოფილო მობუტბუტე გლეხობა, მათი მწარე სიტყვები: ხუცესი მიხეილი, პეტრიას ქცევა გლეხების ოჯახში: თავისი ოჯახის გაჭირვება, ბავშვების სიტიტვლე. ის საშინელმა სევდამ, სასოწარკვეთილებამ მოიცვა: „მართლა თვალეზ-გამოპრაწულად უნდა იყვეს, თორემ ვერც სხვას წაადგება და თავის თავსაც ავენებს. ყოველივე ოცნებაზე ხელი უნდა აიღოს. იცხოვროს ისე. როგორც სხვები ცხოვრობენ. დროა აწი სოფლის ადათს შეეჩვიოს, პეტრიასი არ იყოს. სხვა ყოველისფერი ტყუილია და საზარალო. და ამას რომ ეუბნებოდა თავისთავს სახელმძღვანელოდ, უცნაურად ანუხიას ოჯახი მოაგონდა, სადაც ორი მომაკვდავი იწვა და თითქო ვიღაცამ წასჩურჩულა, შენი შემოსავალიაო. და ამ აზრის გაღვიძებამ, ამ აზრის მის ტერინში გაუღვებამ სრულიად დაათავა ახალგაზრდა მოძღვარი. ნუთუ ამგვარი ფიქრების გამაღვიძებლად გაუხდება მისი გაჭირვება, მისი სისაწყლე?! ნუთუ ამგვარ აზრების დამუშავებას მიეჩვია მისი ტვინი, მისი გონება?“² ამგვარი მოვლენა იმ დროს ხომ ხშირი და დამახასიათებელი იყო, რასაც ადამიანი ადვილად მიჰყავდა ყველგან, შევიწროების გზით. მაგრამ ზოსიმეს გული. როგორც თვით მწერლისა, მოძმის, გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ხალხის ბედით იყო დასერილი. ის ხედავდა რა, მართლად, უმწეო, ღეთის ანაბარად დარჩენილ. დაჩაგრულ, ყოველმხრივ შევიწროებულ ხალხს. მისი მოსიყვარულე გული უფრო მეტად სწუხდა, ბორკაჟდა. „... ეგ საერთო ტანჯვა. — გადმოგვცემს მწერალი, — საერთო მწუხარება, საერთო გაჭირვება თან უიმედობაშიაც აგდებდა და თან არიგებდა თავის საკუთარ გაჭირვებასთან

¹ დ. კლდიაშვილი. თხზ. სრული კრებული, ტ. I. 1935, გვ. 205.

² იქვე, გვ. 209.

და თავის ბედთან. ცრემლები, რომელნიც თვალთაგან სცვივოდა, თან მწუხარების ცრემლებიც იყო, ცრემლები უიმედობისა და თან ბედთან შერაგებისა“¹.

დავით კლდიაშვილი ამით მკითხველს შთააგონებს, რომ მხოლოდ მოძმისადმი ნამდვილი სიყვარული ადამიანს ადვილად აატანინებს მძიმე ცხოვრებას, არ მიაჩვევს მგლურ ხელობას — მოძმის შევიწროვების საფუძველზე პირადი კმაყოფილების შექმნის სურვილს — და მას გადააქცევს მოძმის ბედის გულწრფელ გამზიარებლად და მის გაუმჯობესებაზე მზრუნველად.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში მართლდება მისი გულწრფელი განცხადება: „გული მტკიოდა და ვწერდი“, ან „ყველაფერს, რასაც ვწერდი, ადამიანისადმი სიყვარული მაწვრინებდა“-ო. სწორედ მწერლის დიდი სიყვარული და გულისტკივილი გვესმის მის შემოქმედებაში. ამიტომ ვასაგებია, როგორც თვითონ დავით კლდიაშვილი აღიარებს „მემუარებში“, მისთვის „ეს (მხატვრული შემოქმედება — მ. ზ.) მუშაობა კი არ იყო, იყო უმაღლესი სიამოვნება“².

თუ პირველი ჯგუფის მოთხრობებში („შემოდგომის აზნაურთა“ გარშემო) მკითხველს ძალუმაღ ესმის ბავშვური, განუწყვეტელი სიცილ-ხითხითი, მწერლის იუმორისათვის დამახასიათებელი, რომელმაც მოთხრობათა გმირებს — „შემოდგომის აზნაურებს“ — აფასებს, როგორც ახალ ცხოვრებასთან შეუსაბამობას, ანაქრონიზმს, რომელმაც ადგილი უნდა დაუთმოს ახალს (ბურჟუაზიულს), ასე ულმობლად და ძლევაძმოსილად რომ მოდის, — მეორე ჯგუფის ნაწარმოებში („მერისხვა“, „მსხვერპლი“, „მიქელა“, „მრევლში“, „შუაღეცხლის პირას“, „უბედურება“) მკითხველი ღრმად განიცდის მწერლის ღრმა სევდას. უსამართლო სინამდვილით გამოწვეულს, ბოღმას, ნატკენი გულიდან გამონადენს და სურვილს დაეხმაროს ხალხს.

* * *

დავით კლდიაშვილის მიერ ცხოვრების ნეგატიური ასახვა, რა თქმა უნდა, მკვევრმეტყველი მლალადებელი იყო არსებულის შეუფერებლობისა, მწერლის მიერ მისი დათრგუნვისა. მაგრამ მხოლოდ ნეგატიური პოზიციიდან ცხოვრების მოცემა, ვერ დააკმაყოფილებდა ვერც მკითხველს და ვერც თვით მწერლის მაღალ ჰუმანურ განწყობილებას. ცხადია, ამაზე მისი პოეტური კალამი ვერ შეჩერდებოდა. მკითხველისათვის აშკარაა: დავით კლდიაშვილს მიუღებლად

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, 1935, გვ. 212.

² დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1932, გვ. 357.

მიაჩნია კაციას, ფეფენას, მარინეს, მიქელას შევიწროებული, ზხელი ცხოვრება, გულითა სწუხს მათი ხვედრით.

მწერალი დაინტერესებულია განჭვრიტოს ხალხის მომავალი. მკითხველი გრძნობს მწერლის ტკივილს და ინტერესს, საით და როგორ გადასტყორცნის ოტიას, სონიას; უკვალოდ შთანთქავს თუ ფულის კერპის წინ ამართულ სამსხვერპლოზე დასწვავს, თუ მტკიცედ შეებამიან დაბრკოლებებს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებენ, დაამყარებენ სასურველ ცხოვრებას, სადაც ადამიანი თავის თავს კაცად იგრძნობს. ეს საკითხი 90-900 წლებში ძირითადი, წამყვანი იყო, ყოველი შეგნებული მოქალაქე ამ საკითხს უტრიალებდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა მის განჭვრეტას, გარკვევას. მართალია, დავით კლდიაშვილისათვის მომავალი ცხოვრების სახე მთლად არაა გარკვეული, მაგრამ ის რომ უნდა იყოს თანასწორუფლებიანი, სამართლიანი და ბედნიერი მშრომელთათვის — ეს აშკარაა.

დავით კლდიაშვილიც ერთ-ერთ თავის პატარა ნაწარმოებში „მშობლის ნუგეში“, მართალია, არაამომწურავს, მაგრამ მანაც რმედის მომცემ პასუხს იძლევა, თუ როგორი უნდა იყოს ამ დაბეჩაყებული, ყოველი მხრიდან შევიწროებული და კალაპოტიდან ამოვარდნილი ხალხის არსებობისათვის ბრძოლა. ამ ნაწარმოების დაწერის საბაზი დავით კლდიაშვილს მისცა, ახალგაზრდა ნიკიერი მეცნიერის ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილის ოდესაში დაღუპვამ, როცა ამობოქრებული ბრბო დაუნდობლად ქლეტდა ებრაელებს. ამ მდგომარეობის მნახველმა საბა კლდიაშვილმა ვერ მოითმინა სახლში ყოფნა, საცოდავთა მისაშველებლად ჩაება ბრძოლაში. ჭალათის ნასროლი ტყვია შუბლში მოხვდა დარბეულთა მშველელ საბას, რამაც დიდი მწუხარება გამოიწვია საზოგადოებაში. ოდესის უნივერსიტეტმა საბას ნეშტი დასაკრძალავად საქართველოში გადმოგზავნა. საბა კლდიაშვილის რევოლუციურმა დაკრძალვამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო.

აი როგორ აგვიწერს ამ დაკრძალვის პროცესს თვით დავით კლდიაშვილი: „ბათუმი დიდად ეშაღებოდა მოკლულის ცხედრის მიღებას. დილა იყო როცა გემი მოადგა ნაპირს. გემიდან გადმოსვენეს მიცვალებული. მახლობლების გარდა, აქ არავის უშვებდნენ. მაგრამ რაღაც ხერხით ერთ ჭარისკაცს მაინც მოეხერხებინა და მოიჭრა კუბოსთან. კარგად მახსოვს მისი აღფლევებული სახე, მისი აკანკალებული, მთრთოლავი ხმა, რომლით მან მიმართა მიცვალებულს:

— ძვირფასო ადამიანო! შენ ჩვენთვის გასწირე შენი სიცოცხლე, შენი მეცნიერება, შენი ყველაფერი, ჩვენი საცოდავი ხალხის მისაშველებლად გამოხვედი... შენც იგი გხვდა, რაც ჩვენებს და ჩვენ არასოდეს არ დაგივიწყებთ შენს ჩვენდამი გულკეთილობას, შენს სახელს,

შენს ჩვენთვის ძვირფას სახელს! გმადლობთ, გმადლობთ, ძვირფასო ადამიანო! შეჩვენება შენს მკვლევებს... ჩვენ მტარვალბებს!...

მწარედ აქვითინებული იგი გაშორდა კუბოს. იგი იყო ებრაელი ჯარისკაცი.

გემის სადგომიდან კუბო გადაასვენეს აზიზიუს მოედანზედ, სადაც იყო მომზადებული საგანგებო ადგილი. მოედანი საესე იყო ხალხით, წესიერებას იცავდნენ ამ შემთხვევისათვის ამორჩეული პირები. შემალღებულზედ დასვენებულ კუბოსთან ამართული იყო მაღალი ტრიბუნა ორატორებისათვის. მთავრობა არ ერეოდა და ნებაც დართო გასვენება გამსვენებელ კომიტეტს ისე მოეწყო, როგორც სურდა. ასეთი საქციელი მთავრობის მეტად მნიშვნელოვანიც იყო და ამცდენიც უბედურებისა, რაც უსათუოდ მოხდებოდა წინააღმდეგ შემთხვევაში. ეს ზღვა ხალხი ისეთ გუნებაზე იყო, რომ საკმარისი იქნებოდა ცოტა რამ. რომ თავი გაემეტებინა. დეპუტაციები ბაირაღებით ცელიდნენ დეპუტაციებს კუბოსთან და დგებოდნენ რიგში.

მთავარი ხელმძღვანელი იყო ვეჭილი დინინი, ებრაელი. ბათუმის მთელი ებრაელობა მოვიდა აზიზიუს მოედანზედ მიცვალბებულის პატივსაცემად და მათ ხმამაღლა ტირილს დასასრული არ ქონდა, როცა ტრიბუნაზედ ასულმა რაბინმა დაერთ ზილბერმისტრმა მიმართა თავის მსურველ სიტყვით...

სიტყვების დასასრულს შემდეგ მიცვალბებული წაასვენეს სადგურზედ ქუთაისში დასაკრძალავად. ზღვა ხალხი მიყვებოდა კუბოს გასაოცარი წესრიგით... კუბოს მიყვებოდა ხორო მარსელიეზას და სხვა რევოლუციონურ სიმღერებით. ხალხით გატენილ ქუჩებში პროცესია გაჭირვებით იწეოდა წინ¹.

ამ საზარელმა ფაქტმა და ხალხის ფართო მასების ამგვარმა დამოკიდებულებამ დიდ ჰუმანისტ მწერალ დავით კლდიაშვილს ბიძგი მისცა დაეწერა პატარა მოცულობის, მაგრამ მწერლის მსოფლმხედველობისათვის მნიშვნელოვანი ესკიზი „მშობლის ნუგეში“. ამ ნაწარმოების გმირებად დავით კლდიაშვილს გამოყვანილი ჰყავს თვით ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილი და მისი დედა ეფროყიფიანის ქალი, ესკიზში წოდებული ელენედ.

მოხუცებულ ელენეს ტანჯვით გამოზრდილი ჰყავს შვილი. ეს ახალგაზრდა ვატაცებით ემსახურება მეცნიერებას, მაგრამ ამასთან არ კმაყოფილდება მეცნიერის კაბინეტითა თუ ლაბორატორიით, ის ასეთივე ენერგიული მოქალაქეა, ისწრაფვის მიეშველოს ყოველდღიურ ბრძოლაში ადამიანებს, „რომელთაც მის თვალწინ შეუბრალებლად

¹ დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1932, გვ. 259—260.

სრესდნენ ქუჩაში, როგორც პირუტყვით“. სწორედ ასეთი დახმარების დროს ავაზაკებმა — შავი რეაქციის დამცველებმა — ის წუთისოფელს გამოასალმეს.

ამ გარემოებამ დაღუპული ახალგაზრდის დედა, მოხუცი ელენე, დაადგმა. ის დიდ მწუხარებას მიეცა. ყველას ეგონა ასეთს უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი დედა ვერ აიტანდა თავსდატეხილ უბედურებას, „ყველანი! — ამბობს მწერალი, — მისი აღსასრულის დღის მოლოდინში იყვნენ“. მაგრამ შვილის ძლიერმა, შინაარსიანმა, მომხიბვლელმა პიროვნებამ და დედურმა სიყვარულმა ეს ქალი ცხოვრებას კვლავ დაუბრუნა.

მოხუცი ელენეს გულს, თვალს; ყურს და გონებას არ სცილდებოდა გამწარებულ, აბოზოქრებულ ადამიანთა გროვა, მისი შვილის კუბოს რომ მისდევდა — და ფიცს სდებდა: „...მაღე გათენდება ნათელი, ბრწყინვალე დღე და რომ იმ ბრწყინავ დღეს მივლენ მასთან ყველა წამებულნი, წვალებულნი, ტანჯულნი, რომელთათვისაც მუდამ თრთოდა მისი გული; მივლენ საღმით, მივლენ და მიახარებენ სასურველ დღის გათენებას და მადლობას მიუძღენიან მას, მათთვის თავდაღებულს, მათთვის თავის შემწირველს“¹.

ელენეს გულსაც ლახვარივით ჩაესო სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვა: „როდის, როდის გათენდება იგი დღე?“ ელენემაც იწამა, რომ მაშინ აღსრულდება ის, რაზედაც ოცნებობდა მისი ძვირფასი შვილი, „მაშინ იხილავს მისი დამწუხარებული გული მისი „ბიჭის“ დიდებულებას. იგი დღე იქნება ყველასათვის და ყველასთან ერთად მისი ბედნიერების დღეც“².

მოხუცებული დედა, მოკლული შვილის პიროვნების სიძლიერითა და მისდამი სიყვარულით ცხოვრებას დაბრუნებული, გატაცებით ადევნებდა თვალ-ყურს ახალი ცხოვრების მოძრაობას, რაც ხდებოდა მის გარშემო, რაც ისმოდა ქვეყნად. ის გაფაციცებით ეძებდა ბრწყინვალე დღის მოახლოების ნიშნებს. არასაიმედოს რომ დაინახავდა. მისი გული სევდით იესებოდა და სასოწარკვეთილებით წამოიძახებდა: „ო, საზიზღრები!... თავისას მაინც არ იშლიან... როდემდის, როდემდის?!.. ნუთუ საშველი არ არის!“³

გამწარებული, აქვითინებული, გულამოძღარი მოხუცი მშობელი დაემხოზოდა ძვირფასი შვილის სურათის წინ და იყო მანამდე, სანამ ბურანში მყოფს, ისევე შვილისაგან შეცოდებულს, არ გამოაფხიზლებდა მისი ხმა: „ნუ სწუხარ, დედიკო, ნუ სწუხარ! მართალია ქვეყანაზე

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1935, გვ. 8.

² იქვე.

³ იქვე.

ადამიანი კიდევ ბევრ უბედურებას განიცდის, ბევრ სიმწარეს შეჰხედება, მართალია, დღეს ადამიანი ადამიანს კიდევ მტრულად უწვდება, მაგრამ ბედნიერების დღე მაინც არ ასცდება მას, მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა... ბუნება, საკვირველებით მოცული ბუნება, ადამიანისაგან ჯერ სრულიად უცნობი... თავისუფალ პირობებში ამუშავებულ ადამიანის გონებას გადუშლის მასში დაფარულ საკვირველ ძალას და... მაშინ მოისპობა ქიშპობა ადამიანთა შორის, ადამიანი იქნება განმავითარებელი მასში ჩანერგილ ნიჭისა და არა მისით მოვაჭრე, იქნება თავისი ნიჭის მიმდევარი, მისით დამტკბარი, მისით ზედნიერი და მის გარეშე მყოფთა მოსარგებლე... კი, დედიკო, ბედნიერება მოვა ქვეყნად, მოვა! ბნელ ღამეს შესცვლის ნათელი დღე... ეს კანონია ბუნებისა და ვერავითარი ძალა, ვერაფერი მას ვერ მოჰშლის, ვერ შესცვლის, და ყოველივე ცდა ამის საწინააღმდეგოდ სამწუხარო უგუნურებაა!...“¹

მოხუცი დღის მწუხარება, ტკივილები არა მარტო შვილის ვერაგული მოკვლით, არამედ ქვეყნის მოუწყობლობით, უსამართლობით, ძალმომრეობით გამოწვეული, თვით მწერლის დავით კლდიაშვილის გამუდმებული ტკივილია. მასაც ღრმად სწამდა, რომ „ბნელ ღამეს — ხალხის გადატაცებულ, შევიწროებულ, მწუხარებითა და უსამართლობით სავსე ცხოვრებას — შესცვლის ნათელი დღე, ქვეყნად დამყარდება ბედნიერება, რომ ეს კანონია ცხოვრებისა, რომ ეს კანონი მტკიცეა და „ამის წინააღმდეგ ბრძოლა სამწუხარო უგუნურებაა“.

ამ დღის მოლოდინს დავით კლდიაშვილმა, როგორც მწერალმაც და როგორც მოქალაქემ, გატაცებით, უანგაროდ შეაღია მთელი თავისი სიცოცხლე.

დავით კლდიაშვილი დაუღალავად, დიდხ ენთუზიაზმით ექსადებოდა „ქვეყნად ბედნიერი დღის შესაგებებლად“ და თავის მრავალრიცხოვან მკითხველსაც ძალუმად იქით იზიდავდა.

დავით კლდიაშვილი როგორც დრამატურგი

დავით კლდიაშვილი ქართულ ლიტერატურაში ცნობილია არა მარტო როგორც ნიჟიერი ბელეტრისტი და მემუარისტი, არამედ აგრეთვე როგორც დრამატურგი, და, უნდა ითქვას, ნიჟიერი დრამატურგიც. მას აქვს მხოლოდ სამი დრამატული ნაწარმოები: „ი რ ი ნ ე ს ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა“ — ორმოქმედებიანი, „დ ა რ ი ს პ ა ნ ი ს გ ა ს ა ჭ ი რ ი“ — ერთმოქმედებიანი და „უ ბ ე დ უ რ ე ბ ა“ — ერთმოქმედებიანი.

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1935, გვ. 9.

ცნობილია, კარგად გაკეთებული დრამატული ნაწარმოები ერთ-დროულად დამთავრებული მხატვრული ქმნილებაა და სცენური მასალაც, სცენური ნაწარმოებიც. თავის „დრამატურგიაში“ კ. ვოლკენშტეინი სამართლიანად შენიშნავს: «Драматическое произведение живет двойной жизнью. Будучи самодовлеющим литературным произведением, оно в то же время предназначается для сцены—является так сказать, литературой театральных возможностей: его можно «ставить» и можно читать»¹.

უდავოდ, დავით კლდიაშვილის პიესები სწორედ ამგვარი თვისებებით ხასიათდება. დავით კლდიაშვილის დრამატული ნაწარმოებნი ბუნებრივად ავსებენ მის შემოქმედებას და აძლიერებენ ეპოქის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლინებას. დავით კლდიაშვილის პიესები ავტორისათვის დამახასიათებელ იუმორს არ არიან მოკლებულნი. ისინი საყოფაცხოვრებო ყანრის პიესებია, და ავტორის შემოქმედების იმავე საერთო თემებს („შემოდგომის აზნაურთა“ ცხოვრებისა და ჩვენი სოფლის უმწეო ჩამორჩენილ მდგომარეობას) ანვითარებს.

პიესაში „უ ბ ე დ უ რ ე ბ ა“ მოცემულია ეკონომიურად გაძვალტყავებული და კულტურულად ჩამორჩენილი — ცრუმორწმუნეობაში მყოფი, უპატრონოდ მიტოვებული სოფლის მოსახლეობა — გლეხობა, რომელიც თავისი სიღარიბითა, კულტურული ჩამორჩენილობით მოუწესრიგებელია და უძლური შევიწროება-უბედურებასთან ბრძოლაში.

„ი რ ი ნ ე ს ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს ა“ და „დ ა რ ი ს პ ა ნ ი ს გ ა ს ა კ ი რ ი ს“ თემა კი „შემოდგომის აზნაურია“. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, „შემოდგომის აზნაურის“ მრავალფეროვანი სახესხვაობა დიდი ელვარებითა და ოსტატობითაა ნაჩვენები დავით კლდიაშვილის მოთხრობებში. პიესებში კი მდიდარი გალერეაა მოცემული ამ სახისა. მაგრამ მათში განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს იწვევს დარისპან ქარსიძე („დარისპანის გასაჰირი“), რომლის შესახებაც ზევით გვექონდა საუბარი, და ა ბ ე ს ა ლ ო ს ა ლ ა მ თ ა ძ ე („ირინეს ბედნიერება“).

აბესალო სალამთაძის სახით დავით კლდიაშვილი გვიხატავს დეგრადაციის გზაზე მყოფ აზნაურს, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ეკონომიური მდგომარეობა და რომელიც ჭეიფისა და უაზრო დროისტარებით თავის ძმა-ბიჭებთან — ნესტორსა და სოგრატთან — უანგარიშოდ სწევას როგორც შემორჩენილ ქონებას, ისე თავის სიცოცხლეს. აბესალო სალამთაძის სახით დავით კლდიაშვილი ნიკიე-

¹ В. Волькенштейн — «Драматургия», 1937, стр. 13.

რად ანსახიერებს დეგრადაციის გზაზე დაქანებული თავადაზნაურობის ნაბოლარს, კოჟანდარს.

ცნობილია, დეგენერაცია ჩვეულებრივ იწყება მორალის სფეროში. ასევეა აბესალო სალამთაძეც. მთელი მისი ხასიათი, მსოფლმხედველობა და ქცევა ბუნებრივი შედეგია ბატონიანთ კარზე გაბატონებული აღვრმისშვებული აღზრდის სისტემისა. ის ვერ ითმენს თავისი წუთიერი სურვილის დაუკმაყოფილებლობას. აბესალო ცხოვრებაში ყველასა და ყველაფერს გასართობ საგნად ხდის; იმას სრულიადაც არა ფიქრობს, როგორც სამართლიანად უსაყვედურებს მას ვიქტორი, „რა ბოლო შეიძლება მოსდევდეს მაგ გართობას“.

აბესალო დამშვიდებულ მდგომარეობას ვერ ეგუება. მან. ვიქტორისავე სამართლიანი თქმით, „ჩვეულებისამებრ შფოთი უნდა ატეხოს“. აკი სტუმრად ყოფნისას შექეიფიანებულ აბესალოს მოეწონება ფილიპე ბარბაქაძის ქალიშვილი ირინე. მას ყინმა წამოუარა, ის არაფერს და არავის ერიდება. ოლონდ კოხტა ქალი — ირინე დაისაკუთროს. მას მხოლოდ გაღვიძებული თუ აფეთქებული გრძნობის ჩაქრობა სწადია, ხოლო „მერე რა იქნება, ამისი დარდი არ აწუხებს იმიტომ. რომ ცოლსა და ოჯახს არასოდეს თავის თავს არ შეაწუხებინებს“. სამართლიანად უხასიათებს ვიქტორი ფილიპე ბარბაქაძეს: „აბესალოსთანა ხასიათის ყმაწვილები საოჯახოთ არ გაუჩენია ღმერთს და როცა შემთხვევით მოჰკიდებიან ოჯახს, იქ სიკეთე ჯერეთ არავის უნახავს“.

ვიქტორი ყოველნაირად ცდილობს აბესალო დააწყნაროს, მოაწესრიგოს მისი საქციელი: ენერგიულად ურჩევს თავი დაანებოს ახირბას. შეუფერებელ თავისუფალ მოქცევას ირინესთან, ნუ შეარცხვენს ახალგაზრდა ქალიშვილს, ნურც ოჯახს. მაგრამ აბესალოსთვის ყველა ეს საბუთი მიუღებელია. ბოლოს, როგორც ვაჟკაცისათვის შემაკავებელ საბუთს, ვიქტორი გაანდობს აბესალოს, რომ ირინეს საქმრო არჩეული ჰყავს და აბესალოს საქციელი დიდი უსიამოვნებით დამთავრდება. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება აბესალოს უფრო ახელებს. ის კარგავს წონასწორობას, ტაქტს. გახელბებული, რომ შეიძლება მისი სურვილი არ ასრულდეს, რომ მოპირდაპირეს ყველა გზა გადაუჭრას, იქვე მიდის ირინეს მამასთან, სთხოვს: ირინე მას მიათხოვოს.

გალარიბებული აზნაური ფილიპე ანგარიშს არ უწევს არც ირინეს სურვილს, არც მის თხოვნას, არც ვიქტორის რჩევას — თანხმობას მისცემს აბესალოს: რაკი აბესალო შეძლებული ოჯახის შვილია, დამოუკიდებლად გადაწყვეტს შვილის ბედს. ირინეც იძულებულია ვაჟყავს აბესალოს. თითქოს ასე თავდება კონფლიქტი, შეჯახება, ერთის მხრით, აბესალოსა და, მეორე მხრით, ირინეს, როდამიშვილის (ირინეს არჩეულის) და ვიქტორის სურვილთა შორის.

მაგრამ მკითხველი ამით ვერ კმაყოფილდება. ის თხოულობს გაიგოს, როგორი იქნება ირინეს ბედი აბესალოსთან. გამართლდება თუ არა წინათქმა: „აბესალოსთანა ხასიათის ყმაწვილები საოჯახოთ არ გაუჩენია ღმერთს და როცა შემცდარან და შემთხვევით მოჰკიდებიან ოჯახს, იქ სიკეთე ჯერეთ არავის უნახავს“. ამიტომ, ბუნებრივია, აქ არც ავტორი ჩერდება. მას უნდა აბესალოს უარყოფითი სახე მთელი სისრულით გამოააშკარავოს. ის სინამდვილის კარგი ცოდნით პიესის მეორე მოქმედებაში აგრძელებს შექმნილი კოლიზიის შედეგების ჩვენებას.

მიუხედავად ბედისაღმი ირინეს დამორჩილებისა, წესიერი ქცევისა, ქმრისა და ოჯახის ერთგულებისა, როგორც ამას გულწრფელად ადასტურებს აბესალოს დედა ეკა, ვიქტორთან საუბრის დროს, აბესალო, მოიკლავს რა თავის ადელვებულ სურვილს, მალე ირინეზე გულს აიყრის, უდიერად, არაადამიანურად ეპყრობა, არავის, თვით მშობლებსაც კი არავითარ ანგარიშს არ უწევს. აი ასეთ „ბედნიერებას“ აძლევს ის ირინეს!

აბესალოს ხასიათი, უდავოდ, ტიპური იყო XIX საუკუნის ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში — ფეოდალური ყოფის კატასტროფიული რღვევის პროცესში. აბესალო ნაშთია „ძველის დიდებისა“ — ფეოდალური აღვირაზნისა. აბესალო „ხორცია ხორციოთა და სისხლი — სისხლიოთა“ ილ. ჭავჭავაძის დათიკოსი („გლახის წაამბობი“), გ. წერეთლის ერემია წარბასი და მისი ამხანაგებისა („პირველი ნაბიჯი“), ეგნ. ნინოშვილის იასონ უქმაძის, ლევან ძველისენიძის („ქრისტიანე“), ტარიელ მკლავაძისა და მისი მეგობრების („ჩვენი ქვეყნის რაინდი“).

აბესალოსა და სხვა ძირითადი მოქმედი პირების სახით როგორც „ირინეს ბედნიერებაში“, ისე „დარისპანის გასაჰირში“ მეტად თვალსაჩინოდ, კოლორიტულადაა მოცემული ფეოდალური ცხოვრებიდან გასვლის ზღვარზე მდგარი „ყოფილი ადამიანის“ დაჩივებულის, გადაკვარებულის, ნიადაგგამოცლილის ბუნება.

ამასთან დავით კლდიაშვილისათვის დამახასიათებელია მოქმედ პირთა ხასიათის მოცემა არა თანდათანობით, ნაწარმოების სიუჟეტის გაშლის ან მოქმედების განვითარების პროცესში, არამედ ძირითადი მოქმედი პირის ხასიათი დასაწყისშივე ადვილად შესაცნობი.

პიესის დასაწყისშივე აბესალო უჩინანი და მოუთმენელი აღტაცებით გამოხატავს თავის აფეთქებულ გრძნობას ირინესადმი: „ბატონო ირინე!.. ბატონო ირინე! მიგვატოვა?! სოვრატ, ნესტორ! ახლავე აქ მომიყვანეთ! ახლავე მომიყვანეთ აქ! უირინობა შეუძლებელია!.. ბატონო ირინე!“ — მკითხველი უმალვე ხვდება, რომ აბესალოს ეს გრძნობა სერიოზულად არ ამოძრავებს, რომ მას ავარდნილი სისხლი ვერ დაუოკებია და მის დაუყრებას მცდარი და შეუფერებელი გზით თუ საშუალები

ბით ეძებს. ის არ ითვალისწინებს, რომ არ არის ოჯახის შემქმნელი და გამძღოლი კაცი, რომ არავის არ მისცემს არც ბედნიერებასა და არც სიხარულს. სამართლიანია აბესალოსი და მისთანების დახასიათება: „მეოჯახე, მშვიდობიანი, ღვთისნიერი ქმნილება მაგათ (ე. ი. აბესალოების—მ.ზ.)სიახლოვეს უკიდურესად გაწვალებულია და წამებული“¹. აქ და მთელი პიესის მანძილზე ვიქტორის პირით თვით ავტორი აძლევს ამ კოჟანდარს გამანადგურებელ დახასიათებას.



დავით კლდიაშვილის პიესების მოქმედ პირთა ხასიათის სიმკვეთრე, დახვეწილობა, სახე აიხსნება დრამატურგის მიერ დრამატული ნაწარმოების მდიდარი ხერხების ოსტატური გამოყენებით.

შეიძლება ითქვას, რა მხატვრული ნიშნები ახასიათებს „ირინეს ბედნიერებას“, ის ტიპიურია მთლიანად დ. კლდიაშვილის დრამატული შემოქმედებისათვის. ამიტომ ამ მიმართულებით შევჩერდებით „ირინეს ბედნიერების“ ანალიზზე.

პიესაში მოქმედების მსვლელობა მოულოდნელი და არაჩვეულებრივი სიტუაციებით იწყება. სწრაფად ვითარდება პიესის ძირითადი პერსონაჟის, აბესალო სალამთაძის, ყინიანი სურვილი — დაუყოვნებლივ დაისაკუთროს ირინე (ასევეა „დარისპანის გასაჭირში“ დარისპანისა და მართას მისწრაფება). აბესალო დაუოკებლად რომ შესძახებს: „ახლავე აქ მომიყვანეთ! უირინობა შეუძლებელია!.. ქალბატონო ირინე“. ეს ვნებიანი და ყინიანი სურვილი აბესალოსი მაქსიმალური დინამიურობით მთელ პიესას გასდევს (ასევეა „დარისპანის გასაჭირში“).

ამ ნიადაგზე მოხდენილად იწყება ბრძოლა აბესალოსა და ირინეს შორის. აქ იქმნება ინტერესთა კონფლიქტი, კოლიზია. აქვე ისახება პიესის მოქმედების განვითარების კვანძი.

დრამატული ნაწარმოები მოითხოვს მოქმედების განვითარების თანდათანობით ზრდას! ამას დრამატურგი აღწევს სხვადასხვა საშუალებებით.

ვ. ვოლკენშტეინი სამართლიანად აღნიშნავს:

«Нарастание действия в драме достигается:

1. Постепенным введением в борьбу все более активных сил со стороны контрдействия — все более влиятельных и опасных для героя персонажей.

2. Постепенным усилением действия каждого из борющихся...

3. Иногда способствует усилению действия увеличение ко-

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1935, გვ. 35.

личества персонажей — превращение сцены в групповую или массовую...

4. В момент разрешительный... во многих драмах построение, соответствующее тактике—принципу сосредоточения сил на разрешительном моменте сражения»¹.

უნდა ვარკვევით ითქვას, რომ დავით კლდიაშვილის პიესებში მშვენივრადაა დაცული ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნილება. კონფლიქტი, ბრძოლა თანდათანობით იზრდება. ერთის მხრით, აბესალო თავისი ვნებიანი შეუბოროკავი სურვილით, მეორეს მხრით, ირინეს წინააღმდეგობა. ირინეს წინააღმდეგობას თანდათან აძლიერებენ ვიქტორი, როდამიშვილი, აბესალოს მშობლების შვილისადმი უკმაყოფილება. ხოლო დასასრულს — თითქმის ყველა მოქმედ პირთა შეერთება აბესალოს წინააღმდეგ — აქაა კულმინაცია, რომელსაც ემთხვევა კვანძის გახსნაც. ირინეს ისტერიული თქმა: „აი ჩემი ბედნიერება, მამა!... ხომ ხედავ?... ხომ ბედნიერი ვარ! ხომ ბედნიერი ვარ, ჩემო მამა, ა?!“

„ირინეს ბედნიერებაში“ კარგად შეკრულ ინტერესთა ჭიდილს დავით კლდიაშვილი აძლიერებს აბესალოს გადაჭარბებული სურვილის მოხდენილად მოცემით. მკითხველისათვის თითქოს მოულოდნელიც კია ისეთი ზომას გადასული, მძაფრი, აჩქარებული ახირება და აზღვავებული ვნებიანობის გამოვლინება, აბესალო რომ იჩენს. უდავოდ, საღ მკითხველს აღელვებს და აოცებს კიდევ ის მოუხრიდებელი ქცევა ირინესადმი, აგდებულად მოხსენიება ირინეს საქმროს როდამიშვილისა, ფილიპესადმი აჩქარებული წინადადება — ირინე მას მიათხოვოს, შემდეგ ირინეს „დასაკუთრება“, და ბოლოს აბესალოს ირინესა და მისთანებისადმი არაადამიანური, მხეცური დამოკიდებულება. უნდა ითქვას, რომ ეს გადაჭარბება, ჰიპერბოლა სინამდვილეს კი არა ბლალავს, პირიქით, ზომიერად და შთამბეჭდავად აძლიერებს და მკითხველსაც სინამდვილეს ზედმიწევნით და მკვეთრად განაცდევინებს.

* * *

ამას გარდა, დავით კლდიაშვილის პიესები, როგორც საერთოდ მისი შემოქმედება, ხასიათდება დინამიკური დიალოგებით, რომლებშიც დიდი ხერხიანობითაა მომარჯვებული მოსწრებელი სიტყვა — რეპლიკა.

დიალოგი ხომ ჩვეულებრივ გამომხატველია ბრძოლისა, ჭიდილისა. დიალოგის ამგვარი თვისება განსაკუთრებით მყდუნდება დრამატულ ნაწარმოებში: ერთი ან ჭკუფი მოქმედი პირებისა ცდილობს თავისი

¹В. Волькенштейн, «Драматургия», 1937, стр. 36—37.

სურვილი აასრულოს, ამ მიზნით მეორე ან მეორეები მიიმხროს, დაიმორჩილოს, მათზე გაიმარჯვოს. დრამატიული ნაწარმოების მოქმედების განვითარება სწორედ ამ ბრძოლის, წინააღმდეგობის გზით მიიმართება, ვითარდება. ამ კიდილში სიტყვა აქტიური ბრძოლის იარაღია. ამიტომაც ცალკეულ სიტყვას დიალოგში დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ცნობილია, დრამატული რეპლიკა ყოველთვის აქტუალურად მოქმედია — ის იკვლევს, ამოწმებს, აჯერებს, იყოლიებს, ეკითხება, არიგებს, ბრალს დებს, ურჩევს, არცხვენს, ამტყუნებს, ამართლებს, აფრთხილებს, ახასიათებს, იცავს და ა. შ. დავით კლდიაშვილის დრამატულ დიალოგში სიტყვა — რეპლიკა ამგვარი მრავალფეროვანი ნიუანსის მქონე განწყობილების გამომხატველია.

ნიმუშისათვის მივმართოთ „ირინეს ბედნიერებას“. აბესალოს თავშეუკავებელ მისწრაფებას — ირინე დაისაკუთროს, ვიქტორი ენერგიულად ეწინააღმდეგება. მას უნდა აბესალო გონს მოიყვანოს. ამ მიზნით მიმართავს: რჩევას, წყრომას, გაჯავრებას, შეცხვენას, მაგრამ აბესალო დაუჯერებელია, ის დაუოკებელი ქინაზნობით თავისას მოითხოვს, უხეშად, ულამაზოდ იქცევა, არავის არაფრად აგდებს. ეს მეტად დამახასიათებლად და ნიჟიერად იშლება აბესალოს და ვიქტორის დიალოგში:

„აბესალო: ვიქტორ, ახლავე აქ მოიყვანე ირინე, აქვე დამიჯინე ამ სუფრაზე, ჩემს გვერდით!... ახლავე, ვიქტორ, გესმის!...“

ვიქტორ: ყმაწვილო, ღმერთმანი, სხვანაირად მიიღებენ მაგ შენ საქციელს. მაგ შენ ხუმრობას რამე კუდს გამოაბმენ და, ვიცი, უსიამოვნებით გათავდება, სხვა არაფერი იქნება! ხომ იცი, სოფლის ამაბავი!..“

აბესალო: თუ ძმა ხარ, შენი დარიგება შენთვის შეინახე და ახლად ამისრულე, რასაც გთხოვ... ირინე მომიყვანე და გვერდით მომისვი!..“

ვიქტორ: თუ ჩემი ძმობა გწამს, თავი დაანებე იმ ბავშს, აბესალო!.. თუ ჩემი ძმობა გწამს!.. შეხუმრებასაც თავისი საზღვარი აქვს!

აბესალო: სიღოური შეხუმრებაა?! კაცს გონება მეშლება, თვალები, ეს არი წამომცვინდება მაგის მხერიტ და ეს შეხუმრებაზე მლაპარაკება. ნუ ამაყენებ, ვიქტორ, მომიყვანე ირინე...“

ვიქტორ: გარწმუნებ, რომ თუ კიდევ შენ განაგრძე ირინესთან შენი საქციელი, აქ დღევანდელი დღე უსიამოვნებით გათავდება, და ის იქნება... გინდა, მოწადინებული ხარ ჩვეულებისამებრ უსათუოდ შფოთი ატეხო, სხვა არაფერი!

ა ბ ე ს ა ლ ო: მე მინდა ირინე აქ მომიყვანო, სხვა არაფერი!“¹

ვიქტორი ხომ ხედავს აბესალოს ახირებას, მონიდომებს ვაჟაკისათვის თავშესაქავებელი საბუთი მისცეს, გაუმტლავნებს ირინეს საიდუმლოებას, რომ მას საქმრო არჩეული ჰყავს, იმ იმედით, რომ იქნება ამან მაინც იქონიოს ზემოქმედება:

„ვიქტორ: უსათუოდ გინდა, როდამიშვილი გაახელო და შფოთში ჩაითრიო რამეფერად... უამისოდ მოწყენილი ხარ!..

ა ბ ე ს ა ლ ო: როდამიშვილი ვინ ოხერია?!

ვიქტორ: ვინაა და, როგორც წელან გითხარი, ირინეს საქმროა... ჯერ ოლონდ გამოუცხადებლად აქვთ პირობა მიცემული ერთმანეთისათვის...

ა ბ ე ს ა ლ ო: ჩემი რა საქმეა... მე რას დავეძებ მერე! ახირებულია!

ვიქტორ: შენი საქმე ისაა, რომ ამ ქალიშვილთან უფრო მეტი თავდაპერილობა გმართებს!

ა ბ ე ს ა ლ ო: როდამიშვილის გამო?

ვიქტორ: ჰო!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი: ხა, ხა, ხა, ხა, ხა! ძალიანია, შენ ნუ მომიკვდები, ძალიანია! ვილაცა ჩანჩურა როდამიშვილის გულისათვის ყოველივე სიამოვნება უნდა მოვიკლოთ! აბა კაცი ის ყოფილა — ჩვენ არაფერი!“²

აქ დიალოგი, როგორც „ორთა ბრძოლა“, სიტყვა—რეპლიკა, როგორც უძლიერესი იარაღი ბრძოლისა, დიალოგი და რეპლიკა, როგორც მოქმედების განვითარებისა და მოქმედ პირთა ხასიათის გაშლის მომარჯვებელი ხერხი მომხიბვლელადაა მოცემული.

დავით კლდიაშვილი აგრეთვე მოხდენილად იყენებს როგორც დია, აშკარა დრამატულ დიალოგს, რომელშიც მოქმედი პირი თუ პირნი პირდაპირ დაუფარავად ლაპარაკობენ და იბრძვიან თავიანთი სურვილების ასრულებისათვის (როგორც, მაგ., ზემომოტანილი და სხვა დიალოგები „ირინეს ბედნიერებაში“), ისე არაპირდაპირ, ირიბ დიალოგს, რომელშიც მოქმედი პირი თუ პირნი მოჩვენებით ამტლავნებენ თავდაპერილობას, ხანაც თავაზიანობას, სათუთობას, მაგ., „დარისპანის გასაჭირში“ დიალოგები: დარისპანისა და მართასი, დარისპანისა და პელაგოსი, მართასა და ონისესი და სხვ.

ნიმუშისათვის მოვიტანოთ „დარისპანის გასაჭირის“ მეოთხე გამოცემა: ათხი გასათხოვარი ქალიშვილის პატრონი, გასაჭირში ჩავარდნილი დარისპანი დადის სოფლიდან სოფელში ნათესავ-ნაცნობებში, იქნება როგორმე მოახერხოს ქალის გათხოვება. გზად შო-

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1935, გვ. 22—23.

² იქვე, გვ. 23.

რეულ ნათესავთან მართასთან შეიქცის. იქ ის შეხვდება მართას მეზობელ პელაგიას, რომელთანაც ყოველი შემთხვევისათვის დარისპანი შემდეგ საუბარს გააბამს:

დარისპანი: (მოკლე სიჩუმის შემდეგ). აქაური მცხოვრები ბრძანდებით?

პელაგია: აქაური, ჩემო ბატონო!.. თითქმის მეზობელი ჩემი მართასი.

დარისპანი: კაი დაგემაართოსთ!.. (მოკლე სიჩუმის შემდეგ) ერთობ მარჯვე ქალია ეს ჩემი ნათესავი ქალი, ჩვენი მართა.

პელაგია: ნულა ბძანებთ!.. მაგით გვიღვია თელათ ამ კუთხეს სული! მაგაა ჩვენი შემხედვარე, ჩვენი შემბრალებელი, დამრიგებელი, რჩევის მომცემი და მწყალობელი!.. უმაგისოდ რა გვეშველებოდა, ჩემო ბატონო?

დარისპანი: ჰმ, საკვირველია... სადაც კი ფეხი დადგეს ჩვენი გვარის ქალებმა, ყველგან სასახლოთ უჭირავთ საქმე!.. დიდი ღვთის წყალობაა, თქვენ ნუ მომიკვდებით, ასეთი ამბავი!.. ასეთი სიკეთე გვაროვნობით რომ დაჩემდება... სახელს უკეთებს გასათხოვრებსაც!..

პელაგია: კაი ოჯახი კაი შვილს გაზღის, ჩემო ბატონო, რაღა ლაპარაკი უნდა!...

დარისპანი: კეშმარიტი ბრძანებაა, ბატონო პელაგია... თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ კაი ოჯახები გვაქვს გვარში... თუ ყველას არა, ზოგიერთებს მაინც... ჩემს თავზე მოგახსენებ — რომ მობძანდეთ ჩემს ოჯახში, თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ვერაფერს დამიწუნებთ, თქვენ არ მომიკვდეთ!.. ერთობ გაწყობილი ოჯახი მაქვს!...

პელაგია: ღმერთმა მოგცეთ, ჩემო ბატონო!

დარისპანი: შვილებიც ისეთები დამეზარდნენ, რომ თამამად შემიძლია ვსთქვა, ვის ოჯახშიც შევლენ — ოჯახს გაანათლებენ, ისეთი ქალიშვილები მყავს, ბატონო პელაგია!.. მამა ვარ და ვერ ვარჩევ, რომელი რომელს სჯობია!.. რა არ იციან! ერთი თვალი რომ რამეს მოჰქრან, მეტი არ უნდათ!.. ამას წინათ სადღაც ენახათ... კარხმალს რომ ახლა უშვებთან... რას ურევთ, ბოშო, — ამას წინად რომ მაყიდვინეთ... შაურის იყო?

კაროენა: ბურია!...

დარისპანი: დიახ, დიახ, ბურია... ისე აპრიალეებენ კარხმალთან თუ რამე შეხვდათ, რომ რომელი ქალაქის პაჭკა მოახერხებს!..

პელაგია: დიდი ღვთის წყალობაა, ჩემო ბატონო!..

დარისპანი: ისე არიან გადამკედარი საქნარზე, რომ გარეშე მოსამსახურე არც ბიჭი და არც გოგო ახლოს არ გეიკარეს... სახლში არ შემომაცუვანიეს... თავის ხელით უნდათ აკეთონ ყველაფერი!.. ღვთის

წყალობაა ქალიშვილი ოჯახში!.. თქვენ რამდენი გყავთ, ბატონო პე-
ლაგია, ქალიშვილი?

პე ლ ა გ ი ა : სამი, ბატონო! თქვენ?

დ ა რ ი ს პ ა ნ : მე... ამიანათ ოთხი!.. დიას, ოთხი!.. მარა გათხოვება
მეძნელება.

პე ლ ა გ ი ა : ჭირს, ბატონო, ერთობ ჭირს!..

დ ა რ ი ს პ ა ნ : არა... მენანება მოშორება!.. კაი ოჯახში ნამყოფი,
კარგად შენახული... თუ ისევე ხეირიან ოჯახში არ ჩააგდე, ცოდვაა.
ამიტომ უფრო არ ვეჩქარი მაგათ დათხოვებას... თვარა მთხოვნელები
ბევრი დამიდიან!..

პე ლ ა გ ი ა : ვისაც შეუძლია ქალიშვილის შენახვა, რა შეაწუხებს.

დ ა რ ი ს პ ა ნ : ვწუხვარ კი არაა.. ჰმ, ჩემისთანა მოლხენილი კაცი
არ მეგულება!.. არაფერი არ მაწუხებს!.. მივდიმოდვივარ ამ ჩემს ნა-
თესავეებში, კეთილებში, ნაცნობებში... ყველგან კარი ღიათ მხედება,
ყველგან მიუხარიათ ჩემი ნახვა...

პე ლ ა გ ი ა : ღმერთმა კეთილად გარონიოთ, ჩემო ბატონო! (ამოი-
ხუნეშავს) ღმერთმა სიკეთე გმატოს!.. მოგახსენებენ, ბედნიერი ადა-
მიანის დანახვით გაჭირვებულს გული გეეხსნებაო!...¹ ასეთივე და-
მასხასიათებელი დიალოგია მოცემული უკანასკნელ, მეთვრამეტე გა-
მოსვლაში — მართაც, პელაგიაცა და დარისპანიც პირში ჩალაგამოვ-
ლებული დარჩნენ. ოსიკომ (სასიძომ) გაიგო რა, რომ ნატალიასა და
კაროენას არაფერი აქვთ, მართას მობოლიშებით უარს გამოუცხადებს
შემდეგი საბაბით: „დანიშნული მყავს, თვარა თქვენს რჩევას“... მარ-
თამაც, დარისპანმაც და პელაგიამაც კარგად გაიგეს, რომ ბრძოლა
ტყუილად შერჩათ. დარისპანმა იგრძნო, რომ ამაოდ აწყენინა ორივეს.
გაისტუმრებენ რა ოსიკოსა (სასიძოს) და ონისეს (შუამავალს), მათ
შორის გაიმართება საუბარი.

* * *

დრამატული ნაწარმოების მოქმედების განვითარებას, გარდა აღ-
ნიშნული საშუალებებისა, ხელს უწყობს შესაფერი დინამიური რე-
მარკები — ავტორის შენიშვნები, რაც ორგანული ნაწილია პიესისა.
ავტორის რ ე მ ა რ კ ა ეხმარება მოქმედების ადგილის, მდგომარეობის,
მოქმედი პირის ქცევის, მოქმედ პირთა ურთიერთ დამოკიდებულებისა,
მოქმედ პირთა განწყობილების დაზუსტებაში. ამგვარ შენიშვნებს და-
ვით კლდიაშვილი დიდი მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ზ ო მ ი ე რ ე ბ ი თ და მი-
ზანსწრაფულობით იყენებს, რაც მკითხველსაც და არტისტსაც უად-

¹ დ. კლდიაშვილი, თბზ. სრული კრებული, ტ. II, 1935, გვ. 60--61.

ვილებს მოქმედი პირის ხასიათისა და ბუნების მართებულად გაზრებას.

ნიმუშისათვის: ა) „ირინეს ბედნიერების“ პირველი მოქმედების ადგილი და გარემოება: „სცენა წარმოადგენს ბარბაქაძის ეზოს. მარჯვნივ მოჩანს დაბალი ოდის ბალკონი, მარცხნივ ნიგვზის ხის ქვეშ გაშლილია სუფრა, სადაც სხედან აბესალო, ვიქტორ, სოგრატ, ნესტორ და სხვა ყმაწვილები... იქით ღობეა და მოჩანს მეზობლების სახლები. დღეობაა ბარბაქაძისას... სცენაზე თამაშია — ლეკური გარმონიკასა და დაირაზე.. სტუმრები: ყმაწვილი კაცები და ქალიშვილები“¹.

ბ) რემარკა მოქმედ პირთა ფიზიკურ მოქმედებაზე მიუთითებს: ფილიპე ბარბაქაძე სიამოვნებით უმასპინძლდება სტუმრებს — მოაქვს ცხელ-ცხელი მწვადები შამფურით; სტუმრების თხოვნით ყანწსაც გამოსცლის და ცეკვავს კიდევ. გ) ავტორი, მოქმედების გაცხოველებისა და მოქმედ პირთა, განსაკუთრებით აბესალოს განწყობილებისა და დაუდგრომელი ხასიათის გამოვლინებისათვის, ერთის მხრივ, ხოლო მოქმედების განვითარების მოხდენილი გაცვანძვისათვის, მეორეს მხრივ, ჩაურთავს ასეთს შენიშვნას: (ფილიპე თამაშობს, შემდეგ ირინეს გადასძახებს: „ბოშო!“) ორივე მამა-შვილი განაგრძობენ თამაშს, მერე ირინე სახლისაკენ გაეშურება; თანვე გაჰყვება საერთო ყოყინა. აბესალო ყვირის — „ბატონო ირინე!... ბატონო ირინე!.. მიგვატოვა?..“² სცენის ამგვარი გაფორმება და ეთნოგრაფიულ ჩვეულებათა გამოვლინება, უდავოდ, ხელს უწყობს მაყურებელს პიესის იდეის, მიზანდასახულობისა და ტიპური გარემოს, რომელშიც იშლებიან თუ მოქმედობენ ტიპური გმირები. — სწორ და ბუნებრივ ათვისებაში.

დ) რემარკა მოქმედი პირის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. როდამიშვილს ირინესთან ცოლ-ქმრობის სიტყვა აქვს მიცემული; ის აღშფოთებულია აბესალოს ირინესადმი მოქცევით; თავის გულისწყრომას ვიქტორთან გამოხატავს ერთი სიტყვით — „ვიქტორ!“ და რომ ეს სიტყვა ჩვეულებრივი ინტონაციით კი არ უნდა წარმოითქვას, არამედ აღშფოთებით, უკმაყოფილოდ, წყენით, ავტორი ამ სიტყვას შემდეგ შენიშვნას უკეთებს „(აღლევაბული)“³.

ე) ასეთივე თვისებისაა ავტორის შემდეგი შენიშვნა — რემარკა: ირინეზე ფიქრით აღლევაბული, შეზარხოშებული აბესალო როდამიშვილს შეურაცხყოფას მიაყენებს. ამ ამბის გამო ირინე თავის უკმაყოფილებას აბესალოს ეტყვის. აბესალო ირინესთან თვალთმაქცურად

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1935, გვ. 21.

² იქვე, გვ. 21—22.

³ იქვე, გვ. 23.

მოიბოდიშებს, სთხოვს ეს უსიამოვნება „ნიავეს გააყოლოს“. და ავტორმა უნდა აჩვენოს, რომ აბესალოსათვის ამგვარი შეურაცხყოფა არაფერია, ირინეს უკმაყოფილებაც მისთვის არაფერია, ის ასეთს შენიშვნას — რემარკას ჩაურთავს (აბესალო შესძახებს — „ტაში, ტაში!“) და მოქმედების განვითარებას ბუნებრივი მსვლელობა რომ მისცეს, ასე განაერთებს შენიშვნას — „(თავად იწყებს თამაშს და იწვევს ირინეს სათამაშოდ; პირველი უარის შემდეგ ირინე გაჰყვება)“¹.

ავტორის ეს შენიშვნა, აშკარაა, მკითხველსაც და არტისტსაც აზრიანად ეხმარება უფრო კარგად გაიგოს უღარდელი, უზრუნველი, უპასუხისმგებლო აბესალო, რომელიც არაფრად აგდებს სხვის შეურაცხყოფას, დაჩაგვრას, განადგურებას; ამგვარი უსიამოვნება, როგორც თვითონვე ამბობს, ცდილობს „ნიავეს გააყოლოს“, ოღონდ თავისი ყინიან-ვენებიანი სურვილი უმაღლეს დაიკმაყოფილოს.

აღნიშნული და სხვა მრავალი ამგვარი რემარკა დავით კლდიაშვილის პიესებში, რა თქმა უნდა, დიდად ეხმარება ნაწარმოების მოქმედების დინამიკურ მრავალწახანგოვან განვითარებას და მის სათანადო გაგება-ათვისებას.

* * *

დავით კლდიაშვილის დრამატულ ნაწარმოებებში აგრეთვე მოხდენილადაა გამოყენებული პერიპეტეიები, ე. ი. მოქმედი პირის მდგომარეობაში მოულოდნელი, უეცარი ცვლილებანი, იმის საწინააღმდეგო, რაც არსებულ მომენტში და პირობებში მოსალოდნელი იყო. ირინესა და როდამიშვილს ცოლ-ქმრობის სიტყვა აქვთ მიცემული, მაგრამ აბესალოს ვნებიანობით გამოწვეული აქტიური იერიშების შედეგად ირინეს აბესალოს მიათხოვებენ. მდგომარეობის ამგვარი ცვლილება მით უფრო ძლიერია და ეფექტური, რომ სრულიად მოულოდნელია როგორც თვით ირინესათვის, ასევე მისი მახლობელი მეგობრებისათვის — როდამიშვილისა და ვიქტორისათვის. ასევე უცნაურად იღებს მაცურებელიც.

ამის გარდა, ამ პერიპეტეიას ძალას ისიც აძლევს, რომ ეს მოულოდნელი ცვლილება ირინესა და განსაკუთრებით მისი მამისათვის უბედურად, ტანჯვით თავდება — ირინე აბესალოს არა მხოლოდ მალე მობეზრდება, არამედ მას მალე შეიძულებს კიდევ და საშინლად, უღიერად, არაადამიანურად ექცევა.

ავიღოთ კიდევ ერთი ნიმუში „დარისპანის გასაჭირიდან“. მართა, პელაგია, დარისპანი — ყველანი თავთავისი ინტერესების განხორციე-

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1935, გვ. 26.

ლების მიზნით ცდილობენ ოსიკო დაისიძეონ. საქმე თითქოს ეწყობა: პურ-მარილი, ცეკვა, მხიარულება. თითქოს მართასა და პელაგიას იმედი ეფინებათ. მაგრამ ოსიკოს ონისე ჩასჩურჩულებს, რომ არც ნატალიას, არც კაროენას არაფერი აქვთ და აქ ხეირი არ არის. და ოსიკოც, მართა რომ გაუმელავნებს თავის სურვილს, თავაზიანად, მაგრამ მოულოდნელად განუცხადებს: „დანიშნული მყავს, თვარა თქვენს თხოვნას“... ოსიკოს პასუხი, როგორც მეხი, ისე გავარდება და, რა თქმა უნდა, შთაბეჭდილების გამახვილებას იწვევს.

აღნიშნული და მრავალი ამგვარი პერიპეტია დავით კლდიაშვილის პიესებს, უდავოდ, ეფექტს აძლევს, მაყურებელსაც იტაცებს.

* * *

გვინდა შევჩერდეთ დავით კლდიაშვილის პიესების კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებაზე — მათ განსაკუთრებულ ემოციურობაზე.

მხატვრულ ნაწარმოებს ემოციურად აძლიერებს ცალკეული პათეტიკური შეკითხვა, გაკვირვება, აღშფოთება, მრავალი რეპლიკა. ასეთი ემოციურობა, რა თქმა უნდა, ახასიათებს დავით კლდიაშვილის შემოქმედებას და, კერძოდ, მის პიესებსაც.

ნიმუში ავიღოთ „ირინეს ბედნიერებიდან“: ვნებააშლილ აბესალოს უნდა ირინეს სიყვარული აუხსნას. იქვეა ვიქტორიც. ირინე ცდილობს აიცილნოს ეს უსიამოვნო ახსნა. მოიმიზეზებს, რომ არა სცალია და გაუსხლტება, გარბის. აბესალო აპირებს გამოდევნებას. ამას მოჰყვება აბესალოსა და ვიქტორის შორის შემდეგი დიალოგი:

„ვიქტორ: რას სჩადიხარ, ყმაწვილო?! რა ამბავში ხარ?!

აბესალო: გევედრები, თავი დამანებო!.. ხომ მხედავ...

ვიქტორი: რომ შენს ჰკუაზე არა ხარ...

აბესალო: ჰო, ჰო! სწორედ ჩემს ჰკუაზედ არა ვარ!.. და თავი დამანებე, თორემ მაწყენინებები შენთვის და დამემღურები!..

ვიქტორი: ყმაწვილო, თავი როგორ დაგანებო, როცა ვხედავ, რომ ირინესთან შენს საქციელს შეუძლია აქ ერთი აყალ-მაყალი ატეხოს... გეუბნები, იმ ქალს ყავს ამორჩეული საქმრო, ის კაცი თავს გამოიდებს და...

აბესალო: ჯანდაბას მისი თავი და ტანი!.. გთხოვ, ჩემთან მას წუ ახსენებ...ირინესთან იმას ხელი აღარა აქვს ღლეიდან, არა, ასე მოახსენე...

ვიქტორი: როგორ თუ ხელი აღარა აქვს? რა გინდა ამით თქვა?

აბესალო: ის, რომ ირინეს საუკუნოდ გამოეთხოვოს...

ვიქტორი: აბესალო!...

აბესალო: ჰო, აბესალო, აბა, ვინა ვარ?

ვიქტორ: შენ რადასაც უცნაურს აპირობ, აბესალო...

აბესალო: რასაც ვაპირობ, კიდევაც ავასრულებ...“¹

ემოცია იგრძნობა პიესის მთლიან ქსოვილში. დრამატიულ ნაწარმობებს აძლიერებს ცალკე მოქმედი პირის თუ ჯგუფის მისწრაფება. ეს მისწრაფება მაშინ ხდება დრამატული, როცა ის იშლება მღელვარებაში, ტანჯვასა და სიხარულში, როცა ის ემოციურია.

მხატვრული სახე, იქნება ის დრამატული თუ ეპიკური ნაწარმობისა, აუცილებლად ემოციური უნდა იყოს: მისი ბედი თუ უბედობა მკითხველს, მაყურებელს უნდა აღელვებდეს და, რაც მეტად აღელვებს, მით უფრო მხატვრულია სახე, მოქმედი პირი უფრო შთამბეჭდავია. ასეთებია დავით კლდიაშვილის პიესების მოქმედი პირები — ირინე, ვიქტორი, ფილიპე, როდამიშვილი, აბესალო („ირინეს ბედნიერება“), თუ დარისპან, კაროენა, პელაგია, ნატალია („დარისპანის გასაჭირი“) თუ სხვა.

დავით კლდიაშვილის პიესების მოქმედი პირები უთუოდ ხასიათდებიან დიდი ემოციურობით. მკითხველი თუ მაყურებელი თითქოს თანამონაწილე ხდება მათი ცხოვრებისა, აქტიური მომხრე — თანამგრძნობი თუ მოწინააღმდეგე მათი მისწრაფებისა. დავით კლდიაშვილის გმირებისადმი მკითხველისა და მაყურებლის გულში იღვიძებს თანაგრძნობა თუ სიძულვილი. ამაშია დავით კლდიაშვილის პიესების დიდი აღმზრდელობითი ძალა.

ამიტომ, რომ დავით კლდიაშვილის პიესები არ კარგავენ ინტერესს მკითხველსა და მაყურებელში და დღესაც ჩვენი თეატრის სცენას აამშვენებენ.

¹ დ. კლდიაშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, 1935, გვ. 28—29.

პირთა საძიებელი

- აბაშელი ა. '149
 აბაშიძე ვასო 242
 აბაშიძე კიტა 240
 აბაშიძე სოსო 8
 აკაკი იხ. წერეთელი აკაკი
 ალექსანდრე მესამე 41, 73, 141, 142
 ალექსი (ეგნ. ნინოშვილის ბიძა) 151
 ალილუევი ს. 144, 147
 ანდრონიკაშვილი მიხაკო 9
 ანისოვი 65
 არაგვისპირელი შ. 148
 ასათიანი მიხ. 219
 აფანასევი ფ. 144.
 აფინაშვილი გრიგოლ 13
 აღნიაშვილი ვლ. 5
 აღნიაშვილი (მღვდელი) 65

 ბარათაშვილი ნიკოლოზ 22
 ბარბარე (გულქანი), ვაჟა-ფშაველას
 დედა 4, 64
 ბაქრაძე კ. 239
 ბაჩანა, ნიკოლოზ პავლეს ძე რაზიკა-
 შვილი 3— 63, 73
 ბაჩანა (მთიბელი) 4
 ბერენშტაბმი 236
 ბრემი 92
 ბურგლარდტი 225

 ბაბაშვილი ეკ. 148, 219
 გაფრინდაშვილი ივანე 237, 238
 გერცენი 201, 211
 გიორგაძე დათიკო 234
 გოგებაშვილი იაკობ 83, '105
 გოგოლბე ნ. 224, 246
 გორაკი მ. 92, 142
 გრიანოვი (გენერალი) 238, 239

 გულისაშვილი ზ. 219
 გურამიშვილი 72
 გურასპაური პეტრე 3
 გურიელი გრიგოლ 154, 203

 ღათუაშვილი ილიკო 65
 დარსკი 9, 65, 66
 დინინი 294
 დობროლიუბოვი 201
 დოდაშვილი სოლომონ 212
 დოსტოევსკი 224

 მკდოშვილი ი. 127, 130, 148, 149
 ეკალაძე ია (ი. ცინცაძე) 148, 150
 ერეკლე მეფე 71
 ერისთავი გიორგი 245
 ერისთავი რაფიელ 105, 106
 ესიკოვსკი მიხეილ 236

 მოლკენშტეინი ვ. 297, 300, 301
 ვოლსკი (უმწიფარიძე) 242
 ვორონცოვ-დაშკოვი 239
 ვაჟა-ფშაველა 3-5, 11, '13—17, 19, 20,
 23, 29, 32, 34, 38, 42—44, 49, 55,
 65, 73, 77, 239
 ვახუშტი 7.

 ზაქალეისკი 210
 ზაქარია (ბაჩანას მეგობარი) 7
 ზდანოვიჩი გ. 240
 ზილბერმისტრი დავით 294

 შივართქილაძე კ. 214
 თინათინ (წყალობა იშხანაშვილის ასუ-
 ლი, თედო რაზიკაშვილის მეუღ-
 ლე) 66

თოთიბაძე ესმა 152, 222, 224
თოთიბაძე მანასე 222
თოიძე ალ. 219, 230
თოფურია სპირიდონ 154, 224
თუმანიშვილი-წერეთლისა ანასტასია
66, 158.

იათაბზე (ბაჩანას შვილი) 11, 54
იაშვილი (ახნაური) 67
ივანე (ბაჩანას შვილი) 11
ივანოვი 235
იე. ავ-ლი 260
ილია იხ. ქაეკავაძე ილია
ილურიძე მიხეილ 237, 238
ინგოროყვა თომა (ეგნ. ნინოშვილის მამა) 151
ი-ნ-შიძე 263, 264
იოვანე ნათლისმცემელი 7
ისარლოვი 204
იშხანაშვილი წყალობა 66

ძაკაბაძე იოსებ 144
კალანდარიშვილი დიმიტრი 144
კალანდაძე არსენ 153
კალანდაძე ნადასი 226—228
კალანდაძე სიო 223
კალაძე რ. 144, 145, 214
კალინინი მ. 144, 147
კანდელაკი სამსონ 223
კარიკაშვილი დავ. 5
კესარია (ნ. ლოლობერიძის ქალიშვილი) 234
კესარია (ს. კლდიაშვილის დედობილი) 234
კეცხოველი ლადო 147
კვიციანიძე ისიდორე 144
კიკნაძე გრ. 255
კლდიაშვილი ალექს. 238
კლდიაშვილი ალექსანდრე (საბა) 293
კლდიაშვილი დავით სამსონის ძე 3, 233—261, 263—303, 305—309
კლდიაშვილი სამსონ 234, 235
კლდიაშვილი სერგო 243, 244
კურნატოვსკი ვ. 144, 147

ლავროვი (მარტოვი) 201
ლალიონი (მამულიაშვილი არსენ) 148, 150

ლენინი ვ. ი. 138, 139, 143, 233
ლეონიძე გ. 42
ლერმონტოვი 228
ლიახოვი 240, 241
ლიმთათიძე კოლა 148—150
ლომოური ნიკო 6, 7, 13, 66, 148, 237

ლორთქიფანიძე კოწია 237
ლუზინი ი. 147
ლუზინი ლ. 144
ლუკა იხ. ვაჟა-ფშაველა

მამულიაშვილი არს. იხ. ლალიონი
მარიამი (ბაჩანას მეუღლე) 9
მარქსი კარლ 155, 188
მაცაშვილი კ. 42
მაჭავარიანი პავლე 244—246
მახარაძე ფ. 139, 140, 144, 147; 200, 208, 209

მელუები (ძმები) 222
მგალობლიშვილი სოფ. 148
მილერი 240
მილუტინი 236
მირზოევები 138
მიხაილოვსკი ნიკოლოზ 145, 201
მრეველიშვილი ანდ. ივანეს ძე 235
მხეიძე კონდრატი 242

ნათაძე ალ. 5
ნატროშვილი გ. 247
ნიკო იხ. ბაჩანა
ნიკოლოზ II 69
ნინო (ეგნ. ნინოშვილის მამიდა) 151
ნინოშვილი ეგნატე თომას ძე 3, 143—145, 148, 150—232, 243, 299

ოგარიოვი 211
ორბელიანი სულხან-საბა 7, 14

პალში 239
პეტალოცი 67
პისარევი 201
პლენანოვი გ. 142, 143

შელიაბოვი 201
ჟორდანია ნ. 144—146
ჟურული დურმიშხან 242
ჟურული ქეთევან 242

- რამიშვილი ისიდორე 144
 რაზიკაშვილი ალექსანდრე 3—6, 9—12
 რაზიკაშვილი თამარ 66—70
 რაზიკაშვილი თედო (თევდორე) პავლეს
 ძე 6, 8, 10, 13, 64—103, 105—
 137
 რაზიკაშვილი ნიკოლოზ პავლეს ძე იხ.
 ბაჩანა
 რაზიკაშვილი პავლე (ვაჟა-ფშაველას
 მამა) 3, 4, 64—66
 რაზიკაშვილი პავლე (ბაჩანას შვილი)
 5, '11, 12
 როსტომაშვილი დათიკო 65
 როტშილდი 225
 რუსთაველი შოთა 7, 17, 29, 66
 რუსო 67
 სახოკია თედო 153, 155, 229
 სტალინი ი. ბ. (ჭულაშვილი) 147
 სტრეკოლოვი 210
 სტრელეცკი 7
 ტაბიძე გ. 42
 ტიმოფეევი აბრამ 155
 ტოლსტოი 224
 ტურგენევი 224
 შმიკაშვილი პ. 215
 უსპენსკი გლ. 233
 უშინსკი 67
 შალეიშვილი ვ. 70
 ფალეიშვილი სარქისა 68
 ფრანჩესკი გ. 144, 147
 ფურცელაძე ანტონ 246
 ძიქოძე სიმონ (დეკანოზი) 152
 ლოღობერიძე ნ. 154, 155, 234
 მუზანიშვილი ს. 15
 ყიფიანი დიმიტრი 7, 204
 ყიფიანი ეფრო 294
 ყიფშიძე გრ. 31
 ჩერნიშევსკი 5, 201
 ჩეხოვი ა. 246
 ჩხეიძე კარლო 144
 ჩხიკვაძე ნ. 140, '149
 ჩხიკვიშვილი პოლიკარპე 237
 ცინცაძე ი. იხ. ეკალაძე ია
 ცხაკაია მიხა 144, 147, 160
 წერეთელი აკაკი 14, 32, 42, 52, 76,
 105, 109, 148, 192, 239
 წერეთელი გ. 216, 217, 225, 230, 242,
 245, 299
 წულაძე აბ. 203
 წულუკიძე ალ. 147.
 შავეკვაძე ი. 7, 14, 32, 42, 72, 73, 76,
 77, 104, 105, 128, 148, '192, 237,
 246, 299
 ქალაღიძელა გ. 109
 კიკინაძე ვარლამ 155
 კუმბურაძე სიმონ 153, 154, 224—226
 კყონია ალექსანდრე 279
 ხიზანიშვილი ნიკო 156, 157
 ხომლედი 143
 ხუნდაძე სიმ. 139, 203, 204, 208, 209,
 214, 217
 ხუსკივაძე თ. 5
 ჯავახიშვილი ივ. 210
 ჯანაშია ნიკო 81—82
 ჯიბლაძე სილიბისტრო 144, '145, 230
 ჯიჯეიშვილი ბარნაბა 152
 ჯორჯიაშვილი არსენა 239
 ჯულაშვილი იხ. სტალინი ი. ბ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბაჩანა	3
თედო პაეღეს ძე რაზიკაშვილი	64
90-იანი წლები	138
ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა)	150
დავით კლდიაშვილი	233
პირთა საძიებელი	310

გამომცემლობის რედაქტორი მ. ინასარიძე
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ე. ცერცვაძე

სბ 654

გადაეცა წარმოებას 6.02.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.01.86.
საბეჭდი ქაღალდი 60×90¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი
თაბახნ 19,75. სააღრ.-საგამომც. თაბახნი 18,21
ტირაჟი 4000 შეკვეთის № 289

ფასი 8 მან. 10 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.